

შედგენილი

ანა ღვინიაშვილის მიერ

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
19 - თ ბ ი ლ ი ს ი - 59

* * *

ყოველ საქმეს თავისი მესვეური და გულშემატკივარი ჰყავს. თვითღირებითა და უსიყვარულოდ არაფერი ღირსშესანიშნავი და მიმზიდველი არ შექმნილა ამქვეყნად. ჩვენს საბავშვო ლიტერატურასაც უსიყვარულოდ არ აუღგამს ფეხი, არც თვითღირებით განვითარებულა. მისი ზრდისა და გაფურჩქვნის საქმეს თავს დასტრიალებდნენ ჩვენი ერის ღირსების დამცველი აღამიანები, რომლებმაც ქართველი ბავშვების მორალური და ესთეტიკური აღზრდა, მათი კარგი მომავლისათვის ზრუნვა მოღვაწეობის საგნად გაიხადეს. ეს იგივე ჩვენი ხალხის ეროვნული სიცოცხლისა და დიდი მომავლისათვის მოღვაწეობა იყო. მათ ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლა, ქართული ენის სიწმინდისა და უფლების დაცვა, ეროვნული კულტურის აყვავებისათვის ზრუნვა პირად ბედნიერებად მიაჩნდათ. იცოდნენ, დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდნენ და ძალ-ღონის დაუშურებლად ყოველგვარ დაბრკოლებას სძლევდნენ. ბევრი მათგანი თავისი კარგი პოეტური და ბელეტრისტული ნაწარმოებებითაც ამდიდრებდა ქართულ საბავშვო ლიტერატურას. ესენი იყვნენ: ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა — ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორი და ერთ-ერთი დამაარსებელი, მწერალი და მთარგმნელი, მეუღლე ჩვენი სახელოვანი მწერლის გიორგი წერეთლისა; მარიამ დემურია — მაღალი სულისა და დაუცხრომელი ენერგიის მქონე ქალი, მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ნაკადულის“ დამაარსებელი და მისი რედაქტორი სიკვდილის დღემდე; ალექსი ჭიჭინაძე — თავისი დროისათვის დიდად ცნობილი პედაგოგი, მოღვაწე და შესანიშნავი მეცნიერულ-პოპულარული წერილების ავტორი; ლუარსაბ ბოცვაძე — თვალსაჩინო პედაგოგი და ჟურნალისტი, ჟურნალ „განათლების“ დაუღალავი რედაქტორი; ივანე ელიაშვილი — ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, სხარტი, ნათელი და მიმზიდველი მოთხრობების ავტორი; ეკატერინე (კეკე) მესხი — ფრიად განათლებული ქალი, მთარგმნელი და ორიგინალური მოთხრობების ავტორი, მეუღლე ჩვენი გამოჩენილი ჟურნალისტის სერგეი მესხისა; ალექსი მირიანაშვილი — პედაგოგი და საინტერესო იგავ-არაკების მწერალი და სხვა მოამაგენი ჩვენი საბავშვო ლიტერატურისა. ამ აღამიანების სახელები თავისი დროისათვის პოპულარული იყო, ხალხი მათ ღვაწლს დიდად აფასებდა. ვერც ჩვენი დროის აღამიანები მივცემთ დავიწყებას ამ მოღვაწეთა სახელებს. მათი უანგარო საქმე გვავალებს, სიყვარულით მოვიგონოთ ისინი და მათი ცხოვრება და მოღვაწეობა გავაცნოთ ჩვენს ახალგაზრდობას. ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე წიგნი — „ქართული საბავშვო ლიტერატურის მოამაგენი“.

წიგნში ყველა მოღვაწე წარმოდგენილია ორიგინალური და თარგმნილი ნაწარმოებების ციტატებით, რომლებსაც. ავტორთა მიხედვით, წინ უძღვის კრებულის შემდგენლის აპა ღვინიაშვილის წერილები. მასალა დალაგებულია ქრონოლოგიურად—მოღვაწეთა დაბადებისა და სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის თარიღების გათვალისწინებით. წიგნს ბოლოში დართული აქვს თავისი დროისათვის შეტად პოპულარული თარგმნილი ხაწარმოების „ეგმისოხის „ლეღი ეგეის“ ციტატები.

დარწმუნებული ვართ, წინამდებარე წიგნი პატივისცემის გრძნობით აღავსებს მკითხველს ქართული საბავშვო ლიტერატურის უანგარო მოამაგეებისადმი, ბევრსაც დაინტერესებს საბავშვო ლიტერატურის შესწავლის საკითხებით.

ბიოლოგი ქაჯახიძე

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა

1849 — 1932

ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი დაიბადა 1849 წლის 25 აგვისტოს (ახ. სტ.), ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პოეტის მიხეილ თუმანიშვილის ოჯახში. მიხეილის პატარა და მყუდრო ბინაზე თავს იყრიდა XIX საუკუნის თითქმის ყველა გამოჩენილი მოღვაწე, მწერალი და პოეტი (ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჟურნალისტი ლევან მელიქიშვილი, დრამატურგი გიორგი ერისთავი, ისტორიკოსი დიმიტრი ერისთავი და სხვ.). პატარა ანასტასია გაფაციცებით უგდებდა ყურს სტუმრების საუბარს პოლიტიკურ, ლიტერატურულსა და განათლების საკითხებზე. ამას გარდა, მის განკარგულებაში იყო მამის შესანიშნავი ბიბლიოთეკა, და პატარა ტასოც, თავის დისა და ძმების მიბაძვით, წიგნების კითხვას დაეწაფა.

იმ დროს თბილისში ორი სასწავლებელი არსებობდა: ამიერკავკა-

სიის ქალთა ინსტიტუტი (და არა კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, როგორც დღემდის უწოდებენ მას) და წმ. ნინოს სასწავლებელი. ამ სასწავლებლებში შესასვლელ კარიბჭეს წარმოადგენდა თბილისში კარგად ცნობილი მადამ ფაბრის პანსიონი. მადამ ფაბრი ქართველი ხალხის, მისი კულტურისა და ენის პატივისმცემელი იყო. ქართული ენის მასწავლებლად ცნობილი ქართველი პედაგოგები ჰყავდა მიწვეული (ალ. ცაგარელი, იაკ. გოგებაშვილი და სხვ.). აღნიშნულ პანსიონში ბევრი ქართული ოჯახის ქალიშვილი აღიზარდა, მათ შორის ეკ. გაბაშვილი, კ. მესხი.

ანასტასია თუმანიშვილი შვიდი წლისა მიაბარეს ფაბრის პანსიონში, სადაც მცირე ხანს დაჰყო. მის ბედზე ქალთა ინსტიტუტში აღგილი განთავისუფლდა და იქ გადაიყვანეს. ანასტასია ინსტიტუტში წარჩინებულ მოწაფედ ითვლებოდ. იგი სკოლის ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში თავისი სულიერი განწყობილება მან კარგად აღწერა ავტობიოგრაფიულ ნარკვევში (დაიბეჭდა გაზ. „დროებაში" 1881 წელს).

ანასტასიამ 1865 წელს დაამთავრა ინსტიტუტი და თავის მშობლებს დაუბრუნდა. ოჯახში უსაქმურად არ მჯდარა. გატაცებით კითხულობდა წიგნებს და თან საზოგადოებრივ ასპარეზზე სამუშაოდაც ემზადებოდა. ხშირად ესწრებოდა პოლიტიკური ეკონომიის, ქიმიის, ფიზიოლოგიის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე მოწყობილ საჯარო ლექციებს. ამავე დროს ხშირი სტუმარი იყო თეატრის, კონცერტებისა და საცეკვაო საღამოებისა.

ჩვენს მაშინდელ ახალგაზრდა ქალიშვილებსა და მანდილოსნებს ორი გასართობი ადგილი ჰქონდათ: „კრუჟოკი" და „სობრანია". „კრუჟოკში" მორთულ-მოპრანჭული ხალხი დაიარებოდა. „რადგან ბრჭყვიალა ვარაყიან სახლში მოსულხარ, ფერ-უმარილიც კარგა უნდა გაიგლისო, არ იცი, რომ აქ ღიმილიც კი ნათხოვარი აქვთო". „სობრანიაში" კი უფრო თავისუფლება იყო, აქ ქართული ცეკვებიც იმართებოდა, საზანდარიც უკრავდა და თავდახურული ქალებიც თამამად გრძნობდნენ თავს.

ანასტასიას მახვილ თვალს არ გამოპპარვია ამ საღამოზე დამსწრეთა ვიწრო მეშჩანური ინტერესები, მათი საუბრის თემა ჩაცმადახურვასა ან კიდევ მოცეკვავეთა მიმართ, იმათი კილვა, რის აღწერასაც შემდეგ დიდი ადგილი დაუთმო თავის დღიურში.

მიუხედავად იმისა, რომ ანასტასია, თუ შეიძლება ითქვას, ასეთ „მხიარულ" საზოგადოებაში ტრიალებდა, იგი მაინც არ იყო ასეთი გართობით კმაყოფილი, მას სულ სხვაგვარი საზოგადოება აინტერესებდა. ანასტასია წერს: „... მაინც მოწყენილი ვარ. რა უნდა

იყოს მიზეზი? მე სულ სხვა დროს გატარება მომწონს. მხია-
რულება იქ არის, საცა ორიოდე ქალი და კაცი შეიყრებიან, თავიანთ
მდგომარეობაზე, სხვადასხვა საზოგადო საქმეებზე და წიგნებზე ლაპა-
რაკობენ". ამგვარად, ანასტასია თავისი დროის წესებს თუმცა არ
ჩამორჩებოდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ აკმაყოფილებდა. უნდოდა
თავის თავზე მუშაობით დაეძლია ეს მოწყენილობა. ამაში ხელს
უწყობდა მისი განათლებული მამა. მიხეილ თუმანიშვილი შვილების
აღზრდას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა. ცდილობდა, შვი-
ლები აღეზარდა გულისხმიერნი, შრომისმოყვარულნი. ასეთი
აღზრდით ანასტასიას გამოუმუშავდა ხასიათის სიმტკიცე, კეთილსინ-
დისიერება, შრომისადმი მოყვარეობა. ანასტასიამ შეისწავლა ფრან-
გული ენა, შემდეგ კი გერმანული. ერთ დროს მუსიკითაც კი ყოფი-
ლა გატაცებული. ამგვარად. ანასტასია უქმად არ ჰკარგავდა დროს.
თავისდა შეუმჩნეველად გაიტაცა სპენსერისა და ესკიროსის პედაგო-
გიურმა იდეებმა, რომლებიც აღიარებდნენ ბავშვის დამოუკიდებელ
პიროვნებად მიჩნევას და მისი პატიოსან მოქალაქედ აღზრდას საზო-
გადოებრივი სამსახურისათვის.

ანასტასიას დაუდგრომელი ბუნება ვერ ისვენებდა. ახლა ევრო-
პაში წასვლა გადასწყვიტა. ამ დროს ციურიხში იმყოფებოდნენ ქარ-
თველი ქალები: ოლღა გურამიშვილი, ეკატერინე მელიქიშვილი (კეკე
მესხი) და სხვ.

ანასტასიას საზღვარგარეთ წასვლა უმიზნოდ როდი უნდოდა. მას
აინტერესებდა, ბავშვის აღზრდის, კერძოდ, სკოლამდელთა აღზრდის
საკითხები შეესწავლა, ფართოდ გასცნობოდა სკოლაში პრაქტიკულ
მეცადინეობას. ანასტასიამ ბოლოს ნატვრა შეისრულა და 1876 წელს
ჟენევაში გაემგზავრა. მართალია, ჟენევაში რამდენიმე სკოლა დაათვა-
ლიერა, იქაური პედაგოგებიც გაიცნო, მაგრამ საზღვარგარეთ დიდ-
ხანს არ დარჩენილა. ამის მიზეზს ანასტასია თვითონვე სწერს ავტო-
ბიოგრაფიულ ჩანაწერში: „ვიგრძენი, რომ საქმეს ვერ გავიტან, მიზანს
ბოლომდე ვერ მივაღწევ, ვშიშობდი, ვაი თუ ვერ შევძლო უმაღლესი
სწავლის მიღება და სხვებივით დაუმთავრებელი სწავლით დავბრუნ-
დე. ნაღვლიანი და მწუხარე დედის მიტოვებაც რამდენიმე წლობით
ცოდვათ მივიჩნიე და ოთხი თვის მოგზაურობის შემდეგ ოჯახს დავუ-
ბრუნდი, თბილისში ჩამოვედი და მაშინ გამოირკვა ჩემი ცხოვრების
მიზანი: მუშაობა, შეუწყვეტლივ მუშაობა ხალხისთვის..."

ანასტასიამ ეს თავისი მიზანი პირნათლად შეასრულა. მთელი თა-
ვისი ხანგრძლივი სიცოცხლე ქართველი ხალხის სამსახურს შესწირა.
1872 წლიდან იგი დაუღალავად შრომობდა. არ დარჩენილა იმ დროს
კულტურის თითქმის არც ერთი დარგი, სადაც მას არ ეთანამშრომლა.

ეს იქნებოდა ქართული თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქალთა სკოლების ორგანიზაცია, თუ საქველმოქმედო საღამოების მოწყობა — ყველგან ხალისიანი მომუშავე იყო.

ანასტასია დაუმეგობრდა ეკატერინე გაბაშვილს და კეკე მესხს. ეკატერინე გაბაშვილი ანასტასიას უწოდებს „განუშორებელ თანამგზავრს ყოველ საზოგადო კრებაზე". მართლაც, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ანასტასია გასათხოვარი იყო, ხოლო ეკ. გაბაშვილი უკვე ოჯახის პატრონი, არ ყოფილა დღე ერთმანეთი არ ენახოთ, ან როდისმე ცალ-ცალკე წასულიყვნენ რომელიმე საზოგადო კრებაზე. ანასტასია გართული და დატვირთული იყო საზოგადო საქმეებით. ამავე დროს წერდა საზოგადოებრივი ხასიათის წერილებს, პატარ-პატარა მოთხრობებს, რაც იბეჭდებოდა „დროებაში" (1880 წ.) და „ივერიაში" (1881 წ.), თარგმნიდა კიდეც ფრანგული და რუსული ენებიდან.

ანასტასიას გასაოცარი უნარი ჰქონდა ორგანიზაციისა, რაც ღრმა მოხუცებულობამდე შერჩა. ჩვენი ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელიც ამით მოიხიბლა. ჯერ კიდევ შეუღლებამდის, 1891 წელს იგი სწერდა: „... მე მინდა ისეთი ამხანაგი, რომ თანაბარი შრომა გასწიოს ჩემთან, როგორც საზოგადოებრივსა და ლიტერატორობის ასპარეზზე, აგრეთვე ჩემი მამულის მართვაში. ამ შემთხვევაში მე ქვეყანაზე თქვენზედ უკეთესს მეგობარს ვერ ვიშოვნი. ამ მოსაზრებას ამ ბოლოს დროს დაერთო გულწრფელი და ღრმა სიყვარულიც..."

ანასტასიამ დიდი დახმარება გაუწია გ. წერეთელს და ბევრი სასარგებლო საქმეც გააკეთა. ჯერ კიდევ 1872 წელს თბილისში მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესდგა ქალთა პატარა წრე, რომელიც ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. ამ წრის წევრები ქართულ ენაზე თარგმნიდნენ სხვადასხვა წერილებს, მოთხრობებსა და ცალკე წიგნებადაც ბეჭდავდნენ საერთო სათაურით: „თარგმანნი საამურთა საკითხავთა (თხზულებათა) თარგმნილი და გამოცემული ქართველი ქალებისაგან". წრეში მონაწილეობდნენ ეკ. მელიქიშვილი (კეკე მესხი), ეკ. გაბაშვილი, ელენე ყიფიანი[1]. ქალთა წრე სათარგმნელად არჩევდა ისეთ მოთხრობებსა და ამბებს, რომლებიც სარგებლობას მოუტანდა ქართველ მოზარდ თაობას, მის გონებას განავითარებდა, გააცნობდა ქალთა მონური უღლიდან განთავისუფლებისათვის ბრძო-

---

[1] ელენე ყიფიანი (1852 — 1890) დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილი იყო, ქალების წრის ერთ-ერთი აქტიური წევრი, იგი მთარგმნელობასაც ეწეოდა, ზოგჯერ მონაწილეობას იღებდა სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში. ე. ყიფიანი ხალხოსანთა თანამგრძნობი იყო.

ლის ეპიზოდებს და პატრიოტულ სულისკვეთებასაც გაუღრმავებდა. 1884 წელს ანასტასიას ინიციატივით ჩამოყალიბდა მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთ დახმარების საზოგადოება, რომელიც დიდ კულტურულ საქმიანობას ეწეოდა. საზოგადოება აწყობდა სახალხო ლექციებს, საკვირაო სკოლებსა და თეატრებში მართავდა საქველმოქმედო საღამოებს, გახსნა სახალხო ბიბლიოთეკა, რომელიც საფუძველია ამჟამად განათლების მუშაკთა სახლის ბიბლიოთეკისა. ყველა ამ საქმიანობაში ანასტასია იყო აქტიური მუშაკი. მაგრამ ეს დიდი საქმიანობაც ვერ აკმაყოფილებდა მას. ანასტასიამ გადაწყვიტა გახრიოკებულ სოფელ ხელთუბანში სკოლის მოწყობა, მისი მზრუნველობა. ხელთუბნის სკოლა გაიხსნა 1884 წელს. იქვე მოეწყო ობოლთა თავშესაფარი. 1890 წლიდან ანასტასიას მხარში ამოუდგა ცნობილი საბავშვო მწერალი, ჩვენი ხალხური სიტყვიერების პირველი შემკრები თედო რაზიკაშვილი, რომელიც 15 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა სკოლას და მოსწავლეებს ზრდიდა პატრიოტული სულისკვეთებით.

ანასტასიამ მთელ თავის საქმიანობას გვირგვინი დაადგა 1890 წელს საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის" დაარსებით, რომლის რედაქტორის მძიმე მოვალეობა 30 წლის განმავლობაში ღირსეულად შეასრულა.

„ჯეჯილი" მეტად საინტერესო ჟურნალი იყო. იგი ბევრ რამეს ასწავლიდა ჩვენს ბავშვებს. მან ოცდაათი წლის განმავლობაში ნორჩ თაობებს გაუღვიძა კითხვის სიყვარული, დაინტერესა ლიტერატურით, თავისი ქვეყნის ცხოვრებით; გააცნო სხვა ხალხების ზნე-ჩვეულებანი, შეაყვარა თავისი სამშობლო და სხვა ხალხთა პატივისცემა. იმ ხანად ჟურნალების, კერძოდ კი საბავშვო ჟურნალების გამოცემის ნებართვის მიღება არც ისე იოლი იყო. საყმაწვილო ჟურნალ „ნობათის" შემდეგ, რომელიც სულ ორ წელს (1883 — 1885 წ. წ.) გამოდიოდა სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელ ანდრია ღულაძის რედაქტორობით, თითქმის 5 წელი გავიდა და იმ დროის ქართველ ბავშვებს საკითხავად საბავშვო ჟურნალი არა ჰქონდათ.

ანასტასიას დიდ ენერგიას, მტკიცე ხასიათს უნდა მიეწეროს „ჯეჯილის" დაარსება. ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში მას მხარს უჭერდნენ: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და მისი სიკვდილამდე განუყრელი მეგობრები ეკატერინე გაბაშვილი, კეკე მესხი, სოფიო ციციშვილი და სხვები.

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის რედაქტორობის ვრცელი გზა არ იყო ვარდ-ყვავილებით მოფენილი. ბევრი მწარე დღე გამოუვლია

ხან ცენზორის სისასტიკით, — ამა თუ იმ მასალის აკრძალვით, ხან უსახსრობის გამო ჟურნალის დახურვის შიშით, მაგრამ იცოდა, რომ დიდი საქმის მსახური იყო და ყველა დაბრკოლება გადაულახავს. მას ამხნევებდა და ძალას უფრო მატებდა საზოგადოების თანაგრძნობა და პატიკისცემა.

ანასტასია ხელს უწყობდა ახალგაზრდა, დღეს ჩვენს ცნობილსა და სახელმოხვეჭილ ბევრ პოეტსა და მწერალს. ფართოდ გაუხსნა მათ გზა ჟურნალში თანამშრომლობისათვის. ანასტასია დიდად მადლიერი იყო ვაჟა-ფშაველასი, შიო მღვიმელის, გიორგი ქუჩიშვილის, დავით თურდოსპირელის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, ანა ხახუტაშკილის, ლიდია მეგრელიძის, რომლებიც სიამოვნებით იღებდნენ მონაწილეობას ჟურნალში. სამაგიეროდ, ბუზღუნებდა მაშინ, როცა რომელიმე მწერალი შემოსწყრებოდა ამა თუ იმ მასალის გადაკეთების ან დაწუნების გამო. ანასტასიას ყოველთვის კამათი ჰქონდა შესანიშნავ საბავშვო მწერალ თედო რაზიკაშვილთან, რომლის სოციალურად გამოკვეთილ მოტივებს ხშირად ვერ ეგუებოდა და ავტორს შერბილებას სთხოვდა. ანასტასია ყოველთვის მღელვარებით ადევნებდა თვალყურს პრესას და აინტერესებდა, ვინ რა აზრისა იყო მის ჟურნალზე.

ჟურნალის ათი წლის თავზე აკაკი წერეთელი წერდა: საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი" შედარებით სხვებთან ნიჭიერად გამოდის, მაგრამ მკითხველი მაინც ცოტა ჰყავს და ამის მიზეზიც ადვილი მისახვედრია: ჩვენში ყოველიფერს ჯერ კიდევ მებუკე და მეგანგაშე ეჭირვება, თავის თავად ავ-კარგის გარჩევას ვეღარ ახერხებს დღევანდელი ქართველობა!" („ჯეჯილი" 1899 წ. № 12).

აქ შეგვიძლია გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებაც. მართალია, ილია „ჯეჯილის" არც სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო, არც თანამშრომელი, მაგრამ ყოველი კარგი ახალი საქმის მიმართ იგი იჩენდა დიდ გულისხმიერებას. მით უმეტეს, მას გაახარებდა საყმაწვილო ჟურნალის დაარსება, რადგან დაინტერესებული იყო ჩვენი ბავშვების აღზრდითა და ამ საკითხზე, როგორც ვიცით, წერილებსაც აქვეყნებდა. ეპიტომაც ილიამ „ივერიის" 1890 წლის 31 დეკემბრის მეთაურით ქართველობას მიულოცა „ჯეჯილის" გამოსვლა: „სასიამოვნო ამბავი უნდა ვახაროთ ჩვენს მკითხველს: დღეს დაურიგდათ ხელის-მომწერთ პირველი ნომერი ახალი საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილისა", რომელიც ამას შემდეგ ყოველ ორ თვეში ერთხელ გამოვა კნ. ან. თუმანიშვილის რედაქტორობით. მეტად კარგი რამ არის ეს პირველი წიგნი თვალისათვის. არც გული და ჭკუა არის დავიწყებული. ერთისა და მეორისათვისაც სამკალია საკმაო შიგ. „ჯეჯი-

ლი"-ს რედაქციას კარგი საჩუქარი დაუმზადებია ჩვენის მოზარდი თაობისათვის... დიდის სიამოვნებით გადავიკითხეთ თითქმის მთელი წიგნი ამ ახლად დაბადებულისა და ნორჩის ჟურნალისა და, უნდა ვთქვათ, გულითა და სულით ვისიამოვნეთ, დავსტკბით და უფრო ტკბილად „დავბერდით", ვიდრე მამა-პაპის ნაანღერძევი „აბრამიანი" და „გოზინაყი" დაგვაბერებდა".

„მაგრამ ყველაზე უფრო ადამიანის გულს იტაცებს ლექსი თავ. რ. ერისთავისა „შვიდნი ვართ"... ვერ დაგვითმენია, რომ ეს ლექსი ახალ-წლის ნობათსავით არ ვუჭღვნათ ჩვენც ჩვენ მკითხველებს..." მართლაც, ლექსი მთლიანად გადმოიბეჭდა გაზეთში. მიუხედავად „ჯეჯილის" დაარსებით გამოწვეული სიხარულისა, მან მალე დაიმსახურა უმართებულო საყვედური ჟურნალის თანამედროვე ცხოვრებიდან ჩამორჩენისა და უალღოობის გამო. ვერ ასცდა სასტიკ გაკრიტიკებას თვით „ივერიის" ფურცლებიდანაც, სულ მალე, იმავე წლის № 24-ში. თუმცა რედაქციას მიწერილი აქვს შენიშვნა: „ჩვენ ი'ის გარჩევაში არ შევდივართ, ყველაფერში მართალია ამ წერილის ავტორის აზრი, თუ არა, ხოლო ვბეჭდავთ იმიტომ, რომ საყურადღებოდ მიგვაჩნია ზოგიერთი შენიშვნა ავტორისა „ჯეჯილი"-ს რედაქციისათვის".

ჟურნალის პირველი ხელისმომწერი, მის რედაქციასთან ახლოს მდგომი ოლღა ჭაეჭავაძისა იყო. მას აღუთქვამს „ილიას რამეს დავაწერინებო". მართლაც. როგორც ვიცით, „ჯეჯილის" პირველი ნომრისათვის ო. ჭავჭავაძისას მოუტანია ლექსი „ბაზალეთის ტბა", რომელიც პირველად „ჯეჯილში" დაიბეჭდა. ამ ლექსის მეტი ილიას ხელმოწერილი ჟურნალში აღარაფერი გვხვდება.

ჟურნალის ამაგდარი რედაქტორი ანასტასია წერეთელი ოცი წლის თავზე თავის ავტობიოგრაფიულ ცნობაში წერდა: „ევროპიდან ჩამოველ თუ არა, დავიწყე ცოტ-ცოტა თარგმანების და პატარა საკითხავი ამბების ბეჭდვა გაზ. „დროება"-ში. ამან კარგა ხანს გამიტაცა. ამავე დროს ცალკე წიგნების გამოცემასაც შევუდექი. გამოვეცი „ხატაური", „რობინზონ კრუზო", „ცრინი", „გუსტავ ვაზა", „თეთრი და ზანგი", „მოლაღური", „ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი". 1884 წელს დავაარსე ხელთუბნის სკოლა, 1886 წელს მასწავლებელთა დამხმარებელი საზოგადოება".

„ოცი წლის განმავლობაში არ დაბეჭდილა თითქმის არც ერთი ნომერი „ჯეჯილი"-სა, რომ მე თვითონ არ დავსწრებოდი სტამბაში მისი ყოველი ფორმის დაბეჭდვას". (გაზ. „ერი", 1910 წ. № 2).

„ჯეჯილის" ოცი წლის თავზე არა მარტო გაზეთებმა აღნიშნეს ანასტასიას დიდი ღვაწლი, რომელიც „ჯეჯილით" „შეუჩერებლივ აწვდიდა

გონებრივ საზრდოს ქართველ საზოგადოებას, აყვარებდა მას სამშობლო ლიტერატურას, უღვიძებდა სამშობლოს სიყვარულს, აწვდიდა გონებრივ საზრდოს და ამით გზას უკაფავდა ჩვენს გონებრივ ცხოვრებას" (გაზ. „ერი", 1910 წ. № 2), არამედ, როგორც მაშინ იყო მიღებული, მნიშვნელოვან მოვლენებზე და კერძო მოღვაწეებზე ეკლესიებშიაც კი ამბობდნენ სიტყვებს წირვის დროს. ასევე საბავშვო მწერალმა და პედაგოგმა ალექსი ჭიჭინაძემ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ჯერ ხონის, ხოლო შემდეგ ქუთაისის ტაძრებში „ჯეჯილის" ოცი წლის არსებობასთან დაკავშირებით: „...ამ ჟურნალმა და სხვა წიგნებმა, რომელიც თან მოჰყვა მას, ანასტასიას დაუცხრომელი შრომის წყალობით, მისცეს მშობელთა და მასწავლებელთა შესაფერი მასალა ყრმათა გონებისა და გრძნობის საწვრთნელად... ამ ოცი წლის განმავლობაში ბევრჯერ გადაეღობა წინ დაბრკოლება „ჯეჯილს" და მასთან განუყრელ ანასტასიას ბევრი განსაცდელი დაადგა, მაგრამ იმ სიყვარულის წყალობით, რომლითაც გამსჭვალულია იგი პაწია ქართველებისადმი, ჟურნალი მაინც ფეხზე დგას და ბეჯითად უნერგავს მკითხველებს გულში ქართულ გრძნობას და ახალისებს მათ სწავლისადმი..."

ამგვარად, ანასტასია მის თანამედროვეთა მიერ დახასიათებულია როგორც უანგარო, შრომისმოყვარე, ბავშვების დიდი მოსიყვარულე, გულისხმიერი რედაქტორი და დაუღალავი საზოგადო მოღვაწე. ასეა იგი მოხსენებული ჩვენს მემუარულ ლიტერატურაში.

ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთელი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1932 წლის 7 თებერვალს. იგი დასაფლავებულია მთაწმინდის პანთეონში.

* *

თუ გავითვალისწინებთ ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მას შემოქმედებისათვის ნაკლები დრო დარჩებოდა. მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ანასტასია მწერალიც იყო და მთარგმნელიც. არ გამოსულა „ჯეჯილის" თითქმის არც ერთი ნომერი 30 წლის განმავლობაში, რომ მისი ორიგინალური ან ნათარგმნი მოთხრობა არ დაბეჭდილიყოს. ამიტომაც ანასტასია წერეთელს საკმაო მემკვიდრეობა დარჩა და ორ დიდ ტომსაც მოიცავს. მაგრამ ანასტასიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ მისი მოთხრობები ნაჩქარევი, ნაუცბათევი იყო, აკლდა მხატვრული დამუშავება, იდეური სიმძაფრე და ამიტომ არასოდეს ცდილა თავისი ნაწერების მთლიანად გამოცემას, რის საშუალებაც მას ყოველ-

თვის ჰქონდა. ანასტასიამ თვითონვე შეარჩია ის მოთხრობები, რომლებიც მას მოსწონდა, უყვარდა და სამ პატარა კრებულში მოათავსა. ეს კრებულებია: „თაიგული" (გამოსცა 1921 წელს), „კონა" (გამოსცა 1923 წელს) და „ყვავილი" (გამოსცა 1926 წელს).

თუ თვალს გადავავლებთ ამ კრებულებში მოთავსებულ მოთხრობებს ან საერთოდ მის მთლიან შემოქმედებას, დავინახავთ, რომ ანასტასიას საბავშვო მოთხრობების თემა მრავალფეროვანია. სათაურების ჩამოთვლაც კი ნათელჰყოფს ამას: „გვრიტუნიას საჩუქარი", „როგორ ვილხინეთ", „ბებია მართა უმურაბოდ დარჩა", „გაკვეთილს ვსწავლობდით", „სადილობაა", „ბაბუცას მეგობარი", „რამ ათქმევინა ტყუილი" და მრავალი სხვა. საერთოდ, მწერლის ყურადღებას იქცევს ის მოვლენა, ის ამბავი, რაც ბავშვთან ახლო დგას, რაც მის ცხოვრებაში ხშირად ხდება. მაგრამ ანასტასიას ძირითადი თემა ხელმოკლე ოჯახის ცხოვრებაა, განსაკუთრებით ისეთი ოჯახისა, სადაც ბავშვი მამით ობოლია. დედა დაობლებულ ბავშვებს სწირავს თავის ახალგაზრდობას, სიცოცხლეს. იგი დღე და ღამეს შრომაში ატარებს: სხვას ურეცხავს, პურს უცხობს, ემოახლება, რათა ბავშვებს ლუკმაპური არ მოაკლდეთ. დაღლილ-დაქანცული დედა არც ალერსს აკლებს თავის შვილებს, თუმცა მათ ხშირად მღვიძარეს ვერც კი ხედავს. ანასტასიას ასეთი დედები მომავლის იმედით ცხოვრობენ. ანასტასიას კეთილშობილება და გულკეთილობა გამოსჭვივის იმ მოთხრობებში, სადაც ღარიბების გამკითხავად შეძლებული ოჯახები გამოჰყავს, მაგრამ ამ განკითხვაში რაღაც უგულობა მოჩანს, ასეთია მოთხრობა „მეშვიდეს აღარ ერგო", „თინა ტყვეთ" და სხვ. ანასტასია წერეთელს უყვარს ეპიური თხრობა. მწერალს თემის გამოძებნა ეხერხება, მაგრამ მისი შინაარსის საინტერესოდ გაშლას თითქმის ერიდება, თითქოს არ უყვარს. ერთი ღისება, რაც ახასიათებს ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელის მოთხრობებს, არის ლაკონიურობა, სიმოკლე.

როგორც მწერლის საუბრიდან ვიცით, მას თავის მოთხრობებში ძალიან უყვარდა „ოზი გელდი". მეორე მისი საყვარელი მოთხრობა იყო „შაქრომ გაგვცა". მართლაც, მოთხრობაში ცოცხლად არის გადმოცემული პატარა შაქროს და მისი ლეკვის ამბავი. შაქროს ძალზე უყვარს ნაპოვნი ლეკვი, რომელსაც ბარდანა დაარქვა. ლეკვს დედის ჩუმად ინახავს საღორეში. იმბანად სოფელში იარაღს ეძებს პოლიცია, შაქროს სახლსაც მოადგნენ „სტრაჟნიკები" და თხოულობენ „ბერდენა დავაი" „ვოტ პატრონ"-ო (შაქროს დედას უფროსი ვაჟიშვილის თოფები გადამალული ჰქონდა, შაქრომ კი ეს არ იცოდა). „სტრაჟნიკების" სიტყვები რომ გაიგო შაქრომ, აცრემლებული მიუბრუნდა და უთხრა „მოდით, მოგცემთო". დედას ეგონა ბავშვმა გასცა თოფების ადგილი, სი-

ნამდვილეში შაქრომ გამოუყვანა თავისი ლეკვი — ბარდანა, (ბერ-
დენკა რომ გაიგო), რადგანაც ეგონა პატრონი მოსულაო. მართლაც,
ეს მოთხრობა იმის მაჩვენებელია, რომ ანასტასიას შეეძლო ამბის
ცოცხლად გადმოცემა, თემების შერჩევა, მაგრამ მის ოსტატურად
დამუშავებას, მაღალ მხატვრულობას, ადამიანთა ან ბავშვთა ფსიქო-
ლოგიურ განცდათა გამოვლენას ვერ აღწევდა, რადგან ამისათვის დრო
არა ჰყოფნიდა, წერა კი უყვარდა. ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს
უფრო ეხერხება ცხოველების გამჭრიახობაზე წერა. ანასტასია საკმაო
დროს ანდომებდა თარგმანებსაც. როგორც დავინახავთ წინამდებარე
წიგნში მოტანილ ნიმუშებიდან, ანასტასია არჩევდა პატრიოტული ხა-
სიათის ნაწარმოებებს, სადაც გმირი თავსა სწირავს სამშობლოს,
იბრძვის მისი თავისუფლებისათვის. მკითხველი წარმოდგენილ ნიმუ-
შებიდან კარგად მიხვდება ანასტასიას შემოქმედების ღირსებას.

მაგრამ ჩვენ ვიტყოდით, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს სა-
ბავშვო მოთხრობებიც რომ არ ეწერა, ან არაფერი ეთარგმნა, მისი სა-
ხელი ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში მაინც დარჩე-
ბოდა, როგორც „ჯეჯილის“ ამაგდარი რედაქტორის, საბავშვო მწერ-
ლების გამომზრდელის, ჩვენი ნორჩი თაობების სულიერი მასაზრდოე-
ბელისა და საბავშვო მწერლობის დაუღალავი მსახურისა.

შაქრომ გაგვცა

— შვილო შაქრო, ჩამოეცალე მაგ თოფს, ხეირს არ დაგაყრის. უბედურება არა მოხდეს რა, მაგ სოსოს ხომ ვერა გავაგონე რა, — შეპყვირა შეწუხებულმა სალომემ და მივარდა შვილს, რომ აქეთ წამოეყვანა.

შაქროს თავისი მკვირცხლი შავი თვალები ვერ მოეშორებინა ბრჭყვიალა თოფისთვის. სოსო ეს მესამე თოფს სწმენდდა, ასუფთავებდა და იყო ერთ სამზადისში. შაქრომ რამდენჯერმე ჰკითხა თავის უფროს ძმას:

— რად გინდა, რომ სწმენდ; სად მიდიხარ, მეც წამიყვანე, ვის უნდა ესროლო?

მაგრამ სოსო დაფიქრებული, ნაღვლიანი, ძმის ტიტინს ყურს არ უგდებდა.

სოსომ ბოლოს შეინახა თავისი თოფები და გავიდა კარში. დედამ ნაღვლიანად გაადევნა თვალი და წაიბუტბუტა:

— ვაი ჩემო შვილო, ჩემო ამაგო.

შაქრო ჯერ სულ პატარა იყო, ექვსი წლისა იქნებოდა. ცოცხალ, მოძრავ ბავშვს არაფერი არ გამოეპარებოდა. ხედავდა, რომ მისი უფროსი ძმა, სოსო, მუდამ სადღაც დადიოდა და დედა ამის გამო ძალიან წუხდა.

შაქრო ისეთი მცირეწლოვანი იყო, რომ ოჯახში სამუშაოდ არ გამოდგებოდა და სულ აქეთ-იქით დარბოდა, ეშმაკობდა. ერთხელ მან მინდორში იპოვა ქოფაკი ძაღლის ლეკვი, გულში ჩაიკრა და სახლში მოარბენინა, მაგრამ დედამ თვალი მოჰკრა თუ არა, დაუტატანა შვილს: წაიყვა, წაიყვა ახლავე, აქ არ მოიყვანო, ერთი ეგღა მაკლია მჭამელიო.

შაქრო ცივად გაბრუნდა, მაგრამ გულში გადაწყვიტა: ცოდვაა, როგორ გადავაგდო, ხომ მოკვდება. მე ჩემს კერძს ვუწილადებ ხოლმე და ისეთ ადგილას დავმალავ, რომ დედამ არ ნახოსო.

მართლაც, შაქრო თუმცა წაცუცუნდა, მაგრამ როდესაც დედა

სადილს შემდეგ მიეცა ტკბილ ძილს, შაქრომ პერანგის ქვეშ ამოფარებული ლეკვი ისევ მოიყვანა და ქოხს უკან, საღორის გვერდით ჩამალა, ერთი ორჯერ გადაკოცნა ლეკვი და სახელად „ბარდანა“ დაარქვა.

იცით, რათ დაარქვა შაქრომ ეს სახელი? მეზობლის ბიჭს სერგოს სწორედ ამისთანა ლეკვი ჰყავდა „ბარდანა“, ბურთივით მრგვალი, ყურთუკივით რბილი და როცა წავიდა ქალაქში, ლეკვი თან წაიყვანა.

შაქრომ მაშინ ბევრი იტირა.

ამ დღიდან შაქრო ხშირად ჩუმჩუმად გარბოდა სახლ უკან და რასაც საჭმელს ჩაიგდებდა, თავის საყვარელ „ბარდანას“ უზიდავდა.

მხოლოდ ერთი რამე აწუხებდა ყმაწვილს, ვაი თუ პატრონი გამოჩნდეს და წამართვასო. ხშირად თვალებს აფაციცებდა, ხომ არავინ კითხულობს ლეკვსაო.

შუა ზაფხულია. ამ დროს ქართლში კვლავ გაჩქარებული მუშაობა ყოფილა ხოლმე, წრეულს ყველა უხალისოდ ადგა საქმეს. მეტადრე სალომეს საქმე არ ემარჯვებოდა, ყველაფერი ხელიდან უვარდებოდა. მისი მარჯვენა ხელი სოსო თითქმის აღარსად ჩანდა, ერთ წამს შემოვარდებოდა სახლში, შესჭამდა და ისევ გავარდებოდა.

მეზობლები ნუგეშს სცემდნენ სალომეს და ხშირად ამბობდნენ: ნუ გეშინიან, მოვესწრებით კაი დღეებსო.

ერთხელ, ბინდისას, სალომესთან შემოვიდა მოხუცი მეზობელი ნინიკა და უთხრა: — შე დალოცვილო, გადამალე თოფები, სახლში ნუ გაქვს, მთავრობის ბრძანებით „სტრაჟნიკები“ დადიან და ოჯახებს ჩხრეკენ, სადაც იპოვიან თოფებს, იმ ოჯახს გადასწვამენო.

სალომე გაფითრდა, აკანკალდა და შეეხვეწა ნინიკას: — მიშველე, სადმე ჩავფლა სოსოს ორი თოფი, თვითონ წასულია სადღაც ეს სამი კვირაა და ვინ იცის, სახლში დაბრუნდება თუ არაო!

სოსოს დამ, ნუშომ, რომ გაიგონა ეს უკანასკნელი სიტყვები, მოჰყვა ტირილსა. ამ ტირილზე გამოეღვიძა ახლადჩაძინებულ შაქროს. იმან ნახა, რომ სალომე და ნინიკა ბარ-ნიჩბებით და თოფებით მიეშურებიან საღორესაკენ, სადაც ლეკვი ჰყავდა დამალული, თვითონაც ატირდა და გამოუდგა იმათ. მაგრამ რაკი დაინახა, რომ ნინიკა და დედა თოფებს მალავენ მიწაში, სული გაკმინდა, დადგა შორიახლოს, ხელები უკან დაიწყო და შესცქეროდა — ამას რას სჩა-

დიანო. ნინიკამ ერთხელ ორჯერ შაქროს ეჭვის თვალით გადახედა. ეს რა არამკითხე მოწამე მყავსო, და მერე აღარ მიაქცია ყურადღება. გაათავეს თუ არა თავიანთი საქმე, თავიანთ ბინაზე წავიდნენ.

ამის შემდეგ გავიდა ერთი-ორი კვირა, აღარც სოსოს რაიმე ამბავი მოვიდა და სოფელშიაც თითქოს მშვიდობიანობა ჩამოვარდა.

ერთხელ შუაღამისას სალომეს ოჯახს მოადგა ექვსიოდე კაცი. მის კარმიდამოს ალყა შემოარტყეს და თოფები მოსთხოვეს. გაალმასებული სალომე წამოვარდა და „სტრაჟნიკებს“ მივარდა.

— რა თოფი, სად არი თოფი! რა გინდათ ჩემგან?

ამ ხმაურობაზე ოჯახმა გაიღვიძა, ატყდა ერთი აურზაური, ტირილი. სალომე გამწარებული ხელებს შლიდა, წყევლა-კრულვით არავის უშვებდა სახლში. კაზაკები მოთმინებიდან გამოვიდნენ და დაიწყეს ყვირილი: „ბერდანა დავაი, ბერდანა!“ — და იწევდნენ სახლში. ერთმა კაზაკმა შიგ კარის კუნჭულში რაღაც დაინახა და დაიყვირა: „ვოტ პატრონ!“

შაქრომ ერთბაშად ტირილი შესწყვიტა და სლოკინით უთხრა:

— მოდით მოგცემთ, რა ვქნა. — და გასწია საღორესკენ. „სტრაჟნიკები“ გამოეკიდნენ უკან ბავშვს.

სალომეს ერთბაშად მუხლები ჩაეკეცა და დაეცა. ნინიკა, რომელიც ხმაურობაზე შემოსულიყო ეზოში, განცვიფრდა და სასოწარკვეთილებით დაიძახა:

— შაქრომ გაგვცა!

რამდენიმე წამის შემდეგ მოისმა კაზაკების სიცილ-ხარხარი, იმათ ხელში ეჭირათ შაქროს ლეკვი „ბარდანა“. შაქრო ნაღვლიანად უკან მოსდევდა სრული დარწმუნებული, რომ პატრონი გამოსჩენია „ბარდანას“ და მის მოსაძებნად გამოუგზავნიათ ამოდენა კაზაკები.

კაზაკებმა ბევრი ლაზღანდარობის შემდეგ ლეკვი ისევ ყმაწვილს მიუგდეს და წავიდნენ.

მხოლოდ მაშინ მოიბრუნა სული სალომემ და შაქრო გულში ჩაიკრა.

მაგათაც ხომ უნდათ თავისუფლება

(სურათი)

— ვახტანგი არსად გაუშვა, გესმის, კატო!

— კარგი, კარგი! — მიაძახა ცოლმა.

ვახტანგი მეორე ოთახში ფანჯრის წინ იდგა. უიმისოდაც მოწყენილმა მამის სიტყვებზე ქვითინი ამოუშვა.

იმისთვის აღარც სკოლაა, აღარც ამხანაგები. ყველანი წითელი

ნაჭრებით მორთულნი მხიარულად დასეირნობენ ქუჩებში, გაიძახიან: ყველა უნდა თავისუფალი იყოსო და ეს კი ერთხელ გაიყვანეს გარეთ და მასუკან აღარსად უშვებენ.

ვახტანგი სლოკინით ტიროდა.

დედამ მეორე ოთახიდან შესძახა:

— ვახტანგ, მოემზადე. ახლავე გავათავებ ჩემ საქმეს და წავიდეთ სასეირნოდ.

ყმაწვილი სწრაფად წამოხტა, ერთ წუთას ჩაიცვა და ქუდით ხელში გამოეცხადა დედას.

კატოს ეშინოდა ჯარისკაცებისა, არ უნდოდა შვილის ქუჩაში გაყვანა, მაგრამ ამისთანა ცოცხალი ბავშვის სახლში შეკავება ძნელი იყო.

მოღრუბლული დღე იდგა, თითქოს წვიმას აპირებდა. ხალხი ნაღვლიანად, უხალისოდ სეირნობდა. კატოს მაგრად ეჭირა ვახტანგის ხელი — არსად გამექცესო.

ყმაწვილი მართლაც აპირებდა დედის ხელიდან გასხლტომას. აქეთ-იქით აკუეტდა თვალებს, უკვირდა, ხალხი რატომ აღარ მხიარულობს, როგორც წინა დღეებშიო. ამან ერთბაშად დაინახა ხალხის ჯგუფი, გაექანა იქითკენ, დედაც ძალაუნებურად გაჰყვა შვილს.

ათიოდე კაცი შემოხვეოდა ერთ დიდ გალიას, რომელიც ნიბლია ჩიტებით სავსე იყო, გალიის გვერდით იდგა გამყიდველი და აქნევდა თავის შავყვითელა ჩიტებს. მაყურებლები მეტი იყვნენ მყიდველებზე. ვახტანგი დაფიქრებული შესცქეროდა ჩიტებს. კატო შეეკაჭრა ერთ ჩიტს. ვახტანგმა დედას ხვეწნა დაუწყო ყველა მიყიდეო.

ბოლოს დედამ სამი უყიდა და მისცა ხელში.

ცოტა რომ გასცილდნენ ამ ადგილს, ეკლესიასთან ვახტანგმა სამივე ნიბლია გააფრინა. ჩიტები მხიარული ჭიკჭიკით დასხდნენ მახლობელ ხეზე.

— ეგ რა ჰქენი, შვილო! — უთხრა დედამ.

— აკი ამბობდით ყველა თავისუფალი უნდა იყოსო. მაგათაც ხომ უნდათ თავისუფლება!

რათ მოჰკლეს დედაჩემი!

— გენაცვალოს დედაშენი, ნუ მოდიხარ! ხომ იცი, რა არეულობაა, გაგუყლეტენ. მე ერთ წამს ჩავირბენ ძირს, იქნებ კვერცხები მაინც ვიშოვო. ხომ ცარიელ პურზე ვერ შეგინახავ, ჩემო სიცოცხლევ!

— დედილო, მეც წამოვალ, არა მიშავს რა, მეზობლიანთ ბიჭები

სულ კარში არიან. შენი ჭირიმე, დედილო! — და ნუცა გამოეკიდა დედას.

შუადღე გადასული იყო. მზეს ისევ კაშკაში გაჰქონდა. გოლოვინის პროსპექტი სავსე იყო ხალხით, ბუზივით ირეოდნენ. თინამ გაიარ-გამოიარა. მართლაც წააწყდა ერთ გამყიდველს, რომელსაც ქუჩის შესახვევში ეჭირა გადაფარებული კალათა კვერცხებით. თინამ იყიდა ორიოდ კვერცხი, გამოჰკრა ხელსახოცში და ის იყო შინ დაბრუნებას აპირებდა, რომ ნუცამ დედის კალთას ხელი მოსჭიდა და შეეხვეწა ცოტა ხანს დავრჩეთ, ვნახოთ რა ამბავიაო.

ქუჩაში ხალხი მოდიოდა, სულ რაღაც სხვანაირი ხალხი. ბევრი მალაკნები იყვნენ, უმეტეს ნაწილს სახე აწითლებული ჰქონდა, ეტყობოდათ, ღვინის და არყის მოტრფიალენი იყვნენ. ამ ხალხს გარშემო ჯარი ერტყა, ყვიროდნენ, ღრიანცელი გაჰქონდათ, ყველას აძალებდნენ ქუდის მოხდას.

ერთბაშად საიდანღაც თოფის სროლა მოისმა. აირია ხალხი. თავზარდაცემულები გარბოდნენ. თინამ ხელი მოხვია თავის შვილს და აღმართისაკენ შეუხვია.

საზარელი სროლა ატყდა, თოფებს გრიალი გაჰქონდა. თინა არბოდა აღმართზე, სული ყელში ებჯინებოდა. ტყვიებს მის ყურებში ზუზუნი გაჰქონდა. საბრალო დედა რაც კი შეიძლებოდა თავის ნუცას კალთას აფარებდა. აი, ვიღაც დაეცა. ერთი, მეორე, დაღმართზე სისხლი თქრიალით წამოვიდა.

„ნუთუ ჩემ ნუცას ვერ გადავარჩენ, — ფიქრობდა თინა, — ცოტა კიდევ რომ გავიქცეთ, ქუჩის შესახვევი იქნება და თავს იქ შევაფარებთ“.

ამ დროს იგრიალა თოფმა და დედა-შვილი ძირს გაიშბლართნენ. ამავე დროს ვიღაც კაცმა გაურბინა გვერდით, დაინახა, რომ ყმაწვილი ცოცხალი იყო, აიტაცა და ხელში აიყვანა, ნუცა უაზროდ, გაშტერებული დანებდა. მაშინვე გადახედა დედას, რომელიც უძრავად თვალებდაჭყეტილი ეგდო და თითქოს ვიღასაც ხელით იფარავდა. სისხლში გარეული კვერცხის გული ღვარად ჩამოდიოდა.

გაჩქარებული მირბოდა კაცი, ნუცას კი კისერი მოგრეხილი ჰქონდა და გაშტერებული შესცქეროდა თავის საყვარელ დედას. ტყვია ისევ ისე სეტყვასავით მოდიოდა. კაცმა არ იცოდა, საიდან და ან რათ ისროდნენ. აგერ, მხეცებმა დაუმიზნეს უმანკო ბავშვს, გავარდა თოფი, მოხვდა ყმაწვილს ბარძაყში და მერე კაცს თეძოში გაურბინა.

მაგრამ კაცი არ ეპუებოდა, მირბოდა, მიფრინავდა თავის სახლისკენ. ძლივს მოვიდა ის შინ. გონებამიხდილი ბავშვი ძირს დაუშვა და თვითონაც ვეღარ შესძლო, გულშეწუხებული დავარდა.

მთელი ოჯახი უიმისოდაც საშინელი ამბებით თავზარდაცემული ახლა სულ აირ-დაირია. რის ვაი-ვაგლახით მოაბრუნეს ოჯახის მრჩენელი ყმაწვილი კაცი და შეუკრეს მსუბუქი ჭრილობა. მაგრამ დაობლებული ბავშვის გონებაში ჩაგდება აგრე ადვილი არ იყო. ექიმები დიდხანს სწამლობდნენ, ყმაწვილი მაინც გონებაზე ვერ მოდიოდა. საბრალო სულ იმას გაიძახოდა: რათ მოჰკლეს დედაჩემი! რას ერჩოდნენ, რათ მოჰკლესო!

ოზი გელდი

— ბიძიავ, სანაძლეო ხომ წ�აგე; აბა, ახლა როდის მიამბობ ოზი გელდის ამბავს. ხომ დიდი ხანია დაპირებული ხარ? — ჰკითხა ერთხელ სოფელში, ზამთრის დიდ ღამეს, თორმეტის წლის ნიკამ თავის ბიძას . ყმაწვილს გულში ჩაპყოლოდა დაპირება და კაი დროსაც მოასწრო: ბიძია ლაპარაკის ქეიფზე იყო.

— შენ ერთის წლისა მაინც იქნებოდი, ჩემო ნიკავ, ჩვენ მხარეს რო ომიანობა ატყდა. მე დავესწარ ყარსის აღებას და არ ვიცი, რა მანქანებით გადავურჩი სიკვდილს. ზარბაზნებისა და თოფების ხმაც სრულიად გამომაყრუა, ყუმბარები ცხვირწინ მიელავდა, წვრილი საფანტი შორიდან მცემდა სახეში და ნემსებივით მჩხვლეტდა. როგორ ავიღეთ ყარსი, როგორ შევედით ქალაქში, ამისი აღარა მახსოვს რა. მხოლოდ როდესაც ყველაფერი მიწყნარდა და ყარსის პატრონებად ჩვენ გავხდით, უეცრად შემოჭენდა შიგ ქალაქში ერთი მშვენიერი ცხენი ვერცხლით მოჭედილი უნაგირით. თითქოს თავის მხედარს ეძებდა, აქეთ-იქით დარბოდა. მერე ბოლოს დაიმედებულსავით მოუახლოვდა ერთ ხანის ნასახლარს, რომლის კარწინ მე და ჩემი ამხანაგი ვიდექით. ჩვენ მაშინვე ვტაცეთ ხელი, იმის დაჭერა ძნელი არ იყო: პატრონს რომ ვერ ხედავდა, თვითონვე თავჩაღუნული მოგვეცა ხელში. სწორედ იშვიათი სანახავი იყო ეს ცხენი თავისი ოქროსფერით, ყარყარა ყელით, მუქი ჭკვიანი თვალებით და მოკლე მოძრავი ყურებით. იმის მშვენიერი მოყვანილობით გაოცებულებმა ორივემ მოვინდომეთ დასაკუთრება და ჩვენ გულის პასუხს ერთმანეთს არ ვუმხელდით. მაშინვე აქეთ-იქიდან მოგვესმა „ოზი გელდი", რაც ქართულად ნიშნავს „თითონ მოვიდაო" და ჩვენც სახელად „ოზი გელდი" ვუწოდეთ.

ერთი თვის განმავლობაში მე და ჩემი ამხანაგი თავმოწონებით ვუვლიდით, სულ იმის ლალაობაში ვიყავით და ფიქრშიაც არ ვიტარებდით ერთმანეთისთვის დათმობას. ბოლოს ჩვენ ორივემ თითქმის ერთ და იგივე დროს გავიტარეთ გუნებაში, წაგვეყვანა თბილისში და გვეთავაზებინა ჩვენი უფროსი გენერლისათვის. მართლაც, აგრე მო-

ვახერხეთ. გენერალი ჯერ დიდს უარზე დადგა, არ იღებდა ამისთანა ძვირფას საჩუქარს და როდესაც შეიტყო, რა შემოხვევითაც ჩავიგდეთ ხელში ეს ცხენი, მაშინ დაგვეთანხმა მიეღო ცხენი და დიდად სათუთად ინახავდა. ოზი გელდის მოვლა განსაკუთრებით ჩააბარა თავისთან მცხოვრებს ძმისწულს. ქალაქში რომ გაატარებდნენ ამ მშვენიერ ცხენს ძვირფასის ჩულით, ყველას თვალი ზედ რჩებოდა. თუმცა წილად მე არა მხვდა ოზი გელდი, მაინც გულმოსვენებით ვიყავ, რადგანაც კარგს ხელში მეგულებოდა.

გაიარა ექვსმა თუ შვიდმა თვემ და იმისი ამბავი აღარა ვიცოდი რა. ამ დროს მეც გადმომიყვანეს თბილისს. თურმე ქალაქში დოღს (მარულას) ხშირად მართავდნენ და რომელი ცხენიც ჭენებაში გაიმარჯვებდა, ჯილდოს იღებდა. გენერლის ძმისწულს მოეფიქრებინა ოზი გელდის დოღში გაყვანა. ორი თვე სწვრთნიდა ცხენს, ხშირად გაჰყვანდათ დიდუბის მინდორზე, სადაც დოღი იყო ხოლმე დანიშნული.

ნოემბრის ერთს მშვენიერსა და მზიანს დღეს დიდუბეში გაიკრიფა უთვალავი ხალხი ფეხით და ეტლებით, ქალი თუ კაცი, დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი. მინდორში უშველებელი ადგილი მოეკრიალებინათ; ბაირაღები ერჭო იქ, საიდანაც უნდა დაწყობილიყო ჯირითი. რომელი ცხენიც სამჯერ გარს შემოუვლიდა ამ თოკის რკალს და ყველაზე ადრე მივიდოდა ნიშანთან, ის მიიღებდა პირველ ჯილდოს. თოკის გარს იდგა ფეხით თუ ეტლებით დიდძალი ხალხი; გარდა ამისა, ხალხის საყურებლად საკუთრივ იმ დღისათვის ფიცრის დიდი შენობა იყო გაკეთებული და ფასს არავინ ზოგავდა ადგილის საშოვნელად. პატრონზე ნაკლებად მე არ ამიფანცქალდა გული, როდესაც შევნიშნე სარბიელზე ოზი გელდი; ზედ იჯდა ყაზანის პატარა თათარი პირისფერი პერანგით. სხვა ცხენებიც ბლომად იყვნენ დაკაზმულ გამზადებულნი, მეტადრე შესანიშნავი იყო იმათში ერთი გიშერა, რომელიც სიშავით ეჯიბრებოდა ზედ მჯდომ პატარა არაბს. ცხენები მოუთმენლობისაგან ჭიხვინებდნენ და მიწას სთხრიდნენ, ზედ მჯდომნი ძლივს თავს უჭერდნენ. ოზი გელდი სხვებზე უფრო დინჯად გამოიყურებოდა, მხოლოდ პატარა ყურების მოძრაობაზე შეატყობდი მოუსვენრობას, დრთვინვას. მის ოქროს ბალანს მზეზე ბზინვა გაჰქონდა. დაჰკრეს ზურნა-ნაღარა და ცხენების პირველი რიგი დაიძრა. დაუკრა სამხედრო მუსიკამ და ყველამ სარბიელს მიაპყრო თვალი. თათრების ცხენები, ორნი თუ სამნი, წინ წავიდნენ, გიშერა და ოზი გელდი კი პირველში ცოტა უკან ჩამორჩნენ. გული მიკანკალებდა, თვალი არ დამიხამხამებია: ნუთუ ჩემი ოზი გელდი არ გაიმარჯვებს-მეთქი?

აი, მეორედაც შემოურბინეს სარბიელს, მაყურებლებს თანდათან უფრო ხალისი მიეცათ. ახლა კი თათრების ცხენები უკან ჩამორჩნენ და ხალხში ყვირილი მოისმა: წინანანი უკანაო.

ოზი გელდი და გიშერა დაწინაურდნენ.

— შენი სულისა, გაასწარ მაგასაც, რაღა! — უყვირიან გამარჯვებაში გამოცდილს გიშერას.

ცნობისმოყვარეობისაგან გატაცებული ხალხი მიაწვა ფიცრის შენობას, მოისმა ფიცრის ჭრაჭუნი, ქალებმა წივილ-კივილი შეჰქნეს: „თუ ღმერთი გწამთ, ნელა, იატაკი ჩატყდება“. პოლიციელები ხელებს პარჭყავენ და ხალხს წინ არ უშვებენ, მაგრამ ხალხს ვინ შეიმაგრებს! მიჭყლეტილი შლიაპები ჰაერში ტრიალებს... თავაღებული ოზი გელდი მიფრინავს, ხალხის ჟრიამული, მუსიკის ხმა და ეს ვრცელი მინდორი აგონებს იმას ყარსის აღების დროს ბრძოლის მინდორს და ცდილობს ახლა მაინც არ დაჰკარგოს თავისი მხედარი. აი, კიდევ ორიოდ წამი და ოზი გელდიმ გაიმარჯვა!

— აი, ბარაქალა! გაუმარჯოს ოზი გელდის! — შეჰყვირა გატაცებით ნიკამ და სიხარულით ჩამოეკიდა თავის ბიძას კისერზე.

ლაპარაკში გართული ბიძია ერთ წამს შეჩერდა და მერე ისევ განაგრძო:

პირველი ჯილდო ოზი გელდის დარჩა. თავმოწონებული პატრონი ყვავილებით შემკულს გამარჯვებულ ცხენს ქუჩა-ქუჩა ატარებდა, რამდენიმე დღე მთელი ქალაქი იმის ქება-დიდებას ლაპარაკობდა და არა ერთმა შეაძლია პატრონს დიდი ფასი. ამის შემდეგ ოზი გელდიმ კიდევ ორჯერ თუ სამჯერ მიიღო პირველი ჯილდო, მაგრამ ერთხელ კი ნიშანთან მიღწეულმა წაიბორძიკა და ფეხი იღრძო. ამ დღიდან დასრულდა ოზი გელდის მეფობა. გენერალმა არ იკადრა გაყიდვა და უთავაზა ერთ მოხუცებულს ნათესავს ქალს, ეტლის ცხენის მეცალედ. ოზი გელდის დღეგამოშვებით აბამდნენ ეტლში და როდესაც ახალი პატრონი გაისეირნებდა დიდუბისაკენ, ოზი გელდი ყურებს იცქვეტდა, ნაცნობ ადგილისაკენ გაიწევდა, ჭიხვინს ასტეხდა, თითქოს გაიხსენებდა, რა პატივითაც ბრუნდებოდა წინათ აქედან.

მოხუცებული წლისთავზე გარდაიცვალა, მემკვიდრეებმა სხვა ქონებათა შორის ოზი გელდიც გაჰყიდეს. სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მეეტლეს ეყიდნა.

ხუთი წლის განმავლობაში ოზი გელდის ამბავი აღარა გამიგონია.

ერთხელ მგზავრად მივდიოდი რკინიგზით და იქ ყური მოვკარ ლაპარაკს. ერთი კაცი უამბობდა თავის მეგობარს, თუ როგორ გა-

მდიდრდა მეეტლე კიკოლა, ახლა აღარც კი კადრულობსო ადრინდელ ნაცნობებს და ამ სიტყვებით დააბოლოვა:

— კიკოლას ბედმა იმ დღიდან იმუშავა, როდესაც იაფად ჩაიგდო ცხენები — ვიღასიც ნამკვდრევი. ცხენები კაი ჯიშისა გამოდგნენ და დიდს ჯაფას და მუშაობას იტანდნენ, მეტადრე ერთი ცხენი ძლიერ გამოადგა: თუმცა კოჭლობდა, მაგრამ წინათ ქალაქში თურმე განთქმული ყოფილიყო.

ვაგონის კუთხეში ვიჯექ და მთვლემდა. ეს გავიგონე თუ არა, საჩქაროდ წამოვხტი და შევყვირე: სახელი, სახელი მითხარი-მეთქი! მოამბემ გაოცებით შემომხედა, გიჟი ვეგონე და დაწყნარებით მითხრა:

— რასა ბრძანებთ, ვის სახელს კითხულობთ?

— იმ კოჭლ ცხენს რა ერქვა? — ჩავეკითხე აღელვებულმა და იმედი მომეცა ოზი გელდის კვალის მიგნებისა.

— რაღაც თათრულ სახელს ეძახდნენ, ახლა ვერ მომიგონია.

— ოზი გელდი ხომ არა? — ვიკითხე სიხარულით.

— მგონია, სწორედ ეგ სახელი ერქვა.

— მითხარ ჩქარა კიკოლას ბინა! უნდა ჩემი ოზი გელდი ვიპოვო!

— ერიჰა! წელიწადზე მეტიც იქნება, რომ ის ცხენი გაჰყიდა. თუმცა პატრონი ცხენმა კაი ბედს სწია, მაგრამ ძლიერ ნაჯაფავარი ჰყავდა და რომ არ შემოჰკვდომოდა, თავიდან მოშორება არჩია და სამ თუმნად ვიღაც აგურის მზიდველს მიჰყიდა.

ნაღვლიანად თავი ჩავკიდე, ჩემო ნიკავ, და გულში გადავწყვიტე უეჭველად მიმეგნო ოზი გელდისათვის და სიბერის დროს მწარე ჯაფას გადამერჩინა.

არ დამრჩენია აგურის მზიდველი, რომ არ მეკითხოს. დავინახავდი თუ არა, რომ აგური მოაქვთ, თვალს დავაშტერებდი ცხენს, კოჭლი, ან ოქროსფერი ხომ არ არი-მეთქი.

ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით, მივაგენ კვალსა, ერთმა აგურისმზიდველმა მითხრა, რომ მართალია კიკოლასაგან ვიყიდე მე კოჭლი ცხენი, მაგრამ ცხენი ისე ალახლახებდა „პოვოსკას“, რომ აგურს სულ მიმსხვრევდა და ნურაშის სოფლის მედუქნეს მივყიდეო. იქვე სხვებმა დაუმატეს, რომ ადრე ხშირად ვხედავდით ჩასუქებულს და წითურს მედუქნეს ან იმის მოჯამაგირეს, რომელთაც აჰქონდათ იმ ცხენით სოფელში საპალნით ღვინოებიო.

ვეღარ მოვისვენე, საბრალო ოზი გელდი მინდოდა უეჭველად ხელში ჩამეგდო. ჩემ შინაურ საქმეებს თავი დავანებე და გავწიე მედუქნის საპოვნელად.

მივადექ სოფლის დუქანს. მკათათვე იყო. პაპანაქება მზე იდგა.

შედუქნემ, შეიტყო თუ არა რისთვისაც მივადექ კარს, ერთი სხვანაირად გადმომხედა და გადიხარხარა:

— კოქლი ცხენი კი, მართალია, მყავდა, მაგრამ ოქროსფერისა კი რა მოგახსენოო. აი, წამობრძანდით, გიჩვენებთ და თქვენ იცანით. მე აღარას მარგებდა ის ცხენი და შარშან ერთს ჩვენ სოფლელს პურში გავუცვალე და ახლა კალოში უბია.

გამიძღვა წინ. მივედით კალოზე. იქ გაცხარებული მუშაობა იყო, ეშურებოდნენ კაი ამინდს და დიდი და პატარა საქმეს ადგა. პატარა გოგოები ღრეჭით და კევის ღეჭით კევრებზე ისხდნენ. სხვათა შორის ერთი ცხენი ატარებდა კევრს. ნურა თვალმა ნუ ნახოს, რა ყოფაშიც მე ეს ცხენი ვნახე. სიგამხდრით ორიევე თეძოები ამოსცვივოდა, ფერდი თეთრად ასკრელებოდა, ძალზე კოქლობდა და თავჩაქინდრული უვლიდა კალოს გარს. რასაკვირველია, აღარაფერი აღარ უგვანდა იმ ჩემ ოზი გელდის, თუ რომ არ დამენახა იმის დაღი. მხოლოდ ამ ნიშანზე ვიცან და შევყვირე: ოზი გელდი! სოფლელებმა გაკვირვებით შემომხედეს. მე ზედიზედ ორჯერ კიდევ დავუძახე. ადრინდელის სახელის ხსენებაზე ცხენი გამოფხიზლდა, ყურები აცქვიტა, წაიხვიხვინა და ისევ ფეხაჩქარებით დაიწყო კალოზე ტრიალი. თითქოს დიდების მინდორშიაო და ეს არის ჯილდო უნდა მიიღოსო. საეჭვო ჩემთვის აღარ იყო, რომ ამ უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ნამდვილი ოზი გელდი იყო. თვალცრემლიანი მივვარდი ცხენს, გავაჩერე და თვალებში დავუწყე კოცნა. იმანაც თავისი ქკვიანი თვალები დამაშტერა და დამიწყო ლოკვა. ხალხი მომეხვია და მკითხავდა ამბავს. რასაკვირველია, სიხარულით დამითმეს ოზი გელდი, რადგან ფასი ერთი-ორად მივეცი. წამოვიყვანე სოფელში, ჩემი ხელით ვუვლიდი, შენც ხომ დამსწრე იყავ, რა პატივში მყავდა, მაგრამ მისი ნაზი და მშვენიერი აგებულება უდროოდ გაეტეხნა უდიერს ჯაფას, იმის გამობრუნება შეუძლებელი შეიქნა. ორ თვეზე ოზი გელდიმ შენი ჭირი წაიღო.

— ესეც შენი ოზი გელდის ამბავი, — უთხრა დასასრულ ბიძიამ თავის ძმისწულს. მშვენიერი რაშის ამბით ნიკა დიდხანს იყო ჩაფიქრებული.

ფარშავანგი

შორს ჩვენგან, ათას მთის იქით, არის ერთი ბუნებით მდიდარი ქვეყანა ინდოეთი. ამ ქვეყანაში სხვა მრავალ იშვიათ ცხოველთა შორის ცხოვრობს ქათმების ჩამომავალი ერთი დიდი გუნდი ლამაზი ფრინველებისა. იმათი ფრთები და განსაკუთრებით კუდი ბრწყინავენ

და ელვარებენ მზეზე, როგორც ძვირფასი ქვები. ამ ფრინველს ფარშავანგს ეძახიან.

ფარშავანგი ძველ დროს მხოლოდ ინდოეთში ცხოვრობდა, იქ ეს ფრინველი წმინდანად მიაჩნდათ და ხელშეუხებელი იყო. ინდოელები თავიანთ ეკლესიებთან ინახავდნენ და მათი მოვლა ეკლესიის მსახურებს ჰქონდათ ჩაბარებული. მერე ფარშავანგი სხვა ქვეყნებშიაც წაასხეს და ახლა არა თუ ზოოლოგიურ ბაღებში, ხშირად მდიდარ ოჯახებშიაც ჰყავთ. თვით თბილისში ბევრ გამვლელ-გამომვლელს კუკიაში, გერმანელების ეკლესიის ზემო ქუჩაში, ერთ სახლის ეზოში ენახათ ეს ლამაზი ფრინველი. ამ ფრინველის კუდის სიმშვენიერე ყველას მისკენ იზიდავს და იმის წყალობით ბევრი ვაჭარი მდიდრდება.

ამის ფრთებით ამკობენ ქუდებს, შლაპებს და კაბებს. ხშირად ღღესასწაულებში ნახავთ მეეტლების და ბავშვების ქუდებს შემკულს ფარშავანგის ფრთებით.

ფარშავანგს ყველა ამაყ, თავმომწონე ფრინველად სთვლის. მართლაც, არც ერთი ფრინველი არ არის ისეთი ლამაზი და ამასთანავე გამჭრიახი, როგორც ეს ამპარტავანი ფარშავანგი. შეატყობს თუ არა, რომ ვინმე დააცქერდა, მაშინვე გაშლის თავის მშვენიერ კუდს და ისე დაანახვებს, რომ მაყურებელი დასტკბეს მისი მშვენიერებით.

ამ თავმომწონე და თავგამოდებულ ფრინველს, შემოდგომაზე, როცა ფრთები დასცვივა ხოლმე და აღარ არის კელავინდელივით ლამაზი, არ იამება ვისმეს ნახვა. სულ მოწყენილია და თითქოს ნაღვლობს კიდეც. სამაგიეროდ გაზაფხულზე, როდესაც შეიმკობა მშვენიერი ფრთებით, მის მხიარულებას საზღვარი არა აქვს.

ფარშავანგისთანა ლამაზი ფრინველი დედამიწაზე არ მოიპოვება. არც ერთ ფრინველს არა აქვს ამისთანა სხვადასხვა ფეროვანი მოელვარე ფრთები და კუდი. ყველა ფერი: წითელი, ლურჯი, ყვითელი. მწვანე ერთმანეთთან შეხამებული შეამკობენ ამ ფრინველს.

არის ერთგვარი თეთრი ფარშავანგი — მაგრამ ისინი იშვიათნი და ძვირფასნი არიან.

ფარშავანგის სილამაზეს არ ეკადრება მისი უსიამოვნო და საძაგელი ხმა. ადამიანმა უნდა ყურები დაიცავს მისი ხმის გაგონებაზე.

ფარშავანგები იშვიათად ფრინავენ, რადგან მძიმე არიან. გაქცევაში კი ვერავინ აჯობებს მათ.

რამ ათქმევინა ტყუილი!

სუსხიანი ზამთრის დილაა; თოვს კიდეც. მაგდა მივიდა დარაბების გასაღებად. დილაადრიანად ხალხი მის პურის მაღაზიას მიაწვება

ხოლმე, რადგან აქ მეტად გემრიელ პურს ჰყიდიან. მერე რა თეთრი, დაბრაწული პურია, ყველას, ამ უპურობის დროს, პირში ნერწყვი მოსდის.

— შვილო, ნუ მიშლი, მომცილდი, — ეუბნება ის თავის პატარა გოგონას, უკვე გამაძღარს, რომელიც დედის კალთას ჩასჭიდებია.

მაგდა ყველას უწონის პურს. თორმეტი წლის უფროსი გოგონა შველის. ხშირად ქმარიც დახედავს ხოლმე. ის ტრიალებს ფურნეში და წამდაუწუმ შემოაქვს გამომცხვარი ცხელ-ცხელი პური.

ფანჯრის წინ ერთბაშად ალიაქოთი ატყდა, დიდი ხმაურობაა. მოისმის ყმაწვილის წრიპინი, ყვირიან:

— დაიჭირეთ, ეგ არდასაცალებელი, მოიპარა, მოიპარა...

მაგდა იძულებულია გაიხედოს გარეთ. პატარა გოგონა იმის კალთას ებღაუჭება.

შესავალ კარებში პოლიციელი ჩასჭიდებია რვა-ცხრა წლის ტიტველ-შიშველა ბიჭს და აქეთ-იქით აქნევს. ბიჭს გულზე მიუკრავს ვეებერთელა თეთრი პური და არავის ანებებს.

— წამო, წამოეთრიე, დაჭერილი ხარ ქურდობისათვის.

მაგდას პატარა გოგო ატირდა, რაღასაც ეხვეწებოდა დედას, ბიჭმა პურის პატრონი რომ დაინახა, შეჰყვირა:

— სამი დღეა არც მე და არც ჩემ პატარა დაიას არაფერი გვიჭამია, მშიან...

მაგდა გადაუდგა პოლიციელს და უთხრა:

— დაეხსენ ყმაწვილს! ეგ პური მე მივეცი. ბიჭო, წაუღე შენს დასაც...

მოულოდნელი მეგობრობა

ზაფხული ცხელი დაგვიდგა. მე გავემგზავრე სააგარაკოდ მყოფ ერთ ჩემ მეგობართან. ამ აგარაკის მდებარეობა მეტად თვალწარმტაცი იყო: ამას ამკობდნენ ჭალები, ტყიანი ფერდოები. მოშორებით მოჩანდნენ მაღალი მთები, წინ მიუდიოდა მოდუდუნე მტკვარი, მახლობლად წამდაუწუმ მატარებელი გაჰკიოდა. აქ აგარაკები შორი-შორს იყო და ყველა თავთავისთვის ცხოვრობდა. ჩემი მეგობრის ორი გოგონა ელო და ნინა ძალიან მოწყენილი იყვნენ, იმათ ცოცხალ ხასიათს ეს მყუდროება არ შეჰფეროდა. ქალაქის სიცხით დათენთილებს და მოქანცულებს მოუსვენარი ცხოვრებით არაფერი არ ეხალისებოდათ, წიგნის ხელში აღებაც კი ეზარებოდათ, ტოლ-ამხანაგები არავინ ჰყავდათ და მათი გართობა იმაში იყო, რომ წამდაუწუმ გარბოდნენ სადგურზე. სახლში მთელი დღე სასუსნს დაეძებ-

დნენ. „სდობნი ბულკი დღესაც არა გვაქვს? კამფეტები მამამ რომ მოგვიტანა, გათავდა განა?“

ამ სააგარაკოს შორიახლო ქართლის რამდენიმე დიდი და პატარა სოფელი იყო. როგორც კი ხალხი სააგარაკოდ თავს მოიყრიდა, სოფლებიდან ჩამოჰქონდათ გასაყიდად სხვადასხვა სანოვაგე: მწვანელობიო, კვერცხი, ქათმები, კიტრი და სხვა. დილაობით ეს იყო ჩვენი გასართობი. გამყიდველები იყვნენ უმთავრესად პატარა გოგოები, ფეხშიშველი და ჩამოფხრეწილი ჩითის კაბებით. თავდაპირველად სანამ მუშტარს გაიჩენდნენ, მათ მოჰყვებოდა ერთი-ორი მოხუცი დედაკაცი, მერე კი, როდესაც მაყვლობა დადგა, მარტო გოგოებს ვხედავდით. მათმა ბელადებმა საოცრად იცოდნენ ანგარიში, არ შესცდებოდათ არც ერთი გროში, განგებ რომ გვდომოდა იმათი არევა, ვერ მოვახერხებდით, ელო და ნინა ყოველთვის ესწრებოდნენ ამ ვაჭრობას. გოგოებს დიდი ერთობა ჰქონდათ, ერთიმეორეს ესარჩლებოდნენ და თავს არავის აჩაგვრინებდნენ. როგორც შევატყეთ შემდეგ, ზოგი გოგო თავიანთ სოფლის სკოლაში დადიოდა და ამიტომ ანგარიში უფრო კარგად იცოდა. ზოგი გოგო კი ფულს აგროვებდა, რომ შემოდგომაზე ისიც სკოლისათვის მომზადებულიყო.

ერთხელ როდესაც ერთ გოგოს მაყვალში მოულოდნელად მეტი ფული მისცეს, მან უნებლიეთ წამოიძახა:

— ახლა კი წავალ წიგნზე, ზამთრისთვის ჩუსტები მექნება.

— შვილო, თუ თბილი კაბაც იშოვე, შენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს, — უთხრა შავ ძონძებში გახვეულმა დედაკაცმა.

ამ სიტყვების გაგონებაზე ნინამ ერთ წამს გამოურბეინა თავისი თბილი კაბა და თან დედას თვალი თვალში გაუყარა, ხომ არ გაპიჯავრდებიო.

ეს გოგოები შეგვეჩვივნენ ჩვენ, მეტადრე როდესაც მაყვლობა დადგა. ტყიდან პირდაპირ ჩვენ კარწინ გაივლიდნენ და დაბრუნების დროს, როდესაც გაჰყიდდნენ მაყვალს, ისევ ამ გზით წამოვიდოდნენ. ნინა უთვალთვალებდა, ისინიც რაღაცას ანიშნებდნენ და კარგა სადილობამდის ვეღარც ელოს და ვეღარც ნინას ვეღარ ვხედავდით.

ჯერ გვეგონა, რომ ყმაწვილები მათ საქმელებს უზიდავდნენ, მაგრამ სახლში არაფერი დანაკლისი არა ჩანდა. ჩვენც არ გვინდოდა გვეკითხა. ასე გადიოდა დრო. ელო და ნინა აღარ გარბოდნენ სადგურზე, აღარ მოისმოდა „სდობნი ბულკი“, „კამფეტები“. დები სულ რაღაცას დაეძებდნენ, მერე ერთად სადღაც მიდიოდნენ. რომ ვკითხავდით, ამბობდნენ: „აი, მახლობელ ტყეში ვართ, ერთი რომ დაგვიძახოთ, იმწამსვე აქ გავჩნდებით“.

ერთხელ ელო მომიჯდა გვერდით, ქართულ წიგნებზე დამიწყო

ლაპარაკი, მთხოვა წასაკითხად პატარა მოთხრობები; მე ძალიან გამეხარდა, რომ ხალისი მოსვლია და ვცდილობდი მისთვის მიმეცა კარგი წიგნები, თანაც მოვყვებოდი კარგი ამბების თხრობას; ის და ნინა გულმოდგინედ მისმენდნენ.

სოფლის გოგოები ადრინდელივით ხშირად მოდიოდნენ, მაგრამ ერთი ცვლილება შევამჩნიე: პირდაბანილები, თმებდავარცხნილები იყვნენ, კაბები, თუმცა ათას ადგილას საკერებელი ედო, მაინც სუფთა ეცვათ.

ერთხელ წვიმაში სოფლელმა დედაკაცმა ჩამოგვგვარა ქათმები ვასაყიდად და გოგოებზე ჩივილს მოჰყვა, რომ თუმცა ყველაფერს კარგად ჰყიდიან, მაგრამ ამ ბოლო დროს იმათ დაბრუნებას ვეღარ ვეღირსენითო, სულ ბინდისას შემოდიან სოფელშიო.

მე ეჭვი გავიტარე გულში და მეორე დღეს ელოზე და ნინაზე ადრე წაველ ტყეში წიგნით, რომ ყმაწვილებს არ შევენიშნე, და ბუდრო ხეებქვეშ დავჯექ.

დიდი ხანი არ გავიდა, მოვიდნენ კალათებით ხელში გოგოები. დასხდნენ ერთად, ამოიღეს კალათებიდან კიტრი, პური და ხახვი. შეექცნენ ადრეულ სადილს. უცბად სიხარულით დაიძახეს: მოდიან, მოდიანო! მაშინვე მიალაგეს თავიანთი დაცარიელებული კალათები და მიესალმნენ ელოს და ნინას. ნინამ მხიარულად მოიკეცა და უთხრა: მე ერთ კარგ ზღაპარს გიამბობთ, დამიგდეთ ყურიო და დაიწყო თხრობა. გოგოები აღტაცებით და მხიარულად უგდებდნენ ყურს. ნინამ რომ ზღაპარი გაათავა, ყველამ სიხარულის კიჟინა დასცა. მერე ელომ გადაშალა ქართული წიგნი და დაიწყო კითხვა.

მე ფეხაკრეფით გავედი მეორე მხარეს და ისე დავბრუნდი სახლში.

„აი, რატომ აღარ არიან მოწყენილნი ელო და ნინა", — გავიფიქრე მე.

თეთრი ყვავილი

ელენკო ქალაქის ნახვას ნატრულობდა. მისი ტოლ-ამხანაგები ზამდაუწუმ ჩარბოდნენ ქალაქში, რომელიც მათგან სულ ერთ მტკაველ სიშორეზე იქნებოდა, მაგრამ ელენკო ვერ ახერხებდა: ხან ძმა ჰყავდა მოსავლელი, ხან დედას შველოდა პურის ცხობაში, ხან სხვა საოჯახო საქმეები აბრკოლებდნენ. ღვთის წინაშე, დედას მისი ქალაქში გაშვება არც უნდოდა, თორემ ყველაფერი ადვილად მოხერხდებოდა. ის კაი 14 წლის გოგო იყო, მისი დედა გაიძახოდა: ჩემი ელენკო დოყლაპიაა, წააწყდება რამესო. ის კონკაა თუ რაღაც ჯა-

ნაბა უსათუოდ გაიტანს და მომიკლავსო. მაგრამ ერთ დილას, მისი ტოლ-ამხანაგი გოგოები უნდა წასულიყვნენ ქალაქში. ელენკომ, შეიტყო თუ არა, დააპირა გაჰყოლოდა მათ. მთელი ღამე რული არ მიჰკარებია მის თვალებს, მოუსვენრად იყო: „ნუთუ მართლა, — ფიქრობდა ელენკო, — ქალაქის სახლები ისეთი მაღალია, რომ ცას სწვდება, როგორც გოგოები ამბობენ? სხვა ბევრი უცნაური რამეები უფრთხობდნენ ძილს საწყალ გოგოს. გათენებისას ელენკო სწრაფად წამოხტა ქვეშაგებიდან, წყაროდან წყალი ამოუტანა დედას, საჩქაროდ გადაიცვა ახალი გარეცხილი და ათას ალაგას დაკონკილი პირისფერი ჩითის კაბა, თავზე წამოიგდო ნარინჯისფერი ფოჩებიანი თავშალი, მერე ერთი მიაძახა დედას, — გოგოებს უნდა გავყვე ქალაქშიო და გაჰქრა.

ელენკო მივიდა იმ ადგილას, სადაც უნდა შეყრილიყვნენ ქალაქში წამსვლელები, მაგრამ ჯერ ისე ადრე იყო, რომ არავინ არ დაუხვდა. ელენკოს გული უფანცქალებს, მოუსვენრად ტოკავს, ჩქარობს, ეშინიან არ დამაბრკოლონო, ერთი მეღირსოს ქალაქის ნახვაო.

გოგოებმა თავი მოიყარეს, ბევრი არ იყვნენ, სულ სამი-ოთხნი. ელენკო ამათ დაინახეს თუ არა, კიჟინა დასცეს, გაეხარდათ, ჰთელი გზა სულ სიცილ-კისკისი გაჰქონდათ. ეს გოგოები ქალაქში საზოგადოდ მარტო არ დაიარებოდნენ. მათ წინამძღოლად იყო ხოლმე ქვრივი მართა, კალათებით აკიდებული: ქათმები, კვერცხები და მწვანილეულობა თავისი და მეზობლებისა ჩაჰქონდა ქალაქში გასაყიდად და როდესაც გოგოები დაწინაურდებოდნენ, მართა ბუზღუნებდა და ემუქრებოდა: კვლავ აღარ წამოგიყვანთო. დედებიც გულდინჯად უშვებდნენ თავიანთ შვილებს, რადგან მათთან მართა ეგულებოდათ. ჩვენმა მგზავრებმა მალე მიაღწიეს ქალაქს: დაეშვნენ თავქვეზე. ვერის უბანში, და გავიდნენ ქალაქის ერთ დიდ ქუჩაში.

• •

მშვენიერი გაზაფხულის დილა იდგა, ცოტა წამოწვიმებული იყო, თითქოს ქუჩები გარეცხილიაო; ხალხი აუარებელი მიდიმოდიოდა, მორთულ-მოკაზმული იყვნენ, სახე უბრწყინავდათ. კაცებს ყველას გულზე თეთრი ყვავილები ჰქონდათ გაკეთებული, ქალებს ხელში ეჭირათ თეთრი ყვავილებით სავსე კალათები და ყველა გამვლელ-გამომვლელს აჩეჩებდნენ ხელში. ელენკო თვალებს აჭყეტდა, აქეთ-იქით გაფაციცებით გაიყურებოდა. სახლები მართლაც ისე მაღალი ეჩვენებოდა თავიანთ მიწურ ქოხებთან შედარებით.

თითქოს ნამდვილად ცას ებჯინებაო. ელენკოს წინ ერთბაშად რაღაც გორგლიანმა ეტლმა გაიელვა, მტვერში და ბურუსში გამოჩნდა ლურჯ-წითლად მორთული ხალხი. ამან ძლივს მოასწრო თვალის მოკვრა და ამ დროს კი სწრაფად მიმავალმა, რაღაც უზარმაზარმა ჩასაჯდომმა კინაღამ გაიტანა, ზარის რეკას რომ არ გაეფრთხილებინა, ჩასაჯდომი ელენკოს ზედ გადაუვლიდა. თავზარდაცემული სახლის კედლებს მიებჯინა, გაიხედა აქეთ-იქით და უფრო დაეცა თავზარი, რომ ვეღარც მართა დაინახა და ვერც ამხანაგი გოგოები. ახლა ის იდგა ჯვარედინ ქუჩაზე, სადაც დიდძალი ხალხი შეჯგუფული იყო. ერთ ადგილას მრავალი ბოძები იყო ჩარჭობილი მწვანე ფოთლების გრეხილებით მორთული, მის ქვეშ მაგიდები იდგა, რომელზედაც კალათები ეწყო სწორედ იმ თეთრი ყვავილებით, ყველას გულზე რომ ჰქონდა გაკეთებული, ან ხელში ეჭირა. ელენკო ხედავდა, რომ ქალები ყველას ურიგებდნენ ყვავილებს და ამასაც საშინლად მოუნდა ყვავილები, ხელი გაუწვდინა ერთ მორთულ ქალს, რომელიც მაგიდასთან ახლოს იდგა და წელზე ეკიდა მზეზე მობრეყვიალე ვერცხლის აბგა. ელენკო მისწვდა ყვავილებს და ქალს ერთი ბღუჯა ყვავილი გამოსტაცა. ამ დროს უცაბედად ხელი მოსდო ბრეყვიალა აბგას და აბგა გაიხსნა. მანდილოსანმა მორთო კივილი, ჰიშველეთ, ქურდი დაიჭირეთ, ქურდიო!

ეს თქმა იყო და მაშინვე პოლიციელები მისცვივდნენ ელენკოს და განზე გაათრიეს. ამას წაართვეს ხელში რომ ეჭირა ერთი ბღუჯა თეთრი ყვავილი და ჯიბეებს და უბეებს უსინჯავდნენ, ფული რა უყოვო. მანდილოსანმა მართალია საჩქაროდ მიაძახა: ფული სრულადა მაქვსო, მაგრამ პოლიციელები გოგოს ძალით მიათრევდნენ. ის არ მიჰყვებოდა, ტიროდა, უძახდა მართას, თავის ტოლ-ამხანაგებს, მაგრამ რას გააწყობდა!

— „უჩასტკაში“ წაიყვანეთ, „უჩასტკაში“, იქ გავარჩევთ, — ყვიროდა პოლიციის უფროსი, — მაგას ვუჩვენებთ ფულის მოტაცება რა არის!

და საბრალო ელენკოს ქუჩაში მიათრევდნენ. მას ეგონა ნამდვილ ჯოჯოხეთში ჩავვარდიო და ღრიალი გაჰქონდა.

ამ ამბის მნახველი ერთი თამამი სტუდენტი გაჰყვა პოლიციელებს. მას ძალიან შეეცოდა გოგო და იფიქრა ვუმოწმებ, რომ დამნაშავე არ არისო.

მართლაც, ელენკო „უჩასტკაში“ ისე მწარედ ტიროდა და ქვითინებდა, რომ ვერაფერი ვერ გაიგეს. მაშინ გამოჩნდა მისი მექმაგე სტუდენტი. მისი თარჯიმანობით საქმე მალე გამოირკვა და გოგოს თავი დაანებეს. მაგრამ ამან აღარ იცოდა, სად წასულიყო, როგორ

ეპოვნა ტოლი გოგოები და მართა. ახლაც სტუდენტმა იდო თავს და პოლიციიდან წამოიყვანა.

* *

გოგოები რომ დიდ ქუჩაზე გამოვიდნენ, მართამ ჩვეულებისამებრ ბაზარში გასწია თავის სანოვაგისა და ქათამ-კვერცხების გასაყიდად და მერე, როგორც წესად ჰქონდათ, შინ წასასვლელად ყველას თავი უნდა მოეყარა იმ დიდ ქუჩის ბოლოს, სადაც პირველად გამოვიდნენ — ერთი სახლის კუთხის ფანჯარასთან. ელენკომ ამისი არაფერი იცოდა. გოგოები რომ ხალხის მორევში შეერივნენ და გართულნი უყურებდნენ ამ სადღესასწაულოდ მოკაზმულ აუარებელ ხალხს, თეთრი ყვავილებით შემკულს, ელენკო სრულებით მიავიწყდათ. როცა შეამჩნიეს, რომ ის გვერდით აღარა ჰყავდათ, შეწუხდნენ და რომ არ დაფანტულიყვნენ, ხელჩაკიდებულებმა დაიწყეს მისი ძებნა. მაგრამ დახე უბედურებას! ის აღარსად ჩანდა. მართალია, გოგოებმა შორიდან დაინახეს, რომ ხალხი ვიღაცას შემოჰხვეოდა და ყვიროდა: ქურდი, ქურდი დაიჭირესო, მაგრამ რას მოიფიქრებდნენ, რომ ელენკოზე ყვიროდნენ.

გოგოები კიდევ დიდხანს დახეტიალობდნენ, უკვირდათ, რომ ფულებს აძლევდნენ ამ გამოუყენებელ ჩვრებისაგან გაკეთებულ თეთრ, ყვითელ-ყვითელ გულიან ყვავილებში, რომელნიც ძალიან გვანდნენ მინდვრის გვირილას. გოგოები ყველას ფეხქვეშ ედებოდნენ და წამდაუწუმ ესმოდათ:

სოფლის გოგოებს აქ რაღა უნდათო!

ზოგმა კიდეც ყვავილები აჩუქეს და ეუბნებოდნენ — გულზე გაიკეთეთო! ბოლოს მოღალულ-მოქანცულნი გაეშურნენ თავიანთ დანიშნულ ადგილზე.

* *

ელენკო რომ ცოტა დამშვიდდა, სტუდენტს უამბო, რომელი სოფლიდან არის და გამოუტყდა, რომ ამის მეტად ქალაქი არ ენახა. განა არა, ყველა აფრთხილებდა და მართლაც ამისთანა ჭირში ჩავარდა. სტუდენტმა დაამშვიდა და უთხრა, რომ დღეს ქალაქში არაჩვეულებრივი დღეა და კვლავ სახიფათო არა იქნება რა, როდესაც ხშირად ჩამოხვალ, შეეჩვევი ყველაფერსო. ელენკო ჯერ ხელებს შლიდა, აღარ გავივლი ქალაქშიო, მაგრამ ბოლოს ისე მოეწონა აქაურობა, რომ გულდინჯად უგდებდა ყურს სტუდენტის ნაამბობს. ის ნელა და გარკვევით ეუბნებოდა:

— დღეს რომ ჰყიდნენ სასწავლებლებში გაკეთებულ უბრალო

თეთრ ყვავილებს, გვირილას მინაგვარს, მისი მოგროვილი ფულით საავადმყოფო უნდა ააშენონ, რომელშიაც უწამლებენ ჭლექით ავადმყოფებს. ქალაქის ყოველ ქუჩაში, ყოველ კუთხეში ჰყიდიან და ყველა ხალისით იხდის საფასურს.

— მე რომ იმ ქალმა ქურდობა დამწამა, ვერცხლის აბგაც საავადმყოფოსთვის იყო?

სტუდენტმა გაიცინა და ის იყო პასუხი უნდა მიეცა, რომ ელენკომ ერთბაშად შეჰკივლა:

— აი ჩვენი გოგოები, აი მართაც!

და გაექანა იმათკენ. ისინი შუა ქუჩაში იდგნენ და ეძებდნენ ელენკოს.

სტუდენტი სწრაფად მოშორდა მათ.

რა კარგი იყო

მოსარეცხე დედაკაცს მართას წრეულს მეტად სასტიკი ზამთარი დაუდგა. გაყინულ მტკვარზე სარეცხი ვერ ჩაჰქონდა გასავლებად. არც ბინა ჰქონდა, რომ სარეცხი გაეშრო და თავის ბნელ, ცივ ოთახში ცეცხლზე აშრობდა; საძაგელი სუნის ოხშივარი ადიოდა მაღლა და აყვითლებდა სარეცხსაც და მის პაწია შვილსაც. უფროსი გოგონა ქეთო იქნებოდა შვიდი წლისა და პატარა ბიჭუნა გიგლა ოთხი წლისა. მართას ქმარი კარგა ხანია სადღაც გადახვეწილი იყო და ჯანმრთელი დედაკაცი არჩენდა თავის თავსაც და შვილებსაც.

წლევანდელმა ყინვებმა მართას გაუჭირეს საქმე, მუშტრები ჩაყვითლებულ სარეცხს უწუნებდნენ და ბევრნიც ჩამოშორდნენ.

საბრალო მართა ამ დღესასწაულებში სულ უნუგეშოდ იყო. მართალია, პური და ნავთი კვლავაც არ მოაკლდებოდა, ნისიად იშოვიდა, რადგან ვალების წესიერი გასტუმრებით ნდობა დაიმსახურა, მაგრამ ყმაწვილების გახარება წითელი კაბით და წითელ ხალათით ამ დღესასწაულებში ძალიან უნდოდა. მეტადრე ახლა, როცა ქეთომ ყინულზე ფეხი იტკინა, სარეცხი რომ მიჰქონდა მუშტართან.

* *

ერთხელ, შობის წინა დღეებში, დილით მართა რაღაცას ფუსფუსებდა ოთახში, ქეთო ძონძებში გახვეული მიწოლილი იყო ცეცხლთან. გიგლა ეზოში მეზობელ ყმაწვილებთან თამაშობდა. უცბად მართას შემოესმა რაღაც ფეხის ხმა. მეზობელ ქალს ვიღაცეები მოჰყავდა.

— აი აქ შემობრძანდით, — ამბობდა ისა და მოუძღოდა ორ ქალს. ერთი იყო სათვალებიანი, რომელიც ძლივძლივობით იგნებდა გზას, მეორე — თურაშაული ვაშლივით წითელლოყებიანი, სულ ყმაწვილი ქალი, რომელსაც ქუდი კეფაზე ჰქონდა გადაგდებული. ერთი მოსწავლე ყმაწვილიც თან ახლდათ. მართა გაკვირვებული უცქეროდა ამ დაუპატიჟებელ სტუმრებს.

— ბეჩა, აქ რა ბნელა, — თქვა სათვალებიანმა ქალმა.

მეორე ყმაწვილი ქალი მაშინვე მივარდა ქეთოს და დაუწყო გამოკითხვა, რით არის ავად.

ბოლოს გამოირკვა, რომ ეს ქალები არიან გამოგზავნილნი მასწავლებელი ქალების საზოგადოებისაგან, რომელიც ყოველწლივ მართავს ღარიბ ბავშვთათვის შობის ხეს და ტკბილეულობის გარდა ტანსაცმელსაც ურიგებს.

ოჯახში დატრიალდა საერთო სიხარული. მოსული ქალებიც კმაყოფილნი წავიდნენ, რომ ახლა სხვა ოჯახში შეეტანათ სიხარული და შვება!

*

ორშაბათს, 4 იანვარს, მეტისმეტი სიცივე იყო: თოვდა და ქარი ქროდა, მაგრამ ყოველ ღარიბ მოსახლე უბნიდან დილაადრიანად ბავშვები მიდიოდნენ ცირკის შენობაში. ჩვენი ქეთო და გიგლაც თავიანთი საუკეთესო ტანისამოსით გაეშურნენ სხვა მეზობელ ყმაწვილებთან ერთად. ქეთოს მუჭიდან მოჩანდა ორი წითელი ბილეთი, რომლის საშუალებით მიიღებდნენ ესენი საჩუქრებს. ერთი პატარა ბიჭი წითელ ბილეთს სულ მაღლა აფრიალებდა. ამ დროს ატყდა ჩოჩქოლი და მოისმა იმ პატარა ბიჭის მწარე ტირილი.

— ლიზამ წაართვა წითელი ბილეთი, ლიზამ! არ მიუშვათ, — ყვიროდნენ. მაგრამ ლიზას ხსენება აღარ იყო, მოჰკურცხლა, სადღაც გაჰქრა.

გიგლამ რომ დაინახა ცირკის კარებში ორი „შტიკიანი" სალდათი, შიში იგრძნო, უკან დაიწია, ტირილი მორთო. მას უთხრეს, რომ ისინი იმიტომ დგანან, რომ ლიზა არ შეუშვან ცირკში. მაშინ გიგლა ცოტათი დაცხრა. ამ დროს შესასვლელ კარებთან გამოჩნდნენ მასწავლებელი ქალები და ბავშვები, გაუძღვნენ და შიგ ცირკში შეიყვანეს.

მუსიკას გრიალი გაჰქონდა, შუა ადგილას იდგა მორთული დიდი ნაძვის ხე. აუარებელი ბავშვები ჩამწკრივებული ისხდნენ. ქეთო ძიათრევდა გიგლას. ბოლოს ესენიც და ამათი მეზობლებიც დალაგდნენ. უცბად გაატარეს ამათ წინ ოთხი-ხუთი დიდი კალათა. ისეთი,

როგორიც მართას ჰქონდა სარეცხისთვის. ეს კალათები სულ დაბრაწული თეთრი პურებით იყო სავსე. მაშინ კი გიგლამ თვალები დაიჭყიტა... ქალებმა ყველას სწრაფად დაურიგეს პურები. ამას მოჰყვა სურათების, ფოკუსების ჩვენება. მერე ნაძვის ხე გააჩაღეს სხვადასხვა ფერადი სინათლით. ყმაწვილები აღტაცებაში მოვიდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ, უსტვენდნენ, ტაშს უკრავდნენ და მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. შემდეგ მოჰყვნენ ტკბილეულობის და სათბუნებლების დარიგებას. ქეთოს და გიგლას, როგორც სხვებს, მისცეს ხელსახოცში გახვეული ვაშლი, კამფეტები და ხმელი ხილი. ქეთოს ერგო ბამბაზიის საკაბე და გიგლას ყაბალახი.

თითქმის დაღამებული იყო, როცა ყმაწვილები წავიდ-წამოვიდნენ თავთავიანთ ბინაზე. გიგლას გულზე მიეკრა ყაბალახი და ღიმილით ჰკბეჩდა ვაშლს. ქეთო კი ისეთი აღტაცებული იყო, რომ ვერ ახერხებდა დედისათვის ეამბნა, რაცა ნახა, ხოლო გაიძახოდა:

— რა კარგი იყო! რა კარგი იყო!

ილიკო

ბორჯომის ხეობაში ერთი საუკეთესო საგარაკო ადგილია „სუბათოვა". ორივ მხრივ ამართულია მშვენიერი ნაძვით სავსე მთაგორაკები, რომლის ძირს გრეხილად ჩაურბის ვიწრო მდინარე და უერთდება მტკვარს. რკინიგზის სადგურს და ათიოდ აგარაკს გარშემო არტყია პატარ-პატარა სოფლები. სიმინდი, პური და ვენახები ამ ტყიან მთებზე სულ ცოტაა და აქაური ხალხი უმეტესად იმითი ცხოვრობს, რომ ხე-ტყეს სჭრის და ჩამოაქვს მთებიდან. ხშირად მისი იღბალი დამოკიდებულია უფრო იმაზე თუ მთებზე თოვლი ბევრი იქნება და გზა ისე გაიყინება, რომ ხეები მაღლიდან ჩამოასრიალონ, მაშინ სოფლელი მეტ ტივს ჩააბარებს მთის პატრონს და ფულსაც, რასაკვირველია, მეტს იშოვის.

სოფელი სოსია სწორედ ამ საქმეს ადგა და მარჯვედაც მიდიო. და მისი საქმე. მაგრამ ერთხელ, ზამთრის პირას, მაღლიდან რომ დაუშვა მოჭრილი ხეები, უცაბედად ფეხი ერთ ხეს მოედო, ხეებთან ერთად ჩამოცურდა ძირს და ლუკმა-ლუკმად დაიჩეხა.

მის ცოლს ბარბარეს მკვდარი ქმარი რომ კარს მიაყენეს, ვერ იცნო და დიდხანს არ იჯერებდა თავის უბედურებას. დარჩა საბრალო ბარბარე წვრილშვილით ულუკმაპუროდ. წელზე ფეხს იდგამდა, მუშაობით შუაზე წყდებოდა, თუმცა სოფელიც მუდამ შველოდა, მაგრამ მარტოხელა როგორ გამოჰკვებდა ოჯახს. ხშირად სასოწარ-

კვეთილებას ეძლეოდა, ლამობდა მტკვარში გადავარდნას, მაგრამ ღვთის შიშით ითმენდა ყველაფერს.

* *

გაზაფხულზე ერთ საღამოს, მასთან შემოვიდა სოსიას კარგი ნაცნობი ზურაბი და ბარბარეს უთხრა:

— მე მინდა ერთი კაი ამბავი გითხრა და, თუ დამიჯერებ, ეცი. რომ სახეირო იქნება. მოდი შენი ილიკო მივცეთ მეაგარაკე გენერლის ოჯახში უფროს მოსამსახურეს სტეფანეს. სახლში, მგონი, ბევრს არას გააკეთებინებენ, ჯერ პატარაა. ჩაცმ-დახურავენ, აჭმევ-ასმევენ, ხელზე სამსახურს ასწავლიან. რუსულს ხომ კარგად შეისწავლის. ზამთარშიაც იქ იქნება, სტეფანეს ცოლი ყურს უგდებს, უშვილონი არიან. იქნებ იმ ცოლ-ქმარს თავი ისე შეაყვაროს, რომ იშვილონ კიდეც. ისინი დავითანხმე. შენ რას იტყვი ამაზე?!

ბარბარემ ცრემლები გადმოყარა და შეწუხებულმა წამოიძახა:

— ვერა, ვერ შეველევი ჩემ ილიკოს. ეგ რომ თვალწინ მიდგია, თითქოს სოსია ჩემთან იყოს და მამხნევებდეს. — მერე გადაჭრით წამოიძახა: — როგორ თუ იშვილოს, განა შვილი დასათმობია დედისაგან! არა, ზურაბ, არ მინდა მაგისთანა სიკეთე, — და ისევ ტირილს მოჰყვა.

ზურაბი ბუტბუტით გამოვიდა სახლიდან: მოდი და ახლა ვისმეს სიკეთე უყავიო.

ბარბარე დიდხანს იყო ფიქრში, მერე გადასწყვიტა, ილიკოს მოლაპარაკებოდა. ყმაწვილი შემოვიდა ქოხში ჩინჩხვრების კონით აკიდებული, დაყარა ძირს. მივიდა კიდობანთან და, რომ ნახა მხოლოდ გამხმარი მჭადის ნატეხი, ხმაამოუღებლივ ეს ნატეხი გაუყო და-ძმებს და თვითონ მიჯდა კუთხეში.

ამის მნახველმა ბარბარემ ვეღარ მოითმინა და შვილს უთხრა:

— იცი, გენერლის აგარაკი სად არი? გინდა იმათთან მიგაბარო ხელზე მოსამსახურედ? მშიერი არ იქნები, რუსულს ისწავლი, ზამთარ-ზაფხულ იმ მშვენიერ სახლში იცხოვრებ, რას იტყვი?

— ო, დედა, რა კარგი იქნება! რომ იცოდე, სახლი რა მდიდრულად აქვთ მოწყობილი. ერთხელ კვერცხები მივიტანე გასაყიდად და გამოსვლა ღარ მინდოდა! ნეტავი კი მართლა ამიყვანონ.

ილიკოს მკვირცხლი თვალები სიხარულით ბრჭყვიალებდნენ. გალეული, გამხდარი ტანი უთრთოდა, ფერმკრთალ სახეზე ღიმილი უთამაშებდა. ოცნებებმა გაიტაცეს ბავშვი. ის თითქოს ამქვეყნად ღარ იყო...

დედას აკანკალებდა, შეწუხდა, მაგრამ თავი შეიკავა და მტკიცედ უთხრა:

— ჩვენი ზურაბი იყო, მითხრა ილიკოს აიყვანენო, იმათ რომ სტეფანე ჰყავთ, იქნებ იშვილოს კიდეცაო. რას იტყვი?

ბარბარე თრთოდა, ცდილობდა თავისი ღელვა არ შეემჩნევინებინა შვილისათვის და შიგ თვალებში შესცქეროდა.

ილიკო კი ისევ ისე გატაცებული ხმამაღლა ოცნებობდა, თავის თავი მიაჩნდა გაგონილ ზღაპრების გმირად.

— აბა მაშინ მნახონ, როგორი ბიჭი ვიქნები. დედაჩემს დიბა-ატლასში მოვრთავ, დაიკო შუშას, რომელიც მუდამ დედასთან იქნება ჩემ მაგიერად, სულ წითელ-ყვითელ კაბებს ჩავაცმევ.

ბარბარე შვილს აშტერდებოდა და ვეღარა ეწამებინა რა.

— მაშ წადი, შვილო, და უთხარ ზურაბს, მნახოს.

დედას გული ეთუთქებოდა, რომ შვილი ასე ადვილად თმობს მას, მაგრამ ილიკოს საბედნიეროდ მოთმინება არჩია.

• •

. გავიდა ორი წელიწადი, მოჩიტდა ილიკო. მან ადვილად შეითვისა ახალი ცხოვრება: მთელი დღე გაისმოდა: „ილიკო, წადი ფოსტა მოუტანე გენერალს! ილიკო, წადი დუქანში და ნავთი იყიდე! ჩქარა პური, ილიკო“ და სხვა.

ახლა რუსული ქართულზე ნაკლებად არ იცოდა. მაგრამ ხელსაც უნართავდნენ, რომ ქართული არ დავიწყებოდა, რადგან ამ აგარაკის გარშემო ქართველები ცხოვრობდნენ და იმათი ენა სჭირდებოდათ, მეტადრე სანოვაგის ყიდვის დროს. ილიკო დედას თანდათან იშვიათად ხედავდა, შორს იყო მისგან. არც ხელცარიელი უნდოდა მისვლა, აგარაკიდანაც რას გაატანდნენ, მოპარვით კი არაფერს მოიპარავდა.

მთელი დღე ილიკო ისე იყო გართული საქმეებში, რომ თავის სოფლის ამხანაგ ბიჭებს სრულებით მოსწყდა, აღარც მოსწონდა ისინი. თავი მედიდურად ეჭირა, თითქოს აღარც კი კადრულობდა იმათ.

ამ დროს მათი სახლის კარებწინ, სოფელში, ააშენეს სკოლა და ყველა მისი ტოლები მიებარნენ სასწავლებლად. ყმაწვილები დაინახავდნენ თუ არა შორიდან ილიკოს, მის გასაჯავრებლად გაიძახოდნენ ხმამაღლა ქართულ ლექსებს.

ილიკოს ეწყინებოდა, წარბს შეიკრავდა, მოიღუშებოდა, მაგრამ ბიჭებთან გვერდით გავლის დროს დაუსტვენდა თავის დიდ ძაღლს, რომლის დანახვაზეც კი ბიჭები თავზარდაცემულნი გარბოდნენ.

ილიკო წინანდელივით აგარაკში თავაუღებლივ მუშაობდა, მაგ-

რამ თანდათან ეტყობოდა რაღაც ნაღველი აწუხებდა, ერთობ ჩამოხმა, გაყვითლდა. ზამთარში საქმე ცოტა ჰქონდა და მოუხშირა სახლში სიარულს, ჩუმჩუმად ქართულ წიგნებს კითხულობდა. აგარაკში დედობილს, სტეფანეს ცოლს, არ მოსწონდა სახლიდან მისი ხშირ-ხშირად გასვლა, მაგრამ არას ეუბნებოდა.

ილიკოს და, შუშა, ზამთრობით სკოლაში დაიარებოდა, მასწავლებელმა მოაწყო, და ილიკო ტყობილობდა იმისავან სკოლის ამბებს. სხვათა შორის მან შეიტყო, რომ სკოლაში შობა დღეს აპირებდნენ საღამოს გამართვას. კარგი მკითხველნი ადრევე ამორჩეულ ლექსებს იზეპირებდნენ, რომ „საღამოს" ხმამაღლა წაეკითხათ დამსწრე ხალხის წინ.

ამ ახალმა ამბავმა ძლიერ დააფიქრა ყმაწვილი. დიდხანს ღელავდა, მერე თითქოს რაღაც გადაწყვეტილებას დაადგა. ხშირად ფურცლავდა წიგნებს და ეკითხებოდა შუშას, თუ რომელი შეგირდი რას წაიკითხავსო.

რამდენიც უფრო ახლოვდებოდა შობა დღე, იმდენად ილიკო მოუსვენრობას გრძნობდა და ღელავდა. აგარაკში დედობილი ძალიან სწუხდა, ვერ გაეგო ბავშვის მოუსვენრობის მიზეზი და მის გულის მოსაგებად შუშას და მის დედას საჩუქრებს უგზავნიდა.

საღამო ჟამია, გარეთ დიდი თოვლი ძევს. სასწავლებლის ოთახები ნაძვის ტოტებით მორთულია. ლექსების წასაკითხად მაღლობ ადგილს მართავენ. მოწვეული ხალხისათვის დასაჯდომ ადგილებს აწყობენ. გარედან ფეხით შემოტანილ თოვლს ყმაწვილები სწრაფ სწმენდენ. თხუთმეტიოდე უფროსი შეგირდი ქალი და ვაჟი გამგებლებად არიან ამორჩეულნი. თხილი, ვაშლი და სხვა ხილი ყმაწვილების სათავაზებლად მზადდება, ყველაზე ადრე მომღერლების გუნდი მოვიდა, ლექსების მკითხველნიც გამოჩნდნენ. თრთიან, კანკალებენ, მეტადრე ქალები. მასწავლებლებს ეხვევიან, გამხნევებას ელიან. ხალხი ნელა-ნელა იკრიბება, ზოგი თოვლში ამოსვრილი შემოდის. აი, ოთახებიც გაანათეს. მალე დაიწყებენ. მოისმის ტაშის ცემა... უცბად ატყდა ჩოჩქოლი, ერთიმეორეს ეუბნება:

— იცი, ილიკომ ერთი ტომარა თხილი და პანტა მოიტანა, თურმე სულ თავისი შეგროვილია დღევანდელი დღისათვის.

ილიკოს იღლიაში კიდევ რაღაც შეკრული აქვს, კუთხეში ჩუმად ხსნის: ახალი ჩუსტებია, ახალი ხალათია. შუშა შველის, რთავს ძმას და კი არ იცის, რათ ირთვება ილიკო. ყმაწვილი რაღაც ქაღალდს მალავს, ზედ დაწერილია, რაღასაც შიშობს, თვალებს აქეთ-იქით აფაციცებს.

ახადეს ფარდა, გამოვიდა ორი გოგონა, იგავს კითხულობდნენ, ერთი კრავია, მეორე მგელი. მოისმის ტაშის ცემა, ვაშას ძახილი. ახლა უნდა მეორე ყმაწვილი გამოვიდეს. უცებ ატყდა ხმაურობა, ჩოჩქოლი, მოულოდნელად გამოვიდა ილიკო და დასძახა:

მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი.
ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
ყველა ჩემი სამშობლოა
საყვარელი საქართველო.
ხან თუ მტერნი აოხრებდნენ,
იყო მღვრელი ცრემლის ცხარის,
ბრწყინვალე დროც დასდგომია,
დრო დავითის და თამარის.
მე პატარა ქართველი ვარ,
სახელოვან ერის შვილი,
და მსურს მერგოს სასახელო
მეც სიცოცხლე და სიკვდილი.

ისეთი რიხით და აღტაცებით წამოიძახა ეს ლექსი, რომ დარბაზში დიდი აურზაური ატყდა, ყველა განცვიფრდა, მასწავლებელნი არ მოელოდნენ მისგან, გაშტერდნენ და ხალხთან ერთად ვაშა, ვაშას იძახოდნენ. ილიკოს რამდენჯერმე გაამეორებინეს ეს ლექსი. ბარბარე, რომელიც ხალხში ერია, ხმამაღლა ქვითინს მოჰყვა, შუშა აწითლებული სხვებთან ერთად ტაშს უკრავდა, უფროსი მასწავლებელი ალერსით გადაეხვია, ტოლ-ამხანაგები მოწიწებით გარს შემოეხვივნენ.

კარგა ხანს არ დაწყნარებულა დარბაზი. მერე განაგრძეს „სალამო“...

* *

ილიკო არც მეორე დღეს, არც მესამე დღეს არ სჩვენებია თავის დედობილს. ბოლოს თვითონ მასწავლებელი მივიდა გენერლის აგარაკში და მოელაპარაკა სტეფანეს. საქმე ასე გამოაწყეს: დღეის იქით სწავლის დროს ილიკოს უნდა სასწავლებელში ევლო და დედასთან ეცხოვრა. ზაფხულობით კი, როცა სწავლა არ იქნებოდა, ის ისევ აგარაკში იმსახურებდა თვეში ოთხ მანეთად. სტეფანეს და მის ცოლს ისე შეაყვარა თავი ილიკომ, რომ ისინი ყველა პირობაზე დათანხმდნენ.

მეშვიდეს აღარ ერგო

თიკო მუდამ მოწყენილია, მუდამ მარტოა, უტოლ-ამხანაგოდ. მამა რომ ზაფხულში ჯარში მიდიოდა და ეთხოვებოდა, უთხრა: დედა არ გააჯავრო, არ შეაწუხო. ჭკვიანად იყავი; ახლა დიდი ხარ, მალე სწავლის დრო დაგიდგებაო.

თიკო დედას როგორ გააჯავრებდა, როდესაც მთელი დღეები ვერა ხედავდა იმას. ის უთენია წამოდგებოდა და სადღაც გაჰქრებოდა. მთელი დღე ვინ ნახავდა მას. დილით ერთს კი აკოცებდა შვილს, პირჯვარს გადასწერდა და ის იყო და ისა...

ერთხელ თიკომ ჰკითხა: „სადა ხარ, დედილო! უშენოდ მარტო სულ მოწყენილი ვარ!“

დედამ ერთი კიდევ მხურვალედ გადაჰკოცნა და უთხრა:

— შვილო, ლაზარეთში მივდივარ ჯარში დაჭრილების მოსავლელად. მამიდა თეკლე ,ხომ იცი, კუტია — შენახვა უნდა. დედაჩემსაც სოფელში ფული უნდა მივაწოდო, ჩემი ძმები ჯარში არიან. ყველაფერს უნდა გავწვდე, გასაჭირი დროა. — თქვა და საჩქაროდ გაიქცა.

სახლ-კარის მომვლელი და საჭმლის გამკეთებელი სალომე იყო. დიდი ხანია ამ ოჯახს შესწირა თავი, ახლა, როდესაც გასაჭირი დრო დადგა, რასაკვირველია, არ უღალატებდა ამათ. ის მუდამ მოღუშული იყო და თავ-პირი ჩამოსტიროდა, საქმე ბევრი ჰქონდა და თიკოს გასართობად რას მოიცლიდა.

დილაობით, დედის წასვლის შემდეგ. თიკოს აღარ ეძინებოდა. მაგრამ სალომეს შიშით ადგომას ვერა ბედავდა. ის ბაზარში წასვლისას შემოსძახებდა:

— სანამ არ დავბრუნდე, არ დაიძრა ქვეშაგებიდან!

სალომეს დროს გატარება და ამბების შეტყობა მხოლოდ ამ ბაზარში იყო და როდის ეღირსებოდა დაბრუნება, ვინ იცის!

იწვა საბრალო თიკო და ფიქრობდა: ნეტავი როდის გამგზავნიან სასწავლებელში, იქ ამხანაგები მეყოლება, ერთად ვითამაშებთ...

მართალია, სანავარდოდ თიკოს სახლწინ კაი დიდი ადგილი შემოფიცრული იყო, ეს ადგილი არც თუ ბაღჩა იყო, არც თუ ეზო: ორი სამი ხე იდგა, მაგრამ ამ არემარეზე არც ძაღლი, არც კატა, არც ქათმები არ მოიპოვებოდნენ.

თიკო ერთობოდა მხოლოდ იმით, რომ ფიცრულით შემოღობილიდან ხედავდა გამვლელ-გამომვლელ ხალხს. მეტადრე სკოლაში მიმავალ ბავშვებს. შეგირდები სულ დაგლეჯილ-დაფლეთილი ტანისამოსით იყვნენ, ჩანთებიც ძველები ჰქონდათ, ბევრნი ფეხშიშვე-

ლებიც იყვნენ; თიკოს ესმოდა იმათი ლაპარაკი. ყმაწვილები შუადღისას სახლში ერთობ დაღლილნი და მშიერნი ბრუნდებოდნენ.

— შენ ეი, სანდრო, სახლში რომ გეჩქარება დაბრუნება, ვითომდა რა ყაბლუ-ფლავი მოგელის! მოდი ერთი ცოტა ვიკოჭაოთ.

— რა მეკოჭავება, მუცელი შიმშილით მეწვის, სახლში გამხმარ პურის ნაჭერს მაინც ვიშოვი.

თიკოს ესმოდა ბავშვების ლაპარაკი და აგონდებოდა სალომეს გაკეთებული შაქრის პურები და ქადები.

— ნეტა, მაგათ კი არა აქვთ შაქრის პურები და ქადები?

და თიკოს გული სიბრალულით ევსებოდა. ხშირად ბავშვებიც შეიხედავდნენ ღობიდან და, რომ დაინახავდნენ მორთულ თიკოს, ერთმანეთს ეტყოდნენ:

— დახე, დახე რა მორთული „კუკლა“!

თიკომ რამდენჯერმე ჩამოუგდო სალომეს ლაპარაკი ბავშვების შიმშილზე, მაგრამ სალომემ უკმეხად შეუტია: მშივრები ბევრნი არიან და ვის გავაძღებთო.

ერთხელ თიკომ თვალი მოჰკრა, სალომემ რომ შემოიტანა სინით პატარა, ცხელ-ცხელი, დაბრაწული ქადები და გულში რაღაც გაიტარა.

სალომემ შედგა კარადაში ქადები და გავიდა სამზარეულოში.

თიკო ორჯერ-სამჯერ მიუახლოვდა ქადებს, გადახედ-გადმოხედა. სწორედ ამ დროს ქუჩიდან მოესმა ბავშვების ხმაურობა, ისინი სკოლიდან ბრუნდებოდნენ. თიკომ ხელახლად გადახედა ქადებს, დათვალა, სწორედ ექვსი იყო — იმდენი, რამდენიც, ჩვეულებრივ, ამხანაგი ბავშვები გაივლიდნენ ამათ ქუჩაზე. სწრაფად აიღო ქადები, ჩაიწყო წინსაფარში, წამს გაურბეინა ბავშვებს და ღობიდან მიაწოდა. მაგრამ დახეთ ამის შეწუხებას, რომ ერთს არ ერგო, დღეს მეშვიდე ბავშვი მიმატებოდათ ამათ. ეს მეშვიდე ყმაწვილი ხელს უწვდიდა... თიკო განცვიფრდა, უკან დაიწია და შევარდა სახლში.

კარგა გვიანობას, დედა რომ დაბრუნდა სახლში, სალომე მოვიდა კარადასთან და უნდოდა კვეხნით ქალბატონის წინ სინით დაედგა დაბრაწული ქადები და სინი ცარიელი რომ დაუხვდა, გაოცდა.

ატყდა ოჯახში დიდი აურზაური: ვინ ახლო ხელი, ვინ წაიღებდა ამოდენა ქადებს, კატები ვერ წაიღებდნენ, რადგან სალომესაგან ამოწყვეტილი იყვნენ, ძაღლის ხსენებაც არემარეზე არ მოიძებნებოდა.

თიკო გაბუნჩული იჯდა ღობის ძირას და ხმას არ იღებდა. ბევრი გამოძებნის და დაკვირვების შემდეგ სალომემ გადაწყვიტა, რომ თიკოს ამბავია, მისი წაღებულია და დაუწყო წყრომა და მუქარა, რომ

კვლავ თვალით არ დაანახვებს ქადებს, რომ წუწკობაა ამოდენა ქადების შეჭმა. დედაც ძალიან გაუწყრა.

თიკო გაკერპდა, თავს დამნაშავედ არა სთვლიდა და დაიწყო გულამოსკვნით ტირილი.

დედამ ჩაიკრა შვილი გულში და რომ ვერა გზით ვერ დააჩუმა, უთხრა:

— შვილო, რაც იყო იყო, რაღასა ტირი.

თიკომ ქვითინით წამოიძახა:

— ექვსის მეტი არ იყო! მეშვიდეს არ ერგო!

როგორ ვილხინეთ!*

ჩვენ, რამდენიმე ამხანაგი, ყოველდღე თავს ვიყრიდით ერთ დიდ სახლის ეზოში. აქ ვთამაშობდით, ვლაპარაკობდით და ძალიან სიამოვნებით ვატარებდით დროს. ზოგი ჩვენგანი ამ სახლშივე ცხოვრობდა და ზოგი კიდევ მეზობლად.

სანამ თოვლი არ ჩამოყარა, ქეიფში ვიყავით, მერეც ერთ დღეს თოვლში გვიამა თამაშობა, მაგრამ რაკი აგვიციოდა, თოვლს ქარბუქი მოჰყვა, ძალიან შევწუხდით, რადგან ცას ქვეშ ვეღარ ვრჩებოდით. ვინმე ჩვენიანის სახლში თავისმოყრა კი ძნელი იყო, რადგან ღარიბი ოჯახის შვილები ვიყავით და ჩვენი დედ-მამა თითო-ოროლა ოთახში ცხოვრობდნენ.

ერთმანეთის ნახვა კი ძალიან გვინდოდა, მეტადრე იმიტომ, რომ სკოლებში სწავლა არ იყო. ბოლოს მოვიფიქრეთ, რადგან დღესასწაულები გვიახლოვდებოდა, შობის ხე გაგვემართნა და ცოტა მაინც გავმხიარულებულიყავით. ერთმა ჩვენგანმა, პეტომ წამოიძახა:

— დიდი ხანია ლექსო დამპირდა ნაძვის ხეს. იმას ყოველ წელს ბევრი ნაძვის ხე ჩამოაქვს გასაყიდად. ოღონდ მითხარიო და, რამოდენა ხესაც მოინდომებ, მოგიტანო.

ყველა ამხანაგი გვპირდებოდა ხილს და სანოვაგეს. მეტადრე ვანო გვიქადდა ბევრ ხილს. ბაყლის ერთადერთი შვილი იყო და მამა მისთვის არაფერს არ იშურებდა.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ სახლი? ეზოში ხომ არ დავდგამთ შობის ხეს? — ვუთხარი მე.

---

* ეს ამბავი მოხდა 1905 წელს. ავტორის შენიშვნა.

ამაზე ყველამ ყურები ჩამოყარა. მართლა და სახლი სად უნდა გვეშოვნა! დიდხანს ჩუმად ვიყავით.

ბოლოს ვანომ კრძალვით წამოიძახა:

— თუ არ გამცემთ, ერთ რასმე გეტყვით. აი, ზემოთ შვიდი-რვა მორთული ოთახი რომ ცარიელია, იქნება იქ შეგვიშვან. მისი პატრონები გაიქცნენ სხვა ქვეყანაში. ეს ოთახები მამაჩემს ჩააბარეს. ახლა თქვენ იცით, მე კი ნუ გამცემთ.

ეს ყველას ჭკუაში დაგვიჯდა. ერთ წამს ერთმანეთში მოვილაპარაკეთ და დავიშალეთ.

სადილობის დროს ვანოს მამა რომ ეზოში შემოვიდა და ის იყო უნდა ასულიყო თავის კიბეებზე, ერთბაშად გარშემო შემოვეხვიეთ და დავუწყეთ ხვეწნა-მუდარა:

— ნათლიავ, ჩვენო ნათლიავ, კეთილო მამობილო, გვიშოვე მანდ ზემო სართულში პატარა ოთახი, გვინდა შობის ხე გავმართოთ. ვანო ნუ მოგიკვდებათ, ხელი შეგვიწყვეთ.

და ისე ჩაციებით ვეხვეწებოდით და გზას ვუკრავდით, რომ ოჰანეზამაც არაჩვეულებრივი გულჩვილობა გამოიჩინა და ტკბილად გვითხრა:

— თქვე ლაწირაკებო, ე გზა მომეცით, დაღლილი კაცი ვარ, გამიშვით, ავიდე ჩემ ბინაზე. მოვიფიქრებ, ვნახოთ, პასუხს ვანო ჩამოგიტანთ, ოღონდ ახლა გამიშვით, თავი დამანებეთ.

როგორღაც იმედი მოგვეცა და ჩამოვეცალეთ. ვანო აჰყვა მამას და თან თითებით გვანიშნა, რომ ოთხ საათზე თავი ისევ მოგვეყარა.

დანიშნულ დროზე ეზოში მოვგროვდით და ვანომაც პასუხი ჩამოგვიტანა.

— დედამ ძალიან გვიშველა, — ამბობდა ვანო, — მამაჩემს ასე უთხრა: რა პეპლები დასცვივა ოთახებს, დიდი საქმეა თუ ყმაწვილებმა ერთ საღამოს დრო გაატარეს, თვალი გაახილესო. ჩემი გოგოებიც, დედა იმათ ენაცვალოს, იმხიარულებენო. ასე, რომ სასადილო ოთახი მოგვცეს. რაც გასატეხი და ძვირფასი ნივთია იმ ოთახში, სხვაგან გაიტანეს და ყველაფერი კარგად მოეწყობა, მხოლოდ ერთი რამე მაწუხებს: მე ვიცი, რომ ჯილდა მოსეენებას არ მოგვცემს, ოთახებთან ახლოს არ გაგვატარებს. საბრალო ძაღლი ეჰ დატოვეს იმ უღმერთოებმა. საწყალი ნაღვლობს და ჯავრით ლამის გადაგვყლაპოს. დაჩვეულია კაი ცხოვრებას, კაი ჭამა-სმას. მართალია მისი შესანახი ფულიც დატოვეს, მაგრამ მამაჩემი აღარას დაუკლებს, ამ სიძვირეში ყოველდღე ხორცს მიართმევს. მაგრამ რაკი ოთახი ვიშოვეთ, ამაზე არც კი ღირს ლაპარაკი.

ამ დღიდან შევუდექით სამზადისს. ავრბოდით და ჩამოვრბოდით

ამ მაღალ კიბეებზე, რასაკვირველია, იმ დროს, როდესაც ოჰანეზა შინ არ იყო ხოლმე. ჯილდაც შეგვეჩვია, ერთხელ, ორჯერ დაგვყეფა და მერე, თითქოს გაერთო კიდეც, სულ უკან დაგვდევდა. პეტომ მოათრია კარგა მოდიდო ნაძვის ხე, ტკბილეულობა ბლომად ვიშოვეთ. აუარება ვაშლი და ხმელი ხილი გვქონდა სტუმრების მისართმევად. სანთლებიც ვიყიდეთ. ყველა ჩვენგანმა დები და ნაცნობები დაჰპატიჟა. შობის დღეს დილით შუა ოთახში მაგიდაზე დავდგით ხე და მშვენივრად მოვრთეთ, გამოვიხურეთ კარი და გამოვედით.

საღამოზე მხოლოდ შობის ხის გაჩაღება დაგვჭირდებოდა და სტუმრების მიღება. ვანოს დედა და პატარა დები ყველაფერში ძალიან გვეხმარებოდნენ.

დანიშნულ დროზე, თითქმის ყველა ერთად, სტუმარ-მასპინძლები მივადექით კარებს. შევაღეთ და ნურა თვალმა ნუ ნახოს, რაც ჩვენ სანახავი ვნახეთ! ოთახში დამალული ჯილდა იდგა მაგიდაზე და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გლეჯდა ხის მორთულობას, ტკბილეულობას და თვით ნაძვის ხის ტოტებს.

გაშფოთებულებმა შევჭყივლეთ. ჩვენს ხმაურობაზე ჯილდა ერთი უცნაურად მოტრიალდა, გადააბრუნა ხე, ზედ თაეზე დაგვახტა და გაიქცა.

ცოტა ხანს ერთმანეთს ნაღვლიანად შევცქეროდით. მერე კი ხე ისევ წამოვაყენეთ, საჩქაროდ მოვრთეთ და დავიწყეთ მის გარშემო ცეკვა და ტრიალი, თან გავიხსენებდით თუ არა ჯილდას ამბავს, ვიცინოდით და ვკისკისებდით.

თინა ტუვეოგაში

თინა ცრემლებით იღვრებოდა. დედა ამის მეტად არ მოშორებია. ახლა სადღაც წამლობისათვის წავიდა და პატარა თინა ბებია სალომეს ჩააბარეს. ბებია სალომე ამშვიდებდა თავის გოგონას, სათამაშოებს ჰპირდებოდა და ბოლოს სააგარაკოდ გაემგზავრნენ. თინა რომ მიიყვანეს ახალ ბინაზე, ცოტა გამოცოცხლდა. აგარაკი მშვენიერ ადგილზე იყო ამართული, ხშირი ტყე ედო გვერდით. სამი ლამაზი ოთახი სამზარეულოთი გარშემორტყმული იყო ღობით.

ბებია სალომეს მოსამსახურედ ჰყავდა მოხუცებული ქალი ეფრო, რომელიც მთელი დღე მუშაობდა: სადილს ამზადებდა, ჰგვიდა, სწმენდავდა, უვლიდა მოუძლურებულ და ავადმყოფ სალომეს და თვალყური ეჭირა — თინა ეზოს არ მოშორებოდა, შორს არსად წასულიყო.

პატარა, ექვსი წლის თინა ჯერ კმაყოფილი იყო აგარაკით, გულს ოჯერებდა ეზოში თამაშობით, თავის დედოფლებს ხუხულებს უშენებდა, ასეირნებდა მათ, ბაღს უკეთებდა, შიგ ხეებს რგავდა. მაგრამ მალე მობეზრდა ამგვარი დროს გატარება და სულ ტყისაკენ გაიყურებოდა. აქ თუ ერთ პეპელას გამოუდგებოდა, აქ თუ ერთ-ორ ჩიტს დაინახავდა — იქ, ტყეში რამდენი იქნებოდნენ, რა მხიარულება უნდა იყოს. მართალია ისიც იცოდა, იქ ნადირი ბევრი უნდა ყოფილიყო, ავაზაკებიც უსათუოდ ბლომად იქნებოდნენ და ბავშვს შიშის ზარი სცემდა.

* *

ერთხელ, სადილის შემდეგ, თინა მარტო დარჩა. ბებიამ დაიძინა, ეფრო სამზარეულოში შევიდა ჭურჭლის დასარეცხად და თინას დაუბარა:

— არამც და არამც ეზოდან ნუ გახვალ, საშიშია, აქ ითამაშე. აი, დაიჭი ეს ორი ქადა და კამფეტები.

თინა დაჯდა ღობის ძირას და მოჰყვა დედოფლის მორთვას.

ამ დროს ღობეს მოუახლოვდა ერთი პატარა ბიჭი, მას მხარზე უჯდა ერთი ციცქნა მაიმუნი.

— პატარა ქალბატონო, მაიმუნს ვათამაშებ, ორიოდ გროში მაჩუქე.

თინას გაეხარდა, მაშინვე გაუწოდა ვერცხლის ორშაურიანი. ბიჭმა ჩამოსვა ძირს მაიმუნი, დაიწყო სიმღერა და მაიმუნზე მობმულ თოკს აქეთ-იქით სწევდა. მაიმუნი მოჰყვა ხტუნვას და ცეკვას. თინას მოუნდა მაიმუნის ახლო ნახვა და გამოვიდა ეზოდან. მაიმუნი ძალიან ლამაზი, ჩუმი და მოალერსე იყო. თინას ხელიც კი გაუწოდა გამოსათხოვრად. ბიჭმა მადლობის ნიშნად თავი დაუკრა, მაიმუნი შეისვა ისევ ზურგზე და გზას გაუდგა.

* *

თინა დარჩა ღობის გარეთ. დიდხანს გაიყურებოდა აქეთ-იქით, ბოლოს გაიღიმა და თავისთვის თქვა:

— მერე რა არის აქ საშიში... დახეთ, აქ რამდენი ყვავილები ყოფილა. ბებიას მოვუკრეფ, როგორ გაეხარდება! — და თინა მოჰყვა მხიარულად ყვავილების კრეფას. მერე უცბად თვალი მოჰკრა მშვენიერ ყვითელ წინწკლებიან შავ პეპელას. გამოუდგა მას დასაჭერად. ის იყო ხელი უნდა მოეკიდნა, რომ პეპელა აფრინდა და სხვა ყვავილ-

ზე დაჯდა. თინა გაეკიდა პეპელას, ის კიდევ უფრო შორს გაფრინდა. თინა თავს არ ანებებდა, ისე რომ, ას ნაბიჯზე მოშორდა თავის აგარაკს.

თინამ მიიხედა უკან. მათი სახლი ისევ მოჩანდა, რისა უნდა შეშინებოდა და განაგრძო პეპელას დევნა. ბავშვი უკვე ტყეში გაჩნდა. უცბად მოესმა რაღაც შრიალი. თინა შიშით გაშრა. ბუჩქებიდან გამოვარდა ნაცრისფერი დიდი კურდღელი და ყურებაცქვეტილი შედგა მის წინ. კურდღელი დააცქერდა თინას, მერე თითქოს რაღაც გაიფიქრა, ყურები შეიბერტყა და წყნარად, ლასლასით გაუდგა გზას.

— მე მეპატიჟება, უსათუოდ აქ ახლომახლო სორო ექნება, მისი ოჯახი იქ იქნება.

კურდღელი ჯერ ნელა-ნელა მიდიოდა, თინას თვალს არ აშორებდა, მერე ფეხი აუჩქარა, თინა გამოუდგა. კურდღელს შეეშინდა. მოჰკურცხლა და მერე ისე, რომ მისი კვალი აღარ ჩანდა. თინა საშინლად მოიღალა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა შუბლზე.

— საძაგელი კურდღელი! აკი არ მომღალა! — თქვა გულნაკლულად თინამ.

• •

თინამ გარშემო მიიხედ-მოიხედა, შეეშინდა. მათი სახლი აღარსაიდან მოჩანდა. მის გარშემო ბუჩქები და ხეების მეტი არა იყო რა. სიჩუმე სუფევდა. მოისმოდა მხოლოდ ფოთლების შრიალი და შორიდან ფრინველების ჭიკჭიკი.

თინა შედგა ერთ დიდ მუხის ძირას, თვალებზე ცრემლები მოადგა, ხმამაღლა დაიწყო ტირილი, მერე ყვირილს მოჰყვა:

— ბებიავ, აი ბებიავ! სადა ხარ, ჩემო ეფრო, მოდი ჩემთან!

თინა უფრო შეშინდა, როდესაც უცბად ხის ტოტების ტკაცატკუცი მოესმა, ვიღაცის სუნთქვა და იმავ წუთს ხიდან ვიღაც ჩამოხტა. თინასთან მივიდა და სასტიკად შეჰყვირა:

— დაჩუმდი, შე უბედურო! არ გაგვიგონ, არ გვიპოვონ!

თინა შიშით კანკალმა აიტანა, ხმა ჩაკმინდა. მოიხედა, მის წინ იდგა წითელი წოწოლა ქუდით ყმაწვილი, ხელში ეჭირა ვერცხლით დაფერილი ხმალი და მხარზე თოფი ჰქონდა გადაგდებული.

თინამ ძლივს მოახერხა წამოეძახა — ვინა ხარ?

— მე განთქმული ავაზაკი საიდ-ალი ვარ! ნუ სტირით, არ გაგვიგონ! თქვენ ახლა ჩემი ტყვე ხართ.

თინა შეკრთა, დაიწია უკან, მერე ცოტა დამშვიდდა და თქვა:

— თქვენ ავაზაკი ხართ? ეგ შეუძლებელია!..

— მე ნამდვილად ავაზაკი ვარ, საიდ-ალი! — შეუპოვრად წამოი-

ძახა ყმაწვილმა, — და აი აქ, ამ მიყრუებულ ტყეში, ამ ხეზე ვცხოვრობ!

— მაგას რას ამბობთ! ხეზე ცხოვრობთ? — გაკვირვებით დაეკითხა თინა, — მერე დიდი ხანია, რაც მაგ ხეზე ცხოვრობთ?

— არა... დიდი ხანი არ არის... — შეკრთა ავაზაკი. — მე აქ ვარ... დღეს დილიდან... სახლიდან გამოვიქეცი, მომბეზრდა გაკვეთილების მომზადება, ამოცანების გაკეთება, სწავლა... აქ კი თავისუფლად ვიცხოვრებ, არაფერს არ გავაკეთებ... დავეცემი ხოლმე გამვლელ-გამომვლელებს... აი, დღეს ხომ შენ ჩაგიგდე ხელში.

თინა თრთოდა, შიშით აქეთ-იქით გაიყურებოდა.

— მერე რას მიზამთ? — კრძალვით წაიბუტბუტა თინამ.

— მე შენ გაგცარცვავდი, მოგკლავდი... მაგრამ მებრალები. ეს არის ახლა ხომ გადაგარჩინე საშინელ ნადირს... ხედავ, რა მოწყალე ვარ! დეე, იცოცხლე, ჩემი ამხანაგი გახდი, მე შენ მფარველობას გაგიწევ... უჰ... რანაირად მომშივდა...

თინას მოაგონდა, რომ ჯიბეში ქადები უწყვია.

— თუ გნებავთ, — უთხრა მან მორიდებით, — ქადას მოგცემთ.

— მომე... მომე ჩქარა... — წამოიძახა გახარებულმა „ავაზაკმა".

— მე კამფეტებიცა მაქვს.

— ეგეც მოიტა... ჩვენ მშვენივრად ვისადილებთ.

ყმაწვილები დასხდნენ მუხის ქვეშ და მოჰყვნენ ჭამას.

— თქვენი აგარაკი სად არის? — ჰკითხა თინამ.

„ავაზაკმა" საიდ-ალიმ მედიდურად აიწია მხრები.

— რა აგარაკს კითხულობ? ჩემი ბინა შორს არის, ათასი ვერსის სიშორეზე. მე დილიდანვე წამოვედი. ათასი ვერსი გადავიარე და გავჩნდი აქ, ამ გაუვალ ტყეში, ყველასაგან მოშორებული.

თინამ თვალები დააჭყიტა...

— როგორი ჩქარი და ბევრი სიარული გცოდნიათ, — თქვა მან, — მე რომ ბაღში ცოტა გავიქცე, მაშინვე დავიღლები! მერე არ გეშინიანთ, აქ რომ მარტო ხართ?

— მე თავის დღეში არაფრისა არ შემშინებია, — დიდგულად მიუგო „ავაზაკმა" საიდ-ალიმ.

სადილის შემდეგ პატარა „ავაზაკი" და მისი „დედოფალი" მოჰყვნენ თამაშობას, დარბოდნენ, ერთმანეთს იჭერდნენ. მერე „ავაზაკი" აცოცდა ხეზე და თინას უჩვენა, როგორ მარდად ხტოდა ერთი ტოტიდან მეორეზე, სწორედ თრითინასავით.

ყმაწვილები ძალიან მხიარულობდნენ. დრო სისწრაფით გარბოდა.

მზე ჩავიდა, დასავლეთიდან დაიძრა შავი ღრუბელი, ტყეში ჩამობნელდა, წამოვიდა ბურუსი, უცბად აგრილდა.

— რა მეშველება, — წამოიძახა თინამ, — დაღამდა, ბებიაჩემი უსათუოდ დამეძებს! უნდა საჩქაროდ გავიქცე.

— რას ამბობ, სად უნდა წახვიდე? არ გაგიშვებ! — წამოიძახა შეწუხებულმა „ავაზაკმა“ და თან ხელი მაგრად დაუჭირა, — განა გზა იცი?

თინამ ნაღვლიანად მიიხედ-მოიხედა.

— მგონი, აი იქიდან მოველ! — და გაიშვირა ხელი.

— არა, ნუ წახვალ! — სწრაფად წამოიძახა „ავაზაკმა“, — მენი აგარაკი ახლოს ყოფილა... მე რა მეშველება, მარტო რომ დავრჩე!

თინას საშინლად შეებრალა საწყალი „ავაზაკი“ საიდ-ალი, ის მის წინ იდგა გაშტერებული, დაფანტული, ის იყო ტირილს აპირებდა. ტყეში სულ ჩამობნელდა. შორიდან მოისმოდა ქუხილი... თინა გრძნობდა, რომ ტყეში დარჩენა შეუძლებელი იყო და წამოიძახა:

— იცით რა გითხრათ, ბატონო „ავაზაკო“, წამოდით ჩვენსა. ბებიაჩემი კეთილია და კარგად მიგიღებთ.

„ავაზაკმა“ თავი ჩაღუნა.

— წავიდეთ, — წაიბუტბუტა მან, — მეტი რა გზაა! ოღონდ მარტო ნუ გამიშვებ.

თინამ შინისაკენ გაიხედა და სიხარულით შეჰყვირა:

— დახე, დახე მწვანე სინათლეს, ბებიაჩემის ოთახიდან მოჩანს, მივყვეთ მას.

თინამ მარდად მოჰკიდა ხელი ამ საშიშ „ავაზაკს“ და გაუდგა გზას. ჯერ ასიოდე ნაბიჯიც არ გაევლოთ, რომ ბნელაში მოესმათ ფოთლების შრიალი და ვიღაცის ქშინვა. უცბად წმუკუნით გამოვარდა ბუჩქებიდან რაღაც ბანჯგვლიანი არსება.

— ვაი, ვაი, მიშველეთ, — დაიყვირა „ავაზაკმა“ და მიწაზე პირქვე გაიშხლართა. თინამ კი სიხარულით ტაში დაჰკრა და წამოიძახა:

— ჩემო კადო, კარგო კადო! — და გადაეხვია ბანჯგვლიან არსებას. მერე მიუბრუნდა ყმაწვილს და უთხრა: — ადექით, ბატონო „ავაზაკო“, ეს ბებიას ძაღლია, ჩვენ აღარა გვიშავს რა!

ძაღლი მხიარული ყეფით გაუძღვა წინ ყმაწვილებს. ხან წინ მოექცეოდა, ხან უკანვე დაბრუნდებოდა, თითქოს ეშინოდა, რომ ეს ცუღლუტები არ ჩამორჩენოდნენ, არ გაჰქცეოდნენ.

მალე მიუახლოვდნენ სახლს. თინამ სიხარულით შესძახა:

— ბებია, ბებია, მოვედით, სადა ხარ, ჩემო ეფრო! — და თინა ჩამოეკიდა ბებიას კისერზე.

— ძლივს არა განახე, ჩემო გვრიტო! — წამოიძახა ბებიამ, — არ ვიცოდით, სად გვეძებნე... გვეგონა რამე უბედურება დაგემართა.

— ახ, ბებიაჩემო, რომ იცოდე, მე ტყეედ ვიყავი ავაზაკებთან...—

აღელვებული ხმით ამბობდა თინა, — აი ერთი ავაზაკთაგანი საიდ-ალი მოვიყვანე.

ბებიამ ღიმილით აათვალ-ჩაათვალიერა პატარა „ავაზაკი“ და წამოიძახა:

— შენ ხომ არ დაგეძებენ დილას აქეთია? ჩვენთანაც შემოვიდ-ნენ მოსაკითხად.

„ავაზაკი“ იდგა ბებიას წინ ჩუმად, გაწითლებული, შერცხვენილი.

— წამოდით, ჩაი დაგალევინოთ, ვახშამი გაჭამოთ, — თქვა ბები-ამ, — უნდა შევატყობინო ამ ყმაწვილის დედ-მამას, თორემ საწყლე-ბი დაეძებენ ავდარიც მოდის, ხედავთ!

ჩაბნელებული ტყის შემდეგ რა მშვენივრობა იყო განათებულ ოთახში. „ავაზაკმა“ უკუაგდო მაშინვე თავისი ხმალ-თოფი და თინას მიუჯდა გვერდით. რა გინდა სულო და გულო, რომ სუფრაზე არ იყო.

— რანაირად დამშიებული ვართ.

— ჭამეთ, გაძეხით. კიდევ კარგი, ტყეში გზა არ დაკარგეთ... ნა-დირი ხომ შეგჭამდათ...

ამ დროს შემოვიდა „ავაზაკის“ მამა, მან ბოდიში მოიხადა ბებიას წინ, რომ ასე გვიან მოდის თავისი მოუსვენარი ანცი ბიჭის წასაყვა-ნად.

— მე შენ გიჩვენებ სეირს! — უთხრა მუქარით შვილს.

თინას ეგონა, მამა ცემას უპირებსო, წამოვარდა ზეზე და გადაე-ღობა.

— ხელი არ ახლოთ მაგას. მან გადამარჩინა დიდი, დიდი ნადი-რისაგან... რომელსაც ისეთი დიდი ყურები ჰქონდა, ისეთი...

— არა, ნუ გეშინიან. არაფერს ვერჩი, „ქალბატონო“. თუმცა ღირსი კია ჩემი ვალოდია, რომ დაისაჯოს.

ყმაწვილის მამამ დიდი მადლობა გადაუხადა ბებიას და საჩქაროდ წაიყვანა შვილი სახლში, რომ ავდარს არ მოესწრო.

დიდხანს არ დავიწყებია თინას, როგორ ჩაუვარდა ტყვედ ავა-ზაკებს.

მოლოდინში

დიდი ხანია არ ყოფილა ზემო იმერეთში ამისთანა ხანგრძლივი სუსხიანი ზამთარი. ამ თოვლიანობაში მეტადრე მიუვალი იყო სო-ფელ გარეკანში ფარნაოზის სახლი. ეს სახლი ფრინველების ბუდე-სავით მიკრულიყო ერთ კორდზე და შორიდან ისე მოჩანდა, თითქოს რაღაც ნანგრევიაო და შიგ ყვავ-ყორნის მეტი არავინ ბუდობსო. მაგ-

რამ იქ დიდი ოჯახი ცხოვრობდა და ყმაწვილებს ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ, მეტადრე ახლა, როდესაც დიდი მოლოდინის შემდეგ დღესასწაულები დაუდგათ.

დიასახლისი მართა ქალაქ ადგილას გაზრდილი ქალი იყო და ქალაქის კვალობაზე ბავშვები დაჩვეული ჰყავდა შობის ხის გამართვასის თავის შვილებთან ერთად სოფელში ზრდიდა ობოლ დისწულებსაც, ისე რომ ბავშვები ბლომად იყვნენ და მხიარულად ატარებდნენ დროს. ახლა, როდესაც მოახლოვდა ახალწელიწადი, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისინი წამდაუწუმ ეკითხებოდნენ მართას:

— დედილო, დედილო, მე ხომ შაქრის ანგელოზს მაჩუქებ?

— მე ალ მინდა ანგელოზი, — ეუბნებოდა სულ პატარა, — მე ცხენი მაჩუქე, ცხენი.

— მე დედოფალა მინდა, უსათუოდ დედოფალა! — ყვიროდა პატარა გოგონა.

ბოლოს მიეალერსა პატარა ნიკოც და უთხრა:

— მე წიგნი მიყიდე, დედიდავ! — და ასე ხან ერთი ჩამოეკონწიალებოდა კისერზე მართას და ხან მეორე.

მართას გული ეთუთქებოდა, რადგან გზა და კვალი არსად იყო. რომ ეყიდვინებინა შობის ხისათვის მორთულობა, ტკბილეულობა და საჩუქრები. არც ფული შეესწრო, დიდმა ზამთარმა ყველას ზარალი მისცა.

ფარნაოზიც საშინლად მოუსვენრად იყო. გაყიდული სიმინდის ფული არ მოუტანეს, ფულისათვის გაგზავნილი კაციც აქამდის არსადა ჩანდა.

— ნამქერმა ხომ არ დამიხრჩო ის კაცი! — ამბობდა შეწუხებული ფარნაოზი. — ყმაწვილები დამრჩებიან გაუხარებელი ახალწელიწადს; რა გრჯიდა, ქალო, რად დააჩვიე ბავშვები მაგ შობის ხეს! ახლა ხომ შენ თვითონ იტანჯები, რომ ვერ უმართავ. რა სჯობდა ჩვენ ძველ ჩვეულებებს. რა ამბით ვეგებებოდით ახალწელიწადს: გოზინაყებით, ტკბილიკვერებით, ნაზუქებით და სხვა. შობის ხე და შობის ხე! ახლა სულ იმას გაიძახით. ესეც შენი შობის ხე. — აყვედრიდა თავის მართას დაღონებული ფარნაოზი.

უცბად მოისმა ბავშვების ტირილი. დედ-მამა გავარდნენ შესატყობად, თუ რა მოხდა. პაწია ბავშვები მოეხვივნენ მართას და გულამოსკვნით სლუკუნებდნენ:

— ნიკომ გვითხრა, რომ წრეულს შობის ხე აღარ გექნებათო. მართალი არის განა, დედავ?

დედ-მამამ დაიმედეს ბავშვები. თანაც ძალიან შეწუხებულნი ცდილობდნენ გული რამეზე გადაეყოლებინათ.

საღამო ჟამი იყო. დაღონებული მართა ფანჯრიდან გადასცქეროდა ღელეს. ქარს გაჰქონდა ზუზუნი, ხვეტავდა თოვლს და ძირს გზაზე ჩაჰქონდა. ხანდახან მართას ეჩვენებოდა, რომ თოვლთან ერთად მისი ხის სახლიც ძირს, მდინარისაკენ მიექანებოდა. დაღვრემილი ფარნაოზიც მიმჯდარიყო კუთხეში და ჩიბუხს ეწეოდა. ქარის ერთგვარი კულშემზარავი ზუზუნი მას ტანში ჟრუანტელს ჰგვრიდა. მაგრამ კდილობდა თავი შეეკავებინა, მაგრად ყოფილიყო. ორივე ცოლ-ქმარი თითქოს რაღაც უბედურობის მოლოდინში იყო. ამიტომაც როდესაც გამდელი ფეხაკრეფით ოთახში შემოვიდა, ერთხმად შესძახეს:

— რა ამბავია! ავად ხომ არავინ არის?

— მარიკოს ყელში უჭერს, ძლივსღა სუნთქავს!

ცოლ-ქმარი გაფითრებულნი შევარდნენ ბავშვების ოთახში. დაბედეს თუ არა ბავშვის გაწითლებულ ლოყებს, ატკრეცილ სახეს, მიხვდნენ, რომ მას დიდი სიცხე ჰქონდა. ამისთანა უცები გავარვარებული სიცხე და ყელში ხრიალი იცის მხოლოდ ხუნაგმა. ცოლ-ქმარს შიშით თავზარი დაეცათ. საჭირო იყო საჩქაროდ ექიმი, მაგრამ ამისთანა საშინელ ავდარში ექიმის მოყვანა შეუძლებელი იყო. დედ-მამამ მოიკრიფა გონება, მონახეს წამლები და ფრთხილად, დაფიქრებით მოჰყვნენ ავადმყოფის წამლობას. მთელ ღამეს არ მოშორებიან საყვარელ შვილს, თვალს ადევნებდნენ ყოველ მის ცვლილებას და იმედს არ ჰკარგავდნენ, რომ ბოლო კეთილი იქნებოდა.

ქარს ისევ ისე გაჰქონდა ზუზუნი, დრო ნელ-ნელა გადიოდა, დედ-მამა თვალს არ ხუჭავდა, ბავშვის ქვეშაგებს არ შორდებოდა. გამდელსაც კუთხეში თვლემდა.

დილით ყმაწვილებმა თითო-თითოდ დაიწყეს გაღვიძება. ერთ წამს ატყდა ხმაურობა; ხან ერთი უძახდა გამდელს, ხან ნეორე. ფარნაოზი ყველასთან სათითაოდ მიდიოდა და დაბალი ხმით ატყობინებდა მარიკოს ავადმყოფობას. ისინიც ნელა-ნელა იღებდნენ ხელში ტანისამოსს და ფეხაკრეფით გადიოდნენ მეორე ოთახში პირის დასაბანად და ტანთჩასაცმელად, რომ ხმაურობით არ შეეწუხებინათ საყვარელი ავადმყოფი.

„დედას და მამას მთელ ღამეს არ დაუძინიათ, ალბათ, ჩვენი მარიკო ძალიან ავად არის“, — ჩურჩულებდნენ ყმაწვილები. ისინი კუთხე-კუთხე დადიოდნენ და ჩუმჩუმად ქვითინებდნენ. ყველაზე მეტად პატარა ექვსი წლის სანდრო წუხდა, სულ იმას გაიძახოდა:

— ფუფუა ტკივა ჩემ მარიკოს, ფუფუა.

ქარი წამს ჩავარდებოდა და წამს უფრო ძალოვანად გაჰქონდა ზუილი და ვაი -ვაგლახი. დაღამდა. ქარიშხალი უფრო ამოვარდა. ყმაწვილიც უფრო შეწუხდა. ხრიალებდა, სიცხით იწოდა, სულს ვე-

ღარ იბრუნებდა. ასე გაიარა ღამემ. გათენებამაც არაფერი ცვლილება არ მოახდინა. თითქოს სინათლემ უფრო უწყალოდ დაანახვა დედ-მამას ავადმყოფი მარიკოს მდგომარეობა.

მართა ძლივს იდგა ფეხზე. დაღონებული გამოვიდა ოთახიდან და შევიდა პურის საჭმელ ოთახში. ფარნაოზიც უკან გაჰყვა, თითქოს ბავშვის ტანჯვის ყურება ვეღარ შესძლეს. ქმარი რაღასაც ბუტბუტებდა. ამ დროს შემოვარდნენ ოთახში ყმაწვილები და რა დაინახეს შეწუხებულნი, დაიწყეს ერთხმად ტირილი. ამის დანახვაზე ფარნაოზმაც ვერ შეიკავა ცრემლები.

შუადღისას ქარი ჩავარდა, გამოიდარა. მზის შუქმა გამოანათა. ახლა კი შეიძლებოდა ცხენიანი კაცის გაგზავნა ექიმზე. მაგრამ ამ ოჯახს ბედმა გაუღიმა. არ დასცალდათ ექიმზე გაგზავნა, ის თვითონვე მოადგა მათ კარს. მეზობლად ყოფილიყო და ნათლულების სანახავად მოსულიყო.

მთელი ოჯახი აღტაცებით მიეგება მეგობარ ექიმს. მან შეხედა თუ არა ავადმყოფს, გაიღიმა.

— რაო, განა ხუნაგი არ არის?

— სწორედ ხუნაგია. მაჩვენეთ, სიცხე ვუნახო. თქვენ კარგად გიწამლიათ ჩემი მარიკოსათვის, სიცხეც თითქმის გამონელებია. წაბრძანდით, ბატონო მართა, მოისვენეთ, დამშვიდდით, მარიკო უკეთ არის.

მართა გავიდა დასაძინებლად. ყმაწვილები აუვარდნენ ქვეშაგებზე, ჩაეხუტნენ მას და ყველამ ერთად ტკბილად დაიძინა.

მეორე დღეს იყო ახალწლის წინა ღამე. მარიკო ისე კარგად გახდა, რომ ქვეშაგებზე წამოჯდა და როცა ჰკითხავდნენ: გტკივა რამეო, უპასუხებდა:

— ალაფელი, ალაფელი.

საღამოზე მთელმა ოჯახმა თავი მოიყარა იმ ოთახში, სადაც შარშან და შარშანწინ ედგათ საშობო ხე. ახლა მხიარულად შეექცეოდნენ ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს, ტკბილ-კვერს, გოზინაყს და სხვა შინაურ ხილს და ისე მოხარულნი იყვნენ თავიანთ საყვარელ მარიკოს კარგად ყოფნით, რომ არც კი აღარავის მოჰგონებია შობის ხე.

გაკვეთილს ვსწავლობდით!

ლექსო და რეზო არეულობის გამო დედ-მამამ ბაქოდან თბილისში ჩამოიყვანა. თბილისში ბინის შოვნა გაუჭირდათ. ქალაქს ყოველ მხრიდან დიდძალი ხალხი მოაწყდა. ახალ ჩამოსულები იძულებული

გახდნენ დაბინავებულიყვნენ ორ ოთახში, ისეთ სივიწროვეში, სადაც ყმაწვილები თავისუფლად ვერ ითამაშებდნენ, ვერ ივარჯიშებდნენ. შედარებით ბაქოს ბინის დიდრონ აივნებსა და ხეებით შემკულ ფართო ეზოსთან, რასაკვირველია, აქ, ქალაქში ერთ მტკაველ ეზოში, სულს ვერ მოიბრუნებდნენ.

ზამთარმაც მოაღწია. ლექსო და რეზო ცოცხალი ხასიათის ბავშვები იყვნენ და ვერ ურიგდებოდნენ გარემოებას: ხან სად გაიქცეოდნენ და ხან სად, უცხო ქალაქის დასათვალიერებლად. ბავშვების მამა საქმეებში იყო გართული და სულ ქალაქგარეთ იმყოფებოდა. დედა კი სულ იმ ზრუნვაში იყო, რომ ყმაწვილები დროზე სადმე სასწავლებელში დაებინავებინა და დიდი გაჭირვებით იკავებდა მათ სახლში.

ამ ფხიზელ და დაუდგრომელი ბავშვების გართობა მხოლოდ ნაცნობებს შეეძლოთ. ხან ერთი ეწვეოდა მათ და უცნაურ ამბებს მოუყვებოდა და ხან მეორე. მეტადრე რეზო სმენად იყო ხოლმე გადაქცეული და გაგონილი ამბები მოსვენებას არ აძლევდა.

მათი ბიძაშვილი, ჯარისკაცი ნიკო ხშირად მოუყვებოდა ომის ამბებს. ბავშვები გატაცებით უგდებდნენ ყურს, როდესაც ის უამბობდა ტყვიის მტყორცნელებზე, როგორ შეასწავლეს ინგლისელებმა მაიმუნებს სროლა. ლექსო და რეზო გაწითლებულნი და აღელვებულნი პირდაღებული შესცქეროდნენ თავის ბიძაშვილს და სხვადასხვა კითხვით საქმეს უჭირებდნენ.

ერთხელ მათთან შემოვიდა ერთი ნაცნობი, ბაქოდან გამოქცეული ქალი და შეწუხებით წამოიძახა:

— იცით, რომ წუხელ ჩვენი ალექსანდრე გაქურდეს? გაიტაცეს დიდი ძალი ფული, რაც სახლში თვალსაჩინო ნივთები ჰქონდა, წაიღეს!

ქალს ყველანი მოეხვივნენ და დაუწყეს დაწვრილებით გამოკითხვა.

ქალმა ხმის კანკალით დაიწყო:

— საღამოზე, როდესაც ყველანი, დიდი და პატარა ჩაის მაგიდას უსხდნენ, ერთბაშად, თურმე შეეიდა ხუთი-ექვსი კაცი, ნაბდებწამოსხმული, ყაბალახმოხვეული. ხელში ყველას სჭერიათ თოფები, დამბაჩები, ყუმბარები. დიდად ზრდილობიანად, თურმე, მიუახლოვდნენ ყველას და უთხრეს: ადგილიდან არ დაიძრათ, ხმა-კრინტი არ ამოიღოთ. ჩვენ გვინდა ფული და ნივთები, წინააღმდეგობა არ გაგვიწიოთ, თორემ დაგხოცავთო.

ლექსო და რეზო თვალებდაჭყეტილნი გაოცებულნი შესცქეროდნენ ქალს.

— ყველაფერი წაიღეს, არავინ არ დაძრულა ადგილიდან, ისევ ისე დამუნჯებულნი მაგიდას უსხდნენ, — განაგრძო ქალმა, — ყაჩაღებმა ჩაილაგეს ყველაფერი ჯიბეებში და რევოლვერების დამიზნებით ფეხაკრეფით გავიდნენ ოთახიდან.

— მერე, მერე! — წამოიძახეს ბავშვებმა, — არავინ გამოუდგა, არ დაიჭირეს?

— როგორ გამოუდგებოდნენ, იმათ კარები გარედან გადაკეტეს.

იმ საღამოს ბავშვები მოუსვენრად იყვნენ. თუმცა ცდილობდნენ დამშვიდებას, არ უნდოდათ ლაჩრობა გამოეჩინათ და მოუსხდნენ მაგიდას გაკვეთილების მოსამზადებლად.

დედამ რომ შვილები დამშვიდებული ნახა, გადაჰკოცნა და ცოტა ხნით სხვაგან წავიდა. ბავშვებმა კარები დაკეტეს. თუმცა ყმაწვილები წიგნებს მიუსხდნენ, ცდილობდნენ დაწყნარებულიყვნენ, მაგრამ ბაქოელი ქალის ნაამბობი თავიდან ვერ მოეშორებინათ.

ოთახში სრული სიჩუმე გამეფდა. მხოლოდ ბავშვები ხმამაღლა კითხულობდნენ გაკვეთილს... თანდათან მიწყნარდა მათი ხმა... დრო გადიოდა...

უცბად გაიღო კარი, შემოვიდა ოთხი-ხუთი კაცი ნაბდებით და ყაბალახებით, ყველას სათითაოდ თოფები ეჭირა ხელში, რეზომ თითქოს ყუმბარაც დაინახა. ბავშვები შეშინებულნი შესცქეროდნენ შემოსულებს, თრთოდნენ...

რეზომ წაიბუტბუტა: ყაჩაღები, ყაჩაღები.

ლექსომ პირზე ხელი მიაფარა: გაჩუმდი, არ მოგვკლანო.

— არ დაიძრათ, თორემ დაგხოცავთ, ხედავთ, ამ რევოლვერს. — ერთი ყაჩაღი მათთან დადგა, სხვებმა დაიწყეს აკლება, თარეშობა.

— გვითხარი ახლავე, სადა აქვს დედაშენს შენახული ფული, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთ.

ბავშვები შიშით კანკალებდნენ. უნებურად იყურებოდნენ იმ მაგიდისაკენ, სადაც დედა ფულს ინახავდა. ყაჩაღებმა შეასწრეს თვალი, მივარდნენ მაგიდას და დაიწყეს იქიდან ყველაფრის ამოლაგება.

რეზომ წაილულლუღა: ხვალ უსადილოდ ვიქნებით, დედას ფული აღარ დარჩება.

ყაჩაღები მერე, მივარდნენ კარადას და გამოალაგეს ვერცხლეულობა. რეზომ კოვზები დაინახა, უცბად წამოიძახა: ხვალ ვეღარც ჩაის დავლევთ.

ლექსომ ფეხი წაჰკრა: დაჩუმდიო.

ყაჩაღები მერე მივარდნენ წვრილმან ნივთებს, ჯიბეში ილაგებდნენ.

— ხედავ, ბიძიას ნაჩუქარი „ნაპოლეონი“ ჯიბეში ჩაიდეს, — წასჩურჩულა რეზომ ძმას.

— სუ. სუ ხედავ, მამიჩემის ნაჩუქარი ვერცხლის რაინდიც მოიპარეს.

მერე ყაჩაღები დიდი ხმაურით გაეშურნენ კარებისაკენ. მოისმა კარის რახუნი...

ხელახლა მოისმა კარის მძლავრი რახუნი. ბავშვები წამოხტნენ, თვალების ფშვნეტა დაიწყეს, მიიხედ-მოიხედეს: ისინი ისევ თავიანთ მაგიდას უსხდნენ. მოესმათ დედის ხმა:

— რა დაგემართათ, შვილებო, რატომ კარს არ მიღებთ?

ლექსო წამოვარდა, დედას კარი გაუღო და თან აქეთ-იქით რეტიანივით იცქირებოდა.

დედა გაოცებული ეკითხებოდა: რა მოგვიდათო.

— გაკვეთილს ვსწავლობდით! ღმერთმანი, გაკვეთილს ვსწავლობდით, — დაიწყო სხაპასხუპით რეზომ... — შემოვიდნენ თოფებით ყაჩაღები, აგვიკლეს. ლექსომ ხმა არ ამომაღებინა, მოგვკლავენო, თორემ მე მინდოდა მუშტით მომეგერებინა ისინი.

და რეზო მოუყვა დედას ყაჩაღებზე.

დედამ გულში ჩაიკრა შეშინებული ბავშვი. დაუწყო ალერსი, დამშვიდება და უთხრა:

— წიგნების კითხვაზე ჩაგძინებია და ყველაფერი დაგსიზმრებია.

რეზომ დაინახა, მართლაც, ლექსოს ვერცხლის „რაინდი“ ისევ თავის ადგილას, პიანინოს თავზე მისი „ნაპოლეონიც“ ისევ თავის ადგილას იდგა. მაგრამ რეზო დიდხანს ვერ დამშვიდდა და სულ გაიძახოდა: გაკვეთილს ვსწავლობდით, გაკვეთილს, ყაჩაღები რომ შემოვიდნენ. არც ლექსოს სძინებია მოსვენებით და აქამდის ვერ მოსულიყო გონს.

დედა კვლავ ამშვიდებდა ბავშვებს და უხსნიდა, რომ იმათ ქალის დილანდელი ნაამბობი ჩაჰყოლიათ გულში და ის ესიზმრათ.

ყურძენი დამწიფდა

რა სიხარული იყო ჩვენთვის შემოდგომა! ვიღას აგონდებოდა სწავლა. მოუთმენლად მოველოდით ყურძნის დამწიფებას და ერთობ

გავიძახოდით: „როდის გვექნება რთველი, ნეტავი მალე დამწიფდეს ყურძენი!“

საქმელი ყურძენი მარიამობისთვეშივე გვქონდა ხოლმე. მამამ სახლის წინ ბაღში განგებ ჩაყარა ვაზი, რომ ზვარი არ აგვეკლო.

მართალია, ყურძენი ყველას ძალიან უყვარს, მაგრამ ჩვენი საქმე რაღაც საოცარი იყო, ოღონდ ყურძენი დაგვენახა, მეტადრე ბუდეშური — სულ ერთიანად გადავირეოდით. სუფრაზე რომ ყურძენს შოიტანდნენ, გარეცხას არ დავაცლიდით, ისე დავიტაცებდით.

ერთხელ მამამ გვიამბო, რომ ექიმები ზოგ ავადმყოფობას ყურძნით სწამლობენო. ერთ მის ბიძაშვილს თურმე დღეში ექვს-შვიდ გირვანქა ყურძენს აჭმევდნენ და იმას ისე შეზიზღებოდა ყურძენი, რომ თვალით დასანახავად ეზარებოდა. ჩემმა ძმამ სანდრომ რომ ეს გაიგო, კბილებს სულ ძაგძაგი დააწყებინა, იმას ვერ წარმოედგინა. რომ შესაძლოა ყურძენი ვისმეს შეზიზღებოდა.

ჩვენი მამაპაპისეული სახლი ქართლში ქვიტკირისა იყო, განიერი აივანი ჰქონდა ქვის სვეტებით. მის წინ გადაშლილი დიდი ეზო კოინდარით იყო შემკული, იქვე იდგა ძველი, ახოვანი ნიგვზის ხე და მის გარშემო ნაძვის და აკაციის ხეები. ეზოს ერთ კუნჭულში ჩვენი ხელით გამართული პატარა ბოსტანი გვქონდა. მთელ დღეებს მე და ჩემი ძმები ამ ეზოში ვატარებდით, აქვე ვთამაშობდით, აქვე ვკითხულობდით წიგნებს. ჩვენ მოჯამაგირე ტიმოთეს გავაკეთებინეთ ქოხი და ამ ქოხში ვინახავდით ჩვენს სამუშაო იარაღს: ბარს, ნიჩაბს. ყვავილების სარწყაეს და სხვას. ხეებზე ჩამოკიდებული გვქონდა საქანელა. დროს ძალიან მხიარულად ვატარებდით, ხშირად ვპატიჟობდით მეზობლის ბიჭებს. ხართუთა და მაყვალი რომ შემოვიდოდა, მაშინ ჩვენი დები ლიზა და თამროც გვეწვეოდნენ. ხელები, ტუჩები, ტანისამოსი სულ ალისფრად გვქონდა შეღებილი და ამ წითელ ფერს ადამიანი ვერაფრით მოაშორებდა ტანისამოსს. დედა ძლიერ გვიწყრებოდა, როდესაც დაგვინახავდა ამგვარად მოთხუპნულებს.

ყველაზე ადრე ხართუთა მწიფდებოდა, თუთაზე დიდი მარცვალი ჰქონდა და მის ხეებქვეშ ყოველთვის სისხლისფერი გუბე იდგა. რადგან ფრინველები რომ კენკავდნენ, ალისფერი წვეთები ძირს ჩამოდიოდა. მაყვალი უფრო მწიფდებოდა ზაფხულის გასულს, მისი ეკლიანი ბუჩქები სულ ჩაშავებული იყო მარცვლებისაგან, ხოლო ხელში რომ ავიღებდით, სიმწიფით გაიჭყლიტებოდა ხოლმე და ალისფრად შეგვიღებდა თითებს.

ჩვენ ხილი არ გამოგველეოდა, სექტემბრის დამდეგს შვინდიც დამწიფდებოდა. მისი ხეები ისე იყო მარცვლებით შემკული, თით-

ქოს ტოტებზე მარჯნის მძივები ჩამოუკიდნიათო. ახალი ნიგოზიც ძალიან გვიყვარდა, თუმცა ძნელი იყო მისი დაკუქვა. სიცილით და კიეინით ჩამოვაყრევინებდით კაკლებს, დაეკროლავდით, დავტეხდით კაკალს და ამოვიღებდით რძესავით გემრიელ ნაყოფს. მაგრამ ძალიან ძნელი იყო მისი დაკროლვა, წენგო ხელებს გვიღებავდა და კარგა-ხანს მათ არ შორდებოდა წენგოსფერი. ხშირად ვანოს თითებზე შე-ვატყობდით, რომ ნიგოზი უჩვენოდ ჩუმად უჭამია. ყველაზე სასია-მოვნო კი არა თუ ჩვენთვის, მამასთვისაც და მთელი ოჯახისთვისაც ყურძნის დამწიფება იყო, რადგან ღვინის შემოსავლით გვედგა სული. რომ შევხედავდი ამ ქარვასავით ყვითელ სავსე მტევნებს, მომაგონ-დებოდა რამდენი ჯაფა და ამაგი ესაჭიროება ვაზის მოვლას.

ვინც მოინდომებს ზვარის ახლად გაშენებას, როგორც მამაჩემმა მიამბო, შემოდგომაზევე მიწა კარგად უნდა გადააბრუნოს, რომ ზამ-თარში ქარმა გაუაროს და დარბილდეს. მერე გაზაფხულზე ჩაჰყრიან ვაზს, ვაზი ყლორტებს გამოუშვებს, მერე ეს ყლორტები პატარა ვა-ზად იქცევა, მათ პატარა სატენებს შეუდგამენ. შემდეგ ისხამს ფოთ-ლებს, კვირტებს, ყვავილს, ისვრიმს, რომელიც ყურძნის მტევნად ხდება. უჰ! რამდენი ჯაფა სდომებია, რომ იცოდეთ, ვაზის მოყვანას! ხან გოგირდს შეასხამენ ვაზს, რომ მავნე მწერებმა არ გააფუჭონ, ხან გაფურჩქვნილ ვაზს ფოთლებს მოაცლიან, რომ მზე კარგად მიუდგეს მტევნებს და მალე დაამწიფოს, დააშაქროს. მაგრამ აქაც საჭიროა მცოდნე ხელი; თუ ფოთლებს მეტს ააცლიან, მზე ადვილად დახრუკავს ყურძენს. საჭიროა აგრეთვე სარების დროზე შეყენება, თორემ მტევნები მიწაზე დაწვება და დალპება. ძირს დაწოლილ მტევნებს სარები დროზე უნდა შეუყენოთ. ამას ჩვენც კარგად ვაკე-თებდით; გავივლიდით თუ არა ზვარში, მაშინვე შევამჩნევდით და-წოლილ ვაზებს და სარებს შევუყენებდით.

— ვანო, რას დაგიღია პირი! კიდევ გაუარე ყურძენს და სარი არ შეუყენი! — დავუყვირე ერთხელ მე, როგორც უფროსმა, ჩემს უმ-ცროს ძმას და შევდექი მიწაზე ერთ დაწოლილ ვაზთან.

— რას მიყვირი, რომ მიყვირი! — მიპასუხა წყრომით ვანომ, — შენ რაღას მიკეთებ?

— ჩვენმა ძმებმა ხელახლა ჩხუბი გამართეს, — თქვა დინჯად ლიზამ, რომელსაც პატარა თამრო ხელმოკიდებული მოჰყავდა. — გზა მოგვეცით, ჩამოგვეცალეთ.

— მობრძანდი, მობრძანდი, ჩინეთის დედოფალო, — ვუთხარი დაცინვით.

— ოჰ, ჩინეთის დედოფალო, ჩინეთის დედოფალო! — გაიმეორა ვანომ, რომელსაც უყვარდა უფროსების მიბაძვა.

ლიზამ ხმა არ გაგვცა, მხრები აიწია და ამაყად გაიარა. ყურძენი შეთვალდა, წლეულს კვლავინდელზე ადრე გვექნებოდა რთველი. ვენახს ქურდებისაგან კაი დაცვა უნდოდა, ტიმოთე და სხვა მოჯამაგირეები მარტო ვერას გააწყობდნენ და ჩვენი მეგობრები, მურია და თოლია წაგვართვეს, ვენახს მიუყენეს ყარაულად, ორივე ტიმოთეს ქოხთან დააბეს და ისინი შორიდანვე ვენახთან გამვლელს ვისმე თუ დაინახავდნენ, გაბრაზებული ასტეხდნენ ყეფას.

რთველის მოლოდინში ჩვენც ახალი საქმე გაგვიჩნდა. ნასუფრალიდან ვაგროვებდით ქათმის, ცხვრის და სხვა ძვლებს და მეგობრებს — მურიას და თოლიას ვუზიდავდით პირის ჩასატკბარუნებლად. ძაღლებიც დაგვინახავდნენ თუ არა, სიხარულით წკმუტუნებდნენ, ხტოდნენ, ლამობდნენ ჯაჭვის გაწყვეტას და ალერსით კუდს იქნევდნენ.

ქოხის წინ მოჯამაგირეები საღამოჟამს ცეცხლს დაანთებდნენ ხოლმე ვახშმის გასაკეთებლად; ღამე ცეცხლი სასიამოვნო სანახავი იყო, მეტადრე როდესაც ფიჩხს ტკაცატკუცი გაჰქონდა. ყარაულები ხანდახან თოფებს ცლიდნენ, რომ შეეშინებინათ ქურდები და მაწანწალა ძაღლები, რომელთაც ძალიან უყვართ ყურძენი.

ვაზი ვეღარ იმაგრებდა მტევნებს. მშვენიერი სანახავი იყო სხვადასხვაფერი ყურძენი. ზოგ ვაზს რვა-ცხრა მტევანი ება, ბევრი სხვადასხვა ყურძენია, მაგალითად: თითა, ბუდეშური, მწვანე, საფერავი, რქაწითელა, ქიშმიშა, ბუზა-ყურძენი და კიდევ ბევრი სხვა.

დავიწყეთ რთველისთვის მზადება. საწნახელის სახურავი დაათვალიერეს, წვიმა არ ჩასულიყო, მერე გაასუფთავეს და ლულები გაუწმინდეს, თაღარი გარეცხეს, აუარება გოდრები, საკრეფელები, კალათები და რუმბები დაამზადეს. მარნის კარებიც გააღეს, ქვევრები ამორეცხეს, არც ერთი ქვევრი მოუმზადებელი არ დატოვეს, რადგან დიდი იმედი იყო, რომ ღვინო ბლომად მოვიდოდა.

დადგა ის დღეც, როდესაც მამამ გამოგვიცხადა: ხვალ რთველი გვექნებაო...

— რთველი გვექნება, რთველი! — გავიძახოდით სიხარულით. ვანო სულ ასკინკილას უვლიდა.

მეორე დღეს ირიჟრაჟა თუ არა, მზე ჯერ ამოსული არ იყო, რომ ჩვენ, ძმები, ავიშალენით. ტანისამოსი ჩუმად ჩავიცვით და სახლიდან ფეხაკრეფით გამოვედით.

საუცხოო ენკენისთვის დილა იდგა. ფრინველებს ჟივილ-ხივილი გაჰქონდათ, ირთვებოდნენ, იკაზმებოდნენ და მუქთი ყურძნით ნადიმობას აპირებდნენ. ჩვენ გავეშურეთ ვენახში, მამა იქ დაგვიხვდა. ყველა მოჯამაგირე, სოფლის ათიოდე დედაკაცის დახმარებით, კი-

დევაც შესდგომოდა ყურძნის კრეფას. ყველას ხელში დანები ელავდა. ქალები მოჭრილ მტევნებს სიცილ-კისკისით კალათში ალაგებდნენ და როცა კალათს აავსებდნენ ხოლმე, ბიჭებს გადასცემდნენ გოდორში ჩასაყრელად. იმათაც მაშინვე საწნახელში მიჰქონდათ.

ჩვენი საწნახელი კარგა დიდი და ორად გაყოფილი იყო. ერთ ნაწილს გაავსებდნენ სულ თეთრი ყურძნით, მეორეს საფერავით, ზედ შედგებოდა ხოლმე ორი ფეხშიშველა და დაკარწახებული კაცი და დაიწყებდნენ ყურძნის ჭყლეტას ფეხით. ტკბილი გადიოდა მილში, მილიდან იქვე პირდაღებულ თაღარაში, საიდანაც გადიღებდნენ ხოლმე ჩაფებით და რუმბებით სხვა ქვევრებში. ტკბილს მესამე დღეს ჩაუყრიდნენ ჭაჭას, ადუღდებოდა და დუღილს შემდეგ, როცა დაიდუღებდა, მჟავე მაჭარი იხდებოდა, მერე კიდევ გადიღებდნენ სხვა ქვევრებში და წმინდა ღვინოდ გადიქცეოდა. კაი ყურძნიდან გამოდიოდა კაი ღვინო, მდარე ყურძნიდან — მდარე ღვინო. თეთრი ღვინო და წითელი ყურძენზეა დამოკიდებული. რომ კაი წითელი ღვინო გამოვიდეს, საფერავს უშვრებიან. საფერავს ეძახიან ერთგვარ წითელ ყურძენს, რომლის კანი მუქ-წითელ წვენს იღებს და ღვინოს წითლად ღებავს.

მე და ჩემი ძმები სხვებზე ნაკლებად არა ვმუშაობდით, მხოლოდ ვანოს ძლიერ ხშირად მიჰქონდა პირთან ყურძნის მარცვლები.

მზე კარგა მაღლა იყო, როდესაც დედაჩემი და ლიზა მოვიდნენ ლიზამაც მიჰყო ხელი მუშაობას და ძალიან მარდად ჭრიდა მტევნებს.

მუშაობა ორჯერ შევაჩერეთ: ერთი საუზმისათვის, ერთიც სადილისთვის. თუმცა მზე გვწვავდა და ლიზა და ვანოც გაგვექცნენ, დიდი ხნით არ შეიწუხეს თავი, მე და სანდრო კარგა ხანს ვმუშაობდით.

მზესაც თითქოს მობეზრდა მთელი დღე მიწის გახურება. თანდათან ძირს დაეშვა, ოდნავ ჰფენდა სხივებს ვაზებს. მერე სულ მთის იქით მიიმალა. დაღამდა, დაბნელდა. აი, ერთი ვარსკვლავი გამოჩნდა, მერე მეორე, მეორეს მესამე მოჰყვა. დადგა წყნარი, დამშვიდებული ღამე.

ყველა წავიდ-წამოვიდა, ყველას ადრე უნდა დაეძინა, რომ დილაზე სხვა საქმეს შესდგომოდა. ჩვენ დიდ ზვარში რთველი რამდენსამე დღეს გრძელდებოდა.

მეგობრული გრძნობა მაიმუნებში

ერთმა მონადირემ მოჰკლა დედა მაიმუნი და თავის კარავში მიიტანა. პატარა ხანს შემდეგ ორმოცდაათიოდე მაიმუნი კარავს მოეხ-

ვია. ისინი ღრიალებდნენ, თათებს ატყაპუნებდნენ და მონადირეს ემუქრებოდნენ; ხოლო მაშინ დაიწიეს უკან, როდესაც მონადირემ თოფი დაანახვა. მაგრამ მათმა ბელადმა არც მაშინ მიანება თავი: კბილებს აკრაჭუნებდა და ადგილიდან არ იძვროდა. როდესაც დაინახა, რომ მუქარა არაფერში არ გამოადგა, კარავს მიუახლოვდა და საბრალო მანჭვით ეეედრებოდა მონადირეს, მიეცა მისთვის მეგობრის გვამი. მონადირემ მაშინვე მისცა გვამი, ბელადმა მაიმუნმა გვამი მწუხარებით გულში ჩაიკრა და ისე წაიღო ამხანაგებთან, რომლებიც იქვე ახლოს ელოდებოდნენ.

მონადირეები გაოცდნენ ამ სანახაობით და პირობა დასდეს კვლავ აღარ ინადირონ მაიმუნებზე.

სხვისი ძრახვა ადვილი ყოფილა

მელიას და კატას შეხვდათ ერთად მოგზაურობა და გასართობად ზოგიერთ უსამართლობაზე ჩამოაგდეს ლაპარაკი.

— სიმართლეს რა შეედრება! — დაიწყო მელიამ, — ეგ გვაყენებს ნამდვილ ცხოვრების გზაზე და გვიჩვენებს ჩვენს ურიგო საქციელს.

— რა კარგია, ვისაც გული ჩვილი აქვს, — უპასუხა სასოებით კატამ და ერთი მძიმედ ამოიოხრა.

ამ დროს ერთბაშად ჩვენმა მგზავრებმა დაინახეს, რომ ტყიდან გამოვარდა მგელი და ეცა უმანკო კრავს... საცოდავი ცდილობდა კლანჭებიდან როგორმე დასხლეტოდა და თან ელაქუცებოდა, თითქოს თავს აბრალებდა.

— როგორ თუ შეგიბრალო! — უთხრა მგელმა, — არა, მე მშიერი ვარ და შენ კი კაი სამხარი იქნები.

— ეგ საძაგელი! — დაიყვირა გაბრაზებულმა კატამ, — ხორცით რომ არ გამოძღეს, განა ბალახი ცოტაა!..

— სწორედ მტარვალია! — დაუბატა მელიამ, — უმანკო სისხლს რათა ღვრის, როდესაც მუხას ტოტები ემტვრევა მწიფე რკოსაგან. სხვა რომ არა იყოს რა, ჩვენთვისაც სირცხვილია.

ამ ლაპარაკით ჩვენი ძმობილები მიუახლოვდნენ ერთს წისქვილს. სადაც ქათმები ნაგავს ჰქექდნენ. მელიამ დაინახა თუ არა ქათმები, იმწამსვე ძრახვა დაავიწყდა, აღარაფერს დასდია, მივარდა მოზრდილ ვარიას, კატამაც მარდად ჩაბოჭა თაგვი, რომელიც სოროდან ამოსულიყო მზეზე საცუცუნებლად.

აქვე წისქვილის კედლის კუთხეში ობობა იჯდა თავის აბლაბუ-

დაში. დაინახა თუ არა ეს ამბავი, აღშფოთდა და გამწარებულმა წამოიძახა:

— ვერ წარმომიდგენია, განა ამათთანა ბოროტი სული იქნება ქვეყანაზე?

მაგრამ ეს სიტყვები ჯერ გათავებულიც არ ჰქონდა, როდესაც დაინახა, რომ ერთი წკრიალა ბუზი გაბმულიყო ამის აბლაბუდაში და მაშინვე ტყვიასავით ეცა იმას.

არწივი და ფუტკარი

— არავის შეშურდება შენი ბედი, — უთხრა ერთხელ არწივმა ფუტკარს, — მთელ შენ სიცოცხლეს მუშაობაში ატარებ და კი არავინ გიცნობს, იმიტომ, რომ ერთ ფიჭა თაფლზე ათასი მუშაობს. ვინ გაარჩევს შენს ნამუშევარს?

— რა საჭიროა შეიტყონ, ვინ რას აკეთებს, — უპასუხა ფუტკარმა, — რა ვუყოთ, რომ მე არ მიცნობენ? ყველას ხომ უყვარს ჩვენი თაფლი. მე ბედნიერი ვარ იმითაც, რომ სკაში მაინც შემაქვს ერთი წვეთი თაფლი.

— აბა ახლა შეადარე შენი ბედი ჩემს ბედს, — ხელახლა უთხრა არწივმა, — როგორც კი გამოვჩნდები ცის კამარაზე, ყველა ჩემსკენ გამოიყურება. დედამიწაზე ყველა მიცნობს — ფრინველებიც და პირუტყვებიც. მწყემსი, რომელიც უდგია თავის ფარას, რაკი დამინახავს, სულგანაბული თვალს აღარ მაშორებს. ეი, როგორ მიცნობენ მე დიდიდან პატარამდე.

— ეგ იმიტომ, რომ შენი ეშინიათ, — უპასუხა ფუტკარმა, — მე სულაც არ მინდა, რომ შორიდანვე ეშინოდეთ ჩემი.

ჭიანჭველა და მტრედი

ჭიანჭველამ გასწია წყაროსაკენ წყლის დასალევად. წყალმა გაიტაცა. ის იყო იხრჩობოდა, ამ დროს მტრედს მოჰქონდა ხის პატარა ტოტი. მან დაინახა, რომ ჭიანჭველა იხრჩობოდა და წყალში გადაუგდო ხის ტოტი. ჭიანჭველა ტოტზე აცოცდა და თავი გადაირჩინა.

მონადირემ დაუგო მტრედს მახე და უნდა დაეჭირა. ჭიანჭველა მიცოცდა მონადირესთან და ფეხზე უკბინა. მონადირემ შეჰკივლა და მახე ხელიდან გაუვარდა. მტრედსაც ეს უნდოდა. ფრთები გაშალა და გაფრინდა.

ტოროლა

დედალ-მამალმა ტოროლამ მინდორში ბუდე გაიკეთეს. თიბვის დრო რომ დადგა, ბარტყები ახლადგამოჩეკილი ჰყავდათ. როდესაც მთიბავები მათ ბუდეს მიუახლოვდნენ, ტოროლებს ძალიან შეეშინდათ. რა ექნათ? როგორ გადაერჩინათ ბარტყები? ბოლოს დედალი ტოროლა ბუდის წინ მიწაზე გაწვა. მამალმა ამ დროს ნისკარტით გამოსწია ბუდიდან ერთი ბარტყი და შეუსვა დედას ზურგზე.

დედალი გაფრინდა და მალე დაბრუნდა მეორე ბარტყის წასაყვანად. ბოლოს, როდესაც უკანასკნელი ბარტყიც წაიყვანა, მამა ტოროლაც გაჰყვა დედალს.

ასე გადაასხეს ტოროლებმა თავიანთი ყველა ბარტყი სხვა ადგილას, სანამ მთიბავები ბუდესთან მივიდოდნენ.

ყვავი და გულგული

— რატომ დღისით არ გალობ? — ჰკითხა თვალხარბმა ყვავმა ბულბულს, — ხომ არ გეშინიან ქვეყნის დაცინვისა?

— არა, — უპასუხა ბულბულმა, — ქვეყნის დაცინვისა სულაც არ მეშინიან; როცა ყოველი ბატი ყიყინებს, ბულბულს ხალისი არა აქვს გალობისა.

დედის სიყვარული პირუტყვებში

ჩემმა მეზობელმა ძროხა გაყიდა. წაიყვანა სოფლიდან თორმეტი ვერსის სიშორეზე. ხბო კი მეზობელმა თავისთან დაიტოვა.

მეორე დილას ძროხა მეზობელს ისევ კარზე მოადგა. საბრალო თურმე ისე ნაღვლობდა თავის ხბოს მოშორებას, რომ ვერაფერმა ვერ შეაკავა: რქებით გატეხა შემორაგული საჩეხო, სადაც ახალმა პატრონმა შეაგდო, და ისევ იმ გზით, რა გზითაც წაიყვანეს, გამოიქცა და თავის ადრინდელ ბინაზე დაბრუნდა. ძროხა გულმოსაკლავი ბღავილით მოადგა ჩემს მეზობელს იმ იმედით, რასაკვირველია, რომ მისი საყვარელი ხბო იქ დაუხვდებოდა.

ღორის გამჭრიახობა

ერთმა ღორმა კარგა ბლომად დაყარა გოჭები. მთელ დღეს ის გოჭებთან ერთად ტყეში იყო, ხოლო საღამოს დედა-შვილნი ბრუნ-

დებოდნენ საღორეში. ყოველ საღამოს ღორის პატრონი თითო გოჭს ჰკლავდა. სამი გოჭი რომ დაკლა, ღორმა მაშინ კი შეამჩნია შვილების დაკლება და მეორე საღამოს ბინაზე მარტო დაბრუნდა.

პატრონს უნდოდა შეეტყო, თუ ღორი გოჭებს რას უშვრებოდა და დაუწყო თვალიერება. აი რა ნახა: მთელ დღეს ღორი გოჭებთან ერთად ბალახს თხრიდა, როდესაც საღამომ მოატანა, შვილები შორს, ტყეში მიმალა -და თვითონ მარტო დაბრუნდა საღორეში.

ალბათ ღორი მიხვდა, რომ შვილებს მაშინ ართმევდნენ, როცა საღამოობით ბინაზე მოიყვანდა ხოლმე და არჩია იმათი ტყეში დამალვა.

ორი ვირი

ერთხელ ლომი და ვირი ერთად დადიოდნენ ტყეში. შეხვდათ მეორე ვირი.

— გამარჯობა, ძმობილო, — უთხრა ამან თავის ამხანაგს.

— ბრიყვო, ვინ არის შენი ძმობილი? — შესძახა პირველმა მრისხანედ.

— კარგი, კარგი! — უპასუხა მეორე ვირმა, — განა ლომთან რომ დადიხარ, ჩემზე უკეთესი ხარ? ნუთუ შენი თავი ვირი აღარ გგონია?

კეთილშობილური საქციელი

ორ ძაღლს ხიდზე დიდი ჩხუბი მოუვიდათ. შეეტაკნენ ერთმანეთს და ორივენი ღრმა წყალში ჩაცვივდნენ.

ერთი ძაღლი იმ ჯიშისა იყო, რომლებმაც კარგი ცურვა იციან. ამიტომ ეს ძაღლი ცურვით გამოვიდა ნაპირას, მეორე ძაღლი კი დარჩა წყალში.

პირველმა მიიხედა და რა ნახა, რომ იმის მტერი იხრჩობოდა, ისევ უკან გაბრუნდა, ძაღლს პირი ჩასჭიდა კისერში და წყლიდან ამოიყვანა.

მერე ორივე ძაღლმა მეგობრულად გადახედეს ერთმანეთს, სიხარულით კუდები აიშვირეს და თავთავიანთ გზაზე წავიდნენ.

თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

ნიმუშები

ეს თაიგული დედაჩემისაა!

ლამაზი პატარა ქალი მინდორში ყვავილებს ჰკრეფდა. გზად მიდიოდა ერთი კაცი, მიუახლოვდა პატარას და ჰკითხა:

— ჩემო პაწაწინავ, გიყვარს ქადა?

— დიახ, ბატონო, მე ქადა ძალიან მიყვარს.

— მაშ კარგი. მომეცი ეგ კაი თაიგული, რომელიც ხელში გიჭირავს, და მე სამაგიეროდ ქადას მოგცემ.

— ამის მოცემა არ შემიძლიან, ბატონო!

— არა? მაშ ორ ქადას მოგცემ... მაინც არ გინდა?.. მაშ დაიჭი სამი, ოთხი, ექვსი... როგორ თუ? არ მესმის, განა სამყოფი არ არის? ეჰ! მაშ რა ფასი გინდა მაგ თაიგულში?

— ეს თაიგული დედაჩემისათვის მოვამზადე და არაფრის გულისათვის არ გაგიცვლით ქადაზე.

— რა კაი ბავშვი ყოფილხარ, ჩემო ლამაზო! მე შენ მოგცემ ქადებს, ეგ თაიგული კი ისევ დედაშენს მიუტანე.

ყარყატოს თავგანწირვა

შუა სოფელში, ერთ ხეზე ყარყატომ გაიკეთა ბუდე და სამი ბარტყი გამოჩეკა. ბარტყები მალე ისე გაიზარდნენ, რომ ბუდიდან გადმოიცქირებოდნენ და ხმაურობით უნისკარტებდნენ ხეს. ამითი ხმას აწვდიდნენ თავიანთ მშობლებს.

ერთხელ, შუა ზაფხულში, გახურებული მუშაობის დროს, სოფელში ცეცხლი გაჩნდა. ყველა გასული იყო მინდვრად, მხოლოდ მოხუცებულები და ყმაწვილები დარჩენილიყვნენ შინ. სანამ შეიტყობდნენ, სანამ ხალხი მოვიდოდა, ცეცხლი მთელ სოფელს მოედო. ქარისაგან ისე გაძლიერდა ალი და ნაპერწკლებს ისე ისროდა აქეთიქით, რომ ცეცხლმა მიაღწია ის ხემდის, რომელზედაც ყარყატოს

ბუდე ჰქონდა. ბარტყებს დედ-მამა იმ დროს ბუდეში არ შეესწრო და საბრალონი შეწუხებულნი გამოიყურებოდნენ თავიანთ ბინიდან.

მალე გაჩნდა დედა ყარყატო. დაინახა თუ არა თავისი შვილები საფრთხეში, შევარდა ცეცხლში და გამოიყვანა ერთი ბარტყი და ხალხის მოურიდებლად დასვა მინდორზე. მერე მეორედ შევარდა ცეცხლში და გადაარჩინა ახლა მეორე ბარტყი. როდესაც ყარყატო შევარდა მესამეჯერ ბარტყის გამოსაყვანად, უკან აღარ დაბრუნებულა, ახლა კი ცეცხლს ვეღარ გადარჩენოდა.

მსაჯული და მაწანწალა

პატარა თომა ვაჭრობდა ხილით ერთ ქუჩის შესახვევში, სადაც მუდამ ქარი ჰქროდა. ზაფხულში არა უჭირდა რა, სასიამოვნოც იყო, როდესაც მდინარიდან გრილი ნიავი დაჰბერავდა, მაგრამ ზამთარში კი თომა სწორედ შესაბრალისი იყო, ხელები სიცივით გაუწითლდებოდა და ცხვირი სასტიკი ქარისაგან გაულურჯდებოდა.

მაშინ თომა დაიწყებდა ხელების გათბობას მაყალზე, რომელზედაც წაბლს ხალავდა, მიეკვრებოდა იმას და სიამოვნებდა იმითი, რომ ცოტათი მაინც საიდანმე სითბო ეკარებოდა.

როდესაც დიდი სიცივე დადგებოდა, თომა აფარებდა რასმეს ხილით ხონჩას. მედუქნე, რომელსაც ეკუთვნოდა ხილიც და ხონჩაც, ძალიან ბევრ ერთ მოვიდოდა დასახედად, რომ ხილი არ გაჰყინოდა და თვითონ თომას გაყინვაზე არა ენაღვლებოდა რა. მედუქნე თომას იმდენს უჯავრდებოდა და ეჩხუბებოდა, რომ გულმოსული ბავშვი ბრაზდებოდა. მერე მედუქნე მთელი დღით მიატოვებდა ბავშვს. ღამე, ვაჭრობის გათავების დროს, ხილის პატრონი ერთი კიდევ მოვიდოდა დასახედად, აალაგებინებდა სავაჭროს და თომას გაისტუმრებდა დასაძინებლად ბინაზე, იქ ბავშვს ცოტა ოდენს აქმევდნენ და მერე საბრალო მიეგდებოდა თვალის მოსახუჭად.

ძნელი ასატანი იქნებოდა თომასთვის ამისთანა ცხოვრება, რომ არა ჰყოლოდა იმას ერთი გულითადი მეგობარი — პატარა ბიღლი, რომელსაც დაარქვა სახელად „მაწანწალა". ბავშვმა იმიტომ უწოდა ეს სახელი, რომ ძაღლი მუდამ წანწალში იყო, არა მცემონო, ან არ ჩავარდე იმათ ხელში, ვინც ქუჩებში იჭერს უპატრონოდ ხეტიალა ძაღლებსო. თვითონ „მაწანწალაც" შეეჩვია თავის უბედობას და დაინახავდა თუ არა ან მედუქნეს, ან სხვა საშიშ ვისმეს, ერთ წამს მოიკუნტებოდა და ისე გაეხვეოდა იმ ტომარაში, რომელიც ეგდო

ხოლმე მაღლა დადგმულ ხონჩის ქვეშ, რომ ვერავინ ვერაფერს შეამჩნევდა.

ამ ქუჩის სქელი პოლიციელი კარგად ხედავდა „მაწანწალას“, რომელსაც უფლება არ ჰქონდა კანონიერად ეცხოვრა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. ამავე ქუჩის პატარა სასტუმროს პატრონი ზოგჯერ დაუძახებდა თომას და მისცემდა ცხელ ნოყიერ წვენს და ორ პატარა ნაჭერ პურს ამ ორ მეგობარს. თომა კმაყოფილი იყო ამგვარი მოწყალებით, ითმენდა მედუქნის სიცივეს და თავს ბედნიერადაც სთვლიდა, როდესაც ღამე ჩაეხუტებოდა თავის „მაწანწალას“.

ქუჩაში მოხეტიალე ძაღლების დამჭერნი ფხიზლად იყვნენ და მიაგნეს „მაწანწალას“. ერთხელ დილით სიცივეში მათ გაიარეს თომას ქუჩაზე გამზადებული ბადით, რომლითაც იმწყვდევდნენ ძაღლებს. მაგრამ მაწანწალამ ვოასწრო დამალვა. გაიგო თუ არა უკვე დამწყვდეული ძაღლების წკმუტუნი და ჭყვირილი, იქვე მარდად გაეხვია ტომარაში, რომ თვალი ვერ შეასწრეს. როდესაც საშიში ხალხი გასცილდა ქუჩას, თომამ დაუსტვინა, ერთ წამს ტომარა შეინძრა, იქიდან გამოვარდა ბანჯგვლიანი მაწანწალა და მხიარული ყეფით ბეღურებს გამოუდგა.

ამ დროს გამოჩნდა მსაჯულის ეტლი. მსაჯულმა უკმეხად შეხედა ამ პატარა ძაღლს, რომელიც ცხენებს ფეხებში ებლანდებოდა, და თავის მეეტლეს უთხრა:

— ხედავ, ჯონსონ. განა საზოგადოება მოვალე არ არის, რომ ყური უგდოს ამისთანა ქუჩაში მოხეტიალე ძაღლებს? კაი ჯიშის ძაღლი, მაგალითად, როგორც ჩემი ცეზარი, სასიამოვნოა ჰყავდეს კაცს, მაგრამ მაგისთანების შენახვა კი რა მოგახსენო! — და მსაჯული მიეალერსა თავის ძაღლს.

— მართალს ბრძანებთ, — დაეთანხმა მეეტლე ზანვი. მან შეაყენა ეტლი და ჩამოვიდა ძირს. — აი, კაი ფორთოხლები, ბატონო, რამდენს მიბრძანებთ, რომ ავიღო, თორმეტი?

— თორმეტი, — უპასუხა მსაჯულმა.

ცეზარი დამშვიდებული იჯდა ეტლში თავის პატრონის პირდაპირ. ამათ ულაპარაკოდაც საუცხოოდ გაეგებოდათ ერთმანეთისა. ძაღლი კაი ჯიშისა იყო, ბატონი კაი გულისა. ორივენი მეტისმეტად ზრდილობიანი იყვნენ. თუმცა მსაჯული იშვიათად ეალერსებოდა ცეზარს, მაგრამ ცეზარისავით ერთგული მას არავინ ჰყავდა.

თომამ ფორთოხლებს დაუწყო გადათვლა. იმას ძალიან უკვირდა, რომ ამისთანა სიცივეში ყიდულობენ ამოდენა ხილს. ან ამისთანა მორთული ბატონი რატომ მოვიდა მასთან ფორთოხლების საყიდლად, როდესაც იმოდენი შშვენიერი დიდი მაღაზიებია ხილისა. არ

ემჯობინებოდა, რომ სასტუმროში ეყიდა ცხელ-ცხელი ქადები, ხომ ის ათასჯერ უფრო კარგი იქნებოდა. აბა, ამას რომ ჰქონოდა ფული— ერთბაშად ერთი ათს ქადას იყიდდა და მერე... მერე თვითონ და მისი „მაწანწალა“ გემრიელად გამოძღებოდნენ.

ერთ წამს ხელმეორედ გამოჩნდნენ მოხეტიალე ძაღლების დამ-ჭერნი. იმათ შემჩნეული ჰყავდათ „მაწანწალა“ და მის დასაჭერად შესაფერ დროს უცდიდნენ.

— ახია მაგაზე, — თქვა მსაჯულმა, როცა თვალი მოჰკრა, როგორ გადუგდეს ბადე მაწანწალას დასაჭერათ.

ტომას ხელიდან გაუვარდა შეხვეული ფორთოხლები და ორივე ხელი გაუწვდინა ძაღლს. მაგრამ ძაღლების დამჭერი კაცი გამოუდგა „მაწანწალას“ და მოუსწრო სწორედ იმ დროს, როდესაც ძაღლს უნდოდა ტომრის ქვეშ დამალულიყო. ამ დროს ერთბაშად ეტლიდან გადმოხტა ცეზარი, თუმცა მსაჯული ცდილობდა მის შეკავებას და ამოუდვა გვერდით გამოსასარჩლებლად საბრალო მოკრუნჩხულ და აკანკალებულ „მაწანწალას“. საომრად გამზადებულმა ამან თავისი ამაყი დიდი თავი მაღლა ასწია, მრისხანედ დააკრაჭუნა თეთრი კბილები და ისე სასტიკად გადახედა ძაღლის დამჭერს, თითქოს ეუბნებოდა: აბა გაბედეთ და მახელით ხელი მე, რომელსაც ვერცხლის საყელოზე ნიშანი მაქვს თავისუფალი და ხელშეუხებელი ცხოვრებისა.

ძაღლის დამჭერი შედგა.

— მომაშორეთ თქვენი ძაღლი, ბატონო, — უთხრა ამან ზრდილობიანად და ამასთანავე დაეინებით მსაჯულს.

— ოო! — შეჰყვირა მსაჯულმა აღელვებით.

ამ ქუჩის სქელი პოლიციელიც საჩქაროდ მოვიდა. მაყურებლები თანდათან გროვდებოდნენ.

— მშვენიერი ძაღლი გყოლიათ, ბატონო მსაჯულო, — თქვა პოლიციელმა, — მაგას ვერც არავინ ახლებს ხელს, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა დაუძახოთ.

— ცეზარ, წამო ჩემთან! — უნებურად უბრძანა მსაჯულმა.

ცეზარმა თავისი ამაყი თავი ძირს დაუშვა, ერთი კიდევ გადახედა აცახცახებულს საბრალო ძაღლს, მერე შეხედა თავის პატრონს და რა ნახა მის სახეზე შეურყეველი ბრძანება, დაუშვა ძირს ყურები, წამოვიდა და ეტლში ჩახტა, როგორც დამარცხებული.

კაცებმა ბადეში მოიგდეს წკავწკავა „მაწანწალა“. ტომამ იცოდა, რომ ვეღარას გააწყობდა, კანონს ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას. გაბრუებული, დაფანტული ბედს დაემორჩილა და ხელახლა ჩააწყო ფორთოხლები პარკში.

სქელი პოლიციელი მიუახლოვდა ეტლს.

— უბედური ბიჭი! — თქვა მან, — ეგ ძაღლი მაგის ერთადერთი ნუგეში იყო.

მსაჯულმა წაიხრინწა: „სწორედ მაწანწალა ძაღლია!“ — დაიწყო მან, მაგრამ ხმა ჩაუწყდა. ცეზარმა შეატყო, რომ მისი პატრონი მოლბა, შეხედა მას ალერსით, თითქოს რაღასაც ემუდარებოდა და თავი მუხლებზე დაუდო.

„რა შეგვიძლია, არაფერი!“ — დაფიქრებული ამბობდა მსაჯული და თან თვალი გააყოლა, როგორ მიჰყავდათ ეს პატარა ძაღლი.—მაგრამ განა არ შეიძლება წავიდეს კაცი იმათ ბინაზე, სადაც ძაღლები ჰყავთ და „მაწანწალას“ გადასახადი ფული შეიტანოს?...“

— უჰ! — თქვა ხმამაღლა მსაჯულმა წარბების შეჭმუხვნით. — საღილობის დროა.

ჯონსონი ფორთოხლებით ავიდა კოფოზე და გარეკა ცხენები.

სქელი პოლიციელი ცდილობდა ნუგეში ეცა თომასთვის. სასტუმროდან მოატანინა საჭმელი, მაგრამ ყმაწვილს არაფერი არ მოსდიოდა თვალში.

თომას მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში: რა დავუშავე, რათ წამართვეს ჩემი „მაწანწალა“. ხომ ვეღარა ვნახავ ჩემ ბანჯგვლიანს, ყვითელ ძამიას. შეწუხებული ყურადღებას არ აქცევდა თავის ხონჩას. ფიქრობდა კიდეც სადმე გადაკარგვას.

საღამო ჟამს მოვიდა ხონჩის პატრონი მედუქნე და დაუწყო თომას ჩხუბი, ყვირილი და ბოლოს ცემაც, მაგრამ სქელი პოლიციელი გამოესარჩლა ბავშვს და თქვა: „დაანებე თავი მაგ ყმაწვილს, არ შეგარჩენ მაგის ცემას“.

მთელი ღამე საბრალო ყმაწვილს ძილი არ მიჰკარებია, სულ ტიროდა. ერთ წამს თუ ჩაიძინებდა, მაშინვე ესიზმრებოდა, რომ მისი საყვარელი „მაწანწალა“ დაბრუნდა და თვალებს დააკოცეტდა. მაგრამ ძაღლი არსად იყო. ბავშვი სულ იმას ფიქრობდა, ვინ იცის, მაწანწალა ახლა რა ხიფათშია და გადმოსდიოდა ცხარე ცრემლები. დეე, მაწანწალა სხვის თვალში მახინჯი იყოს, ამას რა ენაღვლება, ამას უყვარს ეს პატარა თბილი არსება და სხვა არაფერი მოსდის თვალში. ვინა მყავს ქვეყანაზე მაგაზე მეტი, მწარედ კვნესოდა თომა. იქნება დღეს მოჰკლეს კიდეც და აბა რა დააძინებდა საწყალს.

მაგრამ დილით თომა თავჩაღუნული ისევ მოუჯდა თავის ხონჩას. შუადღისას ნაღვლიანს და გამწარებულ ბიჭს მოესმა უცბად ცხენების ფეხის ხმა და მას წარმოუდგა თვალწინ შემდეგი:

ბეწვიან თულუფში გახვეული მსაჯული გამოჩნდა ეტლით. მას

ფეხებთან უჯდა ყელმოღერებული ცეზარი, რომელსაც სიხარულით თვალები უბრწყინავდა.

ეტლის კუთხეში კიდევ რაღაც მოჩანდა, პატარა, ყვითელი, ბანჯგვლიანი! თომამ გაკვირვებით დააღო პირი, მაგრამ დაყვირება ველარ მოასწრო. ეტლი ჯერ არ შემდგარიყო, რომ პატარა, ყვითელი, ბანჯგვლიანი არსება შურდულივით ეცა თომას.

ეს „მაწანწალა" გახლდათ, ნამდვილად „მაწანწალა" იყო.

ყელზე ვერცხლის საყელო ჰქონდა, სწორედ ისეთივე, როგორიც ება თვითონ ამაყ ცეზარს, ხოლო იმაზე ცოტა პატარა იყო. საყელოზე ება ის ძვირფასი ნიშანი, რომლის წყალობით ამას იქით „მაწანწალას" შეეძლო თავისუფლად, დაუმალავად ცხოვრება.

მსაჯულს სახე უბრწყინავდა, როდესაც მოჰყვა ამბის თხრობას, მაგრამ ძნელად თუ ვინმე გაიგებდა, ისე მხიარულად და მაღლა ჰყეფდა პატარა ძაღლი, ამ ხმაურობას მიემატა კიდევ აღელვებული ყეფა ცეზარის, რომელიც სიხარულით ხან თავის პატრონს მივარდებოდა და ხან თომას.

— დროზე კი მივასწარით, — იცინოდა მსაჯული, — დილა ადრიანად მივედით იქ, სადაც ძაღლები ჰყავდათ დამწყვდეული. მე ვერ ვიცნობდი შენ ძაღლს, მაგრამ დარბაისელმა ცეზარმა მაშინვე იპოვა, ჯარიმა გადავიხადეთ, ეს ნიშანი მივიღეთ, მერე საყელო ვიყიდეთ და საჩქაროდ აქეთ გამოვეშურეთ.

მსაჯულმა იმისი კი არა თქვა რა, როგორ სინდისი აწუხებდა მას, როდესაც წინაღამეს სავარძელში ჩაჯდა, გაჩაღებულ ბუხარწინ და საკითხავად ხელში წიგნი აიღო. ცეზარი მის ფეხებთან რბილად გაშხლართული იწვა, მაშინ მსაჯულს წარმოუდგა თვალწინ პატარა გამხდარი ობოლი ბიჭი, ატუზული სიცივეში ქუჩის ბოლოს. და ეს ისე ნათლად წარმოუდგა თვალწინ, რომ წიგნში ასოები ვეღარ გაარჩია და როდესაც ძაღლმა, თითქოს მუდარებით, თავი მუხლებზე დაუდო, მსაჯულმა გულში გადაწყვიტა, რომ ძაღლს აუსრულებს მუდარებას და ვითომც ამ დაპირებაზე ცეზარმა გაუშვირა თავისი თათი და ორივემ ხელი ხელს მისცეს.

თომა ისე დაიფანტა სიხარულით, რომ მსაჯულს არც კი გადუხადა მადლობა. ის იდგა გაბრწყინებული სახით, გულში მიეკრა ძაღლი და გაიძახოდა: ჩემი მაწანწალა, ჩემი მაწანწალა.

მსაჯულს თვალები ცრემლებით აევსო, ჯიბიდან ამოიღო ფული და უთხრა:

— დაიჭი ეს ფული, შენ და შენი ძაღლისათვის მომიცია!

თომა გამოერკვა, მიუახლოვდა ეტლს და მოხვია ცეზარს ხელი.

— გმადლობთ, გმადლობთ, თქვენ, ორივეს...

მსაჯულმა უცბად წამოიძახა: დროა, დროა, სამსახურში დამიგვინდება, და როდესაც ეტლი დაძრა, გაიცინა.

ეტლმა ცოტა მანძილი რომ გაიარა, მსაჯულმა მიიხედა უკან. პატარა გამხდარი ბიჭი, ჩახუტული ყვითელი, ბანჯგვლიანი ძაღლით, შორიდან ოდნავ მოჩანდა.

თავგასულობის შედეგი

ტრეზორსავით ბედნიერი ძაღლი იშვიათად თუ იქნებოდა სადმე, მაგრამ თვითონ არა გრძნობდა თავის ბედნიერებას... ყოველთვის იძინებდა ყურთუკის ბალიშზე თავის ქალბატონის ოთახში. დილით გაიღვიძებდა თუ არა, მიერთმეოდა ხორცის ცხელი წვენი, მის გემოვნებაზე მომზადებული მსუქანი, ქონით სავსე და შიგ ხშირად ქათმის ძვლებიც ეყარა. სადილის დროს ტრეზორი პურის საჭმელ ოთახში ბრძანდებოდა ხოლმე და ყველაფერი ბლომად მიერთმეოდა. ამას ტკბილეულობასაც არ აკლებდნენ. ოღონდ ხმა ამოეღო და შაქარს მაშინვე გაუწვდენდნენ, დანარჩენი დრო თავის ქეიფის ბატონი იყო.

რამდენი კაცი ინატრებდა ტრეზორის ბედს! კაი ბინა, კაი საჭმელი, სასმელი, მუდამ კარგად ჩაცმული, თუმცა თავს არავინ იწუხებდა მისი ტანისამოსის კერვაზე. სადაც და ვისთანაც უნდოდა, იქ დადიოდა, მხოლოდ თავის მოვალეობად რაცხდა ახალგაზრდა ქალბატონ ლიზეტას მიალერსებოდა. ტრეზორი გაკეთდა, დასრულდა და ზიზღით შესცქეროდა სხვა გამხდარ, ფერდებჩაცვივნულ ძაღლებს.

ტრეზორი თავმოყვარე შეიქნა, გადიდგულდა, ფიქრად არ მოსდიოდა ის საწყალი ძაღლები, რომელნიც უბინაოდ დახეტიალობდნენ, ეყარნენ გუბეებში და სადმე ალაყაფის კარებთან — ჭიშკართან, ამოიმალებოდნენ, სანამ მათ არ მიაგნებდა ფურგონი, რომელიც უპატრონო ძაღლებს აგროვებს გასატყავებლად.

ტრეზორი ისე შეეჩვია ალერსსა და ფუფუნებაში ყოფნას, რომ ხშირად კმაყოფილი არ იყო, უმიზეზოდ იღრინებოდა, მეტ შაქარს თხოულობდა, აღებდა თათით საჭმლის განჯინას და ჭამდა სადილიდან გადარჩენილ საჭმელს. განა ამის მეტი სხვა ცხოველი იყო კიდევ სახლში? ეს იყო ერთადერთი... დაბინავებული კანონიერად, ამისათვის ბაჟსაც კი იხდიდნენ.

როდესაც მისი ქალბატონი ლიზეტა მოგზაურობდა, ტრეზორიც თან მიჰყავდა ხოლმე. აუღებდა ცალკე ბილეთს, სწორედ ისე, როგორც ადამიანს. ტრეზორს თავი მოჰქონდა, რომ მარტოდმარტო

მეფობდა სახლში, რადგან კატა, რომელიც სახლის სახურავზე დახეტიალობდა, არავის მიაჩნდა ოჯახში მცხოვრებლად. თაგვები და ვირთაგვები საკუჭნაოს და სარდაფის ღამის სტუმრები იყვნენ და მათ ვერავინ ხედავდა. ტრეზორის ფეხის ხმაზე საბრალოები ისე მიიმალებოდნენ ხოლმე, როგორც საშინელი მტრის მოახლოვებაზე.

მართლა რომ ტრეზორისავით ბედნიერი ძაღლი იშვიათად თუ იქნებოდა, მაგრამ ის თავის ბედნიერებას არ აფასებდა.

ამგვარ კეთილდღეობაში ყოფნამ გახადა ის ისეთ თავმოყვარედ, რომ ფიქრად არ მოსდიოდა ბედნიერების, მყუდროების დაკარგვა. ტრეზორმა სხვა ძაღლებსავით იცოდა უკანა ფეხებზე დგომა და ესმოდა, როდესაც მის სახელს დაიძახებდნენ.

ტრეზორს რომ სცოდნოდა კითხვა, რასაკვირველია, ბევრ ისეთ ამბებს ამოიკითხავდა ისტორიიდან, საიდანაც შეიტყობდა, რომ ხშირად კეთილი ცხოვრებიდან ზოგიერთი უეცრად გაუბედურებულა, მაგრამ ძაღლს რა გაეგება ამისი, მერე იმისთანა თავმოყვარე ძაღლს, როგორც ტრეზორი იყო.

უცბად ტრეზორს უბედურება დაატყდა თავს.

ერთხელ, ტრეზორი როდესაც პურის საჭმელ ოთახის კუთხეში ჩვეულებრივ ღრმა ძილში იყო, უცბად გააღვიძა ფრთების შრიალმა. თავის დღეში განსვენების დროს, კაი საუზმის შემდეგ ტრეზორს არ უგრძვნია ამისთანა უსიამოვნება, ერთ წამს წამოვარდა, გაიჭიმა, დაცუცქდა, გააჭყიტა თვალები და ზიზღით გადიხედა.

ოთახის ახლოს იატაკზე, სულ ახლო იმასთან, იჯდა ფერფლისფერი ფრინველი, ქოჩორა თავით და შეუპოვარი შეხედულობით.

ეს იყო ბოლობეჭედა.

ტრეზორს თავის დღეში არ ენახა ბოლობეჭედა, მაგრამ იმან მაშინვე გაიფიქრა, რანაირი ფრინველიც უნდა იყოს, სულ ერთია, ეს ჩემი ქალბატონის, სახლის პატრონის, მოყვანილი იქნებაო, რადგან ქალბატონიც უკან იდგა და იღიმებოდა.

ტრეზორმა უღრინა.

— აბა, „ბატონო“ და ვეღარც „ბატონო“ ტრეზორ, — უთხრა ლიზეტამ, — გთხოვთ ალერსით მოექცეთ თქვენ ახალ მეზობელს. ეს ბოლობეჭედა ძალიან პატიოსანი და ყურადღების ღირსია. იმედია, ერთად კარგად მოეწყობით.

ტრეზორი თვალებს არ უჯერებდა, სახლი ახლა საკუთრად მას აღარ ეკუთვნოდა! მოზიარე გაუჩნდა, შებუმბლული სტუმარი, რომლის დიდრონი მრგვალი თვალები თითქო დასცინოდნენ კიდეც. ტრეზორმა მუქარით წადგა ნაბიჯი წინ, უნდა დასცემოდა არამკითხე

მოსულს, მაგრამ ბოლობეჭედა არ შეკრთა, ერთი საშინლად დაიჩხავ-ლა და ხტომით გაეშურა მისკენ.

ლიზეტამ გადიხარხარა.

ტრეზორი მზად იყო ეკბინა, მაგრამ მან მხოლოდ კბილები დაა-კრაჭუნა და გასწია თავის ბინისაკენ, იქიდან მორთო ისეთი ღრენა, რომელიც კარგს არას მოასწავებდა.

ამ საშინელი წუთიდან ტრეზორს საფიქრებელი მხოლოდ ის ჰქონდა, რომ როგორმე თავიდან მოეშორებინა ეს ბოლობეჭედა.

ბოლობეჭედა მას აქეთ ფხიზლად იყო. არც არაფრის შიში უნდა ჰქონოდა, რადგან ქალბატონი მას ექომაგებოდა და როგორც ძაღლი ღრენას დაუწყებდა, მოჰყვებოდა საშინელ ჩხავილს.

ტრეზორი ჩაჩუმდა, სულ დაღვრემილი იყო, თითქო რაღაც ცუდ განზრახვას დაადგა. მაგრამ შემთხვევა ასასრულებლად არ ეძლეოდა.

— ნუ იქნები ავი, ტრეზორ, — ეუბნებოდა ლიზეტა,—ბოლობე-ჭედა თავისთვის არის, არას აშავებს. შენ ადგილს არ დაიკერს, შენ ძველებურად ჩემი მეგობარი ხარ, შენ შენი წილი ნაზუქები და შა-ქარი ყოველთვის გექნება.

მაგრამ ტრეზორი მაინც იღრინებოდა.

ერთ დილას ტრეზორი ძალიან ნასიამოვნები დარჩა, აღარ მოესმა ბოლობეჭედას ჩხავილი. არც საუზმის დროს გამოჩნდა ამის მტერი. ხომ არ გაფრენილიყო?

ბედნიერება ხელახლა ეწვია ტრეზორს! ლიზეტამ ადრინდელივით დაუწყო ალერსი. მიყუჩდა ძაღლი. მაგრამ სულ პურისსაჭმელ ოთა-ხის კუთხისაკენ გაიყურებოდა, სადაც გალია იდგა. ამ გალიიდან დღეში რამდენჯერმე გამოდიოდა ხოლმე ბოლობეჭედა სასეირნოდ და ახლა, დახეთ ტრეზორის ბედნიერებას, გალია ცალიერი იყო.

მეორე დღესაც არსად გამოჩნდა ბოლობეჭედა. გაიარა ერთმა კვირამაც, ფრინველი არსად იყო. ტრეზორს ეგონა, რომ ეს ამბავი მოჩვენება იყო და ადრინდელივით უზრუნველად, უდარდელად იწყო ცხოვრება.

ერთ საღამოს ტრეზორი გაოცდა, სასტუმრო ოთახში მაგიდაზე, კოხტა შავ ხეზე დასკუპებულიყო ბოლობეჭედა; ყელი მედიდურად მოეღერებინა, თვალები უბრწყინავდნენ და ბუმბულს პრიალი გა-ჰქონდა.

— როგორ! ფრინველი ჩემდა საუბედუროდ კიდევ გაჩნდა?

გაჯავრებულმა ტრეზორმა ერთი საშინლად დაიღრინა და დაუ-კრაჭუნა კბილები. მაგრამ ფრინველმა თითქოს არაფრად მიიჩნია ტრეზორის გაჯავრება. ამ დროს ლიზეტა მეორე ოთახში რაღაც სა-ჭირო საქმეში იყო გართული. ტრეზორმა ბევრი აღარ იფიქრა: ახ-

ტა მაგიდაზე, მივარდა ბოლობეჭედას და გაბრაზებულმა დაუწყო კბილებით ჯიჯგნა.

ფრინველი არ იძვროდა. ძაღლს საშინლად გული მოუვიდა, ჩაფრინდა ბუმბულში და კბენდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ის მხოლოდ გლეჯდა კანაფის პარკს, რომელიც სავსე იყო თეთრი შეზავებული ფქვილით.

აი, ამბავი რაში იყო, თუმცა ლიზეტა დიდ ყურადღებას აქცევდა ბოლობეჭედას, არაფერს აკლებდა, მაგრამ სამშობლო ტყის მიტოვებამ, თავისუფლების დაკარგვამ გული გაუტეხა ფრინველს, ნაღვლით საჭმელს აღარ ეკარებოდა, ტყვეობას ვეღარ გაუძლო და მოკვდა. ეს ბოლობეჭედა კი, რომელსაც ებრძოდა ტრეზორი, იყო მხოლოთ ბოლობეჭედას საფთხული.

უბედურ ტრეზორს ბრაზობამ კაი დღე არ დააყენა. ბუნებისმეტყველნი დარიშხანით ავსებენ ფრინველების ტყავს, რომ უფრო კარგად შეინახოს და ვინც მას მოჰკიდებს ხელს, იწამლება.

ტრეზორი, რომელმაც გაბრაზებით გამოფაშვა ბოლობეჭედას საფთხული, მოიწამლა და მალე ძაღლს მთელ ტანში მოედო საწამლავი. როდესაც ლიზეტა ერთ საათს შემდეგ შემოვიდა ოთახში, გვიანღა იყო ტრეზორის გადარჩენა.

ბედნიერ ტრეზორს თავგასულობამ და ბრაზობამ ბოლო მოუღო.

ნიკოლა ცრინი

I

სამასი წლის წინათ მთელი ქვეყანა ოსმალეთის შიშით თრთოდა. სულთან მაჰომედმა ქრისტიანებს სატახტო ქალაქი კონსტანტინოპოლი წაართვა და თავის სატახტო ქალაქად გაიხადა. იმავე დროს სოფიის უძველესი ტაძარი მეჩეთად გადააკეთეს და მას აქეთ იმ ტაძარს გუმბათზე ჯვრის მაგივრად მაჰმადიანების მთვარე ბრჭყვინავს. მაგრამ ქრისტიანებს მაშინ უფრო ცუდი დრო დაუდგათ, როდესაც ოსმალეთში ტახტზე სოლიმანი ავიდა.

ეს სულთანი საშინელი ბოროტი და თავმოყვარე კაცი იყო და ეგონა, რომ სახელგანთქმული იქნებოდა, თუ ყველას შიშით თავზარს დასცემდა.

ამ საშინელ კაცს სურდა მთელი ქვეყნის დამონება, უნდოდა, რომ ყველას ეწამა იმათი წინასწარმეტყველი და ხელმწიფედ მხოლოდ ეს სოლიმანი გაეხადათ. მთელი მისი ცხოვრება გალაშქრებაში და გამარჯვებაში იყო. თავის მეფობის დროს, ორმოცდაოთხი წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ ვერ გაიმარჯვა: ქალაქი ვე-

ნა ვერ აიღო და მაშინ ფიცი დადო, რომ რაც უნდა მომივიდეს, ადრე თუ გვიან, როდისმე გერმანელების ჯავრს ამოვიყრი და ძვირად უნდა დავუსვა ჩემი დამარცხებაო. ბოლოს სოლიმანსაც მოერია სიბერე. ეს ამბავი როდესაც მოხდა, რომელსაც აქ მოგითხრობთ, ის სამოცდაათი წლისა იქნებოდა. ამ გმირს სახე მთლად ნაოჭებით აევსო, ღონე გამოელია, ჯანით დაუძლურდა, მაგრამ სულით კი ფხიზელი, მარდი იყო და მაინც ერთხელ კიდევ აპირებდა მტერზე გალაშქრებას, რომ გამარჯვებით მთელი ქვეყანა გაეკვირვებინა და საშვილიშვილოდ სახელი მოეხვეჭა. ამისი საქციელი მანათობლად უნდა გადაქცეულიყო, როგორც მზე დედამიწისთვის. ოდესღაც ქალაქ ვენასთან დამარცხება მოხუცს არ ავიწყდებოდა და ძილს უფრთხობდა.

გალაშქრების წინ სულთანი თავის მკურნალს, მასავით მოხუცს, ებრაელ ლევის დაეკითხა, თუ რამდენი წლის სიცოცხლე დამრჩენია კიდევო!

ექიმი შეკრთა, ჩაფიქრდა... მათ უდიდებულესობას სიტყვა კრძალვითა და მოწიწებით გაუტარა, რომ ახლა მისი ჯანმრთელობისათვის საჭიროა დიდი სიფრთხილე, მაგრამ ბოლოს ათი წლის სიცოცხლე დაპპირდა, თუ სულთანი თავს შეინახავს, არ აღშფოთდება და მოსვენებით იცხოვრებს.

სულთანმა ლაპარაკი არ გაათავებინა ამ თვალთმაქც ექიმს.

— გაჩუმდი, მოხუცო, გაჩუმდი! — შეჰყვირა სულთანმა, — შენ ათი წლის სიცოცხლეს მიქადი, თუ მე დამშვიდებით ვიცხოვრებ, მაგრამ არ იცი, რომ მე მყუდრო და მშვიდ ცხოვრებას არა ვარ დაჩვეული. ცოცხალი თავს ვერ დავიმარხავ. რაში მინდა შენი ათი წელიწადი სიცოცხლე, თუ ყოველთვის არ გავიმარჯვებ. დეე, ერთი წელიწადი მქონდეს სიცოცხლე და მთელ ქვეყანას კი გამარჯვებით თვალები დავუყენო. ქალაქ ვენის ნანგრევებზე კანონებს დავუწერ ჩამომავლობას და გერმანელებს შიშით რჯულს გამოვაცვლევინებ.. დეე, ქვეყანამ შეიტყოს, რომ როდესაც სოლიმანი მოკვდება, ქალაქი ვენა მას მაშხალად დაენთება.

სულთანმა საბჭო შეჰკრიბა: ფაშები, ვეზირები, სარდლები, რომლებთანაც ერთად ჩვეული იყო გამარჯვებას, და ძათ გაჰოუცხადა, რომ მე მწადია გერმანელებს ქალაქი ვენა წავართვაო. რასაკვირველია, ჯერ უნგრელების ჯავრს ამოვიყრი, რადგანაც ისინი ყოველთვის ოსმალებს გვეწინააღმდეგებიან. ავიღებ იმათ ციხე-ქალაქს სიგეთს და მერე გავსწევ ვენას ასაღებადო.

ამაოდ ურჩევდნენ ფრთხილი სარდლები, თავი დაენებებინა ამ ციხისთვის, რადგან ამ ციხის მცველად იყო გამოჩენილი სარდალი,

გრაფი ნიკოლა ცრინი. მაგრამ სულთანი კერპობდა და ჭკვიანურ რჩევას ყურს არ უგდებდა.

— მე რასაც ვიტყვი, ჩემ გადაწყვეტილებას ვეღარავინ შეარყევს... როგორ მოვითმენ, რომ ეგ ვიღაც ცრინი გზაზე გადამეღობოს. წავიდეთ, ვენა ავიღოთ, სიგეთზე გავიაროთ. მნებავს მე და ასეც ავასრულებ.

ამ სიტყვებზე აღარავინ გასცა პასუხი, დაიძრა საომრად. ოცი-ათასზე მეტი ურჯულო კაცი ქრისტიანების წინააღმდეგ წაიყვანა. ამათ უნდოდათ უკვდავი სახელი მოეპოვებინათ თავის მოხუცებული სულთანისათვის.

* *

ოსმალეთისა და უნგრეთის საზღვარზე, მდინარე დუნაიზე იყო ამართული ციხე სიგეთი. ერთი მხარე ამ ციხე-ქალაქისა მთაზე იყო მიდგმული და მეორე ვაკეზე. ამ ციხე-ქალაქის უფროსად იყო უნგრეთის ერთი დიდი კაცი ნიკოლა ცრინი — მხნეობით და თავისი ქვეყნისათვის თავგანწირულობით განთქმული. ამას არაერთხელ დაემარცხებინა ოსმალოების ჯარი, როდესაც ესენი უნგრეთში დასარბევად გადმოდიოდნენ. ცრინის ჰყავდა ცოლი, სახელად ევა და ქალ-ვაჟი. ვაჟი გერმანელების ხელმწიფის ჯარში მსახურობდა და ახალგაზრდა ქალი, ელენე, დედ-მამასთან სიგეთში ცხოვრობდა. ეს დედაშვილი ხასიათით ერთმანეთს არა ჰგავდნენ. ევა ღირსეული ცოლი იყო გამოჩენილი სარდლისა, ახალგაზრდობიდანვე შეეჩვია ომის ვაი-ვაგლახს და როგორც ქმარს, ამასაც მამულისათვის თავის განწირვა კაცის პირველ ღირსებად მიაჩნდა.

ელენე დედ-მამამ ფუფუნებაში გაზარდა, მას არ ენახა ომი. ოჯახში ტკბილად ცხოვრებას იყო შეჩვეული, საქმროდ მალე ამოირჩია ერთი ყმაწვილი ოფიცერი, ლორენცო იურანიჩი, მხნე და ყოჩაღი და თავის მამის საყვარელი. ქორწილიც თითქმის დანიშნული იყო, რომ უეცრად ომი ატყდა და ეს საქმე დააბრკოლა.

კარგა ხანია ქალები ხედავდნენ, რომ ქალაქშიაც და თვით ციხეშიაც ომის მზადება იყო, ციხეს ამაგრებდნენ, მაგრამ ესენი ცრინს არა ჰკითხავდნენ, რადგან იცოდნენ, რომ იმას ომზე ლაპარაკი არ უყვარდა. მხოლოდ ერთხელ თვითონ ცრინი შეიარაღებული შეეიდა ქალებთან და გულდამშვიდებულად გამოუცხადა იმათ, რომ ოსმალოს ჯარი გვიახლოვდებაო. ელენეს შეეშინდა და განცვიფრდა. ცოლმა კი დამშვიდებით ჰკითხა:

— მითხარი მართალი, ცრინ, ჩვენი ციხე-ქალაქი გაუძლებს თუ

არა ოსმალების დატაკებას? მე ხომ შენი ნდობა დავიმსახურე და მინდა მართალი შევიტყო. არ გეგონოს, რომ შენი ცოლი რამეს შეუშინდეს! ის შეჩვეულია ომიანობას და იმდენი ღონე მოეპოვება. რომ ღირსეულ გმირს ნამდვილი მეუღლეობა გაუწიოს, ნურც შენ შეშინდები, შვილო ელენე, მამაშენი და მისი მრავალი მეგობრები ჯერ ცოცხალნი არიან და არა გვიჭირს რა.

განსაცდელი ახლოს იყო. ერთი სოფლელი მტრებს გამოეპარა და ამბავი მოიტანა, რომ სულთანი პირდაპირ სიგეთის ციხის ასაღებად მოდის უთვალავი ჯარითო. მალე ლორენცო იურანიჩიც მოვიდა და უფრო უარესი ამბავი მოიტანა: სულთანი მდინარეს გადმოვიდა და მთელ არემარეს მუსრს ავლებსო.

— სარდალო, ჩამაბარე შენი ყოჩაღი ცხენოსნების რაზმი. ველარ შევიკავებ თავს, მინდა ვიბრძოლო სამშობლოს დასაცველად, მინდა იმ წუწკის ჯავრი ამოვიყარო.

ამ აღტაცებული სიტყვების პასუხად ელენემ ხმამაღლა მორთო ქვითინი.

— ნუ სტირი, ელენე, — უთხრა ლორენცომ, — მე ომში ჩემი მოვალეობა მიწევს. მხოლოდ ომის შემდეგ შემიძლიან ცოლად გითხოვო და შენ მამას თამამად ვუთხრა, რომ მიყვარხარ. მე არა გამაჩნია რა ამ ხმლის მეტი და შენ კი, სარდალო, ჩემთვის არაერთხელ გითქვამს, რომ გმირობით შეიძლება ყველა ღირსების მოპოვება. მე ვგრძნობ ჩემში ძალას და მხნეობას. მომე გზა საომრად და გიჩვენებ, რომ ღირსი ვიქნები შენი სიძობისა.

— ვნახოთ, ბრძოლა რას მოიტანს, — უთხრა ცრინმა, — ახლა შენისთანა ყოჩაღი მეომარი მეჭირება და შენ ჩაგაბარებ უნგრეთის ბედ-იღბალს. წაიყვა თან ათასი ქვეითი ჯარი და ხუთასი ცხენოსანი. მე ვუბრძანებ, გამოგყვეს ჩემი ორი გამოცდილი მეომარი და პირდაპირ დაეცი სულთანის პირველ სარდალსა. თუ უეცრად, გაბედვით დაეცემი იმათ, იქნება მათი უმრავლესი ჯარი შეირყეს. ღმერთი იყოს შენი მწყალობელი. ჩემო შვილო, და გამარჯვებით დაგაბრუნოს სახლში.

ჭაბუკმა აღტაცებით მოისმინა ცრინის სიტყვები და თავის საცოლეს უთხრა:

— მშვიდობით, ელენე, ილოცე მუდამ ჩემთვის, შენი ლოცვა ბრძოლაში მიშველის, თუ ღმერთმა მოინდომა. მერწმუნე, სიკვდილიც ვერ გაგვაშორებს. ვისაც ბრძოლა შეუძლიან, უსინდისობაა გულხელდაკრეფილი იჯდეს, როდესაც სამშობლო განსაცდელშია.

ამ სიტყვების შემდეგ ყმაწვილი კაცი ხმალამოღებული გავიდა ოთახიდან. საბრალო ელენეს გულს შემოეყარა და დედას კალთაში

ჩაუვარდა. ელენეს გული კარგს არას ეუბნებოდა, თვალწინ ელანდებოდა თავისი საყვარელი საშინელ განსაცდელში. ქალი გაუბედავი, სუსტი არსება იყო, დედასავით მტკიცე, შეურყეველ ხასიათს ვერ იჩენდა. მას ათასწილად ერჩივნა თავის ოჯახში ღარყნარებით ცხოვრება, ვიდრე ომის გამო მოუსვენრობა; ელენე მოსიყვარულე, მორჩილი ცოლი იქნებოდა, შვილებს კარგა გამოზრდიდა, სახლ-კარს გაუძღვებოდა და ქმარს გმირობას არ მოსთხოვდა. ახლა კი მისი აზრები სულ აირდაირია. დედა ცდილობდა, ნუგეში ეცა და ეუბნებოდა, რომ კაცისათვის საკმარისი არ არის ოჯახში მყუდროდ ცხოვრება, მან უნდა გმირობა გამოიჩინოს, ვაკაცური სახელი მოიხვეჭოს და არც მამაშენის შვილს შეშვენის ლაჩრობაო.

• •

ელენეს მწუხარება მალე სიხარულად გადაექცა. ლორენცო მტერს შეხვდა თუ არა, ისე გაიმარჯვა, რომ გამოჩენილ გმირად შეიქმნა. ერთი მუჭა ჯარით, საოცარი გაბედულობით დაეცა მტრის დიდ ბანაკს, ოთხიათას კაცზე მეტი ძირს დასცა და დანარჩენნი გაიქცნენ. გაქცეული მტრებიდან ბევრი სარდლიანად ჩაიფლნენ ჭაობებში, ბევრიც ტყვედ წამოიყვანა და ამ ახალგაზრდა მეომარმა აუარებელი სიმდიდრე იშოვნა. ყველა, დიდი და პატარა, მოხუცებული და ახალგაზრდა, აღტაცებაში მოდიოდა ამის გამარჯვებით. ცრინიმ გულში მხურვალედ ჩაიკრა და ცრემლებმორეული თვალებით უთხრა:

— შენს ღვაწლს ჩამომავლობა არ დაივიწყებს. ახლა მე თვითონ ვაძლევ გმირს, რასაც არ ვაძლევდი ჩემს მეგობარს და საყვარელს, ქალი მთხოვე და აი, მომიცია. ღირსეულო ჭაბუკო, იყავ ბედნიერი!

ბედნიერი მამა ის იყო ლოცავდა მის წინ დაჩოქილს ნეფედედოფალს, რომ უეცრად ბუკის ხმა მოისმა, რომელიც ნიშნავდა შიკრიკის მოსვლას. ყველა გაეშურა ფანჯრებისაკენ და გერმანელების ხელმწიფის გამოგზავნილი კაცი დაინახეს. ორი წუთი და ეს კაცი შემოვიდა და გრაფ ცრინის გერმანელების ხელმწიფისაგან ბეჭედდასმული წერილი მიართვა.

ხელმწიფის წერილი სანუგეშო არ იყო: ცრინის ოსმალების წინააღმდეგ შველა ეთხოვნა და ხელმწიფეს უარი შემოეთვალა, თუმცა მას სატახტო ქალაქში ყოველ მხრიდან დიდძალი ჯარი ჰყავდა მოგროვილი. ხელმწიფე უთვლიდა, რომ უნგრელებს თავის სამშობლო ყოველთვის ყოჩაღად დაუცავთ და ახლაც, იმედია, მიშველება არ მოუნდებათო.

ცრინი მიხვდა, რომ სიგეთი ნიშანში ამოუღიათ. ამ ციხემ უნდა შეიმაგროს მტერი, სანამ გერმანელების სატახტო ქალაქი ღონეს მოიკრეფს და გამაგრდება. უეჭველია, სიგეთი ან მიწასთან გასწორდება და ან მტერს ხელში ჩაუვარდება, თუ რომ პათ გარედან სხვა ჯარი არ მიეშველება. ამ ციხის დაცვას ხელძწიფე საკუთრივ ნიკოლა ცრინს აბარებდა.

ცრინი უამისოდაც მზად იყო სამშობლოსათვის თავი შეეწირა, მაგრამ ცოლსა და ქალს რაღა უყოს? კარგი იქნება, რომ ვენაში გაგზავნოს. იქ მოსვენებით, უშიშრად იცხოვრებენ. მაგრამ სხვები სხვანაირად იფიქრებდნენ, იტყოდნენ, რომ სარდალს გამარჯვების იმედი არა აქვსო და თვითონაც მხნეობას დაჰკარგავდნენ. რაც იქნება-იქნება, დეე დარჩნენ, ციხის კედლები მაგარია, მეომრები ყოჩაღები მყავს... ციხემ ორჯერ გაუძლო მტრის მოსვევას... თუ გაჭირდა, ციხეს საიდუმლო კარები აქვს, საიდანაც შეიძლება ვისაც უნდა გავიდეს. ქალები განა მართლა ისე ლაჩრები არიან, რომ მამულისათვის თავს ვერ დასდებენ? დეე, დარჩნენ ჩემთან! ამ ბრძოლით დავუმტკიცებ ჩემს მამულიშვილობას ჩემს საყვარელ მამულს. თუ საჭირო იქნება. ცოლსაც და ქალსაც ვუმსხვერპლებ, ჩემი სარწმუნოების გულისათვის თავს გავწირავ...

ცრინი არ მოატყუა მისმა ფიქრებმა. როდესაც ერთი მეგობარი ურჩევდა ცოლ-შვილის სხვაგან ვაგზავნას, ევამ უთხრა ქმარს: „ნება მომეცი, შენთან დავრჩე, მე ვერსად ვერ წავალ! როდესაც ქმარი განსაცდელშია, ცოლი უთუოდ გვერდში უნდა უდგეს!“

— გრაფინია! ნუ დაივიწყებთ, რომ ქალის პატრონი ხართ, — თქვა ისევ მეომარმა.

— ჩვენმა ქალმაც უნდა დაამტკიცოს, რომ სიყვარული იცის.

მართლაც, აქამდის ლაჩარს, მხდალს, მოშიშარს და მტირალა ქალს ახლა საქმროს და დედის გამბედაობამ ისეთი ძალა აგრძნობინა, რომ იმანაც უთხრა მამას:

— მამაჩემო! ნება მოგვეცით თქვენთან დავრჩეთ!

ყველა ერთხმად ურჩევდა ქალებს ციხიდან წასვლას, მხოლოდ ელენეს საქმრო არ იღებდა ხმას. მოხუცებული ცრინიც დადუმებული იყო, მის წამწამებზე ცრემლი მოჩანდა. ცდილობდა ცოლისა და ქალისათვის არ შეემჩნევინებინა. ქალებმა მის წინ დაიჩოქეს, ფეხებს უკოცნიდნენ და სთხოვდნენ: „გევედრებით, ნება მოგვეცი შენთან დავრჩეთ!“

ბოლოს ცრინმა ხმა ამოიღო:

— კარგი! დარჩით... — მერე მიუბრუნდა თავის მეგობარ მეომარს და უთხრა: — ახლა საქმეს შევუდგეთ! მოედანზე მოაგროვეთ

ყველა. ვისაც კი ხელში თოფის დაჭერა შეუძლიან! ხელმწიფის ბრძანება უნდა გამოვაცხადო და ისიც უნდა გამოვაცხადო, მე როგორ ვაპირებ საქმის წაყვანას. შენ, ევა, მომრთე, შენი ხელით მომკაზმე. განსაცდელის წამი დაგვიდგა!

* *

სიგეთის მოედანი საესე იყო შეიარაღებული ხალხით. ქალაქისა და ციხის გალავანზე ზარბაზნები ჩაემწკრივებინათ. ციხის დარაჯმა დიდი ხანია აცნობა ხალხს, რომ შორიდან ოსმალები კიდეც ჩანან; უნგრელების ხუთ სოფელს ცეცხლი ეკიდებოდა, მტერი სიჩქარით უახლოვდებოდა ციხე-ქალაქს, ხალხი მოედანზე ღელავდა, მოუთმენლად მოელოდა თავის დიდი ხნის მეთაურ სარდალს. ოფიცრები ერთმანეთს გაკვირვებით ეუბნებოდნენ, რომ გრაფი ასე დამშვიდებული, როგორც ახლა, არაოდეს არ გვინახავსო.

ბოლოს გამოჩნდა თვითონ გრაფი ცრინი. მოედანი თითქოს გაქვავდა, ბუზის ფრენასაც კი გაიგონებდა კაცი, ათიათასზე მეტი თვალი დააცქერდა გრაფს... მისი თვალები რაღაც სასწაულებრივი ცეცხლით იყო აღგზნებული, ჭაბუკის გატაცება კი არ გამოიხატებოდა იმის თვალებში, არამედ მოფიქრებული თავის შეწირვა სამშობლოს დასაცველად. დამშვიდებით მოელოდა ქალაქზე მომავალ მტერს. გადამწვარი სოფლების ცეცხლის ალები თითქმის ქალაქამდის უწევდა, მაგრამ შეხედეს თუ არა დამშვიდებულ ცრინის, ხალხიც დამშვიდდა და მოისმინა მისი შემდეგი სიტყვები:

— ყველა აქ დამსწრემ მოისმინეთ, რაც გითხრათ თქვენმა სარდალმა: ჩვენი ციხის ასაღებად სულთანი მოდის დიდი ჯარით, მიწასთან გასწორებას გვიქადის! ძმებო! დავხვდეთ მედგრად. ხელმწიფეს იმოდენა ჯარი არა ჰყავს, რომ მტერს გზა შეუკრას და ჩვენამდის არ მოუშვას, მაგრამ იმედი აქვს, რომ უნგრელები სიკვდილს არ შეუშინდებიან და თავის სარწმუნოებას, თავის სამშობლოს დაიცავენ! განა მტრის ძალამ უნდა შეგვაშინოს? მოიგონეთ, რა დიდია ზღვა. მაგრამ კლდეს კი ვერ დასძრავს! ნუ შეუშინდებით მტარვალს! ღმერთი ჩვენ მხარეს იქნება! ქრისტიანები ჩვენ შემოგვცქერიან და ლოცულობენ, რომ ურჯულოებს მოვერიოთ! მაშ წავიდეთ მამაცად, უშიშრად დავუხვდეთ მტრებს. თუ მე ღმერთი სხვებზე უწინ გამწირავს სასიკვდილოდ, ჩემს მაგიერობას გაგიწევთ ჩემი მეგობარი და საქმეებში თანამოზიარე მეომარი ალაში! მომისმინეთ კიდევ ორიოდე სიტყვა! იქნება უკანასკნელადაც გარიგებდეთ! ვინც უფროსის ბრძანებას არ გაიგონებს, იმას თავს მოჰკვეთენ, ვინც თავის

ადგილიდან დაიძვრის, სანამ არ უბრძანებენ, ის დაუსჯელად მოკვდება, ვინც ოსმალებს წერილს გამოართმევს, ის სამშობლოს გამცემია! ამისთანა კაცი ცეცხლში დასწვით და წერილები მტერს წაუკითხავად მიუყარეთ! ორი ძეომარი რომ ერთად შეიყარონ და ჩურჩული დაიწყონ, ისინი უნდა ჩამოახრჩოთ, რადგან ერთმანეთში საიდუმლო არ უნდა იყოს. ჩვენი ციხის შესავალში უნდა გამოვხატოთ სისხლისფერი წითელი ჯვარი, ნიშნად ჩვენი ქრისტიანობისა. დეე, ოსმალებმა ხახონ რისთვის ვიბრძვით და თავს ვაკლავთ! როგორც თქვენი წინამძღოლი, მუხლს ვიდრეკ ღვთის წინაშე და ფიცს ვდებ, თქვენც უნდა დასდოთ ფიცი!

ვრაფი წინ წადგა, დაიჩოქა და განაგრძო: — მე, ნიკოლა ცრინი, ღვთის წინაშე ფიცს ვდებ, რომ სანამ ჰირში სული მიდგია, არ ვუღალატო სამშობლოს! დეე, ღმერთმაც და კაცმაც ხელი აიღოს ჩემზე სიკვდილის საათს, თუ მე თქვენ ძმობას ვუღალატო, ლხინში თუ ჭირში გადავუდგე ჩემს უნგრელებს! დაიფიცეთ თქვენც თქვენს ხმლებზე!

მთელმა ხალხმა, როგორც ერთმა კაცმა, ისე დაიჩოქა. ოთხი მოხუცებული უფროსი წამოდგა წინ, თავიანთი ხმალი გადააჭვდეს ცრინის ხმალზე და ხმამაღლა წამოიძახეს:

— ფიცსა ვდებ შენს წინა, ვრაფო, როგორც ღვთის წინ, რომ არ ვუღალატოთ არც კანონს, არც უფროსს, არც სამშობლოს, და ყოველთვის შენი ბრძანების ამსრულებელი ვიყოთ!

და მთელმა ხალხმა ერთხმად გაიმეორა ეს აღთქმა, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ან გაიმარჯვებდნენ, ან ეწამებოდნენ.

თანდათან ღამდებოდა, მაგრამ ეს ღამე ბნელი არ იყო, როგორც კვლავ; მტერს სოფლებისათვის ცეცხლი მოეკიდებინა და ამის გამო მთელი არემარე და მლოცავი ლაშქარი წითლად იყო განათებული, მათ ხმლებს ლაპლაპი გაჰქონდა.

* *

ოთხ მარიამობის თვეს 1566 წელს სიგეთის ციხე-ქალაქს მტერი შემოერტყა; ოსმალების უმთავრესი მიზანი იყო ეს ციხე-ქალაქი სისწრაფით აეღო და აქედან გზა გაეკვლიათ ქალაქ ვენამდის, რომ ის ხელში ჩაეგდოთ, სანამ მისი ხელმწიფე ჯარს მოაგროვებდა. მაგრამ სიგეთის აღება არც ეგრე ადვილი იყო, როგორც მტერი ფიქრობდა. თუმცა ოსმალებს დიდი ძალი ჯარი ჰყავდათ და გაბედულება არ აკლდათ, მაგრამ მივიდოდნენ თუ არა ციხეზე იერიშით, მაშინვე უკუქცეული იქნებოდნენ. უნგრელები ამასაც არა სჯერდე-

ბოდნენ, დროდადრო გამოდიოდნენ ციხე-ქალაქიდან, მტერს თვით მდინარეშიაც კი უეცრად თავს დაესხმოდნენ და ბევრს ელეტავდნენ.

სიგეთი კლდესავით მაგრად იდგა. როგორც კლდეს არას უზამს გაშმაგებული ზღვის ზვირთები, ისეც ციხეს მტრის ძალა ვერაფერს ავნებდა. დაღონდნენ ოსმალების სარდლები, დაიღვრიმა სულთანიც, არ მოელოდა, რომ მისი ყოჩაღი ჯარი ასე შერცხვებოდა. მერე რამ გაუკირვა მათ ასე საქმე? ერთმა უმნიშვნელო პატარა ციხემ ლამის ამათ ჯარი გაუწყვიტოს, სულთანს თავმოყვარეობა საშინლად აწუხებდა.

ბოლოს სულთანმა სარდლების ხვეწნა ისმინა და ჯარი ციხეს დროებით მოაშორა; ახლა უნდა ციხის შინაგანი ამბავი შეეტყო და ამიტომ მიმართა ერთ დატყვევებულ უნგრელ ოფიცერს, რომლისთვისაც ერთ ოსმალოს ხანჯალი სახეში დაეცა და იმდენი სისხლი დენოდა, რომ გონება დაჰკარგოდა და მტერს ხელში ჩავარდნოდა. კარისმცველებმა თავშეხვეული ტყვე სულთანთან შემოიყვანეს.

— ვინა ხარ, ყმაწვილო, მითხარ! — ჰკითხა სულთანმა.

— მე უნგრელი ვარ და ქრისტიანი! — ორნაირად უნდა გეჯავრებოდეთ! — უპასუხა ოფიცერმა.

— მე საქმე თვითეულ კაცთან არა მაქვს, სოლიმანი ზღვაში წვეთებს ყურადღებას არ ათხოვებს. მე თუ განვრისხდები, მთელ ხალხზე და არა ერთ პირზე! მითხარ, რა მდგომარეობაშია ახლა სიგეთი?

— აიღე ციხე და შეიტყობ!

— აი, შე ძაღლო, გიაურო!.. — შესძახა სულთანის ერთგულმა წინაკაცმა, — როგორ ბედავ და პასუხს აგრე შეუპოვრად აძლევ მბრძანებელს?

— შენ უთუოდ მაგის მონა იქნები, მე კი არ მეშინიან მაგისი, — უპასუხა ყმაწვილმა კაცმა, — მე მწამს მხოლოდ ღმერთი და ჩემი ერი.

ტყვის გამბედავი სიტყვები მოეწონა სულთანს და თავის დაჭერით განაგრძო სიგეთზე გამოკითხვა. ტყვემ საოცარი სითაძამით უთხრა შემდეგი:

— გირჩევ, სულთანო, თავი დაანებე მაგ სიგეთს! მაგ ციხის ძირში შენი ბედი უბედობად გადაიქცევა! იმათთან შენი ძლიერი ჯარი ფუჭად იქცევა! სიგეთში რიცხვით ბევრნი არ არიან, მაგრამ შენ ოციათას კაცს ჩვენი ერთი მუჭა ხალხი აჯობებს! ყოველმა უნგრელმა სამშობლოსათვის თავის განწირვა იცის; ჩვენ შენი ოსმალებივით მხდალად კი არ დავუხვდებით სიკვდილს, ყველა ჩვენგანი მზად არის სამშობლოსათვის თავი გასწიროს!

— სიკვდილი თქვენ! ყველანი დაიხოცებით! — შეჰყვირა სულთანმა. — ისე დაიხოცებით, როგორც შეუპოვარი მცურავი ზღვის ზვირთებში, და თქვენი ხსენებაც კი აღარსად იქნება!

— ნუ ჩქარობთ აგრე, დიდებულო სულთანო! მათი ხსენება არაოდეს არ გაქრება! — შესძახა თამამად ტყვემ, — როგორც მუდმივი მნათობი თავისი სხივებით, ისე გაანათებს იმათი ხსენება შთამომავლობას! შენ თავი მოგაქვს გამარჯვებით, სულთანო, და მოგიხვეჭია კიდეც სახელი, მაგრამ იცოდე, რომ სხვა უფრო დიდ სახელს ძოიხვეჭს! იცი შენ, განთქმულო სარდალო და ათიათასი კაცის სისხლისმსმელო, რომ სხვები გმირულად თავს გასწირავენ სარწმუნოებისათვის და სამშობლოსათვის და შთამომაელობას გაათავისუფლებენ შენი მონობისაგან! იცოდე, სულთანო, რომ არა თუ სხვები, შენ შენი ხალხიც ჩაგთვლის მტარვალად და დაგწყევლის! შეხედე შენს საცოდავ მონებს, როგორ კანკალებენ, პირში რომ გეუბნები სიმართლეს! მე მაინც არ დავიშლი და მართალს გეტყვი! შენ შენი დიდება მკვდრებზე და დამწვარ სოფლებ-ქალაქების ფერფლზე აგიშენებია! რაღას ელი? დაუძახე შენს ჯალათებს და ჩემი თავი მოაკვლევინე! მე პირში გითხარი ის, რასაც სხვები ვერ გაბედავდნენ და ვერ გეტყოდნენ!

სულთანი ჯალათებს არ უხმობდა. ის ფერმიხდილი, ჩაფიქრებული იჯდა, სიბრაზით ტუჩები უთრთოდა, მისი ჭაღარა თავი კანკალებდა და მისი სასტიკი თვალები მიწას დასცქეროდა. გარშემო ყველა შიშით თრთოდა, თავიანთი სულთანი ასე გაჯავრებული ჯერ არ ენახათ, მხოლოდ ეს ყმაწვილი, ეს უნგრელი ტყვე იდგა შეუპოვრად, მამაცად ამ სასტიკ მსაჯულს წინ, თვალი თვალში გაეყარა სულთანისათვის და სიკვდილით დასჯას მოელოდა. დიდხანს გაგრძელდა ეს სიჩუმე, ბოლოს სოლიმანმა ტყვეს თვალები მიაპყრო და თქვა:

— ქრისტიანო! შენ განმითავისუფლებიხარ! მთვარეს ძაღლმა რამდენიც უნდა უყეფოს, მაინც ვერას დაუშავებს! მომინიჭებია შენთვის სიცოცხლე, გასწი საითაც გინდოდეს, ჩემთვის მხოლოდ გამოჩენილი კაცის სიცოცხლეს აქვს ფასი!

ქრისტიანმა არ იკადრა მოწყალების მიღება და შესძახა:

— გულამაყობით მოცემულ წყალობას არავისგან მივიღებ, ან პატივით მომეპყარ, ან მომკალი სულთანო!

— ქრისტიანო, — გააწყვეტინა სიტყვა სულთანმა, — მე დიდი ხანია პატივს აღარავისა ვცემ.

— მაშ ხელახლა გასწავლი ადამიანის პატივისცემას, — შეჰყვირა ტყვემ და მოიგლიჯა თავიდან ჭრილობის შესახვევი. — მე მტრისაგან მოწყალებას არ მივიღებ, აქ შევანთხევ სისხლს, თუ ბრძოლის

ველზე. სულ ერთია, მაინც თავს ვწირავ ჩემ სამშობლოს. იცოცხლოს ჩვენმა ხალხმა და შეაჩვენოს ჩვენი მტრები.

ამ სიტყვების თქმა იყო და ყმაწვილი სისხლიდან დაიცალა და სულთანის წინ მკვდარი დაეცა.

— ბედნიერია ის ხელმწიფე, რომელსაც ასეთი ქვეშევრდომები ჰყავს, — თქვა სულთანმა და უბრძანა მკვდრის გატანა.

შეწუხდა სულთანი. ამგვარ შეუპოვარ სიტყვებს არ მოელოდა ტყვისაგან, ახლა სიბერის დროს, უნდა ესწავლა ადამიანების პატივისცემა. ან რისთვის ჰკარგავდა დროს, რა საჭირო იყო უთუოდ აეღო ეს დიდმნიშვნელობას მოკლებული ციხე.

სულთანმა მაშინვე მოიხმო თავისი ვეზირი და სარდალი მეჰმედი და უბრძანა გამოეწვია გრაფი ცრინი სალაპარაკოდ.

— უთხარი მას, რომ წინააღმდეგობა ტყუილია, ნებით ჩაგვაბაროს სიგეთი და მე იმას მთელი აქეთა მხარის უფროსობას მივცემ, თვალმარგალიტით ავავსებ, ჩემს მეგობრად, ჩემს თანამოზიარედ გავიხდი, და თუ არ დათანხმდება, უთხარ, ციხეს რომ ავიღებთ, აღარავის დავინდობთ, ამოვწყვეტთ მოხუცსაც და ბავშვებსაც, მის ცოლს და ქალს გავაუპატიურებინებ... თუ მაინც არ დათანხმდეს... მაშინ ისიც უთხარი, რომ იმისი ერთადერთი საყვარელი ვაჟიშვილი ტყვედ მყავს აქა და თუ გრაფ ცრინი არ ჩაგვაბარებს ციხეს, იმისთანა სატანჯველს მივაყენებთ, რომ ქვეყანაზე გაგონითაც არავის გაეგონოს. წადი და უთხარი იმ ამპარტავან სარდალს, დეე, ამოირჩიოს, რომელიც უჯობდეს: ჩვენგან დამარცხებული ქვეყნების ხელმწიფობა, თუ მისი შვილის დატანჯვა. თუ მაინცდამაინც არ ჩაგვაბარებს ციხეს, მაშინ სწორედ მე ადამიანებისა აღარა გამეგება რა.

• •

ქალაქი სიგეთი თითქმის მიწასთან იყო გასწორებული, ძველი კედლები ვეღარ უძლებდნენ ოსმალების ტყვია-წამალს და დღედღეზე მოელოდნენ მტრის შესევას და ხალხის გაწყვეტას; ხოლო ციხე და გრაფის სასახლე ჯერ მაგრად იდგა. ცრინი ყველას ეუბნებოდა: მიიტანეთ თქვენი სარჩო ციხეში და შეაფარეთ იქ თავი; მერე უბრძანა ქალაქი ყოველი მხრიდან გადეწვათ, რომ მტერს ხელში არ ჩავარდნოდა.

ძნელი იყო მოხუცებული გრაფისთვის გაენადგურებინა ის ქალაქი, რომელსაც ერთ დროს ისე ხალისით აშენებდა, მაგრამ როდესაც კაცს გაჭირვება მოადგება, აღარას გკითხავს. მისი ერთგული ალაში კუპრს და ცეცხლს ამზადებდა, რომ როგორც კი გრაფი ანიშნებდა,

ქალაქისთვის იმწამსვე ყოველ მხრიდან ცეცხლი წაეკიდებინა. დასცქერის გრაფი სასახლიდან თავის აშენებულ და გამშვენიერებულ ქალაქს და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის. ამ დროს სულთანის გამოგზავნილი მეპმედი მოიჭრა და ათასგვარ წყალობას ჰპირდებოდა, თუკი ნებით დასთმობდა ქალაქსა და ციხეს. გრაფმა დიდი მოთმინებით ბოლომდის მოისმინა მეპმედის სიტყვები და თავდაჭერით უპასუხა: სულთანს უთხარ, რომ მე ნიკოლა ცრინი ვარ და თუ ცოტათი მაინც პატივსა მცემს, როგორ ითხოვს, რომ ჩემ ქვეყანას ვუღალატო? დეე, იერიშით აიღოს ციხე და როგორც უნდოდეს, ისე მოიხმაროს თავისი ძალა. მე კი ისე მოვიქცევი, როგორც ჩემი პატიოსნება და მოვალეობა მოითხოვს.

მაშინ მეპმედმა უთხრა სულთანის მუქარა მისი ცოლისა და ქალის შესახებ, მაგრამ ამანაც ვერ შეარყია გრაფი და მეპმედს სიტყვა მოუჭრა.

— უბედურო, შენ ჯერ არ იცი ჩვენი ქალების თავგანწირულობა. იმათ იციან სადაც საჭიროა თავის განწირვა.

როდესაც მეპმედმა დაინახა რომ ამ კაცს არც დიდება და არც ცოლის დაღუპვა არად მიაჩნია, მაშინ უკანასკნელი ღონე იხმარა და უთხრა, რაც მოელის მის დატყვევებულ შვილს. მოხუცმა ხელები თვალებზე მიიფარა და უნებლიეთ წამოიძახა:

— შვილო! შვილო გიორგი, ღმერთო ჩემო, რა ძნელს სასჯელს მაყენებ!

— მაშ შვილსაც სასიკვდილოდ სწირავ? — უთხრა მეპმედმა და ეგონა ეს-ეს არის გრაფი ხელში ჩაიგდო.

— დიდი ხანია მე ჩემ თავზე ხელი ამიღია, სამშობლოს თავის დღეში არ ვუღალატებ, აწვალეთ, აწამეთ, ჯვარს აცვით... გიორგი ჩემი შვილია და ღირსეულად მოკვდება.

ეს თქმა იყო და ცრინი გარეთ გავარდა და დაიყვირა:

— მოუკიდეთ ახლავე ქალაქს ცეცხლი, დეე, დაიწვას! ევა, ელენე, მეგობრებო, ყველა აქ შემოდით. — და ოთახში შემოვიდნენ გრაფის ცოლი, ქალი და უნგრეთის სარდლები, რომელნიც მეორე ოთახში ელოდნენ ამათ მოლაპარაკების შედეგს.

ცრინი იმათ მიუბრუნდა და აღტაცებითა და აღგზნებული სახით უთხრა:

— მეგობრებო, სთქვით ამ ოსმალოს წინ, რომელიც აპირებდა მოღალატედ გავეხადნე, განა თქვენ თვითონ არ შეპფიცეთ ღმერთს სამშობლოსათვის სიკვდილი?

ყველამ ერთხმად დაიძახა:

— ჩვენი ნებით ვწირავთ თავს სამშობლოს!

— თქვენც თქვით, ქალებო, მზადა ხართ ეწამოთ სარწმუნოებისა და ნამუსისათვის?

— მე დიდი სიამოვნებით ვკისრულობ თქვენთან ერთად სიკვდილს, — თქვა მისმა ცოლმა.

— მეომრის დანიშნულს სხვაფრივ სიკვდილი არ შეშვენის! — თქვა ელენემ.

ცრინი სიყვარულით გადაეხვია ცოლ-შვილს, ამ დროს ქალაქს ცეცხლი ეკიდებოდა და ამ ცეცხლის შუქმა გაანათა ამგვარ მამაცობით გაოცებული ოსმალეთის ელჩი, და ეს გმირები, რომელნიც მზად იყვნენ სიხარულით მიჰგებებოდნენ სიკვდილს სამშობლოსათვის.

— ახლა წადი, ვეზირო, შენ სულთანთან და უამბე, რაც ნახე, — თქვა მოხუცმა ცრინმა, — ისიც არ დაივიწყო, რომ ხალხი ჩვენ მოგვყვება. მაგრამ სანამ შენ მიხვალ, ივი დაინახავს ცეცხლმოკიდებულ ქალაქს და მიხვდება, რომ ცრინმა გაუპატიურებას სიკვდილი არჩია, რომ მამულისშვილობა ურჩევნიან ყველა საუნჯეს, რომ სამშობლოს არ გასცემს თავის თუნდ პირმშო შვილზე. იცოდეთ, არც ერთი ჩვენთაგანი ცოცხალი არ ჩაგივარდებათ ხელში, ვერც ერთ ჩვენთაგანს ბორკილს ვერ გაუყრით და ეს ჩვენი დამწვარი ქალაქი ჩვენ სასაფლაოდვე გადაიქცევა. ამ სიტყვებით გაისტუმრა ცრინმა სულთანის ელჩი.

პასუხმა სულთანი გააოცა. თანაც გამოჩნდა, როგორ ეკიდებოდა ქალაქს ცეცხლი და ეს ამტკიცებდა, რომ მტერი სიცოცხლეს არ დაზოგავდა. ექიმი სულთანს უქადდა ათი წლის სიცოცხლეს მხოლოდ იმ პირობით, რომ მშვიდობიანად და მყუდროდ ეცხოვრა. მაგრამ მეპმედის მოტანილმა ამბავმა სულ დააუძლურა სამოცდაჩვიდმეტი წლის მოხუცი. გაოფთრებულმა და აღელვებულმა სულთანმა ჩასისხლიანებული თვალებით და აკანკალებული ხმით გასცა ბრძანება სიგეთის ციხეს იერიშით მისდგომოდნენ, მაგრამ ვერც მეორედ მისვლით, ვერც მესამედ, ვერც მეოთხედ და ვერც მეხუთედ ვერას გახდნენ; ქალაქის კედლები ააფეთქებინა, მაგრამ ცრინიმ ციხე ჩაიკეტა და მტერს არ ემორჩილებოდა. ასე ამ ციხეს ერთი თვე უტრიალებდნენ და ხელთ ვერ იგდეს. სულთანი დაუძლურდა, სიბრაზით სიცოცხლე შეუმოკლდა. მან ერთხელ მკვდრები დაათვლევინა, უნგრელები მოკლული მხოლოდ ხუთასამდე იქნებოდა, ოსმალები კი სულ უბრალოდ რამდენიმე ათასი მომკვდარიყო. ამის შეტყობამ ხომ სულთანი სრულიად დააძაბუნა, მის სიკვდილს დღე-დღეზე მოელო-

დნენ; ის მაინც არ ისვენებდა, მომაკვდავი სულ იმ ფიქრში იყო, რომ ერთხელ კიდევ მაინც მოსწრებოდა გაძარჯვებას. სიბრაზით ენა აღარ ემორჩილებოდა და მაინც სიგეთის ასაღებად სასტიკ განკარგულებას აძლევდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ თვით თავის ერთგულ ვეზირებს და სარდლებს უსამართლოდ სჯიდა და აკვლევინებდა. როდესაც სწორედ ის დღე დადგა, რომელსაც ყოველთვის ძისი მამაც და ესეც ომში გაძაოჯვებას დღესასწაულობდნენ, სულთანის სიცოცხლე საათობით დათვლილი იყო, და სწორედ აქ დროს მოუტანეს საძწუხარო ამბავი, რომ მისი ჯარი სრულიად დამარცხდა, დაუოლურდა ტყუილუბრალოდ იერიშით მისვლით და ბოლოს კაჭცევით თავს უძველა.

სულთანის ოკავშირე ეგვიპტის ფაშა ბრძოლის ველზე მომკვდარიყო და სანუგეშო არა დარჩესილიყო რა ოსმალოს ჯარისათვის აქ ყოველთვის ბედნიერ დღეს.

აქაარტავასმა სულთანმა ეს მეხი ველარ აიტანა... მოიგროვა უკანასკნელი ძალ-ღონე და შეკყვირა ამბის მომტან ვეზირს:

— ახლავე გასწიეთ კიდევ სიგეთის ასაღებად!

ვეზირსა გადაჭრით უპასუხა, რომ ჯარი უაოზე დგას. სულთანმა ველარ მოითმინა ურჩობა და ვეზირს ხანჯალი დასცა, მეორე ღონეშიხდილი დაეცა და სული დალია. ძლიერი სულთანის მაგივრად, რომელიც ქვეყნის ბედ-იღბალს ატრიალებდა, ახლა ბოროტებით დამახინჯებული გვამი იდო. მართალია, სულთანი მოკვდა, მაგრამ ჯარში ჯერ კიდევ ტრიალებდა მისი სული.

ჯარს რომ ძხეობა არ დაკარგოდა და ერთხელ კიდევ მისულიყო ციხის ასაღებად, ვეზირებმა სულთანის სიკვდილი დროებით დამალეს. მაშინვე ეს ამბავი საიდუმლოდ აცნობეს ტახტის მემკვიდრეს კონსტანტინეპოლში. მკვდარს კი ძვირფასი ტანისამოსი ჩააცვეს, სახე ფერუმარილით მოურთეს, მაღლა აშვერილ ხელში ხმალი დააჭერინეს და ბინდისას შორიდან უჩვენეს აღელვებულ ხალხს ტახტზე მჯდომი სულთანი; მოტყუებული ჯარი შეშინდა და ერთი კიდევ გაილაშქრა მტერზე.

აშკარა იყო, რომ ახლა კი ველარ გაუძლებდა ძველი ციხე, სადაც თავი შეაფარეს ცრინმა თავის სახლობით და ერთმა მუჭა მხნე მეომრებმა. ცრინის და მის მეომრებს სასიკვდილოდ ჰქონდათ თავი გადადებული და ცოცხალი კი არ დანებდებოდნენ; მხოლოდ მათ ქალების ბედი ძალიან აწუხებდათ. საზრდო ორიოდ დღისა დარჩენოდათ, და ისიც ქალებს თუ ეყოფოდათ, რომელნიც სარდაფებში ჰყავდათ დამალული.

წამისწამს მოელოდნენ ციხის დანგრევას და მტრის შემოსევას.

ცრინიმ ერთი კიდევ მოინდომა ცოლის და ქალის გადარჩენა. მისმა მოხუცმა ლალამ იპოვნა ერთ სარდაფიდან ტბისაკენ გასავალი გზა.

— ხვალ გათენებისას გახვალთ აქედან! — უთხრა ცრინიმ ქალებს, — ტბიდან სულ ორასი ნაბიჯი არ იქნება ტყემდის, იქიდან მალული ბილიკებით მიხვალთ ხელმწიფემდის და აცნობებთ, რომ ცრინი დამარცხდა როგორც ნამდვილი მამულისშვილი, და რომ მან სასიქადულო საფლავი სიგეთის ნანგრევებში მოიპოვა, ნურაფრისა ნუ შეგეშინდებათ, ყველა საქმე კარგად მოვაწყე, ელენეს საქმრო. იურანიჩი გაგაცილებთ.

ყმაწვილი კაცი აქვე იდგა და ცრინის სიტყვა მოუჭრა:

— შენ მე გამზარდე, გრაფო, მასწავლე ხმლის ხმარება, მოვალეობის ასრულება, ღირსეულად თავის დაჭერა. შენს საუნჯეს, ქალს მაძლევ ცოლად და თან მაიძულებ, უპატიოსნოდ მოვიქცე და არ გინდა შენ შვილს გავუზიარო უმაღლესი დიდება — როგორიც არის მამულისათვის სიკვდილით თავის განწირვა. არა, მამაჩემო! არ გეთანხმები! მე ვარ მეომარი, ფიცი მიმიცია და შენსავით მეც უნდა თავი შევწირო სამშობლოს.

— კეთილშობილო ჭაბუკო! მართლა რომ ღირსეული შვილი ყოფილხარ, მაგრამ შენ მაინც უნდა გააცილო ეს ქალები... დახე, საწყალი შენი დანიშნული როგორ ტირის! მაგის მოსიყვარულე გული უნდა დააკმაყოფილო, შენ უნდა იცოცხლო და გაახარო შენი მომავალი ცოლი!

— მართალია, მაგას მივეცი ჩემი გული, მაგრამ ჩემი პატიოსნება ეკუთვნის მამულს! ეს უკანასკნელი მოვალეობა არის უმაღლესი მოვალეობა და ყველაზე ადრე ეს მოვალეობა უნდა ავასრულო. ჩემი სული და გული, ჩემი გრძნობა, ჩემი აზრები, ყველა ეს გეკუთვნის შენ, ჩემო ელენე, მაგრამ ჩემი სიცოცხლე კი ეკუთვნის ჩემს სამშობლოს. მე სრულიად შენი ვიქნები მხოლოდ მაღლა ზეცას, და აქ კი მოვალე ვარ, ფიცი დამიდია, სამშობლოს ვამსხვერპლო თავი! თქვენ წადით, თავს უშველეთ და ხანდახან მომიგონეთ ხოლმე მეც, მეტადრე როდესაც მოიწყენთ, და ორიოდე ცრემლს ნუ დაიშურებთ იმის სახსოვრად, ვისაც წრფელი გულით, მხურვალედ უყვარდით! ნუ სტირი, ხომ არა მიწყენინებია რა!.. დამიჯერე, ელენე, რომ მე ახლა მეტად მიყვარხარ და არა ნაკლებად და მინდა ნამდვილი პატიოსანი კაცი გამოვიდე სამშობლოს წინაშე.

ქალებმა გადაჭრით თქვეს, რომ ისინიც რჩებიან აქ და არ ფიქრობენ გაქცევას, მერე გრაფს დაუწყეს ხვეწნა, რომ მას ნება მიეცა ამათთვისაც სამშობლოსათვის თავის განწირვისა. ამათ მოინდომეს სიკვდილი იმათთან ერთად, ვინც მათთვის ყველაზე უძვირფასესი

იყო; ან რა იქნებოდა ამათი სიცოცხლე, როდესაც მარტოდ დარჩებოდნენ? იურანიჩიც ბოლოს სიხარულით მიემხრო ამათ. ეს ყმაწვილი ახლა ამპარტავნობდა კიდეც, რომ მისმა საცოლემ, სუსტმა და ნაზმა არსებამ, ამისთანა გმირობა გამოიჩინა. მოხუცი ცრინი ვეღარ ეწინააღმდეგა ქალების მუდარას. იმათ გულწრფელად უნდოდათ სამშობლოსათვის და ამათთვის თავის განწირვა. ცოლ-შვილი გულში მხურვალედ ჩაიკრა და ღმერთს მადლობას წირავდა, რომ ამისთანა სუსტი არსებანი ასე გამხნევედნენ, მან ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ ამ ქალების თავგანწირულება სადამდის მიაღწევდა.

* *

ბნელი სარდაფი ოდნავ იყო გაჩაღებული მაშხალით. გრაფი ირთვებოდა სასიკვდილოდ. ამ მდიდრულ ტანისამოსს ათასში ერთხელ თუ ჩაიცვამდა; ერთხელ მაშინ ჩაიცვა, როდესაც პირველი გამარჯვების შემდეგ ხალხს გამოეცხადა; ისევ ეს ტანისამოსი ეცვა, როდესაც პირველად ჯვარს იწერდა; კიდევ მაშინაც ჩაიცვა ეს ტანისამოსი, როდესაც მიდიოდა მეორე ცოლზე ჯვარის დასაწერად და გზადაგზა ხალხი აღტაცებით ეგებებოდა. ახლაც აცმევდა იმას ამ ტანისამოსს იმისი მოხუცი ლალა, როგორც მაშინ, სიხარულისა და გამარჯვების დროს. მოხუცებული ტანთ აცმევდა გრაფს და თან ტიროდა...

— აბა, გრაფო, ამ დღესაც დაევესწარ! განა ვიფიქრებდი, როდესაც გრთავდი ჯვრის წერისათვის, რომ ამ დღესაც დაევესწრებოდი, რომ მომერთვე უკანასკნელად საომრად! განა როდისმე მოვიფიქრებდი, რომ ეს მორთულობა სუდარად გამოგადგებოდა? ღმერთო ჩემო! რას ხედავენ ჩემი თვალები!

— ნუ სტირი, მოხუცო ნუ სტირი, ჩემო ერთგულო ფრანც, — უთხრა გრაფმა, — შენ არც ერთხელ არ მოგირთავს ცრინი უკეთესი მეჯლისისათვის! დღეს ჩემთვის დიდი დღეა და იმიტომ ვიცვამ ამ ტანისამოსს! ორჯერ ჯვარი დავიწერე ამ ტანისამოსში, დღეს მესამედ ვიწერ ჯვარს, ვეკავშირები სიკვდილს, მომეცი ხმალი!

— რომელი გნებავს, გრაფო? — ჰკითხა ერთგულმა მსახურმა.

— მაჩვენე ყველა, მე თვითონ ამოვარჩევ.

მოხუცმა მოუტანა გრაფს ყველა ხმალი. ბატონი და მსახური დასცქერიდნენ ამ ხმლებს და იგონებდნენ, რომელი ხმლის წყალობით, რომელ ადგილას გაიმარჯვა ცრინიმ. აი, ამ ხმლით ცრინიმ გაიმარჯვა პესტთან, მაგრამ დღევანდელი მეჯლისისათვის მეტად

მძიმეა... ამ ხმლით კი იბრძოდა ესეგთან... და არც უღალატა ამ ხმალმა... მაგრამ ესეც მძიმეა. დღეს არ გამოადგება. არა! გრაფი აიღებს მსუბუქ ხმალს, მამის ნაჩუქარს, რომელმაც გაამარჯვებინა ვენასთან. ამითი მოიპოვა მან პირველი გამარჯვება და ამავე ხმლით უკანასკნელად დაიცავს თავის პატიოსნებას. დიდხანს დასცქეროდა გრაფი ხმალს და ბოლოს წამოიძახა:

— ჩვენ, ხმალო, ერთი უკანასკნელად კიდევ წავიდეთ საბრძოლველად, დეე, ბედმა გამწიროს მე! გეფიცები შენ, ჩემო ნაქებო ხმალო, რომ მტერს ხელში ცოცხალი არ ჩავუვარდები. არ ეღირსებათ იმათ ჩემი სირცხვილის ნახვა, ფიცსა ვდებ ღვთისა და სამშობლოს წინაშე, რომ ჩემს ნათქვამს ავასრულებ კიდევაც!

— რომელი აბჯარი მოგაწოდოთ? — ჰკითხა ფრანცმა.

— არ მინდა აბჯარი! მტერს უნდა გული მივუშვირო, როგორც მეჯლისში, ისე მინდა თავისუფლად, უკანასკნელად გავიდე საბრძოლველად! უნდა სიკვდილს უშიშრად დავუხვდე! — და ცრინმა არ მიიკარა არც აბჯარი, არც ჯაჭვის პერანგი, მხოლოდ წელზე შემოიკრა განიერი ქამარი, რომელშიაც შეინახა ციხის გასაღები და ასი ოქრო.

— დეე, არა თქვან იმ ურჯულოებმა, რომ ტყუილად გაისარჯნენ გრაფის გვამის ტანისამოსის გახდაზე! — თქვა ცრინიმ და თან მხარზე ხელი დაჰკრა მოხუცს, რომელიც ცრემლმორეული იღიმებოდა, — მე ვიცი, რომ მტერს ხელში ცოცხალი არ ჩავუვარდები.

• •

ასე მორთული, მხიარული სახით გამოვიდა ცრინი ცოლთან და ქალთან. ცოლმა შეხედა თუ არა, მოიგონა თავისი ქორწილის დღე და ქვითინი დაიწყო.

დიდსულოვანმა კაცმა, გამსჭვალულმა გმირული აზრებით, მადლობა უთხრა თავის ძვირფას მეგობარს — მეუღლეს, იმ ბედნიერად გატარებულ დღეებისთვის, რომელიც მან თავის სიყვარულით მიანიჭა. ალერსით ანუგეშებდა ორივეს და ეუბნებოდა, რომ მათ მოელის დიდი წამება, მერე მიუბრუნდა ქალს, რომელიც ეგონა აგრე ადვილად ვერ გამოესალმებოდა სიცოცხლეს, და უთხრა:

— ნუ ემდური, შვილო, ღმერთს! იმისიც მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ ღმერთმა ასე წმინდად შეინახა ჩვენი გული ამგვარ უბედურების დროს. ტანჯვაში გამოჩნდება კაცის დიდსულოვანობა, მოიგონე ისტორია, ყველა გმირს, ყველა გამოჩენილ კაცს, რომლითაც ქვეყნიერება ამაყობს, უბედურება გამოუელია. მხოლოდ ბრძო-

ლაში იჩენს ადამიანი ძალ-ღონეს და უბედურება ხდის მას დიდსულოვანად. — მერე მიუბრუნდა ცოლს და უთხრა, — სადღა ვნახავთ ჩვენ ერთმანეთს?

ამაზე ევამ უპასუხა:

— იქ, ზეცას, შეხვდები შენ ცოლს, რომელიც ღირსი იქნება შენისთანა გმირი ქმრისა, — იქ მოგიცდი! ჩემ გადაწყვეტილებას აღარა შეარყევს რა! თავის დროზე ნახავ, როგორც მოვიქცევი.

— მერე ჩვენ ქალს რაღა ეშველება? — წამოიძახა გრაფმა.

— ნუ გეშინიან ჩემთვის, მამავ, — უთხრა ქალმა, — მე თქვენზე ადრე გამოვესალმები წუთისოფელს. იმედი მაქვს ჩემი საქმრო უარს არ მეტყვის და ერთ კოცნას უკანასკნელად არ დაიშურებს ჩემთვის.

სარდაფში შემოვიდა უაბჯროდ ორი მოხუცი, სიკვდილს გადარჩენილი სარდლები და ახალგაზრდა იურანიჩი და გამოუცხადეს ცრინის, რომ მისი ერთგული რაზმი ეზოში არის მოგროვილი და თავის უფროსს ელოდება. გრაფმა თავისი ცოლ-შვილი კანკალით დალოცა და ცრემლები ახლა კი ვეღარ შეიმაგრა.

ამ დროს ეზოდან მოისმა ბუკის და ნაღარის ხმა. ცრინი მაშინვე მოშორდა ქალს, რომელიც დატოვა გამოსასალმებლად თავის საქმროსთან და ამოვიდა სარდაფიდან ცოლით და სარდლებით.

დიდი ხანი არ მოანდომეს დანიშულებმა გამოსალმებას. მამისა და დედის გმირობამ, საყვარელი საქმროს მაგალითმა, რომელიც სასიკვდილოდ მიდიოდა, როგორც მეჯლისში, ამ სუსტ ქალსაც ჩაუდგა გმირული სული. რა მოელოდა ამას? ტყვედ უნდა ჩავარდნოდა ხელში ურჯულოებს და მათგან გაუპატიურებულიყო. ელენემ არჩია საყვარელი კაცის ხელით სიკვდილი. ქალი ემუდარებოდა საქმროს, რომ მას მოეკლა და ტანჯვას გადაერჩინა. საქმროს დიდხანს არ უყოყმანია. თავისი საცოლეს უმანკოება უნდა დაეცვა. ერთი კი აკოცა, ეს იყო პირველად და უკანასკნელად, და მერე უშიშრად გაუპო გული.

მომაკვდავმა ელენემ დალოცა ყველანი და საქმროს გულზე განუტევა სული. იურანიჩმა თავისი ხელით წაიღო საყვარლის გვამი და ისეთ სიშორეზე მიმალა, რომ ვერა სულიერი ვერ მიაგნებდა, თვითონ კი დამშვიდებული ამოვიდა ეზოში.

აქ მოგროვილი იყვნენ ყველანი, ვინც კი ცოცხალი გადარჩენილიყვნენ და კიდევ შეეძლოთ თოფ-იარაღის ხმარება. ევას ხელში ეჭირა დიდი მაშხალა რაღაც განზრახვით; ერთი მეომრის ხელში მოჩანდა იმათი დროშა; ორი დიდი ზარბაზანი ჩაედგათ ეზოს შესავალში. გრაფ ცრინიმ მოინდომა ლაპარაკი და ხალხის პატარა ჯგუფი სმენად გადიქცა.

— ძმებო და ერთგულო მეგობრებო, უკანასკნელად, სიკვდილის წინ მოუსმინეთ, რაც გითხრათ თქვენმა სარდალმა. თქვენ არ გიღალატნიათ თქვენი მოვალეობისათვის, პატიოსნად გიმსახურიათ სამშობლოსთვის, თქვენს შორის არ არის არც ერთი, რომელიც მზად არ იყოს თავი უმსხვერპლოს სამშობლოს; ამისათვის, ძმებო, ღირსნი ხართ მადლობისა, დაგვიდგა განსაცდელის დღე, წამების გვირგვინი სიკვდილით მოვიპოვოთ. აქამდის ბედნიერად ვიგერიებდით მტერს, რომელიც ერთიორად ჩვენზე მეტი იყო. სულთანმა ოციათასი დარჩეული კაცი დაჰკარგა აქა, მაგრამ ახლა ჩვენ სულ სხვა მტერი ჩაგვიდგა მედგრად, რომელსაც ვერა ძალა და მხნეობა ვერ ძოერევა; ეს ის არის, რომ ჩვენს კედლებს ძირი მოუთხარეს, ჩვენს ციხეს ცეცხლი მოუკიდეს და ცეცხლთან ბრძოლა შეუძლებელია! საკვები გამოგველია, ერთი დღისაღა დაგვრჩა და სულ ერთია, ან შიმშილით მოვკვდებით, ან დავიწვით და ან უნდა მტერს ხელში ჩავუვარდეთ. „ნაძრახ სიცოცხლეს, სახელოვანი სიკვდილი სჯობიაო!“ ყველა პატიოსანი კაცი სამშობლოს ერთგული უნდა იყოს. მაშ გავიდეთ, ძმებო, საომრად, მინდვრად და ხმალ-ხანჯლით შევაკლათ თავი მტერს!

აღტაცებული თანხმობა ყველამ ერთხმად გამოაცხადა.

— ელენე სად არის? — ჰკითხა გრაფმა იურანიჩს, რომელიც ამ დროს დაინახა, რომ სარდაფიდან ამოდის

— ის ახლა ზეცაშია და იქ სასუფეველს მოგვიმზადებს.

— შენ ევა, რას აპირებ? — ჰკითხა ცრინიმ ცოლს.

— მე უნდა კოშკის წვერზე ავიდე და იქიდან ბრძოლას ვადევნო თვალყური, და როცა დავინახავ, რომ შენ მოგკლეს, ამ მაშხალას ცეცხლს მოვუკიდებ და ჩავაგდებ თოფისწამლის სარდაფში, ისე რომ მტერს მხოლოდ ნანგრევები ერგოს.

— მაშ მოკვდი აგრე, უდიდესო დედაკაცო! — შეჰყვირა ცრინმა, — შენი სახელი დაუვიწყარი დარჩება შთამომავლობისათვის.

კედლის იქით ოსმალებს დიდი ღრიანცელი გაჰქონდათ, ისე რომ ერთმანეთისა აღარა გაეგებოდათ რა. ცრინიმ მეომარს დროშა გამოჰგლიჯა, მისცა იურანიჩს, გადაეხვია ერთი კიდევ ევას და დაიყვირა:

— მშვიდობით, სიგეთო! მეგობრებო, აბა თავი შევაკლათ სარწმუნოებას და სამშობლოს!

ამ სიტყვებით გრაფმა ხიდი გაადებინა, ეცა ალაყაფის კარებს და უბრძანა ზარბაზნები დაეცალათ.

საშინელმა კვამლმა დაჰფარა უნგრელები, რომელნიც მინდორში

გარბოდნენ მტერთან საბრძოლველად. ატყდა შესაზარი, საშინელი ომი.

ევა იდგა ციხის წვერზე ანთებული მაშხალით ხელში და გაშტერებით შესცქეროდა მეომართ. მკვდარი ოსმალები ჭერეხებივით ეყარნენ, უნგრელებიც ბლომად იხოცებოდნენ. აი, ეს ერთი... ეს მეორე... ეს მესამეც...

იურანიჩი დროშით ხელში ყველაზე წინ იდგა და ლომივით ეომებოდა ოსმალებს. აი, წაიქცა ცრინის ერთი საუკეთესო მეომარი, ესეც მეორე...

ევა დგას ციხის წვერზე, უცქერის და უცქერის ბრძოლის ველს...

წაიქცა ბოლოს იურანიჩი და სხვა უნგრელები... ევა გაუნძრეველად ისევ ისე დგას ციხის წვერზე და იყურება... აი გამოჩნდა ბრჭყვიალა მშვენიერი ტანისამოსით მოხუცი, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ მტერს ჰკვეთავს თავს მსუბუქი ხმლით და თამამად იკვლევს გზას ჭაბუკ მედროშისკენ. მივიდა ბოლოს გვამთან, მაგრამ ამ დროს მოხუცს ურჯულო მიეპარა და თავი გაუპო... ეს მეომარი. ოქრომკედით მორთული ტანისამოსით ჭაბუკის გვამზე დაეცა...

ახლა კი დაიძრა ევა ადგილიდან და ანთებული მაშხალა ჩააგდო ტყვია-წამლით გატენილ სარდაფში...

ერთბაშად საშინლად იფეთქა და როდესაც გაიფანტა კვამლი, რომელიც ჰფარავდა ციხესაც და მეომართა ბრძოლის ველსაც, თვალწინ გამოჩნდა მხოლოდ სიგეთის ნანგრევები



ალექსი ჭიჭინაძე

1851 — 1917

ცნობილი პედაგოგი და საბავშვო მწერალი ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე დაიბადა სოფელ მანდიკორში (ქუთაისის გუბ.) 1851 წელს. მას ოჯახში შეასწავლეს წერა-კითხვა და 9 წლისა შეიყვანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1870 წელს ალ. ჭიჭინაძემ წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია და იმავე წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

ალ. ჭიჭინაძემ რუსეთში საფუძვლიანად შეისწავლა რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრება და სამშობლოში დაბრუნდა მოწინავე იდეებით აღჭურვილი. მან სამოღვაწეოდ პედაგოგიური ასპარეზი აირჩია, რათა ქართველი ახალგაზრდობა პროგრესულ იდეებზე აღეზარდა. ალ. ჭიჭინაძე 1875 წელს დაუბრუნდა თავის მშობლიურ ქუ-

თაისს, სადაც ბავშვობა გაატარა, და დიდი მეცადინეობის შემდეგ გახსნა პირველი ორკლასიანი ქართული სასწავლებელი. იგი ხუთი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აღნიშნულ სასწავლებელს და თავისი კეთილშობილური ბუნებით მოსწავლეთა დიდი სიყვარული დაიმსახურა.

1880 წელს ალ. ჭიჭინაძე ქუთაისში ახალგახსნილ სათავადაზნაურო სასწავლებლის ინსპექტორად მიიწვიეს. მან თავი ვერ დაანება თავისი სკოლის მოსწავლეებს, ისინიც გადაიყვანა აღნიშნულ სასწავლებელში და შვიდი წლის განმავლობაში პირნათლად ემსახურებოდა ქართველი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

1886 წელს ალ. ჭიჭინაძე თბილისში გადმოიყვანეს სათავადაზნაურო სასწავლებლის ინსპექტორად. მაგრამ გამოცდილი პედაგოგი და ინსპექტორი არც აქ გააჩერეს დიდხანს და ახლა თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორად გაამწესეს, 1900 წელს კი ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორად გაგზავნეს. მან დიდი ენერგია დახარჯა, რათა მასზე დაკისრებული სკოლების სააღმზრდელო მუშაობა გარდაექმნა და სწავლება ნამდვილ პედაგოგიურ საფუძველზე დაემყარებინა. ალ. ჭიჭინაძე მთელ ამიერკავკასიაში ერთადერთი ქართველი იყო, საერო სკოლების დირექტორთა შორის ყველაზე სახელმოხვეჭილი, გამოცდილი და უანგარო საზოგადო მოღვაწე.

გამოჩენილი პატრიოტი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი ნატრობდა ალ. ჭიჭინაძის მალე დაბრუნებას სამშობლოში. მართლაც, თითქოს აუსრულდა ნატვრა იაკობ გოგებაშვილს და 1905 წელს ალ. ჭიჭინაძე გადაიყვანეს ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორად. სამშობლოში დაბრუნებით აღფრთოვანებული ალექსი ჭიჭინაძე, გაათკეცებული ენერგიით შეუდგა თავის ახალი მოვალეობის შესრულებას და ცოდნასა და ძალას არ იშურებდა, რათა სახალხო სკოლებისათვის აღეზარდა ნამდვილი გულისხმიერი მასწავლებლები. ამ მიზნის მისაღწევად ალ. ჭიჭინაძემ საუკეთესო პედაგოგები შემოიკრიბა.

1914 წელს დამსახურებული და მხცოვანი პედაგოგი ალექსი ჭიჭინაძე უკვე თბილისშია ქართული გიმნაზიის დირექტორად. მიუხედავად მეორე იმპერიალისტური ომისდროინდელი მძიმე პირობებისა, იგი ჩვეული ენერგიით განაგრძობდა შრომას და არ იშურებდა ძალღონეს მოსწავლეთა აღზრდისათვის.

ალ. ჭიჭინაძე, როგორც დირექტორი და მასწავლებელი, მუდამ თავის სიმაღლეზე იდგა. პედაგოგიური მოღვაწეობის ვრცელ გზაზე მის მიზანს შეადგენდა მოსწავლეებს მისცემოდა საფუძვლიანი ცოდნა, მორალურად და დისციპლინით მაღლა მდგარიყვნენ, მიეღოთ მეცნიერული ცოდნა და შრომითი ჩვევები და, რაც მთავარია, სამშობლოსა-

თვის თავდადებული ადამიანები ყოფილიყვნენ. მას ბევრმა მოსწავლემ გაუმართლა იმედები.

ალ. ჭიჭინაძე უეცრად გარდაიცვალა 1917 წლის 9 თებერვალს. დასაფლავებულია სოფ. ჭოლევში (ქუთაისის გუბ.).

ალ. ჭიჭინაძე პედაგოგიკის თეორიის საკითხებზეც მუშაობდა. მისი პედაგოგიური თეორია ემყარება ბავშვის ბუნებრივი მონაცემების ყოველმხრივ განვითარებას. მას ეს თავისი მოსაზრება ჩამოყალიბებული აქვს იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილ კრებულში (გამოიცა 1913 წელს). ალ. ჭიჭინაძე წერს: „პირველ ყოვლისა, საჭიროა ადამიანისათვის გონებრივ ძალთა განვითარება, გაღვიძება მის გულში და გაწვრთნა კეთილშობილურ გრძნობათა და მისწრაფებათა, რომ იგი შეიქმნეს ადამიანად". ამგვარად, ალ. ჭიჭინაძე ადამიანობასა და კეთილშობილებას ყველაზე მაღლა აყენებდა, რაც სწავლა-აღზრდას უნდა განევითარებინა მოსწავლეებში. გარდა ამისა, ალ. ჭიჭინაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ბავშვის მშობლიურ ენაზე აღზრდას: „სამშობლო ენა არის ის წმინდა, მეტად ნაზი ძაფები სულისა, რომელიც მასზე მოლაპარაკეთ ბუნებრივად აკავშირებს ერთმანეთთან, უხილავად აერთებს. სამშობლო ენაზე ნათქვამი ღრმად სწვდება მოსაუბრეთა გულს და იწვევს თანაგრძნობას და აზრთა თანხმობას". მაგრამ ამასთან მას სწამდა, რომ ბავშვის ყოველმხრივ განვითარებისათვის აუცილებელი იყო უცხო ენების ცოდნაც, განსაკუთრებით კი რუსული ენისა. ალ. ჭიჭინაძე ავალდებულებდა მოსწავლეებს უცხო ენების შესწავლას. ასეთი თეორიული დასკვნები ალ. ჭიჭინაძემ თავის ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამოიტანა.

ალექსი ჭიჭინაძის ნათქვამი მშობლიური ენის შესახებ საბავშვო ლიტერატურასაც შეეხება, რომელსაც ალ. ჭიჭინაძე მაღალ შეფასებას აძლევდა. იგი ახლო თანამშრომელი იყო ჩვენი საბავშვო ჟურნალებისა და დიდი პატივისმცემელი განსაკუთრებით ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. „ჯეჯილის" ოცი წლის თავზე ალექსი ჭიჭინაძემ ვრცელი და მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ჯერ ხონში, შემდეგ ქუთაისში და დიდი მოწიწებით დაახასიათა ანასტასია, როგორც „ჯეჯილის" ენერგიული რედაქტორი და როგორც გულისხმიერი ადამიანი.

ალექსი ჭიჭინაძეს საბავშვო მოთხრობები არ დაუწერია. იგი ბავშვებისათვის გასაგები ენით წერდა მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევებს ცხელი ქვეყნების მცენარეებისა და ცხოველების შესახებ. მწერალი ბავშვებს მეგობრულად მიმართავს და ყურადღებას ამახვილებს იმ ახალ საგანზე, რაზედაც უნდა ესაუბროს მათ: „წინა წერილში ხომ

გიამბეთ, რამდენად უხვი და მრავალგვარია ცხელი ქვეყნების მცენარეულობა. ახლა ცხოველებს არ იკითხავთ?"

დღეს ჩვენი ბუნებისმეტყველება ძალიან შორს წავიდა, მაგრამ ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი, საინტერესოდ და მეცნიერულ-მხატვრულად დაწერილი საბავშვო წიგნები ცოტა გვაქვს. ამიტომ ალექსი ჭიჭინაძის ნაწერების ნიმუშების მოტანას მარტო ისტორიული მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ მას გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია ჩვენი ბავშვების გათვითცნობიერებაში.

ძოქოსის პალმა

ქოქოსის პალმას ეძახიან ერთნაირ ხეს, რომელიც ხარობს ტროპიკულ ქვეყნებში: შუა ამერიკაში, სამხრეთ აზიაში, მალაის არქიპელაგზე და ოკეანიის კუნძულებზე. უმეტეს ნაწილად იგი იზრდება ზღვის ნაპირებზე. ტანი აქვს მას ძლიერ მაღალი (თხუთმეტი საჟენი იქნება სიმაღლით), რომელზედაც ერთი ტოტიც კი არსად მოიძევა და არც ერთი ფოთოლი კენწერომდის; კენწეროში კი ვეებერთელა დიდი ფოთლები ასხია კონად, სიგრძით სამ საჟენამდის და სიგანით ნახევარი საჟენი. ტანზე, დაბლიდან დაწყებული კენწერომდის, შემოკოლებული აქვს ფართო-ფართო რგოლები, თითქოს სალტეები არტყიაო; ეს რგოლები იმის ნაშთია, რომ აქ ფოთლები ესხა წინათ და მოიცვალა. სანამ ხანში არ შესულა პალმა, ესე იგი სანამ სიბერე არ მოახლოვებია, ტანი სწორი აქვს მას, სიბერეში კი მოიხრება; შესანიშნავი სიმაგრე აქვს: გრიგალიც რომ დაეტაკოს, მისი გადამტვრევა გაუჭირდება.

ამ ხის ნაყოფს რომ შეხედოთ, ვეებერთელა კაკალს მოგაგონებთ, რომელსაც ჰქვია ქოქოსი, ხეს კი ქოქოსის პალმას ეძახიან. სიდიდით ბავშვის თავის ოდენა არის ქოქოსი და რამდენიმე ერთად ასხია პალმას კენწეროში, მტევნებსავით დაკიდებული. გარედან ქოქოსი შემოსილია სქელი გარსითა, რომელიც შესდგება წაბლისფერი ბეწვებისაგან. ამ გარსს ქვეშ იმყოფება ნაჭუჭი ქოქოსისა. როდესაც ქოქოსი კარგად დამწიფდება, მაშინ ნაჭუჭი იმდენად გამაგრდება, რომ მისი დამტვრევა მეტად ძნელია: თუ არ გახერხე, ისე ვერ ამოიღებ ნაჭუჭიდან გულს. ამიტომ უფრო ხშირად ქოქოსებს მოჰკრეფენ, ხოლმე იმ დროს, როდესაც გული მათი ჯერ კიდევ არ დამწიფებულა და ნაჭუჭი რბილი აქვს. ამ დროს გული ქოქოსისა წარმოადგენს ისეთ თეთრს სითხეს, როგორიც რძეა. ამას ეძახიან ქოქოსის რძეს, რომელიც გემრიელი სასმელია, სულ ნუშის რძესა ჰგავს გემოთი. როდესაც ქოქოსი კარგად დამწიფდება, ან და დიდხან იქნება შენახული, ნაჭუჭი გა-

უმაგრდება და გული, რძის მსგავსი რომ იყო, შედედდება და გამაგრდება.

იშვიათად მოიძებნება ქვეყანაზე იმისთანა მცენარე, რომელიც იმდენად სასარგებლო იყოს ადამიანისათვის, როგორც ქოქოსის პალმაა ტროპიკულ ქვეყნების მცხოვრებთათვის. ქოქოსის გული არის გემრიელი საჭმელი და, როცა თხელია, გემრიელი სასმელი. ქოქოსის გულისაგან გამოხდიან ხოლმე ზეთს, რომელიც იხმარება სადგომის გასანათებლად და, როცა ახალი გამოხდილია, საჭმელადაც კარგია. ასე გასინჯეთ, ქოქოსის პალმა ღვინოსაც კი იძლევა. როდესაც ქოქოსის პალმის აყვავების დრო მოაწევს და მისი ყვავილები ჯერ კიდევ კოკრებშია, მაშინ ყვავილებს გარს ახვევია თხელი კანი. ამ კანს დასერავენ ხოლმე და მაშინ იქიდან გამოდინდება ტკბილი წვენი. ამ წვენს ჩაასხამენ ხოლმე ჭურჭლებში და, როდესაც ის დაიდუღებს, გაკეთდება მისგან ღვინო. ქვაბში რომ ჩაასხა ეს წვენი, დადგა ცეცხლზე, იდუღებს, იდუღებს და გაკეთდება შაქარი. პალმის ღვინისაგან შეიძლება გაკეთდეს კარგი ძმარი. ქორფა ფოთლები ქოქოსის პალმისა შეიძლება მოხრაკო, ან მოხარშო და მშვენიერი მხალი იქნება. დიდები რომ დაიზრდებიან ფოთლები, მაშინ მათ სახლების სახურავად ხმარობენ. თითონ სახლებსაც ხშირად ქოქოსის პალმისაგან აშენებენ იმ ქვეყნის მცხოვრებნი; მისგანვე აკეთებენ სხვადასხვა ავეჯეულობას: სკამს, მაგიდას და სხვ. ქოქოსის ნაუუბებისაგან აკეთებენ ჯამებს, კათხებს და საზოგადოდ სხვადასხვა ჭურჭლეულობას. ფოთლებისაგან სწნავენ კალათებს და ქსოვენ ჭილობებს. ქოქოსს რომ გარედან ბეწვები აკრავს, იმ ბეწვებისაგან აკეთებენ ბაგირებს და უფრო წმინდა ბეწვებისაგან მატერიებსაც ქსოვენ ტანისამოსისათვის.ინდოელების თქმულებით, ქოქოსის პალმა იძლევა **ოთხმოცდაცხრამეტს** თავს სულ სხვადასხვა რასმეს, ადამიანისათვის სასარგებლოს.

ერთხელ ერთი კაცი მიდიოდა გზად იმისთანა ადგილებზე, სადაც მუდამ ცხელა, ჩრდილი და სიგრილე იშვიათია და ადამიანის მოსახლეობა ძლიერ შორი-შორს არის ერთიმეორეზე. ძალიან დაიღალა მგზავრი იმისთანა სიცხეში სიარულით. წყურვილი ჰკლავდა და წვეთი წყალი არსად იყო. ბოლოს, როგორც იყო, თვალი მოჰკრა შორიდან ერთს სახლს. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაეშურა იმ სახლისაკენ. მიუახლოვდა სახლს, ხედავს რამდენიმე ძირი მაღალი და სწორტანოვანი ხე დგას სახლის გარშემო, რომელთაც დიდ-დიდი ფოთლები ასხია კენწეროში. ისეთი შეხედულება აქვთ ხეებს, იფიქრებს კაცი, ვისმე უშველებელი მაღალი და მსხვილი ჭოგრები დაუსვია და ზედ ჩამოუცვია კონებად შეკრული ვეებერთელა გრძელი ფოთლე-

ბიანი ხის ტოტებიო. ნიადაგი სახლის ახლომახლო და არც მოშორებით არსად დამუშავებული არ იყო, არსად არა ჩანდა ადამიანის ნაჭირნახულევი. სახლის პატრონმა მიიწვია მგზავრი და შეიყვანა თავის სადგომში. მერე მიართვა ერთი რამ მომქაო გემრიელი სასმელი, ფერად რძის მსგავსი. ამ სასმელმა მგზავრი გააგრილა და წყურვილი მოუკლა მას. შემდეგ დასხდნენ სუფრაზე. სტუმარს მოართვეს ნაირ-ნაირი საჭმელები მიხაკისფერ ჭურჭლებით, საჭმელებს ღვინოც ჰოაყოლეს, რომელიც სასიამოვნო სასმელი იყო. ამას გარდა, სადილის გათავებისას მოუტანეს მშვენიერი მურაბაც პირის ჩასატკბილებლად.

მგზავრი გააკვირვა ამისთანა მასპინძლობამ, რადგან ყანა არსად ჩანდა იმ არემარეს და ბოსტანი, ბაღი იქ არ იყო და ვენახი. საიდან იშოვა ამ კაცმა ამისთანა გემრიელი საჭმელები და კარგი ღვინო, ერთის სახლის მეტი და რამდენიმე ძირი ხის მეტი არაფერი გააჩნიაო. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ჰკითხა სახლის პატრონს: როგორ ახერხებ, მასპინძელო, რა საშუალება გაქვს, რომ ამისთანა მასპინძლობა გამიწიეო. იმან ღიმილით მიუგო: „აი, ხომ ხედავ ამ ხეებს, ჩემს სახლთან რომ დგანან? ესენი არიან ქოქოსის პალმები. მათის წყალობით მაქვს ყველაფერი, რასაც ხედავ აქ და რაც მოგართვი. სასმელი რომ დაგალევინე, როდესაც ჩემს სადგომში შემოხველ და გაგაგრილე, ის იყო უმწიფარი გული კაკლისა, რომელიც ამ ხეებს აქვს. გემრიელი საჭმელები რომ მოგართვი, ის საჭმელები გაკეთებული იყო ამ ხეების კაკლის მწიფე გულისაგან. სალათად ამავე ხეების ქორფა ფოთლები მოგიმზადე. ღვინო დავაყენე იმ წვენისაგან, რომელსაც გამოადენენ ხოლმე ამ ხეების ყვავილებს, როდესაც ყვავილები კოკრებშია. მურაბაც ქოქოსის გულისაგან გავაკეთე. შაქარიც, ურომლისოდ, როგორც მოგეხსენებათ, მურაბა არ გაკეთდება, საკუთრად ჩემი ნახელავია — თვითონ მე გავაკეთე იმისთანავე წვენისაგან, რომლისაგანაც ღვინო დავაყენე, იმავე წვენისაგან გავაკეთე ქმარიც. რა ჭურჭლებითაც საჭმელები მოგართვი სადილად, ყველა ის ჭურჭლები გაკეთებულია ქოქოსის ნაჭუჭებისაგან. ხის ავეჯიც, რასაც ხედავ ჩემს სადგომში, ქოქოსის პალმისაგან მაქვს გაკეთებული. რომ დაბერდა ხე და ნაყოფს ცოტას იძლეოდა, მოვჭერი და ვავთალე იმისაგან ჩემთვის საჭირო დგამი (ხის ავეჯი). თითონ ეს ჩემი სახლიც ქოქოსის პალმისაგან არის აგებული და ამავე ხის ფოთლებითაა დახურული. ტანისამოსი, რომ მაცვია ამჟამად, ამ ტანისამოსის მატერიაც იმ ბეწვებისაგან არის მოქსოვილი, რომელიც გარს ახვევია ქოქოსსა. ფოთლებისაგან ვწნავ ჯალათებს, ვქსოვ ჭილობებს, ბეწვისაგან ვაკეთებ ცხავებს და სხვა-

დასხვა რამ სასარგებლო ნივთებს. როდესაც ქოქოსის გული ახალი დამწიფებულია, მაშინ იმისაგან ვხდი ზეთს, რომელსაც ვხმარობ საჭმელების საკმაზადაც და სადგომის გასანათებლათაც". და ბოლოს დაუმატა მასპინძელმა: „გთხოვთ, ეს წერილი გადასცეთ ჩემს კარგს ნაცნობს, ამა და ამ კაცს, როდესაც ჩახვიდეთ ქალაქში. იცოდეთ ამასთანავე, რომ ეს ქაღალდიც, რომელზედაც წერილია დაწერილი, მომზადებულია ქოქოსის პალმის ფოთლებისაგან და მელანიც სწორედ ამ ხის ნახერხისაგან არის შეზავებული".

ოკეანიის მცხოვრებლებს — პაპუასებს და პოლინეზიელებს, დიდი აღებ-მიცემობა აქვთ ევროპელებთან გამართული ქოქოსის გამო. იმ კუნძულების ნაპირებთან, სადაც ევროპელების სავაჭრო გემები ჩერდებიან ოკეანეში, მრავალ ოკეანელს მოჰყავს თავისი ნავი, დატვირთული კოპრათი, (კოპრას ეძახიან ქოქოსის გულს, გამხმარს). ევროპიელები ბლომად ყიდულობენ კოპრას, გემებს ტვირთავენ და მიაქვთ, რომ ზეთი გამოხადონ იმისაგან; სამაგიეროდ აძლევენ ოკეანიის მცხოვრებთ ევროპის ნახელავს სხვადასხვა ნივთებს ლითონისას.

აი რა ძვირფასი რამ არის ქოქოსის პალმა ტროპიკულ ქვეყნების მცხოვრებთათვის. საკმაოა რამდენიმე ძირი ქოქოსის პალმა გაიჩინოს იქაურმა მკვიდრმა და მთელ თავის სიცოცხლეში უზრუნველყოფილი იქნება ცოლ-შვილიანად.

ფინიკის პალმა

აქ ჩვენ ავწერეთ ქოქოსის პალმა და მისი ნაყოფი. არის კიდევ სხვაგვარი პალმაც, რომელიც თავის შეხედულებით ძალიანა ჰგავს ქოქოსის პალმას: იმისთანავე მაღალის ტანისა, ისე უშტოო და ისე გრძელ-გრძელ ფოთლებიანი; იმასაც გრძელი ფოთლები კენწეროში ვადაუშლია ვეებერთელა გინგლიანი ფრთებივითა. მაგრამ ნაყოფი კი სულ სხვანაირია ამ ხისა. იგი ქლიავის ოდენაა, წვენიანი, ტკბილი და ნედლად სასიამოვნო საჭმელი, გამაგრილებელი. ხმელ ხილად იგი ბევრჯერ გვინახავს და გვიჭამია კიდეც. მას ეძახიან ფინიკს, ჩვენ კი. ქართველები, ინდის ხურმას ვეძახით. სიმაღლით ფინიკის პალმა თერთმეტ საჟენზე მეტი იზრდება, თითქმის სრულიად სწორია და ერთნაირად მსხვილი თავიდან ბოლომდის. ფოთლები სიგრძით ერთი საჟენი იქნება. თითონ ნაყოფი, ესე იგი, ინდის ხურმა, ყურძნის მტევნებსავით დაკიდებულია კენწეროში, ფოთლებს ქვეშ. ნედლი ინდის ხურმა ქარვასავით ბზინავს და მშვენიერი სუნი აქვს. ხის ტანი ხორკლებიანი. ხორკლები ნაშთია ფოთლების ყუნწებისა, რომელიც

მოიცვალა ხემ, და ძალიან შველის ადამიანს, როდესაც იგი ადის ხეზე ნაყოფის მოსაკრეფად; ამ დროს ხორკლებზე იმაგრებს ფეხს და უადვილდება მაღლა აცოცება. თითოეული ფინიკის პალმა იძლევა წელიწადში ორას-სამას გირვანქა ინდის ხურმას. საქართველოში ინდის ხურმა მოაქვთ შორი ქვეყნებიდან გამხმარი და ხმარობენ ხმელ ხილად. ხმელი ინდის ხურმაც ტკბილია და სასიამოვნო საჭმელი, მაგრამ იმდენადვე ტკბილი და სურნელოვანი როდიღა არის, როგორც თავის სამშობლოში იყო ნედლად. იმ ქვეყნებში, სადაც მოდის ფინიკი, მარტო ხილად კი არ ხმარობენ მას, არა, იქ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვენში ხილს: იქ ახმობენ ხოლმე მას, კურკებს ამოაცლიან, დასცეხვენ, აურევენ ფქვილში და პურს აცხობენ, რომელიც ძალიან სასიამოვნო საჭმელია და მარგებელიც.

ფინიკის პალმას უყვარს ცხელი და მშრალი ჰავა. იმისთანა გაშლილ და ცხელ ქვიშიან ადგილებზე ხარობს, სადაც არც ერთს მცენარეს არ შეუძლია გაძლება; ფინიკის პალმას კი არა უშავს რა იქ, საჭიროა მხოლოდ სულ პატარა რუ მაინც მოწანწკარებდეს მის ფესვების მახლობლად, ახალშენი ხე იძლევა ნაყოფს მეოთხე-მეხუთე წელიწადს. საზოგადოდ, ფინიკის პალმას შეუძლია გასძლოს ორასორმოცდაათ წლამდის, მაგრამ ბაღებში, სადაც ადამიანის ხელით არის ნაშენი, ოთხმოცის წლისაზე უფრო ხნიერს ვერ შეხვდება ადამიანი. როდესაც ეს ხე სიბერეში შევა და კარგს მოსავალს აღარ იძლევა, მაშინ მას სხვა გზით გამოიყენებენ ხოლმე: გაზაფხულობით დასერავენ ხის ტანს და იქიდან ადენენ წვენს, რომელსაც ჰქვია „ლაგმი". ლაგმი ჰგავს ფერად და გემოთი ქოქოსის რძეს. ლაგმს ძალიან ბევრს ხმარობენ საჭმელად, განსაკუთრებით ბავშვებისათვის. ეს თეთრი წვენი, ერთს დღესა და ღამეს რომ გაათევს, მაშინ მჟავდება და აყენებენ ღვინოდ, რომელიც სასიამოვნო სასმელია. ფინიკისაგან აგრე ინდის ხურმისაგან ხდიან აგრეთვე არაყს, რომელიც ძალიან გავრცელებულია ფინიკის ხის სამშობლოში. ხე შენობისთვისაც გამოსადეგია და შეშადაც. როგორც შეშა საუცხოო რამეა, რადგან ნელ-ნელა იწვის და დიდ სითბოს იძლევა. თითონ ხურმის კურკებიც გამოსადეგია სახლის გასათბობად, თუმცა თავდაპირველად ისე ადვილად არ მოეკიდება ცეცხლი. ამას გარდა, კურკებით იკვებება ერთი შინაური ცხოველი, ურომლისოდაც ადამიანს სიცოცხლე არ შეუძლია ცხელ ქვეყნებში, სადაც უდაბნოებია. ეს ცხოველია აქლემი, რომელსაც უწოდებენ „უდაბნოს გემს". აქლემების წყალობითა აქვთ ოაზისებს ერთმანეთში მისვლა-მოსვლა და აღებ-მიცემობა, როგორც ერთმანეთთან, ისე გარეშე ხალხებთანაც. ინდის ხურმის კურკებს დაღერღავენ ხოლმე, დაალბობენ და ჰკვებავენ მით აქლემებს, თხებს და

ცხვრებს; ასე გასინჯეთ, ძაღლებსაც კი აჭმევენ ამგვარად დამზადებულს კურკას.

ფინიკის პალმა ანუ ინდის ხურმის ხე, ძალიან ვარგობს ჩრდილოეთ აფრიკაში, ატლანტიკის ოკეანიდან დაწყებული ნილოსის მდინარემდის. მრავალი ოაზისი, რომელიც მდებარეობს ამ სივრცეზე, შესანიშნავია ფინიკის ხეებით. სამოცნაირ ფინიკის პალმას ასახელებენ ჩრდილოეთ აფრიკაში, რომლებიც განირჩევიან ერთმანეთისაგან მათის ნაყოფის მოყვანილობით, ფერით და თვისებით. დიდს შრომას ახმარენ ხოლმე იქაური მცხოვრებლები ამ მცენარის მოვლას, განსაკუთრებით ბერბერები. ბერბერებისა და ნილოსის ნაპირა ადგილების მცხოვრებთათვის (ფელახებისათვის) დაუფასებელი რამ არის ფინიკი, როგორც მათი მასაზრდოებელი. ამას გარდა აღებმიცემობაშიაც შესამჩნევი ალაგი უჭირავს მას, რადგან იგი ბევრი იგზავნება იქიდან სხვადასხვა ქვეყნებში. ფინიკის პალმას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აზიის იმ კუთხისათვის, რომელსაც არაბეთი ჰქვია. აქაც კარგად ხარობს ფინიკის პალმა და ზოგიერთ ადგილებში ხალხისთვის იგი ერთადერთი საზრდოა: ნედლ ფინიკს ხმარობენ ხილად, ხმელს პურად და მისგანვე ამზადებენ ღვინოსაც, რომელიც ძალიან უყვართ არაბებს.

პურის ხე

პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღესო, ნათქვამია საუფლო ლოცვაში, რომელიც ასწავლა მაცხოვარმა თავის მოწაფეებს. რასაკვირველია, ეს იმას კი არ ნიშნავს, ვითომ მაცხოვარს ესწავლებინოს, ღმერთსა სთხოვეთ გამომცხვარი პური, კარგად გამოშუშებული, რომ პირში ჩადების და შეჭმის მეტი არაფერი უნდოდესო, — სრულიადაც არა. ამ სიტყვებს სხვა აზრი აქვთ. ბუნებას დაუჯილდოვებია ყოველი კუთხე დედამიწისა. თუ ყოველდღეს იშრომებს ადამიანი და ისწავლის, რომელი ნივთი, რომელი მცენარე ან ცხოველი რაშია გამოსადეგი, მაშინ იგი უეჭველად მოიპოვებს სასმელ-საჭმელსაც და ყველაფერს, რაც საჭიროა ცხოვრებისათვის. ამასთან უნდა გვახსოვდეს, ვინც უფრო ბეჯითია, ვინც უფრო მეტს ისწავლის და იშრომებს, ის უფრო კარგად მოაწყობს თავის ცხოვრებას. ცხელი ქვეყნების ზოგიერთი ხალხი ძალიან ჩამორჩება სხვა ხალხებს შრომითა და სწავლით. ამიტომ მათი ცხოვრება მეტად გაუნათლებელია, გაჭირვებულია. საზრდოს კი შოულობენ ბუნების წყალობით, მაგრამ ყოფაცხოვრებით ველურ მდგომარეობაში არიან. აი, გიამბოთ, რით ირჩენენ იგინი თავს, როგორი პურით საზრდოობენ.

თავდაპირველად ევროპელები რომ მივიდნენ ცხელ ქვეყნებში, ნახეს, რომ არც ხარი ჰყავდათ იქ, არც ძროხა, არც ცხენი და არც სხვა რამ იმისთანა შინაური საქონელი, ჩვენ რომა გვყავს. ხორბალი როდი მოჰყავთ იქ და არც იციან ჩვენსავით მიწის მუშაობა. იქაურ მკვიდრ მცხოვრებთან რომ მიხვიდე სტუმრად, ჩვენსავით თეთრ ფუნთუშა პურს ვერ მოგართმევენ სუფრაზე. მათი ყანა არის პურის ხე; მათი პურია ამ ხის ნაყოფი. ეს ხე ხშირშტოებიანია და სქლად არის შემოსილი ფოთლებითა, ტანად საკმაოდ დიდი იზრდება. ფოთლები ნიკბებიანი აქვს მუხის ფოთლების მსგავსად* და ნაყოფს ისხამს არა მარტო შტოებზე, თვითონ ტანზედაც. მოყვანილობითა და სიდიდით ნაყოფი ნესვსა ჰგავს; სიმძიმით ორი-სამი გირვანქა იქნება. როდესაც უმწიფარია ნაყოფი, მწვანე ფერი აქვს და თუ მწიფეა, მაშინ ყვითელია. გარსი ნაყოფისა ანუ კანი, სქელია და ხორკლებიანი, თითქო მეჭეჭები ასხიაო ირგვლივ; გული აქვს რბილი. როდესაც შესწვავენ ხოლმე ნაკვერცხლებზე, გული ფქვილივით გაუხდება, როგორც შემწვარ კარტოფილს. მწვანე ნაყოფი შეიძლება ნედლადაც სჭამოს კაცმა, მხოლოდ ვერ არის გემრიელი; უმწიფარს კი არა სჭამენ ნედლად. უფრო გემრიელი საჭმელია პური, რომელიც კეთდება ამ ნაყოფისაგან. აი, როგორ კეთდება: მოჰკრეფენ ხოლმე ნაყოფს, კანს შემოაცლიან და ჩაჰყრიან ორმოში, ორმო ქვით არის მოკირწყლული. თავზე ფოთლებს დააფარებენ და ქვებს დააწყობენ. ამნაირად შენახული ნაყოფის გული გარდაიქცევა ცომად და გაფუვდება. ამ ცომიდან აცხობენ პურს — ამოიღებენ ორმოდან, რამდენიც საჭიროა, ცომს ჯერ მოაგუნდავებენ, მერე გააბრტყელებენ, დააკრავენ გახურებულ ბრტყელ ქვებზე, ანუ კეცებზე და ზევიდან ფოთლებს დააფარებენ. ამ სახით გამომცხვარი ნაყოფის გული გემრიელია და მოგვაგონებს პურს.

პურის ხე ცოცხლობს ოთხმოც წელიწადს. ნაყოფს იძლევა ყოველ წლივ რვა თვის განმავლობაში. იმისთანა მოსხმა იცის, რომ ორი ხე იძლევა წლის სარჩოს ერთი კაცისათვის. ათიოდე ხე მთელს სახლობას შეინახავს ერთ წელიწადს. ეს მცენარე სხვაფრივადაც სასარგებლოა. მისგან თლიან ძელებს, ფიცრებს და აკეთებენ სხვადასხვა ავეჯეულობას. წვენი ხისა წებოვანია და იხმარება რორგორც ფისი. ქორფა ქერქისაგან აკეთებენ ჭილობებს და ამავე ქერქის ბეწვებისაგან მატერიასაც ქსოვენ ტანისამოსისათვის.

სამშობლო პურის ხისა არის სამხრეთი აზია. იქიდან გავრცელე-

---

*ისეთი გვარიც არის ხოლმე პურის ხე, რომელსაც ერთიანი ფოთლები აქვს.

ავტორის შენიშვნა.

ბულია პელანეზიის და ოკეანიის კუნძულებზე (რომელნიც მდებარებენ ავსტრალიიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის მხარეებზე), სადაც ცხოვრობენ ველური პაპუასები და პოლინეზიელები.

გულის გასაგმირალი და ყრმათათვის საყურადღებო ზღაპრული თქმულება არის ერთი გავრცელებული ამ ხალხში. როდესღაც უძველეს დროში საოცარი შიმშილობა ეწვია თურმე იმ ქვეყნებს. აურაცხელი ხალხი იმსხვერპლა ამ უბედურობამ. ანგარიში არ ჰქონდა, რამდენი ბავშვი დარჩა ობლად, უდედ-მამოდ და რამდენს მშობელს დაეთუთქა გული შვილების დაკარგვით. იმ დროს იყო ერთი ვინმე ქვრივი მამაკაცი, რომელსაც შიმშილმა მოუკლა ცოლი. დარჩა რამდენიმე შვილი. არ იცოდა საწყალმა, რა ექნა. მზად იყო თავი არ დაეზოგა, ოღონდ კი არ მოსწრებოდა შვილების სიკვდილს უპმელობისაგან.

— ჩემო ძვირფასო შვილებო,—უთხრა მამამ შვილებს,—თქვენზე უკეთესი მე არავინ გამაჩნია! თქვენა ხართ ჩემი თვალის სინათლე, ჩემი სიცოცხლე. რაც უნდა დამემართოს, არაფერს მოვერიდები. ოღონდ კი ვიშოვო რამე და თქვენ გამოგკვებოთ. სიცოცხლესაც არ დავიშურებ თქვენთვის! გჯერათ თუ არა ჩემი სიტყვა?

— გვჯერა, მამილო, გვჯერა!

— თქვენც ისე გიყვარვართ, როგორც მე მიყვარხართ?

— გვიყვარხარ, მამილო, ძალიან გვიყვარხარ! — შესძახეს ერთხმად.

— მაშ თუ ჩემი სიყვარული გაქვთ, რაც მე გითხრათ, ის აასრულეთ.

— კარგი, მამილო, გვიბრძანე, მზად ვართ ავასრულოთ.

— აბა, წამოდით ჩემთან, — უთხრა მამამ შვილებს, წაიყვანა თან და ავიდნენ ერთი მთის წვერზე.

როდესაც მაღლა ავიდნენ, გაჩერდა იქ მამა და უთხრა შვილებს: „აი აქ, სადაც მე ვდგევარ, ამოთხარეთ ორმო და ზეზეულა დამმარხეთ ორმოში. ხვალ დილით კი ადრე მოდით აქ და შეიტყეთ ჩემი ამბავი“. შვილები მეტად შეაწუხა ამისთანა სიტყვამ და ცრემლის ნაკადული გადმოსქდათ თვალთაგან, მაგრამ ვერ გასტეხეს მაინც მამისადმი მიცემული სიტყვა და აასრულეს მისი ბრძანება. მეორე დღეს დილით ადრე მოვიდნენ შვილები და რა ნახეს? მათი მამის სხეული ხედ გადაქცეულიყო; ფეხები ფესვებად ქცეულიყო, ხელები — შტოებად, თითები — ფოთლებად, თავი კი ნაყოფად და მოსხმოდა ხეს გემრიელი და ნოყიერი ხილი. ყმაწვილები განცვიფრებულნი უცქეროდნენ თურმე საკვირველ ხეს. ამ დროს დილის ნიავმა შეარ-

ხია ხის შტოები და დანამა განცვიფრებული პირის სახე ობლებისა. ეს ნამი იყო გამოსალმება შვილებთან თავდადებულის მამისა. ამნაირად გაჩნდა თავდაპირველად პურის ხეო, მოგვითხრობენ ველური ადამიანები და მას შემდეგ შიმშილი აღარ ყოფილა ჩვენს ქვეყანაშიო.

ხე ბუმბერაზი

აფრიკა ცხელი ქვეყანაა; იქ უმეტეს ნაწილად თითქმის ერთნაირი ჰავაა ყოველგან. ამიტომ მცენარეულობა იქ ყველგან ერთნაირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ასე როდია ნამდვილად: ალაგ სხვა მცენარეებია და ალაგ სხვა იმ მიზეზის გამო, რომ ყოველგან ერთნაირად არ იცის წვიმა. უფრო მეტია იმისთანა ადგილები, სადაც წვიმა ცოტა მოდის. ამ ადგილებში ხშირია თვალუწვდენელი მინდვრები, ველები და უდაბნოები; იქ კი, სადაც წვიმა ბლომად იცის, ტროპიკული ტყეებია, შესანიშნავი უხვი მცენარეულობით. ამისთანა ტყეებია აფრიკის დასავლეთ მხარეებში და შუა აფრიკაში; მინდვრები და ველები კი აღმოსავლეთ ნაწილშია და სუდანში. საერთოდ, ტროპიკულ ტყეებს, მინდვრებს და ველებს დიდი ადგილი უჭირავთ აფრიკაში, დაწყებული **საჰარის** დიდი უდაბნოდან **ქალახარის** უდაბნომდის, რომელიც სამხრეთ აფრიკაშია, და ატლანტიკის ოკეანის ნაპირებიდან ინდოეთის ოკეანემდის.

ხსენებული მინდვრები და ველები სულ მოკლებულნიც არ არიან ხის მცენარეულობას; იპოვებიან აქა-იქ ხეებიც, მხოლოდ ჯგუფ-ჯგუფად, ან ჭალებად მდინარეების ნაპირებზე. შესანიშნავია ერთგვარი ხე, რომელიც სიდიდით ნამდვილი ბუმბერაზია მცენარეთა საძეფოში. სახელად ეწოდება ამ ხეს **ბაობაბი.** სიმაღლით ათი საჟენი იზრდება, მაგრამ ამ მხრივ კიდევ არას წარმოადგენს გასაკვირველს: ჩვენ ვიცით, რომ ზოგი ხის სიმაღლე, ვაგალითად ქოქოსის პალმისა, ათს საჟენზე მეტიც არის. გასაოცარია ტანის სიდიდე ბაობაბისა, მისი სიმსხო. მოგზაურების თქმულებით, რომელნიც ყოფილან აფრიკაში, ისეთ ბაობაბს შეხვდებით თურმე იქ, რომ ოთხი საჟენი სისქე აქვს გარდი-გარდმო, ირგვლივ თერთმეტს საჟენზე მეტი იქნება მისი ტანი; თორმეტ-თხუთმეტი კაცი ძლივს შემოჰხვევს ხელს. რასაკვირველია, ამისთანა ბუმბერაზ ხეს დიდი ადგილიც უნდა, რომ შორს გაიდგას ფესვები და ისაზრდოოს. ამიტომაც არის, რომ ბაობაბის ხეები სხვა ხეებს ვერ ჰგუობენ ახლოს და უმეტეს შემთხვევაში განმარტოებით იზრდებიან. შორიდან რომ დაინახავ ბაობაბს, გეგონება დიდი, უზარმაზარი კარავია აგებულიო. მის ჩრდილში ძალიან ადვილად მოთავ-

სდება რამდენიმე ასი კაცი, ისე შორს გაუწევია განზე თავისი ტოტები. თითოეული მისი ტოტი იმდენად მსხვილია, რომ ჩვენებურს ძალიან მსხვილ მუხის ტანს უდრის. შტოები ხშირი ფოთლებითა აქვს შემოსილი, რის გამოც მშვენიერი ჩრდილი იცის. ხანდახან ნადირებიც მოდიან ხოლმე ბაობაბის ძირში გასაგრილებლად და დასასვენებლად.

ერთიც ვნახოთ, ტყის პირად გამოჩნდა ყურებჩამოპანტურებული სპილო თავისი გრძელი ხორთუმით, რომელსაც ხან იქით გაიშვერს, ხან აქეთ, ეტყობა სუნს იკრავს, რაღაც უნდა გამოარკვიოს ყნოსვით. ეს არის გამოცდილი ბელადი, ხნიერი სპილო, რომელიც სხვებს წინამძღვრობს, მას მოჰყვება უკან მთელი ჯოგი სპილოებისა. ზოგჯერ ასი სული. ზოგჯერ ასზე შეტიც. გამოვლენ სპილოები ტყიდან და დინჯად გაემართებიან ბაობაბისაკენ. მივლენ მის ძირთან და დალაგდებიან დასასვენებლად. მაგრამ გაიარა მხოლოდ რამდენიმე წამმა და უეცრად გულის შემზარავი ღრიალი გაისმა რაღაც ცხოველისა. ბელადმა ყური აცქვიტა. დანარჩენი სპილოები შეკრთნენ და შეიძრნენ. ბელადმა მიაპყრო თვალი იქითკენ, საიდანაც მოესმა ღრიალი. დიდი ხანიც არ გაივლის ამის შემდეგ, გამოვარდება ტყიდან ვეებერთელა თავდიდა ოთხფეხი ცხოველი. ეს წყლის კამეჩია. თურმე მას დადევნებია უკან გაბოროტებული მარტორქა და უნდა ააგოს თავის წვეტ მახვილ რქაზე, რომელიც აქვს მას ცხვირზე. ხანდისხან ბაობაბის ჩრდილში გარეული თხებიც დალაგდებიან ხოლმე, რომ თავისუფლად იცოსნონ, მაგრამ ვინ აღირსებს იმ საწყლებს ხანგრძლივ მოსვენებას იქ. სადაც იმ სიდიდო ცხოველებიც კი, როგორც სპილოები, შიშის ქარმა აიტანა, როდესაც გაისმა იმ არემარეს საშინელი ღრიალი ბეჰემოტისა (წყლის კამეჩისა).

როდესაც დაბერდება ბაობაბი, ფუღუროს გაიკეთებს, იმ სიდიდო ფუღუროს, რომ სადგომს მოაწყობენ ხოლმე იმაში აფრიკის ველური ადამიანები, რომელთაც სახლ-კარი არ გააჩნიათ. შევლენ ფუღუროში თავის ცოლ-შვილით, მთელის თავის ქონებით, რაც გააჩნიათ, და ცხოვრობენ იქ, როგორც სახლში. ფუღურო იმდენად დიდია ხოლმე, რომ ხანდისხან, როდესაც ჭექა-ქუხილი დაიფრთხობს ველურ ადამიანებს, ან როდესაც დიდი თქეში წვიმა მოდის, სამოცდაათოთხმოცი კაცი შეაფარებს იქ თავს.

ბაობაბი იძლევა ნაყოფს, რომელიც შესახედაობით ნესვსა ჰგავს; მოგრძო მრგვალია და სიგრძით შვიდი გოჯი იქნება. გემო ნაყოფისა სრულიადაც არა ჰგავს ნესვისას. მაინცადამაინც გემრიელი ვერ არის, მაგრამ იქაური მცხოვრებნი ხმარობენ საჭმელად. ძალიან მადიანად მიირთმევენ ამ ნაყოფს მაიმუნები, რომელნიც ხშირად ეწვევიან

ხოლმე ბაობაბის ხშირ ფოთლოვან შტოებს და დაისადგურებენ იქ.

ბაობაბის ხე ძლიერ დიდხანს ცოცხლობს. მოგზაურების სიტყვით ბაობაბებს შორის იპოვებიან იმისთანები, რომელნიც ორიათასი-სამიათასი წლისანი არიან. სამშობლო ამ ხისა არის აფრიკა, და მხოლოდ იქ შეხვდება ადამიანი გარეულს ბაობაბს. ერთს ადგილს ამ ქვეყანაში, სახელდობრ სენეგამბიაში, არის ბაობაბი, რომელიც თურმე ექვსიათასი წლის ამბების მოწამეა! ინდოეთში და ანტილის კუნძულებზედაც იპოვება ბაობაბი, მაგრამ იქ ადამიანის ხელით არის გაშენებული.

ბაობაბის ფოთლები და ქერქი სასარგებლოა. შავკანა აფრიკელები გაახმობენ ხოლმე ფოთლებს და ქერქს, დანაყავენ წმინდად, გახსნიან წყალში და ხმარობენ ციების წამლად. თითონ ნაყოფიც წამალია ციებისა და იმათაც ჰრგებს, ვინც მუცლის ფაღარათით არის ავად. ბაობაბის ქერქის ფერფლს ბევრი ნაცარწმულის მარილი აქვს ბუნებით და ამიტომ მის ნაცარტუტისაგან პალმის ზეთთან შეზავებით ამზადებენ საპონს.

ბანანა

ცხელ ქვეყნების მრავალ სხვა მცენარეთა შორის შესანიშნავია ბანანაც. ბანანა იზრდება სიმაღლით სამი-ოთხი საჟენი. იგი ბალახი მცენარეა და არა ხე და ბალახ-მცენარეთა შორის ერთი უდიდესთაგანია დედამიწაზე. ტანი შემოსილი აქვს ყურწების ნაშთებით; ეს არის იმ ფოთლების ნაშთები, რომელნიც უკვე მოიცვალა ბანანამ. ტანზე, ზევით გადაშლილია ვეებერთელა ფოთლები ღია მწვანე ფერისა, სიგრძით სამს ადლზე მეტი და სიფართით ერთი ადლი. ფოთოლი ბუნებით ნიკბებიანი როდია, ერთიანია, მაგრამ იმდენად ქორფა და ნაზია, რომ როგორც კი ცოტაოდნად შეარხევს ქარი, მაშინვე დაუსკდება კიდეები და ჩაეხევა. ცოცხლობს ბანანა ერთ წელიწადს, დიდი-დიდი — ორს, შემდეგ გახმება და მოსპრიან, მაგრამ ძირი კი არა კვდება, გადანაჟერზე ხელახლა ამოვა ყლორტი, რომელიც, როგორც პირველი, ცოცხლობს ერთ წელიწადს. ბანანას თესლით აშენებენ ხოლმე. მიწიდან რომ ამოვა, მერვე თვეზე გაიკეთებს თავთავს, რომელშიაც არის ორასი-სამასი ნაყოფი, გარეგნობით კიტრის მსგავსი, თითქმის ნახევარი ადლის სიგრძე და ცოტათი მოხრილი ნამგლის მსგავსად. ყვავილი იცის ძალიან ლამაზი, რომელიც აპრელებულია სხვადასხვაფერ ზოლებით, ალაგ ყვითელი ზოლები აქვს, ალაგ წითელი და ალაგ ცისფერი. ნაყოფი ფერად მწვანეა; როდესაც დამწიფდება, გაყვითლდება ხოლმე და მაშინ სჭამენ მას. სანამ მკვახეა, შიგ-

ნით გული რბილი აქვს, ხოლო როდესაც დამწიფდება, გული დაუ-ფქვილდება და შემწვარი მოგვაგონებს კარტოფილს. გემო სასია-მოვნო აქვს, აგრეთვე სუნიც. უმწიფარი ბანანის ჭამაც შეიძლება, მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა მოიხრაკოს იგი ერბოში ან ზეთში, ანდა მოიხარშოს ხორცთან და ხორცით გაკეთდეს. მწიფე ბანანის ნაყოფს გაახმობენ ხოლმე, დაფქვავენ და ფქვილისაგან ამზადებენ პურს. ზოგიერთ ქვეყნებში, სადაც ჩვეულებრივი პური ძალიან ძვი-რია, მაგალითად კუბის კუნძულზე და სხვა კუნძულებზედაც, რო-მელნიც ეკუთვნიან ვესტ-ინდოეთის ჯგუფს, ღარიბი მუშა ხალხი-სათვის ერთადერთი პური ბანანის პურია. საზოგადოდ, ბანანა აძ-ლევს ადამიანს უხვ და ნაყოფიერ საჭმელს. მაგრამ მარტო ნაყოფს კი არ სჭამენ ბანანისას, ქორფა ფოთლებსაც ხმარობენ საჭმელად. საკმაოა ექვსი-შვიდი ძირი ბანანა, რომ წლის სამყოფი სარჩო მისცეს თავის პატრონს. მოვლას კი არაფერს მოითხოვს იმდენს; წელიწადში ერთხელ-ორჯელ უნდა შემოთხნონ გარშემო და ერთხელაც ყლორ-ტი უნდა მოსჭრა ძირზე, როდესაც გახმება, რომ შემდეგ ახალი ამო-ვიდეს და ხელახლა მოიტანოს ნაყოფი.

მარტო საჭმელსაც არ იძლევა ბანანა, სხვაფრივაც სასარგებლოა ადამიანისათვის. მის გრძელ და ფართო ფოთლებს ხმარობენ სუფრის და თეფშების მაგივრად: როდესაც უნდათ ისადილონ, მოსწყვეტენ ბანანის ფოთოლს და გაიშლიან წინ. ბანანისაგე ფოთლებით შესწვა-ვენ ხოლმე ხორცს. ხორცს გამოხვევენ ფოთლებში და ჩაფლავენ ღვეფში. ბეწვები ბანანისა იმდენად მაგარია, რომ ძაფს ართვენ და ძაფისაგან მერე მატერიასაც ქსოვენ ტანისამოსისათვის.

ჩვენში ბანანას შეხვდება კაცი მდიდრების სადგომებში: ოთახებ-ში უდგიათ ხოლმე სამშვენებლად. გარდა ამისა, ბანანის მცენარეს იპოვით თბილ სამცენაროებში, სადაც ინახავენ ხოლმე ცხელი ქვეყ-ნების სხვადასხვა მცენარეებს. ბუნებითი სამშობლო კი ბანანისა, სა-დაც იგი ხარობს ცის ქვეშ, არის ინდოეთი, აფრიკა და სამხრეთ ამე-რიკა. ამ ქვეყნებში ყოველგან შეხვდებით ბანანას, სადაც კი დგას ადამიანის ქოხი; ქოხს ზევიდან გადაფარებია იგი თავის დიდრონი ფოთლებით და მშვენიერი ჩრდილი მიუცია სახლის პატრონისათვის იმისთანა საოცარ პაპანაქებაში, როგორიც სჩვევია ტროპიკულ მხარეს.

ნიანგი (ხვითქი)

წინა წერილში ხომ გიამბეთ, რამდენად უხვი და მრავალგვარია ცხელი ქვეყნების მცენარეულობა. ახლა ცხოველებს არ იკითხავთ? უთვალავი სხვადასხვა გვარი ცხოველებია, რომელთაც განცვიფრებაში მოპყავთ მნახველი თავის სიდიდე-სიპატარავით, სხეულის აგებულობით, ფერადფერადობით და სილამაზით! იქ შეხვდებით დიდ-ვეებერთელა მხეცებსაც და სულ პატარ-პატარა ტანის ცხოველებსაც, ლამაზ ცხოველებსაც და მახინჯებსაც, მშვიდ ცხოველებსაც, რომელნიც ადამიანს არ ერჩიან, და ავებსაც, რომელნიც ადამიანს არ ზოგავენ. მწერები იცის იმ ქვეყნებში ისეთები, რომელნიც გაცილებით უფრო დიდებია ჩვენებურ მწერებზე და უფრო ლამაზებიც. მაგალითად, ზოგი იქაური ბუზანკალი ადამიანის მუშტის ოდენაა. იმ სიდიდო პეპლებს შეხვდებით, რომ შვიდი გოჯის სიგრძეზე იშლება ხოლმე მათი ფრთები. ჩვენს ქვეყანაში რომ პატარ-პატარა ანკარებია (იმერეთში ძლოკვი) და სხვა მორჩილი ტანის გველები, ისე კი არ არის ცხელ ქვეყნებში: იქ ვეებერთელა ტანისა და საოცარი გესლიანი გველებია, სიგრძით რამდენიმე ადლი.

მდინარეებში და ჭაობებში ცხოვრობს ერთნაირი ცხოველი, რომელიც გარეგნობით ძალიან ჰგავს ჩვენებურ ხვლიკს. ეს არის **ნიანგი**, ანუ ხვითქი. იმ ქვეყნებშივე იცის ვეფხვი, რომელიც საოცრადა ჰგავს ჩვენებურ კატას, მაგრამ ტანად კატაზე უფრო დიდია რამდენჯერმე და მეტად საშიში, მეტად მოყვარული სისხლისა. იქვე იცის ლომი, რომელსაც უწოდებენ ოთხფეხთა მეფეს, რადგან იგი ძალიან ღონიერი, წარმოსადეგი და ლამაზია. ამ წერილში მინდა გაგაცნოთ **ნიანგი**.

აფრიკის მდინარეებში და ზოგ ადგილას ჭაობებშიაც ხშირად შეხვდებით უშველებელ ტანის ნიანგებს. გარეგნობით ნიანგი, როგორც ზევით არის ნათქვამი, ხვლიკსა ჰგავს, მხოლოდ საოცრად დიდია ხვლიკთან შედარებით. იგი ცოცხლობს ას წლამდის; ამ ხნის გან-

ბავლობაში თანდათან იზრდება, ცოტ-ცოტად ემატება ტანის სიდიდე და ბოლოს ზოგიერთი სიგრძით სამი საჟენი გახდება ხოლმე. ტანი აქვს მოგრძო და განიერი, თავი ბრტყელი და დაბალი, ტუჩი მოგრძო და წინ გაშვერილი; კისერი მოკლე; კუდი უფრო გრძელი აქვს ტანზე, ცერალმა ბრტყელი, რომელიც ძალიან შველის ცურვაში და ხელს უწყობს მის მარდად მიმოხვრას წყალში. პირი აქვს დიდი. ყბების ორსავე მხარეზე ჩამწკრივებული აქვს მაგარი კბილები, რომლებითაც ადვილად შეუძლია გასტკივიროს ადამიანი, თუკი იგდო პირში. ზურგზე, გვერდებზე და მუცელზე, აგრეთვე კუდზე ასხია სქელი გაძვალებული ტყავი და სქელი ქერქლები, თითქო აბჯარი აუსხამსო. ამის წყალობით არის, რომ თოფი ვერას დააკლებს ნიანგს, თუ პირში არ მოხვდა ტყვია, ან იღლიაში.

საზოგადოდ, უწყლოდ სიცოცხლე არ შეუძლია ნიანგს, თუმცა კი ამოსვლით ხშირად ამოდის ნაპირებზე და ერთ ასიოდე ნაბიჯზე მოშორდება კიდეც მდინარეს. მეტზე თითქმის არასოდეს. როგორც იცით, ცხელი ქვეყნების ამბავი, იქ ხან წვიმებია ხანგრძლივი, ხან ხმელი ტაროსი, ხანგრძლივი გვალვა. აი სწორედ მაშინ, როდესაც ხანგრძლივი გვალვა იწყება, ჭაობები და მდინარეები შრება, მაშინ იწყება ნიანგების გაჭირვება. ამ დროს იგინი გაეხვევიან ხოლმე ჭაობების და მდინარეების შლამში და რამდენსამე თვით მიეცემიან ძილს; ბოლოს დაიწყება თუ არა წვიმიანობა და წყალი გაჩნდება თუ არა, გამოიღვიძებენ, გამოცოცხლდებიან, და იწყებენ მოძრაობას. მაშინ ბედნიერი დღეებია მათთვის. წყალში ღონიერია ნიანგი, გამბედავი და კარგად ემარჯვება მიმოხვრა, ხმელეთზე კი სიმარჯვეს ვერ იჩენს. და მხდალია. ხმელეთზე იმისთვის ამოდის ხოლმე, რომ ქვიშოვან ნაპირზე დაისვენოს, ზურგი გაითბოს მზეზე. ინებივროს. რამდენად ღონიერია ნიანგი და გამბედავი, იქიდანა ჩანს, რომ ხშირად ჩაითრევს ხოლმე წყალში ადამიანს, ხარს, ძროხას, აქლემს, დაახრჩობს წყალში და მერე შესჭამს. ბევრი შემთხვევა ყოფილა ცხელ ქვეყნებში იმისთანა, რომ ნიანგების მსხვერპლად გამხდარან მდინარეებში მობანავე ადამიანები და მგზავრები, რომელთაც მდინარე უნდა გაეარათ.

ჩვეულებრივს საზრდოს ნიანგისას შეადგენს სხვადასხვა ცხოველი; ძალიან ერჩის იგი თევზებსა და, თუ მშიერია, ლეშსაც კარგად მიირთმევს. იმისთვის, რომ ვინადირო და საზრდო ვიშოვოო, წყალს თავს არ ანებებს, არ ამოდის მდინარიდან. არის კი შემთხვევა, როდესაც ღამით ამოდის წყლიდან და მიდის ხმელეთზე დიდ მანძილზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ახალ წყალს ეძებს, რომ საჭიროების დროს იქაც გაიჩინოს ბინა.

ერთხელ ნაწვიმარზე დიდი ნაღვარევი ერთვოდა მდინარეს. ნიანგი თურმე ამოვიდა ამ მდინარიდან, აჰყვა ნაღვარევს და დიდი მანძილი გაიარა, ძალიან დაშორდა თავის ადგილსამყოფელს. ამ დროს დაიწყო გვალვა. ნაღვარევი დაშრა, მხოლოდ აქა-იქ, შორი-შორს ნახავდით გუბეებს, დენით კი აღარსად დიოდა წყალი. ნიანგმა შეატყო ცუდად იყო საქმე და დაბრუნდა უკან თავის მდინარისაკენ; თოთხავდა, ერთი გუბიდან მეორეში გადადიოდა გაჭირვებით და ძლივს იბრუნებდა სულს. ბოლოს გუბეებიც რომ დაშრა, აღარ იცოდა, რა ექნა, როგორღა მიეღწია თავის ბინაზე. მაშინ იგი გაჩერდა ნაღვარევის კალაპოტში და გაეხვია იქ ქვიშაში და შლამში, თავი დაიმარხა თითქმის ერთი საჟენის სიღრმეზე. გავიდა კარგა ხანი, აი, სწორედ იმ ადგილას, სადაც ნიანგი იყო ჩაფლული, დაბანაკდნენ ერთი სწავლული მოგზაური და მისი მხლებლები. ამათ წყალი დასჭირდათ; ხედავენ, რომ წყალი არ მოიძევა, იფიქრეს, მოდი აქ ნაღვარევის კალაპოტში ორმო გავთხაროთ, იქნება ამოვაჩინოთ წყალიო. დაიწყეს თხრა და როდესაც ამოთხარეს თითქმის სამი ადლის სიღრმე, უცებ დაინახეს, რომ რაღაც ვეებერთელა ნაცრისფერი ინძრევა მიწაში. მუშებს შიშისაგან თავზარი დაეცათ და სწრაფად ამოვარდნენ ორმოდან. ბოლოს, როდესაც კარგად დაუკვირდნენ მოგზაურები, ნახეს, რომ ეს რაღაც ვეებერთელა ცოცხალი ნიანგის კუდია. შემდეგ მოისაზრეს კუდის მიხედვით და სადაც თავი უნდა ყოფილიყო, იქ დაუწყეს თხრა. როდესაც შეატყეს, რომ აი, საცაა თავი გამოჩნდებაო, დაჰკრეს იმ ალაგას ხელშუბი და კეფა გაუხეთქეს ნიანგს. მერე მთელი სხეულის სიგრძეზე გასჭრეს მიწა და ამოიღეს დიდი ნიანგი, რომლის სიგრძე აღმოჩნდა ხუთი ადლი და თორმეტი გოჯი.

ნიანგი ძალიან მოყვარულია სისხლისა და არ ზოგავს არც ოთხფეხს და არც ადამიანს, თუ დაინახა წყლის პირად ახლოს, ან წყალში მიმავალი. ერთხელ სუდანში (აფრიკაშია) ერთს კაცს შეეცურებინა მდინარეში ნავი და ანკესით თევზის ჭერას შეექცეოდა. გარშემო მყუდროება იყო. არსაით ხმაურობა არ ისმოდა და ვერავინ იფიქრებდა, რომ აქ საშიში რამეაო. თურმე წყალს ქვეშ ფრთხილად მოახლოებია ამ კაცს ნიანგი და მან ჟრაფერი არ იცის. ერთი თვალის დახამხამებაში ეს კაცი სადღაც გაჰქრა, გაჰქრა ისე, რომ ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრო. იქვე მოშორებით მდგარიყვნენ სხვები და დაენახათ, როგორ მოხდა ეს უბედურება. მათ თურმე მხოლოდ თვალი მოჰკრეს ნიანგის თავს, რომელიც ელვის სისწრაფით გამოჩნდა წყლიდან და უცებ ისევ ჩაყურყუმალდა. ამ დროს ნავიც გადაბრუნდა წყალში და ხმაურობა მოესმათ. ამ სახით ჩაითრია ნიანგმა წყალში კაცი, რომელიც ნავში იდგა და თევზაობდა.

რაკი ამისთანა ბოროტია ნიანგი, ადამიანიც არ ზოგავს მას. ხოცავენ ნიანგებს თოფით, ჩანგლებით და ხელშუბებით. მეგობარი მათ არავინ გააჩნიათ, ერთი პატარა ჩიტის გარდა. ამ ჩიტის სახელია **ტროქილუსი.** ძალიან შეთვისებულნი კი არიან ერთმანეთთან ტროქილუსი და ნიანგი. მოფრინდება ხოლმე ტროქილუსი, დაჯდება ნიანგის ტანზე, როდესაც იგი გამომზეურდება წყლის პირად, და მიმოდის ზურგზე, იჩხრიკება, ეძებს, თუ რამ პაწია ცხოველები ამოჰყოლია წყლიდან. მერე ნიანგი პირს გააღებს დიდზე: ტროქილუსი აფრინდება და პირში ჩაუჯდება. მიმოდის მის კბილებსა და კბილებს შუა, იქექება, იჩხრიკება, რომ გამოაცალოს კბილებიდან საჭმლის ნარჩენები და წურბლები, რომელნიც მოჰკიდებია პირში ნიანგს წყალში ყოფნის დროს. ამ ნამცეცებსა და წურბლებს თვითონა სჭამს ჩიტი. ნიანგს ძალიან ესიამოვნება ამისთანა სამსახური და სრულიად არაფერს ავნებს ამ ჩიტს. დიდხანს ძევს ხოლმე ასე პირდაღებული ნიანგი, რომ გაასუფთავებინოს თავის მეგობარს ხახა, მოიშოროს თავიდან წურბელები. თუ საშიში რამ მოელის ნიანგს, ტროქილუსი მაშინვე იგრძნობს ამას, სწრაფად აფრინდება და შეჰქმნის ჭყივილს. ნიანგი დაიძვრის მაშინ და ისარივით პირდაპირ მიაშურებს მდინარეს, რაც ძალი და ღონე აქვს. ამიტომ ამბობენ ტროქილუსზე, იგი ნიანგის ყარაულიაო.

აბა ახლა ყური დამიგდეთ და გიამბობთ, როგორ მრაველდება ეს ოთხფეხი ქვეწარმავალი. დედალი ნიანგი ამოსცხრის ხოლმე ქვიშოვანს ნაპირზე ორმოს, ჩადებს შიგ კვერცხებს — ოცს, ორმოცს, ზოგჯერ მეტსაც (ასამდის) და წააყრის ზევიდან ქვიშას. კვერცხები ერთიმეორეზეა მიწყობილი. სიდიდით ბატის კვერცხებს მოგვაგონებენ. დედა ნიანგი ხანდახან მივა ხოლმე იქ, სადაც მარხია კვერცხები, და დაათვალიერებს იმ ადგილს, რომ შეიტყოს, ხომ არაფერი დაშავებია კვერცხებს. როდესაც გამოჩეკის დრო მოახლოვდება, მივა კვერცხებთან და დაჰყურებს, ხომ არაფერი ხმა ისმის იქიდანაო; თითონაც გამოეხმაურება, დაუძახებს შვილებს ანუ თავის წიწილებს. თუ წიწილებმა ხმა გასცეს, მაშინ გაჰქექავს ქვიშას, კვერცხებს გამოაჩენს და დაეხმარება მათ, რომ გამოვიდნენ ნაპუჭიდან. ნიანგის წიწილების ხმა, კვერცხებიდან რომ მოისმის, ადამიანის სლოკინსა ჰგავს. ახლად გამოჩეკილი ნიანგი მაშინვე გაექანება წყლისაკენ და იწყებს იქ სრულიად თავისუფალ ცხოვრებას.

მარტო აფრიკაში კი არ იპოვება ნიანგი; ნიანგები ცხოვრობენ აგრეთვე აზიაში და ამერიკაშიაც, მხოლოდ ეს ნიანგები სხვა ჯიშისა არიან და სახელწოდებაც სხვა აქვთ. ამერიკულ ნიანგს ეძახიან **ყაიმანს** და აზიურს — **გავიალას.** სამხრეთ ამერიკაში, როგორც მო-

გვითხრობს მეცნიერი ჰუმბოლდტი, ქაიმანის ქონს ხმარობენ კუპის გასაწმენდ წამლად, ჯულაბად, თეთრს ხორცს კი ზოგიერთ ადგილებში ჭამენ ისე, როგორც ჩვენ ძროხის ხორცსა ვჭამთ. აფრიკაშიაც ზანგთა ტომის ადამიანებს გემრიელ საჭმელად მიაჩნიათ ნიანგის ხორციც, ქონიც და კვერცხებიც.

ისავრო (ქამელეონი)

ამ წერილში მინდა გიამბოთ ერთ პატარა სულდგმულზე, რომელიც ცხელ ქვეყნებში ცხოვრობს და რომელიც ეკუთვნის ქვეწარმავალთა ჯგუფს.

საკვირველი რამ არის ეს ცხოველი თავისი გარეგნობით და ზნეჩვეულებით. დინჯია, სიარული აქვს წყნარი და ეხის ხმარება ნადირობის დროს სწრაფი. ეს ნიშნები ყოფილა მიზეზი, რომ ძველად ყურადღება მიუქცევიათ მისთვის ბერძნებს და დაურქმევიათ მოხდენილი სახელი „ქამელეონი"; ეს სიტყვა ნიშნავს **მიწის პატარა ლომს**, ქართულად ჰქვია „ისავრო". აბა კარგად ნახეთ ამ ცხოველის სურათი: ტანი ვიწრო, გვერდებშეწეული, ქედზე თითქო კბილებიანი გრეხილი აქვს გადავლებულიო, თავი აქვს ჩაფხუტის (შლემი) მსგავსი, რომელიც თითქო ბიბილოთია მორთულიო; კისერი იმდენად მოკლე აქვს, რომ ძლივს ემჩნევა; ოთხივე ფეხი თითქმის ერთნაირად მაღალი და ჩამოფხავებული, გამხდარი. თითოეულს ფეხზე ხუთი თითი აბია, მაგრამ ერთიმეორეზე მოშორებული როდია თითები: ორ-ორი და სამ-სამი ერთად არის თავმოყრილი და გარს ახვევიათ საერთო კანი. ამნაირად, თითოეულს ფეხზე ორ ჯგუფად განიყოფებიან თითები: ორი ერთის მხრითაა და სამი მეორე მხრით, ან სამი ერთის მხრით და ორი მეორე მხრით. წინა ფეხებზე სამი უკანა თითი ერთად არის კანში მოთავსებული და ორი წინა თითი ცალკე, უკანა ფეხებზე კი სხვანაირად არის: წინ სამი თითია ერთ კანში მოთავსებული და უკან ორი. ამგვარი წყობილება თითებისა მარწუხს ამსგავსებს ისავროს თათებს. მას შეუძლია მარწუხივით მოსჭიდოს წინა უკანა თითები ხის შტოს და სხეული მარჯვედ ეკიროს ხეზე. ტანზე აქვს პატარ-პატარა ხორკლები და ამ ხორკლებს შორის წვრილ-წვრილად ჩაუყვება ტყავის ნაკეცები. ამ ნაკეცების წყალობით შესაძლებელია ტყავი ძალიან გაიჭიმოს და ტანი დიდზე გაებეროს ისავროს. კუდი აქვს გრძელი: მთელი სხეულის სიგრძეს ანგარიშობენ ხუთ-ექვს გოჯზე მეტს და აქედან ნახევარი კუდს უნდება. კუდის ბოლო იგრაგნება ლოკოკინას ბუდის მსგავ-

სად და ამიტომ ისავროს შეუძლია, როდესაც საჭიროა, მაგრად მოსჭიდოს იგი ხის შტოსა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ისავროს თვალები, რომელნიც მრგვლად გამობერილან დიდზე, თავის ქუთუთოებში გახვეულნი. ქუთუთოებს იმის პირდაპირ, სადაც თვალის ბაია არის, წვრილი ნახვრეტები აქვს და ამ ნახვრეტებიდან იჭყიტება ისავრო. ახლა დაუკვირდით თვალების მუშაობას. ერთმანეთთან როდია შეთანხმებული მათი მოძრაობა, თითოეული თვალი ცალკე მუშაობს თავისთვის: ერთი რომ წინ იყურება, ან მაღლისკენ იცქირება, მაშინ მეორე თვალს შეუძლია უკან იყურებოდეს, ან დაბლისაკენ. არც ერთს ქვეწარმავალს ასე არა აქვს მოწყობილი მხედველობა. ისავროს თავისუფლად შეუძლია თავის გარშემო ცქერა და დანახვა საგნებისა ყოველი მხრით ისე, რომ სხეული არ დასძრას. ეს გარემოება ხელს უწყობს მას ნადირობაში.

ენაც რომ უცნაური აქვს რაღაცა! ძალიან გრძელი: რაც სხეულის სიგრძეა, იმის ნახევარზე მეტია. როდესაც მოსვენებით არის ისავრო, მაშინ ენა პირში აქვს შენახული, აგეო კოლოფში რომ რაღე შეინახო, ისე. რომ მოაწევს ენის ხმარების დრო, ვთქვათ მწერი გაჩნდა სადმე მახლობლად, ისავრო წყნარად პირს მიიბრუნებს მწერისაკენ, მერე წყნარადვე პირს გააღებს. პირს რომ გააღებს, მაშინ უეცრად გამოვარდება იქიდან ენა ერთი-ორი გოჯის სიგრძეზე მწერისაკენ და მწერი ზედ მიეკვრის ენას ბოლოზე. მასუკან ენა უკანვე შეიწევა; ყბები შეინძრევიან და დაღეჭენ საჭმელს. მაშინ ისავრო ისევ პირვანდელს მდგომარეობაში ჩადგება, გაყუჩდება, თითქო აქ არაფერი მომხდარაო. რომ უყურებ, სრულიად არ იძვრის; გეგონება ეს რაღაც ხორცმეტია ამოსული ხეზეო, ხის კორძია, რომელიც მოსხმია შტოებს ცხოველის ფეხებისა და კუდის სახითაო. მოძრაობა საოცრად ეზარება. მთელი დღე ისე გაივლის, რომ თითქმის ადგილს არ გამოიცვლის. შეიძლება ნელ-ნელა ჩამოეშვას შტოზე და ისევ ავიდეს წყნარად მაღლა. ესაა და ეს მისი მოძრაობა; თუ თვალებისა და ენის მოძრაობას არ ვიანგარიშებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ იგი უძრავად არის მთელი დღის განმავლობაში, თვალები კი დაუწყნარებლივ ტრიალებენ და ენაც უეცრად გამოვარდება ხოლმე პირიდან, როდესაც საშოვარზე მიდგება საქმე.

რაც განმასხვავებელი მნიშვნელობა ვთქვით ისავროსი, ყველაზე უფრო საინტერესოდ ის მიაჩნდათ და ახლაც მიაჩნიათ, რომ მას სჩვევია ხშირი ცვლილება ფერისა. ეს გარემოება ძალიან გამოსადეგია მისთვის, რადგან იგი თითქმის სულ ხეებზე და ბუჩქებზე ატარებს თავის დღეს და საზოგადოდ, მომწვანო ფერს გადაიკრავს, ძნე-

ლი გამოსაცნობია მწვანე ფოთლებში და ადვილი არ არის მისი პოვნა და დაჭერა. ზოგნი ფიქრობენ, ვითომ ამ ცხოველს თავის ნებაზე შეეძლოს მრავალნაირად შეცვლა ფერისა და იმისთანა ფერს ღებულობდეს, რა საგნებს შორისაც იმყოფება, მაგრამ მეცნიერი კაცები ვერ ადასტურებენ ამას. ეს კი უეჭველია, რომ მის სხეულს სჩვევია მრავალნაირად შეცვლა ფერისა და ზოგ შემთხვევაში სხეულის მოყვანილობისაც. დილით, როდესაც მოსვენებით არის ისავრო, საზოგადოდ, მოყვითალო ფერი აქვს მის სხეულს. ზოლები, რომელიც ტანის სიგრძეს გაუყვება აქეთ-იქით გვერდზე და რომელიც სხვა დროს ღია ფერისა არიან, ამ დროს წითლად მოჩანან. სხვა დროს რომ მრგვალი წინწკლები აქვს ტანზე მქრქალი ფერისა, ახლა ის წინწკლები ან სულ გამქრალან, ან და იმდენი აღარ ჩანს, როგორც უწინ. მერმე, დილა რომ გაივლის, დღისითაც ისევ იმ ფერისაა ისავრო, როგორც დილით იყო, მხოლოდ, გვერდებზე რომ ზოლები აქვს, ის ზოლები ახლა ღია ფერისა შეიქნენ, ხოლო წინწკლები მწვანე მუქისა. დილით რომ აიყვანო ხელში, იმწამსვე მწვანე წინწკლები გამოაჩნდება ტანზე. როდესაც გაჯავრებულია ისავრო, მაშინ ტანი მისი ზევით მომწვანო ფერისაა, მუცელი მოლურჯო, გვერდის ზოლები მოთეთრო ფერისა, წინწკლები კი შავ ფერს გადაიკრავენ. აი, ამნაირად და სხვა მრავალგვარადაც იცვლის ხოლმე ფერს ისავრო. მტერი თუ მიუახლოვდა ან ფრინველი, თუნდაც ისეთი, რომელიც იმას სრულიად ვერაფერს ავნებს, ისავრო ჯერ გაიბერება ბუშტივით და მასუკან მოჰყვება ფრუტუნს (ფთხვენას) და სისინს. ხელი რომ მიაკარო ამ დროს, იგი პირს წაგავლებს ხელზე და ცოტათი კიდეც დააჭერს კბილებს, მაგრამ ვნებით კი არას გავნებს. ამ დროს ტანი მრავალფერად ჰღელავს და გაბერილი რომ არის, ამის გამო სულ სხვანაირი მოყვანილობა ეძლევა: ისე გამოებერება ხოლმე გვერდები, რომ გვერდის ძელებს დაინახავ. ტყავი იმდენად გაეჭიმება, რომ შეგიძლია მის ტანში გასჭვრიტო, როგორც შუშაში, და ლანდად დაინახო ხის შტოები, ან გალიის მავთულები, რომელსაც ჩამოფარებია ისავრო.

ცხელ ქვეყნებს გარდა ისავრო ცხოვრობს ზოგიერთ სხვა ქვეყნებშიაც, რომელიც ძალიან შორს არ არიან ცხელ ქვეყნებზე, მაგალითად: ესპანეთში, მცირე აზიაში, სირიაში და ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ კუნძულებზე. იმისთანა ადგილებში უყვარს ცხოვრება, სადაც წვიმა იცის ხანდახან, ან ცვარი (ნამი) ბლომად; ეგ მისთვის ძალიან საჭიროა, რომ ყოველთვის თავის დროზე დააკმაყოფილოს ერთი უმთავრესი მოთხოვნილება თავისი — წყურვილი. რაც შეეხება საჭმელს, ქვეწარმავლებისა არ იყოს, იმასაც მთელი კვირაობით

და თუნდა თვეობითაც შეუძლია გასძლოს უქმელად, უსმელად კი დიდხანს ვერ გასძლებს.

ისავრო მრავლდება კვერცხებით. მის კვერცხების დებას აგვიწერენ ასე: ერთი ჩემი ისავროთაგანიო, მოგვითხრობს ერთი მკვლევარი, ნელა ჩამოეშვა ძირს მიწაზე ხის შტოებიდან, რომელიც გალიაში ჰქონდა გაკეთებული, და დაიწყო მოუსვენრად აქეთ-იქით სირბილი. ბოლოს გაჩერდა ერთ კუთხეში და წინა ფეხებით ქექვა დაუწყო მიწას. მიწა მაგარი იყო. ორი დღე იმუშავა და მოთხარა ორმო, რომელსაც სიღრმე ჰქონდა სამ გოჯნახევარი, ხოლო სიგანე ორ გოჯზე ცოტა მეტი. ძალიან ბეჯითად კი მუშაობდა. ბოლოს ჩაჯდა ორმოში, ჩასდო შიგ ოცდაათი კვერცხი და მასუკან კვერცხებს ბლომად უკანა ფეხებით მიწა წააყარა, ასე რომ, მიწა დაგროვებული იყო ორმოს თავზე. ამასაც აღარ დასჯერდა: მოიტანა ხმელი ფოთლები ხისა და ფიჩხები და დააფარა ზევიდან. ისავროს კვერცხები მომრგვალოა, როგორც საზოგადოდ ყოველი კვერცხი, ფერად თეთრია და კანი აქვს რბილი.

ადამიანს როდი ერჩის ისავრო და არც ადამიანი ემტერება მას, მაგრამ სხვა მტერი კი ბევრი ჰყავს: წვრილი მტაცებელი ოთხფეხი ცხოველები, მტაცებელი ფრინველები და დიდრონი გველები. იკვებება ისავრო ბუზებით, ჭიებით, ობობებით და კუტკალიებით.

ესპანეთში ისავრო ოთახებში ჰყავთ ბუზების საჭერად. მოუწყობენ ხოლმე სადმე ოთახში დასაჯდომ ბინას და წინ თაფლს დაუკიდებენ ჭურჭლით, თაფლზე, რასაკვირველია, ბუზი ბლომად მოდის. ისავრო იჭერს ბუზებსა და სჭამს.

ივანე როსტომაშვილი

1852 — 1924

ცნობილი პედაგოგი და მწიგნობარი ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი დაიბადა 1852 წელს სოფელ კურდღელაურში (თელავის მაზრა). ივანეს მამა გლეხი იყო. იგი მონაწილეობას იღებდა შამილთან ბრძოლაში და როგორც კარგ მეომარს, ობეროფიცრობა მიუღია. პენსიის შემდეგ კურდღელაურში დასახლებულა, მამისეულ პატარა ადგილზე ბაღ-ვენახი გაუშენებია და მთელი დღეების განმავლობაში დიდ შრომა-ჯაფაში ყოფილა. ივანე მშობლებმა ჯერ თელავის სამოქალაქო სკოლაში მიაბარეს, შემდეგ კი, როგორც სამხედროს შვილი, გადაიყვანეს იმჟამად არსებულ სამხედრო სკოლაში. სკოლა წითელწყაროში იყო. აღნიშნულ სამხედრო სკოლაში ივანე როსტომაშვილმა ექვს წელს დაჰყო, მაგრამ ცოდნა არაფერი გამოუტანია, რადგან მასწავლებლებად უვიცი სამხედრო პირები იყვნენ, რომლებსაც ჰუმანიტარული საგნების

ცოდნა სრულიად არ გააჩნდათ. ივანე ბეჯითობას მაინც იჩენდა, რითაც სკოლის გამგისა და მასწავლებლების ყურადღება დაიმსახურა.

ივანე როსტომაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს: „სწავლის სიძლიერე დიდი იყო ჩემში. მართალია, რუსული არ მესმოდა, მაგრამ იმდენხანს ვკითხულობდი წასაკითხს, სანამ თუთიყუშივით სულ ზეპირად არ დავისწავლიდი. ამით მივიქციე განსაკუთრებული ყურადღება"

1870 წელს ივანე როსტომაშვილი თბილისში გადმოვიდა და ახალგახსნილ საოსტატო სემინარიაში შევიდა, რომელიც 1874 წელს დაამთავრა. ივანე როსტომაშვილი მალე გაამწესეს მასწავლებლად საინგილოში. სოფელ კახში. ქართულ ენას მოწყურებულ საინგილოს �eg ნამივით მოეფინა ივ. როსტომაშვილი. რომელიც ხალხის უანგარო სამსახურისათვის განემზადა. ივანე ავტობიოგრაფიაში ამბობს:

სამხედრო კარიერაზე ოცნებანი ძირფესვიანად დამეკარგა, მათი ადგილი [illegible] ხალხის სამსახურმა და მათი შვილების სწავლამ. დაიკარგა [illegible] სამშობლო ენის დავიწყებაც. თუმცა სასწავლებელში ქართულს სრულიად არ გვასწავლიდნენ, მაგრამ მე თვითონ ვიწყე მისი [illegible]ესწავლა. უაღრესად ვეტრფოდი ქართულ ენას... ვიწყე მასწავლე[illegible]ობა თუ არა. მაშინვე გამოვიწერე ქართული გაზეთი „დროება [illegible] ივერია და მათი კითხვით იმდენად შევისწავლე ქართული წერა-კითხვა, რომ თვითონაც დავიწყე პატარ-პატარა ამბების წერა და გაზეთებში გზავნა"

ივ. როსტომაშვილმა მასწავლებლობა და მწერლობა 1874 — 75 წლებიდან დაიწყო. მან დიდი ამაგი დასდო კახის სკოლასა და სკოლისგარეთ დარჩენილ ახალგაზრდობას, რომლებსაც უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა-კითხვას. ამით ივ. როსტომაშვილმა დაუვიწყარი სიყვარული დაიმსახურა კახის მოსახლეობაში. მაგრამ ი. როსტომაშვილი კახს მოაშორეს და 1878 წელს ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში გადაიყვანეს. ორი წლის შემდეგ. ე. ი. 1880 წელს ივანე თავის კუთხეს დაუბრუნდა და თელავის საქალაქო სასწავლებელში დაიწყო მასწავლებლობა.

სადაც კი იმუშავა ივ. როსტომაშვილმა, ყველგან დიდი შრომისმოყვარეობა და საზოგადოებრივი მუშაობის უნარი გამოიჩინა. მან თელავში დააარსა წიგნსაცავი-სამკითხველო, რომელსაც ამარაგებდა ქართული და რუსული პერიოდული გამოცემებით, აგრეთვე სხვადასხვა ლიტერატურით. გარდა ამისა, მანვე ჩაუყარა საფუძველი ე. წ. „დეპოს" — საზოგადოებრივ სავაჭროს, ჩამოაყალიბა სახალხო ბანკი და დააარსა საკვირაო სკოლა, სადაც სკოლისგარეთ დარჩენილი ახალგაზრდები სწავლობდნენ. საზოგადოებრივი სავაჭროს ჩამოყალიბებამ

უკმაყოფილება გამოიწვია თელავის კერძო ვაჭრებში და მათ გადაჭრით მოითხოვეს ი. როსტომაშვილის თელავიდან გაძევება. მიზანსაც მალე მიაღწიეს და 1889 წელს ივ. როსტომაშვილი ახალქალაქში გამწესეს. თუმცა ემძიმებოდა მშობლიური კუთხის მიტოვება, მაგრამ არც ახალქალაქი აღმოჩნდა მისთვის უცხო. პირიქით, მისი მოღვაწეობა ახალქალაქში უფრო მეტად სასარგებლო და თვალსაჩინო აღმოჩნდა. ივ. როსტომაშვილმა შემოიარა ახალქალაქის მიდამოები და ფოტოთი გადაიღო ქართული არქიტექტურული ღირსშესანიშნავი ძეგლები, რომლებიც დანგრევის პირას იყო მისული და ვრცელ წერილში აღწერა მათი სავალალო მდგომარეობა. 1894 წლიდან სამუდამოდ დაბინავდა თბილისში და მოეწყო წმ. ნინოს სახელობის ქალთა, ამავე დროს ვაჟთა კომერციულ სასწავლებლებში, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ამასთანავე აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ეწეოდა სამწერლო მოღვაწეობასაც. თავისი დაუშრეტელი ენერგიისა გამო ილია ჭავჭავაძეს ივ. როსტომაშვილისათვის „ჩვენი ფუტკარი" შეურქმევია. მართლაც, როგორც ფუტკარი სხვადასხვა ყვავილს ეტანება, ისე ეტანებოდა ივ. როსტომაშვილი სხვადასხვა საქმიანობას: წერდა წერილებს ათასგვარ საკითხზე და ათავსებდა იმდროინდელ თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში სხვადასხვა ფსევდონიმით (კახთ-კახოსი, ვანო, თქვენი ვანო, დიზრაელი, რ. ივ. როსტ. და სხვა). ივ. როსტომაშვილი პოპულარული წიგნების შემდგენელ-გამომცემელიც, ენციკლოპედიის შემდგენელიც იყო. ივ. როსტომაშვილს უყვარდა საბავშვო წიგნების გამოცემაც. მან პირველმა ცალკე წიგნად გამოსცა ბავშვებისათვის საყვარელი ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა", საბავშვო ჟურნალებისა და წიგნების მხატვრის გ. ტატიშვილის დასურათებით, აგრეთვე ხალხური ლექსი „თხა და ვენახი", მის მიერ დამუშავებული ზღაპარი „მეფე ლამზა" და მრავალი სხვ.

ივ. როსტომაშვილმა 1901 წლიდან დაიწყო საკუთარი დიდტანიანი ჟურნალის „მოგზაურის" გამოცემა და ხელი მიჰყო იაფფასიანი წიგნაკების გამოცემას. საკმარისია ამ წიგნაკების სათაურებიც კი ჩამოვთვალოთ, რომ დავინახოთ, რა მრავალგვარი საკითხით იყო გატაცებული ივ. როსტომაშვილი: „რა არის გონებრივი გახსნა-განვითარება", „რისგან სნეულდებიან და იხოცებიან ჩვენი ბავშვები", „ხეხილის გამრავლება და მოვლა", „გონიერი მოვლა-მოშენება შინაური ფრინველებისა", „თვითნასწავლი სახალხო მოღვაწენი ჩვენში და რუსეთში", „პურის თესვა-მოყვანა", „ქრისტეფორე კოლუმბი" და სხვ.

თუ ამ სიას დავუმატებთ ივ. როსტომაშვილის მიერ შედგენილსა და გამოცემულს „ქართული ენციკლოპედიის" რამდენიმე ნაკვეთს, თარ-

გმანებს და მისი წინასიტყვაობით გამოსულ გამოჩენილი პედაგოგებისა და მეცნიერების ნაწარმოებებს, გაგაკვირვებთ მათი სიმრავლე, ავტორის ფართო განათლება და დაუშრეტელი ენერგია. ივ. როსტომაშვილის მიერ გამოცემული წიგნები დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ჟურნალი „მოგზაური" 1901 - 1904 წლებში გამოდიოდა, ხოლო 1910 წელს ივანე როსტომაშვილმა დააარსა ახალი ყოველდღიური იაფფასიანი გაზეთი „სინათლე". მაგრამ ამ გაზეთმა სულ ერთ წელს იარსება, რადგან მის ფურცლებზე რევოლუციური ხასიათის წერილები იბეჭდებოდა. გაზეთის დახურვასთან ერთად რედაქტორიც დააპატიმრეს, თუმცა მალე გაანთავისუფლეს.

უკვე მხცოვანი ივ. როსტომაშვილი დიდი სიხარულით შეხვდა რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობას. გასაოცრად გააახალგაზრდავა ახალქალაქელების მოთხოვნამ, რომ იგი დაენიშნათ გიმნაზიის (ყოფილი სამოქალაქო სასწავლებლის) დირექტორად. ივ. როსტომაშვილი ახალქალაქში ხალისით გაემგზავრა და მონდომებით დაიწყო ზრუნვა ახალ გიმნაზიაზე.

1920 წელს ივ. როსტომაშვილი კვლავ თბილისში დაბრუნდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი გაეშურა მშობლიურ სოფელ კურდღელაურში და ხელი მიჰყო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. რამდენიმე ხნით კვლავ თბილისში ჩამოვიდა. ამის შემდეგ იგი კურდღელაურს ვეღარ დაუბრუნდა.

ივ. როსტომაშვილი გარდაიცვალა 1924 წელს, დასაფლავებულია ქართველ მწერალთა დიდების პანთეონში.

ჩვენმა მხცოვანმა საბავშვო მწერალმა ნინო ნაკაშიძემ თავის საინტერესო „მოგონებებში" შესანიშნავი დახასიათება მისცა ყველა იმ მწერალს, ვინც კი რაიმე მონაწილეობას იღებდა ჟურნალ „ნაკადულში". დასახელებულ „მოგონებებში" ნ. ნაკაშიძე აღნიშნავს: „ივანე როსტომაშვილს ბუნებით ნამდვილი გულუბრყვილო ბავშვის ხასიათი ჰქონდა და მწერლობის დიდი მოყვარული იყო. არავითარ შრომას არ გაურბოდა და უკანასკნელ კაპეიკსაც კი არ ზოგავდა, რომ ხალხში სასარგებლო ლიტერატურა და ცოდნა გაევრცელებინა..." როგორც ნ. ნაკაშიძე გადმოგვცემს, ივ. როსტომაშვილი საბავშვო ჟურნალ „ნაკადულს" 1912 წლიდან დაუკავშირდა და მისი მუდმივი თანამშრომელი იყო სიკვდილამდე. ივ. როსტომაშვილი ავტორია მრავალი საბავშვო საალმზრდელო მოთხრობისა და ზღაპრისა, მას გამოცემული აქვს 35-მდე სახალხო და საბავშვო ხასიათის პატარა წიგნი.

ივ. როსტომაშვილის მიერ დამუშავებული ზღაპრებიდან აღსანიშნავია „მეფე ლამზა" (ზღაპრებიდან შედგენილი) და „მებადურის შვი-

ლი". იაკობ გოგებაშვილს ძალიან მოსწონდა „მებადურის შვილი" და ამიტომ თავის მიერ შედგენილ „დედა-ენის" მეორე ნაწილში ყოველთვის შეჰქონდა.

ივ. როსტომაშვილს პატარა მოთხრობების სიუჟეტები ცხოვრების სინამდვილიდან აქვს აღებული, ბავშვებს შრომისა და კეთილშობილებისაკენ მოუწოდებს. როგორც წინამდებარე წიგნიდან მკითხველიც დაინახავს, ავტორი თავს არ ახვევს ბავშვებს რთულ ამბავს. არც თავს აბეზრებს ჭკუის დარიგებით. იგი ამბავს ჰყვება ისე, რომ ბავშვი თვითონვე მიხვდება. რასაც მწერალი ასწავლის მას.

ივ. როსტომაშვილი ერთ-ერთი თვალსაჩინო და მისაბაძი პიროვნება იყო. მან თავისი წვლილი შეიტანა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში. მას ჩვენი მოღვაწეები სიყვარულით იხსენიებენ თავიანთ მოგონებებში.

მეფე ლამზა

ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხკაცი ცოლით. მათ ჰყავდათ ექვსი ვაჟიშვილი, ექვსივე ერთიერთმანეთზე უკეთესი.

ცხოვრობდნენ ერთ უდაბურ ტყეში, დიდი მდინარის პირად და მადლობელი იყო ყველა, რომ სხვებივით უსაქმურად არ იყვნენ. გლეხი მთელ დღეს ტყეში ატარებდა, ხეების ჭრას და ტივების შეკვრას უნდებოდა, ხოლო მისი ცოლი შინ ხან ტანისამოს ჰკერავდა, ხან წინდებს ჰქსოვდა, ხან ფურს სწველიდა, ხან სადილს ამზადებდა, ხან კი ხილნარსა და ბოსტანს უვლიდა, რომელიც იქვე სახლის გვერდით ჰქონდა კოპწია ხეხილებით, პურით, სიმინდით, კარტოფილითა და ხახვით მოქარგული; ეზოს რამდენიმე ძირი ვარდის ბუჩქიც ამშვენებდა.

გათენდებოდა თუ არა, გლეხის ექვსივე შვილი ქვეშაგებიდან წამოხტებოდა. ისინი ტანთ ჩაიცვამდნენ, იქვე მოჩხრიალე მდინარეზე ჩაირბენდნენ; ხელ-პირს დაიბანდნენ, სუფთა პირსახოცით შეიწმენდნენ და თმას დაივარცხნიდნენ. ამის შემდეგ პატარები კარში გავიდოდნენ და თამაშობდნენ ხან იქვე ასწლოვანი კაკლისქვეშ, ხან თვალუწვდენი ფიჭვების ძირას, რომელთა ძირშიც ათასობით ეყარა ცოყვებისაგან დაღრღნილი კაკლები და კინკრუხები. უფრო მოზრდილი შვილები კი დედას გვერდიდან არ შორდებოდნენ და ხან ჟურის წველაში შველოდნენ მას და ხან ხილნარსა და ბოსტანში ეხმარებოდნენ.

ასე ატარებდნენ დროს ყმაწვილები შუადღემდის. შუადღისას კი ყველანი, დიდ-პატარიანად ერთი ერიამულითა და სიხარულით ტყისაკენ მიმავალ გზას გაუდგებოდნენ მამისათვის სადილის წასაღებად. ერთს მიჰქონდა პური, მეორეს წყლით სავსე ლიტრა, მესამეს კალათა სხვადასხვა სუნელოვანი მწვანილით, მეოთხეს მაწონი, მეხუთეს პატარა კოჭობი შეპამანდით და მეექვსეს კი არაფერი არ მიჰქონდა. იგი მუდამ წინ მიუძღოდა ძმებს მწვანე ტოტით ხელში, თუმცა უმცროსი

იყო, მაგრამ ყველაზე ტანადი და ღონიერი ის იყო. ის ძმებში თავისი ტანადობითა და სილამაზით იმდენად გაირჩეოდა, რომ მშობლები მას პატარაობიდანვე ლამზას ე. ი. ლამაზს ეძახდნენ და დიდადაც უყვარდათ. დიახ, ლამზას ასეთი ტანადობა იყო მიზეზი, რომ ძმები სადაც უნდა წასულიყვნენ, ლამზა უთუოდ მწვანე ტოტით ხელში წინ მიუძღოდა ძმებს და როგორც კარგი ბელადი, ისე ატარებდა იმათ ტყის ათასნაირად დახლართულს გზაზე. ძალიან შესანიშნავი იყო ლამზას ტოტი. ის არასოდეს არა ჭკნებოდა და მუდამ ახალმოტეხილს ჰგავდა.

აი, სად და როგორ იშოვნა ლამზამ ეს საკვირველი ტოტი.

ერთ ასეთ მგზავრობის დროს ლამზა როგორღაც ასხლტა ძმებს და გზა დაკარგა. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ამაოდ... ვერას გახდა, ვერა და ვერ იპოვნა გზა, დაიკარგა და დედ-მამა და ძმებიც დაკარგა-ვერც არა ამბავი თვითონ შეიტყო მათი და ვერც არა იმათ გაიგეს მისი. დაიქანცა, დაიღალა საწყალი ლამზა... არ იცის, რა ქნას, საით წავიდეს... ბოლოს ერთ ადგილას დაეცა და მორთო ტირილი. თვალებიდან ცრემლები ღაპაღუპით სცვივოდა; დედამიწიდან გუნდ-გუნდად ამოდიოდნენ ჭიანჭველა-ჭიაყელები და ხარბად სწუწნიდნენ ლამზას ცხარე ცრემლებსა. სად იყო და სად არა, ლამზამ უეცრად გაიგონა ნაზი ხმა:

— რად სტირი, ყმაწვილო?

ლამზამ მაღლა აიხედა და ხეზე დაინახა მშვენიერზე უმშვენიერესი ქალი.

— გზა დავკარგე და სახლი ვეღარ მიპოვნია, — უპასუხა ლამზამ ქალს.

ქალმა მოსტეხა ხეს ტოტი, მიაწოდა ლამზას და უთხრა:

— აჰა, ეს ტოტი! სადაც წახვიდე, თან ატარე და თავის დღეში აღარ დაიკარგები! — სთქვა ეს თუ არა, ქალი გაუჩინარდა.

ლამზა კი საკვირველი ტოტით ხელში, მართლაც, გაუდგა გზას და ძლიერ მალე მივიდა სახლშიც. დედ-მამა და ძმები მას სიხარულითა და კოცნით მიეგებნენ.

ეს იყო და ეს, ლამზა ისე აღარსად წავიდოდა მარტო თუ ძმებთან ერთად, რომ ის საკვირველი ტოტი თან არ წაეღო. ტოტის ეს საკვირველი თვისება ძმებმაც იცოდნენ და ამიტომ როცა ლამზა მათთან იყო, გზის დაკარგვისა აღარც ამათ ეშინოდათ.

ერთხელ ძმები ტოტის ასეთი იმედით ისე გაერთნენ ტყეში ყოფნით, რომ როცა შინისაკენ წამოვიდნენ, უკვე სულ დაღამებული იყო და კუმეტ ღამეში გზა ვეღარ გააგნეს — დაკარგეს. ლამზამ აქ კვლავ გაიგონა ნაცნობი ხმა. აიხედა ზევით და დაინახა, რომ ხის მწვანე

ტოტებში ზის იგივე მზეთუნახავი ქალი, კაშკაშა მთვარესავით ბრწყინავს, თავზე მშვენიერი გვირგვინი ადგია, ოქროს თმები ხეებშუა უფრიალებენ, ხელში გრძელი თითისტარი უჭირავს და თან მომხიბლავად მღერის.

ლამზას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იგი უკვე მოემზადა, რომ თავის მფარველს დალაპარაკებოდა, შესტრფოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ცამ ერთი ისეთი დაიჭექა, რომ დედამიწა შეინძრა და მზეთუნახავი ქალიც სადღაც მიეფარა. ლამზას ძმები თავზარდაცემული აქეთ-იქით გაიფანტნენ და ლამზას კი ის საკვირველი ტოტი ხელიდან გაუვარდა. აქეთ ეცა, იქით ეცა ლამზა, ბევრი ეძება თავისი მხსნელი ტოტი, მაგრამ კუმეტ ღამეში ვეღარ იპოვნა და ისევ გაუდგა გზას, რომ უიმისოდ მაინც როგორმე მისულიყო სახლამდის. მიდის ჩვენი ლამზა საითკენაც თვალი და გონება უჭრის, მაგრამ გზა ვეღარ გააგნო საწყალმა. მთელი შვიდი დღე და ღამე ისე იარა იმ უტეხ ტყეში, რომ მაყვლისა და ბალახთ ძირების მეტი სხვა არაფერი უჭამია. ლამზა მაინც გულს არ იტეხდა და სულ წინ მიდიოდა, იქნება როგორმე ვიპოვნო გზაო.

გამოვიდა მინდორზე. პეპლები და ფუტკრები მხიარულად გადადიოდნენ ერთი ყვავილიდან მეორეზე, ხოლო ტყის ჭრელი ჩიტები თავისი ცელქი ნავარდით და მხიარული ჭიკჭიკით საამურ ხმას ჰფენდნენ გარშემო.ლამზამ დაურიდებლად შეტოპა ყვავილებში, ორიოდე ყვავილის მოსაწყვეტად, მაგრამ ნაბიჯი გადადგა თუ არა, ფეხები რაღაცაში გაეხლართა და წაიქცა. თურმე ნუ იტყვით, მონადირეს ბადე დაეგო ჭრელი ჩიტების დასაჭერად, ლამზაც ამ ბადეში არ გაება?! გამოვიდა მონადირე საფრიდან და სიცილით უთხრა ყმაწვილს:

— არ მეგონა, რომ ასეთ ძვირფას ჩიტს დავიჭერდი; მე შენ ძალიან მომწონხარ, ყმაწვილო, და თუ გინდა, დარჩი ჩემთან, შენც გასწავლი ჩიტების ჭერას...

ლამზა შეფიქრიანდა. მშობლები და ძმები არ ეთმობოდნენ, მაგრამ მათი პოვნის იმედი რომ აღარ ჰქონდა, დარჩენა ამჯობინა.

ლამზა მალე დახელოვნდა ჩიტების ჭერაში.

ერთხელ ლამზამ ბადე დაუგო ჩიტებს და ერთი ისეთი მშვენიერი ჩიტი დაიჭირა, რომელსაც მთელი ტანი სულ ოქროს ბუმბულით ჰქონდა შემოსილი. ლამზა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. გამოიყვანა ის საკვირველი ჩიტი ბუდიდან და მონადირისაკენ აღტაცებით გაიქცა, რათა მისთვისაც ეხარებინა ეს საკვირველი ამბავი. მაგრამ ცრუმორწმუნე მონადირეს სულ არაფრად ეჩაშნიკა ეს ამბავი. დაინახა თუ არა ოქროსბუმბულიანი ჩიტი, იგი თავზარდაცემული ეცა ყმა-

წვილს. ხელიდან გამოსტაცა ჩიტი, მიწაზე დაანარცხა და შეჰყვირა:

— ეს რა არის? განა ნახულა და გაგონილა ოქროსბუმბულიანი ჩიტები?! ეს უთუოდ ავი სულის საქმეა და როგორც გატყობ, თვითონ შენც რაღაც ჯადოქარსა ჰგევხარ! შენ ჩემი დაღუპვა გინდა... დამეკარგე აქედან, თორემ მოუკლავს არ გაგიშვებო!..

შეეშინდა ლამზას და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ტყისაკენ მოუსვა. მირბის ლამზა და უკანაც აღარ იხედება, ბოროტმა მონადირემ არ მომკლასო. ლამზამ მთელი ორი კვირა კიდევ ასე უგზოუკვლოდ იარა. სჭამდა ბალახის ძირებსა და ტყის სხვადასხვა ხილს. ბოლოს ერთ მინდორს მიაღწია, ნახა ბაღი და შიგ შევიდა. ხეხილებს ძალზე ესხა. ლამზა განცვიფრებული ხან ერთ ხეს დააცქერდა, ხან მეორეს. უნდოდა მოეწყვიტა და ცოტად შიმშილი მოეკლა, მაგრამ პატრონისა ეხათრებოდა და სანამ თვითონ მებაღეს ნახავდა, ითმენდა. აი მებაღეც გამოჩნდა. მივიდა ლამზასთან და ჰკითხა:

— ყმაწვილო, აქ საიდან და როგორ მოხვდი?

ლამზამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— ძალიან კარგი, — უთხრა მებაღემ, — მე შენ ძალიან მომწონხარ. თუ გინდა, დარჩი ჩემთან, მე შენ ყვავილებისა და ხეხილების დარგვა-მოვლას გასწავლი...

ესიამოვნა ლამზას მებაღის სიტყვა და იმასთან დარჩა.

ამის შემდეგ ლამზა მთელ დღეებს სულ ბაღში ატარებდა: ბარავდა, თოხნიდა, ორმოებს თხრიდა, ყვავილებსა და ბოსტანს რწყავდა, ხეებს ამყნობდა და თან დიდი ყურადღებით უსმენდა მებაღეს ყოველ დარიგებას ბოსტან-ყვავილებისა და ხეხილის დარგვა-მოვლაზე. ლამზა ისე მალე მიხვდა ყველაფერს, რომ მებაღე ახლა თვითონაც ანდობდა მას ბაღის სხვადასხვა საქმის შესრულებას.

ერთხელ მებაღემ ლამზა ტყეში გაგზავნა და დააბარა:

— წადი, ასკილის ბუჩქი მოთხარე, ამ ბაღში დარგე და ზედ ვარდი ამყნე.

ლამზამ აიღო ბარი, წავიდა ტყეში, მოთხარა ასკილის ბუჩქი, დარგო ბაღში და ვარდი ამყნო. ლამზა თავის ნამყენს ისე ბეჯითად უვლიდა და რწყავდა, რომ ვარდმა სულ ცოტა ხანში კოკრები გაიკეთა. ლამზა სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა და მოუთმენლად ელოდა მათ გაშლას.

ერთხელ მოვიდა ლამზა და ხედავს, რომ ყველა ვარდის კოკრები გაშლილა და ბუჩქს ისეთი მშვენიერი ოქროს ვარდები დაესხა, რომ ვერც ერთი დახელოვნებული ოქრომჭედელი მსგავსს ვერ გააკეთებდა. გაეხარდა ლამზას, ერთი ვარდი მოწყვიტა და აღტაცებული მე-

ბაღესთან გაიქცა, რომ იმასაც ენახა საკვირველი ვარდი. მაგრამ ცრუმორწმუნე მებაღემ დაინახა თუ არა ეს უცნაური ვარდი, ლამზას ხელიდან გამოსტაცა და ფეხით გათელა. შემდეგ დააცლო ჯოხს ხელი და ყმაწვილს მრისხანედ შეუტია:

— შენ, გეტყობა, ჯადოქარი ხარ! შენ, ალბათ, ჩემი დაღუპვა გინდა... რამდენი ხანია აქა ვარ და ჯერ მაგისთანა ვარდი სიზმარშიაც არ მინახავს... ახლავ წაეთრიე, საიდანაც მოეთრიე, თორემ მოუკლავს არ გაგიშვებ!..

ლამზას შეეშინდა და ტყისაკენ მოჰკურცხლა, რომ ბოროტ მებაღეს არ მოეკლა. დადის ლამზა ტყეში, ეძებს გზას, რომ როგორმე ისევ შინ დაბრუნდეს და თან ასე ლაპარაკობს: „რა უბედური ვარ! რამდენი ხანია დავდივარ და ერთი ისეთი ვერავინ ვნახე, რომ შემიფეროს, ჩემი ნიჭი და გულკეთილობა გაიგოს. ცრუმორწმუნე ადამიანები ჯადოქარს მეძახიან და მადლობის მაგივრად მრისხავენ კიდეც... ოჰ, რა კარგად ვცხოვრობდი ჩემ დედ-მამასთან და ძმებთან! ყველას ვუყვარდი, ყველა მიყვარდა. ნეტა როგორ არიან ახლა ისინი? ან კი ვახსოვარ კიდევ?“ ლამზას გული აუჩქროლდა და ტირილი დაიწყო. ცრემლები ღაპაღუპით სცვივოდა დედამიწაზე. ჭიანქველა-ჭიაყელები გროვა-გროვა ამოდიოდნენ დედამიწიდან და ხარბად წუწნიდნენ მის ცრემლებს.

მაგრამ ტირილით ვის უშველია მწუხარებისათვის, რომ ლამზას ეშველა. ამიტომ ადგა, გული გაიმაგრა და კვლავ გზას გაუდგა დაბურულ ტყეში, რომ როგორმე სამშვიდობოს გასულიყო. მაგრამ აი, მთელი თვეა, რაც მებაღესაგან წამოვიდა და ჯერაც ბოლო არ უჩანდა მის ტანჯვა-ვაებას და ტყეში ხეტიალს... გახდა, მოიქანცა, მუხლებში ღონე გამოელია, სიარული აღარ შეეძლო... დაჯდა ერთი ხის ძირას და თქვა: „მოვკვდე მაინც, რომ მოვრჩე ამდენ ტანჯვას!“ მერე დაიჩოქა, მხურვალედ ილოცა და იქვე წაწვა დასაძინებლად. ვალე ისე მაგრად დაეძინა, რომ მთელი დღე-ღამე ფეხი არ გაუნძრევია. რომ გაიღვიძა, გათენებულიყო კიდეც. მზე მაღლა ამოსულიყო და ოქროს სხივებით ტურფად ბანაობდა დილის ცვარ-ნამში. ლამზა ფეხზე წამოდგა. სადღაა დაღლილობა, თითქოს გუშინ გამოვიდა სახლიდან, ისე კარგად გრძნობდა თავს. ლამზა კვლავ გაუდგა გზას. ახლა კი ეშველა. ხედავს, რომ ტყე თანდათან თხელდება და შორს რაღაც ბრწყინვალე, თვალუწვდენი, თითქოს გასიპულიაო, მინდორი მოჩანს... „ღმერთო, ამ მინდორს მაინც მივაღწევდე მალე“, — გაიფიქრა ლამზამ და ნაბიჯს მოუმატა. აი, მივიდა იმ გასიპულ მინდორთან, მაგრამ რას ხედავს!.. თურმე მინდორი კი არა, თვალუწვდენი ზღვა ყოფილა. დაჯდა მოსასვენებლად და შიშ-გაკვირვებით დააც-

ქერდა ამოდენა წყალს. აქაფებული ზღვა მრისხანედ ეხლებოდა კლდოვან კიდეებს და ღრიალით ისევ უკან ბრუნდებოდა. უყურებს ლამზა ზღვას და შორს... ზღვის კიდის პირას დაინახა დიდი უშველებელი ქალაქი და შიგ აქა-იქ ცაში აბჯენილი გუმბათები ოქროსავით პრჭყვიალებდნენ. ხოლო იქვე ახლოს, სადაც თვითონ იჯდა, პატარა ნავში სამი კაცი იჯდა და ბადეს ისროდა. ლამზა საჩქაროდ წამოხტა ფეხზე, გაიქცა ნავისკენ და ხმამაღლა დაუძახა მენავეებს, რომ ზღვის პირას მოსულიყვნენ. მენავეებმა გაიგონეს ლამზას ყვირილი, ნავი ნაპირს მოაცურეს და გაკვირვებით ჰკითხეს:

— აქ რა გინდა, ყმაწვილო, მარტო?!

ლამზამ დაწვრილებით უამბო მათ თავისი თავგადასავალი.

მეთევზეებს ძლიერ გაუკვირდათ ყმაწვილის მთელი თვის უჭმელ-უსმელობა, ტყეში ხეტიალი და უთხრეს:

— თუ გინდა, ჩვენთან წამოდი, თევზის ჭერას გასწავლით.

ლამზა სიამოვნებით დაეთანხმა, ჩაისვეს მენავეებმა ლამზა ნავში და კვლავ შეეცურდნენ, რომ თევზის ჭერა გაეგრძელებინათ. მაგრამ, თითქოს განგებო, რამდენს არ ეცადნენ, რამდენჯერ არ გადაისროლეს ზღვაში ბადე, რამდენნაირად არ სცადეს ბედი, ვერც ერთი თევზი ვერ დაიჭირეს. დაძმარებული და ცრუმორწმუნე მეთევზეები ბოლოს ლამზას მიუბრუნდნენ და უთხრეს:

— ყმაწვილო, სულ შენი ბრალია, დღეს შენ დაგვნავსე, თორემ რა მიზეზია? სხვა დროს თევზი მუდამ კარგად დაგვიჭერია.

ლამზამ გაიცინა და უპასუხა:

— თქვენ ჩემთვის თევზის ჭერა უნდა გესწავლებინათ და თურმე თვითონაც კი არა გცოდნიათ. აბა, მომეცით ბადე, მე გიჩვენებთ, როგორ უნდა თევზის ჭერა!..

მეთევზეებმა სიამოვნებით გადასცეს ბადე. ლამზამ გადაისროლა ბადე და აკი მართლაც, თევზი არ გაება? მერე რა თევზი — ოქროსი! ბადე რომ ამოიღეს და გადაშალეს, გაკვირვებულმა მეთევზეებმა ერთხმად დაიძახეს:

— ამ თევზს ხომ ფასი არა აქვს! ასეთი თევზი მარტო ზღაპარში თუ გაგონილა და სიზმარში ნახულა!..

— უფრო კარგი, — უთხრა ლამზამ, — ეს თევზი თქვენი იყოს იმის ჯილდოდ, რომ შემიწყალეთ; ახლა კი ჩემს ბედსა ვცდი. ვნახოთ, რას მომიტანს იგი! — თქვა ეს და კვლავ გადისროლა ბადე.

მეთევზეები მთლად მზერად გადაიქცნენ და მოუთმენლად მოელოდნენ ბადის ამოღებას. ლამზამ იგრძნო, რომ ბადეში რაღაც მძიმე

გაება, ამოსწია და ხედავს, რომ ბადეში მშვენიერი სამეფო ოქროს გვირგვინია, ალმასებითა და სხვა ძვირფასი ქვებით მოჭედილი. მეთევზეებმა დაინახეს თუ არა გვირგვინი, ყველანი, როგორც ერთი კაცი, დაემხნენ ლამზას წინ და ერთხმად შესძახეს:

— გაუმარჯოს ჩვენს მეფეს!

— ვის ეუბნებით მაგას? — ჰკითხა გაკვირვებულმა ლამზამ.

— შენ, ჩვენო ბატონო! ამიერიდან შენ იქნები მეფედ ჩვენს ქვეყანაში!..

ლამზა განცვიფრებული უმზერდა მეთევზეებსა და არ იცოდა, რა ეთქვა. ბოლოს წამოდგა ერთი, უფრო ხნიერი მეთევზე და შემდეგი უამბო გაკვირვებულ ლამზას:

— კარგა ხანია მას აქეთ... ჩვენს ქვეყანაში მეფობდა ერთი ძლიერი და ბრძენი მეფე. ხალხს ის ძალიან უყვარდა და ასევე მეფეს თავისი ხალხი. ცხოვრობდნენ ასე ბედნიერად ხალხი და მეფე. მაგრამ ერთი სადარდებელი ჰქონდა ორივეს: მეფე უშვილო იყო და უმემკვიდროდ უნდა გადაშენებულიყო მისი გვარი. როცა მეფე მოხუცდა და სიკვდილის დრო მოუახლოვდა, ბრძანა ამ ზღვის პირად გაეყვანათ. გამოიყვანეს მეფურად ჩაცმულ-დახურული. მეფემ მოიხადა გვირგვინი, გადააგდო შორს ზღვაში და ასეთი ანდერძი დატოვა: სანამ არ გამოჩნდეს ისეთი ახალგაზრდა, რომელიც ამ გვირგვინს ზღვის ფსკერიდან ამოიღებს, მანამდის უმეფოდ იყავით და ჩემს ტახტს ნურავის ანდობთ. ხოლო როცა გამოჩნდება ასეთი ყმაწვილი და ამ გვირგვინს ამოიღებს ზღვის ფსკერიდან, იცოდეთ, რომ ის ჩემი მემკვიდრეა და მას დაემორჩილენითო.

— ახლა, — შესძახეს ლამზას მეთევზეებმა ერთხმად, — ეს გვირგვინი შენ ამოიღე და შენ უნდა იყო მეფედ ჩვენს ქვეყანაში... დაემხვნენ კვლავ მეთევზეები ლამზას წინ და შეჰყვირეს, — გაუმარჯოს ჩვენს ახალგაზრდა მეფეს!..—მერე აიღეს ის ოქროს გვირგვინი, მოწიწებით დაადგეს ლამზას და ერთი ამბითა და სიხარულით გაუდგნენ გზას სატახტო ქალაქისაკენ.

ამბავი სამეფო გვირგვინის ზღვიდან ამოღებისა ელვის სისწრაფით მოედო მთელს იმ ქვეყანას, ხალხი ყველგან აღტაცებით ეგებებოდა ახალ მეფეს და ყვიროდა: „გაუმარჯოს ჩვენს ახალგაზრდა მეფეს!..“

სატახტო ქალაქს რომ მიუახლოვდნენ, ხალხმა უუმშვენიერესი სამეფო გემი მოაგება ლამზას. ლამზა გადავიდა სამეფო გემზე და დიდი ზეიმით და ზარების რეკით შებრძანდა ქალაქში და დაბრძანდა ბრძენი მეფის ტახტზე. ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა:

ქალები და ვაჟები ფეხთ უფენდნენ ლამზა მეფეს ყვავილებს და აღტაცებით შეჰხაროდნენ მის ჭაბუკურ სიტურფეს...

ლამზამ გამეფებისთანავე დაიბარა ნაზირ-ვეზირნი და უბრძანა ბრძანი მეტივე მამის, დედის და ძმების პოვნა. ნაზირ-ვეზირებმა მალე იპოვნეს ისინი მარად დაკარგული ლამზას ბედის მომტირალნი და მეფეს მიჰგვარეს. დედ-მამის, ძმების, ხალხის და ლამზას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გაიმართა ნადიმი, ლხინი. ბევრი ჩინებული სიტყვა ითქვა, მაგრამ ხალხის ყურადღებას ყველაზე მეტად თვით ლამზას საკვირველი თავგადასავალი იპყრობდა.

მეფეს ჯერ კიდევ არ გაეთავებინა ამბავი, რომ უეცრად გაიღო კარები და მთელი იმოდენა დარბაზი მოელვარე შუქით გაივსო. ყველამ კარებისაკენ მიიხედა და დაინახა ერთი უმშვენიერესი გვირგვინოსანი ქალი, მწვანე ტოტით ხელში. სხივმოსილი იგი წყნარად და დიდებულად პირდაპირ ლამზასაკენ მიდიოდა. ლამზამ მაშინვე იცნო ქალი. ეს ის მზეთუნახავი ქალი იყო, რომელმაც ლამზას დაუჭკნობელი ტოტი აჩუქა და შემდეგაც მუდამ მფარველობას უწევდა ცხადლივ თუ იდუმალ.

ლამზას დიდად იამა ქალის გამოჩენა; სასწრაფოდ მიეგება წინ, ხელზე ეამბორა, თავისდა უნებლიეთ სადედოფლო ტახტზე დასვა და თვითონაც გვერდს მიუჯდა. მერე აიღო ლამზამ ოქროს სასმისი და თქვა:

— ხალხო და ჯამაათო! ეს ადღეგრძელოს ჩემი მფარველი ანგელოზი. იგი მარად მფარვიდა მე უხილავად და ეჭვს გარეშეა, რომ ეს სამეფო გვირგვინიც სულ ამისი წყალობაა... გაუმარჯოს ჩვენს დედოფალს! გაუმარჯოს ჩვენს მფარველს!..

სტუმრებმა მეფეს აღარ დააცალეს სიტყვის დამთავრება და ერთხმად შესძახეს:

— გაუმარჯოს ჩვენს დედოფალს! გაუმარჯოს ჩვენს მეფეს!..

როცა ხალხი დაწყნარდა, ლამზამ ღვინო ცოტა მოსვა და ქალს გადასცა. ქალმა ჩამოართვა და თქვა:

— ადღეგრძელოს მეფე ლამზა! ჩემი დღენი მისთვის ვწვალობდი, მისთვის ვშრომობდი! მადლობა ღმერთს, რომ ცდამ ფუჭად არ ჩამიარა და დღეს გვერდით ვუზივარ იმას, ვინც მარად ჩემს ოცნებას შეადგენდა!

სტუმრებმა კვლავ დასძახეს:

— გაუმარჯოს ჩვენს მეფეს, ჩვენს ტურფა-ლამაზებს, სხივმადლით მოსილებს.

ხალხი უზომოდ გამხიარულდა. მრავალჟამიერს და სხვა სიმღე-

რებს ბოლო არა ჰქონდა. მაგრამ ლამზა მეფეს და მის მფარველ დედოფალს ყველაზე ძეტად უფრო ვახტანგ მეფის სიმღერა ბოსწონდათ და ესენი ხალხს ამას ამღერებდნენ:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა...

მებადურის შვილი

ზღაპარი

იყო ერთი მებადური. ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. წავიდა სათევზაოდ და თან თავისი ვაჟი წაიყვანა. მივიდა დიდ მდინარესთან, ახსენა ღმერთი და ბადე თავისი ვაჟის ბეღზე გადაისროლა წყალში. თევზი იმდენი მოხვდა ბადეს, რომ ნაპირს ძლივსღა გამოათრია. გადახადა ბადეს და ნახა, რომ იმდენ უთვალავ თევზში ერთი სისხლსავით წითელი და მეტად ლამაზი თევზი ურევია. მებადურმა უთხრა თავის შვილს:

— მე წავალ შინ, ურემს მოვიტან თევზების წასაღებად და მანამდის აქ ყური კარგად უგდე, მეტადრე უფრთხილდი ამ წითელ თევზს.

მებადური რომ შინ წავიდა, ყმაწვილმა აიყვანა წითელი თევზი, ბევრი სინჯა, ეალერსა და ბოლოს თქვა: ცოდვა არ არის ამისთანა მშვენიერი თევზის სიკვდილი! მოდი ისევ გავუშვებო. ადგა და თევზი წყალში გაუშვა. მაშინ თევზი მიუბრუნდა ყმაწვილს, მადლობა გადაუხადა, ამოიძრო ფრთიდან ფხა და უთხრა:

— რადგანაც მაგისთანა სიკეთე მიყავი, აი, ეს ჩემი ფხა შენთვის მომიცია; როცა ძლიერ გაგიჭირდეს, მოდი წყლის პირას, ეს ფხა უბიდან ამოიღე, ჩემი სახელი ახსენე, მაშინვე შენთან დავიბადები და უთუოდ გიშველი!

ყმაწვილმა ფხა გამოართვა და უბეში ჩაიდო. თევზმა მხიარულად გადიქნია ბოლო და შესრიალდა წყალში. მივიდა მებადური, შეიტყო წითელი თევზის გაშვება, საშინლად გაუჯავრდა შვილს და უთხრა:

— წადი, დაიკარგე, ჩემს სიცოცხლეში თვალით აღარ დამენახო.

წავიდა ყმაწვილი. მიდის გზასა. ერთიც ვნახოთ, დაქანცული ირემი მორბის და უკან მოსდევენ ძაღლები და მონადირეები. შეეცოდა ყმაწვილს ირემი, გაექანა, მოავლო რქებში ხელი, დაიჭირა და მონადირეებს უთხრა:

— არა გრცხვენიათ, ჩემს გაშინაურებულ ირემს დასდევთ დასაჭერად?

მონადირეებს ეგონათ, ირემი მართლა შინაურიაო, თავი დაანებეს და წავიდნენ. როცა კარგად მოშორდნენ, ყმაწვილმა გაუშვა ირემი. ირემმა გამოიძრო ბალანი, მისცა ყმაწვილსა და უთხრა:

— რადგან მაგისთანა სიკეთე მიყავი, აი, ეს ჩემი ბალანი შენთვის მომიცია; როცა ძალიან გაგიჭირდეს, ამოიღე, ჩემი სახელი ახსენე, იმწამსვე შენთან დავიბადები და გიშველი.

ყმაწვილმა ბალანი უბეში ჩაიდო და გასწია.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, დაინახა, რომ დაქანცულს წეროს ძისდევს არწივი და, ის არის, უნდა დაიჭიროს. შეეცოდა ყმაწვილს წერო. გაექანა, ესროლა კომბალი არწივს, შეაშინა, გააფრთხო და გაუშვებინა წერო. როცა წერომ სული მოიბრუნა, გამოიძრო ერთი ფრთა, მისცა ყმაწვილსა და უთხრა:

— რადგანაც მაგისთანა სიკეთე მიყავი, აი, ეს ფრთა შენთვის ძომიცია; როცა დაგჭირდეს, გამოდი მინდვრად, ამოიღე ფრთა, ჩემი სახელი ახსენე, მაშინვე შენთან დავიბადები და გიშველი.

ყმაწვილმა ბალანი უბეში ჩაიდო და გასწია.

ბოლოს ნახა, რომ მწევრებს გამოუგდიათ წინ მელია, საშინლად დაუღალავთ და ის არის უნდა დაიჭირონ. შეეცოდა ყმაწვილს მელია, ჩოხის კალთა აიხადა და მელია ქვეშ დამალა. როცა მწევრები მოშორდნენ, ყმაწვილმა გაუშვა მელია. მელიამ ბალანი გამოიძრო, მისცა და უთხრა:

— რადგან მაგისთანა სიკეთე მიყავი, ეს ჩემი ბალანი შენ გქონდეს; როცა გაგიჭირდეს, ამოიღე, ჩემი სახელი ახსენე, იმწამსვე შენთან დავიბადები და გიშველი.

ყმაწვილმა ბალანი უბეში ჩაიდო და გასწია.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ყმაწვილი ერთ ციხესთან. ამ ციხეში ცხოვრობდა ერთი მზეთუნახავი ქალი. ქმრად ის უნდა შეერთო, ვინც იმ ქალს ისე დაემალებოდა, რომ ვერ იპოვიდა. გამოეცხადა ამ ქალს ყმაწვილი. ჰკითხა ქალმა ყმაწვილს:

— რად მოსულხარ?

— ცოლად მინდა შეგირთო! — მიუგო ყმაწვილმა.

— თუ ისეთ ადგილს დამემალები, — უთხრა ქალმა, — რომ ვერ გიპოვნო, შენი ცოლი გავხდები, და თუ გიპოვნე, სამუდამოდ საპყრობილეში ჩაგსვამ.

— კარგი, — უთხრა ყმაწვილმა, — ოღონდ კი დამალვის ნება ოთხჯერ მომეცი.

ქალი დათანხმდა.

ყმაწვილი გამოვიდა ციხიდან, მივიდა წყლის პირას, ამოიღო

თევზის ფხა და ახსენა წითელი თევზი. თევზი იმწამსვე ყმაწვილთან დაიბადა, მიესალმა და ჰკითხა:

— რა გაგჭირვებია, ჩემო კარგო მეგობარო?

— ასე და ასეა ჩემი საქმე, — უთხრა ყმაწვილმა, — და ისეთს ადგილს უნდა დამმალო, რომ ეშმაკმაც კი ვერ მიპოვნოს.

თევზმა შეისვა ყმაწვილი ზურგზე, სწრაფად ჩაარბენინა შიგ ზღვის ძირში, ჩასვა ერთს ამოღრუტნულს ფოსოში და თვითონაც ზეიდან გადაეფარა.

ქალმა ჩაიხედა თავის სარკეში, ბევრი იცქირა და ბოლოს ყმაწვილს თვალი მოჰკრა უძირო ზღვაში. ქალს ძალიან გაუკვირდა: თქვენი ჭირიმე, ეს რა ეშმაკი ვინმე ყოფილაო.

მეორე დღეს ყმაწვილი ქალს თამამად გამოეცხადა.

ქალმა უთხრა:

— ტყუილად თამამობ, კარგად დაგინახე, ზღვის ძირში რომ იxექი და ზემოდან წითელი თევზი გეფარა.

განცვიფრდა ყმაწვილი: გენაცვა დედავ, ეს რა თვალთმაქცი ვინმე ყოფილაო!

ყმაწვილი გამოვიდა და წავიდა კიდევ დასამალად. გავიდა მინდორს, ამოიღო ირმის ბალანი და ახსენა ირემი. ირემი იმწამსვე ყმაწვილთან დაიბადა, მიესალმა და ჰკითხა:

— რა გაგჭირვებია, ჩემო გულითადო მეგობარო?

— ასე და ასეა ჩემი საქმე, — უთხრა ყმაწვილმა, — და ისეთ ადგილას უნდა დამმალო, რომ ეშმაკმაც ვერ მიპოვნოს.

ირემმა შეისვა ყმაწვილი ზურგზე, ქარივით გააქანა, ცხრა მთას იქით გადაიყვანა, ერთს გამოქვაბულში შესვა და თვითონაც ზედ ძიეფარა.

ქალმა ჩაიხედა თავის სარკეში, ბევრი იცქირა და ბოლოს ძლივს მოჰკრა თვალი დამალულ ყმაწვილს.

მეორე დღეს ყმაწვილი ქალს თამამად გამოეცხადა:

— ტყუილად თამამობ, — უთხრა ქალმა, — კარგად დაგინახე. ცხრა მთას იქით გამოქვაბულში რომ იყავი შემალული და ირემი გეფარა!

განცვიფრდა კიდევ უფრო მომეტებულად ყმაწვილი და კიდეც შეშინდა.

გამოვიდა ყმაწვილი ციხიდან და მესამედ წავიდა დასამალად. ტრიალ მინდორზე ამოიღო ფრთა და ახსენა წეროს სახელი. წერო მაშინვე დაიბადა ყმაწვილთან, მიესალმა და ჰკითხა:

— ჩემი განსაცდელის დღეც ეს არის, — უთხრა ყმაწვილმა, — ისეთ ადგილას უნდა დამმალო, რომ ეშმაკმაც ვერ მიპოვნოს.

წერომ შეისვა ზურგზე ყმაწვილი, აფრიხდა, წავიდა მაღლა-მაღლა, ლურჯ ცას მიაკრა ყმაწვილი და ქვემოდან ამოეფარა.

ქალმა ამოიღო სარკე, გაიხედა ოთხივ კუთხივ, ვერ იპოვნა და შეფიქრიანდა. ბოლოს მაღლა აიხედა სარკითა და დაინახა ცაზე მიკრული ყმაწვილი. გაუკვირდა მეტად ქალს: ეს რა ქაჯი ვინმე ყოფილა, თქვენი ჭირიმეო!

მეორე დღეს ყმაწვილი თამამად გამოცხადდა.

— ტყუილად თამამობ, — უთხრა ქალმა, — კარგად დაგინახე, ცას რომ მიჰკროდი და ქვემოდან წერო გეფარა.

ყმაწვილი უწინდელზე უფრო განცვიფრდა და ძალიანაც შეშინდა: ვაიმე, მეოთხეჯერაც რომ მიპოვნოს, ხომ დავიღუპებიო.

გამოვიდა ციხიდან ხელახლა დასამალად. ყმაწვილი გავიდა მინდვრად, ამოიღო მელიას ბალანი და ახსენა მელია. მელია მაშინვე დაიბადა ყმაწვილთან, მიესალმა და ჰკითხა:

— რა გაგჭირვებია, ჩემო კარგო მეგობარო?

— ასე და ასეა ჩემი საქმე და ისეთ ალაგას უნდა დამმალო, რომ იმ თვალთმაქცმა ქალმა ვერ მიპოვნოს, თორემ თუ მიპოვნა, ბნელ საპყრობილეში დამალპობს.

— ნუ გეშინიან, — უთხრა მელიამ, — ოღონდ ორი კვირის ვადა სთხოვე ქალსა და ისეთ ადგილას დაგმალავ, რომ თუნდ ძებნითაც მოკვდეს, ვერ გიპოვნოს.

ყმაწვილმა გამოსთხოვა ორი კვირის ვადა. მელია წავიდა, ერთი მთის ძირიდან დაიწყო მიწის თხრა და სორო მიიტანა სწორედ იმ ტახტქვეშ, რომელზედაც ქალი იჯდა. შეაძვრინა შიგ ყმაწვილი, ატარა სორო-სორო და სწორედ ქალის ტახტქვეშ ამოსვა მიწაში.

ქალმა ჩაიხედა სარკეში და ბევრი ათვალიერა ყმაწვილი. ხან აღმოსავლეთისაკენ იხედა, ხან დასავლეთისაკენ, ხან სამხრეთისაკენ, ხან ჩრდილოეთისაკენ; ხან ცაში იცქირა, ხან ზღვაში ეძება, მაგრამ ტყუილად, თვალი ვერსად მოჰკრა. ბოლოს დაიძახა:

— სადა ხარ, შე ქაჯო, გამოჩნდი, ვეღარ დაგინახე!

ყმაწვილმა ქვემოდან ხმა გასცა და ტახტისქვეშიდან გამოძვრა. დარჩა ქალი ნაჯობნი და ყმაწვილი იქმნა გამარჯვებული.

მეორე, მესამე დღეს ისეთი მშვენიერი ქორწილი გამართეს, რომ ჩიტის რძეც კი ბევრი ჰქონდათ.

ქორწილის შემდეგ ყმაწვილმა გაგზავნა კაცები თავის დედ-მამასთან, მოაყვანინა თავისთან და ერთად იცხოვრეს ტკბილად სიკვდილამდის.

თაგუნია-ქალი

ზღაპარი

იყო ერთი კაცი. მიდიოდა მდინარის პირას და დაინახა, რომ ყვავს თაგვი უჭირავს და უნდა შეჭამოს. ესროლა ქვა და ყვავს თაგვი გააგდებინა. თაგვი წყალში ჩავარდა, მაგრამ კაცმა გამოიყვანა, ჩაისო უბეში, რომ შეამშრალოს და მოიყვანა შინ. კაცი უშვილო იყო და ერთხელ ინატრა: რა კარგი იქნებოდა, რომ ეს თაგვი ქალად იქცესო! თაგვი მართლაც ქალად იქცა და შეუდგა კაცის სახლის ალაგ-დალაგებას, დაგვა-დაწმენდას, საჭმელ-სასმელის მომზადებას, კერვას, რეცხვას და სხვა საქალო საქმესა.

როცა ქალი წამოიზარდა, კაცმა ჰკითხა:

— ვის გინდა მიგათხოვოო?

ქალმა უპასუხა:

— ვინც ყველაზე ძლიერიაო!

კაცი წავიდა მზესთან და უთხრა:

— მზეო! ჩემს ქალს ქმრად ის უნდა, ვინც ყველაზე ძლიერია; შენ ხარ ყველაზე ძლიერი, შეირთე ჩემი ქალიო!

მზემ უპასუხა:

— მე არა ვარ ყველაზე ძლიერი: ღრუბლები მფარავენ მეო.

კაცი წავიდა ღრუბლებთან და უთხრა:

— ღრუბლებო! თქვენ ყოფილხართ ყველაზე ძლიერნი, შეირთეთ ჩემი ქალიო!

ღრუბლებმა უპასუხეს:

— არა, ჩვენ არა ვართ ყველაზე ძლიერნი, ქარი სად არ გვერეკება ჩვენო!

წავიდა კაცი ქართან და უთხრა:

— ქარო! შენ ყოფილხარ ყველაზე ძლიერი, შეირთე ჩემი ქალიო!

ქარმა უპასუხა:

— არა, მე არა ვარ ყველაზე ძლიერი, მთები მაჩერებენ მეო!

კაცი წავიდა მთებთან და უთხრა:

— მთებო! თქვენ ყოფილხართ ყველაზე ძლიერნი, შეირთეთ ჩემი ქალიო!

მთებმა უპასუხეს:

— არა, ძიავ. ჩვენ არა ვართ ყველაზე ძლიერნი, მუშა გვანგრევს და გვთხრის ჩვენაო!

კაცი წავიდა მუშასთან და უთხრა:

— მუშავ! შენ ყოფილხარ ყველაზე ძლიერი. შეირთე ჩემი ქალიო. მუშა დათანხმდა.

კაცი წავიდა შინ და უთხრა ქალს:

— მუშა ყოფილა ყველაზე ძლიერი: ის ანგრევს და სთხრის მთებსა, მთები აჩერებენ ქარსა, ქარი ატარებს ღრუბლებსა, ღრუბლები ჰფარავენ მზესაო...

ქალი მისთხოვდა მუშას და ბედნიერადაც ცხოვრობდა მასთან, რადგანაც თითონაც ისეთივე ძლიერი, პატიოსანი და გამრჯელი იყო, როგორც მუშა.

წვრილი ძაფი

იგავი

ერთმა კაცმა ფეიქარს წვრილი ძაფი შეუკვეთა. ფეიქარმა დაურთო ძაფი, მაგრამ კაცმა უთხრა, რომ ეს ძაფი წვრილი არ არის, მე ძალიან წვრილი ძაფი მინდაო. ფეიქარმა უთხრა:

— თუ ეს წვრილი არ არის, აი სხვაო,—ეს ძალიან წვრილიაო,— და უჩვენა ცარიელ ადგილზე. კაცმა უთხრა:

— ვერა ვხედავო.

ფეიქარმა უპასუხა:

— იმიტომ ვერ ხედავ, რომ ძალიან წვრილია, თითონ მეც ვერ ვხედავო.

ღარიბი და მდიდარი ვაჭარი

იგავი

ერთი ღარიბი ვაჭარი სხვა ქალაქს მიდიოდა და თავისი დუქნის რკინა მეზობელ მდიდარ ვაჭარს გადასცა შესანახად. როცა დაბრუნდა, სთხოვა რკინის დაბრუნება.

მდიდარ ვაჭარს ის რკინა სულ გაეყიდა და, რომ რითიმე ემართლა თავი, უთხრა:

— შენს რკინას უბედურება ეწვია, ის მე პურის ბეღელში დავდე და თაგვებს სულ დაეღრღნათ; თუ არ ვჯერა, წამო ნახეო...

ღარიბი არ აუხირდა და უთხრა:

— რა ნახვა უნდა, მე ეგრეც მჯერა, მშვიდობითო!—გამოეთხოვა და წამოვიდა შინისკენ. გზაზე ღარიბ ვაჭარს შეხვდა ამ მდიდარი ვაჭრის პატარა შვილი, რომელიც გამოსულიყო ქუჩაში სათამაშოდ, მიუალერსა, აიყვანა ხელში და წაიყვანა შინ.

მდიდარი ვაჭრის სახლობა აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ შვილის ამბავს ვერსადრა მიაგნეს და დარჩნენ ცოლ-ქმარი იმ ღამეს დიდად დამწუხრებულნი.

მეორე დღეს შეხვდა მდიდარი ვაჭარი ღარიბსა, შესჩივლა თავისი მწუხარება და ჰკითხა:

— ხომ არაფერი გაგიგია, ან ხომ არ გინახავსო?

— როგორ არა, ვნახე: გუშინ საღამოს შინ რომ მივდიოდი, დავინახე, რომ ერთ ბავშვს დააფრინდა ქორი და წაიღო, სწორედ შენი შვილი იქნებოდაო.

— ნუ დამცინი, სად გაგონილა, რომ ქორს ბავშვი მოეტაცნოსო...

— სრულიადაც არ დაგცინი, — უპასუხა ღარიბმა მდიდარსა, — თუკი თაგვებმა ასი ფუთი რკინა დაღრღნეს, რად გიკვირს, რომ ქორმა ბავშვი მოიტაცოსო!..

მდიდარი ვაჭარი მიჰხვდა ღარიბის იგავსა და უთხრა:

— არა, თაგვებს არ შეუჭამიათ შენი რკინა, ის მე გავყიდე და ახლავე ერთიორად ჩაგაბარებ იმის ფასსაო.

— თუ მაგრეა, არც ქორს წაუღია შენი შვილი: ის ჩემთან არის და ახლავე მოგიყვანო, — უთხრა ღარიბმა ვაჭარმა მდიდარსა.

უწვიმოება ჩვენს სიმინდს ველარას აკლებს

ნამდვილი ამბავი

ჩვენი სიმინდი ზედ მთის ძირში იყო დათესილი. მაისის ხშირი წვიმებისაგან სიმინდი ლაღად ამოვიდა, მაგრამ დადგა თიბათვე თუ არა, ცა ისე შეიკრა, რომ მთელი თვე ერთი ნამიც არ მოსცხებია დედამიწას: მიწა გახმა, დასქდა, დაკოშტდა, ნაკადულები დაშრა, მინდვრის ყვავილებს და ბალახებს ყინწი დასწყდათ, ფოთლები დაუჭკნათ, დაუყვითლდათ.

ჩვენს სიმინდზე რაღა გითხრათ: ისე დამჭლევდა, ისე დაილია, რომ გეგონებოდათ, მთელს სიცოცხლეში არაფერი უჭამიათ, არაფერი დაულევიათო. მიწა ქვასავით იყო დაკოშტებული და სიმინდი აბა საიდან რას შეირგებდა...

ეს დრო იყო, რომ ჩვენი სოფლის მასწავლებელი ჩვენსა ამოვიდა. მამაჩემი დაღონებული რომ ნახა, მასწავლებელმა მიზეზი იკითხა. მამაჩემმა უთხრა:

— როგორ არ ვიწუხო, შენი ჭირიმე, ამოდენა ჭირნახული ხელიდან მეცლება: გვალვამ ლამის სულ ამომიხმოს სამი დღის სიმინდი!

— მაგაზე როგორ სწუხხარ, — უთხრა მასწავლებელმა, — გაზაფხულის ნიაღვრები უბარაქოდ გვეკარგება, მინდვრებს გვიოხრებს

და ახლა კი ცვარი წყალი არა გვაქვს, რომ სიმინდი მოვრწყათ. ასე არ ივარგებს. წავიდეთ ზევით...

მამაჩემი და მე გავყევით მასწავლებელს. მასწავლებელმა ჩაგვიყვანა არიყებულს ხევში, რომელიც ჩვენს სიმინდს მარჯვენა გვერდით ჩამოუდიოდა, მიგვიყვანა ხევის ყელში, სადაც ხევის სიგანე ორი საჟენიც არ იქნებოდა. და უთხრა მამაჩემს: „ამისთანა ადგილის პატრონს წყალი თავზე სასხმელი უნდა ჰქონდესო; შენ აქ მუხის სამი ბოძი ჩააგდე: ერთი შუაში და ორიც ნაპირებზე; ზედ მუხისვე ფიცრები ააკარ, ნიაღვარს გზა შევუკრათ; შუა ბოძთან ხის განიერი და გრძელი მილი დაატანე; ახლა ფიცრულის მარცხენა მხრიდან, შენი სიმინდის ზემოდან, გასჭერი არხი სიგანით ორი არშინი და სიგრძით — რამდენიც დასჭირდეს, ვიდრე აგე იმ დაცემულ ადგილამდის, სადაც მთელი უშველებელი ტბა გაიმართება. ეს ადგილი დიდ ტბასავით უნდა მოასწორებინო, რაც შიგ ბექობებია, ააღებინო და რაც იქ მიწა ამოვა, სულ ქვემო მხრიდან დააყრევინო ტბის ნაპირად და თან ფეხით კარგად დაატკეპნინო; ტბის ადგილიდან იმდენი მიწა უნდა ამოაღებინო, რომ მთელი ორი საჟენი მიწის გროვა მაინც გაკეთდეს და ეს მიწა სულ ტკეპნით უნდა დააყრევინო. საქმე რომ ადვილად გაკეთდეს, მოთხრილი მიწა, უმჯობესია ვირებზე აკიდებული გოდრებით გამოაზიდინო. ასე გამაგრებულს კედელს ნიაღვარი ვერსად წაუვა და სულ აქ დაგუბდება. ამოდენა ტბის წყალი კი, მარტო შენ კი არა, მთელ სოფელსაც იოლად წაიყვანს. ამ ტბასაც ძირში ერთი დიდი ხის მილი უნდა დაატანოთ, სარწყავი წყლის გამოსაშვებად ეს მილი დაკეტილი უნდა გქონდეთ და მარტო მაშინ გააღოთ, როცა წყალი უნდა გამოუშვათ სარწყავად; ხევის მილი კი მუდამ ღია უნდა გქონდეთ, რომ ნიაღვარმა ქვა და ღორღი აქეთ ატაროს, წყალი კი ტბისკენ".

მამაჩემს ისე მოეწონა მასწავლებლის სიტყვა, რომ იმავე დღეს შეუდგა ამ საქმეს და დაამზადა მუხის სამი ბოძი და რამდენიმე ფიცარი; ამოიტანა ხევის ყელში, ჩაყარა, დააფიცრა. მერე დაუძახა ათ კაცს და ამათ სამ დღეში ტბის ადგილი ისე მოასუფთავეს და გააგანიერეს, რომ ზედ ბურთის გაკვრასაც კი მშვენივრად ითამაშებდით. გათხარეს არხიც...

მუშაობის გათავების შემდეგ ერთი ისეთი წვიმა და ნიაღვარი წამოვიდა, რომ ხევის წყალმა ის ამოდენა ტბა სულ გაავსო. ეს ამბავი მთელს ჩვენს სოფელს ელვასავით მოეფინა და, წვიმამ რომ გადიღო, დიდი და პატარა „მასწავლებლის ტბის" სანახავად მოდიოდა. ეს იყო და ეს, რომ ჩვენს სოფელს სარწყავი წყალი აღარ დასჭირებია; გამრავლდა სოფელში ბოსტანი და სიმინდს ხომ ნულარ იტყვით. ყველა

ერთიორად მეტსა სთესდა და შიგ თან კიტრს, ლობიოს, გოგრასა და მისთანებს ატანდა, რადგანაც იცოდნენ, რომ სარწყავი წყალი აქვთ და მოსავალი არ მოგვიცდებაო.

მიგდებული

ნამდვილი ამბავი

ერთ საწყალ დედაკაცს ჰყავდა ქალი მაშო. ერთხელ დილით ადრე მაშომ აიღო სურა და გამოვიდა გარეთ ქუჩაზე, რომ წყალი მოიტანოს. კარებთან მაშომ დაინახა ჩვრებში გახვეული რაღაცა და შედგა. დადგა სურა, გახსნა ჩვრები და ხედავს, რომ შიგ მშვენიერი ფუნჩულა ბიჭი წევს. მაშომ ბალღი მაშინვე შინ შემოიყვანა, დააწვინა ტახტზე, მოუტანა რძე, კოვზი და დაუწყო ჭმევა.

შემოვიდა დედა; ჰკითხა მაშოს:

— ეგ რა არისო?

მაშომ უპასუხა:

— ბალღი ვიპოვნე კარებში და აქ შემოვიყვანე, ნახე რა კარგია!

დედამ უთხრა:

— ეგ მოგდებულია, ვიღაცას ჩვენთვის მოუგდია, ჩვენ იგრეც ღარიბნი ვართ, ვერ გავზრდით, წავალ, მაჰასახლისს გაცნობებ, რომ წაიყვანონ...

მაშომ ტირილი დაიწყო და უთხრა:

— დედი, ამას რა ბევრი უნდა, იყოს ჩვენთან, მე მოვუვლი, მე მოვიკლებ და ამას კი ვაჭმევ, ნახე, რა კარგი თვალები და ხელები აქვს!

დედამ მართლაც დახედა ბალღსა, შეეცოდა და სთქვა: დარჩესო. მაშომ სიხარულისაგან აღარ იცოდა რა ექნა: მთელ დღეს სულ ნაპოვნი ბალღის ალერსში და ზრუნვაში იყო: ასმევდა, აჭმევდა, უცვლიდა ჩვრებსა, უმღერდა ნანას... ბედნიერი იყო მაშო.

როგორ ვისწავლე კერვა?

ნამდვილი ამბავი

როცა ექვსი წლისა ვიყავი, ვთხოვე დედას მოეცა ჩემთვის საკერავი. დედამ მითხრა: შენ ჯერ პატარა ხარ, შვილო, თითებს დაიჩხვლეტავ, დაიცა გაიზარდოვო. მე არ მოვეშვი. დედამ ამოიღო ყუთიდან წითელი ნაჭერი, ამიგო ნემსზე წითელი ძაფი, მაჩვენა, როგორ უნდა მეჭიროს საკერავი, ნემსი და მითხრა: აჰა, კერეო!

მე დავიწყე კერვა, მაგრამ სწორედ და კარგად ვერა ვკერავდი. ბოლოს თითზედაც ვიჩხვლიტე, მინდოდა არ მეტირნა, მაგრამ დედამ რომ მკითხა: რა, იჩხვლიტეო? — მაშინ კი თავი ველარ შევიკავე და მოვყევი სლუკსლუკით ტირილსა. დედამ გამომართო საკერავი და მითხრა: წადი, კარში ითამაშეო.

ღამე რო დავწექ დასაძინებლად, სიზმარში სულ ნემსი და ჩემი საკერავი მელანდებოდა, სულ ამას ვფიქრობდი: „ღმერთო, როდის იქნება, მეც ისე კარგად და ჩქარა ვკერავდე, როგორც დედაჩემი-მეთქი!“

გლეხის გონებამახვილობა

ნამდვილი ამბავი

ქალაქის ერთ ქუჩაზე გაჩხირული იყო უშველებელი ქვა; ქვას დიდი ადგილი ეჭირა და ძლიერ უშლიდა ეტლების თავისუფლად მოძრაობას. მოიწვიეს ინჟინრები და ჰკითხეს: რა მოგცეთ, რომ ეს ქვა მოგვაშოროთ აქედანო?

ერთმა თქვა: ეს ჯერ უნდა დაიმტვრას და მერე გაიზიდოს, ეს ეღირება რვაათასი მანეთიო.

მეორემა თქვა: ამას საგანგებოდ გაკეთებულის საგორავით თუ გავიტანთ, თორემ სხვაფრივ მეტად ძვირად დაჯდება მაგის აქედან დაძვრაო; საგორავით კი მაგ ქვის გატანა ექვსიათასი მანეთი მაინც ეღირებაო.

გამოვიდა ერთი გლეხი და თქვა: რას ბრძანებთ, ასი მანეთი მომეცით და სამ-ოთხ დღეში ქვის ნასახიც არ იქნება აქაო.

გაეხარდათ ქალაქის მოურავებს და დასთანხმდნენ. მეორე დღეს გლეხმა მოიყვანა ათიოდე მუშა წერაქვ-ნიჩბებითა და შეუდგა საქმეს: მოთხარა ზედ ამ ქვის ეკერდზე მეტი ორმო. მიწა იქვე ახლო ხევში გააზიდვინა და შემდეგ კეტებითა და აზარფაცებით ქვა ორმოში ჩაგდო. მიასწორ-მოასწორა ზემოდან მიწითა და სთხოვა ნასიამოვნებ მმართველებს გასამრჯელო. მმართველებმა მისცეს გლეხს დაპირებული ასი მანეთი და თან სხვა ასი მანეთიც აჩუქეს ჭკვიანური მოსაზრებისათვის.

სისწრაფეში ძალაა

ნამდვილი ამბავი

მატარებელი გაჩქარებული მიჰქროდა და რკინიგზის შუაზე კი გაჩხირულიყო ცხენიანი ურემი, რომელიც სიმძიმის გამო ცხენს

ვერც წინ წაეღო და ვერც უკან. მემანქანემ შენიშნა ეს და მატარებელი უფრო სწრაფად წაიყვანა, თუმცა ყველანი გაგიჟებით უყვიროდნენ: შეაყენე, ან ნელა ატარეო!

მატარებელი გაქანებული დაეტაკა ურემსა და ცხენიანად რამდენიმე საჟენზე გადისროლა ლიანდაგს იქით, ურმის პატრონი კი ჩამოეცალა.

როცა ამის შემდეგ მემანქანემ გააჩერა მატარებელი, ყველამ უკმაყოფილოდ მიაყვირა:

— რათ დაღუპე მეურმე, ურემი დაუმტვრიე და ცხენიც მოუკალიო? რატომ მატარებელი არ შეაყენე და ან ნელა არ ატარე, სიარულს რათ მოუმატეო?

მემანქანემ უპასუხა:

— გაჩერება შეუძლებელი იყო, რადგანაც ძლიერ ახლო ვიყავი; ნელა კიდევ იმიტომ არ გავატარე, რომ დაჯახებაში ძალიან ადვილად შეიძლებოდა თითონ მატარებელი გადასცდენოდა ლიანდაგს და ამოდენა ხალხი და ვაგონები ერთიანად დამეღუპნაო. სისწრაფეში ძალაა, ძე იმიტომ მოვუმატე მატარებლის სიარულს, რომ სწრაფი მატარებელი უფრო ღონიერად გადააგდებდა ცხენსა და ურემს ლიანდაგს იქით... და უამისოდ კი ადვილად შეიძლებოდა თითონ მატარებელი გადმოვარდნილიყო. ახლა მარტო ერთი ცხენი და ერთი ურემი წახდა და მაშინ კი ამოდენა ხალხი და ვაგონი წახდებოდაო.

როგორ გაამართელეს გამსკდარი კედელი

ნამდვილი ამბავი

ერთ დიდ სახლს კედელი გაუსკდა. დაიწყეს სჯა და ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეაკეთონ, რომ კედელს დანგრევა არ დასჭირდეს. მოვიდა ერთი ხელოსანი და უთხრა პატრონს: მე შემიძლიან გავამართელო ეგ კედელიო. მოურიგდა პატრონს და შეუდგა საქმეს.

მოიტანა რკინის ორი პალო, ჩაურჭო კედელში გახეთქილი ადგილის აქეთ-იქით კარგა დაშორებით, მერე აიღო გრძელი რკინა, ერთი გოჯით იმაზე ნაკლები, რაც იმ პალოებს შუა მანძილი იყო, გაუკეთა ამ რკინას ნახვრეტები, გააელვარა (გაახურა) ცეცხლზე, რის გამოც რკინა ერთი ვერშოკით გაგრძელდა და ჩამოაცვა პალოებს. გავიდა რამდენიმე საათი, რკინა განელდა და იმდენად შეიკუმშა, რომ გაწეული კედლები მოსწია და გახეთქილ ადგილს აღარაფერი ეტყობოდა.

ჩინეთის დედოფალი სილინჩი

ნამდვილი ამბავი

ჩინეთის ხელმწიფეს გოანჩის ჰყავდა ცოლი სილინჩი. მეფეს ძლიერ უყვარდა დედოფალი და უნდოდა, რომ ის თავის დღეში არ დაევიწყა მის ხალხს. ამიტომ მოუყვანა მეფემ დედოფალს აბრეშუმის ჭია და უთხრა:

შეისწავლე ამ ჭიის ვითარება — მოვლა, მოშენება და ხალხი თავის დღეში არ დაგივიწყებს შენაო.

სილინჩიმ გულმოდგინედ დაუწყო ჭიას მოვლა-პატრონობა და შენიშნა, რომ აბრეშუმის ჭიას თუთის ხის ფოთოლი უყვარს. გარდა ამისა, დედოფალმა შენიშნა ისიც, რომ პარკის გაკეთების დროს აბრეშუმის ჭია მშვენიერ წმინდა ძაფს უშვებს ტანიდან და იმ დრომდის ახვევს თავის გარშემო, სანამ სრული პარკი არ გამოვა. სილინჩიმ აიღო რამდენიმე პარკი, დაალბო ცხელს წყალში, უპოვა ყოველი პარკის ძაფს თავი, შეართა და ამოახვია. გამოვიდა მშვენიერი, ბრეშყვიალა, მაგარი ძაფი. შემდეგ მოქსოვა ლამაზი ხელსახოცი და მიართვა ხელმწიფეს. ხელმწიფეს დიდად იამა.

ამის მერე დედოფალმა დაიწყო ამ ჭიის მრავლად მოშენება და ხალხსაც ასწავლა ეს საქმე.

მას აქეთ გავიდა ხუთიათასი წელიწადი და ჩინელებს აქამომდე ისე ახსოვთ თავისი დედოფალი სილინჩი, თითქოს ეს ამბავი გუშინ და გუშინწინ ყოფილიყოს.

მაგნიტი

იყო მწყემსი მაგნისი. ერთხელ მაგნისს დაეკარგა ცხვარი და წავიდა მთაში მის მოსაძებნად. აქ მაგნისი მივიდა ერთ ალაგას, სადაც მარტო ქვები იყო. გაიარა ამ ქვებზე და ხედავს, რომ წაღები ზედ ეკვრის. გაიხადა ფეხთ: შეახო ხელი ქვას — არ ეკვრის; შეახო წაღის ტყავი — არ ეკვრის; შეახო ლურსმანი, რომელიც წაღებს ქუსლზე ჰქონდა — მიეკრა. მაგნისს თან ჯოხიც ჰქონდა წვეტიანი რკინით. დაადო ქვას ხე — არ მიეკრა, დაადო რკინა — მიეკრა.

მაგნისმა გასინჯა ქვა: ხედავს — ქვა რკინასა ჰგავს და წამოიღო შინ. მას აქეთ ადამიანებმა გაიცნეს ეს ქვა და დაარქვეს მაგნიტი, რადგანაც ის პირველად მაგნისმა აღმოაჩინა.

მაგნიტს პოულობენ მიწაში რკინასთან ერთად. ასეთი რკინა საუკეთესოც არის. მაგნიტს რომ რკინის ნაჭერი დაადოთ, თითონ ეს რკინაც მიიღებს მაგნიტის თვისებას და სხვა რკინას ისიც მიიზიდავს.

დაადეთ ფოლადის ნემსი მაგნიტს და ცოტა ხანს დააცადეთ: ნემსიც მაგნიტად იქცევა და სხვა ნემსებსა და რკინის ნაჭრებს ესეც მიიზიდავს.

აიღეთ ორი მაგნიტი და ბოლოები ერთმანეთს მიაკარით: ნახავთ, რომ ერთი ბოლოები ერთმანეთს არ იკარებენ, არ ეკვრიან, უკუაგდებენ ერთმანეთს, მეორენი კი ერთმანეთს იკარებენ, ეკვრიან. შუახე რომ გასჭრათ მაგნიტი, ამ ორი ნახევრის ბოლოები ერთმანეთს ეკვრიან, მეორენი — არა.

ეკატერინე მელიქიშვილი-მესხისა

1854 — 1928

ეკატერინე (კეკე) გრიგოლის ასული მელიქიშვილი-მესხისა დიდ ფუფუნებაში აღიზარდა, ფართო განათლება მიიღო და საუკეთესო გარემოში ტრიალებდა როგორც მშობლების, ისე შემდგომ ქმრის ოჯახში. იგი დაიბადა 1854 წელს 25 დეკემბერს (ძვ. სტ.) იმ დროისათვის მეტად კულტურულ, განათლებულ და საქმიან ოჯახში.

კეკეს მამა გრიგოლი მოწინავე ადამიანი იყო. იგი მეტად სასარგებლო საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა თავის ქვეყნისათვის. გრიგოლმა დააარსა ქართული სტამბა და თავისი ქონება მის მოწყობას გადააგო. გრიგოლისა და მისი შვილების, განსაკუთრებით სტეფანეს, მეოხებით ქართული ბეჭდვითი საქმე მტკიცე ნიადაგზე დადგა.

პატარა კეკემ წერა-კითხვა დედისაგან ისწავლა, შემდეგ იგი მია-

ბარეს ფაბრის პანსიონში. თბილისში კეკეს საშუალო განათლება ფაბრის პანსიონით დამთავრდა. შინ დაბრუნებისას კეკეს მშობლები, განსაკუთრებით კი მისი უფროსი ძმა სტეფანე, უზომოდ ანებივრებდნენ.

კეკემ თავის სტუმართმოყვარე ოჯახში ბევრი ჩვენი მოწინავე მოღვაწე, პოეტი და მწერალი გაიცნო. ვინ არ იყო მუდმივი სტუმარი მელიქიშვილების ოჯახისა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, რაფიელ ერისთავი... ისინი მეტად დიდ გავლენას ახდენდნენ გრიგოლის შვილებზე, განსაკუთრებით პეტრესა და კეკეზე (კეკე ოთხი წლით უმცროსი იყო პეტრეზე). მაგრამ კეკე მაინც ვერ გათამამდა. იგი მორიდებული და მორცხვი იყო და რაც უნდა ცოცხალი და მახვილი აზრი ჰქონოდა ამა თუ იმ საკითხზე, მაინც ერიდებოდა მის საჯაროდ გამოთქმას. ხმა ვერ ამოიღებინა ჩვენი ცნობილი მეცნიერის, ქიმიკოს ვასილ პეტრიაშვილის ბეუღლემ ეკატერინე თავდგირიძის ქალმაც კი. ვასილ პეტრიაშვილი როდესაც საქართველოში ჩამოდიოდა მეღვინეობის საკითხებზე ბახალების შესაგროვებლად, ყოველთვის მეუღლითურთ მელიქიშვილების ოჯახში ჩამოხდებოდა, ხოლო კახეთში გამგზავრებისას კეკეც თან მიჰყავდათ და თუ ეკატერინე გაბაშვილი არა (რომელიც მათთან მგზავრობდა) პეტრიაშვილის მხიარული მეუღლე მოწყენილი იქნებოდა უსიტყვო კეკესთან. კეკე რაღაც სასოებით შეჰყურებდა ჩვენს პოეტებსა და საზოგადო მოღვაწეებს და მათ პირველად გაცნობას თრთოლვით ხვდებოდა. ასე გადმოგვცემს კეკე თავის პირველ შეხვედრას აკაკი წერეთელთან. კეკე კარგად იცნობდა და თავის ოჯახშიც ხშირად უნახავს ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი და სხვანი, ხოლო აკაკი წერეთელი არ ენახა (იმ დროს მოსკოვში ცხოვრობდა აკაკი), მისი ლექსები კი ზეპირად იცოდა. კეკე 12 წლისა იქნებოდა, როცა აკაკი პირველად ნახა და მოხუცობის დროსაც კი რომ წარმოიდგენდა იმ დღეს, მის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა: ...ყველა მისი სიტყვა გამაცოცხლებელ ნექტარივით იწვეთებოდა ჩემს გულშიო", — წერს იგი თავის მოგონებაში.

როგორც ვთქვით, კეკეს საშუალო განათლება ფაბრის პანსიონით ამოიწურა. ე. ი. მას გიმნაზიის კურსი თბილისში არ გაუვლია. მას ძალიან უნდოდა ექიმობა, ამიტომ გადაწყვიტა, ციურიხში წასულიყო, იქ გაევლო გიმნაზიის კურსი და შემდეგ შესულიყო ციურიხის უნივერსიტეტში ან გამგზავრებულიყო ჟენევაში ფედერალურ უნივერსიტეტში ან აკადემიაში შესასვლელად. კეკეს სურვილებს მშობლებმაც შეუწყეს ხელი და 19 წლის კეკე, 1873 წლის თებერვალში საზღვარგარეთ გაემგზავრა. ეს და ამის მსგავსი ფაქტები ისეთ დიდ

მოვლენად ითვლება იმ დროის სინამდვილეში, რომ გაზეთები სიხარულით აღნიშნავდნენ, კერძოდ გაზ. „დროება“ 1873 წლის № 8-ში აღნიშნავდა, რომ „პეტრე მელიქიშვილი და მისი და ეკატერინე გაემგზავრნენ საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად“. ეს განცხადება არც საკვირველია. „დროებას“ რედაქტორი სერგეი მესხი (საქმრო კეკესი) დიდ იმედებს ამყარებდა საზღვარგარეთ განსწავლულ კეკეზე „... ოთხი წელიწადი მოითმინე,—სწერდა სერგეი მესხი,— მოიგონე ის ნეტარი დრო და იფიქრე იმ მომავალ დროზე, როდესაც შენ აქ კურსს დასრულებული და მომზადებული ჩვენში სამუშაოდ ჩამოხვალ და ჩვენ ერთად შევუდგებით ჩვენს სამშობლოში იმ საქმეებს, რომელიც ჩვენი ცხოვრების მიზნად და მანუგეშებლად უნდა მიგვაჩნდეს“. მეორე ადგილას სწერს: „... ჩვენი ორთავეს ბედნიერება ამ შენს სწავლაზე და კაი ქალად გამოსვლაზე იქნება დამოკიდებული. წარმოიდგინე ის ბედნიერი დღე, როდესაც შენ სწავლა შესრულებული ჩამოხვალ და აქ ჩვენ ერთმანეთს შევეყრებით იმისთვის, რომ მერე არასოდეს არ დავშორდეთ ერთმანეთს. ამაზე უმაღლესი ბედნიერება და ნეტარება, ჩემო კეკე, კიდევ იქნება ჩვენთვის დედამიწაზე?“ ასე სწერდა სულ ორი კვირის წასულ კეკეს სერგეი მესხი. კეკეზე მომავალ ქმარს დიდი გავლენა ჰქონდა და კეკეც ცდილობდა პირნათლად შეესრულებინა მეუღლის მისწრაფება, „შრომით და სწავლით“ დამცველნი და მეპატრონენი ყოფილიყვნენ როგორც ხალხის საუნჯის, ენისა, რომელიც იმ დროს დევნაში იყო, ისე სხვა საზოგადო საქმეებისა, რაც კი სარგებლობას მოუტანდა ქართველ ერს. კეკე მესხი სიამოვნებით იღებდა ამ მეგობრულ დარიგებას, მითითებას, მოწოდებასა და რჩევას, რითაც აღსავსეა სერგეი მესხის წერილები.

ს. მესხი არც მოტყუებულა და ცხოვრების თანამგზავრად მართლაც ღირსეული მეგობარი შეხვდა. კეკე მესხი ციურიხში გამგზავრებამდე გამოსული იყო სამწერლო ასპარეზზე. მას დიდი ინტერესი ჰქონდა თარგმანებისა. ჯერ კიდევ 1871 წელს „დროებაში“ მოათავსა თარგმანი შკლარევსკის მოთხრობისა „ქალის შრომა“. 1872 წელს ანასტასია წერეთლის მიერ შექმნილ ქალთა პატარა წრის აქტიური წევრი იყო და წრის გამოცემაში — „თარგმანნი საამო საკითხავთა ქართველ ქალთა წრისაგან“ მოათავსა „მეთვრამეტე საუკუნის ამერიკელი ქალები“ (ბიოგრაფიები და სურათები) და ჟულ ტაროს მოთხრობა საფრანგეთის ცხოვრებიდან. ერთხანს ამ გამომცემლობის მოლარედაც კი ითვლებოდა. ასე რომ, კეკე იმ დროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურობდა და სერგეი მესხიც სწორედ ამით მოიხიბლა.

კეკე მესხს ციურიხში დრო უქმად არ გაუტარებია. ის გულმოდგინედ სწავლობდა ფრანგულსა და გერმანულ ენებს და სერგეი მესხს

რომ არ დაეშალა, ინგლისურსაც კარგად შეისწავლიდა. იგი, როგორც თავისიანებს სწერდა, დღეში ცამეტ საათს მეცადინეობდა, ამავე დროს არ ჩამორჩებოდა იქ მყოფი ქართველების მიერ ჩამოყალიბებულ საზოგადოება „უღელის" საქმიანობას. იმავე დროს კითხულობდა ფრანგულ რომანებს. ერთ ხანს გაიტაცა პოლიტიკური გაზეთების კითხვამ, დაინტერესდა ეკონომიკითა და სოციალიზმის საკითხებითაც. ყველა ამასთან ერთად გულმოდგინედ კითხულობდა გაზ. „დროებას" (რასაც ს. მესხი სისტემატურად უგზავნიდა, ისევე როგორც კეკე უგზავნიდა უცხოურ ლიტერატურას), ქართულ კრებულებს და თავის აზრს წერილებით უზიარებდა. ამას გარდა კეკეს დაძაბული მუშაობაც უხდებოდა ლაბორატორიაში. კეკე ასეთი მომზადებული იყო და მაინც გაუბედაობას იჩენდა, გამოცდებზე გასვლისა ძალიან ეშინოდა. სერგეი მესხი კი ამხნევებდა და სწერდა: „... მჯერა, რომ შენ ბევრი შრომა ძალიან კარგათ შეგიძლია; მაგრამ ეცადე, გენაცვალე, რომ ამ შრომამ მუქთად არ გაიაროს; ერთი იმიტომ გწერ ამას, რომ მეშინია მომეტებულმა შრომამ, განსაკუთრებით ლაბორატორიაში მუშაობამ, ჯანმრთელობა არ წაგართვას, რომელიც ყველაზე უფრო ძვირფასია კაცისათვის, მეორე იმიტომ, რომ უნდა ეცადო ისეთი რამ საგნები შეისწავლო, რომელიც აქ ცხოვრებაში პირდაპირ გამოსაყენებელი იქნება ჩვენთვის. რასაკვირველია, ყოველი სწავლა კარგია, სხვა არა იყოს რა, გონებას მაინც გაუხსნის ადამიანს, მაგრამ ეხლანდელ ჩვენს დროში, თუ მანდედამ დაბრუნებულებმა პრაქტიკული რამ სწავლა და ცოდნა არ მოიტანეს, ბევრი არაფერი გამოდნება იმათგან. მას გარდა, მწერ, რომ რაც უნდა დამემართოს, ეგზამენის დაჭერა ვერ შემიძლიანო. მე მეგონა, შენ დიდი ხანია განთავისუფლდი ამ უსაფუძვლო შიშისაგან და თამამად შეგიძლია პროფესორების წინ წარდგე. მეათასეჯერ გიმეორებ, რომ შენთვის აუცილებლად საჭირო იქნება, რომ რომელისამე საგნიდამ ეგზამენი დაიჭირო და დიპლომი ჩამოიტანო თან".

ამგვარად, ს. მესხს გულით უნდოდა კეკეს დიპლომი ჩამოეტანა და ამით სხვა ქალებზე უფრო ამაღლებულიყო. საბუთების მიუწკდომლობის გამო ვერ ვიტყვით კეკემ დიპლომი ჩამოიტანა თუ არა, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ საზღვარგარეთიდან ოთხი წლის შემდეგ იგი ფრიად განათლებული და განვითარებული დაბრუნდა. იგი ზედმიწევნით მცოდნე იყო ფრანგული და გერმანული ენებისა. ჩამოსელისთანავე კეკე დიდ დახმარებას უწევდა ს. მესხს გაზეთ „დროებას" წარმოების საქმეში, რითაც მეუღლის კმაყოფილებას იწვევდა. კეკე მალე დაუახლოვდა ქართველ მოღვაწე ქალებს, მათ წრეებს; მისთვის მეტად ახლობელნი გახდნენ ანასტასია წერეთლისა და ეკატერინე გაბაშვილისა. უნდა აღინიშნოს, რომ მეგობრებს მისი დიდი იმედიც ჰქონდათ და მე-

ტის გაკეთების უნარსაც ამჩნევდნენ. ამიტომ იყო, რომ ერთხანად ჟურნალ „ქართული ბიბლიოთეკის" გამომცემლობის გადმოტანა ქუთაისიდან თბილისში იმ იმედით იყო განზრახული, თუ კეკე მესხი იკისრებდა მის რედაქტორობას. მაგრამ კეკემ შორს დაიჭირა თავი. ის ახლო თანამშრომელი გახდა „ჯეჯილისა" და ძირითადად ხელი მიჰყო მთარგმნელობას. კეკეს ლიტერატურული გემოვნება დიდი ჰქონდა. მეუღლის გავლენით სოციალური საკითხებითაც იყო დაინტერესებული. სწორედ ასეთი ხასიათის მოთხრობებს არჩევდა, განსაკუთრებით საფრანგეთის როგორც სადიდო მხატვრულ, ისე საბავშვო ლიტერატურიდან, და ფაქიზად თარგმნიდა მათ.

კეკე მესხს ორიგინალური მოთხრობები თითქმის არ უწერია. მის კალამს ეკუთვნის „ჩემი ბავშვობის მოგონება" და რამდენიმე პუბლიცისტური წერილი. იგი ცნობილია თავისი თარგმანებით, რაც იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო და რითაც ხელი შეუწყო ქართული საბავშვო ლიტერატურის გამდიდრებას.

კეკე მესხის თარგმანებიდან, გარდა წარმოდგენილი ნიმუშებისა, დავასახელებთ რამდენიმეს: დევ-გმირი გარგანტუა — ფრანგული ლეგენდა; არ. კონან-დოილი — როგორ დაიხსნა ბრიგადერმა ჯარი (ეტიენ ჟერარის თავგადასავალი), ახალი თეზეოსი, ოკტავ ფელიე — ახალგაზრდა ქალის რვეულიდან; იოკაი მორის — სიკიულის ქალები; ჟულ-ტარო — მოთხრობა საფრანგეთის ცხოვრებიდან და მრ. სხვ.

ჩემი ბავშვობის მოგონება

კარგად არ მახსოვს, 1866 თუ 1867 წელს, მე აკაკი პირველად ვნახე. ის პირველი ნახვა დღეს მოხუცებულობამდე კიდევ გულში მაქვს ჩაბეჭდილი და როცა მომაგონდება ხოლმე, ჩემს აღტაცებას საზღვარი არა აქვს.

ამ ხანებში მარტო ერთადერთი ლექსთა კრებული იყო „ჩონგური", რომელიც პეტროგრადში ქართველ წრეს გამოეცა. ეს კრებული მეც მქონდა და დიდი სიამოვნებით და აღტაცებით ვსწავლობდი ლექსებს ზეპირად.

იმ კრებულის ავტორები, რომელნიც კი ცოცხალნი იყვნენ, ყველა მენახა: ილია ჭავჭავაძე, რაფიელ ერისთავი და სხვანი, და ყველას თაყვანსა ვცემდი და, როგორც პატარა მწერი დიდებულ ლომს, ისე შევცქეროდი მათ. ყველაზე უფრო აკაკის ლექსები მომწონდა, მსუბუქი ენის და მუსიკალური ლექსთა წყალობით მათი დაზეპირება მეხერხებოდა და მიადვილდებოდა. ლექსი რომ ორჯერ ან სამჯერ წამეკითხა, დამახსოვდებოდა და ზეპირად გავიმეორებდი. ყოველ ამის ლექსის შესწავლაზე ჩემ უფროს ძმას მოსვენებას არ ვაძლევდი თუ როდის ან ოდესმე თუ ვნახავდი აკაკის. მე ის სხვებისაგან სულ განსხვავებულ ადამიანად მყავდა წარმოდგენილი.

ჩემი ძმა[1] მპირდებოდა, როგორც კი აკაკი თბილისში ჩამოვიდოდა (ის მაშინ მოსკოვში ცხოვრობდა), უთუოდ დაჰპატიჟებდა. მე კარგა ხანს მოუთმენლად მოველოდი, მაგრამ, როგორც ბავშვს, მალე გადამავიწყდა.

ერთხელ სასწავლებლიდან დავბრუნდი. ჩვეულებრივ ჩემი ჩანთა თავის ადგილას დავაბინავე და ეზოში სათამაშოდ გავედი. ნახევარ საათმა არ გაიარა, რომ მესმის ჩემი ძმის ხმა, მხიარულად მეძახის: კეკე, მოდი მალე, შენი დიდი ხნის სურვილი აგისრულდა.

---

[1] ჩემი უფროსი ძმა იყო სტეფანე მელიქიშვილი, რომელმაც ქართული სტამბა დააარსა და გაზეთ „დროებას" გამომცემელი იყო.

რასაკვირველია, ვერ მივხვდი, რაში იყო საქმე. მე ჩემი უფროსი ძმა ძალიან მანებივრებდა და ხშირად მშვენიერი საჩუქრები, — ხან წიგნი, ხან სათამაშოები, ხან ლამაზი საკაბეები მოჰქონდა ხოლმე. მე სიხარულით იმის ოთახისაკენ გავექანე და თამამად შევაღე კარები.

საზოგადოდ ძალიან მორცხვი ვიყავი. უცხო კაცი რომ დავინახე, საშინლად გავწითლდი, თვალები ძირს დავუშვი. „რევერანსი“ გავაკეთე, ჩემს მასწავლებისაგან დარიგებული ვიყავი, რომ უცხო ვინმესთან, ან სტუმართან როცა შევიდოდი, უთუოდ უნდა „რევერანსი“ გამეკეთებინა. უცბად მშვენიერი ტკბილი ხმა მომესმა: მოდი ჩემთან, ჩემო თაყვანისმცემელო, პატარა ქალო!

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გამაწითლა და თავიც უფრო ძირს ჩავღუნე. ბოლოს ჩემმა ძმამ ალერსიანად მითხრა: რათა გრცხვენიან. შენი სასურველი და სანატრელი აკაკი არის. შენი გაცნობა უნდა და თავისი ლექსების გაგონება.

მეც, ცოტა არ იყოს, გავთამამდი, ახლოს მივედი და რომ შევხედე, ჩემს გაკვირვებას და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. იმისმა მშვენიერმა და ლამაზმა სახემ, ხუჭუჭა თმამ, თვალების კეთილმა გამომეტყველებამ ისე გამაოცა, რომ გაქვავებულივით ვიდექი ერთ ადგილას და თვალს არ ვაშორებდი.

მაშინ კარგი თორმეტი წლისა ვიყავი, მაგრამ ისეთი გამხდარი, დალეული, რომ აკაკიმ ხელში ამიყვანა, კალთაში ჩამისვა და ალერსიანად მითხრა: აბა რამე ლექსი მითხარიო.

ყოველი მისი სიტყვა გამაცოცხლებელ ნექტარივით იწვეთებოდა ჩემს გულში, მეც გავთამამდი და სადილობის დროს ყოველ მის კითხვაზე პასუხს ვაძლევდი და რაც კი ლექსები ვიცოდი, ყველაფერი წინ გადმოვულაგე და სულ თვალებში შევცქეროდი.

ახლა მოხუცებული ვარ და უნდა გამოგიტყდეთ, ბავშვებო, რომ ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება დიდებული, აწ განსვენებული პოეტის აკაკის სახის სიმშვენიერე და ტკბილი ხმა.

კარგა ხნის შემდეგ, როცა ლაპარაკში შევებმოდი, ან რამე შენიშვნას მივცემდი, მაშინათვე მეტყოდა: როგორ მიბედავ, დაგავიწყდა ის დრო, როდესაც შენ ჩემ კალთაში იჯექი და მოწიწებით ლექსებს იმეორებდიო.

სწორედ რომ მართალს ამბობდა ის ჩემი მეგობარი, საყვარელი აკაკი. მანამ ცოცხალი ვარ, არ დამავიწყდება.

ღმერთმა განსვენება მიანიჭოს ჩემს სიყმაწვილის სათაყვანებელ, დიდებულ მეგობარ აკაკის!

თარგმანები

ჯიუტი თხა

მამინ -სიბირიაკისა

ზღაპარი

იყო ერთი მხიარული დურგალი. მეზობლები „მხიარულ დურგალს“ უძახოდნენ იმიტომ, რომ მუშაობის დროს სულ ღიღინებდა და მღეროდა. რატომ არ იმღერებს, — შურით იძახდნენ მეზობლები, — ყველაფერი უხვად აქვს: საკუთარი ქოხი, ძროხა, ცხენი, ბოსტანი, ქათმები, თხაც კი ჰყავს.

მართლაც რომ დურგალი ყველაფრით უხვად დაჯილდოებული იყო: პატარა სუფთა ქოხი, ძროხა, ცხენი, ბოსტანი, ქათმები და ერთი ბებერი ჯიუტი თხა.

— მადლობა უფალს, — იძახდა დურგალი, — ყველაფერი უხვად მაქვს.

შურიან მეზობლებს ძალიან სწყინდათ, რომ დურგალს ყველა ეს ქონება მარტო თავის შრომით ჰქონდა შეძენილი. დურგალი მთელი დღე სთლიდა და რანდავდა თავის ფიცრებს და ცოლი კი მთელ საოჯახო საქმეს უძღვებოდა: საპმელს ხარშავდა, ძველსა და ახალს ჰკერავდა, ბოსტანს და საქონელს უვლიდა, ერთი სიტყვით ესენი მშვიდობიანად და კარგად ცხოვრობდნენ. როდესაც სახლის პატრონები მაძღარნი არიან, დანარჩენებსაც კმაყოფილება ეტყობათ: ცხენსაც, ძროხასაც... სახლის სახურავზე მტრედები მხიარულად ღუღუნებდნენ, სახურავქვეშ ბეღურები წრიპინებდნენ. ეზოში მამალი თავისი ქათმებით ამაყად დასეირნობდა, იატაკქვეშ მცხოვრებნი თაგვებიც კი მაძღრები იყვნენ.

— რა უბედურებაა, რომ თაგვები ასე გამრავლდნენ, — ჩიოდა ხოლმე დურგლის ცოლი,—ცხენს ქერსა ჰპარავენ და ქათმებს ნამცეცებს არ არჩენენ.

— არა უშავს რა, წაიღონ, ჭამონ, — ამშვიდებდა დურგალი

თავის ცოლს. — მაშ რა ჰქნან? ჯამაგირი იმათ არა აქვთ, მუშაობა არ შეუძლიათ, ჭამა კი უნდათ. თავიანთი ოჯახი და შვილები ჰყავთ. მე და შენ ხომ ვერ შეგვჭამენ. კატაც ხომ გვყავს მაგათ დასაჭერად.

ციცუნია კი თბილად იწვა და ყურსაც არ იბერტყავდა, თითქოს ეს ლაპარაკი იმას არ ეხებაო. საზოგადოდ ციცუნიას უთავბოლო ლაპარაკი არ უყვარდა. აბა, ერთი მითხარით, თაგვების ჭერით თავს რაზე შეიწუხებდა, როდესაც საჭმელი თავსაყრელად ჰქონდა? ხანდისხან საკუჭნაოში შევიდოდა ხოლმე და იქიდან ერთს პატარა საცოდავ თაგუნიას გამოაცრევდა, ჭამას, რასაკვირველია, რად იკადრებდა, ხოლო თავის დიასახლისს მიუტანდა და უჩვენებდა.

— აი, ბარაქალა, ჩემო ციცუნია! — აქებდა ხოლმე დურგლის ცოლი და ჯამში რძეს უსხამდა.

კატა რძით გამოძღებოდა, სადმე თბილ კუთხეში მიეძინებოდა და თაგვებს მარტო გასართობად იჭერდა. წოლა რომ მოსწყინდებოდა, მაშინ სასეირნოდ გამოვიდოდა. ყველასთან თავი მოსწონდა, რომ ბატონებთან ერთად ოთახში ცხოვრობდა. არავის არ ეჩხუბებოდა, სუყველას მედიდურად უყურებდა. აი, მაგალითად მამალი და თხა სულ ჩხუბობდნენ, ერთმანეთს უსაყვედურებდნენ, საცემრადაც მიიწევდნენ ხოლმე.

— ეგ რა საკადრისია, — ბუტბუტებდა კატა... — თქვენი თავის პატივისცემა არ იცით... მაგრამ, აბა, ვის ველაპარაკები, სულერთია, მაინც ვერაფერს გაგაგონებთ.

— გიცნობთ, რა შვილიცა ხარ, შე გაიძვერა, შენა, — ილანძღებოდა მამალი. — მზეზე წოლის მეტს რას მიკეთებ? დიდი ბატონი ბრძანდები განა, თათების განძრევაც გეზარება, აი შე ეშმაკო, შენა!

ციცუნია ხმას არც კი გასცემდა, ზიზღით შეხედავდა, თავის მომწვახო თვალებს დაბჟუტავდა და ულვაშებს აათამაშებდა.

თხა და მამალი ხშირად ჩხუბობდნენ, ტყუილ უბრალოზე ერთმანეთს წაეკიდებოდნენ.

— შენ, ეი, მუქთახორავ! — უყვიროდა ხოლმე მამალი თხას.

— შეხედეთ, ამ მუშა მშრომელს! — ჯავრობდა თხა, — მთელი ღღის სულ ყივის, ძილს არავის არ აცლის, მისი საქმე მხოლოდ ეს არის!

— მე არ ვშრომობ? მაშ ჩვენს პატრონს დილით ვინ აღვიძებს? — მე. ქათმებს ვინ უვლის, რომ სხვის ეზოში არ დაიფანტონ? სულ მე. წიწილებს ვინ დარაჯობს, ძერამ ან ქორმა არ მოიტაცონ?

— მე. ყველაფერზე და ყველაზე მე უნდა ვიზრუნო, შენ კი მარტო ტყუილად სჭამ სხვის თივას, შე ბებერო, ჯიუტო თხავ!

— სხვის თივასა ვჭამ? აი შე ავაზაკო შენა!.. მე შენ ლუკმა-ლუკმად აგკუწავ, გაგჟყლიტავ, შე ბაქიავ, შენა!

თხა თავს ჩაღუნავდა, თვალებს დახუჭავდა და მამალს დაეტაკებოდა.

— ოჰ, მომკლეს! საწყალი მამალი მოჰკლეს, — ყვიროდა მამალი და შეშინებული თხას გაურბოდა, — მიშველეთ, გაგონილა ცოცხალი მამალი მოჰკლა ამ წყეულმა თხამ!

მამალი თავისი ყვირილით ყველას ფეხზე აყენებდა: შეშინებული ქათმები კაკანებდნენ, მურია ყეფდა, ხან ერთს და ხან მეორეს გაეკიდებოდა, ცდილობდა თავისი ბასრი კბილები ჩაერჭო და გაეშორებინა ერთმანეთისგან. დურგალი კი უყურებდა და გულიანად იცინოდა. ბოლოს მამალი ღობეზე შეფრინდებოდა, ფრთებს გაშლიდა და მხიარულად ყიოდა. — ჩვენ გავიმარჯვეთ, ვაშა! ვაშა! აბა, რა დამაკელი, შე წუწკო? რა შენი საქმეა ჩემთან კინკლაობა!.. მოიცადე, მაგ შენ სულელ თვალებს ამოგკორტნი! ჩემთან ხუმრობა შენ არ გაგივა! —

ჩვენი ბებერი ჯიუტი თხა ამ შემთხვევაში ძალიან ცუდ გუნებაზე დადგებოდა ხოლმე. ღობეს დაეტაკებოდა, უნდოდა წაექცია და მამალი გადმოეგდო. მაშ რა ექნა? სცხვენოდა, რომ მამალი მთელს უბანში ასე არცხვენდა მას.

— თხავ, როგორ არა გრცხვენია, რომ მამალს ასე თავს უყადრებ, — იცინოდა დურგალი, — შენ არ შეგშვენის ფრინველთან კინკლაობა, ჩემო თხავ.

— მაშ რას იკვეხის! — იძახოდა დაღვრემილი თხა. — მე იმას ვუჩვენებ ვინცა ვარ!

გაბრაზებული თხა ღობეს მოშორდებოდა, შუა ეზოში დადგებოდა, მერე იქიდან გაექანებოდა და ღობეს შუბლით დაეტაკებოდა; რქებს წკრიალი გაჰქონდა. ეს ისე სასაცილო იყო, რომ ბეღურები სახლის სახურავზე დახტოდნენ და გულიანად იცინოდნენ, მტრედები დარბაისლურად იღიმებოდნენ. ცხენი თავს აქნევდა და მამალი კი ხმამაღლა ხითხითებდა...

— აბა, ერთი კიდევ, თხავ!.. ჰა, ჰა, ჰა! ღობე შეიბრალე, შე სულელო, ამისი რა ბრალია, რომ ეგრეთი სულელი ხარ!

— მართალია, ღობეს რას ერჩი! — იცინოდა დურგალი. — შენი შუბლი არ გებრალება? ოჰ! რა ბრაზიანი ხარ, შე ბებერო ჯიუტო თხავ!

თხა ჩხუბის შემდეგ დიდხანს ვერ დაწყნარდებოდა ხოლმე. დილას რომ გაჯავრდებოდა, მთელი დღე სულ ჯავრობდა: დაწვებოდა, კიდევ ჯავრობდა, ღამე რომ გამოიღვიძებდა, კიდევ ცოტათი ჯავრობდა. რა ჰქნას, უთუოდ ასეთი ბრაზიანი დაბადებულა.

ერთხელ მამალი უნდოდა გაეჯავრებინა და იმის ერთ საუკეთესო დედალს ფეხი წაჰკრა... საშინელი ალიაქოთი ატყდა. მამალი ბატონთან საჩივლელად წავიდა.

— როგორ შეიძლება ბატონო, ეგ საძაგელი ხომ მთელ დედლებს დამიმახინჯებს, — ჩიოდა მამალი.

— ეგ ჩემი საქმე არ არის, — უპასუხა დურგალმა. — წადი დიასახლისთან, ის გაგასამართლებს.

დიასახლისმა დიდი ჯოხი აიღო და თხა კარგად მიტყეპა.

— კიდევ გაპეპყავ ქათმებს, შე ჯიუტო, სულელო შენა! — თხა ღრიალით ბოსტანში შევარდა. ამის შემდეგ უფრო გადაემტერა მამალს. თხა ისეთ გუნებაზე დადგა, რომ ეზოში შემოსვლა აღარ უნდოდა, მაგრამ მურიამ როგორც იყო დაამშვიდა.

— კარგი, გეყოფა მაგდენი ჯავრობა, — ეუბნებოდა მურია კუდის ქნევით. — ერთხელ მე და შენ ხელში ჩავიგდოთ მამალი და კარგად ვცემოთ.

— ჰო, შენ რა გიშავს, ცოტა მეცა მკითხე, გვერდები როგორა მაქვს დაბეჟილი, — ბუტბუტებდა თხა. — მე ჩემ ბატონებს კარგად არ ვემსახურები? რითი ვიკვებები? თივას გადმომიგდებენ, აბა, სხვას რას მაჭმევენ, ცხენი და ძროხა რასაც დაფანტავენ, იმას ავკრეფ ხოლმე, სულ ერთია. მაინც ფეხით გაქელავენ. თუმცა მუცლის მიმდევარი არა ვარ, მაგრამ არც სხვის თივას შევჭამ.

მურია გულკეთილი იყო, თხა ძალიან ებრალებოდა და იძახოდა:

— აბა, საწყალი, დიასახლისმა რა უბრალოდ სცემა.

— იცი, რა გითხრა, — უთხრა მურიამ თხას, — ნუ იჯავრებ, ნუ შეიმჩნევ, ვითომ არაფრად აგდებ მის ცემას. მეც ხშირად მომხვედრია ხოლმე იმისაგან ჯოხები, მაგრამ ვითმენ, იმას მარტო კატა, ძროხა და ქათმები უყვარს. რას იზამ, ვერ გაღააჩვევ.

— ერთხელ მეც ჩემი რქებით ვერჩოლები და მაშინ ნახავს როგორც უნდა ცემა.

— არა, ეგ რა საკადრისია, მოთმინებაა საჭირო, ყველა შეიტყობს ჩვენს ამბავს, ოჯახში რაც უსიამოვნება მოხდება, გარეთ კი არ უნდა გავიტანოთ.—მურია ძალიან ეშმაკი იყო. ამას უნდოდა, რომ სახლში მშვიდობიანობა ყოფილიყო. მაშ რისი ძაღლია, რომ სახლში სულ მუდამ ალიაქოთი და ჩხუბი იყოს. ხანდისხან კიდევ არა უშავს რა, მაგრამ ყოველთვის კი არ ეპიტნავებოდა.

— როგორც იყო დავამშვიდე და შევარიგე, — ეუბნებოდა მურია თავის პატრონს, — წაიჩხუბნენ და კმარა...

— შენ ჭკვიანი და ყოჩაღი ხარ,—აქებდა პატრონი თავის ძაღლს.

— მართალი უნდა გითხრა, თხა ძალიან გულკეთილია, მაგრამ

ცოტა ჯიუტია. მეც ვეუბნები: ნუ ჯავრობ, არა ღირს, შენ თავს ავნებ.

დურგალს საღამოობით გარეთ გამოსვლა უყვარდა, კარებთან ჩამოჯდებოდა და ჩიბუხს ააბოლებდა. მურია უცბად იქ გაჩნდებოდა, და პატრონს დაუწყებდა ალერსს.

— რა ამბავია, მურია?

— არაფერი, სრული მშვიდობაა! მთელი ღამეები არა მძინავს, სულ შენს სახლს ვდარაჯობ.

— მაშ, აგრე უნდა, ყოჩაღ! შენ ჭკვიანი ხარ!

— რა წესი უნდა იყოს იმ ოჯახში, სადაც კარგი ძაღლი არ არის! მაშ იმ მუქთაჭამია კატას ხომ არა ვგევარ.

— კატა არ გიყვარს, განა! იმის ბრჭყალები გეტყობა არ დაგვიწყებია!

მურია ზოგჯერ მსუქან კატას გამოეთამაშებოდა ხოლმე, როდესაც დიასახლისი სადმე სტუმრად წავიდოდა, ციცუნია ძილისაგან გასიებული ცხვირ-პირით კარში გამობრძანდებოდა. აბა, ამისთანა ჩასუქებულს როგორ არ გამოეთამაშოს? მართალია, ციცუნიამ ორჯერ თუ სამჯერ თავისი ბრჭყალები აგემა მურიას, მაგრამ ძაღლისა მაინც ეშინოდა. მურიას შურდა, რომ ციცუნიას სულ რძესა და ხორცს აჭმევდნენ და თვითონ კი მარტო ძვლები და ნასუფრალი ერგებოდა.

II

მშვიდობიანად ცხოვრობდა მხიარული დურგალი, მუშაობდა და მღეროდა. ნელ-ნელა, შეუმჩნევლად სახლში უბედურება შემოეპარა: ცოლი ავად გაუხდა, ერთ-ორ კვირას იწვა და მერე გარდაიცვალა. მწარედ ტიროდა საწყალი დურგალი, დადიოდა წინ და უკან თავის ჭოხში და მოსთქვამდა:

— ახლა როგორღა უნდა ვიცხოვრო? ოჰ, რა დამემართება?

მეზობლები შემოდიოდნენ მასთან, ანუგეშებდნენ და ეუბნებოდნენ:

— თავს რაზე იკლამ? ღვთის მადლით ყველაფერი საკმაოდ გაქვს. მარტოც კარგად იცხოვრებ.

— მართალია, არაფერი არ მაკლია, — ტირილით ამბობდა დურგალი,—მაგრამ როგორ უნდა ვიცხოვრო, როდესაც დიასახლისი, თანაშემწე, მეგობარი აღარა მყავს?

ტირის საწყალი დურგალი, ნუგეში არ ეკარებოდა მას. ცოლი დაასაფლავა და ისევ მუშაობას შეუდგა. მაგრამ ის მხიარული სიმღე-

რა კი აღარ ისმოდა. ჩუმად მუშაობდა და მწუხარება ნელ-ნელა უღრღნიდა გულს.

დურგლისათვის მარტო ცხოვრება ძნელი იყო. ოჯახის მოსავლელად ერთი ღარიბი მოხუცებული დედაკაცი შემოიყვანა სახლში. ყველაფერს მარტო ხომ თვითონ ვერ გაუძღვებოდა? მაგრამ იმის ოჯახის საქმე უკუღმა დატრიალდა: არც დროზე სადილი ჰქონდა, საჭმელიც უგემური, საქონელი მშიერი, ბოსტანი მოუვლელი...

— ჩვენი საქმე ცუდად არის, — ბუტბუტებდა მამალი და შიმშილით ნისკარტს ატკაცუნებდა. — შეიძლება შიმშილითაც ამოვიხოცოთ. — ქათმებიც ჩიოდნენ, კვერცხის დებას უკლეს.

მშიერ ძროხას რძე გაუშრა, ცხენი გახდა, ყველანი ჩიოდნენ. მარტო თხა იყო გაჩუმებული. ან რა უნდა თქვას? როცა დიასახლისი ცოცხალი იყო, ყველანი კმაყოფილნი იყვნენ; ის აღარ არის, მაშ უნდა მოითმინონ.

მეზობლები, რომელთაც უწინ დურგლის კარგი ცხოვრება შურდათ, იძახდნენ:

— ჩვენ გვეგონა, რომ დურგალი ჭკვიანი კაცი იყო! ბოსტანი ააოხრა, საქონელს შიმშილით ხოცავს, სახლში უსუფთაობაა, აბა რა ჭკვიანია დურგალი?

უფრო კეთილი მეზობლები დურგალთან შემოდიოდნენ, სიბრალულით უყურებდნენ მას და ეუბნებოდნენ:

— ჩვენ ჭკვიანი გვეგონე...

თვითონ დურგალიც კარგად ხედავდა, რომ ყველაფერი ხელიდან ეცლებოდა. ხალისი არა ჰქონდა მიეხედნა სახლისათვის. ყველაზე ძნელი იმისათვის საღამოობით მარტო დარჩენა იყო. დურგალმა დაიწყო მეზობლებში სიარული.

— ხალხში გავერთობი და დროც მალე გაირბენსო.

უწინ დურგალი ღამ-ღამობითაც მუშაობდა და დროც მალე გარბოდა, ახლა კი საქმეები ხელუხლებლად ეწყო.

— ხვალაც მოვასწრებ, — აიმედებდა თავის თავს დურგალი. — საქმე ხომ მგელი არ არის, რომ ტყისაკენ თვალი ეჭიროს.

საქმეც ხელიდან უსხლტებოდა: ერთი ვადაზე ვერ შეასრულა, მეორე სხვამ წაიღო, მესამე აღარ მისცეს. დურგალი კი ასე ფიქრობდა: მე ხომ ისევ ისეთი კაცი ვარ, ეს სულ სხვების მტრობაა, მეზობლებს ჩემი მდგომარეობა შეშურდათ... არა უშავს რა, ამასაც გავუძლებ! ყველაფერს სხვას აბრალებდა, საქონელსაც უწყრებოდა: რატომ ძროხა რძეს აღარ იწველის, რატომ ცხენი უწინდებურად კარგად არ დადის, რატომ ქათმები კვერცხს აღარა სდებენ.

„რად მინდა ეს საქონელი? უიმათოდაც კარგად ვიცხოვ-

რებ, — გაიფიქრა დურგალმა. — უსიამოვნობის და ხარჯის მეტს რას მარგებენ“.

ბოლოს გათავდა იმით, რომ ერთ დღეს ცხენი და ძროხა გაჰყიდა.

— სულელი ყოფილა ეს დურგალი, — იძახდნენ მეზობლები, — ნეტაი ვინა სთქვა, რომ ჭკვიანია, მთელს ოჯახს აოხრებს.

მეზობლები თავისას იძახდნენ, დურგალი კი თავისას ფიქრობდა, — უწინ სხვა დრო იყო და ისიც სხვა კაცი იყო. ახლა აღარაფერი არ უნდა. დეე, ყველაფერი დაიღუპოს, ვის რა დავა აქვს, თვითონ შეიძინა, თვითონვე აოხრებს.

უცხენოდ და უძროხოდ ცხოვრება გაჭირდა. იმათი წყალობით ქათმებიც მაძღრები იყვნენ, თაგვებსაც რამდენიმე მარცვალი ქერი შეხვდებოდა ხოლმე. თხაც იმათი ნარჩენით ძღებოდა. მამალმა ხმამაღლა ჩივილი დაიწყო:

— ცხოვრება გაგვიჭირდა, ჩვენი პატრონი სწორედ სულელია!

მტრედები ეზოში დადიოდნენ და ერთ მარცვალ საკენკს ვერ პოულობდნენ, ბეღურები ჯავრობდნენ და იძახდნენ:

— სადაური სახლ-კარის პატრონია, რომ ბეღურას სამყოფი საკენკიც არ გააჩნია. იქამდე მიგვიყვანს, რომ ყველანი მოვშორდებით, სხვასთან წავალთ, დეე მარტოკა დარჩეს და როგორც უნდა, ისე იცხოვროს.

— ჩვენც წავალთ, — წრიპინებდნენ თაგვები.

ყველანი აჯანყდნენ, უკმაყოფილონი იყვნენ, მარტო ბებერი ჯიუტი თხა იყო გაჩუმებული. ისიც სხვებსავით ნახევარზე მშიერი იყო, ხშირად მეზობლებთან შეიპარებოდა ხოლმე საჭმლის საშოვნელად და ზოგჯერ მწარე ჯოხები მოხვდებოდა. მაგრამ თხა ძალიან სულგრძელი იყო და უკვირდა, რომ მეზობლებს არ ესმოდათ. რომ მშიერია და ამასაც ჭამა უნდა; სად თივას მოიტაცებდა, სად ბზეს, სად კარგ ჯოხებს იგემებდა, ყველაფერს კაცი ვერ ჩაითვლის.

— რა შეუპოვარი რამ არის, — იძახდნენ მეზობლები, — თავის პატრონს ჰგავს, იმასავით გაქსუებულია...

დურგალი ყველაფერს ხედავდა, ყველაფერი ესმოდა, მაგრამ გაჩუმებული იყო, რა ექნა, დეე, წავიდნენ, იმისთანა დრო ხომ იყო, როდესაც ყველა კმაყოფილი და მაძღარი იყო. ახლა მშიერ თაგვსაც კი საკმაოდ არა აქვს საჭმელი! დურგალმა დაინახა, რომ ბეღურები მეზობლებში გადაფრინდნენ, რა ექნა, მოუთმენარი ხალხია. იმათ მტრედები გაჰყვნენ. ყველაზე ბოლოს თაგვები დაიძრნენ. ერთი ბებერი თაგვი სარკმელთანაც მივიდა თავის პატრონთან გამოსათხოვებლად. თავი გაიქნია და უთხრა:

— ვერ იქცევი კარგად, ბატონო, ვერა... სულ შენი ბრალია... ჩვენ გვეგონა, რომ ჭკვიანი კაცი იყავი.

— წადით, წადით! — ეუბნებოდა დურგალი, — მე არ გიჭერთ, ზომშორდით.

— ჩვენ კიდევ დავრჩებოდით, — იძახდა თაგვი, — მაგრამ იმ წყეულმა ციცუნიამ საქმე გაგვიჭირა. უწინ სრულებით არ გვაწუხებდა, ახლა კი ბეღელიდან ფეხს არ იცვლის. როცა დიასახლისი ცოცხალი იყო და სახლში ძროხა გყავდათ, მაშინ კატას რძეს ასმევდით. ოჰ! ბატონო, ბატონო, ძალიან ცუდად წაიყვანე შენ შენი საქმეები!

მართლაც. ციცუნია ძალიან დამშეული იყო. იჯდა ხოლმე ბუხართან და წამოიკნავლებდა:

— ციცუნიას რძე... რძე უნდა...

— მე შენ იმისთანა რძეს მოგცემ, რომ თავი ვეღარ იცნო! — უჯავრდებოდა ბებერი დედაკაცი. — შეხედე ამ აზიზს! წადი, თაგვები დაიჭირე. აი შენი ხელობა..

ნაღვლითა და შიმშილით საცოდავი ციცუნია სულ ჩამოხმა, ბალანი გასცვივდა, თვალები ამოეწირპლა, ერთი სიტყვით, დამახინჯდა, გარეთ გამოდიოდა და კნაოდა.

— დიასახლისი აღარ არის, არც რძეა.

მურიაც დაღონდა და კატას აღარ სდევნიდა. რა იმისთვის სცხელოდა, შიმშილით კუჭი ეწვოდა, ფერდები ჰქონდა მიკრული, თითქოს პატრონი ვერა ხედავდა... კაი მოუვა. კარგი რამ ის იყო! უწინ მარტო საღამოობით მიდიოდა მეზობლებში, ახლა კი დილითვე სადღაც იკარგება. სახლში მარტო დასაძინებლად შემოდის. ერთხელ დილით მოვიდა მთვრალი, კარებთან ჩამოჯდა და ატირდა.

— ჩემი თავი მეზიზღება, მომწყინდა ცხოვრება.

მურიას პატრონი შეეცოდა, ახლოს მივიდა და მიეალერსა.

— შენა ხარ, მურია?

პატრონი მოეხვია და უფრო ატირდა.

— მომწყინდა ცხოვრება, მურია! რაკი დიასახლისი მოკვდა, ოჯახიც ამოიხრდა, სახლი დაცარიელდა. ყველაფერი უხვად გვქონდა, ყველანი მაძღარი ვიყავით, ახლა კი სახლში შემოსვლა მეზიზღება.

რა უნდა ეთქვა მურიას? თავისი ბანჯგვლიანი კუდი გაიქნია, პატრონს ხელები აულოკა და დაიღმუილა.

— ნაღველმა მომიღო ბოლო, მურია. თვალში აღარაფერი არ მომდის, არაფერი მეხალისება... საქმე ხელიდან მივარდება.

თხა და მამალიც მოვიდნენ. თხა კიბესთან წამოწვა, მამალი კი ცალ ფეხზე დადგა და ყურს უგდებდა.

— ოო, თქვენც აქ დარჩით? — გაუკვირდა დურგალს, — რატომ თქვენც არ გაიქეცით?

— ეგ რამ გაფიქრა! — გაჯავრდა თხა და თავისი გრძელი კიკინები გაიქნია. — სად უნდა წავიდეთ? არ ვაპირებთ არსად წასვლას.

— შენი ქათმები სად არიან? — ჰკითხა დურგალმა მამალს.

— შიმშილისაგან მეზობლებში გაიფანტნენ, — უპასუხა მამალმა და ფეხი იცვალა. — აქ რა უნდა გაეკეთებინათ, თაგვებიც კი წავიდწამოვიდნენ.

— თქვენც წადით, ყველანი წადით, მე აღარავინ მესაჭიროება. ჩემი საქმე წასულია, დავიღუპე...

— მაგის რა მოგახსენო, — უპასუხა მამალმა, — მაგრამ შენ ხომ იცი, რომ მე ხუმრობა არ მიყვარს. ერთი გვითხარი, სად უნდა წავიდეთ?

— შენი ნათქვამი არც მე მომწონს, — დაუმატა თხამ.

III

ცუდად წავიდა დურგლის საქმე, თავისი უკანასკნელი ქოხის გაყიდვაც კი განიზრახა. ერთ საღამოს მყიდველიც მოიყვანა. დაღიან და სახლსა სინჯავენ. მყიდველი კედლებს უკაკუნებს, სინჯავს, ღამპალი ბოძი ხომ არსად არისო.

— ჩინებული ქოხია, — არწმუნებდა დურგალი. — მე გასასყიდად კი არ ამიშენებია.

მყიდველს სხვისი სიტყვა არა სჯეროდა, ის მარტო თავის თავს და თავის თვალს უჯერებდა. გარედან ქოხი კარგად გასინჯა და მერმე უნდოდა კიბის ქვეშაც დაეთვალიერებინა. თხა კი კიბის ქვეშ იწვა. მყიდველმა როგორც კი თავი შეაყო, თხამ რომ ნახა უცხო კაცი — წამოვარდა და ისე ერჩოლა, რომ თავი კინაღამ შუაზე გაუპო.

— ეს ვინ გენერალი გიწევს აქა? — ილანძღებოდა მყიდველი და კიბიდან გამოძვრა. — კინაღამ არ მომკლა, წყეულმა!

დურგალს უნდოდა თხა კიბის ქვეშიდან გამოეგდო, მაგრამ ადვილი არ იყო მისი დაძვრა. ისე მაგრა დაჰკინებოდა იმ ადგილს, რომ პატრონმაც კი ვერ მოახერხა ახლოს ნიკარება.

— გაუსინჯავად ყიდვა არ შემიძლია, — გამოუცხადა მყიდველმა.

— ეგ შენი საქმეა.

დურგალი და მყიდველი ერთმანეთს ლაპარაკში ისე შეებნენ და

გაცხარდნენ, რომ საცემრადაც კი მიიწიეს. ხმაურობაზე მეზობლები მოცვივდნენ და ძლივს გააშველეს.

— შენ თვითონ თხა ხარ, — ლანძღავდა მყიდველი დურგალს. — ომ კიბის ქვეშ ერთად უნდა იცხოვროთ.

ასე ჩაეშალა დურგალს ქოხის გაყიდვა. ახლა კი ძალიან გაუწყრა იმ ჯიუტ ბებერ თხას. რათ მინდა რომ ეს თხა ტყუილ-უბრალოდ მიგდია სახლში! მამალს მაინც შევჭამ, მურია სახლს დარაჯობს, ციცუნია თაგვს იჭერს და თხა კი რის მაქნისია!

რამდენსაც უფრო მეტს ფიქრობდა, იმდენად უფრო რწმუნდებოდა, რომ თხა მეტი ბარგია და თითქოს უშლის კიდეც ყველაფერში. ამის გულისათვის მეზობლებიც მოიმდურა. დურგალი უფრო იმიტომ ჯავრობდა თხაზე, რომ სახლის გაყიდვა შეუშალა.

— სულ ამ წყეულის ბრალია, მყიდველი გამიქცია, — იძახდა დურგალი, — კინაღამ მეც რქებზე ამაგო... მოიცა, მე შენ გიჩვენებ! მომიგონებ ხოლმე, შე ჯიუტო პირუტყვო!

თქვა და კიდეც აასრულა: თხა დაიჭირა, კისერში თოკი მოაბა და გასასყიდად წაიყვანა. თხა არ მისდევდა, ჯავრობდა, ჯიუტობდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. მეტადრე მაშინ, როდესაც დურგალს მეზობლები მოეშველნენ. ისინი ემტერებოდნენ თხას და უხაროდათ, რომ თავიდან იშორებდნენ.

— წაათრიე, — ყვიროდნენ მეზობლები და სცემდნენ, — ჩვენც მოვისვენებთ. — შარშან ამ წყეულმა ერთ დედაკაცს ორი კბილი ჩაამტვრია.

იმას კი არავინ არ იგონებდა, რომ იმ დედაკაცმა საწყალ თხას ორჯერ მდუღარე წყალი გადაასხა. ის დიდი ხანია ამგვარ უსამართლობას შესჩვეოდა და მეზობლების ლაპარაკს ყურადღებას არ აქცევდა. იმათ უთუოდ არ იცოდნენ, რომ სხვა თხები უარესები არიან, ბევრად უფრო უარესები.

თხა მაინც გასაყიდად წაიყვანა, მთელი დღე დაალამა, მაგრამ მყიდველი არ გამოჩნდა. დურგალი ამაზე უფრო გაჯავრდა, რომ ეს რა პირუტყვია, რომ მუქთადაც კი არავის არ მიჰყავსო, და გაჯავრებულმა რამდენიმე წიხლი წაჰკრა.

— შენი გულისთვის მთელი დღე დავაბანდე.

— მე შენთან ლაპარაკი არა მსურს.

— კარგი, მოიცადე, მე შენ გიჩვენებ სეირს!

როდესაც მყიდველები წავიდ-წამოვიდნენ, დურგალმა თხა თავის ნაცნობ ვაჭართან მიიყვანა, ეზოში შეიყვანა და თხას ქება დაუწყო.

— მადლიერი დამრჩებით, თქვენო აღმატებულებავ, ეს თხა კი

არა — განძია, ისეთი მორჩილი, ჭკვიანი და ნასწავლიც, ამისთანა თხას სანთლითაც ვერ მონახავთ.

— მაქე, უფრო მაქე, — ბუტბუტებდა თხა და კიკინებს აცმაცუნებდა. — ოღონდ ფრთხილად, ტყუილებმა არ დაგახრჩოს...

— მერე როგორი მოხერხებულია, — აქებდა დურგალი, — საჭმელი არც კი უნდა, თვითონვე შოულობს!

— მაგას კი ძალიან სტყუი, — ჯავრობდა თხა, — ერთი კარგად რომ გავძღე, ძალიან მიამება, დიდი ხანია ჩემ კუჭში არა ჩასულა რა.

ვაჭარს თხა ძალიან მოეწონა, საყიდლად სწორედ ამისთანას ეძებდა, ბავშვებიც გაერთობიანო. გარიგდნენ. დურგალმა სამი მანეთი მიიღო, თხა დასტოვა და თვითონ წამოვიდა. დიდი ხანია ამდენი ფული არა ჰქონია და სიხარულით კარგა გამოთვრა.

დურგალს მეორე დღეს რომ გამოეღვიძა, ციცუნია ბუხართან იჯდა და კნაოდა:

— ბიძიავ, თხა ისევ ჩვენსა მოვიდა, ყელზე თოკით მობმული.

— რაც უნდა ჰქნას, ის ჩემი აღარ არის.

ვაჭრის მოსამსახურეები მოვიდნენ და თხა ისევ წაათრიეს.

— რას ჯიუტობ, — გაკვირვებით ეუბნებოდა დურგალი, — იქ მაძღარი მაინც იქნები.

— ეგ ჩემი საქმეა, — უპასუხა გაჯავრებულმა თხამ, — სტუმრად კარგია, მაგრამ სახლში მირჩევნია.

გაიარა ორმა დღემ და თხა ისევ დაბრუნდა. ვაჭრის მოსამსახურენი მოვიდნენ, იმდენი სცემეს, რომ დურგალსაც კი შეეცოდა საცოდავი პირუტყვი.

— კარგი, ნუ ჯიუტობ, — ეხვეწებოდა თხას.

თხამ დურგალს შეხედა და უთხრა:

— აი, შე ურცხვო, შენა!

ჩაფიქრდა დურგალი. სწორედ ახირებული თხაა: იქ არ უნდა დარჩენა, სადაც კარგად ასმევენ და აჭმევენ და აოხრებულ სახლში მორბის; აქ თაგვების სამყოფი საჭმელი არც კი მოიპოვება. შერცხვა დურგალს, საცოდავი თხა კოჭლობით მოვიდა სახლში, მეზობლებსაც კი შეეცოდათ, კიბეს ქვეშ შეძვრა და დაწვა. დურგალმა ერთი ნაჭერი პური სადღაც იშოვნა და თხას მოუტანა.

— აჰა, ჭამე, შე ჯიუტო, შენა!

თხა არც კი გაინძრა, პურს არც კი შეხედა, დურგალს ახლა კიდევ უფრო შერცხვა.

— აი, უენო პირუტყვია და თავისი ძველი ბინა არ უნდა დაჰკარგოს.

აი, ციცუნია, მამალი, მურია, თუმცა მშიერ-მწყურვალენი აღიან,

მაგრამ მაინც თავიანთი ბინა არ უნდათ მიატოვონ. დურგალი ვაჭართან წავიდა და უთხრა:

— თქვენო აღმატებულებავ, რა ვქნა, რომ თხა ისევ ჩემთან დაბრუნდა?

— შენ მე მომატყუილე, ჭკვიანი თხა კი არ მომყიდე, ნამდვილი ეშმაკია. ჩემი მოსამსახურეები მაგის უკან დევნაში მოიქანცნენ, ხელები დაიარავებული აქვთ.

— არა, თქვენო აღმატებულებავ, თხა სრულებითაც სულელი არ არის. — ის ჩემისთანა პატრონზე ბევრად უფრო ჭკვიანია, თავის ძველ ბინას აფასებს და არ უნდა მიატოვოს. დამითმეთ ისევ მე და იმის ფასს მუშაობაში გამოგიბრით.

— თუნდა მუქთად წაიყვანე, ის მაინც აქ არ დადგება.

— არა, მუქთად რათ მინდა.

დურგალი სახლში ისეთი მხიარული დაბრუნდა, რომ დიდი ხანია ის ისეთი არავის არ უნახავს. ილოცა და მუშაობას შეუდგა: ხელეჩო, ხერხი და წალდი ახმაურდნენ. ეზოში ნაფოტი და ბურბუშელა გაჩნდა. მეზობლებს დურგლის სიმღერა მოესმათ, მუშაობს და მღერის.

— ახლა კი ისევ კარგა წავა ჩვენი საქმე, — იძახდა მურია. — ჩვენი პატრონი ისევ მღერის, უბედურება ‹გეცილდა.

თხა თავის კიბიდან გამოძვრა, კიკინები გააცმაცუნა და თქვა:

— მე რომ არ ვყოფილიყავი, ყველანი დაიღუპებოდით.

ერთი წლის შემდეგ სახლის გარშემო ახალი ღობე აიმართა, ახალი კარები, საჯინიბო და ბეღელი. მტრედები მოფრინდნენ, ბეღურები აჭიკჭიკდნენ, ბებერი თაგვი თავის ოჯახობით დაბრუნდა.

— ეს ჩვენთვის, თაგვებისათვის აუშენებია, — არწმუნებდა თაგვი და საჯინიბოს ათვალიერებდა, — არა უშავს რა, როგორც იქნება, მოვთავსდებით. — აკი მაშინ ვუთხარი, რომ ის უჩვენოდ ვერ გასძლებს.

ლინეის სიყმაწვილე

მშვენიერი მაისის დილა იყო, მოკრიალებულ ცაზე მზე ბრწყინვალედ ანათებდა. ჩიტები მხიარულად ჭიკჭიკებდნენ. ათასნაირი ყვავილები თავიანთი სურნელოვნებით ამკობდნენ უიმათოდაც სასიამოვნო ჰაერს. მთელი ბუნება, თითქო გაზაფხულის მოსელით გახარებული, საღღესასწაულოდ იყო მორთული. მეწყალე ჰანსის დუქნის ღია ფანჯარაშიაც შეჰქონდა ნიავს წმინდა სურნელოვანი ჰაერი.

ჰანსის დუქანი იყო შვეციის ერთ ღარიბ პატარა ქალაქის ჭუჭ-

ყიანს ქუჩაზე და თავისი სიღარიბით საშინელს შთაბეჭდილებას ახდენდა გამვლელ-გამომვლელზე; თვითონ დუქნის პატრონის გამუურულ-გაბურძგნული სახე ხომ შიშის ზარსა სცემდა მის შეგირდებს.

დაზგასთან იჯდა რამდენიმე შეგირდი. მათში ერჩეოდა ერთი პატარა ქერათმიანი და ვარდისფერლოყებიანი ბიჭი, რომელიც ქალსავით ნაზი შეხედულებისა იყო. მას მუხლზე წაღა ედო და ელოდა, რომ ამხანაგს დამზადებული წაღის ძირი მიეცა მისაკერებლად. მაგრამ შარლის (ასე ეძახდნენ ქერა ბიჭს) ყურადღება უფრო ფანჯრისაკენ იყო მიპყრობილი, ვიდრე წაღისაკენ. ის ჩაფიქრებული და მოწყენილი გაიყურებოდა. საცოდავი ბავშვი სულ თავის ოჯახზე ფიქრობდა.

შარლის მამა, პასტორი ლინეუსი ძალიან შეწუხებული იყო შვილის სიზარმაცით, რომელსაც სწავლა ისე არ ეხალისებოდა, როგორც ყვავილებისა და მცენარეულობის მოვლა. მამამ შარლი მიაბარა მეწაღე ჰანსს და შეეხვეწა, ნუ დაზოგავ, რამდენიც გინდა ამუშავე და ხელობა შეასწავლეო. და აგერ წელიწად-ნახევარია, რაც შარლი მეწაღეობას სწავლობს. ამ ხნის განმავლობაში ჰანსი შარლს ხშირად სჯიდა ხოლმე სიზარმაცისა და უხეირობისათვის.

ამ გაჭირვებაში შარლმა შეიძინა ერთი მეგობარი, რომელიც მის გაფუჭებულ საქმეს ასწორებდა ხოლმე და მაგიერად შარლი თავის მეგობარს მშვენიერ ამბებს უამბობდა ყვავილებისა და მცენარეების შესახებ.

ამ დილას შარლის ყურადღება ძალაუნებურად მიიპყრო ერთმა სუფთად ჩაცმულმა დედაკაცმა, რომელმაც დუქანში შემოსვლისთანავე ჰანსს მიმართა შემდეგი სიტყვებით:

— ოსტატო, ჩემი ბატონი, ექიმი როტმანი, სასაცილოდ აიგდეთ, თუ რა ამბავია ეს? შეხედეთ, ორივე წაღა ერთი ფეხისა შეგიკერავთ!

ხარაზმა წაღები დაათვალიერა, მიუბრუნდა შეგირდებს და სიბრაზით წამოიძახა:

— ვინ შეკერა ეს წაღები? ამას დიდი ფიქრი არ უნდა, ეს უთუოდ შენი საქმეა, შე უქნარავ. საზიზღარო! — დაიღრიალა ჰანსმა და გაექანა შარლისაკენ.

დედაკაცს უნდოდა გამოსარჩლებოდა, მაგრამ ჰანსმა მას ხელი ჰკრა და რამდენჯერმე კაი-კაი მიარტყა საცოდავს შარლის კისერში.

— ნუ სცემ მაგ ბავშვს, — უთხრა როტმანის დედაკაცმა, — ჩვენი საქმე ახლა სხვას მიეცი. აი, ფეხსაცმელს დაგიტოვებ და გადააკეთე.

საწყალი შარლი შიშით კანკალებდა.

„ნეტა კიდევ რა სასჯელს მომცემს გულქვა ჰანსი? — ფიქ-

რობდა ბავშვი.—ყველა სასჯელს მოთმინებით ავიტან, ოღონდ ეზოში კი გამიშვას, რომ ჩემს საყვარელ იშვიათ ყვავილს ერთი თვალი გადავავლო. აგერ ორი კვირაა ვუთვალთვალებ, ველი მის აყვავებას და რა უბედურება იქნება, რომ დღეს გაიშალოს მისი კოკორი და მე კი ვერა ვნახო".

— მე შენი შენახვა აღარ შემიძლიან, — უთხრა ბოლოს ჰანსმა,— როგორც კი ამ საჩქარო საქმეებს გავათავებ, მაშინვე გაგისტუმრებ. მანამ კი რვა დღის განმავლობაში წყალსა და პურის მეტს არაფერს მოგცემ.

— მე სწორედ სასჯელის ღირსი ვარ, — უპასუხა შარლმა. — მხოლოდ გთხოვთ ნება მამეცით, რომ ეზოში გავიდე და იქა ვჭამო პური.

— რაც გინდა ჰქენ, — უთხრა ჰანსმა დამშვიდებით, — თუ გინდა შენი მცენარეები და ყვავილებიც დაათვალიერე, არავინ გიშლის.

გახარებული შარლი ისე საჩქაროდ გავარდა კარში, რომ პურის წაღებაც კი გადაავიწყდა და გაეშურა თავის საყვარელ ყვავილისაკენ და ოჰ, საყვარელო! რა ბედნიერება იგრძნო! ლამაზი მწვანე ხაზები ჰქონდა ზედ შუაზე გადავლებული.

სიხარულისაგან აღტაცებული შარლი დიდხანს შეჰყურებდა და შეჰხაროდა ამ ყვავილებს, უცებ ჰანსის ცოლის უკმეხმა ხმამ გამოაფხიზლა.

— დროა, რომ სახლში შემოხვიდე, შე ზარმაცო!—უყვიროდა ის.

ჭუჭყიან დუქნის ჰაერის მოგონებამ და ოსტატის მუჯლუგუნების წარმოდგენამ შარლს შიშის ზარი დასცა და თითქო გაამხნევა. მან საჩქაროდ მოიგლიჯა ტყავის წინსაფარი, გადისროლა და მინდვრისკენ გაიქცა. როდესაც კარგად მოშორდა დუქნის არემარეს, გავიდა მინდორზე და დარწმუნდა, რომ ვეღარავინ მომეწევაო, შარლი შეჩერდა და დაუწყო თავის საყვარელ მცენარეებს სინჯვა.

— დიახ, მცენარეებიც ცხოვრობენ, ჩვენსაებ იმათაც აქვთ გრძნობა, — ბუტბუტებდა შარლი, — ისინიც იბადებიან, იზრდებიან, როგორც ჩვენ. ჩვენ რომ ვუვლით და ვზრუნავთ მათთვის, იმის სამაგიეროდ ისინი თავიანთი სურნელოვანებით გვატკბობენ და მრავალს ნაყოფს გვაძლევენ.

— ძალიან მოტრფიალე ყოფილხარ ყვავილებისა, ყმაწვილო! — მოისმა ვიღაც კაცის მხიარული ხმა.

შარლი მიბრუნდა და დაინახა ხანშიშესული კაცის ალერსიანი სახე.

— შენ ძალიან გიყვარს ყვავილები, ჩემო კარგო? — ჰკითხა უცნობმა შარლს.

— ოხ, ძალიან მიყვარს! — შეჰყვირა აღტაცებით ყმაწვილმა. — ყვავილებია მუდამ ჩემი საფიქრებელი, ბატონო. მთელ საღამოებს და ღამეებსაც იმათ შესწავლაში ვატარებ. მე ვიცი, რომელი ყვავილი როდის გაიშლება! ოხ! უცნობო ბატონო, რანაირად მინდა, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირო ყვავილებისა და მცენარეების შესწავლას!

უცნობი ძალიან გააოცა შარლის სიტყვებმა.

— მე ვხედავ, რომ შენ სამაგალითო ბავშვი ხარ და დიდი სურვილი გაქვს საყვარელი საგნის შესწავლისა, ჩემო პატარავ, — უთხრა უცნობმა, — მე ექიმი როტმანი ვარ. შენი სახელი?

— მე შარლ ლინეუსი მქვიან, — უპასუხა შეშინებულმა ყმაწვილმა, რადგან ექიმ როტმანის გვარმა გაახსენა ბოლონდელი უსიამოვნება ოსტატთან.

— ოჰო! მაშ შენ ჰანსის შეგირდი ხარ? — უთხრა როტმანმა ტკბილის ხმით. — ნუ გეშინიან, მე შენ ძალიან მომწონხარ. მეც ბუნებისმეტყველების მოყვარული ვარ. დღეიდან ჩემთან იცხოვრებ. ჩვენ ერთად მოვაგროვოთ ხოლმე სხვადასხვა მცენარე და ჩემი წიგნებიდან შეგიძლიან შეისწავლო მათი ცხოვრება და აგრეთვე სხვა მეცნიერებაც, რომლისთვისაც, როგორც გეტყობა, შენ გაჩენილხარ.

აღტაცებულმა სიხარულმა ხმა ჩაუწყვიტა ბავშვს, თვალებიდან ღაპაღუპით ცრემლები გადმოუვიდა და პასუხის ნაცვლად როტმანს ხელებზე დაუწყო კოცნა.

თავისი დედ-მამის ნებართვით შარლი გადავიდა ექიმ როტმანთან და დაიწყო ახალი ცხოვრება. ბოლოს კეთილი როტმანის წყალობით ის უნივერსიტეტშიაც შევიდა.

მცენარეების სიყვარულისა და მეცნიერულად მათი შესწავლისათვის შარლს არასდროს არ დაუნებებია თავი. ბოლოს შეიქნა ის განთქმული სწავლული ლინეი, რომელმაც მთელი მეცნიერება გაამდიდრა მრავალი ახალ-ახალი გამოკვლევებით.

საავადმყოფოში

ხუთშაბათია. გილოს მამამ მუშაობას თავი დაანება და საავადმყოფოში თავის შვილის სანახავად წავიდა.

საწყალი ბავშვი ძალიან სუსტად არის, წყურვილი ჰკლავს. დროგამოშვებით სიცხისაგან გამშრალ ტუჩებს ბალახის გამონახარში წყლით ისველებს. ხშირად იმის ღონეც კი არა აქვს, რომ ხელი გააწ-

ვდინოს ჭიქის ასაღებად, რომელიც იქვე ლოგინის გვერდით პატარა მაგიდაზე დგას. სისუსტისაგან გაუნძრეველივ წევს.

მამა რომ დაინახა, ბავშვს სახე გაუბრწყინდა.

— აბა, ჩემო ბიჭიკო, როგორა ხარ დღეს? — ჰკითხა მამამ.

— ცუდად, ძალიან ცუდად ვარ! მე ვგრძნობ, რომ უნდა მოვკვდე.

— მოკვდე, ჩემო საყვარელო, — თქვა ხელოსანმა, — გულს რად მიკლავ, შვილო? — მაგრამ რომ ნუგეში ეცა ბავშვისათვის, რომლის მორჩენის იმედი თვითონაც არა ჰქონდა, დაუმატა: — მოკვდე კი არა, შენმა მომვლელმა და ექიმმა მითხრეს, რომ ბევრად უკეთა ხარ.

— ვკვდები! მე ვგრძნობ, — იმეორებდა ბავშვი,—ჩემო მამიკო, ერთი საიდუმლო უნდა გითხრა შენ.

— რა საიდუმლო?

— ის საიდუმლო, რომ ჩემი შეცდომა გამოვასწორო, მაგრამ მე ვერ მოვესწრები და შენ უნდა გამოასწორო ჩემი დანაშაულობა.

— რა არის, შვილო?

— მას აქეთ რაც აქა ვწევარ, არც დღე და არც ღამე ეს ამბავი მოსვენებას არ მაძლევს. მთელი დღეები თავში მიტრიალებს, მთელი ღამეები თვალწინ მიდგას.

— დამშვიდდი, შვილო, — უთხრა მამამ, როდესაც ნახა, რომ ბავშვი ღელავს და სიცხისაგან თვალები ცეცხლივით ენთება.

— დავწყნარდე! როგორ შემიძლია დავწყნარდე, როდესაც ამისთანა საშინელი დანაშაული გულზე მაძევს.

— დანაშაული?

— დიახ, სამარცხვინო დანაშაული და ცოდვა... მე ქურდობა ჩავიდინე.

— ქურდობა? შენ!

— დიახ, ქურდობა!

— ქურდობა! — იმეორებდა გულნატკენი მამა. — ქურდობა... ვინ დაიჯერებს, რა გაჭირვება გადგა? როგორც შენ ამბობ, მე უნდა გამოვასწორო ის ცუდი საქმე, რომელიც ჩაგიდენია, მითხარი, რამდენი მოიპარე.

— რამდენი ფული?

— ჰო, რამდენი. — ოჰ, მაგას როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჩემი შვილი იქურდებდა, მითხარი, რამდენი ფული მოიპარე, რომ პატრონს გადავუხადო.

— რამდენი ფული! — გაიმეორა ბავშვმა... — არა, აქ ფულის საქმე არ არის. როგორ გაიტარე გულში, რომ შენი შვილი ვისმეს ფულს მოჰპარავდა. არა, მაგრამ მე მაინც ქურდობა ჩავიდინე, გამოვგლიჯე ხელიდან სხვას ის, რაც მისი საკუთრება იყო.

— მაშ რა იყო?

— ახლოს მოიწიე, მამა, და ყური დამიგდე:

ერთი თუ ორი თვეა, კარგად არ მახსოვს, სწორედ ჩემი ავადმყოფობის წინადღით სასწავლებელში ანგარიშის გაკვეთილი გვქონდა. ამოცანა მოგვცეს გასაკეთებლად, აღარ მახსოვს რა იყო, ეს კი მახსოვს, რომ ასჯერ მეტად დავწერე და ვერ გამოვიცანი. ამოცანა დილით მოგვცეს და გაკვეთილის დაწყებამდის უნდა გამოგვეცნო და წარგვედგინა. ჩემს გვერდით სიკო იჯდა, ის პატარა ბავშვი, რომელსაც შენც კარგად იცნობ და რომელიც ანგარიშში ყოველთვის პირველ მოწაფედ ითვლებოდა.

— ჰო, მერე?

— იმისი პირველობა ძალიან მშურდა და მაბრაზებდა. შენ მე დამპირდი, რომ თუ პირველობას დავიმსახურებდი, ჩემი დიდი ხნის სასურველ ორპირიან ჯიბის დანას მაჩუქებდი.

— მერე რა, პირველობა დაიმსახურე და დაპირებული საჩუქარიც მიიღე.

— მე ორივე მოვიპარე: დანაც და პირველობაც, — თქვა გილომ სასოწარკვეთილებით, — მე ვეცადე, პატარა დასვენების შემდეგ გამომეცნო ამოცანა, მაგრამ ვერ მოვახერხე, თითქო ტვინი დამეხშო, მთელი რვეული დავჯღაბნე, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე. რამდენჯერ იმაზე ძნელი და რთული ამოცანა გამიკეთებია, მაგრამ იმ დღეს რაღაც დამემართა. დასვენების დროს, დერეფანში შევედი, სასწავლო ოთახის კარები დაკეტილი იყო. სარკმლიდან გადავძვერი და...

— და?

— ავიღე ფურცელი, რომელზედაც სიკოს ამოცანა ჰქონდა დაწერილი..!

— და გადასწერე?

— განა მარტო გადავწერე!

— მაშ?

— არა, თავის დღეში ვერ გავბედავ ვთქვა, რა სისაძაგლეც ჩავიდინე.

— მაშ კარგი, ჩემო საყვარელო, ნუ იტყვი, დამშვიდდი,—უთხრა მამამ, როცა ნახა, რომ საცოდავი ბავშვი იტანჯებოდა.

— არა, ყველაფერი უნდა გითხრა,—გააგრძელა ქანცგამოლეულმა ბავშვმა. — მე არ მინდა ისე მოვკვდე, რომ ჩემი ჩადენილი სისაძაგლე თან საფლავში ჩამყვეს.

— სისაძაგლე, ჩემო შვილო!

— დიაღ, სისაძაგლე, სიავაზაკე, მინდა უთუოდ, რათიც კი შემეძლება, ჩემი დანაშაულობა გავასწორო. მე მარტო გადაწერა კი არ

ვიკმარე, ორ ადგილას რიცხვიც ისე მოხერხებულად გადავასწორე, რომ ვერავინ ვერ შეამჩნევდა.

— მართლა რომ ძალიან ცუდად მოქცეულხარ, რა ვუყოთ, შვილო!

— ცუდად მოვქცეულვარ? არა მამა, სთქვი რომ საზიზღარი ავაზაკობა და ქურდობა ჩამიდენია. განა მე არ გამოვგლიჯე ხელიდან სიკოს ჯილდო, რომელიც მარტო იმან დაიმსახურა? იქნება იმასაც მამამ საჩუქრად ორპირიანი დანა დაჰპირდა? საჩუქრის მაგივრად საწყალმა ბავშვმა უთუოდ ბევრი საყვედურიც მიიღო. განა ეს სისაძაგლე და ქურდობა არ არის?

— დამშვიდდი, შვილო, როდესაც მორჩები და კარგად გახდები, შენ თვითონ გამოასწორე შენი დანაშაული.

— მოვრჩები? არა, მამა, მე ვეღარ მოვრჩები, უნდა მოვკვდე. ახლავე უნდა გამოვასწორო ჩემი დანაშაული. ის ორპირიანი დანა, რომელიც მე შენ მიყიდე...

— ის დანა?

— ჰო, იმ დანას ჩემს მაგივრად სიკოს გადასცემ და რაც გითხარი, ყველაფერს უამბობ.

— კარგი, შვილო, დანას შენ სახსოვრად გადავცემ. რა საჭიროა ყველაფრის მბობა.

— უთუოდ! უთუოდ საჭიროა, რომ ყველამ იცოდეს: იმისმა დედ-მამამ, მასწავლებლებმა და ამხანაგებმაც კი, რომ ის იყო ჯილდოს ღირსი და თუ ვერ მიიღო, ეს იმ ქურდის ბრალია, რომელმაც უღალატა და ხელიდან გამოგლიჯა.

— კარგი, შვილო, რასაც მთხოვ, ყველაფერს შევასრულებ, მაგრამ პირობა მომეცი, რომ დღეის იქით შენ მაგაზე აღარ იფიქრებ.

— ახლა, რაკი ჩემი დანაშაული გამოვამჟღავნე და ეცდები, რომ გამოასწორო ჩემი დანაშაული, ისე უბედურად აღარ ვიგრძნობ ჩემ თავს. იმედი მაქვს, რომ შემინდობენ, მაგრამ შენ კი, — დაუმატა ბავშვმა და მამას მაგრა მოეხვია საკოცნელად, — შენ კი შემინდე?

— ჩემო, საყვარელო ბიჭიკო!... — თქვა ხელოსანმა.

— შენ კი, რომელიც ეგრეთი პატიოსანი და სამართლიანი ხარ, იფიქრებდი ოდესმე, რომ შენი შვილი ამისთანა სისაძაგლეს ჩაიდენდა?

მამამ ვერაფერი ვერ უპასუხა, მარტო ორი ცვარი ცრემლი გადმოსცვივდა თვალებიდან და შვილის გახურებულ შუბლზე დაეცა.

— ღმერთიც ხომ შემინდობს?

— ჰო, შვილო, ღმერთი ჩვენზე უფრო სულგრძელია.

ამ დროს ზარის რეკაც მოისმა, რომელიც ატყობინებდა მნახველებს, რომ გამოეთხოვონ თავიანთ ავადმყოფებს. მამამ უკანასკნელად გადაჰკოცნა თავისი შვილი და შეწუხებული და დაღონებული იმ აზრით, რომ ვაითუ ცოცხალი ვეღარ ნახოს, ოთახიდან გამოვიდა.

ბავშვი ძალიან მძიმე ავადმყოფი იყო. არც ექიმებს და არც მომვლელებს იმის მორჩენის იმედი არა ჰქონდათ. მომვლელმა შეამჩნია, რომ ბავშვი აღელვებული დიდხანს მამას ელაპარაკებოდა, მაგრამ ხელი ვერ შეუშალა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ესენი უკანასკნელად ხედავდნენ ერთმანეთს.

ბავშვს თანდათან უკეთობა დაეტყო. სრულიად დაწყნარდა, სიცხე გამოუნელდა. ექიმები ამგვარი უეცარი ცვლილებით გაკვირვებული იყვნენ.

კვირას, როდესაც მამა შვილის სანახავად საავადმყოფოში მოდიოდა, საცოდავ კაცს ფეხები უკან რჩებოდა, დარწმუნებული იყო, რომ თავის საყვარელ გილოს ცოცხალს ვეღარ ნახავდა, მაგრამ კარებში მომვლელს შეეფეთა და ამან ახარა შვილის კარგა მყოფობა.

მართლაც, გილო მალე მორჩა და საავადმყოფოდან გამოვიდა. სიკო და გილო ისე დამეგობრდნენ, რომ უერთმანეთოდ ვეღარ სძლებდნენ.

ტახი

ჩინური ზღაპარი

დიდიხანია მას აქეთ ერთ ჩინურ ქოხში ცხოვრობდა მოხუცი ბებია თავისი შვილიშვილით.

ერთხელ ბებია ტყეში წავიდა ფიჩხის მოსატანად. უკან რომ ბრუნდებოდა, გზაზე დაინახა შაქრის ლერწამი, აიღო და საჩქაროდ ჩასტენა ფიჩხის კონაში, რომ მიეტანა სახლში და ამითი შვილიშვილი გაეხარებინა. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა ვერც კი მოასწრო, რომ უცბად საიდანღაც გაჩნდა დიდი ტახი და წინ გადაეღობა.

— მამეცი შაქრის ლერწმის შტო, გზაზე რომ იპოვნე! — დაუყვირა ტახმა და ბრაზიანი თვალებით მოხუცს შეხედა.

— ვერა, ვერ მოგცემ! — უპასუხა მოხუცმა, — ჩემი შვილიშვილი დიდის სიამოვნებით სწუწნის ხოლმე შაქრის ლერწამს და მინდა იმას უთუოდ საყვარელი საჭმელი მივუტანო... შენ თვითონ მოიფიქრე, ჩვენ ხანში განა ადვილია დაღუნვა ძირს და აღება, მეტადრე

მაშინ, როდესაც ზურგზე ამისთანა მძიმე ტვირთი აკიდებული მაქვს. მე მაინც დავიღუნე, რომ ბავშვს ვასიამოვნო.

— მაშ, შენ, ბებია, უარს მეუბნები და ლერწამს არ მაძლევ?

— დიახაც არ მოგცემ.

— კარგი, იცოდე, რომ შენ შვილიშვილს სიკეთე არ დაეყრება... მე ამაღამ ქოხში შემოგივარდები და ბავშვს ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევ.

მოხუცს უნდოდა რიღაცის თქმა, მაგრამ ტახი უცბად გაჰქრა. როგორც კი სახლში მოვიდა, მოხუცმა ჰძიმე ტვირთი ზურგიდან მოიხსნა და საშინელი ტირილი მორთო, შვილიშვილი ეცოდებოდა...

მოხუცი ბევრსა ცდილობდა გამოეგონა რაიმე საშუალება, რომ ბავშვი განსაცდელისაგან დაეხსნა, მაგრამ ვერაფერს ვერ ახერხებდა.

— ბებია, რა გატირებს? — მოესმა ვიღაცის ხმა ქუჩიდან. მოხუცმა სარკმელისაკენ მიიხედა და თავისი ნაცნობი მეწვრილმანე დაინახა. მოხუცმა თავისი თავგადასავალი მოკლედ უამბო.

მეწვრილმანემ თანაგრძნობით თავი გაიქნია.

— ვერაფრის შველა ვერ შემიძლიან, — უპასუხა მეწვრილმანემ და უთუოდ უნდოდა ნუგეში ეცა მოხუცისთვის, ამოიღო და ერთი თოფი ნემსი აჩუქა. მოხუცმა კეთილ მეწვრილმანეს მადლობა გადუხადა და მთელი თოფი ნემსი დაასო კარების ქვემო ნაწილს. დაჯდა და ისევ ტირილი მორთო.

— ბებია, აგრე მწარედ რად სტირი? — ჰკითხა ქუჩაში მიმავალმა კიბოს გამყიდველმა.

მოხუცმა თავის მწუხარება ამასაც უამბო.

— რა საშინელი ამბავია! — უპასუხა კიბოს ვაჭარმა: — მინდა კიშველო რამე, მაგრამ ვერაფერი ვერ მომიხერხებია.

ამ სიტყვებით ვაჭარი გამოესალმა მოხუცს და როდესაც ქოხიდან გამოდიოდა, ნება სთხოვა, ნახევარი თავისი კიბოებისა დაეტოვებინა მისთვის. მოხუცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და კალათიდან კიბოები ქვაბში გადააწყო, წყალი დაასხა და ქვაბი კარებში ჩადგა და მერე ხელახლა ტირილი მორთო.

— ბებია, რა დაგემართა, რად სტირი? — ჰკითხა მოხუცს ერთმა ახალგაზრდა გლეხმა, რომელიც რქებზე თოკმობმულ მოზვერს მიათრევდა.

— როგორ თუ რა მატირებს! — თქვა ბებიამ და თავისი ამბავი ღაწვრილებით უამბო.

— ამაღამ ამ მოზვერს აქ დაგიტოვებ; როდესაც ტახი მოვა, მარტოკა მაინც არ იქნები.

მოხუცმა ხარი ქოხში შეიყვანა, საწოლთან მიაბა, თივა დაუყარა და ისევ მოწყენილი ჩამოჯდა სარკმელთან.

— ბებია, ნუ სტირი! — მოესმა პატარა ბიჭის მხიარული ხმა ჭუჩიდან: — უთუოდ ის ტახი, რომელიც შენ შეგხვდა უბრალო მხეცი კი არ იყო, ვინმე ავი სული იქნებოდა. ცრემლით ვერაფერს გააწყობ, იმასთან ბრძოლა ძნელია, მეც კი ვერ შევძლებ, აი, თუ გინდა დაიტოვე ეს ამერიკული ნიანგი, რომელიც დიდ ხვლიკს მიეგვანება, ეს არის ახლა დავიჭირე, ვინ იცის, იქნება რითიმე დაგეხმაროს.

ბავშვის სიტყვებმა მოხუცი ძალიან ანუგეშა, არ უნდოდა ეწყენინებინა და საჩუქარი მიიღო, თუმცა ფიქრობდა, რომ არაფერს უშველიდა.

ტიროდა, ტიროდა და ტიროდა საწყალი მოხუცი, სანამ იმის ქოხის წინ ორი კაცი არ შედგა: ერთი საფქვავი ქვის გამყიდველი იყო და მეორე ჭის მთხრელი. ბებიამ მოიხმო ისინი და თავისი შიში და მწუხარება გაუზიარა. პირველმა თანაგრძნობის ნიშნად ყველაზე მოზრდილი წისქვილის ქვა აჩუქა, მეორემ კი სთხოვა ნება, ჭას შუქთად ამოგითხრიო და მაშინათვე მუშაობას შეუდგა. ჭა იმდღესვე მზად იყო.

ბინდისას მოხუცი იმისთანა შიშმა აიტანა, რომ ქოხში შესვლას ვერ ბედავდა და როდესაც დაინახა ქაღალდის გამყიდავი, რომელიც თავის დუქნიდან სახლში მიდიოდა, ხვეწნა დაუწყო: ჩემთან დარჩიო და ტახის დაცემისაგან დამიხსენიო.

— არ შემიძლიან, — უპასუხა ვაჭარმა, — სახლში მეჩქარება.

წასვლისას ბებერ დედაკაცს, თვითონაც არ იცოდა რისთვის, მისცა ერთი დიდი ფურცელი ქაღალდი და მიაძახა:

— აჰა, აიღე, აიღე ეს ქაღალდი — ძვირფასია.

„რათ მინდა", — იფიქრა ბებერმა და ქაღალდი ჭაში უნდოდა ჩაეგდო, ჭისაკენ გადაისროლა, ქაღალდი გადიშალა და ჭაში ჩავარდნის მაგივრად ზედ ჭას გადაეფარა.

სულ დაღამდა. ბებერი ძალაუნებლივ ქოხში შევიდა. საცოდავი მოხუცი კანკალმა აიტანა. დიდხანს ფიქრობდა, როგორ დაეცვა თავისი საყვარელი შვილიშვილი. შიგნიდან კარები მაგრად გადარაზა და დიდი ლოდები მიადო. მერე ბავშვი დააძინა და თვითონ საწოლზე ჩამოჯდა და საშინელ სტუმარს მოელოდა. სწორედ ღამის თორმეტ საათზე კარებს მოადგა ტახი და მტვრევა დაუწყო. რამდენიც უფრო კარებს აწვებოდა, ნემსები უფრო ღრმად და ღრმად ესობოდნენ კანში და ჩხვლეტდნენ ისე, რომ სიმწარით საცოდავად ღრიალებდა. ბევრი ბრძოლის შემდეგ კარებმა ვეღარ გაუძლო და შეამტვრია, ტახი ქოხში შევარდა დაღალული და დაქანცული.

კარებს უკან ქვაბი დაინახა, ეგონა, რომ ამ დიდ ქვაბში წყალია

და რადგან მეტის ბრძოლით ძალიან მოსწყურდა, დაეწაფა. როგორც კი პირი ჩაჰყო ქვაბში, კიბოები დაესივნენ ენაზე, ცხვირზე, ტუჩებზე და ყურებზე კბენა დაუწყეს. გაბრაზებული ტახი სიმწარით იატაკზე დაეცა და გორაობა დაიწყო. მაგრამ აქაც ბედმა უმტყუნა, მოზვერი, რომელიც საწოლთან იყო მიბმული, დაეტაკა, რჩოლა დაუწყო და სულ გვერდები დაუზილა. ნიანგი კისერზე შეახტა, სისხლის წოვა დაუწყო. გამწარებული ტახი ქოხიდან გამოვარდა.

— მე ასე ადვილად არ მოვითმენ ამოდენა შეურაცხყოფას, — ყვიროდა გაბრაზებული ტახი. თუმცა საშინელ ტკივილებს გრძნობდა, მაგრამ გადაწყვიტა, რომ ტყეში არ წავიდოდა, სანამ ამ შეურაცხყოფისთვის სამაგიეროს არ გადუხდიდა.

შეშინებული აქეთ-იქით იყურებოდა და როდესაც ჭის პირას თეთრი გაშლილი ქაღალდი დაინახა, გადაწყვიტა, წამოწოლილიყო, დაესვენა, ძალ-ღონე მოეკრიბა და მერე სამაგიერო გადაეხადა. როგორც კი ქაღალდზე ფეხი დადგა, ქაღალდი გაიხა და ტახი თავდაყირა ჭაში ჩავარდა.

ბებია სიხარულით აღარ იყო. ის სარკმლიდან თვალს ადევნებდა და როცა დაინახა, რომ ტახი ჭაში ჩავარდა, საჩქაროდ კარში გამოვარდა და ჭას საფქვავის ქვა დაადო, ასე გადაარჩინა სამუდამოდ ბებიამ თავისი შვილიშვილი საშინელ მტრისაგან.

— არ მეგონა, რომ ამისთანა უმნიშვნელო და უბრალო საგანი, როგორც ერთი ფურცელი ქაღალდია, ამისთანა სიკეთეს ბიზამდა და სამუდამოდ ჩემ შვილიშვილს დაღუპვისაგან გადაარჩენდა, — თქვა ბებიამ და დამშვიდებული ქოხში მოსასვენებლად შევიდა.

ყვავი

თქმულება

როდესაც დუნკანმა თავისი შვილი დაასაფლავა, ჩაიკეტა თავის ოთახში, არავის არ ელაპარაკებოდა და საქმელსაც კი არ ეკარებოდა. მის მეგობრებს და მოსამსახურეებს უკვირდათ, რომ აქნობამდის არაფერ განკარგულებას არ აძლევს ოლაფის შესახებ და ეგონათ. რომ უთუოდ რაღაც საშინელ სასჯელს თუ უმზადებს, მაგრამ შემცდარი იყვნენ. დუნკანი ოლაფის მოკვლას ვერ ბედავდა იმიტომ, რომ ყვავის სიტყვები სჯეროდა, ყოველთვინ, როცა კი ოლაფს მკვლელს უიახდნენ, საშინლად ყვიროდა და ყრანტალებდა.

ერთხელ დუნკანი ოთახში დადიოდა, ყვავი კი სავარძლის თავზე იჯდა და ნაღვლიანად ჩხაოდა.

— რა გინდა? გაჩუმდი!.. — დაუყვირა დუნკანმა.

ყვავი ცოტა ხანს გაჩუმდა და ისევ მოწყენილი ყრანტალი დაიწყო.

— რა გინდა? — ჰკითხა დუნკანმა და იმის წინ შესდგა, — აბა, რა გინდა? თავი დამანებე. მე მინდა იმის შურისძიებით დავსტკბე! იმან ხომ ჩემი ერთადერთი შვილი და ნუგეში წამართვა.

— ტყუილია, — დაიჩხავლა ყვავმა და ფრთები შეიფერთხა.

— შენ თვითონ ნახე?

— ვნახე, — უპასუხა ყვავმა.

— მაშ ვინ იყო, თუ ის არა?

მაგრამ ყვავს მკვლელის დასახელება არ შეეძლო, მხოლოდ გაჯავრებულმა წამოიყვირა და ნისკარტით დაუწყო სავარძლის ხეს ცემა.

— წადი, გაფრინდი, ნახე რას აკეთებს ოლაფი, — უთხრა დუნკანმა.

ყვავი გაფრინდა სასახლის უკანასკნელ კოშკისაკენ, საცა ოლაფი დამწყვდეული იყო. იმას სადგომში მარტო ერთი სარკმელი ჰქონდა, რომლიდანაც მარტო პატარა ნაჭერი ცა მოჩანდა, სარკმელს არც შუშა ჰქონდა და არც დარაბა, გარდა მავთულის ბადისა. ყვავი ბადეზე ჩამოჯდა.

ოლაფი იატაკზე იჯდა, თავის ტანისამოსიდან პატარა ნაჭერი მოეხია და ცდილობდა სისხლით, რომელიც გაჭრილი თითიდან სდიოდა, დაეწერა რამე, მაგრამ ასოების მაგივრად ნაჭერს ლაქები ემჩნეოდა და ძნელი გასარჩევი იყო.

როცა ყვავის ფრთებმა სინათლე დაუჩრდილეს, ოლაფმა თავი მაღლა აიღო და მოწყენილად ყვავს შეხედა.

ყვავი შეფრინდა ოთახში და ოლაფს თავზე დასტრიალებდა. უცბად ძირს ჩამოფრინდა, მოიტაცა ნაჭერი, რომელზედაც ოლაფი სწერდა, და ისევ ფანჯარაში გამოფრინდა.

ყვავი დუნკანთან დაბრუნდა და ნაჭერი წინ დაუდო. დუნკანი ნაჭერს დააკვირდა და მარტო ერთი სიტყვა ამოიკითხა: მამა.

— უნდა მამას წერილი მისწეროს, — თქვა დუნკანმა, — ვნახოთ, რას ეტყვის.

აიღო ქაღალდი, მელანი, კალამი, ყვავს მისცა და უთხრა:

— წადი, წაუღე.

ყვავი გაფრინდა.

ოლაფს ძალიან გაუკვირდა, როცა პატარა ხანს უკან ყვავი ისევ დაბრუნდა და ნისკარტით ქაღალდი, ბატის ფრთა და მელანი მოუტანა.

— გინდა, რომ წერილი დავწერო? — თქვა მან, — წერილს ვინ წაიღებს? შენ?..

ყვავმა დაიყრანტალა, თითქოს უნდოდა ეპასუხა:

— მე.

ოლაფმა კალამი აიღო და დაწერა:

„მამა! მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ და არ ვიცი, რა მომელის. რაც უნდა მომივიდეს, თუკი ამ წერილს მიიღებ, იცოდე, რომ მოვატყუილეს, მე არა ვარ დამნაშავე ვოლდემარის მოკვლაში“.

ქაღალდი დაკეცა, ტანსაცმელს ვიწრო ნაპერი ჩამოახია და წერილი ყვავს კისერზე ჩამოაბა.

— იცი, სად უნდა წაიღო ეს წერილი? — ჰკითხა მან, — მამაჩემთან, გრაფ სვენთან...

ყვავმა პასუხად დაიყრანტალა, თითქოს ეუბნებოდა:

— ვიცი, ვიცი.

ოლაფმა ყვავს თავზე აკოცა და გამოაფრინა.

ყვავმა წერილი ჯერ დუნკანს მოუტანა. დუნკანმა წაიკითხა, შუბლი შეიჭმუხნა და წერილი ისევ ყელზე ჩამოაბა.

— თუ პასუხი იქნება, შემომიტანე, — უთხრა მან.

ყვავი გრაფ სვენთან გაფრინდა, დუნკანი კი ოლაფთან წავიდა.

— გამოტყდი, — უთხრა მან ოლაფს: — შენ მოჰკალი ჩემი შვილი?

ოლაფს ისე შეეშინდა დუნკანის დანახვაზე, რომ სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა და მარტო თავი გაიქნია.

დუნკანმა მოტყუება მოინდომა.

— გამოტყდი, — გაიმეორა მან, — არ მოგკლავ, არ დაგსჯი!

— მე არ მომიკლავს, — უპასუხა ოლაფმა.

— კარგა მოიფიქრე, — უთხრა დუნკანმა, — სამი დღე მომიცია საფიქრებლად.

საღამოზე ყვავი დაბრუნდა და დუნკანთან შეფრინდა, კისერზე წერილი ჰქონდა მობმული. დუნკანმა წერილი გახსნა და წაიკითხა.

„ მე მჯერა, ჩემო შვილო, იმიტომ რომ შენ არასდროს ტყუილი არ გითქვამს, არ მოგიტყუებივარ, მაგრამ მე შენი დახსნა არ შემიძლიან, რადგან სულელური ფიცითა ვარ შეკრული, შენი ძმა კი არ უარჰყოფს შენს დანაშაულობას“.

დუნკანმა ყვავს უკანვე ჩამოჰკიდა წერილი და ხელი გაუქნია, თვითონ ოთახში დადიოდა აღელვებული.

„შენ არასდროს ტყუილი არ გილაპარაკნია, არ მოგიტყუებივარ“, — იმეორებდა წერილის სიტყვებს...

ყვავი ოლაფთან მოფრინდა და წერილი გადასცა. ოლაფმა რომ

წაიკითხა, იატაკზე გაწვა და მწარედ ტირილი მორთო, მაგრამ ყვავი არ ასვენებდა: ყვიროდა, ჩხაოდა, თავზე აჯდებოდა, ტანისამოსს უკორტნიდა, ბოლოს ნისკარტით კალამი მოიტაცა და გაჯავრებული ქაღალდს არტყამდა.

— რა გინდა? რა გინდა ჩემგან, ჭკვიანო ფრინველო, — ნამტირალევი ჰკითხავდა ოლაფი. — კიდევ წერილი დავწერო? ვის მივწერო? ჩემს ძმას!

— ძმას, ძმას! — იმეორებდა ყვავი.

ოლაფი წამოდგა და თავის ძმას გორმს წერილი მისწერა:

„ძმაო, რაზედა მღუპავ? რა დაგიშავე? თუ იმისი გეშინიან, რომ მამა მომეტებულ ნაწილს თავის სიმდიდრისას მე მიანდერძებს, გეფიცები, რომ მე არაფერი არ მინდა. მე მზადა ვარ, ყველაფერი უკან დაგიბრუნო, ოღონდ კი დამიხსენ სიკვდილისაგან“.

ეს წერილიც დუნკანმა გადიკითხა.

„აი, რაში ყოფილა საქმე!“ — გაიფიქრა მან, როდესაც მემკვიდრეობის შესახებ წაიკითხა.

„ვინ იცის, ორი დღის სიცოცხლეღა დამრჩა“, — გაიფიქრა ოლაფმა, როდესაც იძინებდა.

ყვავმა ღამე ხის ტოტზე გაატარა და როცა გათენდა, სვენის სასახლისკენ გაფრინდა. გორმის ოთახის ფანჯარას დაუკაკუნა. გორმს თუმცა ჯერ კიდევ ეძინა, მაგრამ ყვავის ნისკარტის რაკუნმა ღამოაღვიძა.

— რა გინდა? — დაუყვირა მან გაჯავრებულმა.

ყვავი მაინც არ ისვენებდა. გორმი ადგა, ფანჯარა გააღო და წერილი გამოართვა. წერილს რომ კითხულობდა, სახე ეცვლებოდა, ბოლოს ისე გაბრაზდა, რომ წერილი დახია და გადაყარა.

— წადი, დამეკარგე აქედან! — დაუყვირა ყვავს და ხელი მოუღერა, მაგრამ ყვავი არ გამოფრინდა და საშინლად ჩხაოდა.

გორმის მოსამსახურეებს ამ ხმაურობაზე გამოეღვიძათ.

„რა არის? ოლაფის სული ხომ არ მოფრენილა დასასჯელად“, — გაიფიქრეს მათ.

გორმა ხმალი ესროლა, ყვავი ფანჯრიდან გამოფრინდა. გორმა ფანჯარა დახურა და ისევ დაწვა.

„რა ამბავია? — გაიფიქრეს მოსამსახურეებმა, როდესაც ხმლის ხრიალი გაიგეს, — გორმს თავისი ძმის აჩრდილი ხომ არ ელანდება?“

არ გაიარა ხუთმა წუთმა, გორმს ხელახლა ფანჯარაში კაკუნი მოესმა, ის კედლისაკენ გადაბრუნდა, ყურები დაიცო, თავიდან ფეხებამდის საბანში გაეხვია, მაგრამ ვეღარ დაეძინა, ყვავი ფანჯარას აკაკუნებდა და ჩხაოდა. ბოლოს გორმი წამოხტა, ხმალი აიღო, ფრთხი-

ლად ფანჯარა გააღო და ყვავს გაარტყა. ამ ჯერობაზე ყვავმა თავი ვეღარ დაახწია და ხმალი ფეხში მოხვდა. სიმწარით დაიჩხავლა და გაფრინდა. წყაროზე გაიბანა და დიდხანს ტყეში ისვენებდა. ტკივილი უშლიდა საწყალ ყვავს ჩქარ ფრენას. საღამოზე ძლივს დუნკანის სასახლეში მიფრინდა.

დუნკანმა თავისი საყვარელი ყვავის გასისხლიანებული ფეხი რომ დაინახა, ჰკითხა:

— ვინ დაგკოდა? იმ საზიზღარმა ხომ არა, რომელმაც თავისი ღვიძლი ძმა გასცა?

— იმან, იმან, — უპასუხა ყვავმა.

დუნკანს უნდოდა იარა შეეკრა, მაგრამ ყვავი გაუსხლტა ხელიდან და ოლაფთან გაფრინდა.

— მე ნამდვილად ვიცოდი, ნამდვილად ვიცოდი, — თქვა ოლაფმა მოწყენით, როდესაც ნახა, რომ ყვავს წერილი არ ჰქონდა, — რომ პასუხს არ მომწერს. — თავი ჩაღუნა საწყალმა ბავშვმა და ცრემლებს ძლივს იმაგრებდა.

ყვავი მხარზე შეაჯდა და თავის დაჭრილი ფეხი უჩვენა.

— საწყალო ფრინველო, სად იტკინე? — თქვა ოლაფმა და არ იცოდა, რით დაემშვიდებინა თავისი მეგობარი, დაუყარა თავისი პურის უკანასკნელი ნამცეცები და უკანასკნელი წვეთი წყალი დაუსხა.

ყვავს სრულებით ეს არ ესაჭიროებოდა, ის ისევ ნისკარტით ქაღალდს უკაკუნებდა.

— მე აღარავინ მყავს, რომ წერილი მივწერო, — უპასუხა ოლაფმა, მაგრამ ცოტა ფიქრის შემდეგ ვოლფგანგი მოაგონდა და ოლაფმა დაწერა:

„ვოლფგანგ, მე შენ ყოველთვის ჩემს მეგობრად გთვლიდი და შენთვის ცუდი არაფერი არ მიქნია, შენ როგორ გაიმეორე, რომ მე ნოვკალი დუნკანის შვილი, როდესაც მე არ მომიკლავს? ჯერ კიდევ დროა, რომ მართალი თქვა, შემიბრალე, დამიხსენ. განა სინდისი არ დაგტანჯავს, როდესაც მოვკვდები?“

ოლაფი ყვავს ტკბილად გამოესალმა და ასე ფიქრობდა:

„თუ ესეც არ შემიბრალებს, მარტო ერთი დღე სიცოცხლეა დამრჩენია“.

ყვავმა ეს წერილიც დუნკანს წააკითხა. მთელი ღამე ოლაფის ფანჯარაში ეძინა და დილაადრიანად გაფრინდა და საღამოზე პასუხი მოუტანა.

„გრაფო, — სწერდა ვოლფგანგი ოლაფს, — მე ისე დამნაშავე ვარ შენთან, რომ შენდობის იმედი აღარც კი მაქვს. მაგრამ შენმა

ძმამ დაგვარწმუნა, რომ გრაფი სვენი შენ დასჯას არავის არ გააბედვინებს, ამიტომ შენ დაგაბრალეთ, რომ სხვა დაგვეხსნა. მე შენი ხსნა არ შემიძლიან, რადგან შევფიცეთ ერთმანეთს, რომ საიდუმლო არ გამოვამჟღავნოთ, მე რომ კიდეც გავბედო და მართალი ვთქვა, ვინ დამიჯერებს? მაღალი ღმერთი იყოს შენი შემწე".

როცა ეს წერილი წაიკითხა დუნკანმა, მუშტი მაგიდას მაგრა დაარტყა და თქვა:

— მე რომ ნამდვილად ვიცოდე, რომ ეს სულ მართალია და განგებ არა სწერენ, ჩემს მოსატყუებლად!

ოლაფმა რომ წერილი წაიკითხა, კი არ იტირა, იატაკზე გაწვა, სახე დაიფარა და აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. როდესაც ყვავის ფრთების ფრთხიალი გაიგონა, თავი წამოჰყო და უთხრა:

— ნუ გაფრინდები! დარჩი ჩემთან ამ უკანასკნელ ღამეს.

უცბად ყვავმა უპასუხა:

— ოლაფ! ოლაფ!

იმან პირველად წარმოთქვა იმისი სახელი. ოლაფს ეგონა, რომ გვერდით საუკეთესო მეგობარი ჰყავს და მწუხარება შეუმსუბუქდა.

ღამე ხშირად ეღვიძებოდა, ფანჯარას შეხედავდა და ჰკითხავდა:

— ყვავო, აქა ხარ?

— ოლაფ, — უპასუხებდა ყვავი.

დილით დუნკანი მოვიდა მასთან და ჰკითხა:

— შენ მოჰკალი ჩემი შვილი?

— არა, — უპასუხა ოლაფმა.

დუნკანი დიდხანს გაჩუმებული იყო და ბოლოს უთხრა:

— მე შენი მოკვლა არ შემიძლიან და არც გაგანთავისუფლებ იმიტომ, რომ არ ვიცი, რომელი თქვენგანი მატყუილებს. შენ ჩემ ტყვედ დარჩები იქამდის, სანამ მართალს არ შევიტყობ.

მოხუცს სვენს თავისი შვილი ოლაფი მკვდარი ეგონა. რამდენიც დრო მიდიოდა, იმდენად უფრო და უფრო მოუსვენრად იყო. იმას უნდოდა, შვილის ბედიღბალი შეეტყო და ერთი კიდევ მაინც ენახა. იმას აღარაფერი არ მოსდიოდა თვალში, რაც გარშემო ხდებოდა. მთელი დღეები მარტოდმარტო იჯდა თავის ოთახში. გორმი ყოველდღე იმას იმეორებდა, რომ დროა მოხუცმა გრაფმა თავისი უფლება და მამული გადმომცესო, რადგან იმას არაფერი არა სჭირდება. მეტადრე ძნელი იყო სვენისთვის ღამეები, ძილი არ ეკარებოდა და მარტოკა ეშინოდა. გამოდიოდა ოთახიდან და დერეფანში დადიოდა ხოლმე, თავის შვილის ოთახს მიადგებოდა და უკაკუნებდა. გორმს არ ეძინა, მაგრამ განგებ ხმას არა სცემდა. ძალიან კარგად იცოდა,

რომ მამამისი ერთ და იგივეს ჰკითხავდა, რომელზედაც გორმა პასუხს არ აძლევდა.

ზოგჯერ სვენი თავის მოურავთან შევიდოდა ხოლმე და გათენებამდის იქ იჯდა. იმათ იცოდნენ, რომ მოხუცს უძილობა აწუხებს და არა ჰკითხავდნენ, თუ რისთვის მოვიდა. ბოლოს ერთხელ სვენმა უთხრა გორმს:

— მე შენ მოგცემ მთელ ჩემ სასახლეს და მამულს, ოღონდ კი მითხარი, მართლა დამნაშავეა ოლაფი, თუ არა?

გორმა ავის ღიმილით გაიღიმა და უთხრა:

— კარგი, ქაღალდზე დასწერე, რომ ყველაფერს მე მაძლევ და ბეჭედი დაუსვი, მერე დაიბარე მთელი შენი ქვეშევრდომი გლეხები, მოსახლეები და ყველას გამოუცხადე, რომ დღეის იქით მე ვარ იმათი ბატონი და მერე გეტყვი მართალს.

სვენმა ყველაფერი აასრულა: დაიბარა თავისი ქვეშევრდომი გლეხები, მოსახლეები, კარისკაცები, დააფიცა, რომ ახალ ბატონს დაემორჩილებიან. გორმის მეგობრებს ძალიან უხაროდათ და მოხუცნი კი მწუხარედ თავს აქნევდნენ.

როდესაც ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, სვენმა მოაგონა გორმს თავის პირობა. გორმა უპასუხა:

— მინამ შენ აქა ხარ, ვერაფერს ვერ გეტყვი. ყველანი შეჩვეული არიან შენ მორჩილებას და შესაძლოა ისევ უკან წამართვა მამული.

— ავო შვილო, — უპასუხა სვენმა, — მე ვგრძნობ, რასაც მიპასუხებ... მე მაინც მინდა გავიგო, რასაც იტყვი. ხვალვე გაგეცლები შენ სახლიდან.

მეორე დღეს დილით სვენი სამგზავროდ მოემზადა, დაისურა თავის ქურქი, რადგან შემოდგომა იყო და ციოდა და ხელში სამგზავრო ჯოხი აიღო, შინაურებს გამოეთხოვა, ნება არავის არ მისცა გაეცილებინა. გორმიც გამოვიდა და თან თავისი ცხენი მიჰყავდა.

— მალე დაილაპარაკებ? — მოუთმენლად ჰკითხა მოხუცმა, როდესაც სასახლის უკანასკნელი კოშკი გაიარეს და ტყეს მიუახლოვდნენ, გორმმა გაიღიმა, თითქოს მოხუცის ტანჯვით სიამოვნებდა

— სულელო მოხუცო, — უპასუხა მან, — სულ შენი ბრალია, რაც მოხდა... რაზე მაშინებდი ხოლმე, რომ ჩემ წილ მემკვიდრეობას წამართმევ. — მეც ვეცადე, რომ არავინ შემცილებოდა.

სვენს სიბრაზით თვალები აენთო, შვილს საყელოში მივარდა.

— მაშ შენ იცრუე, როდესაც იმას დააბრალე?..

— რასაკვირველია, — დამშვიდებით უპასუხა გორმმა.

— მაშ ნამდვილი მკვლელი ვინ არის?

— მაგის თქმას არ დაგპირებივარ.

სვენს მეტი სალაპარაკო აღარა ჰქონდა რა შვილთან და მწუხარებით ხელები სახეზე მიიფარა.

გორმი ცხენს შეახტა და უკან სახლში დაბრუნდა.

„ნეტაი დუნკანის სასახლემდის მაინც მივაღწიო. — ფიქრობდა სვენი, — ვიპოვო ოლაფის საფლავი და მერე თუნდაც მოვკვდე“.

ის ნელ-ნელა მიდიოდა, მეოთხედი გზა არც კი ჰქონდა გავლილი, რომ კიდეც დაუღამდა. ახლა მოაგონდა, რომ გზაზე საგზალი არაფერი არ წამოეღო. გარშემო არავინ არ ცხოვრობდა. სვენმა ცეცხლი დაანთო, რომ გარეული მხეცები შეეშინებინა და დაწვა. ღამე თოვლი მოსულიყო და როდესაც გაეღვიძა, დედამიწა თოვლით იყო დაფენილი და დაავიწყდა, რომელ მხრიდან მოვიდა.

მთელი დღე დახეტიალობდა ტყეში და ადამიანის სადგომს ეძებდა. პირში ნატამალი არ მიჰკარებია თოვლის მეტი. მეორე ღამეც იმავე ტყეში მოეწია, ახლა უფრო დაღალული და უნუგეშო იყო. კიდევ ცეცხლი დაანთო და ხის ქვეშ ჩაეძინა.

დილით, როგორც კი თვალი აახილა, დაინახა, რომ იმის გვერდით დიდი შავი ყვავი დახტის. სვენმა იცნო ის ყვავი, რომელმაც შვილის წერილი მოუტანა და უთხრა:

— ყვავო, ოლაფის საფლავთან მიმაცილე.

— ოლაფ, — მოულოდნელად გაიმეორა ყვავმა, აფრინდა და ტოტზე შეჯდა.

სვენს გულმა ძგერა დაუწყო. ადგა, ძლივს ფეხებს მიათრევდა და ფრინველს უკან გაჰყვა. როდესაც მიუახლოვდა, ყვავმა დაიჩხავლა და კიდევ გადაფრინდა. მალე გზაზე გამოვიდნენ. სვენი მიწაზე დაეშვა და თქვა:

— მე მეტი სიარული აღარ შემიძლიან. აქ მოვიცდი, იქნებ ვინმემ გამოიაროს.

ყვავმა რაღაც დაიჩხავლა და გაფრინდა.

მალე გზაზე ცხენოსნები გამოჩნდნენ.

„ვინც უნდა იყვნენ, უთუოდ შეიბრალებენ მოხუცს“, — გაიფიქრა სვენმა.

როდესაც ცხენოსნები მიუახლოვდნენ, სვენმა შეამჩნია, რომ ერთ იმათგანს მხარზე ყვავი უჯდა, კარგა დააკვირდა და დუნკანი იცნო.

რამდენიმე კაცი გარს შემოეხვია, ღვინოსა და საჭმელს სთავაზობდნენ, ვინ არის და სად მიდის?

— თუ არა ეცდები, ეს მოხუცი გრაფი სვენია, — უთხრა ერთმა რაინდმა, რომელიც დუნკანის გვერდით მოდიოდა.

დუნკანი საჩქაროდ ცხენიდან გადმოხტა და მოხუცს მიუახლოვდა.

— მართალია, შენ გრაფი სვენი ხარ? — ჰკითხა მან, — რატომ ეგრე მარტოკა ხარ?

— უთუოდ მწუხარებამ ძალიან გამომცვალა, რომ შენ ვერც კი მცნობ, — უპასუხა სვენმა. — მე შენთან მოვდიოდი, დუნკან, მინდოდა ნება მეთხოვნა, რომ ჩემი შვილის საფლავი მენახა, თუკი ვინმემ დაასაფლავა იგი.

ის პასუხს უცდიდა, მაგრამ დუნკანმა თავი ჩაღუნა და გაჩუმებული იყო. სვენმა ღრმად ამოიოხრა, მერე ტანში გასწორდა და თვალები გაუბრწყინდა.

— კიდევ უნდა მეთქვა, — განაგრძო მან, — რომ ჩემი ოლაფი არ არის მკვლელი.

— მაშ ვინ არის? — ჰკითხა დუნკანმა. — დამისახელე ნამდვილი მკვლელი!

— იმისი სახელი არ ვიცი, — უპასუხა სვენმა, — მე მხოლოდ აი, რა ვიცი, — და იმან უამბო ყველაფერი, რაც გორმის და იმის შუა მოხდა.

დუნკანი თავჩაღუნული ყურს უგდებდა და მას აღარ უნდოდა შვილის სისხლის აღება; უხაროდა, რომ ოლაფი შეიბრალა და არ დასაჯა.

— დამშვიდდი, სვენ,—უთხრა მან და ხელი მხარზე დაადო.—შენ ჩემზე უფრო ბედნიერი ხარ, შენი შვილი ცოცხალია.

სვენს სახე შეეცვალა.

— მე რომ „მოხუც სვენს" არ მეძახდნენ ოა შენ „სასტიკ დუნკანს", მე მეგონებოდა, რომ დამცინი, — თქვა მან.

— მე არ დაგცინი, სვენ, წამოდით ჩემთან!

მაშინვე უბრძანა, სვენისთვის ცხენი მოერთმიათ და სასახლისაკენ გასწიეს.

მთელი გზა სვენის გულში შიში და იმედი ერთმანეთს ებრძოდნენ. ყვავი წინ მიფრინავდა, თითქოს აჩქარებდა ყველას. ხანდისხან უკან ბრუნდებოდა და ან დუნკანს მხარზე დააჯდებოდა და ან ცხენს თავზე, მერე ფრთებს შეაფრთხიალებდა და ისევ წინ გაფრინდებოდა. ბოლოს სასახლემდის მიაღწიეს. ცხენებიდან გადმოხტნენ. დუნკანმა თავის სტუმარს ხელი დაუჭირა და კოშკთან მიიყვანა.

აი, კოშკის მძიმე კარები გაიღო, ყვავი პირველი შეფრინდა ოთახში და მხიარულად დაიჩხავლა:

— ოლაფ!

ყმაწვილი ტყავზე კუთხეში ეგდო, თავი მაღლა აიღო და სვენმა თავისი შვილი იცნო

სვენმა დიდხანს ვეღარ იცოცხლა. მძიმე ნაღველმა და სიხარულმა ღონე გამოულია. ის დუნკანის სასახლეში გარდაიცვალა საყვარელ შვილის ზრუნვით და ალერსით დამტკბარი.

როცა სვენი დაასაფლავეს, დუნკანმა უთხრა ოლაფს:

— მე შენ ძალიან შემიყვარდი, ოლაფ. დარჩი ჩემთან და ვოლდემარის მაგიერობა გამიწიე.

ოლაფი დათანხმდა. დუნკანმა ისე შეიყვარა, როგორც საკუთარი შვილი და დაავიწყა ბრუნოს და გორმის ჯავრის ამოყრა.

დრუშა

ჯარი თავგამოდებით იბრძოდა შუაღამემდის. დიდ გაჭირვებაში აყენებდა მას ერთ მხრივ საშინელი უზარმაზარი თოვლით შემოსილი მთები და მეორე მხრივ მანტეფელი თავის ჯარით. თუმცა ესენი მარჯვედ იბრძოდნენ ვილერსექსელში, მაგრამ ბოლოს დასუსტდნენ და ცდილობდნენ მტერს ხელიდან გასხლტომოდნენ, ცდა კი ამაო იყო. მტერი ყოველმხრივ გარს შემორტყმოდა.

ერთი იმათგანი შიმშილით დასუსტებული, დაღლილი, გასისხლიანებული შუბლით, სიცივეში ძლივს მიღოღავდა დახლართულ ბილიკზე. იგი ცდილობდა როგორმე გზა გაეგნო, მაგრამ საშინელი ბნელი ღამე იყო. ქარის ზუზუნი ზარბაზნის ყუმბარის გუგუნად ისმოდა.

„გათავდა! მე ვეღარ ვივლი!“ — ბუტბუტებდა ის დასუსტებული და ეძიებდა სადმე მიყრდობილ ადგილს, რომ თავი შეეფარებინა. უზარმაზარი მთები თითქო ეუბნებოდნენ: „მოდი, აქ დაიძინეო“. ჯარისკაცმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე და წამოიძახა: „დავიძინო იქ... აბა, არ შემიძლია!“

ის ისევ შეუდგა გზას, ცდილობდა როგორმე გაეკვლია, მთელი იმედი დაამყარა განთიადს. მაგრამ როდესაც მთებს განთიადის შუქი მოეფინა, შიშის ზარი უფრო დაეცა: საზღვრის მაგივრად, საიდანაც უნდა გაპარულიყო, მტრის ჯარი დაინახა. ჯარისკაცი გაშეშდა პრუსიელები რომ დაინახა და ძალა გამოელია. სამწუხარო და სამარცხვინო ფიქრები წარმოუდგა: „აი, სწორედ ბედია!“ — ამოიკვნესა. ამ დროს შემოესმა ფეხის ხმა.

„დაინახეს უთუოდ .. თოფის ხმამ ჯარისკაცი უფრო გამოაფხიზლა, გაამხნევა. ეცა მთებს და ფორთხვა დაიწყო. ყველაფერი და-

აეიწყა იმ სურვილმა, რომ მტერს როგორმე გასხლტომოდა: „ეს უნდა დავიხსნა“ და გულზე მიიდო ხელი. ამ დროს მოესმა ცხენის ფეხის ხმა. „რა ვქნა, სად დავიმალო?“ — იმეორებდა ის. ძიიხედ-მოიხედა და დაინახა ვაკეზე სახლი იდგა. ეს სასწაული ეგონა. სულ-განაბული მიფორთხდა სახლის კარებთან და დააკაკუნა.

— გამიღეთ, თუ გიყვართ სამშობლო — ჩვენი საფრანგეთი!

რამდენიმე წამი ერთ საუკუნედ ეჩვენა! კარებში კაცი გამოჩნდა. ამათ ერთმანეთს შეხედეს.

— შემოდი...

ჯარისკაცი სწრაფად შეეიდა და სკამზე დაეცა. საცოდავს ხელი გაშეშებოდა და მუხლები მოსწყვეტოდა. ოთახში ახალგაზრდა ქალიც იყო. იგი ახლადდაბადებულ ბავშვს ახვევდა. თან სიბრალულით შე-სცქეროდა შემოსულს. მამაკაცმა შეწუხებულმა გააღო ფანჯარა. მისი ყურადღება უცებ რაღამაც მიიპყრო: „მოდიან!“ ჯარისკაცი საჩქაროდ წამოვარდა.

— აი დროშა! დაიცავით, დამალეთ დროშა! — უბიდან ამოიღო დროშა, რომელიც მტრისათვის წაერთმია და ახლა ეშინოდა იმათ ისევ არ ჩავარდნოდათ ხელში.

ამისათვის იყო, რომ საშინელ ომიში იბრძოდა, ამისათვის გა-მოიპარა ბრძოლის ველიდან, ამისათვის იყო, რომ შესწირა თავისი სიცოცხლე.

მამაკაცი გაშტერებით სინჯავდა თავის ოთახის კუთხეებს, რათა დროშა დაემალა. ჯარისკაცი მისუსტებული დაბჯენოდა მაგიდას. ამ დროს ქალმა აკვნიდან ამოიყვანა ბავშვი. საჩქაროდ გაახვია აბრეშუ-მის სამფერ დროშაში და ისევ აკვანში ჩააწვინა: აქ არავინ დაუწყებს ძებნას! — თქვა მან დამშვიდებულმა.

ასე დაიცვეს დროშა!

თეოფილე კანდელაკი

1855 — 1931

თეოფილე იოსების ძე კანდელაკი დაიბადა 1855 წელს სოფელ გამოჩინებულში (გურია). მისი მამა სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა. თეოფილე მშობლებმა ქუთაისის სასულიერო სკოლაში მიაბარეს, რომელიც 1873 წ. დაამთავრა. იმავე წელს მოეწყო თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ იმდროინდელი სემინარიის მკაცრ რეჟიმს ვერ გაუძლო და მალე თავი დაანება. 1874 წლიდან თ. კანდელაკმა მასწავლებლობა დაიწყო. ერთ წელს მასწავლებლობდა გორის სამაზრო სასწავლებელში, 1875 — 78 წლებში მაჩხაანის (ქიზიყის მაზრა) სკოლაში, ხოლო 1878 წელს გადაიყვანეს ალვანში (იმჟამად თიანეთის მაზრა), ერთი წლის შემდეგ კი, 1879 წელს, მეჯვრისხევის (გორის მაზრა) ორწლიანი სკოლის გამგედ დანიშნეს, სადაც 1905 წლამდე დაჰყო.

1906 — 1918 წლებში თ. კანდელაკს ვხედავთ ქართული ენის მასწავლებლად ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში. 1918 წელს კვლავ გორში დააბრუნეს გორის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორად ხოლო 1924 წელს ხანდაზმულობის გამო გადავიდა პენსიაზე.

თ. კანდელაკი გარდაიცვალა 1931 წელს. დასაფლავებულია გორში.

მასზე შემონახულ სხვადასხვა დოკუმენტთა შორის ერთი საინტერესო დოკუმენტია შემორჩენილი, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ თეოფილე კანდელაკი მოწინავე რევოლუციური იდეების მიმდევარი ყოფილა.

ჟურნალ „რევოლუციის მატიანის" 1923 წლის მეხუთე ნომერში მოთავსებულია შ. დავითაშვილის „მოგონებანი", სადაც ვკითხულობთ: „1878 წლიდან გორის მაზრაში რამდენიმე სახალხო სკოლა დაარსდა და მასწავლებლად ჩემი ამხანაგ-მეგობრები დაინიშნენ: მოსე ნათაძე და შემდეგ თეოფილე კანდელაკი (ს. მეჯვრისხევი), გრიგოლ ყიფშიძე (ქვემო გომი), იოსებ ცხვედაძე (ხოვლე)... ეს მასწავლებლები თავის მოვალეობის გარეშე, ხალხში ტრიალებდნენ და რევოლუციურ აზრებს ავრცელებდნენ, ხალხის ყოფა-ცხოვრებას ყურადღებით ეპყრობოდნენ და ადგილობრივ ადმინისტრაციას არ აჩაგვრინებდნენ..."

თეოფილე კანდელაკი საზოგადოებრივ მუშაობასთან ერთად მწერლობდა კიდეც. იგი ახლო თანამშრომელი იყო ჩვენი იმდროინდელი საბავშვო ჟურნალებისა. წერდა ლექსებს, მოთხრობებს, მეცნიერული ხასიათის პატარა მოთხრობებს, თან-კანის ფსევდონიმით.

თეოფილე კანდელაკის ლექსები მაღალი იდეებით არის გამსჭვალული. პოეტს დედა ყველაზე უმწიკვლო არსებად მიაჩნია და მისი თავდადებული სიყვარული, ზრუნვა და შრომა წმიდათა წმიდად.

თ.კანდელაკს ბევრი ლექსი დარჩა დაუბეჭდავი, სადაც სამშობლოს შესტრფის, ძმობას, ერთობასა და მშვიდობას უმღერის, შრომას აფასებს...

მისი ლექსების ხელნაწერები ინახება გორის საისტორიო მუზეუმში.

დედა და შვილი

ვის უყვარხარ, ბავშვო, ძლიერ,
გიალერსებს, გეფერება:
ვის არ უმძიმს შენი ცელქი
ყოფა-ქცევის შეფერება?
        დედას, დედას! მასზე მეტად
        შვილი ვიღას ეყვარება!

ვინ გიყვავებს, განებივრებს,
ვისთანა ხარ თავისნება;
ვის უკრთება დღე-ღამ ძილი
შენის ფიქრით, ჯავრით დნება?
        დედას, დედას, ჩემს დედიკოს,
        მასზე ტკბილი ვინ იქნება?

ვინ მოგითხრობს ლექსს, არაკებს,
ვინ დაგმღერის ტკბილ ნანინას?
ვის შესტირებ შენს დარდს, ნაღველს,
უზრუნველად ვისთან გძინავს?
        დედის, დედის კალთაში და
        ძუძუებში ვპოვებ ბინას!

როცა ურჩობ, შრომის ნაცვლად
ცელქობ, სწავლა გეზარება,
ცრემლს ვინ აფრქვევს? შენი ცუდი
ქცევა ვიღას ეჯავრება?
        დედას, დედას! მასზე უფრო
        შვილი ვიღას ეყვარება!

ნატვრა

ნეტავ მოვესწრო, აყვავდეს
გულში დიდი ხნით ნერგული
ძმობა, ერთობა მშვიდობა
და სიყვარული ერთგული!

ნეტავ მოვესწრო, შეგვერთდეთ
ერთ აზრით, ფიქრით, გონებით:
პირი პირს მივცეთ, ხელი ხელს.
არ დავიჩაგროთ მონობით!

ნეტავ მოვესწრო, შევმუსროთ
ორგულ-მოშურნე ძმობისა:
გავწყვიტოთ ჯაჭვი, ბორკილი.
კავშირი ბოროტ მტრობისა!

როდის იქნება იგი დრო,
რომ აგვისრულდეს სურვილი,
რაც რომ ფიქრი გვაქვს, განზრახვა,
მოვიკლათ მისი წყურვილი?

ყვავი და არწივი

არწივმა ერთხელ ყვანჩალას
უამბო თავის წადილი:
მსურს მოვიწვიო სტუმრები
და გავუმართო სადილი.

შენ გთხოვ, მომგვარო, ვინც იყოს
საქები მგალობელიო,
და თუ მაამებს, პატივს ვცემ,
დავრჩები მადლობელიო.

„ადვილი სამსახურია“ —
სთქვა და წავიდა ყვანჩალა.
მახლობელ ხეზე შემოჯდა,
ხრინწიანი ხმით შესჩხავლა.

იქ ფიქრს და რჩევას შეუდგა:
„ვინ წარეუდგინო მასაო?
ბულბულს აქებენ თუმც, მაგრამ
არ მოუწონებს ხმასაო.

სუსტად და ნაზად წრიპინებს,
დაკვნესის როცა მღერისო,
ტანად ხომ ღმერთს არ უქნია,
რა მოსაწონი არისო.

შაშუნას არა უშავს რა,
ტანიც კარგი აქვს, ხმაც მსხვილი.
მაგრამ უმსგავსოდ რახრახებს,
როგორც მოშლილი წისქვილი.

სხვა ჩიტუნებზე რაღა ვთქვა:
ეს შოშიაო... ნიბლია...
ვის ეკადრება, გენაცვათ,
ყველა უენო და ბლუა!

ჩემს ბარტყებს არა უშავს რა.
ვერ დაუწუნებს გალობას,
მოდი და იმათ მოვუყვან,
მივიღებ ქებას, წყალობას“...

სთქვა და წაასხა არწივთან
მომღერლად წყვილი ბახალა...
შემოსხა ხეზე აქა-იქ,
შუაში ჩაჯდა ყვანჩალა.

მორთეს ბარტყებმა ორპირად
არწივის ყურთან ღრიალი;
ყელ-გულს იხევენ, ჩხავიან,
გააქვს კლდე და ღრეს ზრიალი!..

არწივი რომ ყვავს უცდიდა,
ჩასძინებოდა ლოდინში...
ვნახოთ მოესმა უეცრად
რაღაც ღაღავი ლოგინში.

აქეთ თუ იქით ბღარტები
თავს იხეთქავენ, წვალობენ;
ქება-საბოძვარს ელიან,
რომ ასე ტკბილად გალობენ.

ყვავიც ბანს აძლევს შვილებსა,
ხის ტოტზე ეშხით ყვანყვალებს,
კმაყოფილების ნიშნად თავს
უქნევს, ამხნევებს ბახალებს.

რა წამს მომღერალთ დასჩხავლეს
თავიანთ კილო მარტივი,
თავზარი დასცეს მძინარეს
და დააფეთეს არწივი!

„არა, გენაცვა ბატონო,
რისთვისა ჯავრობ ტყვილადო?
ჩემი ქალ-ვაჟი გაახელ
და შეგაქცევენ ტკბილადო!“

„ხმა გაიწყვიტე! როგორ თუ?..
შენცა და მაგ შენს შვილებსა
მაგ უზრდელობის ქცევისთვის
გაგაყრევინებთ სულებსა!

შე ბრიყვო, თუ საქები ხართ
სხვამ ვინმემ უნდა გითხრათო,
თორემ არ იცი ანდაზა:
„თავის ქება ღირს კიტრადო“.

მაგ „ტკბილი“ ხმებით გაართეთ
ისევ თქვენი ძმა ყვავები,
და დიდ წყალობად ჩათვალე,
რომ არ წაგგლიჯეთ თავები!“

მუშის სიმღერა

სამუშაო, სამუშაო
მომეც, ხელი ვანძრიო,
დაუღლელად ქვა-კლდე, მიწა
სულ მთლად გადავანგრიო.

რას მიქვია უქმად ყოფნა,
და ან ვის რას არგია?
ზარმაცი და ხელთ უპყარი
ქვეყნის მეტი ბარგია!

სიქადულად მიმაჩნია
ვინც ბეჯითად ამა ქვეყნად
ჯანს და ღონეს ავარჯიშებს,
აშრომებს და სწურავს ოფლად.

მდიღრად იგი დამისახავს,
თუ აქვს შრომის უნარი!
სიძულვილის ღირსი არის
უსაქმური, მცონარი.

მაშ, მომეცით სამუშაო,
რომ ხელი გავანძრიო,
დაუღლელად ქვა, კლდე, მიწა
სულ მთლად გადავანგრიო!

გამოცანა

იქ ყველანი ტოლებია
და უფლებით თანასწორი,
არ იციან შუღლი, დავა,
არც ღალატი და არც ჭორი.

მთელი დღენი ნავარდობენ,
მაძღარი აქვთ თვალი, გული;
არ თესვენ და არ ვაჭრობენ,
საზრდო აქვთ თვით ბოძებული.

ამ ლაღსა და თავისუფალ
მცხოვრებლებზე ბედნიერი

კმაყოფილი არ მგონია
კიდევ იყვეს სადმე ერი!

სად არის ეს ტურფა მხარე?
და მის მცხოვრებთ რაღა ჰქვია?
გამოცანის გამოცნობა
მკითხველისთვის მიმინდვია.

(ᲒᲠᲝ ᲘᲐ ᲡᲘᲜᲐᲜᲘᲫᲔᲡᲘ)

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

მე თქვენ გაგაცნობთ, ბავშვებო,
ერთ შესანიშნავ დურგალსა, —
თავისთვის მშრომელს მუდამჟამს,
ლაღსა და თავისუფალსა.

ტანზე შავ ქათიბს ატარებს,
წითელ ფაფანაკს თავზედა.
დილიდან დაღამებამდე
შრომობს. მუშაობს ძალზედა!

არც ცულსა ხმარობს დურგალი.
არც ქუსტარას და არც ხერხსა,
მხოლოდ ატარებს ერთადერთს
განუშორებელ სატეხსა.

ამით იკეთებს, სადაც სურს
მარტო თავისთვის ბინასა,
მთელი დღე დაუღალავად
ხეს უკაკუნებს იმასა!

თავს არ იწონებს ხელობით,
როგორც ოსტატი სხვადასხვა,
დაგემალება იმწამსვე,
ახლოს რომ გსურდეს მის ნახვა!

იმითვე ჰპოვებს საზრდოსაც,
როცა მოშივა, ხელათა...
უნდა იცნობდეთ, მგონია...
მოსახლობს ტყეში, ველადა...

(ᲘᲐᲘᲐᲜᲘ)

სამშობლოსათვის თავდადებული

ერთ დროს რუსეთის სახელმწიფოს შავი დღე ადგა. ყოველი მხრიდან მას მტერი ეხვია, დღე-ღამ მოსვენებას არ აძლევდა და დამხობასა და ჩანთქმას უქადდა.

ერთხელ ერთი ამგვარი მტრები, სახელად პეჩენეგები, დაეცნენ რუსეთის ქალაქ კიევს; შემოერტყნენ გარშემო, მოიმწყვდიეს იქაური მკვიდრნი და განძრევის სახსარი აღარ მისცეს. ვეღარც გასვლა მოახერხეს ქალაქიდან და ვერც ამბის გაგზავნა. ხალხი შიმშილითა და წყურვილით იხოცებოდა. იქაური მდინარე დნეპრის გაღმა მცხოვრებმა რუსებმა სცადეს ნავებით კიევში მისვლა; მაგრამ შიშით ვერც ეს მოახერხეს და იქაური ამბავიც ვერა გაიგეს რა. სასოწარკვეთილმა კიეველებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ! ბოლოს ყრილობა მოახდინეს და გამოაცხადეს: „ნუთუ არავინ მოიპოვება ჩვენში ისეთი მოხერხებული და გაბედული, წავიდეს და აცნობოს გაღმელებს, რომ თუ ხვალ არ მოგვეშველებიან, მტრებს უნდა დავმორჩილდეთ?!“

წინ წამოდგა ერთი პატარა ბიჭი და გაბედულად სთქვა: მე გავალ გაღმაო! და მართლაც, აიღო ხელში აღვირი, გამოვიდა ქალაქიდან, მტრების ბანაკისაკენ გასწია და კითხულობდა: ჩემი ცხენი ხო არავის გინახავთო?

ის პეჩენეგების ენაზე ლამაზად ლაპარაკობდა და ამიტომ მტრებს თავისიანი ეგონათ, ვერაფერი ეჭვი ვერ აიღეს. მდინარეს რომ მიატანა, ყმაწვილმა გაიძრო ტანისამოსი, გადაეშვა ზღვა წყალში და ცურვით გაღმისაკენ გასწია. მტრებმა რომ ეს დაინახეს, გამოუდგნენ, დაუწყეს სროლა, მაგრამ ვერა დააკლეს რა, რადგანაც გაღმიდან იმას თვალი მოჰკრეს, ნავით მიეშველნენ და მშვიდობით გაიყვანეს. ყმაწვილმა გააგებინა ხალხს — კიეველების გაჭირვებული მდგომარეობა და უთხრა: თუ ხვალ არ მიეშველეთ, უთუოდ მტრებს დაემორჩილებიანო.

მეორე დღეს, დილაადრიან, ჩასხდნენ ნავებში და საყვირის კვრით გასწიეს ქალაქისაკენ. კიეველებიც სიხარულით მოეგებნენ. მტრებმა იფიქრეს, თვით მეფე მოდის ჯარითო და თხებივით აქეთ-იქით გაიფანტნენ.

ასე გადაარჩინა პატარა ბიჭმა თავისი ხალხი განსაცდელსა და დედოფალი ტყვეობას.

პატარა ხუროები

ვასომ და მიშამ ხუროს ხელობა გამოიჩინეს — სახლები უნდა აეშენებინათ. დაუწყეს თლა ნაფოტებს და შეუდგნენ ხუხულების კეთებას.

— ეჰეეი, მიშა, უნდა იცოდე, რა სასახლეს წამოვეშიმავ! — უთხრა ვასომ, — უშველებელ ორსართულიან ოდაა დავდგაო; ხაოდვილი ქვატალახის ბუხრებს და შუშებიან ფანჯრებს დავატან; ბუხრებში ჩინჩხვრებით ცეცხლს დავანთებ, რომ ბოლი მაღლა მილებში ამოდიოდეს! მეორე სართულზე ასასვლელ კიბეებსაც მივადგამ! ოთახებში ტახტებს, სკამებსა და მაგიდებს ჩამოვამწკრივებ. სასახლის გარშემო ეზოს ტყრუშულ ღობეს შემოვავლებ, ჭიშკარსაც დავატან და შუა ეზოში ჭასაც ამოვიყვან. აბ, ნეტავი სათამაშო ხარები მაინცა მყავდეს, რომ საძნე ურემიც გავაკეთო და ეზოში დავაყენო!

ვასო კიდევ დიდხანს ტიტინებდა ასე სხვადასხვა რამეებზე. ამ დროს მიშა თლიდა და თლიდა გულმოდგინედ ნაფოტებს და მასალებს ამზადებდა. იმან ერთი ოთახი კიდეც გაათავა და გადახურა. ვასომ კი ჯერჯერობით ვერაფერიც ვერ გააკეთა....

სიტყვის ძალა

ერთ კაცს ძვირფასი ცხენი ჰყავდა: ვინც კი ნახავდა, ყველას თვალი ზედა რჩებოდა. გავარდა ამ ცხენის ქება-დიდების ხმა ქვეყნად და საიდან გინდა არ მოდიოდნენ იმის სანახავად.

სხვათა შორის, ერთ უცხოელს მოეწონა ის ცხენი და როგორც უნდა დასჯდომოდა, გადაწყვიტა იმის შეძენა. რას არ დაჰპირდა, რა უღირალი ფასი არ შეაძლია, მაგრამ ვერაფრით ვერ დაითანხმა პატრონი და ვერ გააბედვინა საყვარელი ცხენის გაყიდვა.

მაშინ შემდეგ ხერხს მიმართა: გაიმურა პირის სახე საღებავით, ჩაიცვა ძონძები, შეიხვია ხელ-ფეხი და კისერი დასახიჩრებულ მათხოვარსავით და ასე აბრანძული გაუდგა იმ გზას, რომელზედაც ცხენის პატრონს უნდა გამოეევლო. როცა უკანასკნელი მიუახლოვდა,

ცრუ-მათხოვარი დაჯდა გზის პირას და მიმართა მას დასუსტებულ. და შეწუხებული ხმით:

— ღვთის გულისათვის გამიკითხე დავრდომილი, შორი გზიდან მოვდივარ, მოვიქანცე და აგერ სამი დღეა აქედან ფეხი ვეღარ მოვიცვლია, რომ სადმე ლუკმაპური ვიშოვნო! დამიხსენ სიკვდილისაგან, ღმერთი გადღეგრძელებს!

ცხენოსანს შეებრალა გაჭირვებული კაცი და უთხრა:

— შემომიჯექ ცხენზე, შინ წამომყევი და რითაც შემეძლება, პატივსა გცემო!

— ადგომა არ შემიძლია, ბატონო, მუხლებში ღონე არა მაქვსო!

გულკეთილი ცხენოსანი ჩამოხტა, მიიყვანა ცხენი მათხოვართან და დიდი გაჭირვებით შესვა ის ზედ... მათხოვარი რომ უნაგირზე მოექცა, ცხენს ქუსლი შემოჰკრა, გააქროლა და შორიდან ასე მოაძახა:

— წადი და საცა შენი სთქვა, იქ ჩემიც სთქვიო! მე ის კაცი ვარ, ცხენს რომ გევაჭრებოდი და არ მომყიდე. ახლა გამოეთხოვე სამუდამოდ შენ ცხენსაო!

სახტად დარჩენილმა ცხენის პატრონმა ცოტა ფიქრის შემდეგ დაუყვირა მატყუარას:

— ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი და გთხოვ ყური მიგდოო.

იმან შეაყენა ცხენი. ცხენის პატრონმა უთხრა:

— ცხენი ხომ დამტყუე და მიგყავს; ღმერთმა ისე მოგახმაროს, როგორც მემართლებოდე, მაგრამ ერთ რამეს გევედრები და გთხოვ, ის მაინც ამისრულეო: ნურავის ნუ ეტყვი, რა ხერხით წამართვი შენ მე ეგ ცხენიო!

— რათაო? — ჰკითხა მატყუარამ.

— იმიტომ, რომ ქვეყანა გაიგებს და სხვებმაც რომ გაჭირვების დროს შემწეობა ითხოვონ, აღარ გაიკითხავენ, ვაითუ ესენიც ტყუოდნენო და მაშინ მე გავხდები მიზეზი, რომ ხალხი ერთმანეთს აღარ დაინდობს და გაჭირვების დროს შემწეობას აღარ აღმოუჩენს, რადგანაც ყველას შიში ექნება არ მოტყუვდეს ისე, როგორც მე შენგან მოვტყუვდიო!.. — უთხრა ცხენის პატრონმა.

— ბოროტმა შურმა თვალები დამიბრმავა და გზა მართალს ამაცდინა, მაგრამ მაგ შენმა სიტყვებმა კეთილ გზაზე დამაყენეს, თვალები ამიხილეს და გთხოვ მაპატიო შეცოდება! — უთხრა მატყუარამ ცხენის პატრონს, გადაეხვია, გადაკოცნა და ცხენი უკანვე დაუბრუნა...

ცხენის პატრონმა მიიწვია მატყუარა თავის სახლში, კაი პატივი სცა და ამას შემდეგ დიდი მეგობრები გახდნენ.

მარიამ დემურია

1860 — 1910

მარიამ დემურიაზე უამრავი მასალა არსებობს. მისი სახელი ჩვენს მემუარულ ლიტერატურაში განსაკუთრებული სითბოთი და პატივისცემით არის მოსილი. მას ყველა ნაცნობი და უცნობი სიყვარულით იხსენიებდა. ვისი მეგობარი არ იყო იგი და ვინ არ იყო მისი მეგობარი. ამ მადლიანი ქალის ლამაზად მოწყობილ ოთახში საათობით დაუყვია ბრალიანსა და უბრალოს, ცნობილსა და არაცნობილ ადამიანებს, მწერლებსა და მსახიობებს, მასწავლებლებსა და საზოგადო მოღვაწეებს... მარიამ დემურიას სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული თეატრისა და საბავშვო ჟურნალის „ნაკადულის“ დაარსებასთან. იგი არა მარტო თვითონ მუშაობდა თავაუღებლივ, არამედ სხვებსაც არ ასვენებდა და მათაც ამუშავებდა.

სიმართლეს მეტყველებს მხცოვანი მწერალი ნინო ნაკაშიძე თავის „მოგონებებში“: „მარიამ დემურიას ცხოვრება და მოღვაწეობა იმდენად საინტერესოა, რომ მას ცალკე ასახვა და აღწერა სჭირდება“. ყველა მონოგრაფიას მარიამ დემურიაზე დაამშვენებს თვით ნ. ნაკაშიძის თბილად დაწერილი სტრიქონები, რომელიც მწერალმა მიუძღვნა თავის მასწავლებელსა და საბავშვო მწერლობაში წინამძღოლს მარიამ დემურიას.

მარიამ ივანეს ასული დემურია დაიბადა 1860 წელს ქ. გორში, მარიამის მამა გორის სამაზრო სამმართველოს მოსამსახურე ყოფილა. მას ძლიერ ჰყვარებია ქართული მწერლობა და გალობა. კვირა-უქმე დღეებში გორის მიძინების ტაძარში თურმე მუდამ იგი კითხულობდა საღვთო წიგნებს გარკვევით და თან გალობდა, რითაც მსმენელებს ხიბლავდა. მარიამის დედა კორინთელის ქალი იყო, ფრიად განვითარებული.

მარიამმა პირველდაწყებითი სწავლა გორში მიიღო. ზოგიერთი ცნობით, მარიამ დემურიას წინაპრები თითქოს წარმოშობით რუსები იყვნენ. ეს გარემოება მარიამის სახელს უფრო მეტ ღირსებას ანიჭებს. მან საქართველო არა მარტო მკვიდრ სამშობლოდ გაიხადა, ქართულ ენას არა მარტო ზედმიწევნით დაეუფლა, არამედ მან უდიდესი ამაგი დასდო მუშების განათლებისა და განვითარების საქმეს თეატრის დაარსებით, განსაკუთრებით კი ქართველი ბავშვების ეროვნულ ნიადაგზე აღზრდას. ერთი კი უნდა აღინიშნოს, მარიამის ქართელ აღზრდას ხელი შეუწყო ელიზბარ ერისთავის (1832 წლის შეთქმულების მონაწილე) ოჯახმა, რომელიც დედის მხრივ ენათესავებოდა. მარიამი დედით ადრე დაობლდა, ამიტომ პატარაობიდანვე ერისთავებთან ცხოვრობდა და ელიზბარის ქალიშვილებთან ერთად იზრდებოდა. პატარა მარიამს ერისთავების ოჯახმა ჩაუნერგა ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარული. ერისთავის ქალების დათხოვების შემდეგ[1] მარიამი იძულებული გახდა მიეტოვებინა ამაგდარი ოჯახი. ამ დროს მარიამს მამაც გარდაეცვალა და იგი მოხუცი ბებიას ანაბარა დარჩა. მარიამი დიდ გასაჭირში ჩავარდა, მას გორში თითქმის არავინ იცნობდა, რომ რამით დახმარებოდა. მაგრამ ბუნებით კეთილშობილ

---

[1] ერთი ამათგანი, სახელდობრ ნინო გათხოვდა ქობულაშვილზე. როგორც მარიამის ახლო მეგობარი, ნინო შემდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქურ. „ნაკადულის“ დაარსებაში.

ადამიანს ყურადღება მიაქცია მათე კერესელიძის ოჯახმა, რომელმაც ნამდვილი მშობლობა გაუწია. მათე კერესელიძის მდიდარი ბიბლიოთეკა გორში ცნობილი იყო, ხოლო თვითონ მათეს ოჯახს განათლებული ოჯახის სახელი ჰქონდა მოპოვებული. ამიტომაც მიილტვოდა გორის ახალგაზრდობა მათეს ოჯახში, სადაც ხშირად გაცხოველებული ბაასი იმართებოდა ლიტერატურულსა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. მარიამიც ესწრებოდა ამ საღამოებს და ჰაერივით ისუნთქავდა მოწინავე აზრებს. ამ წრეში აქტიურობდნენ ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური. მათი დახმარებითა და კერესელიძეების რჩევით, მარიამს რაიმე სპეციალური განათლება უნდა მიეღო, ამიტომ იგი გაიგზავნა თბილისში საბებიო ინსტიტუტში. მარიამმა აღნიშნული ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა და როგორც ბებია-ქალს სხვადასხვა ქალაქებში მოუხდა სამსახური, განსაკუთრებით კი ოზურგეთსა და საჩხერეში. მარიამის საჩხერეში ყოფნის დროს იქ გამომძიებლად იყო ვასილ დემურია, რომელსაც მეტად მოეწონა მარიამის სათნოება, გულისხმიერება, ენერგია და შეირთო ცოლად. მალე მათ მოუხდათ ბაქოში გადასვლა სამსახურის გამო. მარიამს ქმარი ადრე გარდაეცვალა, მას დარჩა ორი ვაჟი. მარიამი იშვიათი დედა აღმოჩნდა. მან თავდადებით გამოზარდა შვილები, მისცა ჩინებული აღზრდა-განათლება. მარიამი ქმრის გარდაცვალების შემდეგ მალე გადმოსახლდა თბილისში, სადაც სათავეში ჩაუდგა მუშათა თეატრის დაარსებას და სხვა ათას საზოგადოებრივ მუშაობას.

როგორც ჟურნალი „განათლება" აღნიშნავს, მარიამი საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა 90-იან წლებში: „მას შემდეგ თითქმის არც ერთი საზოგადო საქმე არ ყოფილა, რომ მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს; იყო დევნილთა თანამგრძნობელი, გულკეთილი, ხალხის უზომო მოტრფიალე. 1896 წელს სახალხო თეატრის საქმეთა წარმოებას მოექცა სათავეში, როგორც სცენისმოყვარე-მსახიობი, საქმისმომწყობი, მსახიობთა შემკრები, სარეპეტიციო ბინის მშოვნელი და სხვ. ძნელია კაცმა აღნიშნოს ყოველივე ის, რითაც ფასდაუდებელი იყო მარიამ ივანეს ას. დემურიას ღვაწლი. ერთსა და იმავე დროს რედაქტორობდა საბავშვო ჟურნალს, სწერდა თუ თარგმნიდა საბავშვო მოთხრობებს, პიესებს, წერილებს, თავმჯდომარე და გამგე იყო სახალხო წარმოდგენების წრისა, წევრი იყო სახალხო კითხვების მმართველი საზოგადოების გამგეობისა და მუდმივი დამსწრე თითქმის ყველა საზოგადო კრებისა". ასე მრავალგვარად დაახასიათა აღნიშნულმა ჟურნალმა მარიამის ფართო მოღვაწეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარიამი გამგე იყო სახალხო ბიბლიოთეკისაც.

საზოგადო მოღვაწე გიორგი ლასხიშვილი, რომელიც ღრმა პატივისმცემელი და მეგობარი იყო მარიამ დემურიასი, გულითადად იგონებს მას თავის მემუარებში: „სახალხო თეატრის გამაგრებასა და გაუმჯობესების საქმეშიც, როგორც მის დაარსების საქმეში, უდიდესი ღვაწლი, ვიმეორებ, მიუძღვის მარიამ დემურიასას. მას სწამდა სახალხო თეატრის იდეა და დიადი მნიშვნელობა იმ დროისათვის; უზომო სიყვარულით იყო გატაცებული საქმისადმი და მთელი თავისი ენერგია, რომლით უხვად იყო დაჯილდოებული ბუნებისაგან, ამ საქმეს მოანდომა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახალხო თეატრის ფეხის ადგმისას, მარტო მარიამ დემურიასას ეჭირა ხელში თეატრის ასამოძრავებელი ჩარხი; ის შოულობდა საჭირო თანხას, ის ზრუნავდა სცენისათვის საჭირო მოწყობილობის მოსაპოვებლად, მას მოჰყავდა სცენისმოყვარენი, არტისტები, რეჟისორები, ის ჰმართავდა რეპეტიციებს... რამდენი ენერგია, რამდენი ტანჯვა და დამცირება. ჭეშმარიტად, უზომო სიყვარულმა საქმისადმი შეაძლებინა ამ ადამიანს ყველა ამის გადატანა“.

ასევე გულთბილად ახასიათებს მარიამს მწერალი სოფ. მგალობლიშვილი: „გასაოცარი ენერგიის პატრონი იყო. რაკი ერთხელ ამოიღებდა რომელიმე საქმის შესრულებას მიზანში, ყოვლად შეუძლებელი იყო არ შეესრულებინა... მისმა მუყაითმა, ძლიერმა ენერგიამ, მისმა ძლიერმა სიყვარულმა ფეხზე დააყენა ავჭალის აუდიტორია. ყველა მაშინდელ ახალგაზრდას, ვისაც კი რამ შეეძლო, ყველას თავი მოუყარა და აამუშავა“.

მაგრამ მარიამ დემურიას მოზღვავებულ ენერგიას ეს მუშაობა ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ მან 1904 წელს, ათას წინააღმდეგობათა გადალახვით დააარსა მეტად საინტერესო ჟურნალი „ნაკადული“, რომელიც მხატვრულ-რეალისტური მიმართულებისა იყო.

გ. ლასხიშვილი გადმოგვცემს: „... ცხრაასიან წლებში მარიამ დემურიასამ მეორე დიდი საქმე წამოიწყო. ეს იყო საბავშვო ჟურნალის „ნაკადულის“ დაარსება. ამ საქმესაც უზომო გატაცებით მიეცა. იშოვა გამომცემელი, შეაგროვა და მუშაობაში ჩააბა ბევრი ძველი და ახალგაზრდა მწერალი, მთელი დღეები მოუსვენრად დარბოდა მასალების შესაგროვებლად, მერე სტამბაში, ცინკოგრაფიაში, მხატვრებთან და სხვა“. ჩვენ დავუმატებთ ცენზორებთან სირბილს და ხვეწნას, რათა მათი კლანჭებიდან დასაბეჭდად გამოეხსნა ესა თუ ის მათთვის საეჭვო მასალა, მიმოწერას, ახსნა-განმარტებას ამა თუ იმ მასალის დაწუნების გამო და სხვა აღურიცხველ სარედაქციო სამუშაოს. ყველა ამას მარიამი ასრულებდა.

გ. ლასხიშვილი გულისტკივილით აღნიშნავს: „... ასე იტანჯებოდა

და მოუსვენრად მუშაობდა ეს ქალი. ტყუილად არ ჩაუარა ყველაფერმა ამან. მარიამ დემურიას გულის ავადმყოფობა დასჩემდა და, ბოლოს 1910 წელს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი, უეცრად გარდაიცვალა".

ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე ახლო მეგობარი იყო მარიამისა. იგი ხშირად ნახულობდა მას რედაქციაში. მარიამი კიტას სიკვდილის უკანასკნელ დღეებში უნახავს: „რამდენიმე დღის წინათ, სიკვდილამდის, ვნახე, თავის რედაქციაში იჯდა და ცხარე ცრემლით ტიროდა. დასტიროდა თავის მდგომარეობას, წუხდა იმ საქმეებისათვის, რომელსაც თავი შესწირა. „ვხედავ ვკვდები, — მითხრა მან, — მაგრამ სიკვდილს არ დავეძებ, ოღონდ „ნაკადულისა" და სახალხო თეატრის საქმე მოვაწყო კარგად, ჩემი შვილების სწავლა უზრუნველყო". რაოდენი ნაღველი ისმის მარიამის ამ სიტყვებში. რაოდენი შინაგანი ძალა, საზოგადოებრივი საქმის სიყვარული და ინტერესი ყოფილა ამ ადამიანში, რაოდენად ჰყვარებია საკუთარი და ამავე დროს ქართველი ბავშვები. „ნაკადული" მათთვის დააარსა, მათთვის შრომობდა დღედაღამე, მათ სულიერად ამაღლებასა და გამდიდრებაზე ზრუნავდა. ამიტომაც დაიმსახურა მარიამმა დიდი გლოვა „ნაკადულის" მკითხველებისაგან, რადგან დაკარგეს მათი ბოსიყვარულე მეგობარი.

მარიამ დემურია დასაფლავებულია კუკიის სასაფლაოზე.

ასეთი დიდი საქმეების გამძღოლს, მოუცლელსა და დაუსვენებელ მომუშავეს კიდევ შეეძლო ბევრი ეწერა ბავშვებისათვის? ცხადია, ვერ შესძლებდა, მაგრამ მარიამი დაჯილდოებული იყო მწერლობის ნიჭითაც და მას არ შეეძლო არ დაეწერა და თავის აზრები არ გაეზიარებინა თავისი საყვარელი პატარა მკითხველებისათვის. ამიტომაც მარიამი წერდა არა მარტო პატარა მოთხრობებს, სადაც აღწერდა ღარიბი მშრომელი ადამიანების დიდ შრომას, გადმოსცემდა მათ კეთილშობილ თვისებებსა და ჰუმანიურობას, არამედ იგი კიდევაც თარგმნიდა მოთხრობებს ბავშვებისათვის საყვარელ ცხოველებზე, რომლებიც ადამიანებს დიდ სამსახურს უწევენ.

მაგრამ მარიამ დემურიას, როგორც ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას, ჩვენთვის ერთი სტრიქონიც რომ არ დაეტოვებინა, იგი ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში მაინც დაიკავებდა ღირსეულ ადგილს.

შალვა და თამრო

ერთ პატარა სოფელში, სახელად გრ-ში, მშვენიერ გრილ თიბათვის დილას, წვიმის შემდეგ, შალვა და თამრო დერეფანში ისხდნენ მაგიდასთან და გლეხის გოგო-ბიჭები გარშემო შემოხვეოდნენ.

შალვა და თამრო ობლები იყვნენ: შალვა იყო თოთხმეტი წლისა და თამრო თორმეტისა. მამა ადრე დაჰკარგეს. დედამ შვილები სასწავლებლად მიაბარა თბილისში; თვითონ სოფელში ცხოვრობდა და, რამდენადაც შეეძლო, მხნეობდა. ელენე (ასე ერქვა თამროს და შალვას დედას) სოფელში მთელ გლეხკაცობას უყვარდა. ყველას ტკბილად ექცეოდა და მშობლიურ დარიგებას აძლევდა. იგი იყო აღზრდილი მცხეთის მონასტერში, სადაც წინანდელ დროში თითქმის ყველა კარგი ოჯახის შვილებს ზრდიდნენ. ელენე იყო ღვთის მოყვარე და მცოდნე ხუცური და მხედრული ენისა და წერა-კითხვისა; თითქმის არ იყო წიგნი ქართულ ენაზე, რომ იმას არ წაეკითხა. კეთილმა დედამ თავის შვილებსაც ჩაუნერგა გულში ხალხის სიყვარული და მისმა პატარა შვილებმაც უწმიდეს მოვალეობად ჩასთვალეს დედის დარიგების ასრულება: იშოვნიდნენ თუ არა თავისუფალ დროს, შეჰკრებდნენ სოფლის გოგო-ბიჭებს და ასწავლიდნენ ყველაფერს, რაც კი სკოლაში ესწავლათ.

აი, ახლაც, როდესაც საზაფხულოდ დაითხოვეს ყმაწვილები, შალვა და თამრო სიხარულით გაეგზურნენ სოფლისკენ, რომ ჯერ თავისი კეთილი დედა გაეხარებინათ და მერე გლეხის შვილებისათვის ეზრუნათ. პატარა გოგო-ბიჭებიც ხომ მოუთმენლად ელოდნენ იმათ მოსვლას. და როდესაც დრო დადგებოდა მათი მოსვლისა, წამდაუწუმ აირბენდნენ „ქალბატონთან“, ხან ერთი ეკითხებოდა, ხან მეორე — როდის მოვლენ შალვა და თამროო.

— აი, შვილებო, საცაა მოვლენ, — მიუგო ერთ საღამოს ელენემ პატარა ბავშვებს, რომლებიც აღტაცებით გაექანენ სოფლის ორღობეებისაკენ მათ შესახვედრად.

რა სასიამოვნო სანახავი იყო, როდესაც გახარებულმა სოფლის

გოგო-ბიჭებმა ერთი წივილ-კივილი მორთეს პატარა მგზავრების დანახვაზე. შალვამ და თამრომაც მეგობრულად მისალმების შემდეგ ერთხმად ახარეს: ბევრი წიგნები მოგიტანეთ და ხვალ დილით ყველა ჩვენთან მოგროვდითო.

ელენე შორიდან გადმოჰყურებდა ამ სურათს და გული სიხარულით უცემდა...

მართლაც, როგორც ზემოთა ვნახეთ, მეორე დილით შალვა და თამრო ორ ჯგუფად გაყოფილს ბავშვებს ასწავლიდნენ. შალვა აღტაცებული იყო თავისი მოწაფე ნინიკასაგან: რა კითხვასაც აძლევდა, ყველაზე სწრაფ და გონივრულ პასუხს იღებდა იმისაგან. ამიტომაც ძალიან უყვარდა შალვას ნინიკა და ყოველთვის თავაზიანად ექცეოდა.

შალვამ სწავლის შემდეგ ერთი საინტერესო მოთხრობა წაუკითხა. ბავშვები აღტაცებაში მოვიდნენ; კიდევ ეხვეწებოდნენ შალვას, სხვა წიგნი წაეკითხა იმათთვის, მაგრამ შალვამ აუხსნა, მეტი კითხვა აღარ შეიძლება, ახლა თქვენ თქვენს დედ-მამას უნდა მიეშველოთ მუშაობაშიო. აგრეთვე თამრომაც დაითხოვა თავის მოწაფე ქალები, რომ კალოზე ეშველათ დედ-მამისათვის.

ბავშვები ამის შემდეგ გალომებულნი გაექანენ კალოსაკენ სამუშაოდ და, რასაც წინათ ოთხ საათს აკეთებდნენ, ახლა ორ საათს გაათავეს.

საღამოზე თამრო და შალვაც გაეშურნენ ნინიკას მამის კალოსაკენ და ისინიც შველოდნენ განიავებას და ბზის შეზიდვას. როდესაც გაათავეს მუშაობა, შალვამ და თამრომ კალოზე ფერხული გამართეს და მშვენიერის ხმით მღეროდნენ; შემდეგ თამრო და შალვა თითქმის ყველა ბავშვს ცალ-ცალკე შეჰყვნენ და დაწოლის წინ ლოცვა ათქმევინეს.

ყოველ წელს ამნაირად ატარებდნენ ზაფხულს: სწავლასაც ასწრობდნენ, მუშაობასაც და საღამოს ფერხულის სიმღერით იშლებოდნენ. თამროს და შალვას წამოსვლის დრო რომ მოატანდა ხოლმე თბილისში, სოფლის ბავშვები მგლოვიარედ შეიქნებოდნენ, მაგრამ შალვა ამ სიტყვებით ამხნევებდა იმათ: ვიდრე ჩვენ მეორედ მოვალთ, თქვენ ბევრ გაკვეთილებს მოგცემთ და წიგნებს გამოგიგზავნით; ასე რომ, ჩვენ მეორედ მოსვლამდის ორჯერ მეტი გეცოდინებათ და უფრო კარგი ბავშვები იქნებით, თუ რომ ყველა კარგი წიგნის შინაარსს დაიხსომებთო.

რასაკვირველია, შალვას და თამროს შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა: თუ ისინი სამ თვეს ასწავლიდნენ სოფლის ბავშვებს, სამაგიეროდ, მათი მოწაფეები ცხრა თვეს სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ ყველა

წაკითხული კარგად დაეხსომებინათ და თავიანთი სწავლა სხვებისათვისაც გაეზიარებინათ. რაც დრო მიდიოდა, სოფლის გოგო-ბიჭები უფრო იძენდნენ სწავლას და თანაც შალვასა და თამროსადმი პატივისცემა და სიყვარული უორკეცდებოდათ.

ოცდაათს მარიამობისთვეს საღამოს ექვსს საათზე სოფელ გრ-ის ახლო, რკინიგზის სადგურზე, მთელი სოფლის ბავშვები აცილებდნენ თამროს და შალვას. მეორე ზარის შემდეგ თამრომ და შალვამ ყველანი გადაჰკოცნეს და გლეხის ბავშვებმაც გზა დაულოცეს. დაიძრა თუ არა მატარებელი, ბავშვებმა მშვენიერი ხმით დასძახეს: „მახსოვს პირველად სასწავლებელში“...

ოცი მეგობარი

— ჩემო დედიკო, თუ გიყვარვარ, შენი ჭირიმე, შენთან ერთი სათხოვარი საქმე მაქვს და ამისრულე! — ეხვეწებოდა ვახტანგი თავის დედას.

— რა, ჩემო სიცოცხლე, მითხარ და თუკი შესაძლებელია, განა მე შენ სურვილს არ ავასრულებ?

— იცი, ჩემი ამხანაგი სანდრო დაგლეჯილი წაღებით დადიოდა, ამიტომ დღეს მასწავლებელმა აუკრძალა გიმნაზიაში სიარული. მომეცი ფული, რომ ვუყიდო წაღები.

ვახტანგის კეთილი სურვილი სასწრაფოდ დააკმაყოფილა მოყვარულმა დედამ.

იმ ღამეს ვახტანგს დიდხანს არ დასძინებია სიხარულისაგან, იმ ფიქრით, რომ ამ ამბით მეორე დღეს გიმნაზიაში მოსვლისთანავე გაახარებდა თავის ძვირფას მეგობარ სანდროს.

ვახტანგი იყო თორმეტი წლისა და მესამე კლასის საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. ის იყო სამაგალითო კეთილი ბავშვი და თანაც დაუდგრომელი; მეტად მოძრავი და ცელქი იყო. რაკი გაკვეთილებს მორჩებოდა, რომლებსაც სულ სიმღერით და თამაშობით ამზადებდა, თუ საკითხავი წიგნი არა ჰქონდა, ერთ წამს კაცი წყნარად დამჯდარს, დამშვიდებულს ვერა ნახავდა, კითხვა კი ძალიან უყვარდა. ზოგჯერ იქამდის გაიტაცებდა იმისთანა მოძრავ ბავშვსა, რომ იმის ახლო რაც უნდა მომხდარიყო, არაფერი აღარ ესმოდა, ზოგჯერ კი სწრაფად კითხვას შესწყვეტდა, წამოხტებოდა: ხან ერთს ეცემოდა, გადაბრუნებდა, ხან მეორეს გამოსდებდა ფეხს და მოულოდნელად დასცემდა იატაკზე.

მართალია, ვახტანგი ცელქი იყო. მაგრამ იმ დღიდან, რა დღესაც სასწავლებელში შევიდა, თავისი კეთილი ხასიათის გამო ყველა

მოწაფის საყვარელი შეიქნა. გიმნაზიაში შესვლისთანავე ვახტანგი და სანდრო გამორჩევით დაუახლოვდნენ ერთმანეთს, თუმცა კი დიდი განსხვავება იყო მათ ხასიათებ შორის. სანდრო იყო მშვიდი, წყნარი და აუჩქარებელი ხასიათისა. სანდროს იმ ზომამდის უყვარდა ვახტანგი, რომ თუ რაიმე მიზეზისა გამო სასწავლებელში დაიგვიანებდა, ან არ მოვიდოდა, იმ დღეს სანდროს აღარაფერი ესმოდა; გაკვეთილს რომ ჰკითხავდნენ, რაც უნდა კარგად სცოდნოდა, დაბნეულად უპასუხებდა.

სანდროს ბღლაძუნი და ჭიდაობა არ უყვარდა, მაგრამ რაკი ვახტანგი გაგიჟებული იყო ჭიდაობისა და ბღლაძუნობისათვის, მის სასიამოვნოდ ბევრჯერ გამოჰყვებოდა ჭიდაობაში და ცდილობდა თვითონ ყოფილიყო დამარცხებული, რის გამოც ვახტანგს არ უყვარდა სანდროსთან ჭიდაობა. ხშირად ვახტანგს რამდენიმე ბავშვი სასადილოდ სახლში მოჰყავდა, სანდროც სხვათა შორის ხშირი სტუმარი იყო ვახტანგისა. ვახტანგი სადილის დროს თვალყურს ადევნებდა საჭმლის ჩამოტარებას, თუ ყველასათვის სამყოფი არ იყო, თვითონ უარს ამბობდა და აჯერებდა მშობლებს, არა მშიანო.

ვახტანგის დედ-მამა არჩილ და ნინო საუცხოონი იყვნენ; არჩილს უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდა დასრულებული და ნინოსაც წმიდა ნინოს დედათა სკოლა, მშობლებს ძალიან უყვარდათ თავისი ერთადერთი შვილი ვახტანგი და ცდილობდნენ ყოველი იმისი კეთილი სურვილი დაეკმაყოფილებინათ.

ერთ დღეს სანდრო მოვიდა გიმნაზიაში და ვახტანგს ტირილით უთხრა:

— ჩემო კარგო ვახტანგ, რაღა მეშველება, ერთადერთი ჩემი პატრონი, სნეული დეიდა, წუხელის მომიკვდა, რომელიც თავისი ხელსაქმით მაცხოვრებდა, რაღა ვქნა, საით წავიდე?

ვახტანგი რამდენსამე წამს გაშტერებული უცქეროდა სანდროს და აღარ იცოდა, რა ნუგეში მიეცა. ბოლოს გადაეხვია და უთხრა:

— ნუ გეშინიან, სანდრო, შენ უპატრონოდ არ დარჩები, ჩემ დედ-მამას ვთხოვ, რომ ჩვენთან იცხოვრო, შენს დეიდასაც დამარხავენ.

ვახტანგი საჩქაროდ გაექანა ამხანაგებისაკენ და უფროს კლასელებს სანდროს უბედურება იმნაირად აუწერა, რომ თითქმის ყველა აღელდა. იმწამსვე უფროსი კლასის მოწაფეებმა ხელისმოწერა გამართეს ერთმანეთში და მასწავლებლებში, ასე რომ ინსპექტორამდის მიაღწია სანდროს უბედურებამ. ინსპექტორმა ვახტანგს დაუძახა, დიდად შეაქო და უთხრა:

— დროებით სანდრო თქვენთან იყოს, მე კი ვეცდები შემდეგ აქ გიმნაზიის პანსიონში მივაღებინო.

სწავლის შემდეგ სანდრო და ვახტანგი ერთად წამოვიდნენ სახლში; მოსვლისთანავე ვახტანგმა თავის დედ-მამას ყველაფერი უამბო და მოგროვილი ფულიც გადასცა სანდროს დეიდის დასამარხად. სანდროს მაშინვე ვახტანგის ოთახში გაუმართეს საწოლი. ორივე ამხანაგი სიხარულით ისე აღელვებული იყვნენ, რომ დიდხანს არ დაეძინათ, თითქმის არა სჯეროდათ, რომ ერთ ოთახში იწვნენ.

— სანდრო, იცი, რასა ვთხოვ მე ახლა ღმერთსა, ხვალ ისეთი თოვლი მოვიდეს, ისეთი თოვლი მოვიდეს, რომ ჩვენი სახლის სიმაღლე იყოს. დღეს თორმეტი დეკემბერია და სულ ზაფხულსა ჰგავს; რომ იცოდე, რანაირად მენატრება თოვლი, კაცო, მთელი ზამთარი ისე უნდა გავატაროთ, რომ ერთხელ მაინც თოვლით აღარ ვიგუნდაოთ?

მეორე დღეს რომ გამოიღვიძა ვახტანგმა, განცვიფრებულმა ნახა, რომ მთელი სახლის ბანები თეთრად გადალესილიყო, თითქოს განგებ გაპენტილი ბამბა გაუშლიათო, თან ხშირი, ფოთოლ-ფოთოლი. ჩქარი თოვლი მოფრიალებდა ზეციდან. მართლა ღმერთს ვახტანგის თხოვნა შეესმინა, მთელ ღამეს გადაუღებლივ ეთოვა და თითქმის ერთ არშინამდე მოსულიყო.

ვახტანგმა საჩქაროდ ჩაიცვა ტანისამოსი, სიხარულით მიუახლოვდა სანდროს ლოგინს, უნდოდა მხიარულად გაეღვიძებინა და ეხტუნათ თოვლზე, მაგრამ, როდესაც ნახა, რომ სანდროს საშინლად გასწითლებოდა სახე, სისწრაფით ფეხაკრეფით გამობრუნდა და დედ-მამის ოთახში შეევარდა.

— დედიჯან, მე მგონი სანდრო ძალიან ავად არის.

დედა გამოვიდა; ვახტანგი დაამშვიდა და სთხოვა სანდრო არ გაეღვიძებინა, თვითონ მარტო წასულიყო გიმნაზიაში.

ვახტანგი გულჩათუთქული სანდროს უქეიფობით, აბგააკიდებული გამოვიდა სახლიდან, მაგრამ როგორც გადადგა ფეხი ქუჩაში და ამხანაგები დაინახა, თოვლის გუნდებით გამოეკიდა მათ. გიმნაზიაში მისვლამდის თვითონაც რამდენჯერმე გაგორდა თოვლში და ამხანაგებიც თან გადაიყოლა; თოვლის გუნდებს ხომ თოფის საფანტივით ერთიერთმანეთზე აყოლებდა. ერთი სიტყვით, სრული ბედნიერი იყო ვახტანგი და სანდროს ავადმყოფობა თითქმის დაავიწყდა.

ამ დროს კი სანდროს ფილტვებში ანთებული ცეცხლი ტრიალებდა: დიდმა ჯაფამ, ავადმყოფი დეიდის მოვლამ, შიმშილმა, სიცივემ (სანდრო ქვემოთ, ცივ-ნოტიო სარდაფში ცხოვრობდა თავის დეიდას-

თან), ყველა ამ პირობებმა იმოქმედეს სანდროს სხეულზე და ფილტვების ანთება დაემართა.

ცხრა დღეს ბავშვი იწოდა ორმოცი გრადუსი სიცხით, ექიმი თითქმის უიმედო შეიქნა, მხოლოდ მარტო იმითი ამშვიდებდა ვახტანგს და მის მშობლებს, რომ ძალიან მაგარი სხეულის ბავშვია, კარგმა მოვლამ და მაგარმა აგებულებამ ეგებ აჯობოს ავადმყოფობასო.

ვერ წარმოიდგენთ, ცხრა დღეში როგორ გამოიცვალა ვახტანგი, თავისებურად აღარ ცელქობდა და ბღლაძუნობდა; როგორც გაკვეთილებს გაათავებდა, თითქმის სულ საწყალ სანდროს წინ იყო დაჩოქილი და თავისი ხელით აძლევდა წამალს.

— შვილო, გენაცვალოს დედა, წადი ცოტა ითამაშე, ღმერთი მოწყალეა, სანდრო კარგად იქნება, — ეხვეწებოდა დედა ვახტანგს.

მეცხრე დღეს ექიმი რომ მოვიდა, ნინოს უთხრა:

— დღეს კრიზისია და მაგ ბავშვის ბედი დღეს გადაწყდება, თუ ოფლი მოუვა, ხომ სიცხეც დაიკლებს და გადარჩება, და თუ არა, ხვალ ცოცხალი აღარ იქნებაო.

დიდმა მოვლამ და სანდროს მაგარმა სხეულმა სანდრო სიკვდილს გადაარჩინა. ბავშვი საშინლად შფოთავდა და მთელი სახე და ტანი ჭარხალივით გასწითლებოდა. ღამის ათ საათამდის ასე შფოთავდა, შემდეგ კი ისეთი ოფლი დაასხა, რომ გეგონებოდათ წყალში უბანებიათო. ყველაფერი რომ გამოუცვალეს და ოფლი შეუშრეს, ისე მიეძინა ცხრა ღამის უძინარ დასუსტებულს, რომ იმისი სუნთქვაც აღარ ისმოდა. ვახტანგიც შიშისა და სიხარულის მღელვარებისგან მოქანცული რაკი დაწვა, ისე მაგრა დაეძინა, რომ მეორე დღის თორმეტ საათამდის აღარ გაჰღვიძებია. რომ გამოიღვიძა, ნახა სანდრო ლოგინში წამომჯდარი თოხლო კვერცხსა სჭამდა, და სიცხე სრულებით აღარა ჰქონდა. იმ დღიდან სანდროს უკეთობა დაეტყო, დიდი მადა გაეხსნა, და რამდენსამე დღის შემდეგ ექიმმა წამოდგომის ნება მისცა.

ვახტანგის ბედზე თოვლმა დიდხანს გასტანა; გავარდებოდა ხოლმე ეზოში, ხან თოვლის კაცებს აკეთებდა, ხან ციგით ბავშვებს აცურავებდა, ხან თოვლის გუნდებს დაუშენდა გამვლელ-გამომვლელს. თვითონ კი თოვლის მთის უკან ჩაიმალებოდა, იმდენხანს თოვლაობდა. ვიდრე ძალიან არ გაეყინებოდა ყურის ბიბილოები და ხელ-ფეხის თითები; შემდეგ ხელების სრესით შემოვარდებოდა, დაჯდებოდა სანდროსთან და წიგნებს უკითხავდა. სანდრო ისე კარგად გამოკეთდა, გამაგრდა, რომ ექიმმა ნება მისცა გიმნაზიაში სიარულისა.

ერთ საღამოს ვახტანგის მშობლებთან ინსპექტორი მოვიდა სანდროს სანახავად (ინსპექტორი ავადმყოფობის დროსაც ხშირად კი-

თხულობდა სანდროს ამბავს) და გამოუცხადა: სახელმწიფო ხარჯზე მიგიღეს გიმნაზიაშიო.

ექვს იანვარს, საღამოს ხუთ საათზე, სანდრო გულდაწყვეტილი და თვალცრემლიანი თავის ძვირფას ეახტანგს და იმის მშობლებს ეთხოვებოდა, რომლებსაც ისე შეუყვარდათ სანდრო, რომ მეორე ვაჟს უწოდებდნენ.

არჩილის და ლევანის პირველი შობის ხე

— კოტე, იცი, ხვალ ხომ შობაა? ამ საღამოს ჩვენ შობის ხეს მოგვირთავენ, — ეუბნებოდა ლევანი სოფლიდან ახლად ჩამოსულს პატარა ბიჭსა.

— ბოშო, ნეტა ერთი როდისმე მაჩვენა, ე შობის ხე რავარია.

— გეუბნები, ამაღამ ბევრი სტუმრებიც გვეყოლება და, ნახავ კიდეც. დღეს დედა ადრიან წავიდა ბაზარში, რომ შობის ხეც იყიდოს და მოსართავებიც.

ელენე, არჩილის და ლევანის დედა, ქვრივი იყო, ძლივძლივობით რამდენიმე მანეთი გადაარჩინა სადღესასწაულოდ; გადასწყვიტა, რაკი არჩილმა კარგად დაიჭირა ეგზამენები, უსათუოდ რითიმე გავახარებ ჩემს შვილებსაო. მართალია, კოტე ცხრა თუ ათი წლისა იყო, მაგრამ საკვირველი მკვირცხლი, ცქვიტი და ზრდილი. კოტეს არჩილი და ლევანი ძალიან დაუმეგობრდნენ.

დილიდანვე ერთი ნაცნობი ოჯახი სამი ახალგაზრდა ქალით იქ იყვნენ და ელენეს შველოდნენ შობის ხის მორთვას. შობის ხე ბავშვების საწოლ ოთახში დადგეს, იქაურობა მიალაგ-მოალაგეს. არჩილი, ლევანი და კოტე მოუთმენლად მოელოდნენ ხის დანახვას, რომ დრო ჩქარა გასულიყო, სხვადასხვა თამაშობას იგონებდნენ.

ამ საღამოსათვის კოტეც ლამაზად მორთეს, არჩილის შარვალი და ხალათი ჩააცვეს, თითქმის ახალი ქამარი შემოაკრეს და ნახმარი, არჩილის ქუდი დაახურეს. ბავშვები სიხარულით შესცქეროდნენ კოტეს და ხან ერთი ძმა ეხვეოდა, ხან მეორე.

— კოტე, კარგად გამოიჭიმე და ისე გაიარ-გამოიარე. — ეხვეწებოდა არჩილი. ისიც თავმაღლააღებული, გაჭიმული, გულგამოგდებული მიდი-მოდიოდა ოთახში.

— აბა, ჩემო კოტე, რამდენიმე სიტყვა უნდა დაისწავლო კარგად, ზარი რომ ჩამოჰკრან, სასწრაფოდ უნდა გავარდე, კარი გაუღო და სტუმრებს უთხრა: „პროშუ პაკორნო, ვსე დომა“, — ასწავლიდა არჩილი.

— რავა? რავა სთქვი, არჩილ? აბა, კიდევ გეიმეორე, რომ კარ-

გად დავიხსომო. პრონშუს პონკორნო ვესევო დომნა, პრონშუს პონ-კორნო ვესევო დომნა“, — იმეორებდა კოტე. არჩილი და ლევანი კი გულიანად ხარხარებდნენ.

— აბა, ახლა გიმნასტიკა უნდა გაგაკეთებინო,—უთხრა არჩილმა.

— ფეხები ერთმანეთს მიაკარ, ხელები ჩაუშვი, თავი ხან აიღე, ხან დაიღე! ჰო, ჰო ყოჩაღ! ძალიან კარგად აკეთებ! ახლა ხელები გამოსწიე და შეკუმშე, ახლა თავი უკან, უკან გადაწიე, შემდეგ წინ, წინ, კიდევ...

— კარგი, ბოშო, გეყოფა, დეევიღალე! ქე ყველაფერიც ვისტავ-ლე. — ამ დროს უცბად ზარიც ჩამოჰკრეს. კოტე სასწრაფოდ გაექანა კარის გასაღებად. კიბეები ბზინავდნენ, ისე იყო გალიპული, კოტეს გაუსხლტა ფეხი და რახარუხით ჩაგორდა ძირს. რის ვაი-ვაგლახით, თვალცრემლიანი, ცოტა შეიშმუშნა, წამოდგა და დაუყვირა ყმაწვი-ლებს:

— ბოშო! არჩილ, ლევან! მოდით, რავა უნდა მეთქვა, ქე დამა-ვიწყდა. — ზარს კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, არაწკუნებდ-ნენ. ორივე ძმა ეზოში იყო და კოტეს გაჭირვება არ ესმოდათ. დე-რეფანში გამოვარდა გაჯავრებული ელენე და დაღრეჯილი ბიჭი რომ დაინახა, შეუტია:

— ბიჭო, რას გაქვავებულხარ? ყრუ ხომ არა ხარ? ჩქარა გააღე კარები!

— რა ვქნა, ბატონო, სულ გადამავიწყდა ი... რავარიც უნდა მეთხრობია სტუმრებისათვის.

— ჩქარა გააღე-მეთქი, ხომ არ გაგიჟდი!

— კი, ბატონო! მომაგონდა! — სწრაფად ეცა კარებს და გააღო. ელენე გაკვირვებული უცქეროდა.

— „პრონშუს პრონკორნო ვესევო დომნა“.

ამ დროს ხარხარით არჩილი და ლევანი შეეგებნენ სტუმრებს.

— აი, თქვე ცელქებო, თქვენა! სულ გააგიჟეთ ე ბიჭი. სრული ოცი წუთია ზარს უკრავენ და ეგ კი კარებთან დაღრეჯილი რაღა-ცას იგონებდა.

სტუმრები ზედიზედ მოდიოდნენ; გაივსო სასტუმრო, მაგრამ ჯერ მაინც არ აღებდნენ სამოთხის კარსა. კოტე ატუზული იდგა კა-რებთან თავის ქუდით და გულის ფანცქალით ელოდა გასაკვირველ ხის ნახვას.

ბოლოს კარი გააღეს და ბავშვებს დაუძახეს, მაგრამ ამ დროს ერთიერთმანეთზე კიდევ ზარის წკარუნი მოისმა. კოტე გადირია, არ იცოდა, საით წასულიყო. ბოლოს ეღირსა. შევარდა პირდაპირ ყმაწ-ვილებთან და გაოცებული გაშეშებულივით გაჩერდა შობის ხის წინ.

— დედა, დედა რავარი ხეა! აპა, რავა გამიკვირდა, ამგვარი ხეები ჭე ჩვენ სოფელშიაც ბევრია; მაგრამ ბაბა, ბაბა, რამდენი სანთლებია, რავარი ყღარუნები და ინკი-ჩიმპლოები ჰკიდია! — გაიძახოდა გაკვირვებული და ბავშვების სიმღერა და თამაშობაც კი ესმოდა. ამ დროს ერთი მხარიდან არჩილი ეცა, მეორედან — ლევანი, ხელი ჩასჭიდეს და წრეში ჩააყენეს. ბავშვები მღეროდნენ: „გაფურჩქნილო გლეხის შვილო", — და ფერხულს უვლიდნენ შობის ხეს. კოტეც მხიარულად დახტოდა და პირს აღებდა.

შემდეგ ქალებმა დათვალეს ბავშვები, ერთ რიგზე დააყენეს და ყველას შესაფერი საჩუქრები ჩააბარეს.

კოტეს რვეულები, ფანქარი, ახალი ქუდი და ხილით კოლოფი ერგო. ცოტა ხანს კიდევ იმღერეს, ითამაშეს და სტუმრები ნელ-ნელა წავიდნენ.

არჩილი, ლევანი და კოტე ერთად იწვნენ. კოტეს რაც რამე ერგო შობის ხიდან, თავქვეშ დაილაგა. ბავშვები კარგა ხანს მუსაიფობდნენ. ბოლოს კოტემ ამ სიტყვებით დაიძინა:

— არჩილ, ისთე ვისწავლი, ისთე, ბაბუაჩემის მზემ, რომ დიდი კაცი გევიზარდო და მუდამ ასთე ვასიამოვნო დიდი და პატარა.

მხერხავი ლეჭსო

ვუძღვნი ნინო, თამრო და მარგალიტა ლასხიშვილებს

უკანასკნელი სხივები ჩამავალი მზისა ათასფრად აფერადებდა დედამიწას და აჭრელებულ ცის გუმბათთან ერთად ლამაზ სურათს წარმოადგენდა.

საბრალო სალომეს ქოხს კი მზის სხივები თავის დღეში არ ენახა. პატარა დაბალ და ბნელ ქოხში დედა და შვილები ერთად მოკრუნჩხულიყვნენ და შუშების მაგიერ ქაღალდგაკრული ფანჯარა ოთახის სიბნელეს უფრო უმატებდა. სალომეს ოთახის მოწყობილობას შეადგენდა: ერთი ტახტი, ორი პატარა სამფეხი სკამი, ნახევრად თავგადაგლეჯილი კიდობანი, ერთი წყლის კოკა, პირმოტეხილი სურა, ვარცლი, ხონჩა და პატარა გობი.

სალომე ზოგს სარეცხს ურეცხდა, ზოგს საბნებს უკერავდა და იმითი ასაზრდოებდა თავის ხუთ ვაჟიშვილს. მაგრამ აბა იმდენს რას იშოვიდა, თვითონ ხშირად მშიერი მიდიოდა სამუშაოდ და საქმის გათავების შემდეგ, თუკი სადმე გამხმარ, გამოუსადეგარს პურს ნახავდა, გაუბედავად სთხოვდა ყველას: ბატონო, თუ თქვენთვის საჭირო აღარ არის, ეგ ნახორხლები მე მიბოძეთ, ჩემთვის ყველა გამოსადეგიაო.

სალომეს ერთ დღეს რეცხვის დროს ცერში ნემსი შეერჭო, ნემსი ზემოთ და ზემოთ წაუვიდა და რამდენისამე დღის შემდეგ ხელი სულ მთლად დაუსივდა, მკლავის აღებაც კი უძნელდებოდა; სიცხის ძლევა დაუწყო და ლოგინად ჩავარდა.

საცოდავ იმის შვილებს უკანასკნელი ლუკმაც მოესპოთ. თურმე სალომეს ცოტაოდენი კარტოფილი ჰქონდა შენახული და ორ კვირას, როგორც იყო, იმითი იოლად მიჰყავდა შვილები.

ტახტის ერთ მხარეს სალომე იწვა და მეორე მხარეს ავადმყოფი გიგლა (რომელსაც გვერდიდან განუწყვეტლივ ჩირქი სდიოდა).

თვრამეტი წლის ჭაბუკი ცხრა წლისას დამსგავსებოდა, ისე დაედნო ხანგრძლივ ავადმყოფობას.

— დედი, დედილო, ძალიან მშიან, გაიგონე ადამიანო, მშიან, მშიან-მეთქი! — იძახდა შვიდი წლის შაქრო და თან საბანსა სწევდა და ანძრევდა დედას.

— დედი, აი დედი, მსიან, ცქალა პული მომეცი, — შესტიროდა ოთხი წლის ილიკო და თან მდუღარე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე. ერთიც დედის ლოგინს პირქვე დამხობოდა და გულსაკლავად ღნაოდა.

— ოხ, დედიჯან, დავსუსტდი, ღონე სრულებით აღარა მაქვს, — წამოილუღლუღა ავადმყოფმა გიგლამ, — ნეტავი ვინმე მადლიანმა ერთი ჭიქა ჩაი მაინც მომაწოდოს.

ამ სურათის მაყურებელ მშობელ დედას ცეცხლი ეკიდებოდა გულზე.

— უფალო, დაილოცოს შენი სამართალი; განა იმიტომ გამაჩინე, რომ ჩემი შვილების შიმშილისაგან სიკვდილს თვალით ვუცქირო და მე კი შემწეობის აღმოჩენა არ შემეძლოს? — ამბობდა საბრალო დედა და თვალებზე მოგუბებულ ცრემლებს შვილების შეუმჩნევლად სასწრაფოდ იწმენდდა.

— შვილო, ლექსო, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, მეტი ღონე აღარ არის, გადი ქუჩაში, დადექ და იმათხოვრე, ეგებ რამდენიმე გროში შეაგროვო, რომ პური მაინც ვიყიდოთ, თორემ ყველანი შიმშილით ამოვწყდებით, — მიმართა დედამ თავის ათი წლის შვილს.

ლექსო მშვენიერი სახის ბიჭი იყო, ყოვლად კარგი ზნის და დედის მორჩილი.

— არა, დედი, რაც უნდა დაგვემართოს, მათხოვრობა მე არ შემიძლიან, სუყველა ერთ დღეს რომ დავიხოცოთ, მაინც ხელს ვერავის გავუშვერ, ფული მაჩუქეთ-მეთქი.

— მაშ ესე უმოწყალოდ უნდა დავრჩეთ? არა ადამიანის შვილმა არ იცის ჩვენი ესეთი გაჭირვება; წადი, მეზობლებს მაინც შეატყობი-

ნე, რომ ორი კვირაა ლოგინად ჩავვარდი და ყოვლად უნუგეშოდ დავრჩით .— ლაპარაკის დროს სალომე ვეღარ იკერდა დაგუბებულ ცრემლებს.

ლექსო რამდენსამე ხანს ჩაფიქრებული იდგა, ბოლოს დედის ცრემლებმა თითქო გაძოაფხიზლაო, სასწრაფოდ კარში გავარდა. იძათ ახლო ერთი მოხუცებული დედაკაცი ცხოვრობდა, რომელიც ყოველთვის სალომეს შვილებს ალერსიანად ეტყოდა ხოლმე.

— დიდედო, თუ შეიძლება ტილოს ტომარა მათხოვე! — მოწიწებით მიმართა ლექსომ ბებერს.

მოხუცმა მაშინვე გამოუტანა ტომარა. ლექსომ საჩქაროდ გამოართვა და ისე უცებ გაიქცა, რომ ბებერმა ხმის ამოღებაც ვეღარ მოასწრო.

ლექსომ მხერხავებთან მიირბინა — გულმოდგინედ სთხოვა ნახერხი ეჩუქებინათ და თავისი შევიწროვებული მდგომარეობაც აუწერა.

— ახლა ძალიან გვიჭირს, რამდენიმე ტომარა ნახერხი მამეცით და შემდეგ საქმე გამაკეთებინეთ. — ეხვეწებოდა ლექსო მხერხავებს.

— აჰა, სულ წაიღე, რაც აქ ნახერხია, ჩვენ მაინც არა ვხმარობთ; შენ კი რა უნდა გაგაკეთებინოთ, აბა, შენისთანა პატარა ბიჭი რა ჯაფას შესძლებს! — უპასუხა მხერხავმა.

ლექსომ ნახერხით ტომარა საჩქაროდ აავსო და იმ დღეს ექვსი შაურის ნახერხის გაყიდვა მოასწრო. ერთ კვირას ასე გაყიდული ნახერხის ფულით ასაზრდოებდა თავის ოჯახს.

მხერხავებმა ამ ერთი კვირის განმავლობაში ძალიან შეიყვარეს ლექსო. ის როგორც მივიდოდა მხერხავებთან, ყველაფერს მიულაგ-მოულაგებდა, დაუგვიდა, ფიცრების გადატან-გადმოტანას შველოდა და მერე მარჯვედ ხერხსაც უწევდა; რამდენსამე ხანს შემდეგ მხერხავებმა უთხრეს ლექსოს:

— ლექსო, შენ ისეთი ყოჩაღი ბიჭი ხარ, რომ ჯაფის ფასი ახლა დღიურად უნდა დაგინიშნოთ! — ლექსოს გამხდარი და გაყვითლებული სახე სიხარულით აენთო.

— აბა, გვითხარი დღეში რას დაგვჯერდები?

— რაც თქვენა გსურთ, — უპასუხა ლექსომ.

— შე, პატარა კაცო, მოზრდილ ბიჭზე ბევრსა გვშველი, მაგრამ მოდი ჯერჯერობით დღეში ექვსი შაური იკმარე და ყოველ საღამოს სახლში რომ წახვიდე, რამდენსაც მოერიო ნახერხიც თან წაიღე ხოლმე. — ლექსო, რასაკვირველია, სიხარულით დათანხმდა.

იმ საღამოს ლექსო სახლში რომ ბრუნდებოდა დატვირთული ნახერხის ტომრით, შესასვენებლად ერთი სახლის წინ, კიბეზე ჩამოჯდა.

ბევრს ხანს სიამოვნების ოცნებაში გარინდული, თვალებგაშტერებული გაიყურებოდა. მშვენიერი თბილი საღამო იყო. ჩამავალი მზე ჯერ კიდევ ცელქად ეალერსებოდა დასავლეთს და გაბრწყინებული თეთრი ღრუბლები ფიანდაზად ეშლებოდნენ დიდებულ მნათობს; ბედნიერსა და უპედურს, მდიდარს და ღარიბს. ყველას ერთგვარად იტაცებდა ეს ბუნების დიადი სანახაობა. და აი, ლექსოც სრულიად მოხიბლა, მოაჯადოვა ამ მშვენიერმა სურათმა. ის კარგა ხანს იჯდა კიბეზე.

ხალხი ბუზივით ირეოდა ქუჩაში. აგერ მუშებიც მიეშურებიან სახლისაკენ. ლექსოსაც უეცრად მოაგონდა, რომ უნდა წავიდეს და გაახაროს თავისი ღარიბი დედა... ის საჩქაროდ წამოხტა, მოიდო ზურგზე ტომარა და ჩაფიქრებული გაუდგა გზას, მაგრამ ორიოდე ნაბიჯი არ გადუდგამს, რომ მისი ყურადღება პატარა ბრჭყვიალა საგანმა მიიპყრო. ლექსო საჩქაროდ დასწვდა, აიღო და თუმნიანი ოქრო კი გამოდგა... ლექსოს ბედნიერება იმ დღეს გაორკეცდა: იქ დღიური ჯაფის ფასი, აქ ნაპოვნი თუმანი, ღმერთო, რა ბედნიერია! თავის დედის სიამოვნებას რომ გაიფიქრებდა, სიხარულის ჟრუანტელი უვლიდა ტანში. ფულს რომ სიხარულით ხელში ათამაშებდა და სინჯავდა, იმ დროს ერთმა კინტო ბიჭმა გამოურბინა, დაჰკრა ხელი, გააგდებინა თუმნიანი და გაიქცა. ლექსო მივარდა ბიჭს და დიდი ჭიდაობა გაიმართა, ვიდრე პოლიციელმა არ გააშველა.

— შე მაწანწალა, ეს ფული ხომ ჩემია, ერთი საათია დაევეძებ და ახლა შენ გინდოდა წაგერთმია?

— ბიჭო, რასა ბოდავ, საიდან შენია, რამდენი ხანია მე აქა ვზივარ და მაგ ფულსა ვხედავ, — უთხრა ლექსომ.

— ჩემია-მეთქი, ზიარების მადლმა, — ყვიროდა მედუქნის ბიჭი.

პოლიციელმა ორივე ბოქაულისაკენ გაირეკა, ლექსო შიშისაგან კანკალებდა.

— მე არა მინდა რა, ოღონდ ჩემი ნახერხის ტომარა მამეცით და სახლში გამიშვით, — იხვეწებოდა ლექსო.

— არა, საძაგელო, ახლა ხელიდან ვეღარ წამიხვალ, გინდოდა სხვისი ფული მოგეტაცა! არ შეიძლება, ბოქაულთან უნდა წამოხვიდე! — უყვიროდა პოლიციელი და თან ლექსოს კისერში სცემდა.

ბოქაულთან რომ მოიყვანეს ბავშვები, აქ ერთი ხანში შესული, კარგად ჩაცმული კაცი იჯდა, რომელსაც ლექსოს სახე ისე მოეწონა, რომ თვალს აღარ აშორებდა.

ბოქაულმა ის მედუქნე დაიბარა, რომელიც შაგირდმა თავის აღად დაასახელა. შაგირდს კი ფერი ყვითლად და წითლად ეცვლებოდა.

ბოქაული ღიმილით მიუბრუნდა ლექსოს და ალერსიანად უთხრა:

— შვილო, რა გაკანკალებს, ხომ არ შეგეშამთ! დადე ეგ ტომარა და დალაგებით მიამბე, როგორ იპოვე ეგ ფული.

— მართალს ვამბობ, ზიარების მადლმა, მე არავისათვის არ წამირთმევია, ქუჩაში ვიპოვე, ვერც კი გავიგე, საიდან მომეპარა ეს ბიჭი; ხელი დამკრა, გამაგდებინა ფული და თვითონ აიტაცა.

— შენ რაღას იტყვი, ბიჭო? — ჰკითხა ბოქაულმა მედუქნის ბიჭსა. ბიჭმა ურცხვად მიუგო:

— ზიარების მადლმა, ეგ თუმანი ჩემმა ხაზეინმა სხვასთან გამატანა, — ამ ლაპარაკის დროს მედუქნეც შემოიყვანა პოლიციელმა.

— მართლა, ეს თუმანი ამ ბიჭს შენ გაატანე სხვასთან? — მკაცრადა ჰკითხა ბოქაულმა მედუქნეს.

— ბატონო, რას მიბრძანებთ, მე მაგ ბიჭთან რა საქმე მაქვს, ეგ ჩემ დუქანში არ გახლავთ. ეგ გახლავთ მახლობელ დუქანში ცომაიასთან, მაგრამ ისეთი საძაგელი, გაფუჭებული და ცუღლუტია, რომ მაგას ერთ კაპეიკსაც არ ანდობს თავისი ხაზეინი.

ლექსოს მშვენიერი თვალები სიამოვნებით უფრო გაფართოვდნენ. თავის დაგლეჯილ ტანისამოსში ლექსო ისეთი საცოდავი სანახავი იყო, რომ ბოქაული და უცხო კაცი გაშტერებულნი სიბრალულით შეჰყურებდნენ მას. ლექსომ მათ დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი. ბოლოს უცხო კაცი მიუბრუნდა ბოქაულს და უთხრა:

— ნუთუ ამისი ტანისამოსი და ჭკვიანი თვალები არ ამტკიცებენ ამ ბავშვის სიმართლეს.

ერთ საათს შემდეგ ჩვენი ლექსო მიფრინავდა სახლისაკენ და მაგრად დამუჭულ თუმნიანს სიხარულით მიარბენინებდა.

— აი, დედილო, რა მოგიტანე, გზაზე ვიპოვე! — როგორც ეს სიტყვები გაათავა, უცხო კაციც მათ ოთახში გაჩნდა, ის თურმე ლექსოს შეუმჩნევლად ფეხდაფეხ მისდევდა.

რამდენსამე წამს ყველანი ამ კაცს გაკვირვებულნი უყურებდნენ. სტუმარს ოთახის საშინელმა სურათმა პირველად თითქო ენა ჩაუგდო, მაგრამ შემდეგ ისევ იმანვე უამბო ლექსოს დედას, როგორ იპოვა ლექსომ თუმნიანი და თან დაუმატა:

— შენ, ჩემო კარგო ბიჭო, რაკი ამისთანა გონიერი ხარ, მე ვკისრულობ შენს აღზრდას.

რამდენსამე ხანს შემდეგ ლექსო მშვენივრად გამოწყობილი სასწავლებელში დადიოდა. ის ისე გულმოდგინედ სწავლობდა, რომ ყველა მასწავლებლების ყურადღება დაიმსახურა. მისი მფარველი კაცი უშვილო იყო, ბევრს ეხვეწა, რომ ლექსო მასთან გადასულიყო,

მაგრამ ის თავის დედას და ძმებს არ შორდებოდა. მალე იმათი ცხოვრება შეიცვალა, უფროსი ძმა საავადმყოფოში მიიღეს და ლექსოს პეჯითი შრომით ამათ ისე წაიყვანეს საქმე, რომ დასახლდნენ ორ სუფთა ოთახში და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

„მერცხლოგანა"

ერთ დიდ მთაზე უზარმაზარი ციხე-დარბაზი გადმომდგარიყო და ამაყად გადაჰყურებდა არემარეს. ყოველის მხრით შეუვალ გალავნით შემოზღუდულ შენობის აღმოსავლეთით შესავალ კარებიდან გრძელი აივანი იწყებოდა. ქვემოდან, ირგვლივ, ყვავილებით აჭრელებული ცაშლილი ჭალა-მინდვრები მოჩანდნენ. შესავალ კარებთანვე მარჯვნივ მშვენიერი ანკარა წყარო გამოჩუხჩუხებდა.

აივნის დასაწყისში, ბოძის თავში, მერცხლებს ხელოვნურად ბუდე კაეკეთებინათ, სწორედ გეგონებოდათ განგებ მოქსოვილი პატარა ნაცრისფერი კალათა ჰკიდიაო, რომელიც აქამომდე ბავშვებისაგან შეუმჩნეველად დარჩენილიყო.

დილით აივანზე ბავშვები გამოეფინენ; ზოგნი ასკინკილა არბოდჩარბოდნენ, ზოგნი პროწიალობდნენ და თავბრუდასხმული ერთმანეთს ეჯახებოდნენ. თინა ბოძისაკენ მობრუნდა თუ არა, თვალი შეასწრო მერცხლის ბუდეს და სიხარულით შეჰკივლა:

— აქ მოდით, აქა, რა გაჩვენოთ, რა ლამაზი ბარტყებია! — წამოიძახა პატარა გოგონამ. ყველა ბავშვი უცებ თინასთან გაჩნდა. ისინი აღტაცებით შესცქეროდნენ მერცხლის ბუდეს.

— თინა, თინა, — დათვალე რამდენი ბარტყია, — ეხვეწებოდა გოგია.

— ერთი, ორი, სამი და ოთხი, დიახ, ოთხია, ოთხი. — თვლიდნენ სიხარულით ბავშვები მერცხლის ბარტყებს.

მართლაც, ოთხი მერცხლის ბარტყი, კეკლუცად კისერმოღერებულნი, ბავშვებს გადმოსცქეროდნენ.

— თინა, უყურე, უყურე. — დედამ საჭმელი მოეტანა და პირში ჩაუდო თავის ბარტყს, — ცმუკვით ეუბნებოდა გოგია. პატარა სანდრო და ნათელაც სიამოვნების ნიშნად ტაშს აწკაპუნებდნენ.

— ხედავთ, კიდევ მოფრინდა მერცხალი! რა მშვენივრად უელვარებს ფრთები! მაგრამ ის კი მეორე ბარტყს აჭმევს, — ეუბნებოდა თინა და-ძმებს.

ბავშვები კარგა ხანს შესცქეროდნენ მერცხლებს, უცბად თინა შემოტრიალდა ქუსლზე და ბავშვებს გადაეხვია!..

— იცით, რა უნდა გითხრათ? მოდით და დღეს მერცხლობანა ვი-

თამაშოთ; ვითომ მერცხლები ვართ, ფრთები შევიბათ და გავფრინდეთ საჭმლის საშოვნელად ჩვენი პაწაწა ბარტყებისათვის. მე ძალიან მომწყინდა ერთი და იგივე თამაში: ცხენობანა, თვალხუჭუნა, ძერაობა; არიფანა სტუმრობანას კიდევ არა უშავს რა, მაშინ ცოტა ხანს დიდი ქალი მაინცა ვარ ხოლმე და დედასაებ გრძელი კაბა მაცვია. — ტიკტიკებდა თავმომწონედ თინა.

— ძალიან კარგი, ვითამაშოთ, — წამოიძახეს ერთხმად ბავშვებმა. გოგია კი ჩაფიქრებული იდგა პატარა ხანს, ბოლოსა თქვა:

— არა, მე არ მინდა მერცხლობანა, პატარა ბარტყებს სად ვიშოვით. ის არა სჯობია მერცხლის ბარტყები ჩამოვსხათ და გავინაწილოთ! მერე ბუდეც დავუნგრიოთ. რაკი სახლი აღარ ექნებათ, ისინი მუდამ ჩვენთან დარჩებიან.

— რას ამბობ, გოგი, არა გრცხვენიან! — უპასუხა თინამ, — ცოდვა არ იქნება დედ-მამას ბარტყები მოვტაცოთ და ბუდეც დავუნგრიოთ? ისინი მუდამ ჩვენთან ვერ გასძლებენ და მალე დაიხოცებიან. დედამ რომ წიგნი წაგვიკითხა, ხომ გახსოვს, მერცხლები ჩვენს ქვეყანაში მარტო ზაფხულობით მოფრინდებიან ხოლმეო.

— ზამთარში სადღა ცხოვრობენ, თინიკო?

— კარგად აღარ მახსოვს, მგონია თბილ ქვეყანაში, გოგიჯან!

— კარგი, აბა, ბუდე რისაგან გავიკეთოთ? — წაილაპარაკა გულმოსულმა გოგიმ, რაკი თავისი სურვილი ვერ დაიკმაყოფილა და მერცხლის ბარტყები ხელში ვერ ჩაიგდო.

ნათელა კი ჩუმად შეპარულიყო ოთახში და გრძელ კალათას მოათრევდა. ბავშვები გახარებული მისცვივდნენ ნათელას და კინაღამ წააქციეს.

— რა კარგია, შიგ რომ ჩავსხდებით, ნამდვილ ბუდეს ემგვანება! — შეჰყვირეს ყველამ ერთხმად.

თინამ თვალი რომ გადაავლო და-ძმებს, უცბად სახე შეეჭმუხა...

— ვაიმე, რაღა გვეშვეელება!

— რა არის, რა, თინიკო? — ეკითხებოდა გოგია.

— ოთხი ბარტყი უნდა იყოს და ორიც დედ-მამა. ჩვენ კი სულ ოთხნი ვართ!... — პატარა ხანს შემდეგ სახემ გაუღიმა და წამოიძახა: — შენი ჭირიმე, რა მომაგონდა! — და სასწრაფოდ ოთახში შეცქრიალდა, თან ორი დიდი დედოფალა გამოიტანა.

— აბა ნათელა, სანდრო, თქვენ შიგ კალათაში ჩასხედით: ეს ევდუკია აქეთ მოისვით და დარეჯანა დედოფალა იქით.

— ალა, ჩემო თინიკო, მე ბალტკობა ალ მინდა, დიდი მელცქალი ვიქნები, — ტიტინებდა სანდრო.

— არა, არც მე მინდა შიგ ჯდომა, არა სჯობია ფრთები მქონდეს

და გავფრინდე? — უარობდა ნათელა. თინა კი ხახ ერთს ეხვეოდა და ხან მეორეს და ეუბნებოდა, ფრთები ყველას გვექნებაო.

ბავშვები როგორც იყო ერთმანეთში მორიგდნენ და რის ვაი-ვაგლახით ერთმანეთზე მიჭყუტულნი — ორი დედოფალა, ნათელა და სანდრო კალათაში ჩასვეს. თინამ ქაღალდისაგან ფრთები გამოსჭრა, თვითონაც გაიკეთა და და-ძმებსაც გაუკეთა.

— გოგი, ახლა კი გავფრინდით, თუ გიყვარვარ, შეხი ჭირიმე, პირველად მე გავფრინდები. ფრ-ფრ-ფრ! — დაიძახა თინამ და გვერდგვერდ გასრიალდა სამზარეულოსაკენ. მზარეულის შეუმჩნევლად მაგიდიდან ჩამჩა აიღო და ხორცის ნაჭერი უნდა ამოეტაცნა, მაგრამ ამ დროს ქვაბი პირქვე გადაბრუნდა, წვენი დაიქცა და ქონის წინწკლები კაბაზე შეესხა.

მზარეულის ყვირილზე ბავშვების მასწავლებელი ფრანგის ქალი გამოვარდა აივანზე.

— რა საშინელი ცელქები ხართ, — შეჰყვირა შეშინებულმა ფრანგის ქალმა. — ესენი სადღა ჩაკუნჭულან! რას ჩადიხართ, გადმოდით ახლავე!

შერცხვენილი ბავშვები გადმოვიდნენ კალათიდან და ფეხაკრეფით შეეიდნენ ოთახში.

ბატონყმობის დროის ამბავი

— განა შენ კიდევ დადიხარ დათუნას ოჯახში? ეს სულ იისახარის ბრალია. იისახარ! იისახარ! — მკაცრად დაიღრიალა მამამ.

მამაჩემის ღრიალზე ყველა მოსამსახურე თრთოდა.

— იისახარ, არ გესმის, რომ გეძახი?!

— რა გნებავთ, თქვენი მუხლების ჭირიმე, — თრთოლვით გამოვიდა ჩემი საყვარელი გამდელი.

— დედაკაცო, შენ ამ ბოლო დროს გაგიჟდი და გამოჩერჩეტდი! გეუბნები, შალვას ეზოს კარიდან ნუ უშვებ-მეთქი.

ამ ლაპარაკის დროს ხონჩა ხონჩაზე მოჰქონდათ და ნელ-ნელა ეზო ივსებოდა გლეხების მოყვანილი საქონლით: ბეე, ბეე... გაისმოდა ბატკნების ბღავილი, გოჭების ჭყვიტინი და ძროხების ბღავილი ყურს უჭედდა კაცს. გლეხკაცობა ქუდმოგლეჯილი მამიჩემის სალამს შესცქეროდნენ. აი, გამოჩნდა ჩვენი მოურავი. ბელადივით წინ მიუძღოდა დათუნას. საცოდავი კაცი თავჩაღუნული მისდევდა თავის უკანასკნელი ძროხითა და ხბოთი, ირინეს კი თვალები ცრემლებით გავსებოდა. შემოვიდნენ თუ არა ეზოში, ირინემ შემოსძახა მამაჩემს:

— ჩემო დიდებულო ბატონო, აგრემც ეგ თქვენი ერთი შვილი

გაგიძრიელდებათ და ხვალინდელი ბრწყინვალე დღე შეეწევა, გვა-პატიეთ და ამ უკანასკნელ ლუკმაპურს ნუ წაართმევთ ჩემს საცოდავ შვილებს.

მეც ჩავუხტი მამას კალთაში, მოვეხვიე კისერზე, დავუწყე ვედრება, მაგრამ ულმობელი შეიქმნა. დამსვა იატაკზე და მითხრა:

— ხომ გიბრძანე, შენი საქმე არ არის-მეთქი!..

ჩუმად ჩამოვიპარე ეზოში, ნელ-ნელა ავცოცდი მუხაზე, ზედ წვერზე მოვექეცი და რომ დავინახე ჭიშკართან სახლისაკენ მიმავალი გულჩათუთქული დათუნა და ირინე, საშინელი ხმით შევკივლე:

— მამაჩემო, ამ წუთში ჩამოვვარდები აქედან, თუ ახლავ დათუნას უკან არ დაუბრუნებ თავის ძროხას.

— ვაიმე, დაღუპულო ოჯახო! — შეპყვირა გაფითრებულმა მამაჩემმა და იქვე აივანზე მდგომ საავარძელში ჩაეშვა.

პატარა ხანს უკან დათუნა და ირინე გახარებული მიერეკებოდნენ თავიანთ სახლისაკენ ძროხას და ხბოსთან ერთად ბატკნებს და გოჭებსაც, რომლებიც შალვას სიყვარულით მორბილებულმა ბატონმა უბოძა.

მეც კალთაში ვუჯექ მამას... ლოყებზე და შუბლზე ხელს ვუსვამდი და ჯერ ისევ მთრთოლვარე ხელებს ვუკოცნიდი.

თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

იასამანი

ფილიპე მახინჯი იყო. საშინელი სახე ჰქონდა, დაბრეცილი თვალები, ერთი ფეხი უფრო მოკლე მეორეზე. მათხოვრობდა. ფილიპე ცხოვრობდა ქალაქ გარეთ, ერთ მოხუც ებრაელ ქალთან ბნელს საკუჭნაოში. დღესასწაულებში გლეხებს სოფლიდან ჩამოჰქონდათ გასასყიდად სანოვაგე. ფილიპე გარშემო უვლიდა ურმებს და მოწყალებასა თხოულობდა.

ერთმა დედაკაცმა დილაადრიანად ბატონის ბაღში ბლომად მოამტვრია აყვავებული იასამანის ტოტები და ქალაქში გასაყიდად ჩამოიტანა.

ფილიპემ შორიდან შენიშნა იასამანი და მიუახლოვდა ურემს.

ურემზე პატარა გოგო იჯდა. დაინახა მიმავალი გლახა და დაიყვირა, ფილიპე მოვიდაო. ამწამსვე ბავშვები შემოეხვივნენ მათხოვარს: დაუწყეს დაცინვა, აჯავრებდნენ კოჭლობას და ჯოხით სიარულს, იპრანჭებოდნენ და იგრიხებოდნენ მათხოვარი ბავშვის წინ. ყველაზე მეტად დასცინოდა და იპრანჭებოდა ლიზა.

— ფილიპე, ფილიპე, იცი, რა გითხრა, ჭაობში ბაყაყებიც კი ყიყინებენ შენზე, „მახინჯია, მახინჯიაო!“

— ნეტავი ვიცოდე, შენ რაღასა ჰგევხარ? — უპასუხა ფილიპემ და თან თვალები დააჭყიტა.

— აი, თქვე საძაგლებო!.. — დაუტატანა ლიზას დედამ ბავშვებს. — ბრუციანო, შენ რაღას დაეხეტები აქა! — მიუბრუნდა ფილიპეს. — ვინ იცის, იქნება ურმიდან რამე ამწაპნე?

— არა, მე ხელიც არ მიხლია შენი ურმისათვის. — მხოლოდ მინდოდა, მოწყალება მოგეღო: აი, ის ყვავილები მოგეცა ჩემთვის.

ფილიპემ იასამანი სთხოვა.

ულიანას გაუკვიოდა.

— შე, მახინჯო, ყვავილი რისთვის გინდა?

— რისთვისაც სხვებს უნდათ.

— აჰა, რაკი გინდა, მე არა მშურს!

ულიანამ გამოაძრო ერთი ტოტი იასამანი და მისცა ფილიპეს. მახინჯმა სიხარულით გამოართვა. ჰკოცნიდა, სუნავდა, სახეზე ისვამდა, იმის ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა.

— მიყვარს, ძალიან მიყვარს ყვავილები.

თან ბავშვებს უცქერის, ენას აწკაპუნებს და ჩუმად იცინის. ლიზას: უკვირდა: — მახინჯი, დაბრეცილი, კოჭლი მათხოვარი ამ ზომამდი როგორ გაახარა ყვავილმაო? უცბად თვალებზე ხელი მიიფარა და მწარე ტირილი მორთო.

დედა განცვიფრდა, ხელი მოჰხვია და ჰკითხა:

— რა გაღრიალებს, შე სულელო?

ლიზამ მხოლოდ ეს უთხრა: „დამნანდა, დედაჩემო“ და ურემს მოეფარა.

ულიანას ეგონა, ლიზას ყვავილი დაენანაო და მიაძახა: „აი, შე ხარბო“.

ბავშვები კი მიხვდნენ, რომ ლიზას ყვავილი კი არ დანანებია, ფილიპე შეებრალა.

ორი კვირის შემდეგ, როდესაც კიდევ ჩამოვიდნენ ქალაქში სანოვაგით, ლიზა დედას დაეთხოვა სასეირნოდ და ბავშვებთან ერთად ურმებ შუა დაიწყო სირბილი. ბავშვები ფილიპეს ეძებდნენ. ის კი საყდარს უკან კედელთან იჯდა და გროშებსა სთვლიდა, რომელიც დღეს შეეგროვებინა. ფილიპემ ბავშვები დაინახა თუ არა, საჩქაროდ წამოხტა და უნდოდა როგორმე თავი დაეღწია, ეგონა ბავშვები იმისთვის მოეიდნენ, რომ ჩვეულებრივ დამცინონ და მასხარად ამიგდონო.

მაგრამ ლუბამ დაუყვირა:

— ფილიპე, მომიცადე! მე შენ რაღაც მოგიტანე, — აბა, ნახე! — და ფეშტამალი გადაუშალა.

ფეშტამალი ყვავილებით სავსე იყო: გვირილა, ყაყაჩო, სოსანი და კიდევ ბევრი სხვა ყვავილები.

ფილიპემ ბავშვებს შეხედა და ჩუმად თქვა: ბავშვებმა შემიბრალეს! ისევ მიწაზე დაჯდა და ტირილი დაიწყო; ტიროდა, რადგან დიდი, დიდი ხანია, რაც უბედური არავის შებრალებია.

დაუპატიჟებელი სტუმარი

ბუჩქებში მიწის პირას გულყვითელას პატარა ბუდე იყო, შიგ სამი ბარტყი იჯდა ერთიერთმანეთზე მიკრული.

ბაყაყმა ყიყინამ დიდი ხანია იცოდა ბუდის მდებარეობა. გულყვითელები ბუდეს რომ აშენებდნენ, იმან დაინახა: შიგ ჩიტები მოთმენით ისხდნენ კვერცხებზე და სჩეკდნენ... ბოლოს უბუმბულო.

ტიტველა, პირყვითელა ბარტყები გამოჩნდნენ. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა მოუსვენარი მეზობლები იყვნენ! დილიდან საღამომდე შეუჩერებლივ ჭყიოდნენ და საცოდავად პირს აღებდნენ, თავი მოაპეზრეს ყიყინას.

ყიყინა ბუდესთან მიხტუნავს და ბევრხანს უყურებს ბარტყებს; ისინი კი თავისას გაიძახიან:

— გვშიან!.. გვშიან!.. გვშიან!..

„დიახ, — ფიქრობს ყიყინა. — საჭმელი ყველაზე უპირველესი საჭიროებაა!.. ოღონდ საჭმელს შოვნა უნდა!..“

ყიყინა პატარა, სუსტი არსება იყო და იცოდა, რა ძნელია რაიმე საჭმელის შოვნა.

ბარტყების ჭყივილზე გულყვითელა მოფრინდა სანოვაგით გატენილი პირით — ბუზებით, კოღოებით, მატლებით, ჭიებით. მოტანილს საჭმელს სწრაფად სტენიდა ბარტყებს გაღებულ ნისკარტში. ისინიც ისე ჩქარა ყლაპავდნენ!.. თითქმის იხრჩობოდნენ და კიდევ უფრო ძალიან აღებდნენ ხახას.

შეშურდა ბაყაყს.

„რა უბედური ვარ! — დასტიროდა ყიყინა თავის თავს. — ჩემთვის ხომ ესრე არავინ იზრუნებს!..“ როცა ბარტყები წამოიზარდნენ, მოღონიერდნენ და სმენაც განუვითარდათ, ერთხელ ყიყინა ეწვია და უთხრა:

— მშიერი ვარ! მაჭამეთ რამე.

— თვითონ ჩვენცა გვშიან! ააა! — დაიწყეს ყვირილი ბარტყებმა. მოფრინდა გულყვითელა, ყველას თითო მსუქანი კოღო ჩაუდო პირში და ისევ გაფრინდა ახალი სანოვაგის საშოვრად. როდესაც უკან დაბრუნდა, შიშისაგან კინაღამ გრძნობა დაჰკარგა:

იმისი ბარტყები ტოტებზე ისხდნენ და საცოდავად ჭყიოდნენ, ბუდეში კი ამაყად გამოჭიმულიყო ყიყინა.

გონებადაბნეულმა დედამ ჰკითხა:

— ეს რასა ნიშნავს? რა გინდა შენ ჩემს ბუდეში?

— მშიან. — უთხრა ყიყინამ. — რამე საჭმელი მომეცი, თორემ თვითონ შენ შეგჭამ!..

გულყვითელას გაეცინა, თანაც შეებრალა საცოდავი ყიყინა. აიღო კარგი გემრიელი, მსუქანი ბუზი, მისცა და უთხრა:

— აჰა, სჭამე. მხოლოდ აქედან კი გამეცალე!

ყიყინამ შეჭამა ბუზი და თავისთვის წაცოცდა.

თვითონვე შერცხვა, რომ ასე შეურაცჰყო და შეაშინა გულყვითელა, ისე შერცხვა, რომ მას შემდეგ ვეღარა ბედავდა საწყალი ჩიტისა და იმის ბარტყების შეწუხებას.

ᲝᲠᲘ ᲑᲐᲧᲐᲧᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ერთ ჭაობში, მრავალ ბაყაყებ შორის ცხოვრობდა ორი ბაყაყი და-ძმა, ისინი ყველაზე მეტად ჩხუბობდნენ და შფოთავდნენ ჭაობში. ამიტომ იმათ მეტსახელად ერქვათ: ჭიჭყინა და ბუსხუნა. ჭიჭყინა იყო გამხდარი, სუსტი აგებულობის ბაყაყი. პაწაწკინა, მოციმციმე თვალებიანი; ბუსხუნა კი უფრო სრული და ჩასუქებული, ღიდრონი თვალებით, მუდამ უკმაყოფილო, გარინდული, თითქო ბურანშიაო. ჭიჭყინა წვრილის ხმით წრიპინებდა, ბუსხუნა კი თავისთვის რაღაცას ცხვირში ყიყინებდა.

ორივე ყველაფრით და ყველათი უკმაყოფილონი იყვნენ. ჭიჭყინა საღამოობით ჭაობის ბალახებზე დასკუპდებოდა და მოჰყვებოდა ჩივილს:

— აქ ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია, საძაგელი ჭაობია, ქინქლები ხომ სულ ცოტაა და რაც არის გამხმარია, უგემური! მე მუდამ მშიერი ვრჩები! მშიერი! თუ როდისმე მსუქანი ლუკმა შემხვდება, სასწრაფოდ პირიდან მგლეჯენ. სწორე მოგახსენოთ, საგანგებო საზოგადოება გვყავს რაღა! გაუმაძღარი, შურიანი და მაჩხუბარი.

— ეგ რათ გინდა, — დაუმატებდა ხოლმე ბუსხუნა ბოხის ხმით, — დარიც რომ ხელს უწყობს აქაურ უწესრიგობას! ისე ცხელა, ისე, რომ სული გვეხუთება! ნეტავი როდესმე ველირსებით წვიმას? ჭაობები სულ მთლად გამოიფიტა — გაშრა და გამხმარი წუმპეს ტალახ-გოროხი კანს ისე გვჩხვლეტავს, თითქო ღორის ჯაგარიაო! სწორედ აქ ცხოვრება არ შეიძლება, საძაგელი ჭაობია! იჩივლებდნენ, იწუწუნებდნენ და შემდეგ ერთად წამოყუნტდებოდნენ და გაბუსხულნი გარშემო იყურებოდნენ.

სხვა ბაყაყებმა სცადეს გამოლაპარაკება ჭიჭყინასთან, მაგრამ შეუძლებელი შეიქნა. თუ ვინმე აქებდა ცაზე მოსრიალე შავ საწვიმარ ღრუბელს,რომელსაც სიგრილე თან მოსდევდა, ჩხავანა არც კი შეხედავდა, ვითომც არ ამჩნევსო.

— ერთი თუ ღმერთი გწამთ, თავი დამანებეთ! განა აქ კარგი რამ შეიძლება იყოს? აბა, ეგ რა ღრუბელია, ან რა სიგრილეა? მე კი სიცხისაგან სული მეხუთება, — იტყოდა ჭიჭყინა და მაშინვე წყალში ჩაიყურყუმალებდა.

ბუსხუნასაც ხშირად პატიჟობდნენ, რომ საღამოობით იმათთან გაეტარებინა დრო, ერთად ჭაობის ბალახებში ეყიყინათ და შემდეგ ერთად ებანათ თბილ ხავსიან წყალში, საიდანაც სასიამოვნო დამპალი ხავსისა და ბალახის სუნი მოდიოდა. მაგრამ ბუსხუნა პასუხის

მაგივრად თავის აკრელებულ სქელ ზურგს შეაქცევდა ამხანაგებს, ცოტა ხანს სდუმდა და შემდეგ ცხვირში ყიყინს მოჰყვებოდა:

— აბა, რას ამბობთ, თუ ღმერთი გწამთ, ჭაობის რბილ ბალახს კი არა, ნამდვილ წვეტიან ქვებსა ჰგავს. მთელი ·ტანი მტკივა, ისე მაქვს დაჩხვლეტილი ამ ჭაობისაგან! აქ წყალიც მეტად უგემურია! ყიყინით კი, ერთი მითხარით, რაზე ვიყიყინოთ, რაზედა? საშინელი მოწყენილობაა. ეს ჭაობი კი არ არის, სწორედ ტალახის წუმპეა!

მეგობრებს მოსწყინდათ უთავბოლო ჩივილი და ყიყინი და-ძმისა, თავი დაანებეს იმათ და მხიარულად გაჰქონდათ ხტუნვა და ყიყინი.

რასაკვირველია, და-ძმას არ მოეწონათ ამხანაგების ამგვარი თავხედობა; ჭიჭყინამ მოისურვა ყიყინი, მაგრამ ბაყაყების ხმაურობა უშლიდა ხელს:

— ოჰ, რა ბრიყვები, რა საშინელი უზრდელნი არიან! საზიზღარი ბაყაყებია ამ ყოვლად საძაგელ ჭაობში! მუდამ ჟღივიან და ჭიჭყინებენ! ერთ წამს მოსვენება არ არის, იქნება სწორედ ახლა მსურს რამე საქმეზე მოყიყინება ჩემ ძმასთან, მაგრამ განა შესაძლებელია?

ბაყაყებმა რომ გაიგონეს ჭიჭყინას გაჯავრებული ყიყინი, გადასწყვიტეს უფრო შორს წასვლა — მაღალ კორდზე იპოვეს სველი ალაგი და იქ ყველანი მშვენივრად მოეწყვნენ. გრილ ჰაერში უთვალავი ქინქლები, კოღოები და ბუზები მრავალი იყო. ბაყაყები წყალში მხიარულად ჭყუმპალობდნენ; ერთიმეორეზე ჩახტებ-ამოხტებოდნენ, სხვადასხვა თამაშობას იგონებდნენ.

ბუსხუნა კი მოსჯდომოდა თავის დას და ეყიყინებოდა:

— ქვეყანაზე ჩვენ ჭაობზე უარესი აღარსად აღარაფერი იქნება! ხედავ, ჭიჭყინა! ყველანი წავიდნენ, ჩვენ კი აქ მარტოდმარტო დაგვტოვეს ამ საშინელ სიცხეში და გამოფიტულ ჰაერში. დარწმუნდი, თვითონ საუკეთესო ალაგი აირჩიეს! მე კარგად ვიცი, იქ მრავალი გემრიელი კოღო და ქინქლა ირევა.

კარგა ხანს სიჩუმის შემდეგ ჭიჭყინამ უთხრა:

— მოდი, ძმაო, აქედან წავიდეთ, საცა იქნება ვეძებოთ, საუკეთესო ჭაობი!

ბუსხუნა სასწრაფოდ გამოცოცხლდა:

— ძალიან კარგი! ნუთუ ვერ ვიპოვით ისეთ ჭაობს, რომ მუდამ სველი და გრილი იყოს?

— თანაც ბევრი ლელით შემკული! — დაუმატა ჭიჭყინამ, — კიდევ იმასაც ვეცადოთ, რომ კარგი სამეგობრო ბაყაყები იყვნენ და არა იმისთანა საძაგელნი, როგორც აქ არიან.

საღამოზე იმათ ეწვიათ ბაყაყი ხტუნია, მუდამ მხიარული და მშვენიერი ჭრელზურგიანი, იმან შორიდანვე დაუყვირა:

— ახლა ხომ კარგ გუნებაზედა ხართ? — და ჭიჭყინას წინ წუმპეში ჩახტა და ხავსიანი წყლის წინწკლები თვალებში შეუშხაპუნა. — მაშ სრულებით მოსვენებული ხართ, რაც ჩვენ გაგვშორდით?— მხიარულად იმეორებდა ხტუნია და თავის პატარა მოძრავი ტანით ხტუნავდა ხან დასთან და ხან ძმასთან.

ჭიჭყინა ისე იყო გაჯავრებული, რომ უნდოდა სულაც არ დალაპარაკებოდა, ბოლოს კი ვერ მოითმინა, რომ თავისი აზრი არ შეეტყობინებინა და თვალების კრუტვით, ძლივს ამოიკნავლა:

— ჩვენ აქედან მივდივართ!

— დიახ! უსათუოდ წავალთ აქედან, — გაიმეორა ბუსხუნამაც.

— რაო! რაო! მიდიხართ ჩვენი მშვენიერი ჭაობიდან? ნუთუ არ გენანებათ აქაურობა? — გაკვირვებით დაიყიყინა ცელქმა ხტუნიამ. ჭიჭყინამ ამაყად შეხედა იმას და გაბრაზებით დაიწრიპინა.

— გენანებათო, აბა, მითხარი, რა უნდა დაგვნანდეს. აქ ცხოვრება მეტად მოსაწყენია, საძაგელი ადგილია, ნაღვლისაგან მთლად ჩამოვხმი, აბა, შემომხედე!—და ჭიჭყინამ გვერდი მიიბრუნა ხტუნიასაკენ, რომ დაენახვებინა თავისი გამხდარი გვერდები.

— აღარ იშლით რაღა, უსათუოდ მიდიხართ, — ყიყინებდა ხტუნია და სიბრალულით შესცქეროდა ჭიჭყინას გაფიცრულ მუცელს. — ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, წადით, ეძიეთ უკეთესი ალაგი. — მე კი აქაურობისა დიდი კმაყოფილი ვარ!

მეორე დღეს დილა ადრიანად, ჭაობზემოთ გამოურკვეველი ნისლი იდგა, ბალახიც ცვრით მორწყული იყო. ამ დროს ჭიჭყინა და ბუსხუნა გზას ისე გაუდგნენ, რომ არავის გამოსალმებიან.

ხტუნვა-ხტუნვით ჩვენი და-ძმა კარგად გაშორდნენ თავიანთ ჭაობს; საღამომ რომ მოატანა, ერთ ალაგას პატარა წუმპე იპოვეს: რამდენიმე წვეთი ჩაპულაპეს, სული მოითქვეს და ბალახებში ჩაიმალნენ მოსასვენებლად.

მეორე დღეს გამოიღვიძეს თუ არა, დაიწყეს აქეთ-იქით ცქერა, ეგებ ვინმე დავინახოთ და გზა გამოვკითხოთო. წუმპეში ბაყაყები არ იყვნენ. ამ დროს იმათ ახლო გაირბინა მინდვრის თაგვმა.

— მოიცა, მოიცა, თაგვო! — დაუყიყინა ჭიჭყინამ. — აქ სადმე ახლო, ხომ არ იცი დიდი, სველი ჭაობი, ბევრი ლელით შემკული, გემრიელი კოლოებით სავსე?

— აგრეთვე მუდამ თბილი, ჟუჟუნა წვიმა ასხამდეს, — დაუმატა ბუსხუნამ.

— არა! არ ვიცი! მე ჭირივითა მძაგს ჭაობი და თუ ოდნავ დამისველდა ჩემი ნაცრისფერი ქურქი, მაშინვე მზეზე მივრბივარ! უფრო ხშირად კი მინდვრადა ვცხოვრობ, სადაც მაღალი თავთავი

ხარობს, პურის მარცვლით გატენილი; თავის დღეში ჭაობებში არ დავდივარ, — კუდის სანსალით ჩაიწრიპინა თაგუნიამ და ბალახებში შესრიალდა.

— თაგვები საშინელი სულელები არიან, — მიაყიყინა ჭიჭყინამ, მაგრამ თაგვს არაფერი გაუგონია, რადგან შორი გზა ჰქონდა კიდეც გავლილი.

და-ძმამ რამდენიმე კოღო ჩაყლაპეს და ისევ გზას გაუდგნენ. მეორე დღეს საღამოზე შეჩერდნენ დასასვენებლად, საშინლადა ცხელოდა, ჰაერი შეხუთული იყო, სუნთქვა უძნელდებოდათ, ახლო-მახლო არც ერთი წუმპე არ მოჩანდა, რომ ებანათ და გაგრილებულიყვნენ. ბუსხუნა ათვალიერებდა, რომ ეგება გზის მაჩვენებელი ვინმე დაენახა.

უცბად იმათ ახლო მიწა შეინძრა და თხუნელამ გაშავებული ცხვირ-პირი ზემოთ ამოჰყო.

— მოიცა, მოიცა, თხუნელა, აქ სადმე ახლო ხომ არ იცი დიდი ჭაობი, სქელი ლელით შემკული და მუდამ გამოულეველი და გემრიელი კოღოებით სავსე?

— აგრეთვე თბილი ჟუჟუნა წვიმა ხშირად მოდიოდეს და შუაში რბილი. გაფურჩქნილი ბალახი იყოს! — დაუბაბუტა ჭიჭყინამ.

თხუნელა ჯერ გაჩუმდა, შემდეგ კი დაღრეჯით უპასუხა:

— არა, არ ვიცი! ჭაობი ჭირივითა მძაგს. მე მიყვარს მიწის თხრა და ჭიისა, მატლისა, ბუზანკალის ჭამა, ქვეყანაზე ამათზე გემრიელიც აღარაფერი იქნება. — თხუნელამ წინა კლანჭები შეანძრია და ისევ მიწაში ჩაძვრა.

— ეს ბრმა თხუნელები სულელები არიან! — გაჯავრებით წაიყიყინა ბუსხუნამ.

— კარგია, თქვენმა მზემ, ჭაობი სძაგს, თვითონ კი ჭიას, მატლს, ბუზანკალას და სხვა სისაძაგლეს სჭამს. — დაუმატა ჭიჭყინამ.

მგზავრობა თანდათან უძნელდებოდათ; ბუსხუნაც კარგად ჩამოხმა სიცხისა და წყურვილისაგან; ჭიჭყინაც ნამეტნავად შეილახა, თითქო ცოტა შეფიქრიანდა. მესამე დღეს დაინახეს ლამაზი მერცხალი, რომელიც ჰაერში ბუზებს იჭერდა.

— მერცხალო, მოიცადე, ნუ გაფრინდები, — ვედრებით დაუყიყინა ჭიჭყინამ. — არ იცი, სად არის იმისთანა დიდი ჭაობი, მუდამ სველი, სქელი ლელით შემკული იყოს და გემრიელი კოღო გამოულეველი, აგრეთვე ხშირად ჟუჟუნა წვიმა მოდიოდეს და წყალს გემრიელი ხავსის სუნი ჰქონდეს?

მერცხალი ერთ წამს დაფიქრდა და შემდეგ ჩაიჭიკჭიკა:

— არ ვიცი, სწორედ გითხრათ! მართალია, კოღოები თვითონ

მეც მიყვარს, მაგრამ ჭაობებთან კი თავისდღეში არა ვფრინავ. ჩემის აზრით, იქ ცუდი ჰაერია. მე ძალიან მიყვარს მზის სხივებში ტრიალი! — მერცხალმა გაფრენა დააპირა, მაგრამ უცბად რაღაც მოაგონდა.

— იცით, რას გირჩევთ, საცოდავო ბაყაყებო: წადით, მოძებნეთ ფრინველი ღალღა და ის ნამდვილად გასწაელით კარგ ჭაობს. ეგ იმის საქმეა, მუდამ ჭაობებში ცხოვრობს, — დაუმატა მერცხალმა, ფრთები გაშალა, თეთრი გული გამოიჩინა და უცებ გაქრა

— სწორედ, რომ მერცხალი ძალიან ჭკვიანი ყოფილა! — ჩუმად ჩაიყიყინა ჭიჭყინამ. — წავიდეთ და მოვძებნოთ ღალღა.

— მართალია! მართალი! ღალღა ყველაფერს გაგვაგებინებს, — მწუხარებით წარმოთქვა ბუსხუნამ.

სიცხითა და წყურვილით დაღალულ-დაქანცულები ხტუნვა-ხტუნვით გაუდგნენ გზას ჩვენი მგზავრები, მაგრამ სულ მისუსტებულიყვნენ. ძლივძლივობით მეხუთე დღეს სველ და ხშირ ბალახებში ცხვირგრძელა ღალღას შეხვდნენ.

— ჩემო კარგო ღალღა! — ალერსით მიმართა ჭიჭყინამ. — მერცხალმა გვითხრა, რომ შენ შეგიძლიან გვასწავლო, მუდამ სველი დიდი ჭაობი, სქელი ლელით შემკული და გემრიელი კოღო გამოუღეველი.

— გარდა ამისა ბაყაყებს ერთობა და მეგობრობა ჰქონდეთ, წვიმის შემდეგ ფერხულსა და სხვადასხვა თამაშობას მართავდნენ, — დაუმატა ბუსხუნამ.

ღალღამ დიდად უქო ერთი ჭაობი, იმაზე უკეთესი არსაღ არ მეგულებაო, და გზაც უჩვენა.

და-ძმამ მადლობა გადაუხადეს და მხიარული ხტუნვით გზას გაუდგნენ.

მიუახლოვდნენ თუ არა ჭაობს, ჭიჭყინა სიხარულით ჩახტა ხავსმოკიდებულ წყალში. დასუსტებულმა ბუსხუნამაც იბანა.

— ოჰ, რა მშვენიერი წყალია! რა გემრიელია, სუნიც რომ საგანგებო აქვს! — კმაყოფილი ყიყინებდა ჭიჭყინა.

— რა მშვენიერი ფერი აქვს ამ წყალსა, ხავსიც მეტად კარგია და! — აღტაცებით ყიყინებდა ბუსხუნა.

იბანეს თუ არა, აქეთ-იქით ხტუნვა დაიწყეს და ყოველისფერს სიამოვნებით ათვალიერებდნენ. ჭიჭყინა თავმოწონებით ამბობდა:

— ღალღამ მართალი გვითხრა, მეტად კარგი ჭაობია. — თანაც თბილ ჟუჟუნა წვიმას ზურგს უშვერდა.

— ამისთანა გემრიელი კოღოები თავის დღეში არ მიჭამია, — ამბობდა ბუსხუნა და თანაც რაც შეეძლო კოღოებს მუცელში იტე-

ნიდა. ბოლოს წამოსკუპდნენ კორდზე და თავისებურად დაიწყეს ბაასი.

— ეს წყალი, თითქო ჩვენი ჭაობის წყალსა ჰგავს, მაგრამ გემო კი სულ სხვანაირი აქვს. თითქო ლელიც იმნაირად სარობს აქა, მაგრამ არა, მაინც ეს სხვაგვარია, ეს კორდიც გარეგნობით მიემსგავსება ჩვენსას, მხოლოდ ჩვენი ისეთი მაგარი იყო, როგორც ქვა! ეს კი რბილია, ერთი სიტყვით, მშვენიერი ჭაობია! — ყიყინებდა ბუსხუნა.

— ამაზე უკეთესს თავის დღეში ვერსად ვიშოვიდით,- -დაუმატა ჭიჭყინამ.

ამ დროს მოესმათ მხიარული ყიყინი და ხტუნვა ბაყაყებისა. სულგანაბულნი ისმენდნენ ჩვენი მგზავრები და აღტაცებით ამბობდნენ:

— რა ერთობა და მეგობრობა ჰქონიათ აქაურ ბაყაყებსო!

მიუახლოვდნენ და-ძმანი მხიარულ მომღერალ გუნდს. ვნახოთ უცბად მათ წინ გამოხტა ძველი ნაცნობი, მხიარული ბაყაყი ხტუნია.

— თქვენ აქ საიდან გაჩნდით? — გაკვირვებული ეყიყინებოდა ხტუნია, — ისევ ჩვენთან მოდით, მობრუნდით?

— როგორ? როგორ? — დაიყვირეს ჭიჭყინამ და ბუსხუნამ. — უკაცრავად ნუ გახლავართ, ეს სულ სხვა ჭაობია!

— დამიჯერეთ, ეს ჩვენი წინანდელი კარგი ჭაობია. მხოლოდ თქვენ ვერ იცანით, რადგან მეორე გზით მოხვედით. ახლა ხომ დარწმუნდით, რომ ამაზე კარგი ჭაობი არსად არ არის?

ორივე და-ძმა სირცხვილისაგან თავჩაღუნული იდგა; ხმის ამოღებას ვერ ახერხებდნენ. ბოლოს კი დაბალის ხმით წაიყიყინეს:

— ამაზე უკეთესი ჭაობი არსად არ არის.

მას შემდეგ ისინი აღარსად წასულან და ცხოვრობენ ყველა ბაკაყთან მეგობრულად და მხიარულად.

ალექსი მირიანაშვილი

1860 — 1925

ცნობილი სახალხო მასწავლებელი, ხალხური სიტყვიერების მცოდნე და პუბლიცისტი ალექსი ივანეს ძე მირიანაშვილი დაიბადა 1860 წელს სოფ. ანაგაში (სიღნაღის რ.), გლეხის ოჯახში. მისი მშობლები მეტად შრომისმოყვარენი იყვნენ და წერა-კითხვაც კარგად იცოდნენ. პატარა ალექსი მამამ პირველად სოფ. ვაქირის დაწყებით სკოლაში მიაბარა, რომლის მასწავლებლად იყო იქაური მღვდელი. აღნიშნულ სკოლაში ექვსი წლის ალექსის არაფერი შეუსწავლია, რადგან, როგორც იგი იგონებს, მღვდელს იშვიათად ხედავდნენ სკოლაში და თუ მივიდოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ „ებრძანებინა მინდორ-ვენახებში წასვლა და მისი სადილისათვის სატაცურის მოკრეფა, ან კალო-საბძელში მუშაობა, ან მისი ეზოს გასუფთავება...“

ალექსის გამჭრიახი მამა მალე მიხვდა, რომ მისი მკვირცხლი და

გონიერი შვილი მღვდელთან ვერაფერს ისწავლიდა, ამიტომ მალე გადაიყვანა ქალაქ სიღნაღის სამაზრო სასწავლებელში. 13 წლის ალექსი ახლა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში მოეწყო. ოთხი წლის შემდეგ, ე. ი. 1877 წელს, ინსტიტუტში ჩაირიცხა, რომელიც 1881 წელს წარჩინებით დაამთავრა და საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება მიიღო.

1879 წელს ალექსი ჯერ კიდევ მოსწავლე იყო, სამწერლო ასპარეზზე რომ გამოვიდა. მის კორესპონდენციებს, სადაც სიღნაღის მცნოვრებთა გაჭირვებული ცხოვრება იყო აღწერილი, ყურადღება მიაქციეს სერგეი მესხმა, იაკობ გოგებაშვილმა, ნიკო ლომოურმა და იგი დაიახლოვეს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ალ. მირიანაშვილი მათი დახმარებით მოეწყო თბილისის ქართულ სკოლაში მასწავლებლად. აღნიშნულ სკოლაში ალ. მირიანაშვილმა ყურადღება დაიმსახურა, როგორც მუყაითმა პედაგოგმა. ამიტომ იგი გადაიყვანეს სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში (სადაც თვითონ მიიღო საშუალო განათლება) მასწავლებლად. 1900 წელს კი თბილისის კომერციულ სასწავლებელშია, სადაც 23 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. 1923 წელს ალ. მირიანაშვილი მძიმე ავადმყოფი შეიქნა და დროებით შრომის უნარიც დაკარგა. მიუხედავად ამისა, ალ. მირიანაშვილმა უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და სიხარულით მიიღო მონაწილეობა ნამდვილი ეროვნული საბჭოთა სკოლის ჩამოყალიბების საქმეში, რასაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას. მაგრამ ალექსი მირიანაშვილს არ დასცალდა საყვარელ საქმეში შეეტანა თავისი წვლილი და შედეგიც ენახა. იგი გარდაიცვალა 1925 წლის 24 აპრილს. დასაფლავებულია ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ალექსი მირიანაშვილი დღიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა (სწერდა კორესპონდენციებს, პედაგოგიურ, პუბლიცისტურსა და მეცნიერულ-პოპულარულ წერილებს) ახლო თანამშრომელი იყო ჩვენი იმდროინდელი საბავშვო ჟურნალებისა: „ნობათის", „ჯეჯილისა" და „ნაკადულისა". იგი „ნაკადულის" სარედაქციო კოლეგიის მუდმივი წევრი იყო და მისი „გასართობების" განყოფილების ხელმძღვანელი. ალ. მირიანაშვილი წერდა მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის მოკლე ამბებს, ხშირად ლილიპუტის ფსევდონიმით. განსაკუთრებით უყვარდა წერა პატარ-პატარა იგავ-არაკებისა, რომელსაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. ავტორსაც ამ იგავ-არაკებმა მოუპოვა პოპულარობა ქართველ საზოგადოებასა და ბავშვებს შორის.

ალ. მირიანაშვილის იგავ-არაკების პატარა კრებული პირველად

1907 წელს გამოსცა ჟურნალმა „ნაკადულმა“ თავის ხელმომწერთათვის. კრებულმა ყურადღება მიიპყრო და მაღალი შეფასებაც მიიღო იმდროინდელი ჩვენი პრესის ფურცლებზე.

1922 წელს სახელმწიფო გამომცემლობის წინადადებას იგავ-არაკების კრებულის ხელმეორედ გამოცემის შესახებ ავადმყოფი ალექსი მირიანაშვილი სიხარულით შეხვდა. მან კრებული შეავსო და 70 იგავ-არაკი პატარა წიგნის სახით გამოიცა.

იგავ-არაკები „მდიდარია შინაარსით, აზრით და დაწერილია საუცხოვო ქართული ენით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს,“ — წერდა გაზეთი „ჩვენი დროება“ 1913 წელს. ასეთი შეფასების სისწორეში მკითხველიც დარწმუნდება წარმოდგენილი ნიმუშების მიხედვით.

ᲛᲔᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲔ

მეწისქვილეს წისქვილში ერთ დღე-ღამით მეგობარი ეწვია.

სტუმარმა დღისით ბევრი ისეირნა წისქვილის კარმიდამოში და საუცხოოდ გაერთო. დადგა ღამე, მოვიდა ძილის დროც; მაგრამ ვაი შენს მტერს: წყლის ბორბლის შხუილმა და ქვის გრგვინვამ ისე დაუფრთხო სტუმარს ძილი, რომ მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. გათენდა დილა, ზლაზვნით ადგა ლოგინიდან სტუმარი და უძილობისაგან სრულიად დათენთილმა გულშემატკივრობით უთხრა მასპინძელს:

— ჩემო ძმაო, ჭეშმარიტად მებრალები, რომ ასეთ გაჭირვებაში ჩავარდნილხარ: შენ ხომ მოსვენებას მონატრული იქნები ამისთანა ვაგლახი ხმაურობისაგან, რა თავი გიძლებს და ან რა მოთმინება გყოფნისო?

მეწისქვილემ გაიცინა და მიუგო:

— შენ რომ წუხელის ჩემი წისქვილის ხმაურობას შეუწუხებიხარ, ეს მჯერა; მაგრამ ჩემთვის კი ასეთი ღამეები ნამდვილი ბედნიერების მომასწავებელია; მოუსვენრობას და გაჭირვებას მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, როცა ჩემ წისქვილში სრული სიჩუმე ჩამოვარდება ხოლმე, ე. ი. როცა უსაფქვაობის გამო წისქვილის ბორბალი და ქვა ჩერდებიანო.

ᲓᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘ

დედამ უთხრა თავის შვილს:

— გენაცვა, შვილო, გაიქეცი, მამას დაუძახე, აქ მოვიდეს, საჭირო საქმე მაქვსო.

— დედა, ახლა მეზარება, მერე წავალო, — უთხრა შვილმა.

ᲐᲢᲐᲠᲐ ᲮᲐᲜᲘᲡ შემდეგ შვილი მიუბრუნდა დედას და ეუბნება:

— დედა, შენი ჭირიმე, პური მომიტეხე, მშიანო.

— არა, გენაცვალე, ახლა მეც ძლიერ მეზარება, მერე მოგიტეხო, — მიუგო დედამ.

ოგოგა და გუზი

ბუზი წვნით სავსე ჯამში ჩავარდა და იხრჩობოდა. ობობამ თვალი მოჰკრა და დაუძახა:

— შენი შეჭმის ნება მომეც და ამოსვლას გიშველიო.

— თუ თქვენში შველას შეჭმას ეძახიან, მტრობას რაღას ეტყვიანო?

სამი მგზავრი

თავადი, სოვდაგარი და გლეხი შორს გზას მიდიოდნენ. ერთ ალაგას მდინარე დახვდათ გადასასვლელი. ცურვა კი იმათში არავინ იცოდა. ილბალზე მეთევზე დაინახეს, რომელიც წყალში ნავით დაცურავდა და ბადეს ისროდა. მოგზაურებმა მეთევზეს სთხოვეს:

— რაც გინდა გამოგვართვი, ოღონდ გაღმა მშვიდობით გაგვიყვანეო.

— გაყვანით გაგიყვანთ, — მიუგო მეთევზემ, — მხოლოდ ნება მომეცით ნაპირას გასვლამდე ორიოდეჯერ მაინც ბადე გადავაგდოო.

მოგზაურები დათანხმდნენ.

მდინარის შუაგულს რომ შევიდნენ, ისე ღონივრად გადისროლა მეთევზემ წყალში ბადე, რომ თავი ვეღარ შეიმაგრა, ნავიდან წყალში გადავარდა და მორევში ჩაიყურყუმელავა.

— არიქათ, ნიჩაბი მოუსვით, თორემ თქვენც ეგ დღე დაგადგებათო! — გადმოსძახა ვიღაცამ მოგზაურებს ნაპირიდან.

თავადმა უთხრა ამხანაგებს:

— მე არ მეკადრება ნიჩაბს ვუსვამდე და თქვენ ისე ისხდეთო.

სოვდაგარმა თქვა:

— თქვენისთანებს მე ორმოცს ვიყიდი და გავყიდი, მე გემსახურეთ, თქვენ ისე ისხდეთ, რას ეგვანებაო!

გლეხმა თქვა:

— აქაც რომ მე მიმსახურეთ, თქვენ ხელის ვანძრევას როდისღა შევესწროო.

ამასობაში ნავი კარჩხალს მოედო. გადაბრუნდა და სამნივ ერთად ტალღამ გაიტაცა.

მელია და გლეხი

გლეხის საქათმეს მელია შეეჩვია და ქათმის სინსილა გაუწყვიტა.

ერთხელ დილაადრიან გლეხი მივიდა საქათმის დასათვალიერებლად და კარებში მელია კი შეეხეჩა. გლეხმა სტაცა კუდში ხელი, დაიჭირა და მოსაკლავად კეტი დაუღირა.

— ნუ მომკლავ, გამიშვი, — ევედრებოდა მელია გლეხს, — და ერთ ისეთ სასაცილო ამბავს გეტყვი, რომ არამც თუ შენ, შენს მამაპაპასაც არ გაეგონოსო.

გლეხმა მელია გაუშვა და უთხრა:

— აბა, შენ იცი, რა ამბავსაც მეტყვიო.

მელია გადგა განზე და უთხრა გლეხს:

— სწორე გითხრა, ბევრი სამასხარაო ამბავი ვიცი, მაგრამ ამაზე უკეთესს რას გეტყვი: მთელი წელიწაღია შენ საქათმეს ვანადგურებ, ერთხელ ხელში ჩაგივარდი და ახლა მაინც ცოცხალი გამიშვიო, — თქვა და მოჰკურცხლა ტყისკენ.

ჯერ მტერი, მერე მოკეთე

ერთ ვიწრო ორღობეში ერთ კაცს ხანჯალამოღებული მტერი გამოედევნა მოსაკლავად. გზაში თურმე ორმო ყოფილიყო. მტერმა ეს ვერ შენიშნა და შიგ ჩავარდა. მის საუბედუროდ ორმოში წყალი მდგარიყო და იხრჩობოდა. მოიხედა პირველმა უკან და რა თავის მტრის ორმოში ჩავარდნა დაინახა, დაბრუნდა მოსაშველებლად. მსწრაფლ იშოვა გრძელი კეტი, ჩააყუდა ორმოში და მტერი ამოიყვანა.

მტერი ძლიერ გაჰკვირდა და გაოცებით ჰკითხა თავის მსხვერპლს:

— თუ ღმერთი გწამს, ამიხსენ, რას ნიშნავს ეს: მე მოსაკლავად მოგდევდი და შენ კი ჩემი სიცოცხლე ისურვეო?

— შენის გადარჩენით, — მიუგო მხსნელმა, — ორნაირ მოგებაში ვარ: ასეთი სიკეთე რომ გიყავ, ჩემის მტრობისა რაღა საბუთი გექნება, ამრიგად მტერიც მოვისპე, მეგობარიც შევიძინეო.

გადარჩენილმა ღიმილით თავი გაიქნია და მიუგო: დღეიდან რაღა დამრჩენიაო.

ორი მეზობელი

ორი კაცი მეზობლად ცხოვრობდა; ერთი იყო შრომისმოყვარე, მეორე საშინელი ზარმაცი. შრომისმოყვარე დღითი დღე შენდებოდა, მდიდრდებოდა. ზარმაცი კი სულ უკან-უკან მიდიოდა. ხალხმა ზარ-

მაცს კილვა და ძრახვა დაუწყო: რა დაგმართვია, შენ უბრალო ქოხი ვერ შეიძინე, რომ თავი შეაფარო და შენმა მეზობელმა კი, დახე, რა დარბაზი წამოჭიმაო!

ზარმაცი შურმა აიტანა; გულში განიზრახა: ჩემს მეზობელს ფარულად სახლს დავუნგრევ და ისიც ჩემსავით ღატაკი შეიქნებაო.

ადგა და როცა მეზობელს შინ არ დაიგულებდა, მივიდოდა მის სახლთან და დიდ სვეტს თითო აგურის გამოცლა დაუწყო. მაგრამ, დახე უბედურებას: ერთხელ, ბოლო აგურს რომ აცლიდა, ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, უცებ სვეტი გადაიქცა, სახლმა იგრიალა და საბრალო ქვეშ მოიტანა.

ეს საცოდავი მესამე დღეს მიწას მიაბარეს და იმის მეზობელმა კი წლის თავზე უკეთესი სახლი წამოიდგა.

სამაგიერო

ყანაში მომუშავე გლეხს პური მოშივდა, საჭმელი კი არა ჰქონდა: რა. გადვიდა იქვე მეზობლად მყოფ გლეხთან და დიდის თხოვნით შეეხვეწა:

— თუ ღმერთი გწამს, შიმშილით კუჭი მეწვის, პური კი არა მაქვს; სიკეთე მიყავ, მაჭამე რამე და, თუ კაცი ვარ, მეც გადაგიხდიო.

მეზობელს პურის გარდა ორი ქოთანი მაწონიც ჰქონდა შენახული. ერთი ქოთანი აიღო და მიართვა სტუმარს. ამანაც ჩამოართვა მაწონი და, რა დაინახა შიგ ჩავარდნილი ჭია, განრისხებულმა ქოთანი ძაწაზე დაანარცხა და სულ ერთიან დაამსხვრია.

— კაცო, რას მემართლები, მაწონი დაიწუნე, ქოთანმა რაღა დაგიშავაო?

— რა ვქნა, — მიუგო სტუმარმა, — ჭიის დანახვაზე ძლიერ გული მომივიდა და ქოთნის დანარცხებით ბრაზი გავხეთქეო.

გაჯავრებულმა ქოთნის პატრონმა წამოავლო ხელი უმადური სტუმრის ნამგალს, რომელიც იქვე ახლო იდგა, გადიდო მუხლზე, გადატეხა ორად, გადაყარა ნატეხები და მიუგო:

— ნურას უკაცრავად, შენი ჭირიმე, მეც ხასიათად მაქვს: ნამგალს თუ ჟანგი შევამჩნიე, რომ არ გავტეხო, ვერ მოვითმენო.

— ეგ შენი ხასიათი შენ ნამგალზე უნდა გამოიჩინო, თუ სხვისაზედაო? — გაკვირვებით ჰკითხა სტუმარმა.

— რატომ? — მიუგო მეზობელმა, — თუკი შენ შენს ბრაზიანობას ჩემ ქოთანზე გამოიჩენ, მე რომ ჩემი ხასიათი შენ ნამგალზე გიჩვენო, რად უნდა გაიკვირვოვო?

სამი უნარი

ერთმა ხელმწიფემ თავის ქვეშევრდომთ გამოუცხადა:

— ვინც ჩემს თვალწინ დიდ უნარს რასმე გამოიჩენს, მას ისე დავასაჩუქრებ, რომ საუკუნოდ ბედნიერი შეიქნესო.

ამ ბრძანებაზე ხელმწიფეს სამი კაცი გამოეცხადა: ერთს ხელში წერაქვი ეჭირა, მეორეს ვეება ტიკი, მესამეს ნამგალი.

მეფემ წერაქვის პატრონს ჰკითხა:

— აბა მითხარ, შენ რა უნარი გაქვს და ან ხელში წერაქვი რად გიჭირავსო?

— ამ წერაქვითო, — მიუგო მან, — მიბრძანეთ და რომელ ქალაქსაც გინდათ, ერთ დღეს, დილით საღამომდე, ისე დავანგრევ, რომ ქვა ქვაზედაც აღარ დარჩესო.

შემდეგ მეფე მიუბრუნდა ტიკის პატრონს:

— აბა, ახლა შენ მითხარ, რა შეგიძლიან და ან ტიკი რად გიჭირავსო?

ამანაც მიუგო:

— მე, შენი ჭირიმე, მიბრძანე და ამ ტიკს ღვინით სავსე უსუნთქებლივ დავცლიო.

მეფემ ჰკითხა აგრეთვე მესამეს:

— მითხარ, შენ რიღას შემძლე ხარ და რას ნიშნავს ეგ შენი ნამგალიო?

— მე, — მიუგო ამან, — ამ ნამგლით სამი დღის ყანას ერთ დღეს, დილით საღამომდე, ისე მოვმკი, რომ თავთავიც აღარ გადარჩესო.

ხელმწიფემ რა მოისმინა სამთავეს უნარი, ასეთი განაჩენი გამოაცხადა:

— ვინც ერთს დღეს ქალაქის დანგრევას იკვეხის, ის ქვეყნის მავნებელი უნდა იყოს, ვინც ღვინით სავსე დიდი ტიკის დაცლას, ის თავის თავის მტერი. ავის საქმისათვის ჯილდოს გაცემა ხელმწიფეს არ შეშვენის. ამიტომ მიბოძებია ჩემი საბრძანებლიდან ასი ათასი დღიური მიწა, ტყითა და ველით შემკობილი, მენამგლისთვის, რადგან ნაყოფიერი და ქვეყნისთვის სასარგებლო უნარი მხოლოდ ამას ჰქონიაო.

ავი შვილები

ერთ კაცს ხუთი შვილი ჰყავდა. თუმცა მათი კეთილად აღზრდისთვის თავის დროზე ბევრი იზრუნა, მაგრამ შრომამ ამაოდ ჩაუარა: შვილები ერთიმეორეზე უვარგისი გამოუვიდა; მაგრამ ეს კიდევ არა-

ფერი, რომ მათ ბოლოს ავკაცობისათვის არ მიეყოთ ხელი: დაიწყეს ქურდობა, ავაზაკობა, კაცის კვლა.

უიმისოდაც უკმაყოფილო მამა შვილების ასეთმა უმართებულო და საზიზღარმა ქცევამ დიდ დარდში და მწუხარებაში ჩააგდო. რა-საკვირველია, ყოველ შეხვედრაზე თვითეულ შვილს მშობლიურ დარიგებას და რჩევას არ აკლებდა და ზოგჯერ მოთმინებიდან გამოსული მწვავედაც ჰკიცხავდა და აგინებდა.

შვილებს მამის კიცხვა ძლიერ სწყინდათ და ერთხელ ისეთი ბრაზი მოერიათ, რომ გადაწყვიტეს: თუ მამა არ მოვკალით, ჩვენ სიცოცხლეში მოსვენებას არ მოგვცემსო.

რადგან ასეთი საშინელი განზრახვის შესრულება კერძოდ ვერც ერთმა ვერ იკისრა, ამიტომ დაადგინეს: შუაღამისას, როცა მამას უეჭველად უნდა სძინებოდა, ყველანი ერთად მისულიყვნენ და ერთნაირი მონაწილეობა მიეღოთ მშობლის მოკვლაში.

ბნელ ღამეში, დანიშნულ ვადაზე, მივიდნენ ერთად ხუთივე ძმანი მამის სადგომთან. პირველად უფროსმა გაიძრო ხანჯალი, მივიდა კარებთან და მიადო ყური: ვნახო სძინავს თუ ჰღვიძავსო. მაგრამ გასაოცარი ამბავი მოხდა: რა უფროსმა ძმამ მცირე ხანს ყური კარებთან გააჩერა, მაშინვე თვალებში ცრემლი მოერია, ფიცხლავ ჩააგო ხანჯალი ქარქაშში და შეწუხებული სახით გამობრუნდა უკან. ეს რომ დანარჩენმა ძმებმა შენიშნეს, დაუყოვნებლივ მივიდნენ იმავე კარებთან და თვითეულმა ცნობისმოყვარეობით მიადო ყური იმის შესატყობად, თუ რამ აატირა და გამოაბრუნა უფროსი ძმა. ყველას ერთი და იგივე დაემართა: საშინელი აზრით აღელვებულნი და მამის საწოლთან მისულნი, მშვიდობიანი სახით, ატირებულნი დაბრუნდნენ უკან.

რა შემოესმათ შვილებს მამის საწოლიდან და რამ მოალბო ასე უცბად მათი დიდი ხნის გაქვავებული გული?

იმჟამს, როცა უგუნური შვილები მამის ყელის გამოჭრას ლამობდნენ, უბედური მშობელი კუთხეში, ხატის წინ დაჩოქილი, ხმამაღლა ქვითინით, ხელებაპყრობილი ევედრებოდა ღმერთს: „ყოვლად შემძლებელო ღმერთო, გევედრები, გადმოხედე ჩემ გზააბნეულ ხუთ შვილს! მოიღე მათზე წყალობა, მიატოვებინე საუბედურო ხელობა! ჩაუნერგე გულში კეთილი შრომა, ცხოვრება! აპატიე ყმაწვილური, უგუნურობით ჩადენილი ყოველი ცოდვანი! ამიერიდან აშორე მათ ბოროტი საქმე, მშვიდობიანობის და კაცთმოყვარული გრძნობით აღავსე ყოველი მათი მოქმედება! მაღალო ღმერთო, იხსენ ჩემი საყვარელი ხუთი შვილი ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან და

სამაგიეროდ, თუნდა ამწუთსაეე მიიღე და იმსხვერპლე ჩემი მათგან დატანჯული გული!“

ამ სიტყვების გაგონებამ მსწრაფლ შეუცვალა ფიქრი შვილებს; ვაშის ლოცვამ უცბად გააღვიძა ძმების გულის სიღრმეში ჩამალული მშობლისადმი სიყვარული და ამ უკანასკნელმა მიატოვებინა არამც თუ ეს ერთი ავი განზრახვა, არამედ თითქმის ყოველი ცუდი საქმე.

ხარაზი

იყო ერთი ხარაზი, რომელსაც უცნაური რამ სენი სჭირდა: როდესაც ვინმე მის წინაშე სხვა ხარაზისაგან შეკერილ ჩექმებს მოიწონებდა, თავბრუ ეხვეოდა, გული უწუხდა და ლოგინად ვარდებოდა. რამდენადაც სიბერეში შედიოდა, იმდენად ამ ხარაზს თავისი სენი უძლიერდებოდა. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ საბრალო ხარაზი გადადებული ავადმყოფი შეიქნა.

მისმა მეგობრებმა იფიქრეს, ითათბირეს და ავადმყოფის სანუგეშებლად და გამოსაბრუნებლად ასეთი ღონე არჩიეს: მივიდნენ ყველანი ერთად ლოგინში მწოლიარე ხარაზთან და მის დასარწმუნებლად ტყუილად შეჰფიცეს:

— ხელმწიფემ ბრძანება გასცა, რომ ამიერიდან ჩვენ ქვეყანაში ყველას, შენს გარდა, ხარაზობა უნდა აეკრძალოსო; ხარაზებს უფლება ეძლევათ დურგლობას მიჰყონ ხელი; ხოლო ვისაც ეს არ სურს, უნდა სხვა ქვეყანაში გადასახლდესო.

ავადმყოფმა ხარაზმა ეს რომ მოისმინა, უფრო შეშფოთდა:

— თუკი ხარაზობას ყველას მიატოვებინებენ, მაშ მე ვისღა უნდა შემადარონ და მამჯობინონო, — წარმოთქვა საშინელი მწუხარებით და განუტევა სული.

უქნარა

იყო ერთი უქნარა, ფრიად ზარმაცი და ამიტომ საშინლად გაღარიბებული, გაღატაკებული კაცი. თავის დღეში შრომა ფიქრად არ მოსვლია და მუდამ კი ბედს უჩიოდა: როდემდის უნდა ვიყო ასე დამშეული და გაჭირვებული, ან რა გზით ვუშველო ჩემ სიცოცხლეს და ასეთ სიღარიბეს თავი როგორ უნდა დავაღწიოო?

ერთხელ, ასეთი ფიქრების შემდეგ, ეს კაცი გამოვიდა თავის სახლიდან და დაძმარებული, სევდიანი, თავჩაკიდებული გაუდგა სოფლიდან მიმავალ გზას დარდის გასაქარვებლად.

მცირე მანძილი რომ გაიარა, ქისა იპოვა; ქისაში ათი თუმანი

ფული აღმოჩნდა. რასაკვირველია, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; მეტად ნასიამოვნები გამობრუნდა სახლისკენ და თან ფიქრობდა: მე რომ ამჟამად თავჩაღუნულს არ მეელო, დაბლა მიწისკენ არ მეცქირა, ხომ ვერც ქისას დავინახავდი და ასეთ ბედნიერებასაც ვერ ვეღირსებოდი, — თქვა ეს და გადაწყვიტა: ცხოვრების შეძენისათვის მხოლოდ დაბლა მიწისკენ ცქერა ყოფილა საჭირო და ამიერიდან არასოდეს მაღლა აღარ ავიხედავ, მუდამ ძირს მექნება მიჩერებული თვალი.

მართლაც, ამ დღიდან ამ კაცს ზევით აღარ აუხედნია: სულ ცხვირწინ იცქირებოდა და თვალებში ფულის ქისა ელანდებოდა. მაგრამ ამ ბედკრულს ანგარიში მალე გაუცრუვდა: ერთხელ, ჩვეულებისამებრ, თავდახრილი და ქისის მადით გატაცებული, ერთ ვიწრო ორღობეში მიდიოდა; მის პირდაპირ ერთი კაცი საშინელი გამომეტებით ცხენს მოაჭენებდა; ქისის მაძიებელმა ეს ვერ შენიშნა და ვერ მოერიდა; მხედარმაც, რადგან სისწრაფის გამო ცხენი დროზე ვერ შეიკავა, ისე დააჯახა იგი პირველს, რომ ეს საბრალო მსწრაფლ გაიშხლართა მიწაზე და სიტყვის თქმაც ვეღარ მოასწრო. ისე განუტევა სული.

გულშემატკივარი მეზობელი

ერთმა კაცმა მეზობელს დანა სთხოვა:

— რა ვქნა, შენ გენაცვალე, დანას როგორ დაგიჭერდი. მაგრამ ძლიერ ბასრია, მეშინია ხელი არ მოგჭრას და არ დაგასახიჩროს.

მეორედ იმავე მეზობელს ახლა ტომარა სთხოვა.

— ტომარას გათხოვებდი, მაგრამ ძირგავარდნილია; რასაც ჩაჰყრი, დაგებნევა, — მიუგო მთხოვნელს მეზობელმა.

მესამედ ცხენი სთხოვა.

— ცხენს კი არა, შენთვის სიცოცხლეს არ დავზოგავდი; მხოლოდ ჩემ ცხენს ერთი საძაგელი თვისება აქვს: კაცს რომ ზურგზე შეისვამს და ორ ნაბიჯს გადასდგამს, მოჰყვება მაშინვე ტლინკვას, ხტუნვას, ტრიალს და ვიდრე ზედ მჯდომს არ დასცემს, არ დაწყნარდებაო.

მაშინ მთხოვნელმა მეზობელს მიუგო:

— მე ძლიერ საწყალი კაცი ვარ, არ მაბადია არც დანა, არც ტომარა, არც ცხენი, მაგრამ ვხედავ, შენ ჩემზე გაცილებით უბედური ყოფილხარ. მე ჩემის სიღარიბით, როგორც არის, ვღონღილობ და შენ კი დღითი დღე აუცილებელი საფრთხე მოგელის: ან შენი ბასრი დანის წერა გახდები, ან დახეული ტომარა დაგღუპავს და ან გიჟი ცხენი მოგიღებს ბოლოსო.

ფუტკარი და ბუზი

ფუტკარი ავად იყო და კვდებოდა. მოფრინდა მასთან ბუზი და კილვით უთხრა:

— შე საბრალო, იწვალე, იშრომე, თაფლი აკეთე სხვის გულისათვის; ახლა კვდები და სამაგიერო აბა, რა მიგაქვს საიქიოს?

ფუტკარმა მიუგო:

— მეგობარო, შენ იცოცხლებ, მაინც ბუზად დარჩები და ჩემთვის ისიც კმარა, რომ მკვდარსაც ფუტკარს დამიძახებენო.

ლომი, მელია და მეცხვარე

ლომი ავად შეიქნა. მელია მივიდა მის სანახავად და გულმტკივნეულად მოახსენა:

— მხეცთა მეფევ, ჩვენო ბატონო, ვიწვი, ვიდაგვი, რომ შენ ასე მოუძლურებულს გხედავ! მიმსახურე, მიბრძანე, რა გიამება: ოღონდ შენ შვება-ლხენა მოგეცეს და ერთ წამს შენს წინაშე გაუჩენელს ვავაჩენო.

— ექიმებმა ბატკნის ხორცი მირჩიესო. ამოილუღლუღა ლომმა.

მელია სწრაფად გაქანდა. ცხვრის ფარას მიაგნო, ბატკანი გამოიტაცა და მოართვა ლომს. მაგრამ, დახე მის ბედს: თურმე მეცხვარეს მელიას თვალი შეასწრო, გზაში თოფით ჩასაფრდა, უკან დაბრუნების დროს ესროლა და გადააკოტრიალა.

— რად მომკალ, რა დაგიშავე? თუ ბატკანს მედავები, ჩემი ნებით ხომ არ მოგტაცე, ბატონმა დამავალა და იმის ბრძანებას აბა როგორ გადვიდოდი, — უთხრა მწყემსს მომაკვდავმა მელიამ.

— რა ვქნა, — მიუგო მეცხვარემ, — არც მე ვიქცევი ჩემის ნებით, — ჩემს ბატონთან პირობითა ვარ შეკრული: რაც ფარას ნადირისაგან ზარალი მიეცემა, მოვალე ვარ ვუზღო და აი ეს შენი ბეწვიც საზღაურში უნდა მივართო ბატონსაო

———

ივანე ელიაშვილი

1864 — 1932

ივანე ელიაშვილი განათლებით ექიმი იყო, მრავალი საექიმო წიგნის ავტორი, რედაქტორი და მთარგმნელი, ბუნებითა და მოწოდებით კი მწერალი, ბავშვების მოყვარული, ჩვენი მოწინავე მწერლების მეგობარი და საზოგადო მოღვაწე. ივანე ელიაშვილი უახლოესი და საყვარელი მეგობარი ყოფილა აკაკი წერეთლისა. „ყმაწვილებისათვის ის არის გამოსადეგი და სასარგებლო, რაც არც დიდებს აწყენს!“ — ასე დაახასიათა აკაკი წერეთელმა ივ. ელიაშვილის საბავშვო მოთხრობები, როცა ცალკე წიგნად გამოვიდა „სამშობლო ბუნების სარკეს“ სახელწოდებით. ამ წიგნმა ივ. ელიაშვილს კარგი საბავშვო მწერლის სახელი დაუმკვიდრა.

* *

ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილი დაიბადა 1864 წელს ქ. ქუთაისში. მამამისი მკერავი იყო, ამავე დროს განვითარებული და სწავლა-განათლების დიდად მოყვარული ადამიანი. ამიტომაც იყო, რომ შვილს ყოველმხრივ შეუწყო ხელი სწავლაში და ორი უნივერსიტეტიც დაამთავრებინა.

ივანემ საშუალო განათლება ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში მიიღო, რის შემდეგაც ოდესის უნივერსიტეტში გაემგზავრა და ჩაირიცხა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1889 წელს. ამის შემდეგაც სწავლას მოწყურებული ჰაბუკი მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე ეწყობა, რომელიც დაამთავრა 1893 წელს. ივანე ოდესისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში ყურადღებას იქცევდა თავისი მუყაითობით. ენერგიით აღსავსე დაბრუნდა ივ. ელიაშვილი სამშობლოში და 1894 წელს დაინიშნა თბილისის ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს უმცროს ორდინატორად, ხოლო ერთი წლის შემდეგ პროზექტორის თანამდებობაც შეუთავსეს.

გარდა თავისი სამსახურებრივი მოვალეობისა, ივანე ელიაშვილი საზოგადოებრივ მუშაობაშიც ჩაება. ამაში ხელი შეუწყო აკაკი წერეთელმა, რომლისთვისაც ივანე „სულის სწორი" იყო და ყველგან აქებდა, როგორც კარგ ქართველს. ივანე ელიაშვილმა გაამართლა აკაკი წერეთლის იმედები და მართლაც არ ყოფილა თბილისში არც ერთი საზოგადოება — ეს იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი, ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა, საქველმოქმედო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო, საქართველოს წითელი ჯვრისა თუ სხვა რომელიმე საზოგადოება, რომ იგი თავმჯდომარე ან მუდმივი წევრი არ ყოფილიყო. ხოლო 1926 წლიდან სიკვდილამდე ივანე ელიაშვილი ითვლებოდა განათლების სახალხო კომისარიატის პოლიტგანათლების მთავარმმართველობის წევრად. ივ. ელიაშვილს ხშირად იწვევდნენ ლექტორად საექიმო თემებზე ლექციების ჩასატარებლად.

ივ. ელიაშვილის საექიმო ასპარეზს მარტო თბილისი არ წარმოადგენდა. 1896 წელს იგი გადაიყვანეს ზაქათალის ოლქის სოფლის ქსენონის გამგედ, ხოლო 1897 წელს გაამწესეს ბაქოს ქალაქის ექიმად, სადაც 1914 წლამდე დაჰყო და კარგი ექიმის სახელიც მოიპოვა. 1914 წლიდან ივ. ელიაშვილი უკვე თბილისშია, სადაც კელავ აქტიურ მონაწილეობას იღებს სხვადასხვა სახის თავისუფალ საზოგადოებაში, წერს საექიმო წიგნებს, ეწევა მთარგმნელობას, რედაქტორობს საექიმო წიგნებს.

ივ. ელიაშვილის საექიმო ლექტორული და ლიტერატურული მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი ჩანს საბჭოთა პერიოდში. იგი დიდხანს

მუშაობდა (1921 — 1929 წწ.) საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში და პროფესიულ კავშირის კულტგანყოფილებაში ლექტორად.

ივ. ელიაშვილი ავტორია რამდენიმე სამეცნიერო შრომისა, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. მის ნაშრომთა შორის ყურადღებას იპყრობს: „დედა ბუნების ძირითადი კანონები", (1920 წ.), „დედათა დაცვის საკითხისათვის" (1925 წ.), „ბავშვთა დაცვის საკითხისათვის" (1925 წ.). ამავე დროს ივანე ელიაშვილი თანამშრომლობდა საბჭოთა პრესაში: გაზ. „ახალ სოფელში", „ჯანმრთელობისაკენ", „ახალგაზრდა ლენინელში" და სხვა.

ივ. ელიაშვილს მეტად ნაყოფიერი მუშაობა აქვს ჩატარებული როგორც პრაქტიკოს ექიმს, იგი არის აგრეთვე ავტორი მრავალი მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევისა.

ივანე ელიაშვილი გარდაიცვალა 1932 წელს. დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე.

ივანე ელიაშვილმა საბავშვო ჟურნალებში თანამშრომლობა დაიწყო 1908 წლიდან. მისი მეცნიერულ-პოპულარულ მხატვრული მოთხრობები უხვად არის გაბნეული „ჯეჯილში", „ნაკადულში" და „პიონერში".

იმჟამად გამოსულ თითქმის არც ერთ საბავშვო წიგნზე არ დაწერილა ისეთი საფუძვლიანი წერილები და რეცენზიები, როგორიც დაიმსახურა ივ. ელიაშვილის აღნიშნულმა წიგნმა. წერილები და რეცენზიები ეკუთვნის იაკ. გოგებაშვილს, ვ. წერეთელს, ხომლელს, ივ. გომართელს, აკ. წერეთელს. ყურადღებას იქცევს აკ. წერეთლის თითქმის ღია წერილი ავტორისადმი: „... ნამდვილი მწერალი, რომელსაც ქართული სული უდიოდეს, როგორც ჩვენ ქვეყანაში აღზრდილს, ცოტა არის ჩვენში და მათ რიცხვში ერთი უკეთესი ადგილთაგანი ივანე ელიაშვილს უჭირავს... რასაც მისი საყმაწვილო წიგნაკი „სამშობლო ბუნების სარკე" გვიმტკიცებს... როგორც ობოლი მარგალიტი, თანასწორად ასხმული ყელსაბამად. ასე აქაც ყველა მოთხრობა უმეტნაკლებოდ არის შენათხზი... ბცენარე, პირუტყვი, ოთხფეხი, თუ ფრინველი ისეთის მარტივობით მიგვითხრობენ თავის თავგადასავალს და ამავე დროს წინ გვიშლიან თავთავის განსაკუთრებულ ბუნებას... ეს სამაგალითო წიგნი ყოველი ქართველის ოჯახში უნდა იყოს შეტანილი..."

აკაკი წერეთლის მიერ ი. ელიაშვილის მოთხრობების ასეთი შეფასება გადაჭარბებული არ არის. მართლაც, იგი თითქოს უბრალო ამბებს გადმოსცემს, მაგრამ ისეთი მომხიბვლელობით, რომ არა მარტო პატარებს, დიდებსაც კი გაიტაცებს.

ყვავის საჩივარი

„ყვა-ყვა, ყვანჩალაო,
ყვავის დედა დამხრჩვალაო!-

ისემც მტერი შეგიწუხდესთ, როგორც ჩვენ ზამთარი გვაწუხებს ხოლმე!

შეიმოსა თუ არა მიდამო ფუნთუშა თოვლით, ჩვენც შიმშილმა გვტაცა ყრონტში ხელი.

მერე იცით განა, რა არის შიმშილი?

ბრრ! საშინელი თავზარდამცემი მოვლენაა: ჯერ კუჭს აგიწვავს, მერე ძალ-ღონეს გამოგიღევს, სუნთქვას შეგიმოკლებს, სისხლის მოძრაობას შეაჩერებს, სურვილებს მოგისპობს, ძილად მიგაგდებს და კიდეც მშვიდობით, ცოლო და შვილო!..

არა, ღმერთთან მართალი სჯობს: ჯერჯერობით არც იმდენად გამჭირვებია საქმე. მხოლოდ როცა წარსული წელი მომაგონდება. უუუ! ერუანტელი დამივლის ტანში. ვინ იცის, რამდენი ჩემი მონათესავე იმსხვერპლა შარშანდელმა ზამთარმა?!

აი, სწორედ ის ყვავის დედა, რომელიც თქვენ, პატარებო, დამხრჩვალი გეგონათ, კი არ დამხრჩვალა, შიმშილმა გაგუდა.

მერე იცით, ვინ იყო? — საცოდავი და ნეტარხსენებული დედა-ჩემი, ჩემზე და ჩემს და-ძმებზე დიდად ნაამაგარი და მთელი ოჯახისათვის თავდადებული.

ეჰ, დაილოცოს განგება! თქვენ, ჩემო მტერ-მეგობრებო, მიცვალებულებს შენდობას უთვლით, საუკუნო ცხოვრებას ჰპირდებით საიქიოს, სამოთხეში... ჩვენ ვერც კი ვბედავთ ამგვარ ოცნებას, რადგან თქვენგანვე გვსმენია, რომ მხოლოდ ადამიანისათვის მიუნიჭებია ბუნებას უკვდავებაო და ჩვენ, აბა სად შეგვიძლიან თქვენი დიდებულის ჭკუა-გონების გაზომ-აწონვა?

დიახ, დიდად პატივსა ვცემ ადამიანის სრულ ჭკუა-გონებას, მაგრამ ერთი რამ არ მიჯდება ამ ჩემს მოკლე ჭკუაში. იცით, რა? ისა, ბატონო, რომ თქვენ ჩვენი ჭკუა-გამოცდილებისა არა გწამთ რა.

აბა, მითხარით გულახდით, რას ნიშნავს ის ლექსი, რომელსაც თქვენ მუდამ დღე გაიძახით:

„კაჭკაჭმა უთხრა ყვავსაო,
ჩავარდი გულის ხმასაო,
კაცი რომ დაიღუნება,
შენთვის აიღებს ქვასაო“.

ვის, როდის და სად გინახავთ, თქვე ცელქებო, თქვენა. რო კაჭკაჭი ჩვენ მასწავლებლად გვყოლოდეს? ან რაში გვეტყობა კაჭკაჭის შაგირდობა?

განა ჩვენი თვალი და გონება კაჭკაჭისაზე ნაკლებადა სჭრის?

თუ კაჭკაჭი ერთი რამ ჩვენთვის მიუწვდომელი ფილოსოფოსია?

ისემც აგცილდათ კაცხის ზარბაზანი! სრულიადაც არა, ის ჩვენი ახლობელი ნათესავია და სულ ბევრი ბევრი რომ ვიანგარიშოთ, პაპა ერთი და იგივე გვყვანდა. მაგრამ, ეჰ, მახლას! ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ზოგიერთის ბამბაც კი ჩხრიალებს და ზოგიერთის კაკალიც არაო...“

ჰო, იმას მოგახსენებდით, რომ ზამთარს ჩვენთვის შიმშილი მოაქვს-მეთქი. თქვენ, ბალღებო, არც კი იცით, რა ვაი-ვაგლახით ვშოულობთ ლუკმაპურს! ადამიანი, ეს ბუნების მეფე. თუ დიდ ბრძოლაში და გაწამაწიაში ატარებს თავის ცხოვრებას ლუკმაპურის მოპოვებისათვის, აბა ჩვენზე რაღა ითქმის?

იცით კი, რა არის ჩვენი საზრდო, რითი ვინახავთ თავს?

ჭია-ღუა და სხვა მწერი, ლოკოკინა, მინდვრის თაგვი, პატარა ჩიტების ბუდიდან მოტაცებული კვერცხები, სხვადასხვა თესლეულობა, ხანდახან კატის კნუტები და ძაღლის ლეკვები, მკვდარი საქონლის ან რაიმე ცხოველის ლეში — აი ჩვენი საზრდო-სარჩენი.

ეს კი უნდა იცოდეთ, პატარებო, რომ აქ ჩამოთვლილ საზრდოს არა მარტო ჩვენ, ბევრი სხვა ფრინველებიც ეტანებიან და მუდამ ბრძოლაში ვართ, რომ ჩვენზე მძლავრმა ფრთოსანმა არ გამოგვაცალოს პირიდან ლუკმა. ალბათ თქვენ შემჩნეული გექნებათ, რომ არასოდეს არ გავატარებთ ჩვენს სიახლოვეს მიმინოს, ქორს, ძერას, ბუს და სხვა მათ გვარებს. გამოინავარდებს თუ არა რომელიმე მათგანი, ჩვენ იმწამსვე შეერთებული ძალით გამოვუდგებით და კუდით ქვას ვასროლინებთ ხოლმე.

ჩვენც კარგად ვიცით, რომ ძალა ერთობაშია და ამიტომაც თითოეულად კი არ გამოვდივართ ლუკმაპურის მოპოვების ბრძოლისათვის, არამედ საზოგადოებით და ამიტომაც არის, რომ შეშინებული მეტოქე ამოიძუებს ძაღლივით კუდს და მოჭყურცხლავს ხოლმე.

ამიტომაც, გავახელთ თუ არა დილაადრიან თვალებს, ყვა-ყვას დავიყრანტალებთ. მივესალმებით ერთმანეთს და მივაშურებთ რო-

მელსამე დიდ ხეს, თუ ტყეში ვბუდობთ, ან დიდი შენობის ბანს, თუ ქალაქში ვცხოვრობთ.

აქედან გავფრინდებით მინდორ-ველებისაკენ, სადაც საზრდო გვევულება. დავეშვებით ძირს და ვპოულობთ პურს.

აი, იმ დღეს კარგი ქელეხი გვქონდა. თათრებს აქლემებით ბამბა მიჰქონდათ და ერთ დასუსტებულ აქლემს სული ამოხდა, ამბობდნენ, ქუში სჭირდაო.

კაიმც მოგეცეთ, კარგი დღე ჩვენ დაგვიდგა. მთელი ჩვენის უბნის ყვავები და ყორნებიც კი ლაზათიანად დავაძეხით ლეშს და ძვლებიღა რომ დარჩა, სოფლის ძაღლებს მივუგდეთ. არც ხორცზე იტყოდნენ უარს ის ქოფაკები, მაგრამ ვერ მივართვით! ჩავკორტნეთ ლამაზად ერთი-ორი და ამოვაძუებინეთ კუდები... დიახ, როცა ცოტად თუ ბევრად შევნაყრდებით, ასე შუადღისას, გავექანებით ჩვენ ჩვენის ბუდისაკენ და ცოტას წავთვლემთ კიდეც. შემდეგ ისევ მივდივართ საზრდოს საძებნელად. საღამომდე მთელის უბნის ყვავები ერთად შევიკრიბებით და გავმართავთ საერთო საუბარს: ვაუწყებთ ერთმანეთს, თუ ვის რა გადახდა თავს დღის განმავლობაში.

დაღამებისას რამდენიმე თამამი ყვავი გაფრინდება შინისაკენ, მიივლ-მოივლის, დაათვალიერებს შინაურობას, მტერი ვინმე არ იყოს იქ და, თუ მშვიდობიანობას გვაცნობებს, გავექანებით და წყნარად ჩავეშვებით ბუდეებში.

ყოველ წყვილს თავისი ბუდე გვაქვს და ვიქნებოდით ჩვენთვის, ჩვენს წესზე, ამდენი მტერი რომ არ გვყავდეს.

ღვთის წყალობით, ყველა მტერს გავცემდით შესაფერ პასუხს, ადამიანი რომ გვწყალობდეს, მაგრამ ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ ადამიანთაგან ბევრს კიდევ ვერ შეუგნია დღემდე, რომ ჩვენ მათთვის მავნებელი კი არა, პირიქით ფრიად სასარგებლონი ვართ.

კიდევ ღმერთმა უშველოს იმ სოფლის მასწავლებლებსა და მებაღე მეტყევეებს, რომელნიც აფასებენ ჩვენს ცხოვრებას და უჩიჩინებენ მოზარდ თაობას, რომ ჩვენა ვართ თავი და თავი მცველები ხეხილისა და ტყე-მინდვრისა, რომ ვანადგურებთ მცენარის მავნებელ მწერს და ცხოველებს და ვიცავთ სოფლის ჰაერის სისუფთავეს მკვდარ საქონლის ლეშის მოსპობით.

მაგრამ დღემდე მაინც კიდევ ბევრი გვემტერება.

წასულ კვირას ხრინწიან ნესტორას გადაედვა თოფი მხარზე და ჩვენკენ მოეშურებოდა, როცა მე და ჩემი მეუღლე გზის პირზე საკენკს ვეძებდით.

შევხედეთ რა თოფიან გლეხს, ერთი შევტრიალდით ჰაერში და ვკარით თავები ცის კამარას.

იგრიალა თოფმა თუ არა, მე და ჩემი მეუღლე დახოცილებივით ძირს დაეშვით.

ნესტორას ეგონა, ეს არის ყვავები დავხოცეო, და აძუნძულდა ის არაწმინდა ჩვენკენ; ჩვენ კი არხეინად გავშალეთ ფრთები, სულ სხვა კუთხეს მივაშურეთ და შორიახლოს ბუჩქებში ჩავესაფრეთ. იქიდან ერთი-ორი ყვა-ყვაც მივაყოლეთ გულის გასახეთქად და შემდეგ თვალ-ყურის დევნა დავუწყეთ.

დარბის ხრინწიანი, ხან იქ მიაწყდება, ხან აქ, ეძებს ვითომდა ნანადირევს, მაგრამ, აბა, რას ნახავდა, რაც არ მოეკლ?

ამ დროს წამოადგა თავზე ქოსა მექია.

— რას დაეძებ, კაცო, ასე გამწარებული?

— რასა და ი დაწყევლილი ყვავი მოვკალი, სადღაც აქ უნდა ეგდოს და ვერა ვხედავ.

— არა, ძამიავ, არა მოგიკლავს რა და ტყუილად დაეძებ. მერე რად გინდა ყვავის მოკვლა? თუ ბევრი თოფის წამალი და საფანტი გაქვს, აქ მომეცი, კურდღელზე სანადიროდ მინდა წავიდე ამ კარგ დღეებში.

— კურდღელი კი არა, შე დალოცვილო, ჩემს გიგლას ყინვამ ფეხები დასძრა და იმისთვის ყვავის ტვინი გვირჩიეს.

— შე მართლაც უტვინო, მერე ის სოფლის ქსენონი და ექიმი რაღა მოხელეა, თუ ყვავის ტვინისა გწამს რამე? არა, ერთი მითხარი, რადა ხართ ასეთი დაუფიქრებელნი? დალოცვილი ექიმი ჩვენთვის ისე თავდადებულია, არც სიცხე, არც სიცივე და თოვლ-ბუქი არ აშინებს, მუდამ მზად არის შემწეობა აღმოგვიჩინოს და თქვენ კი ყვავებს და მკითხავებს დასდევთ. იქნება მკითხავი უფრო ნასწავლი და მცოდნეა, ვიდრე ექიმი? აფსუს, სოფლის ჭკუავ!—ამ ლაპარაკში ნესტორა ნელ-ნელა თან გაჰყვა მექიას სოფლისაკენ.

მე და ჩემი მეუღლე დავუბრუნდით საკენკს.

აი დაილოცოს ჭკვიანი კაცის მოსაზრება! კიდევ ის გვიადვილებს ცხოვრებას, თორემ ჩვენი საქმე სულ დაღუპული იქნებოდა.

რომელ ერთ მტერს უნდა გავუმკლავდეთ?

ეს კიდევ კარგი, რომ ჩვენს მტერს ჩვენი თვალითა ვხედავთ და გაჭირვების დროს ერთს თუ მეორე ხერხსა ვხმარობთ თავის დასაცავად, მაგრამ შენ ისა სთქვი, რომ ღვთისაგან დაწყევლილი ბუ ღამითა გვტანჯავს ხოლმე.

აბა, დაწყევლილი რომ არ იყოს, მზის სინათლისა რად უნდა ეშინოდეს?

მაგრამ დაწყევლილია, რომ მზის შუქისა ეშინიან და იმის მახინჯი თავ-პირი სიბნელეს ეტანება!

ყოველ არაწმინდას ეშინიან სინათლისა!

ყოველი მავნე ღამით მოქმედობს.

თვითონაც გრძნობს თავის ცუდ საქციელს და სიბნელეში ახვევს.

ან რა ფრინველია ბუ? ერთი უტვინო, მახინჯი და ამიტომაც არის, რომ ჩვენ ტვინს ერჩის ხოლმე. თუ მოგვაგნო ღამით ბუდეში მძინარეს, მოვა და შიგ თავში გვკორტნის, სულ ტვინს ამოგვიდუღებს... წყეულიმც იყოს მისი ხსენება!

რამდენი ყვავის ტვინი ამოუჭამია?!.

სამაგიეროდ, თუ დღისით ჩაგვივარდა ბრჭყალებში, იცოცხლეთ, შავი დღე ჩვენ იმას დავაყენოთ! სულ ერთიანად დავგლეჯთ. ღინღლიღა თუ შერჩება ქარს საბურთაოდ!..

ეჰე! თქვენც ბევრი სწავლა გინდათ, პატარებო, სანამ სიმართლეს გაიგებთ და მაშინ კი, როცა განათლებული ხალხი იქნებით, მაშინ ყვავების ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს!..

ვინ ამბობს? მე კარგად მესმის იმ ცელქის სურვილი, რომელსაც მეგობრულად უნდა ყვავის ბარტყის მოშინაურება და გაზრდა. რატომაც არა? მე ძალიან კარგად მახსოვს, ერთხელ ჩემი დეიდაშვილი ბარტყობისას პატარა ცელქმა ამოიღო ბუდიდან და შინ წაიყვანა გასაზრდელად. სამტროდ კი არა, სამეგობროდ!

და მართლაც ისე კარგად მოუარა. თავ-თავის დროზე სასმელ-საჭმელი, თავ-თავის დროზე ბანაობა, თავ-თავის დროზე სუფთა ჰაერი. ისე გამოზარდა-გამოქურჩნა, როგორც კარგი დედა შვილს გამოზრდის ხოლმე.

სამაგიეროდ იმ ბარტყმაც ბევრი სიამოვნება აგემა ყმაწვილს: ისწავლა ლაპარაკი, ზრდილობა, სულ უკან დასდევდა და ასიამოვნებდა.

ხანდახან ჩვენთან მოფრინდებოდა ხოლმე. ჩვენსავით იყრანტალებდა, ინავარდებდა და ისევ თავის ბატონ-პატრონთან გაექანებოდა.

ერთხელ ჩვენთან ყოფნის დროს კაცივით ლაპარაკი დაიწყო და ძალზე დაგვაფრთხო. ავფრთხიალდით, მაგრამ, ჩქარა გონზე მოვედით. აი, ამაზეა ნათქვამი: „ფაფის შეშინებული, დოს უბერავდაო“. გაზრდილმა ყვავმა სიცილი ასტეხა ყვა-ყვას ძახილით და, შეგვატყობინა, რომ იმისი დაცინვა არაფრად გვეპრიანა, აფრინდა და შინისაკენ მიაშურა. ერთხელაც დაღონებული მოგვადგა კარზე: ბატონი გასჯავრებოდა.

— რადა, რისთვის? — დავეკითხეთ ჩვენ.

— რა და ქალბატონი რომ თავის დასაბანად მიდიოდა, ხელიდან ალმასის თვლიანი ბეჭედი წაიძრო და მაგიდაზე დასდო. მეც ის ბრწყინვალე საგანი თვალსა მჭრიდა, ავიღე ნისკარტით და ბნელ

კუნჭულში მივმალე. შეიქნა ერთი ძებნა. ატყდა ალიაქოთი: აქ ძოახლეს გაუჯავრდნენ, — შენ მოიპარავდიო, იქ ბიჭები დაიბარეს. აგცილდეთ ჭირი, ვერ ნახეს ბეჭედი. მე კი ამ დროს ეზოში არხეინად დავგოგავდი. დავბრუნდი ეზოდან, შევედი ოთახში, ვნახოთ, წამავლო დიდედამ კისერში ხელი და დამიწყო ჯავრობა: აი, შე ქურდო, წუწკო და გაუტანელო. მეც გავნაბე სული.

მზის გადახრისას, როცა ჩვენები, — მებატონეები გახლავან, — სადილს შემდეგ ძილს მორჩნენ, მხოლოდ ადგომა ჯერ ეზარებოდათ და ლოგინზე იზმორებოდნენ, მზის მოწითალო სხივებმა ძალზე შეჰოაშუქეს და გაანათეს ის კუთხე, სადაც ბეჭედი მივმალე. ალმასი მეტისმეტად გაბრწყინდა, თვალში მეცა. ის იყო ვტაცე ნისკარტი და უნდა ბნელ კუთხეში გადამეტანა, მომკრა თვალი ქალბატონმა, წამოიწია, ერთი ორი თავში წამიტიალა და ბეჭედი დამაგდებინა.

— მერე რამ დაგაღონა? — დავეკითხეთ ჩვენ.

— არა, თქვენმა მზემ, დიდად ნასიამოვნები ვიქნები ცემის შემდეგ! — მოგვიგო ნაღვლიანად.

— მაინც, ჩემო დაიავ, ეს გაჯავრება დაგიმსახურებია და ბრალიც შენია.

— კი, მაგრამ მე იქ წამსვლელი აღარ გახლავართ; ვიქნები თქვენთან; იმათ ღმერთმა მშვიდობა მისცეს!

— კეთილი და პატიოსანი, მშვიდობა თქვენს მობრძანებას! — მივესალმეთ ჩვენ.

მაგრამ ხომ გაგიგონიათ: „შეუჩვეველს ნუ შეაჩვევ და შეჩვეულს ნუ მოაკლებო“, მოვიდა თუ არა სამხრის ქამი, აფრინდა, მიაშურა შინისაკენ და თავის გასამართლებლად წამოიყრანტალა: „შეუჩვეველ ჭირს შეჩვეული გერჩიოთო“. ის იყო და ის!

ბულბულის ამონაკვნესი

ვუძღვნი საქართველოს დიდებას — მგოსანს აკაკის *

სულ განაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო;
მივეხმატკბილე ჩიტუნას:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო!“

შეიფრთხიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს-ჩაიკვნეა,
თითქოს სთქვა: „დიახ-დიახო“.

აპრილის მიწურული გახლდათ, როცა ჩემს ტკბილ სამშობლოში დავბრუნდი. როგორც თქვენი, პატარებო, ჩემი სამშობლოც საქარ-

* თუ ჩემი ნაწერები, ჩემო პატარა მეგობრებო, თქვენთვის ყურადღების ღირსი იყოს. გახსოვდეთ, რომ იმათი გამოქვეყნება გამოიწვია ჩვენის სათაყვანებელის აკაკის თანაგრძნობამ და პატივისცემამ. (ავტორის შენიშვნა).

თველოა. აქ გამოვიჩეკე პატარა კვერცხიდან; აქ დავინახე პირველად საქართველოს მშვენიერი ლაჟვარდი ცა; აქ შევისუნთქე სამშობლოს დაწმენდილი, სუფთა ჰაერი; აქ გავშალე პირველად ჩემი ფრთები; აქ დავიწყე პირველად ჩემი ხელობა. ჩემი ხელობა, თქვენც გაგეგონებათ, გალობაა. დიახ, მგოსანი გახლავართ ხელობით, გთხოვთ მიცნობდეთ, ჩემო მტერ-მოყვარენო!

დავბრუნდი სამშობლოში ჩემ სახლიკაცებთან ერთად. დედლები ჯერ კიდევ თბილ ქვეყანაში იყვნენ. ჩვენ, მამლები, ადრე ვბრუნდებით გაზაფხულზე კარ-მიდამოს დასათვალიერებლად.

ჩამოვჯექ ჩვენი ასკილის ბუჩქზე, პატარა ნაკადულის ნაპირად, და მოწყენილი ვიყავი მარტოხელობით. ვიმედოვნებდი, აი, საცაა მოფრინდება ჩემი ცოლიცა-მეთქი და თან შიშის ქარები მიდგებოდა მუხლებში, ვაითუ ჩემი კეკლუცი საყვარელი გადიბიროს ვინმემამეთქი.

ჯვარის წერის დროს ბევრი მოქიშპე მყავდა და, ვინ იცის, სანამ აქ მოაღწევდეს, სხვა უბნის მამალმა მოპოროს ჩემი სიკვდილის ამბავი მოგზაურობის დროს და ამნაირად დამაშოროს ჩემს მეუღლეს. ამ დარდით შეწუხებულმა მოვრთე გალობა. მრავალგვარ ჰანგებზე მოვმართე ჩემი ჩანგი და ტკბილ კრიმანჭულებში ჩავაქსოვე ძლიერი გრძნობა ჩემი სიყვარულისა.

მოვიგონე ჩვენი სიამოვნებით სავსე ცოლ-ქმრობა, ერთმანეთის სიყვარულ-ალერსში გატარებული დრო, ტკბილი ოცნება შვილების ყოლისა, რომელმაც უფრო მეტად უნდა დაგვაახლოვოს ერთმანეთს. გამახსენდა, როგორ ვნაღვლობდი საყვარელ სამშობლოს უცხო ქვეყანაში, რანაირ სცვლიდა იქ ჭირი და სევდა სიამტკბილობას და ყოველივე ესე ერთის ჰარმონიით გამოვხატე, ხან ლხენით, ხან მწუხარებით ავაკვნეს-ავაჭიკჭიკე ჩემი ჩანგი.

რაც უფრო მეტსა ვგალობდი, მით უფრო მატულობდა ჩემი შემოქმედებითი ძალა. ხმას ხმასთან ვათანხმებდი, მუხლს მუხლზე ვაბამდი და ჰარმონია თანდათან ხმატკბილდებოდა. გამოჩენილი მგალობელი, მგოსანთ-მგოსანი მამაჩემი ჩემი ბუჩქის შორიახლოს იჯდა და ისიც უგალობდა თავის საყვარელ ცოლსა, ჩემს ძვირფას დედას.

ერთხელ შევნიშნე, მამაჩემი მიყუჩებულიყო. შევკრთი, ვიფიქრე, ავად არ იყოს-მეთქი, მივუახლოვდი და ალერსი დავუწყე. იამა მოხუცებულს შვილის თანაგრძნობა და დაბალის, მაგრამ მომხიბლავი ხმით მიამბო თავისი გულის ნადები, რომელშიაც გამოხატა თავისი

დაუსრულებელი სიხარული, ვმადლობ ჩემს წილ ღმერთსა, რომ ჩემი შესანიშნავი ხელობა უფრო გაგიმშვენიერებიაო.

— იცოდე, შვილო, ქვეყანას ხარბი თვალი აქვს. რამდენი წელიწადია, რაც ჩემს ნიშს ვავარჯიშებ. ქვეყანას ვემსახურები ორნაირად: ადამიანისათვის მავნე ჭიაღუებსაც ვსპობ და ყურთასმენასაც ვუტკბობ; ყურთასმენის დატკბობა კი ამაღლებს ადამიანის ჭკუა-გონებას, აქარწყლებს მის ჭირ-ბოროტსა და ყოველგვარ მის მწუხარებას ამსუბუქებს, გრძნობას ასპეტაკებს, მშვენიერებისადმი მისწრაფებას აღვიძებს, მოძმის ჭირსა და ვარამს აზიარებინებს, კეთილშობილურ გრძნობას უნერგავს გულში, საგმირო საქმისათვის იწვევს და სხვადასხვა. ვინ ჩამოთვლის ჩემს ნაშრომ-ნაჭირნახულევს? და მერე რა? იმდენი სიცოცხლე შენ მოგცეს ღმერთმა, რამდენიც უსამართლოდ გავულანძღიეართ და გული დაუდაგავთ ათასგვარის შეურაცხყოფით! ვინ ბუდე ჩამომიშალა, ვინ ბარტყები მომტაცა, ვინ საცოდავ ჩემ ცოლს ქვით თავი გაუტეხა!..

მაგრამ გულს ნუ გაიტეხ, როცა შენც აგრე მოგეპყრან, შენ შენს გზაზე იარე და ბურთს რომ ლელოზე გადაისვრი, მაშინ დარწმუნდები, რომ შენი ხელობა შენვე დაგატკბობს და ასში ერთი ნამდვილი დამფასებელიც რომ გამოგიჩნდეს, შენს გამჩენს მადლობა შესწირე.

— არა, მამილო, — მივუგე მე, — ჩემი სიცოცხლე და ხელობა, რასაკვირველია, ჩემ სამშობლოს საკეთილდღეოდ უნდა ვიგულო, მაგრამ არა იმისთვის, რომ სხვებმა მომიზღონ სამაგიერო, არამედ მისთვის და მხოლოდ მისთვის, რომ ჩემი მოვალეობა შევასრულო და ჩემს სამშობლოს ის ვალი გადავუხადო, რაც დამდო ჩემის გაჩენითა და გაზრდა-გაფურჩქვნით. ეს ერთი და მეორეც ისა, რომ ჩემი ხელობა თვითონ მე მეხალისება, მატკბობს და მახარებს, ჭირ-ვარამს მათმენინებს და ჩემი ჯილდოც ეს არის.

— არა, შვილო, არც ისეთია ცხოვრება, როგორც შენა ფიქრობ. ცხოვრება თვითონ დაგარწმუნებს, ბუნებას ისე შევუქმნივართ, რომ თანაგრძნობას ვეძებთ და, უნდა იცოდე, თანაგრძნობა აორკეცებს ლხინსა და ამსუბუქებს ჭირსა.. აბა, შენ თვითონ იფიქრე, რა გუნებაზე იქნებოდი ახლა, მარტოდმარტო რომ გაჩენილიყავ აქ, თუნდა შენ საყვარელ სამშობლოშიაც კი? რა იქნება, რად ეღირება შენი ხმა-ტკბილი გალობა, თუ მსმენელი არ გეყოლება?..

სულ ცოტა ხანში თავის მუხლ-მუხლზე გადაბმულ კრიმანჭულებში მამაჩემმა ბევრი რამ საგულისხმიერო მიამბო, შეიფრთხიალა და გაფრინდა.

მეც ჩემ ბუჩქს მივაშურე და მოვრთე გალობა. დღეს ვაღამებდი

და ღამეს ვათენებდი ვარჯიშობა-გალობაში. უეცრად ნაცნობი „ტია-ტია“ შემომესმა. გავიხედე და ჩემი მეუღლე კი მოეშურებოდა ჩემკენ.

ისემც თქვენ გაიხარეთ, როგორც მე მისი დანახვა გამეხარდა!

მივესალმეთ ერთმანეთს თუ არა, გავიხედეთ და ერთი შორიახლოს მჯდომარე ბულბული ამოგვეტუზა გვერდით და მოჰყვა გალობას. მეცა და ჩემი ცოლიც იმწამსვე მივუხვდით განზრახვას და ვეცით მე და ის ერთმანეთს. ერთს ის ჩამკორტნიდა, ორჯელ მე ჩავკორტნიდი. აქ ჩემი ცოლიც მიხვდა, რომ გამარჯვება ჩემკენ იყო, ადგა და მომეშველა. ის იყო და ის! შერცხვენილი მოქიშპე ჩუმად გაიპარა: „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“, მას შემდეგ ჩემი ოჯახის ბედნიერებას არავინ შეჰხებია ჩემი მეგვარეთაგანი.

დიახ, დავრჩით ერთმანეთის ერთგულნი და ერთსულნი, ვატარებდით დროს ერთმანეთის ალერსსა და სიყვარულში. საღამოს ჟამსა და განთიადისას განსაკუთრებით ჩემს მეუღლეს ვუგალობდი. იმის სმენას ვატკბობდი იმ სიამოვნებისათვის, რომელსაც ის მე მანიჭებდა თავის ერთგულებითა და სიყვარულით.

ამასობაში ჩემს მეუღლეს კვერცხის დადების დროც მოუახლოვდა.

მოვკრიბეთ საჩქაროდ ფიჩხის ნატეხები, ფოთლები, ცხენის ძუა და სხვა ამგვარი რამეები და მოვრთეთ ჩვენს ბუჩქში ბუდე. ჩაჯდა შიგ ჩემი ცოლი და ოთხი კვერცხი დასდო.

ამ დროს მე შორიახლოს ტოტზე ვიჯექი და ვგალობდი ჩემი მეუღლის გასართობად და დასატკბობად. ისიც უნდა გიამბოთ, რომ ჩვენი ცოლები, თუმცა თვითონ არ გალობენ, მაგრამ ჩვენი გალობა ძალიან კარგად ესმით და საუკეთესო დამფასებელნიც არიან. ამიტომაც არის, რომ ჩვენ დედალ ბულბულის მოსახიბლავად გალობას ვხმარობთ უმთავრესად და შემდეგ ძალასაც, რომ საცოლო სხვამ არ წაგვართვას. იმ დღეს ჩემი ცოლი მეუბნებოდა: — სხვებს რომ ოცი ბუხლი აქვს გალობაში, შენ ოცდაოთხი გაქვსო და მამაშენსაც ამდენივე აქვსო, მაგრამ შენი გალობის შესანიშნავი თვისება ის არისო, რომ ამ ოცდაოთხ მუხლს კი არ იმეორებ მუდამ სხვებივით, არამედ სულ ასხვაფერებ, ათასნაირად აფერადებო. მაგალითად, შენ რომ გახარებული ხარ, ან ნასიამოვნები, კარგ გუნებაზე, ისეთ ხმებსა ჰქმნი, რომელიც არც ერთისაგან არა მსმენია და ეს არის უმაღლესი თვისება შემოქმედების გამოჩენილ მგოსანთაო.

მე, მართალი გითხრათ, არც კი შემიძლიან დღეს გავიმეორო ის, რაც გუშინ ვთქვი და არც მე მომწონს ჩემი გალობა, თუ ერთგვარია.

როცა გუნებაზე ვარ, ძალაც მეტი მაქვს და გამოთქმაც უკეთესი, თუ არა და არა.

სულ თხუთმეტ დღეში გამოვჩეკეთ ბარტყები. გამოვჩეკეთ-მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ ხანდახან მეც ვიჯექი კვერცხებზედა, როცა ჩემი ცოლი პურის საჭმელად და სანავარდოდ გაფრინდებოდა ხოლმე. გამოიჩეკა ოთხი ტიტველი, ყვითელნისკარტიანი პირღია ბარტყი.

პირღია იმიტომ, რომ სულ საჭმელს თხოულობდნენ.

თუ მე, თუ ჩემი ცოლი, რიგ-რიგით ვძებნიდით მატლებსა და ჭიებს და ვაპურებდით ჩვენ პაწაწინებს, რომელნიც თანდათან იზრდებოდნენ და ბუმბულ-ფრთებით იმოსებოდნენ.

— აი, ახლა შენი ჯერია, — მომმართა ჩემმა ცოლმა, — ახლა შვილების გაწვრთნას უნდა მიჰყო ხელი. ყოველი მუხლი შენის გალობისა განკერძოებით უნდა აუხსნა და შეასწავლო, რომ შენს საოცნებო ხელოვნებას მიჰყონ ხელი და ნამდვილი მგოსნები შეიქმნან.

— ახლა გალობის დრო არ არის, ჩემო კარგო! აგერ მომავალ გაზაფხულზე, როცა ჩვენი კეკლუცი სამშობლო, ზამთრისაგან შებოჭილ-შებორკილი, ახალს ძალებს მოიკრებს, მონობისაგან თავს დააღწევს, ტურფად შეიმოსება თვალის წარმტაც სამოსელითა, ია-ვარდი აყვავდება და მათი დამათრობელი სურნელება ჰაერის სუნთქვას გაგვიტკბილებს; როცა გაზაფხული, ეს ბუნების ქორწილი, პირველად ჩაუსახავს ჩვენს ნაშრომ-ნაამაგარ შთამომავლობას გულში სიყვარულის პირველ ნაპერწკალს. აი, მაშინ დადგება ჩემი ჯერიც გაზრდა-გაწვრთნისა.

ხომ იცი, ჩემო კარგო, და თუ არ იცი, უნდა იცოდე, რომ სილამაზისა და სიმშვენიერის გრძნობა მხოლოდ იმის გულში ჰღვივის, ვისაც სიყვარულის მომხიბლავი და ყოვლად შემძლებელი ძალა უგრძვნია, განუცდია. ხოლო ვისაც სიყვარული არ განუცდია, იმისათვის არ სუფევს არც სილამაზე, არც სიმშვენიერე, არც უზენაესი გრძნობანი. ის მხოლოდ და მარტო კუჭის მოტრფიალეა და სიძუნწის მქადაგებელი. ამიტომაც არის, ჩემო სულიკო, რომ ტანით მახინჯი საჭურისნი, სულითაც მახინჯდებიან. ისინი არ სტკებიან ამომავალ-ჩამავალ მზისა და მთვარის შვენებით; ცქრიალა, მოციმციმე ვარსკვლავთ გუნდი არას ეუბნება მათ სულსა და გულს; გულწარმტაცი გალობა, თუნდ უდიდესის მგოსნისაც კი, არ ათბობს მათ გაციებულს სისხლს, არ აჩქარებს მათ მიდუნებულ გულისცემას. ესეც რომ არ იყოს, დეე, პირველად თვითონ გაიკვლიონ გზა-კვალი. მხოლოდ თავის ჭკუით შეძენილი და თავის შრომით შემოკრებილი საზრდოა ტკბილი და გემრიელი. ნაჩიჩინებ-ნაძალადევი უცხო სტუმა-

რია: ის ვერ შეესისხლხორცება სხეულს და, როგორც მოსულა, ისე წავა.

ან როგორ უნდა გაჩნდეს და გაძლიერდეს შემოქმედებითი ძალა, თუ პირველადვე მგოსანი მიბაძვას მიჰყვება? „აბდა-უბდა გადასკუპდა“ ხომ მგოსნობა არ არის. — ესეც რომ არ იყოს, განა შემიძლიან სწავლა-ჩიჩინით მგოსნობის მინიჭება? დეე თვით ბუნებამ ჩაუნერგოს და ჩაუთესოს ის უზენაესი ნიჭი და ძალა, რომლის უფალიც მარტო და მხოლოდ ის არის! ჩვენი ვალი დიახ, უნდა ავასრულოთ: ფეხზე დავაყენოთ, ხელი შევუწყოთ და ამას რომ არც მე უარვყოფ?!

ჩვენის ჭკუა-გონებისათვის მიუწვდომელი დრო ყოვლად შემძლებელია: დღეს აღამებს და ღამეს ათენებს, კოკორს შლის და ვარდს აკკნობს, ჩვილს აკაბუკებს და ჭაბუკს ახუცებს, სიცოცხლეს სიკვდილით აბოლოებს და სიკვდილით სიცოცხლესა ჰბადებს.

ჩვენი საყვარელი შვილებიც წამოიჩიტნენ, ბუდიდან ამოფრინდნენ და ჩვენი ბუჩქის ტოტებზე დასახლდნენ. ახლა საზრდოსაც თვითონ პოულობენ.

აგერ უფროსმა გალობაც დაიწყო, მამალია. სთხზავს საწყალი ნელ-ნელა, მაგრამ გულმოდგინედ. ერთ მუხლს რომ ვერ დასძლევს, მაინც თავს არ ანებებს, მაინც ვარჯიშობს. მუყაითობაც რომ ეტყობა, ეს დიდი ნიჭის ნიშანია, ზოგიერთებს კი ჰგონიათ (უგუნურები უნდა იყვნენ), რომ დიდი ნიჭის პატრონს ვარჯიშობა და მუყაითობა არა სჭირიაო, ეს მოჭორებული გახლავთ. ზოგიერთებიც ფიქრობენ, დიდი ნიჭის პატრონი დაუფიქრებლად სთხზავსო, თითქოს მგოსანს ადრე არ შეემუშავებინოს თავის ფიქრსა და გონებაში ის მოტივები, რომლებითაც ჰარმონიასა ჰქმნის. ამგვარად წარმოდგენა ხელოვნებისა, ჩემო მეგობრებო, მტკნარი უმეცრება გახლავთ. ყოველივე ნამოქმედარი შრომის ნაყოფია და უშრომლად, არა თუ დიდი ხელოვნური საქმე, არამედ მცირე, უმნიშვნელოც კი არა კეთდება!..

მეორეც აჭიკჭიკდა. ეს ყველაზე უმცროსია. ესეც სთხზავს, საბრალო, მაგრამ ჩქარობს, მუხლიდან მუხლზე ხტება და, ხომ გაგიგონიათ, „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო“?..

ესეც ერთი მომღერალთაგანი იქნება, მაგრამ... მგოსნობისა კი რა მოგახსენოთ?! ვერ ივარგებს?! რადგან ჩქარობს, ეტყობა ერთბაშად უნდა სახელის მოხვეჭა უშრომლად და ეს კი დიდი ნაკლი და შეცდომაა. სწორედ ჩემს უკანასკნელ ჰანგებზე უნდა მოაწყოს თავისი ჩანგიც. მაგრამ ძალა არ შესწევს, ახლავე მიმბაძველობა ეტყობა. მუხლ-მუხლ ჩაკვირვება კი არა. თხზვასაც ისე ვერ ახერხებს, როგორც უფროსი.

ამას, ჩემო ბატონიშვილებო, ჭკუა და გამოცდილება მეუბნება,

თორემ გული კი იმედით სავსე მაქვს: ეგებ იპრიანოს ღმერთმა და ესეც ნამდვილი მგოსანი გამოდგეს, სმენისა და გრძნობის დამტკბობი.

მე ჩემს ცდასა და შრომას არ დავაკლებ არც ერთს, ვუგალობებ და გავაცნობ ჩემს ჰანგებს ამ ცოტა ხანში და დანარჩენი საგაისოდ იყოს. პეტრე-პავლობამდე რასაც მოვასწრობ, ისაა, მერე გალობის თავი აღარ მექნება. ენკენისთვისათვის დიდი ძალ-ღონის მოპოებაა საჭირო ქვეყანაში გასამგზავრებლად და ამიტომაც უნდა კარგად ვსვათ და კარგად ვჭამოთ, გავსუქდეთ. ჩასუქებული მგოსანი კი გალობას ვეღარ ეწყობა.

თუ მოთმინებას მიეცემით და არა თუ არ შეგვიშლით, ჩვენო პატარა მტერ-მოყვარენო, არამედ კიდევაც მოგვიმართავთ ხელს, რომ ჩვენც თქვენთან ერთად დავსტკბეთ ჩვენი საერთო საყვარელ სამშობლოს მშვენიერის ბუნებით, მაშინ თქვენც თქვენის ლამაზის თვალებით დაინახავთ ჩემსა და ჩემის შვილების ცდას და ბეჯითობას. ეგებ ჩვენი სიცოცხლე თქვენთვისაც სასარგებლო შეიქმნას, ისე როგორც ადრე ყოფილა!..

მხოლოდ სხვის იმედით ნურც თქვენ დარჩებით, თქვენც ეცადეთ და იმუშავეთ, რომ ქვეყნისთვის მეტ ბარგად არ გადაიქცეთ.

ბელურას თავგადასავალი

„მე აქ ვარ დაბადებული,
აქვე ვიზრდები, აქ ვკვდები,
ჩემს ფერად-ფერად სამშობლოს
ერთ წამსაც ვერა ვშორდები.
სიცხესაც ვიტან, ყინვასაც,
ჩემის სამშობლოს ლხინს და ჭირს,
და მერცხალივით სხვა მხრისკენ
არც გულს ვიბრუნებ და არც პირს".
• აკაკი.

თუმცა ჩემი გვარი ცნობილია ყველგან და ბელურას ყველა თავისიანად სთვლის და ყველა მიიჩნევს იმას, როგორც თავის ქვეყნისას, მაგრამ მე პირადად ამაში ვერ დაგეთანხმებით, რადგან საქართველოში ვარ გამოჩეკილი, გაზრდილი, ამიტომ სამშობლოდაც ის მიმაჩნია. არა თუ მიმაჩნია, არამედ მიყვარს და ვაფასებ. მიყვარს და ვაფასებ არა თუ მარტო სამშობლოს მშვენიერს ბუნებას, არამედ მის მცხოვრებთაც განურჩევლად სქესისა და ჩამომავლობისა. ვაფასებ იმიტომ, რომ ხალხი გულკეთილია და არ გაურბის შრომას, თანახმად იმ სწავლა-განათლებისა, რომელიც მისთვის მიუციათ. ყური მომიკრავს, რომ ევროპაში უფრო განათლებული ხალხიაო და იმათი

შრომის ნაყოფი ბევრად მეტია, ვიდრე ჩვენშიო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ რადგან მე თვითონ სრულებით უსწავლელი გახლავართ და შრომასთან დიდი ცუღლუტობაც მომდევს, აბა რა მეთქმის იმათზე, ვინაც განათლებულიც არის და ჩემზე მეტად შრომისმოყვარეც? ჩემი მოკლე ჭკუა მხოლოდ იმას მეუბნება, რომ ჩემგან დამოკიდებული რომ იყოს, არასოდეს არ გამოვაცლიდი ადამიანს ხელიდან საქმეს, მუდამ ჟამს ვაშრომებდი. რატომო? — დამეკითხებით. იმიტომ, რომ უსაქმო კაცი ღობე-ყორეს ედება, ცუღლუტობს და ცუღლუტობის დროს ბევრს ცუდსა და მავნე საქციელს იჩენს და მეც მდევნის. დიახ, დანამდვილებით მოგახსენებთ, რომ მე მხოლოდ ცუღლუტი მერჩის, თორემ საქმის კაცს სადა სცალიან ჩემთვის. ის მუდამ თავის საქმეს ადგია. მართალია, დიდი შრომის მოყვარეთაგანი არც ჩვენ გახლავართ, მაგრამ მაინცდამაინც ზარმაცებიც არა ვართ. ისე, არც იქით და არც აქეთო, რომ იტყვიან, სწორედ ისე გახლავართ. მართალია, ქურდობას გვწამებენ და მუშა ხალხს დიდად არაფრად ვეპრიანებით, მაგრამ ვის შეუძლიან გადაწყვეტით სთქვას, რომ ადამიანთან შეგუებული ჩვენი სიცოცხლე მავნებელი იყოს მისთვის? მართალია ისიც, რომ ბეღელში თუ შევყავით თავი, ხორბალს, ქერსა და შვრიას ხეირს არ დავაყრით. მართალია ისიც, რომ დამწიფებული ყურძნის გემოსი ჩვენც ცოტა რამ გაგვეგება და ხანდიხან ხეხილის ნორჩ კვირტებსაც ვიგემებთ ხოლმე. მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ზაფხულის განმავლობაში სამ-ოთხ თაობას ვზრდით ხოლმე და ჩვენს ბარტყებს ხეხილის მავნე ჩიებითა და მატლებით ვარჩენთ, რომლებსაც ჩვენც კარგად შევექცევით ხოლმე. ამასთანავე უნდა გულახდილად მოგახსენოთ, რომ მე მეცნიერების არა გამეგება რა, მხოლოდ იმას კი ცხადად ვჰვრეტ ჩემი გამოცდილის პატარა თვალებითა და მოკლე ჭკუით, რომ ადამიანი ბევრად არაფრად გვემტერება. მართალია, საყვედურს ხშირად ამბობს ჩვენზე, მაგრამ საყვედური ხომ სიძულვილი არ არის?!..

ჩვენც გულმოდგინედ კვალდაკვალ მივდევთ ადამიანს. მხოლოდ იმის ზურგს უკან ვიმაგრებთ ფეხებს და ვპოულობთ მტკიცე ნიადაგს. განათლებული ქვეყანაა ჩვენი ტახტი. მოხნულ-დათესილი მიწაა ჩვენი მარჩენალი და მხოლოდ იმ ხალხს მივდევთ კუდში, რომელიც მიწის შესამუშავებლად იღწვის. ხშირად მდიდრულის ცხოვრებით გალაღებულ ქალაქელთაგან გვსმენია საყვედური ჩვენის გალობის შესახებ — არაფრად მოსწონთ. განსაკუთრებით მაშინ, როცა სადილისა და სამხრის შემდეგ შევიკრიბებით ხოლმე სადმე დიდი ხის ტოტებზე ან ღობეზე და ვბაასობთ, ჟივილ-წივილს ავტეხთ ხოლმე. ჩვენც სულდგმულნი ვართ, ჩვენც გვიფეთქს მკერდში

გული. ჩვენშიაც სუფევს სიყვარულიც და სიძულვილიც, თანხმობაც და უთანხმოებაც, კარგიც და ავი განწყობილებაც. შური, ქიშპი, სიხარბე, გაუმაძღრობა, თქვენი არ იყოს, ჩვენც გვჩვევია და რა გასაკვირველია, რომ ჩვენც ვდევნით მოპირდაპირეს და ხშირად მტრობას ბრძოლის ველზედაც გავყავართ, სადაც სისხლს თუ არა, ფრთაღინღლს მაინც ვტოვებთ. არ მოგვწონს თქვენი ხუმრობაო... განა ჩვენ კი მოგვწონს თქვენ შორის ბრძოლა, რომელიც ხშირად სისხლის დაქცევითაც თავდება? განა თქვენგან წამდაუწუმ თოფის გრიალი და ხანჯლის ტრიალი ჩვენთვის სასურველი და სმენის დამტკბობი ხმებია? ისემც ჭირი აგცილდესთ! მაგრამ ვითმენთ და არ გავრბივართ. ჭირშიაც და ლხინშიაც თქვენი მეგობრობა გვწყურია.

თუმც ტანით პატარანი გახლავართ, მაგრამ ჭკუით დიდ ფრთოსნებსაც არ ჩამოუვარდებით. ეშმაკობასაც გვწამებენ და რა გვეთქმის? თუ ეშმაკობა ჭკუის ნიშანია, დეე ეგრე იყოს! ზოგიერთს ჩვენი მორჩილი ხასიათი ეშმაკობად მიაჩნია, შემცდარი აზრია. აბა რატომ არ უნდა ვიყო იმის მორჩილი, ვინც არას მერჩის? არა თუ ადამიანს, მის მოშინაურებულს ცხოველებსაც კი შეგუებული ვყავართ, ერთის გარდა. კატაზე მოგახსენებთ. უჰ, უჰ, უჰ! ჯვარი აქაურობას! დიდი არამზადა რამ არის ის ღრუტუნა ქალაჩუნა და ჩვენი მოსისხლე მტერი, მეხი კი დავაყარე იმის გაუტანელს და დაუნდობელს თავპირს! არა, ერთი დახედეთ, როგორ შეუყვარებია ადამიანისათვის თავი იმ მართლა ქურდ-ბაცაცას! მიაუ, მიაუო, აქაო და თაგვებს დავდევო, ის კი არა, ადამიანის ნაშრომ-ნაამაგარი ერბო, კარაქი, ყველი, ძეხვი, თევზი და სხვა რამ სანოვაგე კბილებით აქვს გაქელილი და შეუმუული. სულ იმის ფიქრშია ის არაწმინდა, რომ ყოველი გემრიელი ლუკმა თავის მუცელში ჩაილაგოს, იმას კი არ ფიქრობს ის წუწკი, რომ სხვისთვისაც მიუნიჭებია ბუნებას მადაც და სიცოცხლის სურვილიც! აქაო და მე გამოვძღეო და თუნდა ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. არა და, მე თქვენ გეტყვით, იმ ფრანგსა ჰგავს ეს ღრუტუნა ციცა, რომელსაც თურმე თავის სიცოცხლე ბეღურების გაზრდა-პატივში გაუტარებია?!.

აი, როგორ გვიამბო ამ დალოცვილი ადამიანის ყოფა-ცხოვრება იმ სახლის პატრონმა, ვანო სპირიდონისძემ, რომლის ქვის ყორეშიაც მყავს მე სახლობა.

ივნისის დილა იყო, ათი საათი იქნებოდა, როცა სასტუმროდან გამოვედი და ლათინურ* უბნისკენ ეტლით მივემგზავრებოდი.

---

* პარიზის ქალაქის ერთ-ერთი უბნის სახელია. (ავტორის შენიშვნა).

მთელი პარიზი ჩვეულებრივად მოძრაობდა. ეტლები ავტომობილებს მისდევდნენ, ავტომობილებს ველოსიპედები და ამათ ტრამვაის ვაგონები, ფურგონები და სხვა. პარიზის ქუჩებზე შეგიძლიათ შეხედეთ ნოეს კიდობანის მსგავს ფურგონსა და დიდის ხელოვნებით გაკეთებულს ეტლსა და ოტოს*. გადავეერი რივოლის ქუჩა და ტიულიერის ბაღს მივუახლოვდი, სადაც ბუჩქების ირგვლივ დიდი ხალხი იდგა. შევაჩერე ეტლი. წამოვდექი ფეხზე და გავიხედე. ვხედავ, ერთი ორმოცდაათი წლის ადამიანი ჩამდგარა ამ ხალხის შუა და ზედ ბეღურები მუმლივით მისევიან. ვისკუპე და ერთს წამში ამ კაცისკენ გზა გავიკვლიე. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ეს კაცი ისე იმორჩილებდა ბეღურებს, როგორც კარგად გამოცდილი ოსტატი შაგირდებს. რა წარმოდგენები არ გამართა, რა რიგად ათამაშა ეს პატარა ფრინველები! თითოეულს სახელს უწოდებდა იმისდა მიხედვით, დედალი იყო ჩიტი თუ მამალი. აქ იყვნენ პიერი, ჟანი, ლიუდოვიკი, ჟანპტი, ლუი და მრავალი სხვანი, აგრეთვე ლუიზა, მარგერიტ, ესტელა, ჟორჟეტ, ჟანა და სხვა. ყოველივე მათგანი მხოლოდ თავის სახელის გამოძახებაზე მიიფრენდა მასთან და ასრულებდა იმის ბრძანებას, როგორც რომელიმე გაწვრთნილი ჭკუიანი ცხოველი. აგრეთვე ეპყრობოდა ეს კაცი მტრედებსაც. მას ჯიბეები სავსე ჰქონდა ცომითა და ხორბალით და ყოველივეს ჩაუდებდა ხოლმე პირში ბრძანების შესრულების შემდეგ**.

როცა ეს წარმოდგენა გათავდა, მან მიაძახა ჩიტებს ქში-ქშიო და ისინიც აფრინდნენ. ფრანგმა აიღო იქვე სკამზე დადებული ნანახი სურათების ფოტოგრაფიული ნახატები და მაყურებლებს მოგვაწოდა თორმეტი ორ ფრანკად. მე ავიღე ეს ნახატები და ვთხოვე იმ ფრანგს აეხსნა ჩემთვის ის, თუ როგორ დაიმორჩილა მან ამოდენა ქალაქის აუარებელი ჩიტები.

პატარაობიდან, — მიამბო ფრანგმა, — მე ამ ხელობას ვადგივარო. ეს ჩიტები, როგორც მოგეხსენებათ, აი, ამ ქვის შენობების კედლებში ცხოვრობენ და გადმოფრინდებიან თუ არა ბარტყები, მეც აქვე ვარ და დღითი დღე ვაჭმევ თუ ცომს და თუ ხორბალსო. ბაღიდან ბაღში გადავდივარ და ამრიგად ვიჩვევ პატარაობიდანვე ჩიტებს, რომელთაც სახელებსაც ვარქმევ და ისინიც ამ ამაგისათვის მემორჩილებიანო. აქ მხოლოდ მოთმინებაა საჭირო და რადგან ჩემი ხელობა

---

* ავტომობილს ეძახიან ფრანგები შემოკლებით.

** აქ მოთხრობილი ამბავი მე ენახე ჩემი თვალით 1904 წ. პარიზში ყოფნის დროს. (ავტორის შენიშვნა).

ეს არის და ამ ნახატების გაყიდვით ვპოულობ საზრდოს, მოთმინებაც მაქვს და ჩიტების სიყვარულიცო, — დაასრულა ფრანგმა თავის ხელობის ისტორიაო. — აი ეს გვიამბო სახლის პატრონმა.

ასე, ჩემო ბატონებო. რა კარგია გონებაგახსნილი კაცი, ის ჩვენ გვასაზრდოებს და ჩვენ მას. ასეც უნდა იყოს ყოველთვის: შენც იხეირე და სხვაც ახეირე!

მაშ, გაუმარჯოს ტკბილს ურთიერთობას, ჩემო პატარა მტერ-მეგობრებო!

გუგულის ამბავი

ის იყო მზემ გაუცინა დედამიწას და თბილი საამური სხივებით მიესალმა. ქვეყანამაც საპასუხო თაყვანი სცა თავის დიად მნათობს, რის გამოსახატავად გადაიღეღა გულ-მკერდი და აღმოაცენა მობიბინე ზურმუხტ-ბალახი. ენძელა ქუდმოხდილი მხიარულად თაყვანსა სცემდა ცხოვრების მომნიჭებელ მზის სხივებს და ზამთრის სუსხისაგან გატიტვლებული ხეები შემოსვას ეშურებოდნენ, რათა პირნათლად შეხვედროდნენ თბილად და ტკბილად ამომავალ დაუშრეტელ სითბოს და სინათლის წყაროს. გაგუდულებივით პარკებში უმოძრაოდ ჩასაფრებულმა ჭია-ღუებმა მატლის და მუხლუხოს სახით გამოჰყვეს თავი და მოედნენ ტყეს ახლად გამონასკვულ კვირტებისა და ნორჩი ფოთლების საგემებლად. მეც ამ პირველ სითბოსთან ერთად მოვევლინე ჩემს ძვირფას მეგობარს ტყე-ველს ამოდენა აურაცხელ მტრის მოსაგერიებლად. ჩვენი გუგუ გაისმა აქა-იქ ტყეში, რომელსაც მცველებად დავადექით თავზე. იმ დალოცვილ ბუნებას ჩვენი გაჩენის პირველ დღიდანვე უხვად დავუჯილდოებივართ ლაზათიანის მადით და იმოდენი სიცოცხლე თქვენ მოგეცეთ, ჩემთვის უვნებელნო ბავშვებო, რამდენი ტყის მოსისხლე მტერი ჭიები ჩვენ გავასაღეთ იმ ხანებში.

— ააა, გუგულს ვახლავართ, გუგულს, ჩვენს კეთილს გაზაფხულის პირველ შიკრიკს! — მომესალმა ჩვენი ტყის მცველი ხოსიკო,— მაგრამ ოლოლე შენ! მიჯობნია შენთვის, შე ძაბუნო, შენა! — მომიგო მან შანი,—უკვე პურნაჭამი გახლავარ და ვეღარ დამჩაგრავ, ვერა!

რა უნდა მეთქვა, თუმცა ღმერთი-რჯული, რომ მიამა იმისი ნახვა. გუ-გუ. გუ-გუ-მეთქი, მივაყოლე ჩემის საამურის ხმით და გულში კი ჯავრად ჩამყვა, რომ ასე უსაფუძვლოდ მისაყვედურა რაღაც დაჩაგვრის შესახებ. ვინ ოხერს უნდა მისი დაჩაგვრა? ისემც ნურა გეტკინოთ! აშკარად ვხედავდი, რომ ყველანი ხარობდნენ ჩემს გაჩენას, თითქოს გაზაფხული უჩემოდ არ დადგებოდა. მეც ხომ ბრიყვი

არა ვარ, რომ ეს ჩემთვის სასიამოვნო მდგომარეობა არ შემეთვისებინა და ვსიამოვნობდი არხეინად ცხოვრებით, ვიდრე პატარა ფრთოსან-მგალობლების გადმოფრენამდის, რომელთაც გაზაფხულის სუნზე იწყეს დენა ჩვენი ტყისკენ. ახლა კი ილაჯი წაიღეს ამ ტურტლიანმა ჩიორებმა, სული არ ამომათქმევინეს, გამომიდგებიან ხოლმე და დამდევენ ერთის ყივილ-წივილით.

განა ბევრს კი ვერას მაკლებენ, მაგრამ დამჩხავიან თავზე და გულს მიწვრილებენ, სანამ არ ჩავკორტნი და ძალით არ მოვიშორებ.

— რას გერჩიან, — შემომეკითხა ერთი ფრთამოტეხილი ქოჩორა ოფოფი.

— ჰეი გიდი, თითქოს შენ კი ხეირს დამაყრიდი, რომ ფრთა არა გქონდეს მოტეხილი, — მივუგე მე.

— არა, შენც დანაშაული მიგიძღვის ჩვენს წინაშე. აბა ერთი მითხარი, ვინ მოგცა ნება, რომ ჩვენ ბუდეს გაქექავ ხოლმე და ჩაბრძანდები შიგ, თითქოს შენი ნაშრომ-ნამაგარი იყოს? ენითაც ჩვენზე დიდი ხარ და ჭკუითაც და განა შენ არ გეკადრება ბუდის აშენება, ჩვენ რომ გვაზრდევინებ შვილებს? ან რომელი დიდი გვარის შვილი შენა ხარ, რომ ასე გვეპყრობი? თუნდაც დიდის გვარისა იყო, წავიდა, დაო-ჯან, ის დრო, როცა დედები მონებს შვილებს აზრდევინებდნენ. ახლა თავისუფლების ხანაა, გაიგე და! თუ არც ის იცი, რომ ბუნებას არც გვარიშვილობა დაუწესებია და არც მონობა? ვინ არ იცის, რომ ეს ყველა მოგონილია იმათგან, ვისაც ძალა უხმარია თავისდა სასარგებლოდ? განა შენაც კარგად არ იცი ეს, მაგრამ როდი გატყდები? მაგვარი მონობა შენთვის ხელსაყრელია და ზოგი ჩვენაც გვკითხე! მონა ის არის, ვისაც თავისუფლება არ უყვარს. ჩვენ კი ძალიან კარგად ვიცით თავისუფლების ყადრი და მასთან ჩვენი ბუნებრივი უფლებაც და დღეის იქით მონობაზე ხელს ვიღებთ!.. აი, ჩემი უკანასკნელი სიტყვა და შენ რაც გინდა, ისა სთქვი, მე შენი მსმენელი არ გახლავარ. მორჩა და გათავდა! — დააბოლავა თავის თავხედობა ოფოფმა და ხტუნვით მიიმალა ფოთლებში.

— ყურებზე ხახვი არ დამაკრა! — მივაძახე მე და ჩემს გზას გავუდექი.

სულ მოკლე ხანში ამ ბაასის შემდეგ მუცელი ამტკივდა, კვერცხი მომდგომოდა. ჩვენი ტყის ბოლოში, მოცვის ბუჩქზე ღაჟოს ბუდე მეგულებოდა, რომლისაკენაც საჩქაროდ გავექანე. ჩემს ბედზე ღაჟოც აფრენილიყო და მე ჩუმად ერთი კვერცხი შიგ ჩავდე, კვერცხის დადების დროს ტკივილები ვიცი, თუმცა ჩემი კვერცხი პატა-

რაა. ამ ტკივილების გამო იმდენი ვიფაფხურე, რომ ღაეოს ორი კვერცხი კიდეც ჩავტეხე, ამოვალაგე ბუდიდან და საჩქაროდ ამოეფრინდი.

„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა!“

ერთი კვირის შემდეგ კიდევ მომინდა კვერცხის დადება და ახლა კიოტას ბუდეში მოვათავსე, ერთიც გულწითელას ბუდეს მივაბარე, ერთიც კოდალას კვერცხებს მივუმატე, ერთი ოფოფს ვუთავაზე და უკანასკნელი კვერცხი უნდა მესკიას ბუდეში ჩამედო, მაგრამ რადგან მესკიას ბუდე ფუღუროში ჰქონდა გაკეთებული, სადაც მე ვერ ჩავძვრებოდი, ვერ ჩავეტევოდი, ავიღე და მინდორზე დავდევი, საიდანაც ბრჭყალებით უნდა ჩამედო მესკიას ბუდეში, მაგრამ ზედ შემომატყდა ბრჭყალებში და გადავაგდე. კვერცხის დადების შემდეგ მე და ჩემი ქმარი გავიყარენით. ის თავის გზით წავიდა, მე ჩემის გზით.

სანამ ჩემი ბარტყები (ბჟღარტები) გამოიჩეკებოდნენ, ჩემს უბანს არ ვცილდებოდი, თვალყურს ვადევნებდი ჩემი მემკვიდრეების გაზრდა-დაჩიტებას და თან ძიძების საქციელს. მართალი მოგახსენოთ, ბევრს ვიცინი ხოლმე, როცა ეს საცოდავი ჩიტები ასე გულმოდგინედ მიზრდიან შვილებს. ისე თავისას არ უვლიან, როგორც ჩემსას და მეც არხეინად ვატარებ ჩემს დროს, როგორც ერთი ვინმე დიდი ბატონი.

სანამ მუქთი ძიძები და გამდელები მყვანან, თავი რისთვის უნდა შევიწუხო?..

გამოჭახრაკებული თაგვის ნაამბობი

მე როდი მოვსწრებივარ იმ დროს, როდინდელ ამბავსაც მოგითხრობთ, ჩემო პატარა ცელქებო! მე კი არა და იმ დროის ქვაც არ მოიძებნება დედამიწაზე. მაშინ ადამიანსაც არა გაეგებოდა რა არც სახლ-კარისა, არც აკვან-არტახისა და ბუნებრივ გამოქვაბულში, მღვიმეში ცხოვრობდა; მაშინ თურმე ჩვენც მინდვრად ვცხოვრობდით და ადამიანთან საერთო არა გვქონდა რა. როგორც ეხლანდელი ჩვენი მასპინძელი, ჩვენც იმათსავით ველურ ცხოვრებას ვატარებდით, მუდამ ჟამს იმის ფიქრში ვიყავით, ადამიანიც და ჩვენც, თუ როგორ დაგვეღწია თავი მინდორ-ტყეში მცხოვრებ ურიცხვ მტრისაგან. ადამიანი გვირაბებსა და მღვიმეებში აფარებდა თავს და ჩვენაც სოროში ვმალავდით ჩვენ ქურქს. მხოლოდ, როცა ადამიანმა თავის გამჭრიახი ჭკუით და გამოცდილებით მიაღწია იქამდე, რომ პირველყოფილი იარაღები გაიჩინა, მაშინ მტერსაც ადვილად გაუმ-

კლავდა და თავისუფალი დროც მეტი ჰქონდა ეფიქრნა თავის ცხოვრების გაუმჯობესებაზე. აქედან დაიწყო მისი კეთილდღეობის განვითარების ხანა. მან აიშენა სახლ-კარი, მაგრამ პირველში ეს სახლები დიდ ბოძებზე დადგა, რათა მტერი არ შევარდნოდა სახლში. ხოლო, როცა დრო წინ მიდიოდა, ადამიანიც თანდათან ვითარდებოდა, მისი ჭკუა-გონება წინ მიდიოდა, გამოცდილება ემატებოდა. აი, ადამიანი სძლევს ურიცხვ მტერს და ბატონობს დედამიწაზე. მას უკვე უფრთხის ყველა ველური ცხოველი, როგორც საშიშარ მოპირდაპირეს, და შორს გარბიან იმის სადგურიდან. ახლა ის უკვე დედამიწაზე სდგამს სახლს და არხეინ ცხოვრებას იწყებს. კაცობრიობის განვითარების ისტორია ძალიან წააგავს პატარა ბალღის განვითარების ისტორიას. დაიბადება ჯერ უსუსური ბალღი, არც ჭკუა, არც გამოცდილება, არც მოსაზრება და არც არარაის ცოდნა. სულ უბრალო სიარული და ჯდომა რა არის, არც ის შეუძლიან ამ საბრალოს, ვიდრე არ წამოიზრდება, ძალ-ღონით არ გაივსება, ჭკუა-გონება არ გაეხსნება. წამოიზრდება თუ არა, სიარულსაც ახერხებს, ენასაც ამოძრავებს, ხელ-ფეხსაც სათანადოდ (რიგზე) ხმარობს, თვალ-ყურიც რიგზე უჭრის და სხვადასხვა, გაიზრდება, დავაჟკაცდება და მაშინ ხომ სრულ კაცად ხდება, რა გინდა, რომ არ მოახერხოს. ტყუილად კი არ იქადის ადამიანი ბუნების მეფობას. ოღონდაც რომ ბუნების მეფეა! არა თუ ცხოველებს, მთელის ბუნების ძალებსაც კი იმორჩილებს და დღეს თუ არა ხვალ, ჰაერში ფრინვასაც დაიწყებს. დიახ, იმას გიამბობდით, რომ პირველ ხანებში, ველურობის დროს, ჩვენ თურმე მინდორ-ტყეში სოროებს ვიკეთებდით და შიგ ვცხოვრობდით. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გაჭირვებით ვატარებდით ჩვენს ცხოვრებას. გარდა ურიცხვი მტრისა ცხოველთა შორის, წვიმაც ცუდ დღეს გვაყენებდა: ამოგვივსებდა სოროებს და გვაღრჩობდა. ათასში ერთი თუ გადურჩებოდა ნიაღვარს. მხოლოდ როცა ადამიანმა მიწაზე აშენებულს სახლს შეაფარა თავი (რასაკვირველია, ის სახლი ეხლანდელს სახლებს კი არა ჰგვანდა: მაშინ სახლს ეძახდნენ იმას, რასაც ახლა ფაცხას უწოდებენ), სწორედ მას აქეთ ჩვენი კეთილდღეობის ხანაც დადგა. აი, როგორ მოხდა ეს საქმე: თურმე, ერთს ‘შვენიერს დღეს, თუ ღამეს, ახლა ამას ვინ დაგვიმტკიცებს, ზეცას შავი ღრუბლები გაეკრნენ, ქარმა მინდვრად კივილ-წივილი მორთო და ტყესაც მოთქმა დააწყებინა. ქვეყანა შეზრიალდა, ხმაურობა გაძლიერდა და ამ დროს კოკისპირულმა წვიმამ თქიშინი იწყო. მთელი დედამიწა წვიმამ ერთ უშველებელს ტბად აქცია და თან მთიდან მოვარდნილმა ნიაღვარმა მთელი დედამიწის პირი გადარეცხა. რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენი

სოროები სულ წყლით აივსო და, ვინ იცის, რამდენი ჩვენი ჯიშის შვილები ჩაახრჩო. ვინ საით მირბოდა, გაგება სადღა იყო, ვინ წყალმა წაიღო, ვინ იქვე სოროებში გაიგუდა, ვინ მაღლობზე შესკუპდა და სიკვდილს თავი დააღწია და ასე ამრიგად, ჩვენს უბანში რამდენიმე თაგვი გადურჩა დაღუპვას. მეორე დღეს მზემ როგორღაც, თითქოს მორიდებით, თვალი გამოაჭყიტა და ქვეყანა გაანათა. მოვარდნილი ნიაღვარიც თავის გზით გაექანა, მხოლოდ მინდორ-ველი კი ტბებად იყო გადაქცეული. გადარჩენილმა თაგვებმა გაიბერტყეს თავიანთი ქურქი და შეუდგნენ თათბირს, თუ სად შეეფარებინათ თავი. არც აცივეს, არც აცხელეს, ადგნენ და დაუპატიჟებელ სტუმარსავით ადამიანის ფაცხას მიაშურეს. კარგი და პატიოსანი! მაგრამ იმას არ ფიქრობდნენ, რომ ადამიანს არაფრად ეპრიანება შენი აგეთი თავხედობა? მეტი რა გზა იყო... თავის დაცვის ალღო ყოველი ქმნილებისათვის მიუნიჭებია ბუნებას და თაგვებიც სულგანაბულები მიიმალნენ ფაცხის ბნელს კუთხეში და მასპინძელს თვალ-ყურის დევნა დაუწყეს. ფაცხის შუაგულში კერა იყო გაჩაღებული, ცეცხლის პირზე კეცები ჩაემწკრივებინათ და კეცებზე შოთები ლამაზად იბრაწებოდა. ისეთი საამური სუნი იდგა, თურმე. ფაცხაში შებრაწული შოთებისა, რომ დამშეულ თაგვებს პირში ნერწყვი მოადგათ. თან სითბომ და თან პურით გემოსგაღების იმედმა ერთი გამოუცდელი თაგვი ისეთ ქეიფზე თურმე მოიყვანა, რომ გალობაც კი დააპირა. იმ დროს, ნუ იტყვით, ჩვენი წინაპარნი თურმე იადონივით გალობდნენ კიდეც. მხოლოდ სხვებმა მომღერალს პირში ბურთი ჩასჩარეს და იქვე ჩააჩუმეს. კარგი, რომ მამასახლისი რაღაც ხმამაღლა ლაპარაკში იყო, თორემ ხომ გაუგებდნენ ქურდულ მოვარდნას და კუდით ქვას ასროლინებდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს! დიასახლისმა გადმოალაგა ლამაზი შოთები, სწვდა თაროს და ლაზათიანი ლორი ჩამოიღო, მოუსხდა მთელი ოჯახი კერას და პურ-მარილს არხეინად შეექცა. თაგვები კი ერთმანეთს ეკვროდნენ თურმე და ნერწყვს ჰყლაპავდნენ. შუადღემაც ჩაირბინა და საღამოც კარზე მოადგათ. ახლა მადიანად ივახშმეს თურმე ადამიანებმა, სუფრაც აალაგა დიასახლისმა და მთელი ოჯახობა ძილს მიეცა. იმ დროს, მოგეხსენებათ, დანა-ჩანგალი აბი სად იქნებოდა, ხელით სტეხდნენ პურსა და ადვილად წარმოიდგენთ, თუ რამდენი პურის ნამცეცები რჩებოდა კერას პირს. ის იყო მასპინძლებმა ლაზათიანი ხვრინვა ამოუშვეს და ჩვენი თაგვების მასპინძლობის ჟამიც დადგა. მოსდგნენ და ამ ნამცეცებით დამშეული კუჭები გამოიძღეს. ვიშ, რა ლაზათიან გუნებაზე დადგნენ საცოდავები! კუნტრუშიც კი დაიწყეს თურმე და მალაყსაც გადა-

დიოდნენ ისე, როგორადაც ჩვენ ჩავდივართ ხოლმე გამაძღარს გუნებაზე.

დღე დღეს მისდევდა, დრო გადიოდა. მზის სხივებმა და ქარმა ტბების წყალი ორთქლად აქციეს და ცის სივრცეში გაისტუმრეს. დედამიწა კვლავინდებურად საამო ზურმუხტით შეიმოსა, გალახული ხე-ტყე გამობრუნდა და მწვანე სამოსში ამაყად გამოიჭიმა. კვლავ აჭიკჭიკდნენ ტყე-მინდვრის მგოსნები, სოფელს ჩვეულებრივი ელ-ფერი დაედო. ჩვენ თაგვებსაც წასძლიათ სულმა ძველებური თავი-სუფალი ცხოვრებისაკენ და ის იყო კიდეც ემზადებოდნენ მინდორ-ველისაკენ ახალის მოსახლეობის დაწყებას, მაგრამ, როცა გაზომ-ას-წონეს და საქმის ვითარებას რიგიანად ჩაუკვირდნენ, გადაწყვიტეს, რომ ადამიანის გვერდით ცხოვრება ბევრად უფრო უზრუნველსა-ყოფი იყო მათთვის, ვიდრე მინდორ-ველში. როგორც გიჭირდეს ისე გილხინდესო, — ნათქვამია, რასაკვირველია, მუდამ ქურდული ცხოვრება, მუდამ შიში და ცახცახი არაფრად საპრიანებელი იყო, მაგრამ მეტი გზა არა ჰქონდათ, აიღეს და გაიკეთეს მიწის იატაკში, აბა მაშინ ფიცრის იატაკისა რა იცოდნენ, სოროები, რომელშიაც თურმე დაესახლნენ კიდეც. დღისით სოროში ატარებდნენ დროსა და ღამით ფაცხაში ნავარდობდნენ, სწორედ ისე, როგორადაც ჩვენ ვა-ტარებთ ხოლმე დროს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ ჩვენი წინაპარნი პირველად იკვლევდნენ გზას ახალი ცხოვრებისაკენ და ჩვენ კი მზამზარეულზე გავჩნდით. ყოველი ქმნილება ეთვისება და ითვისებს ყოველგვარ პირობას, რომელიც მის ირგვლივ სუფევს. ჩვენი ჯიში ხომ ჭკუითა და გამჭრიახობით ბევრს ჩვენზე მაღლა მდგომ ცხოველსაც არ ჩამოუვარდება. მაშასადამე, რა საკვირველია, რომ თაგვმა ისე მოაწყო თავის ცხოვრება, რომ უზრუნველჰყო მთე-ლი ჩამომავლობა. მხოლოდ ერთზე მწყდება მე, ჩემდა თავად, გული. იცით, რაზე? იმაზე, რომ გარემოებამ აიძულა ჩვენი წინაპარი, გალო-ბა-სიმღერაზე ხელი აეღო, რათა შეუმჩნეველად განეგრძო ქურდული ცხოვრება ადამიანის სადგომში. მაშ როგორა გგონიათ? რომ ძალით არ ჩაეკლა მას ეს სურვილი თავის გულში, ხომ გამეღვიძებოდა მისი ქურდული ცხოვრება და როგორ ფიქრობთ, ხეირს დააყრიდა მას ადამიანი? ეჰ, მე რომ გამომყოლოდა გალობის ნიჭი, ერთს მაინც ისე შემოვძახებდი რომ!.. მაგრამ, არა, ეტყობა აგეთი ყოფილა აუცი-ლებლობის კანონი და რა გზაა, თავს ზევით, რაც უნდა იხტუნო, ვერ ახტები!

აუცილებლობა ხომ აუცილებლობაა, მაგრამ თვისებათა შთამო-მავლობითი გადმოცემის კანონიც ისეთი მძლავრი ყოფილა, რომ იმ დროიდან დაწყებული დღესაც აგერ-აგერ, ასიათასსა და ორასიათას

თაგვში ერთს კიდევ გამოჰყვება ხოლმე გალობის ნიჭი, და სად შენი იადონი, ისე გაიძახის თურმე სიმღერებს ეს შთამომავლობითი ნიჭით დაჯილდოებული. მე, მართალი გითხრათ, არ მინახავს მომღერალი თაგვი, მაგრამ ისეთი სარწმუნო პირები ამტკიცებენ შინაური თაგვების ამ თვისებას, რომ უნდა დავუჯეროთ და თუ თქვენც, პატარებო, მოთმინებას იქონიებთ და ბუნებას შეიყვარებთ, თვალყურს ადევნებთ მას, დარწმუნდებით, რომ პატიოსანის შრომით დაღლილთ ბუნების ძალთა კანონების შესწავლა-შეთვისება ახალს ძალებს შეგმატებთ, ცხოვრების ხალისს გაგიასკეცებთ და ოდესმე, სადმე მომღერალ თაგვსაც წააწყდებით!..

ჰიამაია

ზამთრის სუსხს წელი მოსწყდა. ქარის წივილ-კივილი და კვნესა-ტირილი შესწყდა. ცაზე მტრად მოვარდნილი ღრუბელ-ბურუსი ზღვისკენ გადიკარგა. ქვეყნის მნათობმა ღიმილით გადმოხედა დედამიწას და საამური სითბო უძღვნა. ზამთრის ძალი კუდამოძუებული გაუჩინარდა და კეკლუცი გაზაფხული სიამტკბილობით გამეფდა. მინდორ-ველი და ხე-ტყე თვალის წარმტაცის მწვანით შეიმოსა და ცის ლაჟვარდი ღია ფერის ფირუზს დაემსგავსა. მინდორ-ველისა და ხე-ტყის დამამშვენებელნი ფრთოსანნი მოცქრიალდნენ და ჭიკჭიკ-გალობით შეამკეს გაზაფხულის ცხოველმყოფელი ჰაერი.

ვისაც სიცოცხლის ელფერი ედვა, ყველა ამოძრავდა, გამოჰყო თავი ვინ ნაკელიდან, ვინ სოროდან, ვინ ბუნაგიდან, ვინ მიწურიდან, ვინ ფაცხა-ქოხიდან და ვინ ოდა-სასახლიდან.

აგერ შემოდგომის სიცივის გამო ჩამოცვივნულისა და შეკუმშულის ფოთლებიდან გამოძვრა ჩვენი ფერადად დახატული ჭიამაიაც. შეიშმუშნა, გაიზმორა და კრძალვით სიარული დაიწყო. საცოდავს მთელი ზამთარი ეძინა. არც საჭმელი, არც სასმელი და არც სახლ-კარი არავის შეუთავაზნია საბრალოსთვის. სიცივისა და შიმშილ-წყურვილით გაბრუებული, ის ცოცხალ-მკვდარი ძილად მივარდნილიყო და ოდნავ სულს ჰღაფავდა, გამხმარ ფოთოლში მიკუნჩხული. ორი-სამი ნაბიჯის გადადგმამ დაარწმუნა, რომ სიარულისათვის საჭირო ძალ-ღონე კიდევ შესწევდა და ამიტომ თამამად გაექანა, რათა ხის ფოთოლს მისწვდენოდა, სადაც მას ეგულებოდა უკვე ნაცნობი გემრიელი ლუკმა, ფოთლის მღილი. ჩაიტკბარუნა პირი ჭიამაიამ, ძალ-ღონე მოიკრიბა და ახლა ფრენაც გაუადვილდა, გაჰქანდა და სკოლაში მიმავალს არჩილს მკლავზე დაასკუპდა.

არჩილი ჩვეულებრივის სიცელქითა და სიხარულით მიეჩქარებო-

და სკოლისაკენ. რატომ უნდა ყოფილიყო მოწყენილი? გაკვეთილი, როგორც ყოველთვის, დღესაც დიდის გულმოდგინებით ჰქონდა შესწავლილი. გაზაფხულის დილა მეტად მშვენიერი იყო და სკოლაშიაც მას მოელოდნენ გულკეთილი და მოწაფეთათვის თავდადებული მასწავლებელი და ბევრი გულითადი მეგობრები. ესეც ხომ ერთი მეგობართაგანი შეხვდა არჩილს გზაში.

მან კარგად იცოდა, რომ ჭიამაია ხეხილისათვის ფრიად სასარგებლო ჭია არის, რომ ეს ჭია მუსრს ავლებს ფოთლების მტერს — მღილსა და, მაშასადამე, ადამიანისათვისაც დიდად მარგებელია, რადგან უფოთლოდ ხეხილი გაზაფხულსა და ზაფხულში ვერ იცოცხლებს და ნაყოფსაც ვერ გამოიღებს.

მერმე იმას კი არა მკითხავთ, თუ როგორ უყვარს ჩვენს არჩილს საუზმისა და სადილ-ვახშამის შემდეგ ხილით პირის ჩატკბილება? აბა რა სათქმელია! ან სად გაგონილა, რომ პატარა ცელქებს ხილი არ ჰყვარებოდეთ? არსად და არასოდეს!

დიახ, გახარებული არჩილი მიექანებოდა სკოლისაკენ და თან მეგობრულად ებაასებოდა წინწკლებით აფერადებულს, ლამაზ ჭიამაიას.

— ხვალ დარია თუ ავდარი? ხვალ დარია თუ ავდარი? ხვალ დარია თუ ავდარი? — ეკითხებოდა არჩილი ჭიამაიას, და ის კი ნელა მიგოგავდა ბავშვის მკლავზე. იარა, იარა ჭიამაიამ, აუჩქარა სიარულს, აიფუყა, ზედა ფრთები უხერხულად ასწია, ქვემოდან მფრინავი ფრთები გაშალა, ისკუპა და აფრინდა.

— ხვალ დარია, დარი! * — წამოიძახა გახარებულმა არჩილმა და ფეხის აჩქარებით სკოლას მიაშურა.

მაჩვის საჩივარი

ბევრი უსამართლობა სჩვევია ადამიანს, მაგრამ თუ სადმე სამართალია, ჩვენის გვარის ამრიგად განუკითხავმა დევნამ და განუსაზღვრელმა მტრობამ დროა ჩააფიქროს ადამიანი და ჩვენის ყოფაცხოვრების დაკვირვებით შესწავლამ დაარწმუნოს, რომ იმის მტრული მოქცევა სრულიად უნიადაგო და უსამართლოა.

მხოლოდ გულდადებული დაკვირვება დაგარწმუნებთ, ბატონო, რომ მაჩვი არასოდეს და არც ერთის თვისის საქციელით არ აძლევს

---

* თუ არ აფრინდა, ან ძირს დაეცა ჭია, ეს ცუდი ამანდის მომასწავებელია, — ამბობენ იმერეთში. ამიტომაც იქ ჭია მაიას „ხვალ-დარია“-ს უწოდებენ.
ავტორის შენიშვნა.

ზიანს ადამიანის ცხოვრებას. პირიქით, ყოველივე ჩვენი მოქმედება უტყუარი საბუთია იმისი, რომ ჩვენ ადამიანისათვის ზიანზე ბევრად უფრო მეტი სარგებლობა მოგვაქვს. განუსაზღვრელ დროიდან ადამიანის მტრობამ აიძულა ჩვენი გვარი დასახლებულიყო მის მოსახლეობიდან მოშორებით და ამიტომაც ჩვენ ვიკეთებთ ხოლმე ბუნაგს ტყის განაპირას და სადმე მივარდნილს ხევში. მოშორებული და მყუდრო ადგილია ჩვენი სავანე, სადაც ვერც ადამიანი და ვერც რამ სხვა ცხოველი ადვილად ვერ მოგვაგნებს. ბუნაგს ორის ადლის სიღრმეზე ვთხრით და რვამდე შესასვლელს ვუკეთებთ, საიდანაც შემოდის სუფთა ჰაერიც. ბუნაგს იმოდენად ვრცელს ვიკეთებთ, რომ თავისუფლად დაეტიოს ექვსი-შვიდი სული და, მოვაწყობთ რა ხავსითა და ფოთლებით რბილ საწოლს, ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ, სუფთად შევინახოთ. სისუფთავის დაცვაში ჩვენ ვერც ერთი ბუნაგში მცხოვრები ცხოველი ვერ შეგვედრება. რაც რამ სიბინძურე გაჩნდება ბუნაგში, იმწამსვე ამისათვის საგანგებოდ ამოთხრილს ორმოში ჩავყრით ხოლმე და ზევიდან მიწას წავაყრით. ჩვენც კარგად გვესმის, რომ სუფთა ჰაერი და საწოლ-სახურავი ჯანმრთელობისა და მასთან ერთად დღეგრძელობის აუცილებელი პირობაა. თუმცა ადამიანთან და სხვა ცხოველებთან შედარებით ჩვენ დღემოკლენი ვართ, სულ ათი-თორმეტის წლის მეტს ვერა ვცოცხლობთ, მაგრამ ბუნებას ასე მოუწყვია და ჩვენ რა გვეთქმის? ამბობენ, ჯანმრთელობისა და დღეგრძელობისათვის დიდი მოძრაობაა საჭირო და, თუ ეს მართალია, შეიძლება, ჩვენი დღემოკლეობა ბევრის წოლისა და ძილისაგან იყოს დამოკიდებული. მართლაც, მთელი დღე გვძინავს და ღამეც შუაღამემდე. მხოლოდ შუაღამიდან გათენებამდე სანადიროდ გამოვდივართ და შემდეგ კიდევ დასაძინებლად მივდივართ. ჭამაში მარდები გახლავართ, მაგრამ არც ის ვიცი, თუ ვის აკლია ჭამაში სიმარდე! გაზაფხულსა და ზაფხულში ყოველგვარ მწერებს, ლოკოკინებსა და ჭიაყელებს შევექცევით ხოლმე და, თუ სადმე ჩიტის კვერცხს ან ბარტყებსა და კურდღლის ბაჭიებს წავაწყდებით, ეს ხომ ზედმეტი ბედნიერება იქნება. გრძელისა და მოკაუჭებულის ბრჭყალებით ისე მოხერხებულად ამოგვყავს ხოლმე მიწიდან ჭიაყელები და მატლები, რომ უკეთესი აღარ იქნება. არც კრაზანების თაფლს ავუვლით ხოლმე გვერდს, თუ იღბალზე სადმე ვიხელეთ. იმათის კბენისა არ გვეშინიან, რადგან ჩვენს ჯაგარში და სქელ კანსა და რბილში მათი ისარი ვერ ატანს. შემოდგომაზე მინდვრის თაგვებს, ბაყაყებს, ხვლიკებს, თხუნელებს და გველებს შევექცევით ხოლმე. ყურძენიც ძალიან გვიყვარს, რომ ადამიანისა არ გვეშინოდეს. არც იხვისა და ბატის ჭუკებს ავარიდებდით თვალს, რომ ამ ფრთოსანთ ადამიანი

თავის ახლოს არ ინახავდეს. ხე-ტყის ჩამოცვივნული ნაყოფი, სტაფილო და ჭარხალი ხომ ჩვენი გემრიელი ლუკმაა. თუმცა არც გემოსა ვართ მოკლებული და არც მადას, მაგრამ ღორმუცელობას არა ვართ ჩვეულნი. იჯრაც ცოტა გვყოფნის და შესანახადაც ბევრს არ მივდევთ. მომეტებული შრომა ამ მხრივ გვაწვება ჩვენ, ძუ მაჩვებს, როცა თებერვალში, ან მარტის დამდეგს გვეყოლება ხოლმე სამიდან ხუთამდე სუსტი, ბრმა შვილი. იმათ ხომ მაგარ საკმელს ვერ მიაწვდი, ამიტომ ჯერ ძუძუთი და შემდეგ სულ ჭია-მატლებით უნდა გავზარდოთ. სამ-ოთხ კვირაში ჩვენი შვილები უკვე იმოდენად იზრდებიან, რომ კარში მიგვყავს და, აქედან დაწყებული, ისინი ეჩვევიან თავისუფალს, დამოუკიდებელ ცხოვრებას, შემოდგომაზე ისინი გვეცლებიან და თავიანთ ბინას იკეთებენ, თუ სადმე მიტოვებული ბუნაგი ვერ იპოვეს. კიდევ ერთის წლის შემდეგ შვილები თავიანთ ოჯახსაც ეკიდებიან. მხოლოდ ჩვენი ჩვეულება ისეთია, რომ ცოლ-ქმრობა ცოტა ხნით ვიცით, შემდეგ ცალკე ცხოვრებას ვიწყებთ ხოლმე და ჩვენც ისეთი განდეგილები ვართ, როგორც ხვადები. მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ ადამიანი მაინც არ ივიწყებს მტრობას და ხშირად გამოინადირებს ხოლმე ჩვენზე. რას გვერჩის, ან რად ვუნდივართ, რომ ჰკითხოთ, ვერას გიპასუხებთ, მხოლოდ მოგვდგება ხოლმე და ლანძღვა-გინებით მოგვთხრის: — აი, შე ღორის მსგავსო ღრუტუნაო, აი, შე დათენთილო ოთხფეხაო (ეს იმის დამახასიათებლად, რომ ჩვენ ჩქარი სიარული არ ვიცით), შე მყრალო კანმაგარა ღამის მონადირეო და სხვა.

საზღვარგარეთ თურმე ჩვენს ხორცს ლამაზად შეექცევიან, ჯაგარს ჯაგრისის საკეთებლად ხმარობენ და ტყავს კიდევ თავის რიგზე იყენებენ.

თქვენ კი რას გვერჩით, თქვე უმეცარო ცუღლუტებო, როცა დღემდე არც ჩვენი რბილი და არც ძვალი არაფერში გამოგიყენებიათ?!

ოფოფი

ჩვენი ჭრელი ფრთა-სამოსელი და სავარცხელივით დაკბილული ქოჩორია მიზეზი, რომ ხალხი და განსაკუთრებით ბავშვები მუდამ დიდის ყურადღებით შემოგვცქერიან. მაინცადამაინც დიდს ბრალს ვერას დავდებთ ადამიანს და დიდს სამდურავს ვერას ვეტყვით. ადამიანი სრულებითაც არ გვერჩის; მხოლოდ ეგ არის, რომ ხალხში გავრცელებულია ცრუმორწმუნეობა, ვითომ ოფოფის ხორცი მარგებელია გულმანკიანისათვის, შეშინებულისათვის და სხვაგვარ ავად-

მყოფთათვის და ამიტომ გვიგებენ ხოლმე მახეს და გვიჭერენ. ჩვენ-და საკეთილდღეოდ ეს ცრუმორწმუნეობა თანდათან კლებულობს და ჩვენი ცხოვრებაც უვნებლად მიმდინარეობს.

იმ თავითვე კი დაშინებულნი დიდის სიფრთხილით ვიქცევით, ადამიანი მოსისხლე მტრად მიგვაჩნია და შორს გავურბივართ. ანკი რა აქვს ჩვენთან სამტრო ადამიანს? არაფერი! რომ ჩვენ არა, ვინ არის ადამიანის სიბინძურის მომსპობი სოფელ-დაბებში და თვით ქალაქებშიაც? თუნდ იმას ნუ ჩავაგდებთ სათვალავში, თუ რამდენ ჭია-მატლსა სპობს გაზაფხულზე ჩვენი გვარი ბარტყებისა და თავის თავის გამოსაკვებად? სოფლები გვიჩივიან, ბინძურები ხართო, ჰყარხართო, თქვენს ახლოს არ გაივლებაო. ეს საჩივარი მართალიც არის და არც მართალია, მართალია მით, რომ როცა საბუდარზე ვსხედვართ ბარტყების გამოსაზრდელად, მართლაც ბუდეში იკრიბება ბევრი სიბინძურე, რომელსაც ფრიად ცუდი სუნი სდის. ამის გამო ჩვენი ფრთა-ბუმბულიც აყროლებულია, ვიდრე ბარტყებს არ დავაფრენთ და ბუდიდან არ ამოვალთ. მართალი არ არის მით, რომ, ბარტყების გაზრდა დაჩიტების შემდეგ, ისევ სუფთები ვართ, როგორც სხვა ფრთოსნები. იმასაც კი მოგახსენებთ, რომ საზღვარგარეთ ჩვენს ხორცს ლაზათიანად შეექცევიან და გემრიელ ლუკმადაც მიაჩნიათ. ამას სისუფთავისათვის მოგახსენებთ, თორემ შეწვა-შეხრაკვა ღმერთმა გვაშოროს იქაც და აქაც!

თამაზ გიგლაძის ხუთთვლიანი სასახლე წამოჭიმულია პატარა ბორაკზე, რომელსაც ქვეით მეტისმეტი სიცელქით ჩამოურბის ხმამაღლა მომღერალი მთის წყალი. სასახლის აივანი ტკაცუნაზეა გადაწოლილი. ტკაცუნა, — ასეთია იმ მდინარე წყალის სახელი, — აივნის ქვეშ მორევივით არის. ამ მორევს თევზი ეტანება. ბავშვები აივნიდან ანკესს უშვებდნენ, გრძელ კანაფის თოკზე მიბმულს, და ხშირად ამოჰყავდათ ხან ღორჯო, ხან წვერა და ნაფოტა თევზი. ბავშვებმა კარგად იცოდნენ, რომ თევზებს ხმაურობისა ეშინიათ და ამიტომაც არავის არ აძლევდნენ ნებას აივანზე ხმამაღლა ლაპარაკისას. ამიტომაც თამაზი და მისი მეზობელი მაქსიმე ტურტლაძე დაბალის ხმით მუსაიფობდნენ და სიამოვნებით უცქეროდნენ გახარებულ ბავშვებს, რომელთაც ერთი მოზრდილი ვერცხლის თასი აევსოთ წყლით და შიგ ნანადირევი თევზი ჩაეყარათ. საცოდავ პატარა თევზებს ლაყუჩებიდან სისხლი სდიოდათ, თასში დატივტიობდნენ და ძლივს სულს იბრუნებდნენ. წყლის გაღმა ნაპირი გამწვანებული იყო. ნორჩ წაბლნარის ფოთლები ოდნავ ირხეოდა წყნარი ნიავის ქროლვისაგან. ახალი დაქორწინებული ვიყავი. ბუდეც მზადა გვქონდა მე და ჩემ ცოლს საქათმის უკან კედელზე. ჩემი ცოლი კვერცხის დასადებად მზად იყო

და ორივე ცოლ-ქმარი სამზადისში ვიყავით. დილით რომ ავდექით და დავნაყრდით, ჩემი ცოლი სადღაც მიიმალა; აგერ შუადღე ახლოვდებოდა და ის კი არსად ჩანდა. ჩამოვჯექ წაბლის ხის შტოზე და დანაღვლებული აქეთ-იქით ვიცქირებოდი. შემდეგ მოვრთე გალობა, რომ ჩემი ცოლისთვის ხმა მიმეწვდინა. კუკუ, კუკუ, კუკუ! — გავიძახოდი, რაც შემეძლო, მაგრამ ჩემი საყვარელი ცოლი არსად იყო. დიდხანს ვეძახდი ჩემს მეგობარს, მზემაც გადაიხარა და გულიც მიწვრილდებოდა. საიდანაც იყო, ჩემი მეგობარიც მოფრთხიალდა და პირდაპირ ბუდეში ჩაეშვა. ისე თქვენ გაიხარეთ, როგორც იმისმა დანახვამ მე გამახარა! ავდექ და მეც მივედი მასთან და წესისამებრ მივუალერსე. როცა დავმშვიდდი და გული საგულეს მეგულებოდა, ერთი ხმაურობა შემომესმა. თამაზი და მაქსიმე ხმამაღლა ბაასობდნენ, ჰკვირობდნენ, რომ მე გუგულივით გალობა მცოდნია.

— ამოდენი ხანი სოფელში ვცხოვრობ და ეს პირველი გაგონებაა, რომ ოფოფი კუკუს იძახოდეს. მამა არ წამიწყდება, ეს რაღაც მოჩვენებას უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს, — ჰკვირობდა თამაზი.

— იმდენი სიკეთე ჩემ შვილებს მიეცეს, რამდენჯერ მე ოფოფის კუკუს ძახილი გამეგონოს, — უპასუხა მაქსიმემ. — საქმე ის არის, ჩემო მეგობარო, რომ როცა კუკუს ძახილი გვესმის, ჩვენ გუგული გვგონია და თვალ-ყურს არ ვადევნებთ, თორემ ხშირად ოფოფი გაიძახის სწორედ იმ ხმითვე და იმ რიგადვე, როგორც გუგული. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენის თვალით ვხედავდით ოფოფს და ჩვენის ყურით ვისმენდით მის კუკუს.

ამასობაში შებინდდა კიდეც და ჩვენც ძილს მივეცით თავი.

დილის რიჟრაჟზე ამოვფრინდით ბუდიდან მე და ჩემი ცოლი და საუზმე გიახელით. დიდის გემოვნებით არ დავუჯილდოვებივართ ბუნებას და, რაც ჩვენის მასპინძლის სახლ-კარის მიდამოში განავალი მოიძებნებოდა, მსწრაფლ ავალაგეთ. მაისი იყო. ბუნება ჰყვავოდა და საქორწილოდ დამზადებულიყო. ჩემმა ცოლმა წელს ხუთი პატარა მოგრძო, მომწვანო ფერის თეთრწინწკლებიანი კვერცხი ჩაალაგა რიგ-რიგად ბუდეში და დიდის თავგამოდებით თექვსმეტ დღეში გამოჩეკა ხუთი ბარტყი. ახლა ჩემზედაც მოდგა შრომის ჯერი და ცოლ-ქმარმა მივყავით ხელი შვილების გამოზრდას. ვძებნიდით ჭიებს, მატლებსა და კოღოებს შვილების საზრდოდ. უთუოდ ყელში უნდა ჩასჩარო ბარტყს საჭმელი, თორემ თვითონ ვერ აიღებს ნისკარტით. არც ჩვენ შეგვიძლიან ნისკარტით საზრდოს აღება, რომ გრძელი ენა არა გვქონდეს. ჭოღოს მაგარი ფრთები უნდა მოვაცალოთ ქვაზედ ან სხვა რამ მაგარ საგანზე ცემით და, როცა მარტო რბილი შერჩება, მაშინ ვჭამთ ხოლმე.

ჩვენი შვილებიც მოიჩიტნენ და გადმოვაფრინეთ კიდეც ბუდიდან, მაგრამ ახლაც დედ-მამის ხელმძღვანელობა სჭირდებათ, რომ ონავარს არ ჩაუვარდნენ კლანჭებში. ძლიერ გვეშინიან ყვავ-ყორნისა და ყოველგვარ ონავარ ფრინველისა. კატა და ძაღლი ხომ გულს გვიხეთქენ, როცა სადმე წამოგვესწრობიან. ადამიანი გულკეთილია, მაინცადამაინც არას გვერჩის, მაგრამ არც მისი ნდობა შეგვიძლიან. ცხენის, ხარ-კამეჩისა და ცხვრის შიში არა გვაქვს. პირიქით, იმათი მეზობლობა სასურველიც არის ჩვენთვის, რადგან იმათი სასუქი აუცილებელია ჭია-ღუების გასამრავლებლად და ეს ხომ ჩვენი სარჩოა! დაოსტატებულ-დაჩიტული ჩვენი შვილებიც თავის გზას გაუდგნენ და დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუდგნენ. ახლა ჩვენც გავსუფთავდით იმ სიბინძურისაგან, რომელიც ბუდეში გვედებოდა ბარტყების გამოზრდის დროს. ჭიებიც ბევრი ფუსფუსებდა ჩვენს ბუდეში და მყრალი სუნი იდგა. ვინ იცის, ეგებ ესეც ერთ-ერთი საშუალებათაგანი იყოს ჩვენის თვითარსებობის დაცვისათვის?! რომ ეს არა, რომელიმე ღამის ან დღის ონავარი დღეს შეგვიმოკლებდა ჩვენცა და ჩვენს შვილებსაც.

ლუარსაბ ბოცვაძე

1865-1919

თვალსაჩინო პედაგოგი, ქართული საბავშვო ლიტერატურის შესამჩნევი კრიტიკოსი და თეორეტიკოსი ლუარსაბ გერასიმეს ძე ბოცვაძე დაიბადა 1865 წელს სოფ. ნოღაში (ამჟამად სამტრედიის რ.). პატარა ლუარსაბი ბუნებით მკვირცხლი და თავაზიანი ბავშვი იყო, ამავე დროს სწავლის მოყვარული. მშობლებმა იგი პირველად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ მალე გადაიყვანეს ხონის საოსტატო სემინარიაში. სემინარიაში მონდომებით სწავლობდა და გატაცებით კითხულობდა სხვადასხვა წიგნებს. განსაკუთრებით დაინტერესებული იყო არალეგალური ლიტერატურით.

1888 წ. ლ. ბოცვაძემ წარჩინებით დაამთავრა ხონის საოსტატო სემინარია. ამავე წელს იგი წყალტუბოში სამინისტრო სკოლის მასწავლებლად დანიშნეს. წყალტუბოს სკოლაში ლ. ბოცვაძემ სამ წელს

დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში იგი თავდადებით მუშაობდა. იგი არა მარტო კარგი მასწავლებელი, გულისხმიერი ადამიანიც იყო. მატერიალურად ეხმარებოდა რუსეთში უმაღლესი განათლების მისაღებად მიმავალ ხელმოკლე ახალგაზრდობას. ამის გამო ლ. ბოცვაძემ დაიმსახურა დიდი სიყვარული მოსწავლეებსა და მოსახლეობაში.

ლ. ბოცვაძე წყალტუბოდან ცნობილ წინამძღვრიანთ სასოფლო-სამეურნეო სკოლის მასწავლებლად გადაიყვანეს, ხოლო 1892 წელს კავკავის (ამჟამად ქ. ორჯონიკიძე) ქართული სკოლის მასწავლებლად გაამწესეს. ლ. ბოცვაძემ აღნიშნულ სკოლაში ფართოდ გაშალა პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობა, რითაც დიდი პედაგოგის სახელი მოიხვეჭა. ლ. ბოცვაძე არა მარტო ქართულ ენას ასწავლიდა შესანიშნავად არამედ რუსულ ენასაც. მრავალჯერ განუცვიფრებია ბოცვაძის მოსწავლეთა რუსული ენის ცოდნას სკოლის მზრუნველნი მათ რუსი მასწავლებლები ბოცვაძის რუსულ გაკვეთილებზე დასასწრებად და პრაქტიკის მისაღებად გაუგზავნიათ.

ლუარსაბ ბოცვაძე 14 წელიწადს მუშაობდა კავკავში. მის დიდ შრომას აქ უნაყოფოდ არ ჩაუვლია. კავკავის ქალაქის გამგეობამ კარგად აუღო ალღო, რა განათლებული მოღვაწე მოევლინა კავკავს და ამიტომ შენა დიდი შენობა. რომლის აგებასაც თვით ლუარსაბი ხელმძღვანელობდა. ეს შენობა გადაიქცა კავკავის ქართველი მოსახლეობის ეროვნული კულტურის კერად. ალბათ მომსწრეებს კარგა ხანს ახსოვდათ ლ. ბოცვაძის მიერ კავკავში მოწყობილი სამხატვრო-სალიტერატურო დილა-საღამოები, წარმოდგენები და სხვა გასართობები, რაც ხელს უწყობდა მოსწავლეთა და მოსახლეობის ესთეტიკურ განვითარებას.

ლ. ბოცვაძე 1906 წელს გადავიდა თბილისში ქართული გიმნაზიის მასწავლებლად. სულ რამდენიმე წლის შემდეგ ქართველმა საზოგადოებამ ღვაწლმოსილი პედაგოგის მოღვაწეობის 25 წლისთავი აღნიშნა.

ლ. ბოცვაძე თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე მოსწავლეებს უნერგავდა სამშობლოს სიყვარულს, მისთვის თავდადებას, შრომის სიყვარულს, სიმართლისა და ადამიანური ღირსებისათვის ბრძოლას. მისი წერილები პედაგოგიურ საკითხებზე, განსაკუთრებით კი მშობლიური ენის სწავლების მნიშვნელობაზე, დღესაც არ არის ინტერესსმოკლებული.

მაგრამ ლ. ბოცვაძეს არა ნაკლები დამსახურება მიუძღვის ქართულ საბავშვო ლიტერატურაში. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ჟურნალ „ნაკადულში" მისი ნაყოფიერი მუშაობა. ლ. ბოცვაძე თითქმის უცვლელი წევრი იყო სარედაქციო კოლეგიისა და როგორც ნ. ნაკა-

შიძე აღნიშნავს, „ის იყო ნამდვილი რედაქტორი ამ სიტყვის სრული გაგებით... ლუარსაბს სულითა და გულით უყვარდა სამშობლო და ბავშვები. ის ცდილობდა შეეყვარებინა პატარებისათვის მშობლიური ენა, მშობლიური ისტორია, მშობლიური ლიტერატურა. ყოველ წელიწადს იწერდა „ნაკადულს" რამდენიმე ღარიბი სკოლისათვის".

ლ. ბოცვაძე მართლაც ნამდვილი მეგობარი იყო საბავშვო ჟურნალებისა, საბავშვო ლიტერატურისა და ბავშვებისა. როგორც ნინო ნაკაშიძე გადმოგვცემს: „იმისდა მიუხედავად, რომ ფრიად საპასუხისმგებლო საქმეებით იყო დატვირთული, მასწავლებლობდა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი იყო, 1908 წლიდან ბეჭდავდა პედაგოგიურ ჟურნალს, ამავე დროს ახერხებდა უახლოესი მონაწილეობა მიეღო ჟურნალ „ნაკადულის" სარედაქციო მუშაობაში და მოეწოდებინა ჟურნალში დასაბეჭდად შესაფერისი მასალა". ამგვარად, ლ. ბოცვაძე წერდა საბავშკო მოთხრობებს, საბავშვო პიესებს, ბავშვებისათვის ამუშავებდა ზღაპრებს, რის ნიმუშებსაც მკითხველი წაიკითხავს. იგი ხშირად ოპირელს აწერდა თავის ნაწერებს.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ლ. ბოცვაძეს საკუთარი შეხედულება ჰქონდა გამომუშავებული საბავშვო ლიტერატურაზე და საბავშვო მწერლის დანიშნულებაზე. იგი ხშირად წერდა საბავშვო წიგნებზე რეცენზიებს, ვრცელ წერილებს, საბავშვო ჟურნალების წლიურ მიმოხილვებს, ეკამათებოდა საბავშვო ლიტერატურის უნებურად გაუბრალოების მოსურნეთ და მოუწოდებდა საბავშვო მწერლებს, ეწერათ ცხოვრების სინამდვილიდან აღებული მოთხრობები, დახვეწილი ქართული ენით. ავტორის აზრით, „მოთხრობებმა ბავშვებს უნდა აღუძრას მოყვასის სიბრალულისა და სიყვარულის გრძნობები". ლ. ბოცვაძეს პირველს ეკუთვნის წერილი საბავშვო თეატრის დაარსების აუცილებლობაზე.

ლუარსაბ ბოცვაძე გარდაიცვალა 1919 წელს.

ცრუმოწმუნეობა

საღამო ხანი იყო. სკოლის პატარა მოწაფეები სანდრო და ნიკო მისხდომოდნენ მაგიდასა და გაკვეთილებს ამზადებდნენ. იმათი პატარა და კეკე იქვე თავის დედოფლებს უვლიდა, აწვენდა აკვანში და ტკბილის ხმით ნანას დასძახოდა.

— კეკე! თავი დაგვანებე, გადი აქედან, ნუ გვიშლი! ვერ ხედავ, გაკვეთილებს ვამზადებთ! — გაჯავრებით უთხრა ნიკომ.

— გადი აქედან! — დაუყვირა სანდრომ. — ამ საძაგელმა სულ ამირია ანგარიში, ახლა ისევ თავიდან უნდა დავიწყო ამოცანის კეთება!

სანდროს ყვირილზე დედა გამოვიდა მეორე ოთახიდან; გაიგო თუ არა, კეკეს გაკვეთილების სწავლას უშლისო, მაშინვე თავისი დედოფლებით გაიყვანა იგი მეორე ოთახში. ბავშვები მალე მორჩნენ გაკვეთილებსა, მიალაგეს წიგნები, საწერ-კალმები, მივიდნენ ბებიასთან, რომელიც იქვე ღრმად ჩაფიქრებული წინდებსა ჰქსოვდა, და სთხოვეს:

— ბები! ერთი ახალი ზღაპარი გვიამბე და მერე დავიძინებთ!

კეკეც, რომელსაც ზღაპრები ძლიერ უყვარდა, გამოვიდა მეორე ოთახიდან, ჩაცუცქდა ბებიას მუხლებთანა და მოელოდა ზღაპარსა.

— თავი დამანებეთ, გენაცვათ, დღეს ზღაპრის გუნებაზე არა ვარ! — თქვა ბებიამ.

— რატომ, ბები, წინათ ხომ ყოველთვის გვიამბობდი ხოლმე ზღაპრებს? — ჰკითხა ნიკომ.

— წინათ სხვა იყო, შვილო! არ გაგიგიათ, რომ თქვენი ნათლიის უფროსი ვაჟი არტემა ძლიერ ავად არის; ამბობენ, არ მორჩებაო: დღეს დილით ადრე ამდგარა, გუგულსა და ოფოფს დაუძღვია, მერე ტყეში წასულა შეშისათვისა და ალი უნახავს. საბრალო ისე შეუშინებია იმ წყეულს ალსა, რომ ცოცხალ-მკვდარი, ტანისამოს შემოფლეთილი, უქუდო, უქამრო და თავპირ დაკაწრული ძლივსღა

მოსულა ახლა სახლში; გიჟსავით ბოდავს და ძლივსღა აყენებენ ლოგინშიო.

— როგორ თუ გუგულმა დასძლია! გუგულმა როგორ აჯობა არტემას, იმოდენა კაცს? რა არის, ბები, ალი? — ეკითხებოდნენ ბავშვები ზედიზედ.

— ალი, გენაცვათ, ალია, — მიუგო ბავშვებს ბებიამ.

ამ დროს გამოვიდა დედა და გაიყვანა ბავშვები მეორე ოთახში დასაძინებლად, მაგრამ ბავშვებს ცოდნისმოყვარეობა მოსვენებას არ აძლევდა და იმავე კითხვით მიმართეს დედას.

— რა დროს ალი და ქაჯია, — უთხრა დედამ, — დაწექით და დაიძინეთ, ხვალ დილაზე ადრე უნდა წახვიდეთ სკოლაში, მასწავლებელი სულ გიჩივით, ყოველდღე იგვიანებენო.

— რა ვქნათ, დედილო, შორს არის სკოლა და იმიტომ ვიგვიანებთ, — უთხრა სანდრომ.

— იცი, სანდრო, რას გეტყვი, — უთხრა ნიკომ, — ხვალ დილას რომ მივალთ სკოლაში, მასწავლებელსა ვკითხოთ და ის აგვიხსნის ყველაფერს, იმას ხომ ეცოდინება, რა არის ალი?

— რასაკვირველია, ეცოდინება, — მიუგო სანდრომ.

— მერე, მეც ხომ მიამბობთ, რასაც მასწავლებელი გეტყვით, — უთხრა კეკემ სანდროსა და ნიკოს.

— შენ, ჩემო დაიკო, თუ არ დაგვიშლი, როცა ჩვენ გაკვეთილებსა ვსწავლობთ, დიახაც ყველაფერს გიამბობთ; გასწავლით კიდეც წერა-კითხვას, თორემ, ხომ გახსოვს გუშინწინ ნიკომ როგორ გაღრიალა, — ალერსით უთხრა სანდრომ კეკესა.

— ამის შემდეგ ჩემს დღეში არას დაგიშლით, — თქვა კეკემ, — ოღონდ მიამბეთ ყველაფერი; ლექსები ხომ ვიცი „დედა ენიდან“: „ყაყაჩო და ყმაწვილი“, „მოწვევა სწავლაზე“. ახლა წიგნსაც ვისწავლი და, სკოლაში რომ მივებარები, ყველაზე მეტი მე მეცოდინება.

— დაიძინეთ, შვილებო! დაიძინეთ! — უთხრა დედამ, — ხვალ თქვენ უნდა ადრე ადგეთ და კეკეს კი, სადილობამდისაც რომ ეძინოს, არა უშავს რა.

—

მეორე დილას სანდრო და ნიკო გაჩქარებით მიდიოდნენ სკოლისაკენ. მივიდნენ თუ არა, ზარიც დარეკეს და ყველა მოწაფე შეიკრიბა საკლასო ოთახში. მასწავლებელი ჯერ არ შესულიყო კლასში. სანდრომა და ნიკომ თავისი განზრახვა ამხანაგებს გაუზიარეს; ამხანაგებსაც მოეწონათ და გულმოდგინებით მოელოდნენ მასწავლებლის პასუხს სანდროსა და ნიკოს კითხვებზე.

მასწავლებელი შემოვიდა თუ არა, კლასში სიჩუმე ჩამოვარდა. ის იყო გაკვეთილების გამოკითხვას უნდა შესდგომოდა, რომ წამოდგა ერთი პატარა ბიჭი და უთხრა მასწავლებელს:

— მასწავლებელო! სანდროსა და ნიკოს უნდათ რაღაცა გკითხონ.

— რა იყო, სანდრო! რა გინდა მკითხო? — დაეკითხა მასწავლებელი.

სანდრომაც უამბო მასწავლებელს წუხანდელი ამბავი, არტემას თავგადასავალი და ბოლოს დაუმატა: ვერავინ ვერ აგვიხსნა, რა არის ალი, ან რას ნიშნავს გუგულისა და ოფოფის დაძლევა. ამიტომ ვარჩიეთ, თქვენთვის გვეკითხაო.

— ძალიან კარგი! — უთხრა მასწავლებელმა, — ახლა მართალია სხვა გაკვეთილი გვაქვს, მაგრამ ესეც საჭიროა იცოდეთ; დამიგდეთ ყური ყველამ კარგადა და მე აგიხსნით ყველაფერს.

ბავშვები სმენად გადაიქცნენ.

— ალი, ქაჯი, გუგულისა და ოფოფის ან სხვა ფრინველების დაძლევა, როგორც ეძახის ხალხი, ეს სულ ხალხური ცრ უ მ ო რ წ მ უ ნ ე ო ბ ა ა, — თქვა მასწავლებელმა.

— ქაჯი მეც ვიცი, მასწავლებელო! „დედა ენაში“ სწერია; იმან მშიშარა ვანო წააქცია და ღრიალი დააწყებინა, პაპისაგანაც გამიგონია ქაჯის სახელი, — თქვა შაქრომ.

— ალი ტყეში სცხოვრობს, — თქვა მიხამ, — „ბუნების კარში“ სწერია — ჩემმა ძმამ წამიკითხა. პატარა სიმონა რომ წაიყვანეს ტყეში, იმის ბიძებს ენახათ; ბებიაც მეუბნება ხოლმე ხშირად ალის ამბავს.

— ცრუმორწმუნეობა რაღაა? — დაეკითხა ნიკო მასწავლებელს.

— ცრუმორწმუნეობა, — თქვა მასწავლებელმა, — შესდგება ორის სიტყვისაგან „ცრუ“ და „რწმენა“, ანუ ნიშნავს ტყუილის დაჯერებას, — სხვანაირად, დაჯერებას იმისას, რაც არ არსებობს. რამდენადაც კაცი უფრო განათლებულია, ნასწავლი და ჭკვიანია, იმდენად იგი უფრო დაკვირვებით სწავლობს ბუნებას და ყველაფერს, რაც ბუნებაში ხდება.

— ბუნება რაღაა? — ჰკითხა სანდრომ მასწავლებელსა.

— ბუნება ჰქვიან ყველაფერს, რაც ღვთისაგან არის გაჩენილი და რაც ადამიანს არ გაუკეთებია, მაგალითად: მიწას, წყალს, ჰაერს, ცას, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებსა და სხვ. თქვენა გაქვთ წიგნი „ბუნების კარი“; იქიდან მალე ისწავლით მცენარეებს, ცხოველებს, ფრინველებს, ადამიანს, წყალს, ჰაერს და სხვ. ყველა ეს შეადგენს ბუნებითს საგნებს, ანუ ბუნებას.

განათლებულმა კაცმა იცის, რა მოვლენებიც ხდება ბუნებაში. მაგ. ქარი, სეტყვა, წვიმა, ელვა, ქუხილი და სხვა; იცის, საიდან წარმოსდგება ყველა ეს, ან რა მიზეზები აჩენს მათ. თუ ყველა ამ მიზეზების თავიდან აცილება არ შეიძლება, იმათი ახსნა და განმარტება მაინც ყოველთვის შესაძლებელია.

გაუნათლებელი ადამიანისთვის კი ბუნება სავსეა სხვადასხვა მაგნე ძალებით, საშინელის საიდუმლოებით, რომლის ახსნა და გაგება იმის ჭკუას არ შეუძლია.

მაგრამ ქრისტეს მოძღვრებამ, წიგნების ბეჭდვის გავრცელებამ და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებამ თანდათან გაჰფანტა და დაჰგმო აუარებელი ცრუმორწმუნებანი და ძველი სულელური გადმოცემანი.

გიამბობთ, საიდან და როგორ შეადგინა გაუნათლებელმა ხალხმა აზრი ალის შესახებ; დაუკვირდით ამასა და თქვენ თვითონ მიხვდებით, რამდენად დაშორებულია იგი გონივრულსა და საღ მოსაზრებას. თქვენ ალბათ იცით, რა არის გამოძახილი, გამოხმობა, ანუ „უპუს“ რომ ეძახიან. იქნება თქვენც ჩაგიძახნიათ საწნახელში ან ცარიელს ქვევრში, რომელიც თქვენს ჩაძახილს ისევ ამოგძახებთ. ანდაზადაც იტყვიან: „ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო“.

— ვიცი, მასწავლებელო, ვიცი, — წამოიძახა ნიკოს მეზობელმა შაქრომ, — მეც ჩამიძახნია საწნახელში; „დედა ენაშიაც“ სწერია, ვანო რომ ახდილ ქვევრთან იდგა და ილანძღებოდა, ლანძღვა სულ უკან უბრუნდებოდა.

— ძალიან კარგი, — განაგრძო მასწავლებელმა, — ახლა უნდა იცოდეთ, რომ ტყე რამდენადაც დიდის ხნისაა, იმდენად უფრო ბევრი ფუღუროიანი ხეები მოიპოვება შიგ და ხმის გამოხმობაც იმდენად უფრო დიდი ექნება.

წარმოვიდგინოთ ახლა, რომ გაუნათლებელი, ნახევრად ველური კაცი შევიდა ამისთანა ტყეში შეშის მოსაჭრელად. შევიდა თუ არა ტყეში, პირველად იმან იგრძნო სრული სიჩუმე, ტყის სინესტე და სიგრილე; მზე ძლივსღა ატანს ტყეში თავის ოქროს ძაფივით წვრილს სხივებს; ხმელს ფოთლებს ფეხქვეშ შრიალი გააქვს, ხის გრძელი ტოტები ტანისამოსს წამდაუწუმ ედება. შეშისმჭრელს ჰგონია, რომ ვილაცა იჭერს იმას. მაგრამ ვინ არის ეს ვილაცა, არ იცის. არც კაცია. სხვაა ვილაცა; მაგრამ დასახელება და გამორკვევა იმისი მის გონებას არ შეუძლიან. აი, შეშის მჭრელი ვაი-ვაგლახით შევიდა შუაგულს ტყეში, იპოვა პატარა ვაკე მინდორი, გამოიძრო ქამრიდან ცული და შეუდგა შეშის ჭრასა. შემოჰკრა ცული, უჰ!..

— უჰ, — გაიმეორა უპუმ.

— უჰ! უჰ! უჰ! — იმეორებდა ცულის ხმაზე უპუც.

„ა-ა-ა! მარტო მე არ ვყოფილვარ ტყეში, — ფიქრობს შეშის მჭრელი;—ჩემზე წინ ვიღაცა სხვა შემოპარულა აქა, მაგრამ არავინა ჩანს აქედგანა. მოდი, დავუძახებ. — „ეი, ძმობილო!“

— ძმობილო! — გამოისმის ცხადად ვიღაცის ხმა.

— ა-აა! გაიგონა! ვინა ხარ მანდ?

— ... ხარ მანდ! — მოისმის ხელმეორედ.

— მე იმას ვეკითხები, ის — მე. — მოდი, ერთად ვიმუშაოთ.

— ... თად ვიმუშაოთ!

— მოდი აქ!

— ... დი აქ!

— ჩემთან მოსვლა არ უნდა, თავისკენ მიწვევს. კეთილი, ის ადგილი ალბათ უკეთესია, აქ კი ცოტა მაინც მოვჭერი. შეჰკრა სამიოდე გუდურა და გასწია იქით, საიდანაც ხმა მოესმა. მიდის, მიდის, მივიდა ერთ ვაკესთან; არც გზაზე, არც ვაკეზე არავინ არ არის. „ეს რა ამბავია, — ფიქრობს შეშის მჭრელი თავის გულში, — სად არის ის კაცი, რომელიც მეძახოდა. — სადა ხარ! — ყვირის, რაც ძალი და ღონე აქვს. საიდანღაც მოესმა პასუხი.—აი,მე ჯი არა, თურმე ის დამეძებს; კარგად ვიმუშავებთ ერთად. და ამ დროს შეშისმჭრელმა ხმამაღლა გადიხარხარა. უპუმაც ხარხარით უპასუხა. ხა! ხა! ხა! ხა! — მოისმოდა ყოველი მხრიდან, თითქოს მთელი ტყე. ყოველი ხე ხარხარებსო. გამოურკვეველმა გრძნობამ და შიშმა შეიპყრო შეშის მჭრელი; მიიხედა აქეთ-იქით, არავის ხედავს, ყველგან სიჩუმეა. „რაღაცა კარგი ამბავი არ არის, — ფიქრობს იგი თავის გულში: — უთუოდ ტყეში ცხოვრობს უხილავი ტყის პატრონი, რომელიც მემუქრება, რომ იმის ტყესა ვჭრი“.

ფიცხლავ გაიდო მხარზე შეკრული შეშა, გაირჭო ცული წელში და ცდილობს ტყიდან გამოსვლასა. ხის გრძელი ტოტები წამდაუწუმ ედება შეშას ვიწრო ბილიკზე და აჩერებს შეშისმჭრელს, რომელმაც ახლა მთლად დაკარგა გონება. „არ უნდა გამიშვას“, — ფიქრობს იგი თავის გულში და შიშით გადმოიღებს მხრიდან ტვირთს. ამ დროს იმის ფეხებს შუა გაირბინა მისგანვე შეშინებულმა კურდღელმა. შეშისმჭრელი დაბარბაცდა და დაეცა მიწაზე; მსხვილი კუნძი გამოება ქამარში და არ ეშვება. დამეხსენ! — ყვირის, რაც ძალი და ღონე აქვს, შეშისმჭრელი.

— ხსენ! — იმეორებს უპუ.

შეშისმჭრელმა მთლად დაკარგა გონება, გასწია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაუწყდა ქამარი, წამოხტა ზეზე და მოჰკურცხლა.

ამავე დროს გზაც აებნა, დიდხანს დარბოდა ტყეში გიჟივით და ბოლოს, როგორც იყო, თავი გამოაღწია ტყიდან. დაღლილი, დაქანცული, ტანისამოსშემოგლეჯილი, უქუდო და უქამრო, თავპირდაკაწრული მივიდა შინ სოფელში.

ბავშვებმა ხარხარი ასტეხეს. — ისე უნდა იმასა! ძალიან მშიშარა ყოფილა, — თქვეს. — სწორედ არტემასაც მაგისთანა ამბავი მოსვლიაო, — თქვა ნიკომ.

— ახლა წარმოიდგინეთ, — განაგრძო მასწავლებელმა, — თუ რას უამბობდა იგი თავის მეზობლებს: — ვისაც სიცოცხლე გინდათ, გაფრთხილდით, ტყეში ნუ წახვალთ, იქ ალი ცხოვრობს, ჩემი თვალითა ვნახე, მტაცა ქამარში ხელი, დამიჭირა, დავეცი მიწაზე და დიდის ვაი-ვაგლახის შემდეგ ძლივს გავუსხლტი ხელიდანო!

ამისთანა ამბის შემდეგაც საჭიროება ძალას ატანდა ხალხს, წასულიყვნენ ტყეში, ვინ შეშისათვის და ვინ სანადიროდ. ზოგიერთი უვნებლად ბრუნდებოდა ნანადირევით უკან, ზოგი კი პირიქით, მორბოდა თავზარდაცემული და მოჰქონდა ალის ამბავი, რომელსაც ერთი უამბობდა მეორეს, მეორე — მესამეს და ასე ვრცელდებოდა ხალხში. ბოლოს ხალხმა ეს ამბავი ისე გადააკეთა, თითქოს ტყე საესე იყოს ალებითა და ქაჯებითა. ზოგიერთებს მართლა ისე ეშინოდათ ტყეში წასვლისა, რომ ყვავის ბუდე და კუნძიც კი ალად ეჩვენებოდათ, და ამისთანა ცრუ ამბები ყველას სჯეროდა. აქედან შესდგა ხალხის თქმულება, ანუ რწმენა. ეს ცრურწმენა ანუ ცრუმორწმუნეობა გადადიოდა ხალხში პაპიდან მამაზე, მამიდან შვილზე, შვილიდან შვილიშვილზე და, როგორც ჰხედავთ, ახლაც დარჩენილია ხალხში და გავლენაცა აქვს მიყრუებულსა და გაუნათლებელს სოფლებში. იგივე სოფლები ნასწავლი კაცების ხელმძღვანელობით, რამდენისამე ასი ვერსის მანძილზე, ყოველ წლობით ჰკაფავენ დაბურულს ტყეებს, მაგრამ დღემდის ვერც ერთი ალი ვერ უნახავთ და ვერც დაუჭერიათ, აი, რა არის სამწუხარო.

— მართლაც რომ სამწუხაროა, — თქვა ნიკომ სიცილით, — თორემ მეც ვნახავდი, რა წითელი კოჭიც ბრძანდება ის ალი.

— ასე აიხსნება სხვა ხალხური ცრუმორწმუნეობაც, — თქვა მასწავლებელმა, — მაგრამ დღეს ეს ვიკმაროთ და შემდეგ სხვაზედაც ვისაუბრებთ.

მასწავლებელმა დაუსო მოწაფეებს საზოგადო კითხვები საუბრის შესახებ. მოწაფეები ყველა კითხვაზე გარკვეულსა და სწორე პასუხს იძლეოდნენ; ბოლოს ერთმა მოწაფემ თავისი სიტყვებით უამ-

ბო მთელ კლასს საუბრის შინაარსი. ამ დროს ზარიც დაირეკა და ყმაწვილები, ნაამბობით დიდად ნასიამოვნები, გამოვიდნენ ეზოში სათამაშოდ. როცა გაკვეთილები გათავდა და სანდრო და ნიკო დაბრუნდნენ სახლში, მათ მიეგება პატარა და კეკე, რომელსაც უამბეს ყველაფერი. სადილს შემდეგ სანდრო და ნიკო გავიდნენ სოფლელს ტოლს ბიჭებში და იმათაც აუხსნეს არტემას ავადმყოფობის მიზეზი. ამის შემდეგ ბიჭები ხშირად აჯავრებდნენ არტემასა და დასცინოდნენ: როგორ იყო, რომ ტყეში კურდღელმა შეგაშინა და ალად მოგეჩვენაო.

ამის შემდეგ მოწაფეები ხშირად მიმართავდნენ ხოლმე მასწავლებელს საეკვო კითხვების ასახსნელადა და მასწავლებელიც ყოველთვის მზად იყო დაეკმაყოფილებინა ბავშვების ცოდნის მოყვარეობა. საუბრებისათვის ბოლოს ცალკე გაკვეთილები შემოიღო, რომელსაც სკოლის მოწაფეები დიდის ხალისით ისმენდნენ. თქვენც, პატარა მკითხველებო, როცა რაიმე საეკვო კითხვები გაგიჩნდეთ, მიმართეთ ხოლმე უფროსებს, მასწავლებლებს ან „ნაკადულის" რედაქციას და ისინი მუდამ მზად იქნებიან დააკმაყოფილონ თქვენი ცოდნისმოყვარეობა.

კატა და ვეფხვი

ერთი კატა ტყეში დადიოდა ჩიტებზე სანადიროდ. უცებ თავს წააწყდა ვეფხვსა. ვეფხვმა „ახედ-დახედ" და თქვა: ეს ცხოველი მე ძლიერ მგავს, უთუოდ ჩემი მონათესავე იქნება; მაგრამ, საკვირველია, ასე რამ დააბეჩავა და დააპატარავაო. ვეფხვმა ჰკითხა:

— ძმობილო, ერთი მითხარი, გეთაყვანე. რამ დაგაპატარავა ასეო?

კატამ მიუგო:

— ეჰ, ძმაო, გეტყობა, რომ შენ ჯერ ადამიანის ხელში არ ჩავარდნილხარ და არც გიგრძვნია მისი ძალაო!

— აბა წამიყვანე და მიჩვენე, რა სულიერია-ის ადამიანიო, — სთხოვა ვეფხვმა. კატამ ვეფხვი შეიყვანა ერთს ბაღში, უჩვენა მებაღე და უთხრა: აი, ეს არის ადამიანიო.

— შენ დააპატარავე და დააღონე ასე ჩემი ძმობილიო? — შეუტია ვეფხვმა მებაღეს.

— დიახ, მე დავაპატარავე.

— აბა მიჩვენე შენი ძალა; მინდა, გავიგო, ჩემზე ძლიერი ხარ, თუ არაო, — უთხრა ვეფხვმა.

— დიდი სიამოვნებითაო, — უთხრა მებაღემ, — მაგრამ ძალა

ახლა თან არა მაქვს, წავალ და მოვიტან, მხოლოდ რომ არ გამექცე, ამ თოკით ხეზე მიგაკრავო.

ვეფხვიც დათანხმდა. მებალემ თოკით მიაკრა ხეზე, შემდეგ აიღო ბარი და დაუშინა თავში.

ღრიალებდა ვეფხვი და თან კატას ეკითხებოდა:

— ძმობილო, შენოდენა რომ გავხდები, მაშინ კი გამიშვებსო?!

მონადირე და მეფის ქალი

ზღაპარი

ერთი მონადირე მიდიოდა გზაზე; უცებ თვალი მოჰკრა არწივს, რომელსაც გველი დაეჭირა და მიჰქონდა. მონადირემ ისარი ესროლა, ისარმა არწივს შორიახლო გაუარა; შეიფრთხიალა არწივმა და გველი გაუვარდა კლანჭებიდან; შეშინებული არწივი გაფრინდა შორს და მოშორდა იმ არემარეს. მონადირე გაუდგა თავის გზას. გველი დაეწია მონადირეს, მოჰკიდა პირი ჩოხის კალთაში და უთხრა:

— რაკი ამისთანა სიკეთე მიყავი და სიკვდილს გადამარჩინე, უთუოდ უნდა წამომყვე ჩემთან და ბედსა გწევო.

მონადირემ უთხრა:

— შენ გველი ხარ და გველს როგორ გენდოვო?

— ფიქრი ნუ გაქვს, მე შენ არაფერს გავნებო, — უთხრა გველმა და გზას გაუდგნენ.

ბევრი იარეს, თუ ცოტა, გველმა მონადირე მიიყვანა ერთი გამოქვაბულის პირთან.

გველმა უთხრა:

— აი, ეს არის ჩემი სასახლე, აქ ცხოვრობს მამაჩემი, მე ახლა იმასთან შეგიყვან, ვუამბობ ჩემს თავგადასავალს და როცა მამაჩემმა გკითხოს, რა გაჩუქოვო, შენ მოსთხოვე: ქისა, სასტვენი და საკრავი— სხვას ნურაფერს ნუ დასჯერდებიო.

შევიდნენ გამოქვაბულში და დაინახეს, რომ დიდ ტახტზე წამოჭიმული იყო ვეშაპისოდენა ვეებერთელა გველი. მონადირეს პირველ დანახვაზე ძლიერ შეეშინდა, მაგრამ, როგორც იყო, თავი შეიმაგრა. გველმა უამბო თავის მამას, როგორ იხსნა იგი ამ კაცმა სიკვდილისაგან.

გველეშაპს გაეხარდა შვილის გადარჩენა და ჰკითხა მონადირეს:

— რა გაჩუქო ამ სიკეთისათვისო?

მონადირემ უპასუხა:

— თუ თქვენი წყალობა იქნება, მიბოძეთ ქისა, სასტვენი და საკრავი, სხვა არა მინდა რაო!

ამაზე გველეშაპმა უპასუხა:

— ოქრო და ვერცხლი წაიღე, რამდენიც გინდოდეს და ამ საჩუქარს კი ვერ გავიმეტებო.

მონადირემ სხვა არა ისურვა რა და გველეშაპმაც აიღო ის სამივე ნივთი და მისცა მონადირეს.

მონადირემ ჩამოართვა და ჰკითხა:

— ეს ქისა რის მაქნისიაო?!

გველეშაპმა უპასუხა:

— დაანძრიე ქისაო!

დაანძრია და უთვალავი ოქრო-ვერცხლი გადმოცვივდა.

— ეს სასტვენი რისთვის არის საჭიროო? — ჰკითხა კიდევ მონადირემ.

— დაუსტვინეო, — უთხრა გველმა. მონადირემ დაუსტვინა, სტვენაზე მოგროვდნენ ყოველგვარი ცხოველები და ჰკითხავდნენ მონადირეს: რა გნებავს, რას გვიბრძანებ, რა მოგართვათო.

— ეს საკრავი რის მაქნისიაო? — ჰკითხა მონადირემ.

— მომართე და გაიგებო.

მონადირემ მომართა და გაისმა საუცხოო ხმა საკრავისა, რომელიც თავისთავად უკრავდა.

მონადირემ გველეშაპს მადლობა გადაუხადა და გაუდგა გზას.

ცოტა იარა, თუ ბევრი, გზაზე გაიგო, რომ ერთი მეფე თავის ქალს ათხოვებს და სასიძოს ეძებს. მივიდა ხელმწიფის სასახლეში. წინ გამოეგება ხელმწიფე. მონადირემ უთხრა, შენი ქალი მე უნდა მომათხოვო ცოლადო. მეფის ქალმა ყური მოჰკრა ამ ლაპარაკს, გამოვიდა მეორე ოთახიდან და უთხრა სასიძოს:

— აბა, რით მოიგებ ჩემ გულს, რომ მე ცოლად წამოგყვეო?

მონადირემ ამოიღო ქისა, დაბერტყა და ურიცხვი ოქრო-ვერცხლი გადმოცვივდა ქისიდან.

— ეგ შენ ხელშიაო, — უთხრა გასათხოვარმა ქალმა, — აბა მომეცი ჩემს ხელში რას იზამსო?

მონადირემ გადასცა ქისა. რაკი ქისა გამოართვეს, ჰკრეს პანღური და გამოაგდეს სასახლიდან.

წამოვიდა მონადირე დაღონებული. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ მივიდა ხელმწიფის სასახლეში და სთხოვა მეფეს, შენი ქალი უნდა მომათხოვოო.

— ახლა რაღა გაქვს ჩემი საკადრისი, რომ მე შენ მოგთხოვდეო? — ჰკითხა ისევ მეფის ქალმა მისალმების შემდეგ.

მონადირემ ამოიღო სასტვენი და დაუსტვინა. ამ ხმაზე ურიცხვმა ნადირმა თავი მოიყარა და ჰკითხავდნენ მონადირეს:

— რა გნებავს, რას გვიბრძანებ, რა მოგართვათო!

მეფის ქალმა ესეც გამოსტყუა მონადირეს და გააგდო გარეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ მონადირე ისევ დაბრუნდა მეფის სასახლეში იმავე თხოვნით.

მეფის ქალი ახლაც კვლავინდებურად ტკბილად მიესალმა და შემდეგ ჰკითხა:

— ახლა რაღა გაქვს იმისთანა, რომ შენ ჩემი ღირსი გახდეო?

მონადირემ ამოიღო საკრავი, მომართა და საკრავმა თავისთავად დაუკრა ისეთი ტკბილი და მომხიბლავი ხმები, რომ ყველანი განცვიფრებაში მოიყვანა.

მეფის ქალმა ეს საკრავიც გამოსტყუა, ჰკრა ჭიტლაყი და გარეთ გამოაგდეს. მწარედ დაღონებული მონადირე გაუდგა გზას, გზაში ძლიერ მოშივდა, საჭმელი ვერსად ვერ იშოვნა, მივიდა ერთს ქაცვთან და დაუწყო წითელ კურკანტელს ჭამა. ამ დროს თვალი შეასწრო ერთმა მგზავრმა და უთხრა:

— ძმობილო, მაგ წითელ კურკანტელს ნუ სჭამ, თორემ ბოლოს ინანებო.

არ გაეთავებინა ეს სიტყვები, უცებ შენიშნა, რომ მონადირეს ვეებერთელა რქები ამოუვიდა, რომლებიც ცამდის სწვდებოდა. მივიდა მგზავრი მონადირესთან, აჭამა შავი კურკანტელი და რქები მაშინვე დასცვივდა. მონადირემ დიდი მადლობა გადაუხადა და გასწია ისევ მეფის სასახლისკენ.

მივიდა სასახლეში თუ არა, მონადირეს გამოეგება მეფის ასული და ჰკითხა:

— ახლა რა გაქვს იმისთანა, რომ მე ცოლად წამოგყვეო?

მონადირემ ამოიღო წითელი კურკანტელი, უჩვენა მეფის ქალს და უთხრა:

— აი ესა მაქვს, ვინც ამას სჭამს, არც სასმელი, არც საჭმელი და არც საცმელი არ დასჭირდება, ნათლით შეიმოსება და აღარც მოკვდებაო.

მეფის ქალმა გამორთმევა დაუპირა; მონადირე გაუძალიანდა, მაგრამ ქალმა მაინც გამოჰგლიჯა ხელიდან და უცებ შესჭამა. იმ წამსვე მეფის ქალს ისეთი რქები ამოუვიდა, რომ ცამდის სწვდებოდა.

დაღონებულმა მეფემ მოიწვია ვეზირები და შეუდგა რჩევას; იფიქრეს, იფიქრეს და გადაწყვიტეს: რაკი ამ კაცმა ამისთანა საქმე გვიყო, წამალიც ამასვე ეცოდინებაო. მოიწვიეს მონადირე და სთხოვეს მორჩენა.

მონადირემ მოითხოვა:

— დამიბრუნეთ უკან ჩემი ქისა, სასტვენი და საკრავი, მომათხოვეთ თქვენი ქალი და მოვარჩენო. მეტი გზა არ იყო, მეფე დათანხმდა, გადასწერეს ჯვარი; ამის შემდეგ მონადირემ აჭამა თუ არა ოავიუ ცოლს შავი კურკანტელი, რქები მაშინვე დასცვივდა.

ლომი და მელია

არაკი

ლომი ძლიერ ავად გამხდარიყო და უძრავად იწვა თავის ბუნაგში. მოსულიყვნენ სანახავად სხვადასხვა მხეცები, თავს ევლებოდნენ და უელიდნენ თავიანთ ბატონს. მხოლოდ მელია არსად ჩანდა. ყველა გაკვირვებული იყო და კითხულობდა, ნეტავ სად არის დღეს მელა, რომ არ მოსულა აქაო.

მგელმა დაუმატა: როცა საერთო მოლხენა და ქეიფია, მელა ხომ არასოდეს არ დააკლდება და დღეს რაღად მოვა, იცის, რომ გამოსარჩენს ვერაფერს გამოელისო. ლომმაც ძლიერ იწყინა მელიის ასეთი უყურადღებობა.

მგლის ნათქვამი მხეცებმა მელიას გადასცეს. მელია გაჯავრდა, დამაცადოს, მე ვაყურებინებ იმას სეირსაო.

მეორე დღეს, როცა მხეცები ხელახლა ეახლნენ ლომს, მელიაც მიცუნცულდა, თავმდაბლად თავი დაუკრა და სალამი მიუძღვნა. ლომმა უსაყვედურა: სად იყავ, ამდენხანს რატომ არა მნახეო.

მელიამ თავი იმართლა: — თქვენო დიდებულებავ, როცა თქვენი ავადმყოფობის ამბავი გავიგე, თავზარდაცემული გავიქეცი გიჟივით, ექიმებს დაევეძებდი, ყველას ვთხოვდი შველას და რჩევას, რა წამალი არგებს ჩვენს დიდებულს მეფესა-მეთქი. მირჩიეს, მგელს ფეხი მოსტეხონ, კოჟი ამოართვან და ნადირთ მეფეს მიართვანო.

მივარდა ვეფხვი მგელს და მოსტეხა უკანა ფეხი. მგელს თქრიალით სისხლი წამოუვიდა, ფეხები სულ გაუწითლდა და მწარე ლმუილით მოშორდა მხეცებს. უკან მელია გამოედევნა და მისძახოდა: წითელ ჩექმებიანო, საით მიბრძანდები? როდესაც სიტყვას ამბობ, დაფიქრდი და სპვას ორმოს ნუ უთხრიო.

ლომი და კურდღელი

ერთს ჭალაში ხშირად თავს იყრიდნენ სხვადასხვა მხეცები. როცა მხეცებში ლომი გაერეოდა, ყველა ნადირს კანკალს დააწყებინებდა: ლომი სათითაოდ იტაცებდა მათ და შეექცეოდა.

შეკრბენ მხეცები მოსალაპარაკებლად, როგორ დავაღწიოთ თავი

ლომის ბრჭყალებსაო. დიდი ხნის თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს: დავუნიშნოთ ლომს სამუდამო სარჩო, ჩვენვე მივუტანოთ ყოველ დღე და ვთხოვოთ, თავი დაგვანებოს და ნუ გვაფრთხობს ყოველ დღესაო. წავიდნენ და ეს დადგენილება ლომს მოახსენეს. ლომი დათანხმდა, მხოლოდ პირობა დაუდო, ერთი წუთიც არ გადააცილოთ დანიშნულს დროს, თორემ დაგეცემით და ერთიანად ამოგყლეტთ სულ ყველასაო. ამნაირად მხეცები სათითაოდ ყოველდღე მიჰგვრიდნენ ლომს რომელსაშე ცხოველს.

ჯერი მიდგა კურდღელზე — უნდა წაეყვანათ ლომთან შესაჭმელად.

— რაკი ჩემი რიგია, რა გაეწყობა? გამიშვით მარტო მე და გიჩვენებთ, რომ საღამოს ლომის სახსენებელიც აღარ იქნება და თქვენც სამუდამოდ დაგიხსნით ამდენ ტანჯვისაგანო.

მხეცებმა გულიანად გადიხარხარეს: ვერ უყურებთ ამ მშიშარა და უძლურ ნადირს, როგორი ტრაბახი სცოდნიაო. კურდღელმა ცოტათი დაიგვიანა. ლომს ძლიერ მოშივნოდა, თვალების ბრიალით და კბილების კაწკაწით მიელოდა აღთქმულს სადილს და თანაც ფიქრობდა ბუნაგიდან გამოსვლას, მხეცებში დარევას და დიდი ზიანის მიყენებას. ამ დროს გაჩნდა კურდღელი; შიშისაგან სულ ძაგძაგებდა. ლომმა მრისხანედ გადახედა და სასტიკად დაუყვირა: სად იყავ ამდენ ხანსაო?

— დიდო ბატონო, — კრძალვით მოახსენა კურდღელმა, — თქვენთან ნადირი მომყავდა, გზაზე მეორე ლომი შემხვდა, გამომტაცა და ჩაათრია ღრმა ღელეში, აქ ახლოს რომ არისო.

— აბა მაჩვენე, სად არისო, — უთხრა ლომმა. — კურდღელი გაუძღვა, მიიყვანა ერთ ჭასთან და უთხრა:

— აი, ბატონო, აქ არის, მაგრამ მეშინიან, მე მარტო ვერ ჩავიხედავ, ხელში ამიყვანეთ და ერთად ჩავიხედოთ.

ლომმა აიყვანა კურდღელი და ერთად ჩაიხედეს ჭაში; ჭის წყალში გამოჩნდა ლომისა და კურდღლის ლანდი: ლომს კურდღელი აეყვანა და ქვემოდან ზევით ამოიჭყიტებოდა. ლომმა კურდღელი ფიცხლავ გაუშვა და ჩავარდა ჭაში მტრის დასასჯელად და კურდღლის წასართმევად. მაგრამ ჭაში წყალი ღრმა იყო და შიგვე ჩაიხრჩო.

გაიგეს მხეცებმა ეს ამბავი თუ არა, შეექნათ დიდი მხიარულება, რომ მოიშორეს თავიანთი მოსისხლე მტერი, კურდღელს კი დიდი მადლობა გადაუხადეს მოხერხებისათვის.

ყვავილების ნადიმობა

ზღაპარი

გაზაფხული დგებოდა. მზე სასიამოვნოდ ანათებდა. სუფთა ჰაერი ყვავილების კეთილსუნნელებით ავსებული იყო. საზოგადოდ ზამთრის დიდი ხნის ძილისაგან გამოღვიძებულ ბუნებას ისეთი განცხრომა და სიმხიარულე ეტყობოდა, რომ უნებლიეთ ავიწყდებოდა ქმუნვა და მწუხარება ყველას, ვინც კი ამით იყო შეეიწროებული. ამწვანებული ტყე, ბალახი და ყვავილებიც თითქოს ერთმანეთს შესჩურჩულებდნენ: ვიშ, რა მშვენიერია ყველაფერი ბუნებაშიო.

იმ საღამოს, რომელზედაც მე მსურს გიამბოთ, ყვავილები მართავდნენ ნადიმობას.

დიახ, ყვავილებიც მართავდნენ ნადიმობას. ყვავილების მეფე, ვარდი, დღესასწაულობდა თავის სასახლეში გაზაფხულის დადგომას, ასეთს სამხიარულოს ყველასათვის. ამისათვის ვარდმა მიიწვია თავის სასახლეში სტუმრები. და აი, როდესაც მოვიდა დანიშნული დრო, სტუმრებმა თავი მოიყარეს ვარდთან. სასახლის თაღს შეადგენდა ასკილის ნორჩი მწვანე ფოთლები, იატაკი მდიდრულად იყო მორთული, რბილი, როგორც ხავერდი, გაზაფხულის ბალახით. თბილი ნიავი არხევდა ფოთლებს და მით გაჰქონდა ჰაერში სასიამოვნო მომხიბლავი ხმები, რაც ადამიანის ყურისათვის მიუწვდომელიც კი იყო.

ვარდი, თავის სილამაზით ბრწყინვალე, სტუმრებს ალერსიანი ღიმილით დაუხვდა. აი, მოვიდა მტრედისფრად ჩაცმული სუმბული, მას მოჰყვა მიხაკი, შროშანა, იასამანი, ია და შემდეგ სხვა თეთრი, წითელი, ყვითელი და ლურჯი ყვავილები. შეგროვდა დიდი საზოგადოება. არ იყო მხოლოდ ზამბახი. მას მოუთმენლად ელოდა ყველანი. ბოლოს ისიც გამოცხადდა.

ვარდმა უსაყვედურა ზამბახს დაგვიანებისათვის. მაინც ძოისვა გვერდით და სხვა ყვავილებს მიმართა სიტყვით. ის ამბობდა როგორ სასიამოვნოა აყვავებული გაზაფხული, რაოდენ სიმხიარულეს გამოსცდის თვითეული, როდესაც გაზაფხული თავისი მომხიბვლელობით მწვანედ შემოსავს ტყეს, ჭალებს და მინდვრებს, ათავისუფლებს მდინარეებს ყინვისაგან, როდესაც ფრინველების გალობა გაისმის ჰაერში და ყვავილების კეთილსუნნელებით შეზავებულია. დასასრულ ვარდმა თქვა:

— აი, ჩვენ ყველანი შეეიკრიბეთ აქ, რომ გაზაფხულს მხიარულად შევხვდეთ, ამისათვის მე ვფიქრობ ზამბახი პატივს გვცემს და დაუკრავს ერთ თავის საგალობელს. ჩვენ ყველამ ვიცით მისი მუსიკალური ნიჭი და დიდი კმაყოფილებითაც მოვუსმენთ.

ზამბახმა თანხმობა განაცხადა აღასრულოს ვარდის სურვილი და დაიწყო ერთი თავისი საგალობელთაგანი „ბუნების დღესასწაული“.

საკვირველ მომხიბლავ ხმებს გამოსცემდნენ სიმები: ხან ნელა ნაზად, შორს მისუსტდებოდა და თავის კეთილხმოვანებით ეალერსებოდა, ხან კი ახალი ძალით ცხოველდებოდა და სულის ქარიშხალურ მღელვარებას ხატავდა. ზამბახმა სრულიად დაივიწყა მის გარშემორტყმული ბუნება. ის ცხოვრობდა იმ ხმებით, რომელიც გამოდიოდა მისი სიმებისაგან. მსმენელნი, ზამბახის მისნურ საკრავთა სმენით ოცნებით გატაცებულიყვნენ შორს, ძალიან შორს. იმათ წინ წარმოუდგათ ერთიმეორეზე ულამაზესი სურათები. ისინი ოცნებამ გაიტაცა უცნობ თავისუფალ და მომხიბლავ ხმების ქვეყანაში. ზამბახმა გაათავა, მაგრამ მსმენელნი დიდხანს იყვნენ გაჩუმებულნი. ასე მშვენივრად უკრავდა ზამბახი.

ამას შემდეგ მოჰყვა ცეკვა და როგორი მშვენიერი თაიგული შესდგა, როდესაც ყვავილები ჩადგნენ ერთ წრეში. აი გაისმა მუსიკოსთა გუნდის ხმა... უცბად მოძებნეს ტოლები. ვარდს თავის სიკეკლუცითა და სილამაზით აღტაცებაში მოჰყავდა ყველანი... მაგრამ ეს რაა? სასახლის ერთ დაშორებულ კუთხეში მიმალულიყო მშვიდი ყვითელი ყვავილი. ის იჯდა იქ ყველასაგან დავიწყებული. იმას არ იტაცებდა თან ხმიანი, მხიარული ცეკვა, თამაში. ის თითქმის არც ამჩნევდა არაფერს, ისე იყო გატაცებული თავის ჩუმ ფიქრებში. ყველაზე უწინ ის დაინახა ზამბახმა.

— შენ რატომ არ იღებ მონაწილეობას, მეგობარო, საზოგადო მხიარულებაში? — ჰკითხა ზამბახმა.

— ჰე, ზამბახო, — მიუგო ყვითელმა ყვავილმა, — ნეტავი მე მომცა ერთი მეათედი ნაწილი შენი ნიჭისა!

აი, რაზე ფიქრობდა თავისთვის კუთხეში მინდვრის ყვავილი!.. აი, რა აღელვებდა მის სულს!

— ხა, ხა, ხა! როგორი სასაცილო ყოფილხარ შენ, — მიუგო ზამბახმა თვითკმაყოფილი ღიმილით, — არ შეიძლება ინატრო, რაც შეუძლებელია.

ამ დროს გათავდა ცეკვაც და მობაასეებთან მივიდა ვარდი და ჰკითხა:

— რაზე საუბრობთ?

— აი, სულელს, — მიუგო ზამბახმა, — უნდა გახდეს ხელოვანი. არ შეუძლიან, რომ მე შემედაროს. მე სასახლის ხელოვანი ვარ და ეს კი... უბრალო მინდვრის ყვავილია.

— რასაკვირველია, არ შეუძლიან, — მოწონებით წარმოთქვა ვარდმა.

— მაგრამ, ნება მიბოძეთ, — თქვა ბოლოს ყვითელმა ყვავილმა,— გკითხოთ, ვინ დასდო განსხვავება ჩვენ შორის?

— აი, სულელი ესა ყოფილა! — თქვა ვარდმა, — რასაკვირველია, შთამომავლობამ და ბუნებით ნიჭიერებამ.

საწყალმა ყვითელმა ყვავილმა ხმა არ ამოიღო, მხოლოდ ჩაფიქრდა და თავის გულში თქვა: აბა, ეძიე სიმართლე ქვეყანაზე, როდესაც ჩვენ ყვავილებ შორისაც ისეთი ამპარტავნობა, დიდგულობა და ზვიადობაა, როგორც ადამიანთა შორის — იფიქრა ასე და წავიდა სახლში. რა უნდა გაეკეთებინა მას ამ ჩინებულ საზოგადოებაში? ვარდს გაეცინა იმის გასვლაზე.

— აი, ბატონებო, — ეუბნებოდა ვარდი სტუმრებს, — თქვენ წინ მაგალითი. განა შეგვიძლიან დღეის შემდეგ ჩვენს საზოგადოებაში მივიღოთ გაუნათლებელი მინდვრის ყვავილები?

ამ დროს ზამბახი კი ღრმად ჩაუფიქრდა ყვითელი ყვავილის სიტყვებს: მართლა, — ფიქრობდა ის, — რა განსხვავებაა ჩემ და იმის შორის? ეჰ, რა ცუდად მოვიქეცი, რომ დავცინე იმ კეთილ ყვავილს! — და სიტყვაც არ უთქვამს, ისე გამოვიდა სასახლიდან. იმას შერცხვა თავისი და ყველა იმ მინდვრის ყვავილებისაც, რომელთაც ასე დასცინოდა ვარდი.

ამ ფიქრებით ზამბახი მივიდა ყვითელი ყვავილების სახლში.

— მომიტევეთ, — თქვა მან, — წუთის მედიდურობამ დამიხშო გონება. დამნაშავე ვარ.

— რას ამბობ, რას ამბობ, ზამბახო! — თქვა მორიდებით ყვითელმა ყვავილმა, — შენ უნდა მთხოვდე მოტევებას?!

— არა, მე დამნაშავე ვარ და ბოდიშს ვიხდი. მაპატიე და დავმეგობრდეთ.

ყვითელ ყვავილს ცრემლები მოადგა. მან მაგრად გადაკოცნა ზამბახი და დათანხმდა მეგობრობაზე.

— აი, — ამბობდა ზამბახი, — რა ცუდია, როდესაც შენს მეგობარს ელაპარაკები ამპარტავნობით და თავმოყვარეობით. მე არ ვიცოდი, რა მექნა, სანამ არ შემირიგდებოდი.

მის შემდეგ ზამბახი თითქმის განუყრელი იყო თავის მეგობარ მინდვრის ყვავილთან. ბრწყინვალე საზოგადოებას იშვიათად ინახულებდა.

ვარდი კი დიდხანს ემდუროდა ზამბახსა, რომ მისი სასახლის ჩინებული ყვავილი დაუმეგობრდა ვიღაც მინდვრის ღატაკ ყვავილსა.

დიმენტი თომაშვილი

1876 — 1952

ცნობილი პოეტი და სახალხო მასწავლებელი დომენტი თომას ძე თომაშვილი (ოყრეშიძე) დაიბადა 1876 წელს სოფ. ჭოლევში (ქუთაისის რ.). დომენტის მამა საშუალო შეძლების გლეხი იყო, კარგად იცოდა წერა-კითხვა, თავის სოფელში განთქმული იყო, როგორც ხეხილის საუკეთესო მომვლელი და მყნობელი. მშობლებმა 7 წლის დომენტი ქუთაისის დაწყებით სკოლაში მიაბარეს. სკოლას ხელმძღვანელობდა ვასილ პეტრიაშვილი. დ. თომაშვილი მალე გადაიყვანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, მაგრამ გულმართალი ახალგაზრდა ვერ იტანდა გიმნაზიის სულისშემხუთველ რეჟიმს; მასზე განსაკუთრებით მოქმედებდა ზოგიერთი წონასწორობიდან გამოსული მასწავლებლის სიანჩხლე, რასაც ხშირად მოსწა-

ვლეთა ცემა მოჰყვებოდა ხოლმე. ამიტომ იგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში გადავიდა. აღნიშნული სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოეწყო ხონის საოსტატო სემინარიაში, მაგრამ სემინარია არ დაუმთავრებია, მეორე კლასიდან გამოვიდა და მასწავლებლობა დაიწყო.

დომენტი თომაშვილმა მასწავლებლობა დაიწყო 1898 წლიდან. პირველად იგი გაამწესეს სოფ. სამიქაოს ორკლასიან სკოლაში, სადაც ორ წელიწადს დაჰყო. 1901 — 1902 წლებში მუშაობდა სოფ. გუბის სკოლის მასწავლებლად. 1902 წელს გადავიდა ქუთაისის ერთ-ერთ კერძო სასწავლებელში, ხოლო 1905 წელს გაზ. „ივერიის" რედაქციაში. 1907 წლიდან თბილისიდან სენაკს გადასახლდა და სააზნაურო სკოლაში მოეწყო მასწავლებლად, სადაც დაჰყო 1911 წლამდე.

დომენტი თომაშვილი 1912 წლიდან უკვე საბოლოოდ ქუთაისშია. იგი პირველად მუშაობდა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსამზადებელი კლასების მასწავლებლად. საბჭოთა პერიოდში კი მეორე საშუალო სკოლის უფროს კლასებში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. დ. თომაშვილმა პედაგოგის ვრცელი გზა განვლო.

მან ზედმიწევნით კარგად იცოდა ჩვენი კლასიკური ლიტერატურა. განსაკუთრებული გულისყურით ეპყრობოდა ილ. ჭავჭავაძის მხატვრულსა და პუბლიცისტურ წერილებს, აკაკი წერეთლის პატრიოტულ ლირიკა. იგი არაჩვეულებრივი სიღრმით არჩევდა მათსა და სხვა მწერლების შემოქმედებას და მოსწავლეებში დიდ ინტერესს აღვიძებდა, რომ ფართოდ გასცნობოდნენ ჩვენი მწერლების ნაწარმოებებს. იგი ახლო მეგობარი იყო აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასი, გიორგი წერეთლისა, დავით კლდიაშვილისა და სხვათა.

დომენტი თომაშვილი გულისხმიერი მასწავლებელი, მოსწავლეების დიდი მეგობარი იყო. იგი, როგორც საგნის კარგი მცოდნე, ბუნებრივად, ტაქტითა და მრავალნაირი პედაგოგიური ხერხით ღრმად ასწავლიდა მოსწავლეებს მშობლიურ ენას და ლიტერატურას. დ. თომაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა შეგნებულ კითხვას, რის შესახებ ვრცელი წერილიც კი დაწერა.

დ. თომაშვილმა ლექსებისა და პატარა წერილების წერა სემინარიაში სწავლის დროს დაიწყო. მან, როგორც პოეტმა, მალე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება, რადგან ნასში დაინახეს მებრძოლი, მჩაგვრელებისადმი შეურიგებელი პოეტი. საერთოდ, მის პოეზიას თავის დროზე მაღალი შეფასება მისცა აკაკი წერეთელმა. დ. თომაშვილის რამდენიმე ლექსი სახელმძღვანელოებში იყო შეტანილი.

დომენტი თომაშვილი გარდაიცვალა 1952 წელს. დასაფლავებულია ქუთაისის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დ. თომაშვილმა საბავშვო ლექსების წერა დაიწყო 80-იან წლებიდან. იგი ახლო თანამშრომელი იყო ჟურნალების „ჯეჯილისა“, „ნაკადულისა“. მისი საბავშვო ნაწერებიდან მნიშვნელოვანია პოემა „შავი ცხვარი“.

მატლს

ძატლო, ჩამჯდარხარ ხის გულში,
ღრღნი, ხერხავ, არა გრცხვენია;
გარემოება ხელს გიწყობს,
ბურთ-მოედანი შენია...
მაგრამ ამოვა ნიავი,
ძირში გადასტეხს მაგ ხესა,
რაც იმუშავე აქამდის, —
თვალში შეგაყრის ნახერხსა...
წაგშლის და მოგსპობს ქვეყნადა.
დილა არ გაგითენდება;
ხის ძირიდან კი ისევე
ყლორტები აღმოცენდება!

ვარდის ბუჩქი

გაშიშვლებული ტყე-ველი
გაჩუმებულა, მდუმარებს,
თითქო რაღაცას გლოვს და წუხს
და ცრემლებსა ღვრის მწუხარეს.
მოფენილია თოვლითა
მინდორი, არემარეა
და მასზედ თავისუფლადა
სეირნობს ცივი ქარია;
თოვლსა აგროვებს, გორებს დგამს,
ჰა, ამოავსო ხევები;
იმის ცოფიან შეხლაზე
მწარედ ჰკვნესიან ხეები.
თოვლის სიცივით დაზრულთა
დაუქინდრიათ თავები

და გაზაფხულსა ელიან
სულწასვლით საცოდავები.
არსად ფრინველი, ცხოველი,
რომ კაცმა დაინახოსა,
ბელურეები ჰყივიან
მხოლოდ საბძლისა ახლოსა;
ჰკენკავენ, სურთ, რომ გაიძღონ
პატარა მუცელ-ფაშვები,
აქვე კი მახეს უგებენ
იმათ ბოროტი ბავშვები!
იქ, ბაღში, ბუჩქი ვარდისა
თოვლსა მთლად ჩაუკეცია,
ზედ დასწოლია გულცივი,
როგორც სასტიკი მხეცია,
ბუჩქის წვერო ჩანს, თითქო ტირს:
გლოვის დღე მადგა მწარეო,
ამა გულცივი ზამთრისგან
წელში მთლად მოეიხარეო.
როდის იქნება განვკურნო
ეს გული ნაღვლიანიო,
ახ, როდის მოვა კეკლუცი
ზაფხული მადლიანიო!
როდის იქნება მოვისხა
კოკრები სახელოვანი,
ზედ ტურფა ვარდი გავშალო
ყვავილი სურნელოვანი,
თბილმა სიომა საამომ
ფოთლები ამიშრიალოს,
მოფრინდეს ნაზი ბულბული
გალობა ჩააკრიალოს!

გაზაფხული

აწ გაჰქრნენ დღენი გლოვისა —
ზამთარს ეკვეცა ფრთებია!
ტურფად იმოსვის ტყე-ველი,
ჭალები, გორა, მთებია.

—

ადიდებულა მდინარე,
აქაფებულა, ღრიალებს,
ზვირთებს ზვირთებზე მოისვრის,
ხან თითქო ცეკვავს, ტრიალებს.

ყოველი სული იხარის,
გრძნობს რაღაც ციურ შვებასა...
დაჭიკჭიკობენ ფრინველნი
ზენას უძღვნიან ქებასა;

პატარა მწყემსი ჭალაში
იძახის „დელი-დელასა“
და მუშა მხვნელი გუთანზე
დამღერის „ოროველასა“.

ოჰ!.. ბაღში ბუჩქი ვარდისა
გაცოცხლებულა, ამდგარა,
იმის ნორჩ ღერო-ყლორტებში
სიცოცხლის ძალა ჩამდგარა.

მწვანე ფოთლებით, კოკრებით,
საამოდ შემოსილია;
აგერ ყვავილიც გაშლილა,
კეკლუც ბუნების შვილია.

ცისა და ქვეყნის გამჩენო,
ღმერთო, დიდება შენდაო!
შენი ძლიერი მარჯვენით
ქვეყანა დაგვიმშვენდაო.

შორს, შორს, გულცივო ზამთარო!
წაგიხდა ჭირნახულია,
ზურმუხტის ტახტზე დაბრძანდა
კეკლუცი გაზაფხულია.

ჯეჯილი

კვლავ გაგვიხსენა მნათობმა
მიტოვებული შვილები,

გულცივი ყინვა-თოვლისგან
თვალზე ცრემლმოდენილები.

გამოეშურა ჩვენსკენა,
დაატრიალა ჩარხია,
ცივ ზეწარს ტყორცნა სხივები
და სულ ერთიან დაჰხია!

გამოჩნდა პირი ქვეყნისა,
დაპბერა თბილმა ნიავმა,
თავი ამოჰყო მიწიდან
კოჩეტამ, ტურფა იამა.

და სუნი ეცა პეპელას
ყვავილის, ნაზად შლილისა,
გამოიფხიზლა, გასწია
მან საწუწნელად ტკბილისა.

გამოყვავილდა ბუჩქ-ველიც,
მწვანედ ბიბინებს მოლია;
შეხედეთ, ყვავილს სამყურა
რა ნაზად გადასწოლია!..

აბა, უყურეთ ჯეჯილსაც,
ტურფასა, მალხაზ-ცქრიალას,
როგორ შეჰხარის მნათობსა
სხივ-მოციმციმეს, ბრუყვიალას!..

დღეს ძარღვ-გამთბარი ზამთარსა
არ შეუშინდა მწარესა:
ხანგრძლივი შრომის ნაყოფი
აშვენებს არემარესა.

ხავერდისფერად ღაღანებს,
იზრდება თვალის წამასა —
გულს გაუხარებს მუშასა —
წვრილი შვილების მამასა.

ზეცა მას წყალობს ცვარ-ნამით,
დასცქერის კაი თვალითა,
უნდა დაატკბოს ქვეყანა
კეთილი მოსავალითა.

ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲣᲢᲙᲐᲠᲘ

ბუჩქისა ძირში კეკლუცად
გული გაეხსნა იასა,
დასტრფიალებდა მნათობი
მომხიბელელს, გულ-მკერდი-სა,
და ესეც სამადლობელად
უძღვნიდა ქებათ-ქებასა;
თან ავრცელებდა ქვეყნადა
სიამო სუნნელებასა.
ამშვენ-ამკობდა ბუნებას —
თვის მალხაზ, კეკლუც დედასა;
თვალს იტაცებდა მგზავრისას,
გულს უკუ ჰყრიდა სევდასა:
„თვალთ-მიმზიდველო, ბუნების
შემამკობელო იაო,
განა კაცთ გასახარებლად
გულ-მკერდი გაგიღიაო?—
ვარსკვლავმა სხივი გიგზავნა,
ნიავმა გითხრა ნანაო,
ცვარ-მარგალიტმა ციურმა
ყელ-პირი გადაგბანაო!
იცოცხლე, ტურფა ყვავილო,
შეამკე არემარეო,
კაცს სევდა უკუ-ჰყარეო.
შენც დატკბი, გაიხარეო!"
მიმოფრინავდნენ პეპლები
ყვავილის გარეშემოსა
და იმის გულში მალხაზნი
ეძებდნენ სიტკბო-გემოსა.
უცბად ყმაწვილი მოვიდა,
ცელქი და მოუსვენარი
და ყვავილისკენ წაიღო
მან თვისი ხელი მკბენარი.

მაგრამ იქ მყოფმა ფუტკარმა
მოგლეჯა აღარ აცალა:
თვის მოშხამული ისარი
ხელში ჰკრა, აუკანკალა.
თანაც ბზუილით ეს უთხრა:
„ახია მაგ შენ თავზეო,
რომ ყვავილის წილ დღეს მე შენ
ისარი გითავაზეო!
პეპელა მითი საზრდოობს,
თაფლ-სანთელს მე ვამზადებო,
შენ კი რომ მოჰგლეჯ, დაჰყნოსავ,
დააჭკნობ, გადააგდებო!“

საახალწლო სურათი

კერაში ცეცხლი გუზგუზებს,
ციმციმებს ალი ალზედა;
გარშემო სხედან ბავშვები,
ძილი არ მოსდით თვალზედა.

დედა პურსა ზელს, ბებიას
მოაქვს ხაპო და ყველია;
ქოთნით რძე შესადედებლად,
შავ ძროხის მონაწველია.

მამა საფუტკრეს ყოფილა,
მას თაფლი მოაქვს გობითა,
ვით ქარვა, ისე ბრწყინავენ
ფიჭები გარეგნობითა.

კალათში რაღა აწყვია? —
ვაშლები, ბროწეულია,
ჩურჩხელა, ტკბილი კვერები
და მსხალი მოწეულია.

კერიის ახლოს მჯდომარე
ჩიჩილაკებს თლის ბაბუა;
ტკბილად უმზერენ ბავშვები
სუყველა კისერ-ღაბუა.

ამ კუდგაბზეკილ კატუნას
ნეტავი რაღა სწადია?
ესეც გრძნობს ალბათ, რომ ხვალე
ახალი წელიწადია...

—

დედა შვილთ ემუდარება —
დაწექით, გენაცვალეთო,
ამდენ ხანს ჯდომა-მზერითა
განა არ დაიღალეთო?!

პირჯვარი გადაიწერეთ,
დალაგდით, დაიძინეთო,
დილაზე ადრე ადექით
და ტკბილად მოილხინეთო.

———————

დამატება

ნიმუშები

ელენე გიოტრგის ას. ფერეთელი

ცნობილი საბავშვო მოთხრობა „ლედი ჯენი" თარგმნა ელენე ფერეთელმა, გიოოგი ფერეთლის ქალიშვილმა. იგი თავის დროისათვის კარგ მთარგმნელად ითვლებოდა. ელ. ფერეთელი თარგმნიდა უმთავრესად ფრანგულ საბავშვო მოთხრობებს. მის თარგმანთა შორის აღსანიშნავია მონგომერის — „უგულო ბავშვი", უიდის — „ნელი და პატრაში" და მრ. სხვ. ელ. ფერეთელი ხშირად აწერდა ე-კოს. ეს იყო მისი ფსეედონიმი. ელ. ფერეთელი ცხოვრობდა პარიზში. გათხოვილი იყო ფრანგ პროფესორზე. იგი ტრაგიკულად დაიღუპა. თარგმანი იბეჭდება შემოკლებით.

ლედი ჯენი

ჯემისონისა.

ცისფერი ყანჩა

ბუნების მშვენიერებით უხვად შემკულ ამერიკის შტატში, ტეხასში, საოცარი სისწრაფით მიჰქროდა მატარებელი ლიუზიანასაკენ. შუა ზაფხული იყო. საშინლად ცხელოდა; ვაგონები, განსაკუთრებით მესამე კლასის, ისე გამოტენილი იყო მოგზაურებით, რომ თავვის კუდის მოსაქნევი ადგილიც კი არსად ჩანდა თავისუფალი. სიცხისაგან ყველას სული ეხუთებოდა, ამიტომ არც კი არავის აგონდებოდა ყურადღება მიექცია ბუნების მომხიბლავ სურათებისთვის; მხოლოდ პირველ კლასში მჯდომი ორი მოგზაური, ახალგაზრდა ქალი და პატარა ბავშვი, ცნობისმოყვარეობით და აღტაცებით აკვირდებოდნენ იმ მშვენიერ სურათებს, რომლებიც მათ თვალწინ იშლებოდნენ და ყოველ წამს იცვლებოდნენ. მოხდენილი და ლამაზი ახალგაზრდა ქალი მთლად შავებში იყო, პატარა ბავშვს თეთრი, უბრალოდ, მაგრამ კოხტად შეკერილი კაბა ეცვა, წელზე განიერი შავი აბრეშუმის სარტყელი ერტყა და თავზე ფართოკიდეებიანი ჩალის შლიაპა ეხურა; შავი გრძელი ჩულქები და პატარა მორთული გალაქული ფეხსაცმელები ლამაზად ეხამებოდნენ მის ტანსაცმელს. ბავშვის მეტად ნაზ და მიმზიდველ სახეს საოცრად ამშვენებდა ვარდისფერი ლოყები, დიდი ცისფერი, შავი გრძელი წამწამებით დაჩრდილული

თვალები და სქელი, გაშლილი ხუჭუჭა ოქროსფერი თმა, რომელიც ლამაზად ჰფარავდა მის მხრებს და შავი სარტყლის უკან გამოკრულ დიდ ბანტს.

ახალგაზრდა დედამ გადიგდო სახიდან შავი პირბადე, შლიაპის ქვეშიდან ჩამოეშვა მის მაღალ შუბლზე ისეთივე ოქროსფერი, ხუჭუჭი თმა, როგორიც პატარა ქალს ჰქონდა. პირველ შეხედვაზევე ეტყობოდა, რომ საშინელი დაღლილი იყო და არც სულ კარგად უნდა ყოფილიყო, სიცხისაგან ლოყები მთლად ანთებული ჰქონდა. მის ნამტირალევ თვალებში, მთელ მის გამხდარ, მოგრძო სახეზე გამოუთქმელი ტანჯვა და მწუხარება იხატებოდა.

გაღებულ ფანჯარასთან მდგომი ბავშვი ხშირად მოაბრუნებდა ხოლმე თავის ლამაზ, პატარა სახეს დედისაკენ, მიეკვრებოდა მის გამხდარ ლოყას თავის გაპუტკუნებული, ნაზი ლოყით და სიყვარულით ჰკითხავდა ხოლმე დაბალი ხმით:

— თავი კიდევ გტკივა, დედა?

— ცოტათი, ჩემო გოგონა! — და დედა ალერსით გადაუსვამდა ხოლმე ხელს ბავშვის სქელ, ხუჭუჭ თმას.

დამშვიდებული ბავშვი ისევ ფანჯარას მიეყრდნობოდა, მწუხარე დედა კი თავს ძირს ჰქინდრავდა და ორივე ხელით სახეს იფარავდა.

— დედა, დედიკო, შეხედე, რა ლამაზი პატარა მდინარეა! — წამოიძახა უცებ ბავშვმა. — რა მშვენიერი სახლებია! ნეტავი აქ გავჩერდებოდეთ! ვისეირნოთ აქ, დედა!

— ჯერ ჩვენთვის ადრეა გადმოსვლა! — მიუგო დედამ, ასწია ზევით ძირს მძიმედ დახრილი თავი და მოქანცვით შეხედა პატარა ქალს. — ცოტა კიდევ მოიცადე, მალე ნიუ-არლეანში მივალთ და იქ მოგცემ სირბილისა და თამაშობის ნებას.

მატარებელი პატარა სადგურთან გაჩერდა. ვაგონში ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა ერთი მოგზაური და დედა-შვილის პირდაპირ, ცარიელ სავარძელზე დაჯდა. ეს იყო მშვენიერი შესახედავი, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ახალგაზრდა ვაჟი. მისი ბრწყინვალე თაფლისფერი თვალები მხიარულად გამოიყურებოდნენ მუქ წარბებ ქვეშიდან. საზოგადოდ, მთელ მის სახეს მხიარული, მოღიმარი გამომეტყველება ჰქონდა; თავს ისე თავისუფლად გრძნობდა, რომ ეტყობოდა, მარტო მგზავრობას დიდი ხანია შეჩვეული იყო. ცალ ხელში სამგზავრო ჩანთა ეკავა, მეორეში თავმოკრული, მაღალი, წვრილი კალათი. დაჯდა თუ არა, ყმაწვილმა მხიარულად აათვალიერ-ჩაათვალიერა თავისი თანამგზავრები, მერე კალათი გვერდით მოიდგა, ზევიდან თითით დაურახუნა და ჩიტივით დაიწრიპინა.

— პი-პი! პი-პი! — უპასუხა ვიღაცამ კალათიდან.

ვაჟმა გულიანად გადიხარხარა.

შემოვიდა თუ არა ვაჟი ვაგონში, ხუჭუჭი ოქროსფერთმიანი თავი მაშინვე მოსცილდა ფანჯარას და პატარა ქალის ლამაზი ცისფერი თვალები დაკვირვებით მიაშტერდნენ ახლადშემოსულ მოგზაურს.

ვაჟის გული მაშინვე მიიზიდეს ახალგაზრდა მწუხარე დედამ და პატარა მშვენიერმა ქალმა. უეცრად ამ პატარა ქალს თვალები ცრემლებით აევსო. მან ერთხელ კიდევ დაკვირვებით შეხედა მოღიმარ ვაჟს, მერე მიეკრა დედის მხარს და ნელა, დაბალი ხმით წაუჩურჩულა მას:

— დედა, იმ კალათში რაღაც ცხოველია! ისე მინდა მისი ნახვა!

— ჩემო გოგონა, ის კაცი ჩვენი ნაცნობი ხომ არ არის, როგორ შემიძლია ჩავაცივდე კალათი გახსნას! იქნებ გულიც მოუვიდეს!

— არა, არა, დედიკო, წეღან რომ შემომხედა, გამიღიმა! ის არ გაწყრება! ვკითხავ, რა ჰყავს კალათში, შეიძლება? ხომ შეიძლება?

ახალგაზრდა დედამ თანამგზავრს შეხედა. ვაჟმა მხიარულად გაიღიმა და თვალებით კალათზე უჩვენა.

— მგონი ბავშვს ნახვა უნდა რა არის კალათში, არა? — მაშინვე ჰკითხა მან და კალათს თავის მოხსნა დაუწყო.

— ეს თქვენი მხრივ მეტად გულკეთილობაა! — წყნარად მიუგო ახალგაზრდა ქალმა. — ჩემი შვილი მარწმუნებს, მაგ კალათში რაღაც ცხოველია!

— არც სცდება! — თქვა ვაჟმა. — მართლა ცხოველია და მერე ისეთი ცქვიტი, ისეთი მარდი ცხოველი, რომ კალათის თავის ახდისაც კი მეშინია!

— მიდი, გენაცვალე, ნახე რა არის! — მიუბრუნდა დედა პატარა ბავშვს და კალათისაკენ მისწია.

ბავშვმა დაკვირვებით მიაპყრო ვაჟს თავისი დიდი ცისფერი თვალები.

— არა მგონია, ამ ცხოველის მსგავსი რამე გენახოთ თქვენ სიცოცხლეში! — ღიმილით შენიშნა ვაჟმა, — ეს მოშინაურებული ფრინველია, ვერ წარმოიდგენთ, რა სასაცილო! ფანჯრები გაღებულია. მეშინია, არ გამოფრინდეს, ისეთი მარდი და მოხერხებულია, რომ მეტი არ შეიძლება. იცით, რა ვქნათ? მე სახურავს ავწევ და დავიკავებ, თქვენ კი შიგ შეიჭვრიტეთ!

ბავშვი სახით მიეჭედა კალათს... და უცებ მხიარულმა, აღტაცებულმა ღიმილმა მთლად გაანათა მისი ნაზი, ლამაზი სახე.

— რა ლამაზია! რა ჩიტია? — სწრაფად იკითხა მან, დაინახა თუ არა კალათში ფეხმოკეცილი ფრინველი, რომელსაც ძალიან გრძელი

ნისკარტი და მრგვალი, ბრწყინვალე თვალები ჰქონდა. — არასოდეს არ მინახავს ამისთანა ჩიტი! რა ჰქვია?

— ეს ცისფერი ყანჩაა. ძალიან იშვიათია ამ ფერი ყანჩები!

— ცისფერი არაა! ცოტათია მოცისფრო! რა ლამაზია, რა მშვენიერია! შეიძლება ხელი მოვუსვა?

— შეიძლება. შეჰყავით ხელი კალათში. ნუ გეშინიათ, არ გიკბენთ.

— არ მეშინია! — ამაყად მიუგო პატარა ქალმა, ჩაჰყო ხელი კალათში და დაუწყო ფრინველის ლამაზ ფრთებს ხელის მოსმა.

— ფანჯრები რომ ღია არ იყოს, ამოვიყვანდი, იატაკზე დავსვამდი და სიარულს დაიწყებდა. ვერ წარმოიდგენთ, რა სასაცილოდ დადის! მერე რა ჭკვიანია, რომ იცოდეთ! როგორც კი დავუძახებ, მაშინვე მორბის ჩემთან.

— რა ჰქვია?

— „ტონი“ დავარქვი; როცა პატარა იყო, სულ „ტონ-ტონ“, „ტონ-ტონ“-ს იძახოდა.

— ტონი? ისეთი სახელი დაგირქმევიათ, თითქო პატარა ქალი იყოს! — ბავშვს მხიარულად გაეღიმა.

— თქვენ კი რა გქვიათ? — ჰკითხა ვაჟმა, — ძალიან მინდა, თქვენი სახელი გავიგო.

— მე მქვია „ლედი ჯენ“.

— „ლედი* ჯენ“! — გაკვირვებით გაიმეორა ახალგაზრდა მოგზაურმა. — რა უცნაური სახელია!

— მამა ყოველთვის „ლედი ჯენს“ მეძახოდა, მას აქეთ სხვებიც ასე მიძახიან.

დედამ მწუხარედ შეხედა თავის მოტიტინე პატარა ქალს და თვალები ცრემლებით აევსო.

— იქნება თქვენც გინდათ ჩემი პატარა ყანჩას ნახვა? — ჰკითხა ვაჟმა ახალგაზრდა ქალს და კალათი მისკენ მისწია. — თეთრი ყანჩა ჩვეულებრივი მოვლენაა, ცისფერს კი ძალიან იშვიათად შეხვდება კაცი.

— მადლობელი ვარ. მართლა რომ იშვიათად შეხვდები მაგფერ ყანჩას. თქვენ თვითონ დაიჭირეთ?

— დიახ. და სრულიად მოულოდნელად. ერთხელ ვნადირობდი ბიძაჩემის მამულში, აი, იმ სადგურის ახლო, სადაც ახლა მე ჩავჯექი ვაგონში. შემომაღამდა. სახლში საშინლად მიმეჩქარებოდა; უცებ

---

* „ლედი“ — ინგლისურად „ქალბატონ“-ს ნიშნავს.

მთარგმნელის შენიშვნა.

გავიგონე, რომ რაღაც იძახის: „ტონ", „ტონ-ტონ!.." შეეჩერდი, დავიღუნე — და ყანჩა დავინახე. ისეთი პატარა იყო, რომ ფრენა ჯერ არც კი იცოდა. ასწია თავი და მომაშტერა თავისი მრგვალი თვალები. საშინლად შემეცოდა, ავიყვანე და სახლში წამოვიყვანე. მას აქეთ მომეჩვია, ახლა ხმაზედაც კი მცნობს.

ვაჟმა კალათი ძირს ჩამოდგა. ბავშვი მას აღარ სცილდებოდა და სიამოვნებით უსვამდა ყანჩას თავის პატარა, ფუნთუშა ხელებს.

— მგონი ძალიან მოეწონა! — ღიმილით მიუბრუნდა ახალგაზრდა მგზავრი ბავშვის დედას.

— ჰო, ძალიან უყვარს ფრინველები და პატარა ოთხფეხები.. კიდეც ჰყავდა ბევრი... მაგრამ ყველა სახლში დავტოვეთ და ახლა ძალიან ძოწყენილია უიმათოდ. — მწუხარე ქალს თვალები ისევ აევსო მსხვილი ცრემლებით.

— ნება მომეცით, რომ თქვენ ქალს ჩემი ტონი ვაჩუქო.

— არა, არა, მადლობელი ვარ! რისთვის უნდა მოიკლოთ მაგისთანა სიამოვნება...

— გარწმუნებთ, რომ ჩემთვის ეს არაფერი დანაკლისი არ იქნება. სულ ეოთია, ქალაქში რომ მივალ. მაინც ვინმეს უნდა მივცე. სასწავლებელში ჩემთან არ შეუშვებენ, სახლში კი არავინ მყავს ისეთი, რომ ჩავაბარო. ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ „ლედი ჯენს" ყანჩის წაყვანის ნებას მისცემთ. — არწმუნებდა ახალგაზრდა ვაჟი და თან ღიმილით ადევნებდა თვალს ბავშვის აღელვებულ სახეს.

— დედა, ჩემო კარგო, საყვარელო დედა! შეჩუქოს ჩიტი! — წამოიძახა ლედი ჯენმა და ორივე ხელი ხვეწნით გულზე მიიკრა.

ახალგაზრდა დედა რამდენიმე ხანს ყოყმანობდა, ბოლოს მაინც უარი გამოაცხადა. ვაჟი მეორე ადგილს გადაჯდა, დედასთან უფრო ახლო.

— მე მაინც იმედი მაქვს, მაგ აზრს შეცვლით! — პატივისცემით დაიწყო მან. პატარა ქალი კი სრულ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

— დედა! არც კატის წამოყვანის ნება მომცეს, არც ჩემი პატარა ლეკვის, არც სხვების... უიმათოდ ისე მოწყენილი ვარ...

— კარგი, კარგი, შენ გენაცვალე... — შეაჩერა დედამ.

— კალათის გვერდში მაინც დავჯდები და ჩიტს ხელს ვუსვამ!

— გადმოჯდეს ჩემ გვერდით! — სთხოვა ახალგაზრდა დედას ვაჟმაც. — შეხედეთ, როგორი დაღლილია ბავშვი, ცოტა გართობა ეჭირვება!

— გმადლობთ... მართლაც დაღლილია... შორიდან მოვდივართ, სენტ-ანტონიოდან. აქამდის სულ ჭკვიანად ეჭირა თავი, ყველაფერს ითმენდა... კარგი! გადმოჯდეს თქვენთან!

ვაჟმა კარგად მოათავსა ბავშვი რბილ სავარძელში, ფანჯარაზე ჯარდები ჩამოუშვა, რომ ყანჩა არ გაფრენილიყო, დადგა ძირს კალათი, ამოიყვანა ფრინველი და ლედი ჯენს კალთაში ჩაუსვა.

— შეხედეთ!.. — უთხრა მან ბავშვს. — ცალ ფეხზე პატარა თასმა შემოვაკერე. ამ თასმაში წვრილი თოკის გაყრა შეიძლება. თუ დედა ნებას მოგცემთ ჩემი ტონი წაიყვანოთ. როცა სადმე წახვიდეთ ხოლმე, ეს თოკით რასმეზე მიაბით. მაშინ აღარ იეშმაკებს და არც არაფერს შეეხება.

— მარტო სახლში არაოდეს დავტოვებ! — გადაწყვეტით გამოუცხადა ლედი ჯენმა — სადაც წავალ, ყველგან თან წავიყვან!

— ძალიან კარგი. თუ როგორმე დაგეკარგათ, აი, რა ნიშნით შეგიძლიათ მაგის პოვნა, — ვაჟმა ყანჩას ფრთა გაუშალა და აჩვენა სამი შავი ჯვარი, რომლებიც ზედ იყო დახატული. — ასეთი ჯვრები აქვს ორივე ფრთაზე; როცა ფრთები შეკვეცილი აქვს — მაშინ ჯვრები არ ჩანს, როცა გაშლის — მაშინ კი ცხადად ეტყობა. რაც უფრო გაიზრდება ყანჩა — მით უფრო გაუდიდდება ჯვრებიც. ამ ჯვრებით მაშინვე იცნობთ ტონის, რაც უნდა დიდი ხნით მოსცილდეთ მას.

— თუ დედა ნებას მომცემს, დღესვე შემიძლია წავიყვანო თან ტონი?

— რასაკვირველია. კალათი ძალიან მჩატეა, არ დაგამძიმებთ.

— იცით, რა გითხრათ! — უცებ ნელი ხმით წაიჩურჩულა ბავშვმა და მორიდებით გადახედა დედას, რომელიც სავარძელს მიყრდნობოდა და, ეტყობოდა, თვლემდა, — მე ძალიან, ძალიან მინდა ჩემი ლეკვის, კარლოს ნახვა, ჩემი კატუნიასაც, ცხვრებისაც... მაგრამ დედას იმათზე არასოდეს ველაპარაკები ხოლმე, მაშინვე ტირილს იწყებს.

— რა კეთილი გოგონა ყოფილხართ, აგრე რომ უფრთხილდებით დედათქვენს! — უთხრა ახალგაზრდა თანამგზავრმა, რომელიც ძალიან ასიამოვნა ბავშვის გულახდილობამ. თვითონ მას არ უნდოდა არაფერი გამოეკითხა მათ შინაურ მდგომარეობაზე, რისამე გაგება კი ძალიან სურდა.

— დედაჩემს მეტი აღარავინ ჰყავს ახლობელი ქვეყანაზე! — ჩურჩულით განაგრძო ლედი ჯენმა, — მამა წავიდა... დედა ამბობს, დიდხანს, დიდხანს აღარ დაბრუნდება ჩვენთანო... იცით, ის მოკვდა. აი, ამიტომ მივატოვეთ ჩვენი სახლი, ახლა ნიუ-იორკში უნდა გადავსახლდეთ.

— უწინ ყოფილხართ ნიუ-იორკში? — ჰკითხა ვაჟმა და სიყვარულით შეხედა ოქროსფერი თმით შემკულ თავს, რომელიც მის მხარს მინდობოდა.

— არა, არასოდეს. სახლიდან არსად არ წავსულვარ ჩემ სიცოცხლეში.

ხლეში. ჩვენ პრერიებში[1] ვცხოვრობდით. კარლო, კატუნია, ცხვრები— ყველანი იქ დარჩნენ. ჩემი პატარა ცხენი „ნარგიზაც" იქ დარჩა. იცით, რატომ ჰქვია ნარგიზა? იმიტომ, რომ ოქროსფერია.

— მე კი ნიუ-ორლეანში ვცხოვრობ. მეც მყავს იქ მეგობრები...— და ვაჟმა დაიწყო მათი ჩამოთვლა.

ლედი ჯენი ყურადღებით ისმენდა მის ლაპარაკს... მაგრამ ნელ-ნელა ძილი მოეკიდა, ჩაჰკიდა თავი და ღრმად ჩაიძინა. ნაზი ვარდისფერი ლოყა ბავშვმა ახალ მეგობარს მხარზე დაადო, ორივე ხელი კი ცისფერ ყანჩას შემოჰხვია, თითქოს ეშინოდა, არავინ წამართვასო.

შემოღამდა. ვაგონში მისვლა-მოსვლა ატყდა. ბევრი მგზავრი წამოდგა და გადმოსვლა დააპირა.

ლედი ჯენს არც კი გაუგია, როგორ გამოაცალა ახალგაზრდა ვაჟმა ხელიდან ყანჩა და როგორ ჩასვა ის ხელახლა კალათში. ამ დროს ბავშვს დედა მიუახლოვდა.

— დედა, რომ იცოდე, რა კარგი სიზმარი ვნახე! — უეცრად თვალები გაახილა და მხიარულად წამოიძახა პატარა ბავშვმა, — ვითომ სახლში ვიყავი, პრერიებში... მე და ტონი ერთად ვსეირნობდით. ნეტავი სიზმარი კი არა, ნამდვილი ყოფილიყოს!

— მადლობა გადაუხადე, გენაცვალე, ამ ყმაწვილს, ასეთ ყურადღებას რომ გაქცევდა გზაში, აი ნიუ-ორლეანს მივუახლოვდით და ყანჩა კიდევაც ჩასვეს კალათში. ადექი... მოდი, თმას გაგისწორებ და შლიაპას დაგახურავ.

— დედა, ჩიტი? არ წავიყვანო?

ვაჟმა თხოვნით შეხედა ახალგაზრდა დედას.

— წაიყვანოს! — თქვა იმანაც და კალათს თავი მოუკრა. — გაართობს, ასიამოვნებს... კალათი სრულიადაც მძიმე არ არის!

— თუ უსათუოდ გადაწყვეტილი გაქვთ ვისმეს აჩუქოთ, კარგი. მიეცით ჯენს, წამოიყვანოს! — თქვა ბოლოს ახალგაზრდა ქალმა.

ვაჟმა კალათი ლედი ჯენს გადასცა, ბავშვმა აღტაცებით სტაცა მას ორივე ხელი.

— რა კარგი ხართ! — გამოუთქმელი სიხარულით წამოიძახა მან, — მე თქვენ არაოდეს, არაოდეს არ დაგივიწყებთ! ტონის ერთი წუთითაც აღარ მოვიშორებ! — ვაჟმა გაიღიმა, თუმცა სახეზე წყენა ეხატებოდა. მას ეძნელებოდა თავისი საყვარელი ყანჩის მოშორება.

---

[1] პრერიები — ამერიკის დიდ ველებს ჰქვია, სადაც საძოვრად უშვებენ აუარებელ ცხენების ჯოგებს და ცხვრის ფარებს. ცხვრებისა და ცხენების პატრონები იქვე ველებზე იშენებენ დიდ, კარგად მოწყობილ სახლებს.

მთარგმნელის შენიშვნა.

ეძნელებოდა აგრეთვე დაშორება ამ მშვენიერ ბავშვთან, რომელმაც პირველ შეხედვაზევე მიიზიდა მისი გული, მაგრამ, ჯენის უსაზღვრო სიხარული რომ დაინახა — თვითონაც უნებლიეთ გამხიარულდა.

— ჩვენ ქალაქის იმ ნაწილში უნდა წავიდეთ, სადაც ჯეკსონის ქუჩაა. ეს მგონი ქალაქს გარეთაა, არა? — იკითხა ბავშვის დედამ. — მეორე რომელიმე სადგურიდან ხომ უფრო ახლოს არ არის ეს ნაწილი?

— როგორ არა, სადგურ გრეტნიდან ხუთ წამს შემდეგ მიხვალთ. იქ გადმოდით, მერე ბორანით მდინარეზე გადადით და იმ ნავსადგურთან მიხვალთ, საიდანაც ჯეკსონის ქუჩა იწყება. იქ ყოველთვის ბევრი ეტლი დგას. თუ გრეტნაში ჩამოხტებით, ერთი საათით უფრო ადრე მიხვალთ.

— ოჰ, ეგ ძალიან მიამა, — ისინი, ვისთანაც მივდივარ, არ მელიან, ამიტომ მინდა დაღამებამდის მივიდე. სადგურიდან ბორანამდის შორს არის?

— რამდენიმე საჟენი, ადვილად იპოვით.

ის იყო, ვაჟს უნდოდა დაემატებინა, „ნება მომეცით, გაგაცილოთო“, რომ კონდუქტორმა ვაგონის კარი გააღო და ხმამაღლა დაიღრიალა: „გრე-ეტნა! გრე-ეტნა! ვინ გადმოდის გრეტნაში?“

ვაჟმა სიტყვის თქმაც ვეღარ მოასწრო; კონდუქტორმა დაავლო ხელი წამომდგარი ახალგაზრდა ქალის ჩემოდანს, გაუშვა წინ დედა-შვილი, უკან გაჰყვა მათ და კარი გაიხურა. მატარებელი ერთ წამს შეჩერდა, მერე ისევ დაიძრა. ვაჟმა მხოლოდ ფანჯრიდან დაინახა, რომ დედა-შვილი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ განის ვიწრო, ამტვერებულ ქუჩაზე და შორიდან ღიმილით თავს უკრავდნენ მას. ვაჟმა ქუდი მოიხადა და გამოთხოვების ნიშნად ხელი დაუქნია; მაშინ ახალგაზრდა დედამ შავი პირბადე აიხადა და რამდენჯერმე ღიმილით თავი დაუქნია მას. ბავშვმა კი თითები ტუჩებზე მიიკრა და შორიდან კოცნა გამოუგზავნა. ვაჟის მახსოვრობაში ღრმად ჩაიბეჭდა ეს მიმზიდველი სურათი მშვენიერი და კოხტა დედა-შვილის, რომლებიც ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ მდინარისაკენ.

— რა სულელი ვარ! რა მოუხერხებელი ვარ! — დაუწყო თავის თავს ყვედრება ვაჟმა, ჩაჯდა თუ არა ხელახლავ რბილ სავარძელში, — რატომ არ გავიგე მათი გვარი ან სახელი, რატომ არ გამოვკითხე, სად მიდიოდნენ! რატომ არ წავყევი, არ გავაცილე! როგორ გავუშვი ავადმყოფი დედა და ისეთი პატარა ბავშვი სულ მარტოდმარტო უცნობ ქალაქში! დედა ისე სუსტია, რომ ფეხებს ძლივს მიათრევდა. აქ კი ჩემოდანიც უნდა წაეღო! ღმერთო, რა სულელი ვარ! თითქმის გზაც არ გამიგრძელდებოდა, რომ გამეცილებინა! იმას

მაინც გავიგებდი, ვინ არიან. შემრცხვა, ვერაფერი ვკითხე... ნეტავი წავყოლოდი! ოჰ! ეს რა დავიწყებიათ?

და ვაჟი სწრაფად მივარდა იმ დივანს, სადაც რამდენიმე წუთის წინ დედა-შვილი ისხდნენ: იქ, გვერდზე, იდვა წითელი ტყავისყდიანი ლოცვანი ვერცხლის შესაკრავით, რომელზედაც ეწერა ასოები ჯ. და ჩ. მან გახსნა ლოცვანი. პირველ გვერდზე კაცის ხელით ინგლისურად ეწერა: **ჯენ ჩეტუინდს მამისაგან.**

ნიუ-იორკი, შობის წინ დღეს 18... წ.

— „ჯენ ჩეტუინდ!" უთუოდ ეს დედის სახელია. ბავშვის არ იქნება, ის ჯერ მარტო ხუთი წლისაა. „ნიუ-იორკი!" სამხრეთიდან მოდიან. მაშინვე მივხვდი... ა-ა! აი, მათი ოჯახის სურათიც!

სურათზე იყო დახატული მამა, დედა და პატარა ბავშვი. მამა — ლამაზი, მხიარული, ვაჟკაცური სახით, დედა — უზრუნველი ღიმილით ტუჩებზე და ყუყუნა თვალებში, მიმზიდველი, ნაზი და კოხტა; როგორ ირჩეოდა სურათზე მოღიმარი ახალგაზრდა ქალი ახლანდელისაგან, რომელსაც ისეთი მწუხარე, ნამტირალევი თვალები და ისეთი გამხდარი სახე ჰქონდა! ბავშვი „ლედი ჯენი" კი ადვილი საცნობი იყო, თუმცა სურათის გადაღების დროს უთუოდ მარტო სამი წლის იქნებოდა; სურათზედაც იგივე მშვენიერი, ხუჭუჭი თმა, იგივე მომხიბლავი ღიმილი და იგივე დიდი, ლამაზი თვალები ჰქონდა, როგორც ცხადად.

ამ ბავშვის ნაცნობი, მხიარული სახის ხელახლა დანახვამ ვაჟს გული სიყვარულით და სიამოვნებით აუძგერა...

— ნეტავი ნება მქონდეს, რომ ეს ხურათი აღარავის დავანებო!— უნებლიეთ გაიფიქრა მან. — მაგრამ არ შეიძლება, უნდა დავუბრუნო მის პატრონს! საწყალი ქალი, როგორ შეწუხდება, რომ დაინახავს, ლოცვანიც დამეკარგა და სურათიცო! ხვალვე განცხადებას მოვათავსებ გაზეთში. ამნაირად შეიძლება მათი მისამართიც გავიგო და ისევ ვნახო ორივე დედა-შვილი!

მეორე დღეს ნიუ-ორლეანის ყველაზე უფრო გავრცელებული გაზეთის მკითხველები ძალიან გაკვირვებულნი იყვნენ, რომ „დაკარგულია და ნაპოვნია-ს" განყოფილებაში ეს უცნაური განცხადება ამოიკითხეს:

ნაპოვნია

წითელი ტყავისყდიანი ლოცვანი ვერცხლის შესაბნევით და ზედ წარწერილი ასოებით: ჯ. ჩ.

მისამართი, ცისფერი ყანჩა № 111

ეს განცხადება მთელი ერთი კვირა იბეჭდებოდა იმავე გაზეთში,

იმავე გვერდზე, მაგრამ მასზე პასუხი არავინ გასცა და არც ლოცვანის წასალებად გამოცხადებულა ვინმე.

ჟოზენი

ჟოზენი თუმცა ამერიკაში იყო დაბადებული, მაგრამ შთამომავლობით ნახევრად საფრანგეთიდან, ნახევრად ისპანიიდან იყო; ეს იყო შუატანის, ჩასხმული და მოუხეშავი დედაკაცი; საოცარი შეხედულება ჰქონდა; ადამიანის ყურადღებას პირველ ნახვაზედვე მიიზიდავდა მისი დიდი, შავი ხავერდივით თვალები, არწივის ნისკარტივით მოკაკული ცხვირი და ძალიან თხელი ტუჩები, რომლებიც ადამიანს შორიდან ორ წითელ ხაზს მოაგონებდა. საერთოდ, ჟოზენი ძალიან ულამაზო იყო, მაგრამ ხანდახან მიმზიდველადაც მოეჩვენებოდა ადამიანს, თუ მისი სახის მარტო ზედა ნაწილს შეხედავდა; განსაკუთრებით იმ დროს, როცა ჟოზენი თავის დიდ, ლმობიერ თვალებს ზევით აწევდა, რასაც ის ძალიან ხშირად აკეთებდა; ამწამს, ვინც კი მის თვალებში ჩაიხედავდა — ვერ იფიქრებდა, რომ შეიძლებოდა ამისთანა თვალების მქონე ადამიანს დაბალი, ცუდი ხასიათი ჰქონოდა... მაგრამ საკმარისი იყო მისი სახის ქვედა ნაწილისათვის შეგეხედნათ, რომ ეს ქალი მაშინვე შეგძულებოდათ და შეგზიზღებოდათ.

ჟოზენს ორი სენი სჭირდა, ერთი: უსაზღვროდ უყვარდა თავისი ყოვლად ზნეგაფუჭებული შვილი ედრასტი, და მეორე: უსათუოდ სურდა ყველა ნაცნობი მასზე კარგი აზრისა ყოფილიყო.

ჟოზენი იყო მდიდარი მეპურის ერთადერთი ქალი. დედ-მამის სიკვდილის შემდეგ გვარიანი შეძლება დარჩა. ის ადრე გათხოვდა და ერთ ჭკვიანს, მაგრამ აე კაცს წაჰყვა. პირველ წელიწადს თავს ძალიან ბედნიერად გრძნობდა. მერე კი გამოაშკარავდა მისი ქმრის საძაგელი ხასიათი. ატყდა ცოლ-ქმარს შუა შეუწყვეტელი ჩხუბი და აურზაური. ერთხელ ქმარმა ჟოზენი კიბიდანაც კი გადმოაგდო და ფეხი მოსტეხა. მას აქეთ ჟოზენი მთელ თავის სიცოცხლეში კოჭლობდა. მეორე უბედურებაც მალე მოადგა კარზე. მისი ქმარი რაღაც ცუდკაცობაში დაიჭირეს და სამუდამოდ ჩაამწყვდიეს საპყობილეში. იქ ის მალე გარდაიცვალა. დარჩნენ ჟოზენი და მისი პატარა შვილი ულუკმაპუროდ. ჟოზენი იძულებული გახდა თვით ეშოვნა დღიური სარჩო და მის მაგივრად, რომ როგორც ქალიშვილობაში ოცნებობდა, დიდებულ ქალბატონად გამხდარიყო — სარეცხის მრეცხავად შეიქნა. ის ნიუ-ორლეანის ახლო, გრეტნაში დასახლდა და არჩეულ საქმეს შეუდგა. საშინლად წუხდა თავის მდგომარეობაზე. შუახნამდის მიღ-

წეულს, კოკლს, მას უკირდებოდა რეცხვით ფულის შოვნა და ხშირად მთელი დღეობით მშიერი იყო... ამას გარდა, არც ერთადერთი შვილი ედრასტი ასიამოვნებდა მაინცდამაინც თავისი ყოფა-ქცევით. ეტყობოდა, ყველაფერი მამის სიგლახე მასაც გამოკყოლოდა. სკოლაში ყველაზე უარესად სწავლობდა და ისიც ყველაზე გაფუჭებულ ბავშვად ითვლებოდა.

ჟოზენს პატარა, ერთსართულიანი სახლი ეკავა. ამ სახლში ორი ოთახი და ერთი პატარა სამზარეულო იყო. შესავალი პირდაპირ ქუჩიდან ჰქონდა, მხოლოდ კიბის ორ საფეხურზე უნდა ასულიყო ადამიანი, რომ პირდაპირ ოთახში შესულიყო.

ამ საღამოს ჟოზენი ჩვეულებრივად შავ ქვედატანში და თეთრ კაბის წელში გამოწყობილი თავის დერეფანზე იჯდა და მეზობლის ქალებს ელაპარაკებოდა. ისე ცხელოდა, რომ ადამიანს სული ეხუთებოდა. ჟოზენი რაღაც მოქანცულად გრძნობდა თავს და საძაგელ გუნებაზე იყო, მით უფრო, რომ დღეს უსიამოვნო ამბავი გადახდა თავს: ერთმა ვაჭრის ცოლმა ძვირფასი არშიები მისცა გასარეცხად. არშიები კარგად არ გაირეცხა. ვაჭრის ცოლმა ჟოზენი გალანძღა და ფული არ მისცა, თან გამოუცხადა, არც არშიებს ავიღებ შენგან, სანამ ხელახლავ არ გარეცხავო.

ჟოზენს კი ისე ეჭირვებოდა ფულები!

— მოიცადე, როგორ მოგანანო, შე წუწკო! — ბურდღუნებდა თავისთვის ჟოზენი, — ხელახლავ კი გავრეცხავ შენ არშიებს, მაგრამ ისე გავრეცხავ, რომ ჩაიცვამ თუ არა, მაშინვე შემოგეხევა! ღმერთო, რა დავიღალე! როგორ მშია! სახლში კი ყავისა და ციცი ბრინჯის შეჭამანდის მეტი არაფერი არა მაქვს!

მეზობლის ქალები დაიშალნენ. ჟოზენი მარტო დარჩა, ჩვეულებრივად ჩამოჯდა თავისი პატარა კიბის საფეხურზე და დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ რა კარგი იქნებოდა, ის რომ კოკლი არ ყოფილიყო.

— სადგურზე მაინც გავიქცეოდი, ხალხს თვალს გადავაელებდი! — ფიქრობდა ის.

სწორედ ამ დროს მოახლოვებული მატარებლის სტვენა გაისმა.

— დღეს ცოტა ხალხი მოვიდა! — თავისთვის წაილაპარაკა ჟოზენმა და მიაჩერდა იმ რამდენიმე მგზავრს, რომლებიც სადგურიდან ბორანისაკენ გაეშურნენ. ჟოზენის სახლი სწორედ იმ გზაზე იდგა, რა გზითაც მგზავრები ბორანისაკენ უნდა წასულიყვნენ. რამდენიმე წუთმა გაიარა. მგზავრებმა ჩაიარეს.

— ესენი ვინღა არიან? — გაიფიქრა ჟოზენმა და დაკვირვებით შეხედა შავით შემოსილ ქალს, რომელსაც გვერდით პატარა ომახუჯუჯა ქალი მოჰყვებოდა. — ესენიც, ეტყობა, ახლა მოსულან... მაგრამ

რატომ არ ჩქარობენ? ხომ გაასწრებს ბორანი? ღმერთმანი, უსათუოდ დააგვიანდებათ!

დედა-შვილი სახლს გაუსწორდნენ. ბავშვს ცალ ხელში მაღალი კალათი ეკავა, მეორე დედის კაბისათვის ჩაეკიდნა. ორივეს ეტყობოდათ, რომ არ იცოდნენ, საით წასულიყვნენ. დედას უნდოდა განეგრძო გზა, მაგრამ ბავშვმა შეაჩერა.

— დედა, მოიცა ცოტა, დაისვენე! — ხვეწნით მიმართა მან ახალგაზრდა ქალს.

შავებიანმა ქალმა აიხადა პირბადე, იქით-აქეთ მიიხედ-მოიხედა და მაშინვე დაინახა ჟოზენი, რომელსაც თანაგრძნობით მიეპყრო მისთვის თავისი დიდი, ლმობიერი თვალები.

— არ შეიძლება, რომ აქ ცოტა შევისვენოთ? — სუსტი ხმით მიმართა მან ჟოზენს. — საშინლად დავიღალე, ავად ვარ, მგონი გული მიწუხდება... ერთ ჭიქა წყალს რომ მომაწვდიდეთ — ძალიან მადლობელი ვიქნები...

— ახლავე, ძვირფასო ლედი, ახლავე. ოთახში შემობრძანდით, იქ ცოტა მოისვენეთ... სულ ერთია, ბორანზე კიდეც დაგაგვიანდათ.

დაღლილ-დაქანცული ახალგაზრდა ქალი სიამოვნებით შევიდა ოთახში, სადაც სიგრილე და სისუფთავე სუფევდა. განიერი, სუფთა და კოხტად დაგებული ლოგინი თითქო ყველას თავისკენ იზიდავდა. ჟოზენი ძალიან ამაყობდა თავისი ოთახების ლამაზი მოწყობილობით.

ახალგაზრდა ქალი უღონოდ ჩაეშვა სავარძელში და თავი ბალიშზე დაადო. სამგზავრო ჩანთა ხელიდან გამოუვარდა და იატაკზე დაეცა. ბავშვმა თავისი კალათი ძირს დადო, სიყვარულით მიეკრა დედას და შიშით დაუწყო თვალიერება ამ უცნობ და უცხო ოთახს. ჟოზენიც მალე შემოვიდა და თან ერთი ჭიქა წყალი და არშიების სარეცხი ნიშადურის სპირტიც შემოიტანა. მარდად მოხადა მან ავადმყოფს შლიაპა შავი სქელი პირბადით, გახურებულ შუბლზე სველი პირსახოცი მოუსვა და სპირტისათვის ასუნებინა. ბავშვი მაგრად ჩაბღაუჭებოდა დედის კაბას და წამდაუწუმ ჰკითხავდა მას:

— დედა, დედიკო, კიდევ გტკივა თავი? ხომ ნაკლებად გტკივა?

— ნაკლებად, ნაკლებად, შენ გენაცვალე! — უპასუხა დედამ, მერე მიუბრუნდა ჟოზენს და წყნარად, მადლობით უთხრა:

— გმადლობთ, ძალიან გმადლობთ! ახლა კარგად ვგრძნობ თავს!

— შორიდან მოდიხართ? — ჰკითხა ჟოზენმა, რომელიც ცდილობდა რაც შეიძლებოდა მეტი გრძნობა და ალერსი გამოეხატა თავის ხმაში.

— სენტ-ანტონიოდან რომ წამოვედი, მაშინაც ავად ვიყავი. — ახალგაზრდა ქალმა ისევ დახუჭა თვალები და მძიმედ მიებჯინა სა-

ვარძელს. პირველ შეხედვაზე შენიშნა ჟოზენმა, რომ მისი სტუმრები მდიდრები იყვნენ და მაშინვე იგრძნო, რომ რისამე გამორჩენას შეიძლებდა.

— ჰო, ჰო! გზა შორია... განსაკუთრებით ავადმყოფისათვის... — წაილაპარაკა მან თანაგრძნობით. — მდინარის გაღმა ხომ არავინ გელით? იქნება ვინმემ მოგაკითხოთ აქ?

— არა, არავინ გველის. ნიუ-იორკში მივდივართ. ჯეკსონის ქუჩაზე ნაცნობები მყავს. მინდოდა მათთან შემეღლო და ერთი-ორი დღით მომესვენა. ეჰ! ამ სადგურზე არ უნდა გადმოვსულიყავი. ფეხებს სულ ვეღარ ვათრევ!

— ნუ სწუხართ, ნუ, საყვარელო ლედი! — დაუწყო ახალგაზრდა ქალს დამშვიდება ჟოზენმა. — ცოტა მოისვენეთ ახლა... ამასობაში ბორანი დაბრუნდება, მე თვითონ გაგაღვიძებთ და კიდეც გაგაცილებთ ნავსადგურამდის. როგორც იქნება მოვახერხებ ამას, თუმცა, როგორც ხედავთ, ძალიან ვკოჭლობ. აქ მე ჩაგსვამთ ბორანში, იქით მხარეს კი ეტლები დაგიხვდებათ.

— მადლობელი ვარ... ძალიან კეთილი ყოფილხართ... — ძლივს წაილაპარაკა ახალგაზრდა ქალმა, გადაწია უკან თავი და თვალები დახუჭა.

რამდენიმე წუთს ჟოზენი დაკვირვებით დააშტერდა მის სახეს, მერე უცებ შეიცვალა სახის გამომეტყველება და მხიარული ღიმილით მიუბრუნდა პატარა ბავშვს:

— მომიახლოვდით, პატარა ლედი, შლიაპას მოგხდით და თქვენც თავს დაგისველებთ. უთუოდ ძალიან გცხელათ, არა?

— არა, მადლობელი ვარ! — მიუგო ბავშვმა. — მე აქ დედასთან მინდა ყოფნა.

— კარგი, ძალიან კარგი... მხოლოდ ეს მითხარით, რა გქვიათ?

— მე „ლედი ჯენი" მქვია! — სერიოზულად მიუგო ბავშვმა.

— ლედი ჯენი? სწორედ შესაფერი სახელი გრქმევიათ. ნამდვილი პატარა ლედი ხართ. ჩამოჯექით მაინც, უთუოდ დაიღლებოდით.

— მშია. ვახშამი მინდა. — გულწრფელად მიუგო ბავშვმა.

ჟოზენი მოიღუშა. მას გაახსენდა, რომ მის კარადაში არაფერი საჭმელი არ მოიძებნებოდა; ბავშვის გასართობად მან ლაპარაკს უმატა. უცებ მდინარიდან სტვენა მოისმა, ეტყობოდა, რომ ბორანი ბრუნდებოდა. ავადმყოფი ქალი წამოიწია და საჩქაროდ დაიხურა თავისი შლიაპა, ბავშვმა კი სწრაფად წამოაელო ცალი ხელი დედის ჩანთას, მეორე თავის მაღალ კალთას და მხიარულად წამოიძახა:

— მალე, მალე, დედა, წავიდეთ!

— ღმერთო, რა ფერმკრთალი ხართ! — წამოიძახა ჟოზენმა. — რა

გამხდარი! არა, თქვენ მგონი ჩემი დახმარებითაც კი ვერ მიაღწევთ ბორანამდის! ნეტა ჩემი რასტი იყოს სახლში! ისეთი ღონიერია! ხელში აგიყვანდათ და ისე ჩაგიყვანდათ მდინარემდის!

— იქნება რამენაირად მოვახერხო! — წაილაპარაკა ავადმყოფმა, წამოდგა, მაგრამ მაშინვე წაბარბაცდა და ჟოზენს რომ არ შეეკავებინა, იატაკზე დაეცემოდა.

ჟოზენი ჯერ დაიბნა, არ იცოდა რა ექნა. მერე კი ასწია ზევით ახალგაზრდა ქალი, უგრძნობლად დაასვენა ლოგინზე, გაუხსნა ღილები და ტანისამოსის გახდა დაუწყო. არ გაუვლია მეოთხედ საათს, რომ ავადმყოფი მოსვენებით იწვა ლამაზად დაგებულ სუფთა ლოგინში და თხელი საბანი ეხურა. პატარა ჯენი დედის გაციებულ ხელებს დაკკროდა და მწარედ ქვითინებდა.

— ნუ ტირით, პატარა ლედი, ნუ ტირით! — ამშვიდებდა მას ჟოზენი. — ის არ სჯობია, მე მომეხმაროთ? აი, დედას შუბლზე სპირტი წავუსვათ, მოუხდება.. ხედავთ, რა მოსვენებით წევს. მალე დაეძინება.

პატარა ქალი წამოდგა, ცრემლები მოიწმინდა, მოიხადა შლიაპა და დიდსავით დაკვირვებით გახსნა ჩანთა.

— აი, ეს სასუნებელია... ეს — ოდეკოლონი... — ამბობდა ის და თან ჩანთიდან შუშებს იღებდა. — დაუსველეთ დედას ცხვირსახოცი... უყვარს.

ჟოზენმა, რომელსაც ბავშვის არც ერთი მოძრაობა არ გამოპარვია, კარგად შენიშნა, რომ ჩანთაში ბევრი ვერცხლის ნივთი და გამოტენილი პორტმანე იდვა. მან ისარგებლა იმ წამით, როდესაც ბავშვმა დედის ცხვირს ოდეკოლონით დასველებული ცხვირსახოცი მიუახლოვა, ამოაცოცა ჩანთიდან პორტმანეც და რამდენიმე ვერცხლის ნივთიც — შედვა ისინი კარადის თაროზე, დაკეტა მისი კარები და გასაღები ჯიბეში ჩაიდვა.

„რასტს არ უნდა გამოვუჩინო ეს ნივთები, — გაიფიქრა მან, — თორემ ვინ იცის! ისეთი თავქარიანია, რომ შეიძლება დაეპატრონოს... და მერე პასუხისგებაში მიგვცემენ“.

დიდხანს იწვალა ჟოზენმა, სანამ ავადმყოფი მოასულიერა. პატარა ჯენი გულმოდგინედ ეხმარებოდა მას, თან ცრემლებს იკავებდა და ცდილობდა რაც შეიძლება ნელა და ფრთხილად ეელო, რომ დედა არ შეეწუხებინა.

ბოლოს ახალგაზრდა ქალი შეკრთა, დაიკვნესა და თვალები ნახევრად გაახილა; მაგრამ ამ მიბნედილი თვალების გამომეტყველება ცხადად ამტკიცებდა, რომ ის მაინც უგრძნობლად იყო, ვერავის ცნობდა და ვერაფერს ხედავდა.

— დედა, ჩემო დედიკო, უკეთ ხარ? — აკანკალებული ხმით შეეკითხა დედას პატარა ჯენი, მოჰხვია მას ორივე ხელი და მხურვალედ დაუწყო კოცნა.

— ხომ ხედავთ, დედამ თვალები გაახილა! მაშ, რასაკვირველია, უკეთ ყოფილა... ოღონდ ძალიან დაღლილია და ძილი, მოსვენება ეპირვება. — ალერსიანად ამშვიდებდა ჟოზენი პატარა ქალს. — თავი დაანებეთ, ნუღარ შეაწუხებთ... დააცადეთ ძილი, თქვენ კი ცოტა რამ მიირთვით. აი, რძე და მოხარშული ბრინჯი მოგიტანეთ, ივახშმეთ. მერე მე თვითონ გაგხდით, ჩანთიდან რომ საღამური პერანგი ამოიღეთ, იმას ჩაგაცმევთ და ლოგინში ჩაგაწვენთ, დედათქვენის გვერდით. დილამდის მოისვენეთ, დილას კი ორივე კარგად იქნებით.

„ლედი ჯენი“ ყველაფერზე დაეთანხმა, მხოლოდ არაფრით არ უნდოდა დედის ლოგინს მოსცილებოდა.

— არ შეიძლება აქ ეკამო ვახშამი, დედის გვერდით? — ჰკითხა მან ჟოზენს, — აი, აქ, ლოგინზე დავჯდები.

— კარგი, სადაც გინდოდეთ, იქ ჭიირთვით. აი, ამ პატარა მაგიდას მოგიწევთ და ზედ დაგიდგამთ რძესაც და ბრინჯსაც.

ჟოზენმა მარდად მოაწყო ყველაფერი ისე, როგორც პატარა ჯენს უნდოდა და მერე ლმობიერი ღიმილით დაუწყო თვალის დევნება ბავშვს, რომელიც ძალიან მადიანად შეექცეოდა თავის მცირე ვახშამს. მერე ისევ მიალაგა მაგიდა და საინები, ბავშვს პირი დაბანა, ტანისამოსი გახადა, ღამის გრძელი პერანგი ჩააცვა, დაუვარცხნა და დაუწნა სქელი და გრძელი, ოქროსფერი თმა და ის იყო, ხელში აიყვანა, რომ დედის გვერდით, ლოგინში ჩაეგორებინა, რომ ჯენმა უეცრად შეაჩერა და წყენით შესძახა:

— ნუ მაწვენთ ჯერ! რომ არ მილოცნია?

ბავშვის დიდ, ცისფერ თვალებში ყვედრება იხატებოდა; ის გამოუსხლტა ჟოზენს ხელიდან, დაიჩოქა ლოგინზე და ხმამაღლა წაილაპარაკა:

— დედას სძინავს, ვერ გაიგონებს ჩემ ლოცვას... ღმერთი კი გაიგონებს. მას არაოდეს არ ძინავს...

და დაჩოქილმა ბავშვმა დაბალი ხმით წაიკითხა მოკლე, ბავშვური ლოცვა, რომელსაც ბოლოს თვითონ დაუმატა შემდეგი სიტყვები: „ღმერთო! ხვალისთვის ჩემი დედა სულ კარგად გახადე და ორივე წაგვიყვანე აქედან!“

ამის შემდეგ ბავშვი წამოდგა და დაწოლას აპირებდა, მაგრამ უცებ თვალი მოჰკრა მაღალ კალათს, რომელიც კუთხეში მიაგდო იმ წამს, დედამისს რომ გული შეუწუხდა.

— ღმერთო, ეს რა მომივიდა! — წამოიძახა ბავშვმა, უცებ ჩამოსრიალდა ლოგინიდან და კალათთან მიირბინა, — ჩემი ტონი სულ დამავიწყდა.

— ეგ რა არის! — შეკრთომით შეეკითხა ჟოზენი, რომელიც შეაშინა კალათში ვიღაცის გაშმაშურებამ, — ვინ არის კალათში?

— ჩიტი. ცისფერი ყანჩა. — ღიმილით უპასუხა პატარა ჯენმა. — ვაგონში მაჩუქა ერთმა კარგმა კაცმა...

— თქვენი ნაცნობია ის კაცი?

— არა. დღეს პირველად შევხვდით. — წყნარად გაიცინა „ლედი ჯენმა", — მართალი რომ ვთქვა, მისი გვარი არც კი ვიცი. ხომ უზრდელობა იქნებოდა რომ მეკითხა!

— რასაკვირველია, რასაკვირველია...—დაეთანხმა ჟოზენი.—მაგრამ ერთი ეს მითხარით, რას უპირებთ ახლა მის გრძელფეხა ყანჩას?

— ეს ხომ ცისფერი ყანჩაა! ძალიან იშვიათია ამისთანა ყანჩები! — მიუგო ბავშვმა, კალათას თავი მოხადა და ფრინველი ზევით ამოათრია.

შომხიბლავ სურათს წარმოადგენდა ამ დროს ეს პატარა მშვენიერი ქალი საღამურ პერანგში, რომელსაც ხელში გრძელფეხა და გრძელნისკარტა ცისფერი ყანჩა ეჭირა.

— მეშინია ამის ღამე ასე დატოვება... ვაი თუ გაიქცეს! — დაფიქრებით წაილაპარაკა „ლედი ჯენმა"...—უთუოდ ახლა კიდეც ჰშია და სწყურია... რა ექნა?

— აი, რა! — ურჩია ჟოზენმა, რომელიც ცდილობდა რამენაირად მოეგო ბავშვის გული, — სამზარეულოში მე ერთი გალია მაქვს, უწინ შიგ თუთიყუში იჯდა... აი, იმ გალიას მოგიტანთ.

— მადლობელი ვარ! — ზრდილობიანად დაუმადლა ბავშვმა, — როცა დედა გაიღვიძებს, ისიც დაგიმადლებთ.

ჟოზენმა მოიტანა გალია, ჩადგა შიგ ბრინჯით სავსე ლამბაქი და მეორე ლამბაქით — წყალი. „ლედი ჯენმა" შიგ შესვა ყანჩა, კარი გამოუკეტა, მერე ფრთხილად ავიდა საწოლზე და დედას გვერდით მიუწვა. საშინლად უნდოდა ერთხელ მაინც ეკოცნა დედისათვის, მაგრამ მისი გაღვიძებისა და შეწუხებისა შეეშინდა.

ერთ წამს იქით დაღლილ-დაქანცულ ბავშვს ტკბილად ჩაეძინა. თითქმის ნახევარ საათს ერთ ადგილიდან არ განძრეულა ჟოზენი. იგი იმ ფიქრში იყო გართული, თუ რა მოელოდა მის ავადმყოფ სტუმარს, ავადმყოფობა თუ გაგრძელდებოდა.

„თუ აქ დავტოვებ, ჩემთან, და გულმოდგინედ მოვუვლი, — ფიქრობდა ის. — რასაკვირველია, კარგად დამასაჩუქრებს; ჩემის აზრით, ბევრად უფრო სასიამოვნოა ავადმყოფის მოვლა, ვიდრე გაამპარტავ-

ნებული ქალბატონებისათვის არშიების რეცხვა. ამ ქალს მგონი ცხელება ეწყება, ახლავე ეტყობა, რომ დიდხანს ვერ მორჩება... ცოდვაც არის ახლა მაგისი სახლიდან გაგდება, საავადმყოფოში წათრევა... თუ გაწყრა ღმერთი და მოკვდა — მე რა დამაკლდება, ყველაფერ ხარჯს მაგისივე ფულები დაფარავს. აგერ, როგორი გატენილი საფულე აქვს! ოღონდ ფრთხილად კი უნდა ვიყო... ექიმიც უნდა მოვიყვანო, თუ არა, მერე იქნება გამამტყუნონ, კარგად არ მოგივლიაო... აი, რას ვიზამ: თუ ხვალისათვის უკეთ არ გახდა — ექიმ დებროს მოვიყვან. ავადმყოფები ისე ცოტა ჰყავს, რომ სიამოვნებით მოირბენს... სიბერისაგანაც ისეა გამოჩურჩუტებული, რომ არც კი არაფერს მკითხავს ავადმყოფის ჩემთან ყოფნის შესახებ... ახალგაზრდობაში კი კარგი ექიმი ყოფილა თურმე, ამბობენ.

რამდენსამე ხანს შემდეგ ჟოზენი აივანზე გამოვიდა და იქ დაუწყო ლოდინი თავის შვილს. სულ უარესი და უარესი ფიქრები უტრიალებდა მას თავში. გატენილი საფულე და მშვენიერი ვერცხლის ნივთები, რომლებიც ახალგაზრდა ქალის სამგზავრო ჩანთაში ნახა — მას მოსვენებას არ აძლევდნენ. ფულები და სიმდიდრე — ერთადერთი მიზანი იყო მისი ცხოვრებისა. შრომა მას არ უყვარდა, სხვის წინაშე თავის დამცირება სიღარიბის გამო, ჭირივით ეზარებოდა. რა ბედნიერი იქნებოდა ჟოზენი, რომ გაძდიდრებულიყო და შეძლებოდა იმ ამპარტავანი ქალბატონისათვის, რომელმაც გარეცხილი არშიები დაუწუნა, ამაყად ეთქვა: „ვისაც გინდათ მიეცით თქვენი არშიები, მე იმათი რეცხვის თავი არა მაქვსო!“ რა ბედნიერი იქნებოდა ჟოზენი, უცებ რომ ბევრი, ბევრი ფულის პატრონი გამხდარიყო! რასტი ყოჩაღია! თუ ფული ჩაიგდო ხელში — მაშინვე რამე სარგებლიან საქმეს დაადგება!

უცებ ოთახიდან ავადმყოფის კვნესა მოისმა, მერე ისევ მიყუჩდა ყველაფერი. ჟოზენი უნებლიეთ შეკრთა. მას მოეჩვენა, რომ ვინმემ მიუყურა და გაიგო, რა ფიქრებიც ტრიალებდა მის თავში, მაგრამ ერთ წამს ისევ დამშვიდდა და ისევ განაგრძო იმავე საგანზე ფიქრი. „ეჰ! მგონი საჭიროც არ არის რასტს ყველაფერი გავაგებინო! — უცებ გაუელვა მას გულში. — დამალულ საფულეზე და ვერცხლეულზე არაფერს ვეტყვი. ჩანთაში ნაპოვნ რკინიგზის ბილეთებს, ბარგის მისაღებ ქვითრებს, ბანკის ბილეთებს და წერილ ფულს კი ვაჩვენებ!“ — გადაწყვიტა მან ბოლოს.

სწორედ ამ დროს მოისმა ფეხის ხმა. ედრასტი მხიარული სიმღერის ღიღინით ბრუნდებოდა სახლში. ჟოზენი წამოხტა ადგილიდან და კოპლობით გაექანა შვილის შესახვედრად, შეეშინდა, ხმაურობაზე ავადმყოფს არ გაღვიძებოდა.

ედრასტი მაღალი და ფართო მხარბეჭიანი, წითელთმიანი, შავთვალა ყმაწვილი იყო, ყოველთვის ძალიან კარგად და კოპწიად ჩაცმული. შეხედულობაზე ეტყობოდა, რომ ჭკვიანი, მარჯვე და დაკვირვებული ადამიანი იყო. დედამისი ყოველთვის ამბობდა, რასტი მამასავით ეშმაკი და გაიძვერაა, ამიტომ მისი ნდობა საფრთხილო არისო.

შვილმა მაშინვე შენიშნა, რომ დედამისი აღელვებული იყო და მიხვდა, რომ რაღაც მომხდარიყო, მით უფრო მის შესახვედრად დედის გამოქცევა უჩვეულო ამბავი იყო.

— დედა, რა დაგემართა? — შეეკითხა ის.

— ნუ ყვირი, რასტ, ნელა ილაპარაკე! დაჯექი აგერ, კიბეზე და ყველაფერს გიამბობ.

და დედამ მოკლედ უამბო მგზავრების მის სახლში მოსვლა და ახალგაზრდა ქალის უეცარი ავადმყოფობა.

— მაშ ახლა ჩვენსას არიან, იქ? — ჰკითხა ედრასტმა და თავისი სქელი თითი ოთახისაკენ მიაშვირა. — მშვენიერებაა, რაღა თქმა უნდა! დაგიხვევია თავზე ავადმყოფი და ისიც პატარა შვილით!

— აბა რა მექნა? — გაცხარდა ჟოზენი, — ქუჩაში ხომ ვერ გავაგდებდი ავადმყოფ ქალს, მერე ღამეში? დიდი რამეა, ერთი ღამით თუ ჩემი ლოგინი ვათხოვე

— ვინ არის, როგორია? იქნება მათხოვარია? ბარგი აქვს რამე? ფული ხომ არ შეგინიშნავს? — ცნობისმოყვარეობით დაუწყო კითხვა ედრასტმა.

— ოჰ, ღმერთო, რასტ, რასტ, — წამოიძახა ჟოზენმა. — მე რა ვიცი! ჯიბეებს ხომ ვერ დავუსინჯავდი? ვიცი მხოლოდ, რომ ორივე მშვენივრად არიან ჩაცმულნი, ახალგაზრდა ქალს ძვირფასი საათი და ძეწკვი აქვს, სამგზავრო ჩანთაში კი რამდენიმე ვერცხლის ნივთს მოვკარი თვალი.

— ოჰ, რა მიხარია! — გამხიარულდა ედრასტი, — ეტყობა, მდიდრები არიან... მაშ ხვალ, წასვლას რომ დააპირებენ, უთუოდ ხუთ დოლლარზე ნაკლებს არ დაგიტოვებენ!

— არა მგონია ხვალ წასვლა მოახერხონ, დარწმუნებული ვარ, დიდხანს ვერ წამოდგება ლოგინიდან საწყალი ახალგაზრდა ქალი. თუ ხვალ უკეთ არ გახდა, წადი და ექიმი დებრო მოიყვანე

— რისთვის? ავადმყოფს აქ ხომ ვერ დაიტოვებ, საავადმყოფოში უნდა გაგზავნო. არც გვარი იცი მისი და არც სახელი, არც ის, საიდან

მოდის და არც ის, სად მიდის... ხელში რომ შემოგაკვდეს — რაღას აპირებ?

— თუ ვუწამლე და მოვუარე, ის კი მაინც მოკვდა — ჩემი რა ბრალი იქნება? — დაეკითხა ჟოზენი შვილს — მაშინ ნება მექნება მის ქონებას მე დავეპატრონო.

— საკმარისია კი მისი ქონება, რომ შრომისათვის შესაფერი ჯილდო დაგრჩეს? — ჰკითხა რასტმა და უცებ ღიმილით სტვენა დაიწყო. — ეჰ, დედაჩემო, ეშმაკი კი ხარ, მაგრამ მე მაინც კარგად მიგიხვდი, რასაც აპირებ!

— არ მესმის, რისი თქმა გინდა! — გაცხარებით წამოიძახა ჟოზენმა. — რა არის აქ მისახვედრი? რასაკვირველია, თუ ავადმყოფს მოვუვლი, თუ მისი გულისთვის თავს შევივიწროვებ—უფლება მაქვს ჯილდოც მოვითხოვო. საავადმყოფოში მისი მიცემა კი არ მინდა, რადგანაც ძალიან მებრალება.

— აასრულე, აასრულე, დედილო, ყველაფერი, რაც გადაგიწყვეტია... ეს კია, რომ მებრალება, ძალიან მებრალება საცოდავი ახალგაზრდა ქალი! — ღიმილით დაათავა მან.

დედამ აღარაფერი უპასუხა და ერთხანს ორივე ჩუმად იყვნენ.

— ფული ხომ არ მოგიტანია! — უცებ მიუბრუნდა ჟოზენი შვილს,—ვახშამი არ მიჭამია... არ შეიძლება ყველი და პური იყიდო?

— ფული ხომ არ მომიტანია? აი, თუ არა! — უპასუხა ედრასტმა და ჯიბიდან ერთი მუჭა ვერცხლის ფული ამოიღო! — აი, რამდენი მოვიტანე!

ერთ საათს შემდეგ ჟოზენი და მისი ვაჟი მხიარულად ვახშმობდნენ სამზარეულოში.

ავადმყოფ ქალს და მის პატარა შვილს მოსვენებით ეძინათ ოთახში.

უკანასკნელი დღეები გრეტნაში

მეორე დილას ახალგაზრდა ქალი ისევ უგრძნობლად იყო. შუბლი ისეთი ცხელი ჰქონდა, რომ ადამიანს ხელს სწვამდა, ლოყები მთლად ანთებოდა. ეტყობოდა საშიშ მდგომარეობაში იყო. ჟოზენმა ედრასტი დებროს მოსაყვანად გაგზავნა, მაგრამ ექიმთან წასვლამდის დედაშვილმა ახალგაზრდა ქალის სამგზავრო ჩანთა სამზარეულოში შეათრიეს და გულმოდგინედ გაჩხრიკეს. საცვალი, ბილეთები, ქვითრები — ყველაფერი რიგზე იყო ჩალაგებული, მაგრამ არსად ჩანდა არც რაიმე წერილი, არც სურათები, არც ანგარიშები... მხოლოდ საცვალ-

ზე და ვერცხლის ნივთებზე დაწერილი ასოები „ჯ“ და „ჩ“. ამტკიცებდა, რომ ყველაფერი, რაც ჩანთაში იყო — ერთსა და იმავე პირს ეკუთვნოდა.

— არ სჯობს ახლავე თან წავიღო ქვითრები და მათი ბარგი გამოვიტანო? — ჰკითხა ედრასტმა დედას, მართლაც აიღო ქაღალდები და ჯიბეში ჩაიდო. — თუ ქალი გამოერკვევა — უთხარი, რომ საცვალი ან ტანისამოსი დასჭირდა და იძულებული გავხდით მათი ზანდუკები გამოგვეტანა. ასე ვქნა, არა? — ეშმაკური ღიმილით ჩაჰკითხა შვილმა ჟოზენს, ჟოზენმა კი არაფერი უპასუხა, ისევ დაკეტა ჩანთა და დაჩქარება დაუწყო შვილს.

— ჩქარა, ჩქარა წადი და მალე მოიყვანე ექიმი! ლედი ძალიან ავად არის. მეშინია, პატარა ქალმაც არ გაიღვიძოს და ტირილი არ მორთოს!

ედრასტი გაქანდა ბორანისაკენ.

ექიმი დებრო მართლაც სულ გამოჩერჩეტებული იყო. ავადმყოფის დათვალიერების შემდეგ გამოაცხადა, საშიში ამის მდგომარეობაში არაფერი არისო. ჟოზენმა დაარწმუნა, ეს ჩემი ნათესავი ქალია და ტეხასიდან მესტუმრაო.

— ცივება აქვს, სხვა არაფერი! — არწმუნებდა თავის მხრივ დებრო. — დიდხანს ლოგინში წოლა არ დასჭირდება, კრიზისი მალე იქნება. ყოველ ღონისძიებას ვიხმარ მალე მოვარჩინო. თქვენც კარგი მოვლა იცით ავადმყოფის, ამაში მე ხოლერობის დროს დავრწმუნდი.

ამას შემდეგ მან ახალგაზრდა ქალს წამალი გამოუწერა და ჟოზენს რამდენიმე დარიგება მისცა, თან სიყვარულით თავზე ხელს უსვამდა პატარა ჯენს, რომელსაც გაღვიძებოდა და თავისი დიდი, ცისფერი თვალები დედისთვის მიეპყრო.

ექიმი რომ წავიდა, ჟოზენის სახლს დიდი ხმაურით მიუახლოვდა დროგი, რომელზედაც ორი ვეებერთელა ზანდუკი იდო. მედროგეს დახმარებით ედრასტმა ორივე ზანდუკი საწოლი ოთახის გვერდით, პატარა ოთახში შეიტანა. ძვირფასი ზანდუკები ძალიან ირჩეოდა ყველა დანარჩენი საგნებისაგან, რომლებიც კი ოთახში ელაგა.

„ავადმყოფი რომ მოკვდეს — როგორ უნდა მოეახმაროთ ამდენი ნივთები?“ — გაუვლო თავში ჟოზენს.

დრო წავიდა. სახლის მწვანე კარი მიიკეტა და თითქოს სამუდამოდ დამალა და გააქრო მთელი დანარჩენი ქვეყნისათვის საცოდავი ახალგაზრდა ქალისა და მისი პატარა შვილის კვალი.

ექიმი დებრო ხშირად დადიოდა და ყოველთვის უფრო და უფრო გულდაწყვეტილი ბრუნდებოდა ბინ; ახლა იმანაც შეიტყო, ახალგაზრდა ქალის მდგომარეობა რომ უიმედო იყო, და გული ეწოდა,

პატარა ჯენს რომ უყურებდა. გამხდარი, გაყვითლებული და დაღონებული ბავშვი მთელი დღეები ხმაამოუღებლად იჯდა ლოგინზე დედის გვერდით, გამოუთქმელი ტანჯვა რომ ემჩნეოდა დიდ ცისფერ თვალებში და მთელ პატარა, ლამაზ სახეზე. ყოველი მისი შეხედვა გულს უკლავდა კეთილ მოხუც ექიმს და ის ყოველთვის არწმუნებდა ბავშვს, დედაშენი მალე მორჩებაო. ბავშვსაც საშინლად უხაროდა მისი მოსვლა და ყოველთვის მოუთმენლად მოელოდა მას.

ჟოზენი გულმოდგინედ უვლიდა როგორც ახალგაზრდა დედას, ისე მის პატარა ქალსაც და თვითონვე ძალიან აღტაცებული იყო თავისი ასეთი უანგარო ქცევით.

— აბა, სხვა ვინ იზამდა ამას ჩემ ადგილას? — ხშირად დაეკითხებოდა ხოლმე ის თავის შვილს. — ვინ მოუვლიდა ასე ან დედას და ან შვილს? თითქოს ჩემიანები იყვნენ, ისე შემიყვარდნენ! ერთადერთი ჩემში იპოვეს საწყლებმა ნუგეში და დახმარება!

ამნაირი სიტყვებით ჟოზენი ცდილობდა თავისი თავიც კი დაერწმუნებინა იმაში, რომ მართლა უანგაროდ იქცეოდა.

გავიდა თორმეტი დღე მას შემდეგ, რაც ჯენი და დედამისი გრეტნაში მოვიდნენ და აი, ერთ დილას. ჟოზენის სახლიდან ბორანისაკენ მიცვალებულის კუბოს მიასვენებდნენ. ყველა ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა კარგად მორთულ ედრასტს, რომელიც ექიმ დებროსთან ერთად ეტლში იჯდა და კუბოს უკან მიჰყვებოდა.

— ტეხასელ ქალს მარხავენ, ჟოზენის ნათესავს. ამას წინათ სტუმრად ჩამოვიდა ჟოზენთან და გუშინ გარდაიცვალა საწყალი! — ლაპარაკობდნენ ხალხში. — პატარა ქალი ჰყავს; წუხელი ისიც ავად გამხდარა, უგრძნობლად არის თურმე. ჟოზენი უვლის, იმიტომ არ ესწრება დასაფლავებას. იმათსას მისვლა ახლა საშიშიც არის, ექიმი დებრო ამბობს, ეს ავადმყოფობა გადამდებიაო.

სასაფლაოზე ჟოზენის დედის ოჯახს საკუთარი ადგილი ჰქონდა და ახალგაზრდა ქალი იქ დაასაფლავეს, მისთვის სრულიად უცხო ადამიანთა შორის.

ედრასტი რომ შინ დაბრუნდა, დედამისი საქანაო სკამზე იჯდა ლოგინის გვერდით. ლოგინში კი უგრძნობლად იწვა პატარა „ლედი ჯენი“. მისი ოქროსფერი თმა ლამაზად გაბნეულიყო ბალიშზე და გარს შემოხვეოდა ანთებულ ლოყებიან და ღრმად ჩავარდნილ თვალებიან ლამაზ სახეს. ცხადი იყო, რომ ბავშვს დედისაგან სახადი გადასდებოდა.

მთლად შაეებში მორთული ჟოზენი კარებშივე მიეგება შვილს და ტირილით უთხრა:

— შვილო, შვილო, როგორ დავისაჯეთ ჩვენი კეთილი ბულის

გამო! თავგანწირულად ვუვლიდი უცხო ახალგაზრდა ქალს, არაფერს ვზოგავდი მისთვის, მოკვდა — ჩემს სასაფლაოზე დავმარხე — და აი, ახლა მისი შვილიც ხდება ავად! დებრო ამბობს, ეს ავადმყოფობა გადამდებიაო. ახლა ჩვენც გადაგვედება და მოვკვდებით!

— არაფერია, დედილო, ნუ გეშინია! დებრომ უთუოდ არც კი იცის, რა ავადმყოფობაა ეგ და ისე ლაპარაკობს! — გულგრილად უპასუხა ედრასტმა. — ყველაფერს ემჯობინება უცხო არავინ შემოვუშვათ სახლში... არც არავინ მოვა, ყველას შეეშინდება, ჩვენც არ გადაგვედოსო. მე დროებით ქალაქში გადავსახლდები, შენ კი არაფერი გადაგედება. გავა რამდენიმე დღე, ვნახოთ, მოკვდება თუ მორჩება ბავშვი და მერე სადმე სხვაგან გადავიდეთ და იქ მოვეწყოთ საცხოვრებლად.

— კარგი, შვილო! — დაეთანხმა ჟოზენი და დამშვიდებით თვალებზე ცრემლები მოიწმინდა. — არავის არა აქვს ნება თქვას, რომ ნე ავადმყოფს რამე დავაკლე. ახლა კი სანამ ძალ-ღონე შემწევს, მის შვილსაც ისე მოვუვლი. ძნელია, რასაკვირველია, ასეთ სიცხეში სულ ოთახში ჯდომა, მაგრამ რა გაეწყობა! ერთი მხრივ კარგიცაა ბავშვმა რომ გრძნობა დაკარგა, გული მიკვდებოდა, მაგის მწუხარებასა და სასოწარკვეთილებას რომ ვუყურებდი! საწყალი, საწყალი ახალგაზრდა ქალი! ისეთი ლამაზი, მშვენიერი... საშინელებაა უცხო ქვეყანაში სიკვდილი!

ლედი ჯენი მეგობარს შოულობს

პირველ ხანებში, ლედი ჯენის დედის სიკვდილის შემდეგ, ჟოზენმა ნება არ მისცა ედრასტს დარჩენილი ქონებისათვის ხელი ეხლო.

— ცოტა მაინც მოვითმინოთ! — ეუბნებოდა ის შვილს, — ვინ იცის, იქნება ნათესავებმა ძებნა დაუწყონ. კარზე მოგვადგნენ... მაშინ ხომ ანგარიშს მოგვთხოვენ... იფიქრებენ, რომ გავცარცვეთ... ზანდუკებს თუ არ გავხსნით — მაშინ კი ჩვენზე იქვის აღების ნება არავის ექნება... პირიქით, ყველა იტყვის, რომ ჩვენ ქრისტიანულად მოვიქეცით, დედას ვუვლიდით, მერე ჩვენს სასაფლაოზე დავმარხეთ, შვილს კი ჩვენს ოჯახში ბინა გავუჩინეთ... მაშინ კარგადაც დაგვასაჩუქრებენ...

ედრასტს კარგად ახსოვდა რა ბედი ეწია მამამისს კანონის ბრქყალებში ჩავარდნით, ძალიან ეშინოდა თვითონაც ისე არ დამართო-

და და ამიტომაც დედის რჩევა დაიჯერა. გულმოდგინედ დაიწყო მან კლუბში სიარული და ყველა გაზეთების თვალის დევნება, მაგრამ არსად არ იყო არც ერთი სიტყვა დაკარგული ახალგაზრდა ლედისა და მისი პატარა ქალის შესახებ. ცისფერი ყანჩის განცხადება ამ დროს აღარ იბეჭდებოდა.

გაიარა ექვსმა კვირამ. დედა-შვილი დარწმუნდნენ, რომ საშიში აღარ იყო რა, დამშვიდდნენ და შეუდგნენ თავის ჯანზრახვების სისრულეში მოყვანას. ამგვარად გადასახლდნენ ისინი „კეთილი ბავშვების“ ქუჩაზე. ახალგაზრდა ლედის ნივთებს შორის ჟოზენმა ნახა ინგლისურ ენაზე დაწერილი წერილებით გატენილი პატარა ყუთი. მან გადაწყვიტა ამ წერილებიდან გაეგო ლედი ჯენის ვინაობა, მაგრამ ინგლისურის კითხვა კარგად არ იცოდა, წერილების ვისმესთვის ჩვენება კი ეშინოდა... ამიტომ ჯერჯერობით ყუთის შენახვა არჩია... ერთ საღამოს, როცა ჟოზენი სხვაგან წავიდა, ედრასტმა მოძებნა ეს ყუთი და ცეცხლში დაწვა ყველა ქაღალდი, რაც კი ნახა.

დარჩენილი ნივთებით ჟოზენმა მაღაზიის გახსნა გადაწყვიტა. ბავშვის ტანისამოსებში მან ამოარჩია უფრო უბრალო და ყოველდღე სატარებელი ტანსაცმელი, ყველაფერი დანარჩენი კი გასაყიდად გადადო. ასევე მოექცა მიცვალებული ლედის ტანისამოსსაც. ყველაფერი საუკეთესო გასაყიდად გადადო, დანარჩენი თავისთვის გამოიყენა.

მაგრამ ჟოზენი სრული მოსვენებული მაინც ვერ იყო. როცა სხვის ზანდუკებიდან ამოღებულ ძვირფას საცვალს და ნივთებს მაგიდებზე აწყობდა და გასაყიდად ამზადებდა. მას ეშინოდა პატარა ლედი ჯენის, ეშინოდა, ვაითუ ბავშვმა ყველა ეს იცნოს და ჩხუბი ამიტეხოსო. ამიტომ ის მოუთმენლად ელოდა იმ დილას, როდესაც ლედი ჯენი პირველად ნახავდა მორთულ მაგიდებს...

ეს დილაც დადგა. ლედი ჯენი ადგა და გამოვიდა თავისი ოთახიდან ფერმიხდილი და გაწეწილი, შეუკვრელი კაბით, თავისი ცისფერი ყანჩით ხელში... ის განის კარისაკენ წავიდა და აივანზე გასვლა დააპირა. დიდი ოთახისკენ, სადაც მაგიდები მოფენილი იყო და რომლის კარებთანაც მას ჟოზენი უცდიდა, ბავშვს არც კი მოუხედნია.

— მოდი აქეთ, ლედი, კაბას შეგიკრავ! — დაუძახა მოთმინებიდან გამოსულმა ჟოზენმა, — მაგხელა ქალი ხარ და არა გრცხვენიან, თმის დავარცხნაც არ შეგიძლიან! სად უნდა გსდიო კუდში, მე უშენოდაც ბევრი საქმე მაქვს! — და ჟოზენმა ბავშვის გრძელ ოქროსფერ თმას ვარცხნა დაუწყო.

ლედი ჯენი ზანტად მიბრუნდა მაგიდებისაკენ და უცებ გულმოსულად წამოიძახა:

— ეს დედას ყუთია! როგორ გაბედეთ ამის წაღება? — და მან უცებ სტაცა ხელი ვერცხლის ლამაზ და ძვირფას ყუთს, მიიხუტა ის გულში და თავის ოთახისკენ გაიქცა.

ყუთი მთელი დღე არ მოუშორებია; საღამოს რომ დაწვა, ლოგინშიც კი ჩაიტანა. ჟოზენს ამისთვის თითქოს ყურადღებაც არ მიუქცევია; მხოლოდ როცა ბავშვს ჩაეძინა, მაშინ მიუახლოვდა მის ლოგინს, გაუხსნა პატარა თითები, გამოაცალა ყუთი და შორს გადამალა.

— თვალითაც აღარ დავანახვებ! — ჩადაწყვიტა მან. — რა ვქნა, მყიდველებთანაც რომ ასე ქნას! მხოლოდ მაშინ მოვისვენებ, როცა ყველა იმას, რაც ამის დედას ეკუთვნის, თავიდან მოვიშორებ, გავყიდი!

—

— დღეს ეს მეხუთე მყიდველი შევიდა ჟოზენთან! — ამბობდა ერთ დილას პეპსი. — და არც ერთი ხელცარიელი არ გამოსულა!

— ბავშვები, ბავშვები როგორ ეხვევიან მის სახლს! — თქვა შავმა „თაგუნამაც", — მაგრამ ისინი მყიდველები არ არიან. ისინი სულ იმ პატარა ქალს და მის ყანჩას უყურებენ... საწყალი ბავშვი! სულ მარტო ზის ხოლმე აივანზე და სულ თავის ყანჩას ეფერება! უთუოდ ძალიან მოწყენილია!

— როგორ მინდა იმ ბავშვის და მისი ფრინველის ახლო ნახვა! — ამოიოხრა პეპსიმ.

— ქუჩის ბავშვები ამბობენ, მის პიპ, რომ ის ფრინველი თევზია[1], — თქვა ისევ „თაგუნამ" — მაგრამ მე მგონია, რომ ცრუობენ თევზს რა უგავს, ნამდვილი ყანჩაა!

— წადი, მიდი ღობესთან და იმ ბავშვს უთხარი, რომ ძალიან მინდა მისი და მისი ფრინველის ნახვა, — უცებ მიუბრუნდა თაგუნას პეპსი, — უთხარი, რომ აქ მოვიდეს... თუ ბოვა, დაშაქრულ ნიგოზს ვაჭმევ.

თაგუნა მაშინვე გავარდა ქუჩაში, მაგრამ იმდენ ხანს იდგა ღობესთან სხვა ბავშვებთან ერთად, რომ ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა პეპსიმ გულმოსულად დაუძახა, შინ დაბრუნდიო, თაგუნა მარტო დაბრუნდა.

— არ მოდის, — შორიდანვე დაუძახა მან თავის ქალბატონს, — არასგზით არ მოდის! მიუხუტებია თავის გრძელფეხა ბატი, უსვამს ხელს, არაფერს ლაპარაკობს და ბუსავით იყურება. ეტყობა, ძალიან

---

1 ინგლისურად თევზის და ყანჩის სახელი ერთმანეთს ჩამოჰგავს. (მთარგმნელის შენიშვნა).

ჯინიანი უნდა იყოს. „დაშაქრული ნიგოზი არ მინდაო“, — ასე თქვა, არ უნდა! როგორ შეიძლება ადამიანს დაშაქრული ნიგოზი არ უნდოდეს? არ უნდა! უცნაურები არიან ეს თეთრი ბავშვები! — და თაგუნა სამზარეულოში წავიდა, თან სულ იმას ბურტყუნებდა, რა ჯინიანები და რა უცნაურები არიან თეთრი ბავშვებიო.

მთელი დღე ელოდა პეპსი თავის პატარა მეზობელს. მას იმედი ჰქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს პატარა ქალი მაინც მოვიდოდა, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა.

საღამო ჟამი დადგა. პეპსის მოსწყინდა ნუშისა და ნიგოზის ფცქვნა და შაქარში ამოვლება და ის თავისი საყვარელი ჰასიანსის წყობას შეუდგა. იმ წამს, როდესაც პასიანსი კიდეც გამოდიოდა, ქუჩაზე, მის ფანჯრის წინ, რაღაც შმაშური მოისმა. პეპსიმ თავი ასწია და დაინახა პატარა ქალი, დაჭმუჭნილი თეთრი კაბით და გრძელი, ხუჭუჭი თმით, რომელსაც მზის შუქი ოქროსფრად აბრწყინებდა. ბავშვის გამხდარ და ფერმიხდილ სახეს მწუხარედ მოელვარე ლურჯი თვალები ანათებდნენ, მის ლამაზ პატარა ტუჩებზე ნაზი ღიმილი კრთოდა.

ორივე ხელით ასწია ლედი ჯენმა ზევით თავისი ცისფერი ყანჩა და სცადა პეპსის ფანჯრის მოაჯირზე შეესვა ის. ამ დროს მან დაინახა, რომ პეპსი გაკვირვებით მისჩერებოდა და ზრდილობიანად, წყნარი ხმით მიმართა მას:

— თქვენ ტონის ნახვა გინდოდათ, არა? აი, მოვიყვანე!

ამნაირად გაეცვნენ ერთმანეთს ლედი ჯენი და პეპსი.

ლედი ჯენის ახალი მეგობრები

მოკლე ხანში პეპსი და პატარა ლედი ჯენი ისე დამეგობრდნენ, რომ ბავშვი თითქმის მთელ დღეებს პეპსის სუფთა და ლამაზ ოთახში ატარებდა. მადელონსაც ძალიან შეუყვარდა თავისი ქალის ცისფერთვალებიანი და ოქროსფერთმიანი მეგობარი და ისე არ წავიდოდა სახლიდან სავაჭროდ, რომ ბავშვისათვის ან ტკბილი პური, ან დაშაქრული ნუში და ნიგოზი არ დაეტოვებინა, ისე არ დაბრუნდებოდა საღამოს, რომ მისთვის რამე იაფი, უბრალო, მაგრამ ლამაზი ან სასაცილო სათამაშო არ მოეტანა.

ლედი ჯენის ასე დაახლოება მეზობლებთან არაფრად ეჭაშნიკა ჟოზენს და მან ერთხელ თავის ნაცნობ ქალს, მეთუთუნეს ცოლსაც კი გაუზიარა თავისი აზრები ამ საგნის შესახებ.

— შეიძლება ძალიან პატიოსნებიც იყვნენ დედა-შვილი,—დაიწყო ძან, — მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ბავშვისათვის სასარგებლო არ არის მთელი დღეებით ისეთი ქალის საზოგადოებაში ყოფნა, რომელიც მთელ თავის დროს დუქანში ატარებს, რომელსაც ყველა ქუჩის ბავშვი „გემრიელ ნუშს“ ეიახის! ჩემი ლედი ჯენი მაგნაირ საზოგადოებაში ყოფნას არ არის მიჩვეული!

— მართალია, მადელონს არა აქვს დიდკაცური შეხედულება! — დაეთანხმა მეთუთუნეს ცოლი ჟოზენს, — არც პეპსია მაღალ საზოგადოებაში აღზრდილი... მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მადელონს ძდიდარი ნათესავები ჰყავს, პეშუს ოჯახობა... პეშუს ცოლი მისი ღვიძლი დაა. პეშუს უფროსი ქალი, მარი ძალიან ლამაზია, მშვენივრად აღზრდილია Sacré Coeur-ის მონასტერში და ამ მოკლე ხანში თხოვდება, მსაჯული გიუოს შვილს მიჰყვება... ხომ იცით, ვინც არის მსაჯული გიუო?

— როგორ არა, როგორ არა! — სწრაფად მიუგო ჟოზენმა, — მამაჩემი, პიერ ბერჟერონი, და გიუო დიდი მეგობრები იყვნენ. თუ პეშუს ოჯახობას ასეთი კარგი ნაცნობობა აქვს, და თუ მადელონი ძალე მსაჯულის ვაჟის სიდედრი გახდება, მაშინ, რასაკვირველია, მე არ დავუშლი ლედის მასთან დაახლოებას!

და მას აქეთ, დილიდან საღამომდის, ლედი ჯენი პეპსის არ შორდებოდა. ის სადილსაც კი ყოველთვის იქ ჭამდა. ბავშვმა ნიგვზის და ნუშის გაფცქვნა და დაშაქვრა ისწავლა. მისი დახმარებით პეპსი საათნახევარში, ორ საათში ათავებდა მთელ თავის დღიურ საქმეს, დანარჩენ დროს კი სულ თავის პატარა მეგობარს ახმარებდა. პეპსი ყოველდღე თვითონ ჰბანდა პირს ჯენს. უწმენდდა ვარდისფერ ფრჩხილებს და მარგალიტებივით თეთრ კბილებს, უვარცხნიდა გრძელ და ხუჭუჭ ოქროსფერ თმას, უსწორებდა და უკრავდა გაშლილ კაბაზე აბრეშუმის განიერ სარტყელს...

ერთ დღეს ჟოზენმა გამოუცხადა ჯენს, როდესაც კარგი დღეები იყოს, ფეხშიშველა იარე, მთელი დღე დადიხარ, ველარათერმა გაგიძლო, შენს ფეხსაცმელებს ხომ ვერ გადავყვებიო.

მას აქეთ, როგორც კი ბავშვს ფეხსაცმელები დაეხეოდა, მადელონი მაშინვე უყიდდა ხოლმე მას ახალს, პეპსი კი გულმოდგინედ დაუკერებდა ხოლმე დახეულ ჩულქებსა და გაცვეთილ საცვალს. მეორედ ჟოზენმა გამოუცხადა ჯენს, მუქი ფერის კაბა უნდა შეგიკერო, თეთრ კაბებს თავი დაანებე, ყოველდღე რეცხვას და ყოველდღე ცვლას ვერ აგიდივარო. აქ კი თაგუნამაც იჩინა თავი, წავიდა ჟოზენთან და თავისი დამტვრეული ფრანგული ენით ძლივს გააგებინა მას, მე მზად ვარ უფასოდ ვურეცხო ჯენს როგორც საცვალი, ისე

თეთრი კაბებიცო. თაგუნამ მშვენიერი რეცხვა იცოდა. ამნაირად, მასაქეთ ლედი ჯენი ყოველთვის სუფთად და კოხტად ჩაცმული დადიოდა, მწუხარე და დაღონებული გამომეტყველება ცოტ-ცოტა მოსცილდა ბავშვის სახეს, ის გასუქდა, ლოყები აბრეკილა, მისმა ცისფერმა თვალებმა ისევ უწინდელივით მხიარულად დაიწყეს ელვარება... „კეთილი ბავშვების“ ქუჩის მცხოვრებლები ყველა სიამოვნებითა და სიყვარულით უყურებდნენ ლამაზ ბავშვს, რომელსაც ყოველთვის გულზე ცისფერი ყანჩა ჰყავდა მიხუტებული, და ყველა დიდ მონაწილეობას იღებდა მის ცხოვრებაში.

გამხმარი და მოკუნტული ფრანგი ჟერარი, რომელიც მადელონის სახლის მახლობლად თავის პატარა დუქანში მწვანეულობით ვაჭრობდა. ხშირად იმეორებდა, რომ მისთვის ის დღე დღედ არ ითვლებოდა, რა დღესაც ლედი ჯენის მშვენიერ სახეს თვალს ვერ მოჰკრავდა. მართლაც, ჟერარს სახე მთლად გაუნათლდებოდა ხოლმე, როცა დილაობით მის დუქნის წინ პატარა ბავშვის ნაზი, წკრიალა ხმა მოისმოდა.

— დილა მშვიდობის, ბატონო ჟერარ! — ეტყოდა ხოლმე ლედი ჯენი. — დეიდა პოლინამ (ხანდახან კი პეპსიმ) შემოგითვალათ, ამ ფულის სტაფილო, (ან ხახვი, ან ვაშლები) გამომიგზავნეთო.

ჟერარი მაშინვე მისცემდა ბავშვს რაც მას ესაჭიროებოდა, მერე კი უსათუოდ საჩუქრად დაუმატებდა კამფეტებს ან ფორთოხლებს, რომლებსაც ბავშვი ყოველთვის მხიარული და ბედნიერი ღიმილით მიიღებდა ხოლმე.

ჟერარს ჭირივით სძულდა „კეთილი ბავშვების“ ქუჩაზე მცხოვრები ბავშვები, რადგანაც ისინი ყოველთვის დასცინოდნენ და ახელებდნენ ამ საწყალ მოხუცს. მართლაც, შესახედავად ჟერარი ძალიან სასაცილო იყო; მისი შენაოჭებული, უწვერ-ულვაშო სახე ადამიანს შემწვარ ვაშლს მოაგონებდა. თავზე მას ყოველთვის წითელი ხელსახოცი ეხვია, რომელიც ნიკაპქვეშ ჰქონდა შეკრული; ჩაცმითაც სასაცილოდ იცვამდა: მუდამ საშინელი განიერი შარვალი ეცვა და გრძელი, თეთრი წინსაფარი ეკრა წელზე. ბავშვები იშვიათად ბედავდნენ მის დუქანში შესვლას. ჟერარი არა თუ არაფერ დასამატს არ აძლევდა, მათი დუქანში შეშვებაც კი ეზარებოდა.

მთელი დღეობით მოხუცი ჟერარი თავის დახლის გვერდით იჯდა. დახლზე ლამაზად იყო დალაგებული ყოველგვარი მწვანეულობა და ხილეულობა; რადგანაც მთელი დუქანი ადამიანის თვალს იტაცებდა სისუფთავით, მწვანილი და ხილი კი ყოველთვის ახალი, კარგი და სურნელოვანი იყო — მყიდველები ეოთ წამსაც კი არ აძლევდნენ მოსვენებას ჟერარს, სულ ბუზებივით ეხვეოდნენ მის დუქანს. მაგ-

რამ დახლთან ჯდომის დროსაც კი ჟერარი უსაქმურად არ იყო, მას ყოველთვის რამე საქმე ჰქონდა ხელში; ის თავის ხელით ირეცხდა სარეცხს, თავის ხელით დაიკერებდა ხოლმე საცვალს და არუფიავებდა წინდებს... მას სრულიად არ რცხვენოდა, თუ მყიღველი ისეთ დროს მიუსწრებდა, როდესაც ის ისეთ ქალურ საქმეებში იყო გართული. ის მაშინვე გვერდზე გადადებდა წინდას, ან რამე საცვალს, რომელიც ხელში ეჭირა, და მწვანილს ან ხილს აწოდებდა ახალმოსულს...

ერთ დილას ლედი ჯენი ძალიან გააკვირვა იმ ამბავმა, რომ ჟერარმა ის თავის დუქანში შეიყვანა და სთხოვა აგერ დაჯექით და ეს ფორთოხალი შეჭამეთ, სანამ მე ამ ჩემ პერანგს დავაკერებო. ფორთოხლის შეჭმაზე ჯენმა უარი თქვა, რადგანაც მიჩვეული იყო ყველაფერი პეპსისთვის შუაზე გაეყო, დუქანში შესვლაზე და ცოტა ხანს მოცდაზე კი სიამოვნებით დათანხმდა. მან ძირს ჩამოსვა თავისი ცისფერი ყანჩა, დააყენა ის მწვანილის უვარგისი ნარჩენებით სავსე კალათის წინ, თვითონ კი სკამზე შეპოტინდა, ფეხები დააყრდნო სტაფილოთი სავსე პატარ კასრზე, გაისწორა კაბა, თავი დააყრდნო მუხლებზე დანდობილ ორივე ხელზე და ყურადღებით მიაჩერდა თავისი ბებერი მეგობრის სახეს. ეტყობოდა რაღაცას ფიქრობდა, მაგრამ ვერ ბედავდა თავის ფიქრების ხმამაღლა გამოთქმას. ბოლოს ცნობისმოყვარეობამ სძლია და მან ზრდილობიანად, თუმცა ცოტა შეკრთომით, ჰკითხა ჟერარს:

— ბატონო ჟერარ, მითხარით, თქვენ კაცი ხართ თუ ქალი?

ჟერარი გაშტერდა. რამდენიმე წამს მან გაოცებით უყურა ლედი ჯენის სერიოზულად დაფიქრებულ სახეს, მერე მხიარულად გადიხარხარა. დიდი ხანი იყო მას აქეთ, რაც არავის არ გაეგონა ჟერარისაგან ასეთი მხიარული, ხმამაღალი სიცილი.

— ოჰ, ღმერთო! — იცინოდა და თან ლაპარაკობდა მედუქნე. — ჩემო პატარ ლედი, მე თვითონაც არ ვიცი რა ვარ, რადგანაც კაცის საქმესაც ვაკეთებ და ქალისასაც... მაგრამ მითხარით, რაში მოგაგონდათ, რანაირად მოგივიდათ თავში მაგისთანა კითხვა?

— მე დიდი ხანია, რაც ვფიქრობ ამაზე! — სერიოზულად მიუგო ბავშვმა. — კაცები არასოდეს კერავენ და არ იკეთებენ მაგისთანა წინსაფარს... ქალებს კი არასოდეს აცვიათ მაგისთანა განიერი შარვლები... აი, ამიტომ არ ვიცი, ქალი ხართ, თუ კაცი.

— ოჰ, ღმერთო! — ისევ გადიხარხარა ჟერარმა.

— რად გეცინებათ? — ჰკითხა წყენით ჯენმა, რომელსაც არაფრად ესიამოვნა თავისი მეგობრის დაცინვა. — მე იმიტომ გკითხავთ,

რომ თუ თქვენ კაცი ხართ, უთუოდ ძალიან უნდა გიპირდეთ კერვა და რეცხვა!

— ოჰ, ჩემო კეთილო ბავშვო! — შეწყვიტა სიცილი ჟერარმა.— რასაკვირველია, მიპირს და მეძნელება, მაგრამ ხომ იცით, მე სულ მარტოხელა ადამიანი ვარ, თუ ჩემ თავზე თვითონვე არ ვიზრუნე, სხვას ვის გავახსენდები?

— მე გამახსენდებით! — მხიარული ღიმილით მიუგო ლედი ჯენმა. — ძალიან მიხარია, რომ გავიგე თქვენ კაცი ყოფილხართ. ამ ცოტა ხანში პეპსიმ კერვა უნდა მასწავლოს და მე ყოველთვის დაგიკერავთ ხოლმე ტანსაცმელს.

— პატარა ანგელოზო! — აღტაცებით წამოიძახა ჟერარმა, — აი, წაიღეთ ეს მეორე ფორთოხალიც! — და მან მიაწოდა ბავშვს დიდი, მშვენიერი ფორთოხალი!

— არა, არა, მადლობელი ვარ! — მიუგო ჯენმა და იქით გასწია ჟერარის ხელი, — მე დღეს მხოლოდ ერთი რამ ვიყიდე თქვენგან, ამიტომ დამატებაც ერთი მერგება, მეტი რომ ძომცეთ — ეს უსამართლობა იქნება. ახლა კი დროა სახლში წავიდე! — და პატარა ჯენი ჩამოხტა სკამიდან, გულზე მიიხუტა ყანჩა, რომელსაც დიდად არაფრად იამა მწვანილის ნარჩენით სავსე კალათის მოშორება, ზრდილობიანად გამოეთხოვა მედუქნეს და გამოცქრიალდა ქუჩაში.

დიდხანს, დიდხანს იჯდა დაფიქრებით მოხუცი ჟერარი ბავშვის წასვლის შემდეგ... ბოლოს მან მწარედ ამოიოხრა, დაკეცა თავისი პერანგი, რომელსაც აკერებდა, და მწუხარედ წაილაპარაკა:

— ეჰ! მარი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ყველაფერი სხვანაირად მოეწყობოდაო!

ლედი ჯენის პირველად შესვლა არისტოკრატების სახლში

ერთ დილას, როდესაც ლედი ჯენი ჩვეულებრივად დასეირნობდა მწვანე ღობის წინ, მან დაინახა, რომ პატარა ჭიშკარი გაიღო, ბაღიდან ხნიერი ქალი გამოვიდა, რომელსაც გამხდარი, მოგრძო, ფერმკრთალი სახე ჰქონდა და ხელი დაუქნია, მომიახლოვდიო.

ლედი ჯენს შერცხვა და პირველ წამს უკან დაიხია, ეგონა, ეს მაღალი, შავებში გამოწყობილი ქალი გაწყრომას მიპირებსო, სულ რომ აქ დავხეტიალებო! ამას გარდა, ის ძალაუნებურად შეკრთა, საფრანგეთის არისტოკრატების წარმომადგენელი, როგორც უწოდებდა ქალბატონ დიანას ჟერარი, რომ თავისი თვალით დაინახა, მაგრამ

როგორც ზრდილობიან ბავშვს შეეფერებოდა, ბოლოს ის წყნარად მიუახლოვდა პატარა ჭიშკარს და ღიმილით შეხედა შავებიან ქალბატონს.

— ხომ არ გინდა, ჩემო პატარა, ჩვენ ბაღში შემოხვიდე და ყვავილები დაათვალიერო, ა? — მოფერებით ჰკითხა ქალმა ბავშვს და ჭიშკრის კარები კიდევ უფრო გააღო.

— ძალიან მინდა, თუკი ნებას მომცემთ! — უპასუხა ჯენმა, რომელსაც სიხარულით მთლად აენთო პატარა ნაზი სახე. — ტონის წამოყვანაც შეიძლება?

— რასაკვირველია! ძალიან მესიამოვნება ახლოდან ვნახო ეგ თქვენი უცნაური მეგობარი. ძალიან მიხარია, რომ გამეცანით! — ღიმილით დაუმატა ქალმა და სიყვარულით დაადო ბავშვს მხარზე თავისი გამხდარი, მოგრძო ხელი, — დიდი ხანია, რაც თვალყურს გადევნებთ.

— თვალყურს მადევნებთ? საიდან? როგორ? — მხიარული ღიძილით შეეკითხა ბავშვი.

— აი, ღობის იქიდან. ღობის ჭვრიტიმალებში ბევრი რამ ჩანს... და მე ბევრ რამეს ვხედავდი.

— მაშ თქვენ მხედავდით, მე რომ აქ ყოველთვის წინ და უკან დავდიოდი? მერე რატომ აქამდის არ დამიძახეთ? — გაკვირვებით ჰკითხა ჯენმა. — ისე მინდოდა, ისე მინდოდა თქვენთან მოსვლა! მაშ ისიც გესმოდათ, მე რომ თქვენთან ერთად ვმღეროდი ხოლმე?

— არა, ეგ არ გამიგონია.

— თქვენ ქალბატონი დიანა ხართ, არა?

— ჰო, თქვენ კი რა გქვიათ?

— მე? ლედი ჯენი.

— ლედი ჯენი? ლედი? ლედის ხომ მარტო არისტოკრატებს უძახიან.

— არ ვიცი. მამა ყოველთვის ლედი ჯენს მიძახოდა. მე წინათ არც კი ვიცოდი, რა არის არისტოკრატობა, მაგრამ ამას წინათ ჟერარმა ამიხსნა და მითხრა, რომ თქვენ არისტოკრატი ხართ, მე კი არაო!

— თქვენ მშვენიერი პატარა ბავშვი ხართ! — აღტაცებით წამოიძახა დიანამ და მისი ფერმკრთალი, გამხდარი სახე უცებ სიყვარულით სავსე ღიმილმა გაანათა. — წამოდით ჩვენსა, ოთახში. დედას უნდა გავაცნო თქვენი თავი და თქვენი ცისფერი გრძელფეხა მეგობარიც.

ლედი ჯენი სიამოვნებით გაჰყვა ქალბატონ დიანას. ორივემ

გაიარეს პატარა, შუშაბანდიანი აივანი და შევიდნენ სუფთა, ლამაზ ოთახში, სადაც აბრეშუმისფარდებიან ლოგინის გვერდით დიდი, განიერი და რბილი სავარძელი იდგა. სავარძელში იჯდა მოხუცებული, ძალიან მოხუცებული ქალი, რომლის დანაოჭებულ, გამხდარ სახეს გარს ეხვეოდა თოვლივით თეთრი თმა და რომელსაც თავზე პატარა, არშიებიანი, შავი აბრეშუმის ჩეპჩიკი ეხურა.

— დედა! აი, ის პატარა ბავშვი და ის ფრინველი, რომლებზედაც მე ხშირად გელაპარაკებით ხოლმე! — უთხრა მოხუცებულ ქალს დიანამ და ბავშვი წინ წამოსწია.

— ლედი ჯენ, ეს ჩემი დედაა.

მოხუცმა ქალმა ბავშვს ხელი ჩამოართვა, მერე სიყვარულით გადაუსვა ხელი მის გრძელ, ოქროსფერ ხუჭუჭ თმას და ნელი, სიბერისაგან აკანკალებული ხმით ჰკითხა:

— ჩემო პატარა, ნუთუ არ გიძნელდება მაგხელა ფრინველის ხელით თრევა?

— არა, ტონის მარტო ფეხები აქვს გრძელი და მძიმე სულაც არ არის! — მხიარულად მიუგო ბავშვმა, — აი, სინჯეთ, თუ გინდათ! — და მან გაუწოდა მოხუც ქალს თავისი ფრინველი.

— არა, არა! — გაიღიმა მოხუცმა, — ხელში აყვანა არ მინდა, მე მხოლოდ მინდა ვნახო, როგორ დადის ეგ უცნაური ფრინველი. წეროა, არა?

— არა, ეს ცისფერი ყანჩაა! ძალიან იშვიათი ფრინველია! — მიუგო ბავშვმა და ტონი ძირს ჩამოსვა.

— მართლაც წერო არ ყოფილა! — წაილაპარაკა დიანამ.

უცხოების დანახვაზე ტონიმ ამოიკეცა ცალი ფეხი და უშნოდ დაიწყო ხტუნვა.

— აი, ასეთი ჯინიანია! — წყენით თქვა ჯენმა, — როცა მინდა ვისმეს თავი მოაწონოს, თავისი ლამაზი ფრთები აჩვენოს, — ეს ყოველთვის ასე მოიკუმშება და ცალ ფეხს ამოიკეცავს ხოლმე!

— რა უშავს! — გაიღიმა დიანამ, — მაინც ძალიან ლამაზი და ძალიან საკვირველი ფრინველია. სიამოვნებით გავაკეთებდი მაგნაირ ფრინველს მატყლიდან! — ამ სიტყვებით დიანამ მოკრძალებით შეხედა დედას.

— არა მგონია, ჩემო კარგო, რომ გამოგივიდეს რამე! — მიუგო დედამ, — შეხედე, როგორი გრძელი და წვრილი ფეხები აქვს! ლუქისაგან გაკეთებული მაგისთანა წვრილი ფეხები ვერაფრით ვერ აიტანს ტანის სიმძიმეს!

— ფეხებს მავთულიდან გავაკეთებ და მერე გადავასხამ ზედ ლუქს! — დაფიქრებით თქვა დიანამ და ყურადღებით დააჩერდა

ტონის გრძელ ფეხს. — შეხედე, დედა, მარტო ერთი მავთული დასჭირდება, ისიც არც თუ ბევრი მოუნდება!

— ვიცი, ვიცი, ჩემო კარგო, მაგრამ მატყლი? მატყლი გავიწყდება? სად იშოვი სწორედ მაგის ფერთებისფერ მატყლს?

— ჟურდანი დამპირდა, ნისიად გამოგიგზავნი მატყლსო.

— დიანა, დიანა, რას ლაპარაკობ? წარმოიდგინე, რა იქნება, რომ არა გამოგივიდეს რა! ხომ წახდება და დაიკარგება იმდენი მატყლი! გირჩევ, ისევ იადონები და იხვის ჭუკები აკეთო, ისინი ისე კარგად გამოგდიან, თითქოს ცოცხლები არიანო!

— მომაწყინეს თავი იხვებმა და იადონებმა! მინდა რამე ახალი, უფრო ლამაზი გავაკეთო!

— როგორც გინდა, ჩემო კარგო, მე არ გიშლი, მხოლოდ გიმეორებ, დაფიქრდი და ისე მოიქეცი, მაგდენი მატყლის ტყუილად წახდენა ხუმრობა არ არის.

ამ ლაპარაკის განმავლობაში ლედი ჯენი ყურადღებით ათვალიერებდა მთელ ოთახს. მისი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია ბუხრის ზევით დაკიდებულმა სურათმა, რომელზედაც გამოხატული იყო მშვენიერი შესახედავი ყმაწვილი კაცი მდიდრულ, ლამაზ ტანისამოსში. ეს იყო ქალბატონი დიანას ბაბუა, გრაფი ოტრევი. სურათს ქვემოთ, ბუხრის თავზე დაწყობილი იყო თვით დიანას ნახელავი: მავთულიდან გაკეთებული და მწვანე გარუს შემოხვეულ ხეებზე ისხდნენ ყვითელი და თეთრი იადონები, რომლებსაც თვალების მაგივრად ბრწყინვალე, შავი მრგვალი მძივები ჰქონდათ ჩასმული.

— ღმერთო, რა მშვენივრები არიან! — თავისთვის ბუტბუტებდა ჯენი, — ნუთუ ნამდვილი ჩიტები არ არიან! ჩემს ტონის კიდეც სჯობიან სილამაზით! მაგიერად ჩემმა ტონიმ ხტუნვა და სირბილი იცის, ყოველთვის მოირბენს ხოლმე ჩემთან, როცა დავუძახებ, ეგენი კი მკვდრები არიან!

დიანა და დედამისი სიამოვნებით ადევნებდნენ თვალყურს იმ აღტაცებას, რომელიც ბავშვის სახეზე იხატებოდა.

— ხედავ, ჩემო კარგო, ბავშვმაც კი დააფასა შენი ნიჭი! ხომ გითხარი, რომ შენი იადონები ნამდვილ ცოცხალ ფრინველებს ჰგვანან! აჩვენე იხვის ჭუკებიც, აჩვენე, თუ გიყვარდე! ისინი იადონებზე უკეთესებიც არიან!

დიანას დაღონებული, ფერმიხდილი და მოწყენილი სახე მთლიანად გაანათა მხიარულმა ღიმილმა, როცა პატარა გინგლიან, დარგვალებულ ყვითელი ჭუკების დანახვაზე ლედი ჯენმა ხტუნვა და აღტაცებით ტაშისკვრა დაიწყო.

— გინდათ, ხელში დაიჭიროთ? — ჰკითხა დიანამ და გაუშვირა ორი ყველაზე ლამაზი, ყველაზე პატარა და მრგვალი ჭუკი.

ბავშვმა გამოართვა ორივე, მიიხუტა გულზე და სიყვარულით დაუწყო მათ მოფერება და კოცნა.

— რა ლამაზები არიან! რა მშვენივრები არიან! — იმეორებდა ის.

— გვარიანად გამომივიდნენ, არა უშავს რა. — ღიმილით დაეთანხმა დიანა. — მიხვდით თუ ვერა, რისთვის ვაკეთებ იადონებსა და იხვის ჭუკებს?

— ვერა! — გაიქნია თავი ბავშვმა.

— საწერი მაგიდებისათვის. უნდა დავაკერო ეგენი სხვადასხვა-ფერ მაუდის ნაჭრებზე... ის მაუდის ნაჭრები კი გასვრილი კალმის გასაწმენდად დასჭირდება ადამიანს

გრაფი ოტრევის შვილიშვილი მართლაც მარტო იმით ირჩენდა თავს და არჩენდა მოხუც დედას, რომ იხვებსა და იადონებს აკეთებდა და ჰყიდდა ჟურდანის სათამაშოების მაღაზიაში.

ამნაირად, სრულიად მოულოდნელად, ლედი ჯენმა კიდევ ორი ახალი, კეთილი და მოსიყვარულე მეგობარი იშოვა.

ჟერარის სადილი

დიდხანს იჯდა პატარა ლედი ჯენი და ფართოდ გახელილი თვალებით მისჩერებოდა ხალხს, რომელიც მის წინ ირეოდა. ვერც კი წარმოედგინა რა უნდა ექნა ახლა... ჯერ კიდევ ცოტა იმედი ჰქონდა, ტებურცი მიპოვისო, მაგრამ როცა შენიშნა, რომ დრო მიდის, მისი წამყვანი კი არავინ ჩანს, თანდათან უფრო შეწუხდა და შეშინდა... ტირილით მაინც არ ტიროდა, რადგან კარგად იცოდა ცრემლებით საქმეს ვერ გამოაკეთებდა... დაღლილობისაგან თავი ასტკივდა, წყურვილისაგან ყელი გამოუშრა, საშინლადაც შიოდა... ტიბურცი კი არსად ჩანდა...

ნუთუ ყველამ დაივიწყა, ნუთუ აღარავისა აქვს მისი ჯავრი? ამ აზრმა ისე შეაშფოთა პატარა ჯენი, რომ მას მოსვენებით ჯდომა აღარ შეეძლო, წამოხტა და ისევ შეუდგა ქუჩებში სირბილს... ახლა ახალი უსიამოვნება შეხვდა... ქუჩის ბავშვებმა რომ დაინახეს პატარა მორთული ქალი მარტო დარბისო, მოსვენება აღარ მისცეს... ერთმა გვერდში ხელი ჰკრა, მეორემ კაბა კინაღამ გაუხია... შეშინებული ლედი ჯენი კურდღელივით მიიმალა ერთი დიდი სახლის შესავალ კარებთან... ის მიჩვეული არ იყო, რომ ასე უზრდელად

მოჰქცეოდნენ... და ნიღაბი რომ არ ჰქონოდა, უთუოდ მისი ლამაზი, შეწუხებული და შეშფოთებული სახე მაყურებლის ყურადღებას მიიქცევდა და მფარველს უშოვნიდა მას მათ შორის...

ერთი საათის ხეტიალის შემდეგ პატარა ჯენი ისევ იმ სახლს მიადგა, რომლის წინაც პირველად დაჯდა დასასვენებლად, როცა ტიბურცის მოაშორა ხალხმა. დაღლილ-დაქანცული ის ხელახლავ დაეშვა ნაცნობი კიბის პირველ საფეხურზე და შეუდგა იმის ფიქრს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. ამ დროს მან დაინახა, რომ მის პირდაპირ, ერთ დიდ სახლთან მშვენიერი ეტლი შეჩერდა და იქიდან გადმოვიდა სამი კაცი, ორი ხნიერი და ერთი სულ ახალგაზრდა. როცა ახალგაზრდამ ჯენისკენ მოიხედა, ბავშვი სიხარულისაგან მთლად ათრთოლდა, წამოხტა ფეხზე, გაიშვირა მისკენ ორივე ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა:

— ეს მე ვარ! ლედი ჯენი ვარ!

ახალგაზრდა კაცმა მოიხედა ღა ეაკვირვებით შეხედა გაზუზნულ ვარდისფერ დომინოში გახვეულ პატარა არსებას. სიტყვები ვერ გაიგონა, მხოლოდ ხმა გაიგონა ბავშვის, სუსტი, ვედრებით სავსე ხმა... და საშინელი სიბრალული იგრძნო ამ ქუჩის ბავშვისადმი, რომელიც ისეთი ხვეწნით იძახოდა რაღაცას... მაგრამ მაინც არ შეჩერებულა და დიდი სახლის განიერ კიბეზე აჰყვა ხნიერ კაცებს.

რასაკვირველია, ის ვერ იცნობდა ლედი ჯენს... მაგრამ ლედი ჯენმა კი კარგად იცნო ის ყმაწვილი კაცი, რომელმაც ცისფერი ყანჩა აჩუქა. მან ისე ახლოს გაიარა და ვერ იცნო თავისი პატარა მეგობარი. ჯენი მას უძახოდა, მან კი ვერ გაიგონა! ეს ფიქრი კი ვეღარ აიტანა პატარა ლედიმ, მეტი მოთმენა მას აღარ შეეძლო... სასოწარკვეთილებით დაეცა კიბეზე და მწარედ აქვითინდა.

ტირილში ბავშვს მიეძინა და დროებით დაავიწყდა ყველა თავისი უბედური თავგადასავალი. მაგრამ უცებ მან იგრძნო ვიღაცა აღვიძებდა და ეუბნებოდა შინ წადიო. ჯენმა გაკვირვებით გაახილა თვალები და ძიიხედ-მოიხედა. მის წინ იდგა მაღალი კაცი, რომელსაც წინ პრიალა ფოლაქები ეკერა და ხელში დიდი ჯოხი ეკავა. როდესაც ბავშვი წამოდგა, კაცმა ბურტყუნით განაგრძო თავისი გზა... ბავშვმა გაიგონა, რომ ის ლაპარაკობდა პატარებზე, რომლებიც დღესასწაულზე ისე იღლებიან, რომ ქუჩებში იძინებენ. აქ ჯენმა გადაწყვიტა, რომ მისი არჩეული ადგილი ხელახლა დასაძინებლად არ ვარგოდა, რადგანაც ადვილი შესაძლებელი იყო მაღალი კაცი ისევ დაბრუნებულიყო და თავისი დიდი ჯოხით გაელახა ის. დაღლილი ბავშვი ისევ წამოდგა და გზას გაუდგა.

„ახლა კიდეც დაღამდება... რა უნდა ვქნა!“ — სასოწარკვეთილე-

ბით უტრიალებდა მას თავში... — ღმერთო! ნეტავი ახლა ტიბურცის დავინახავდე! ან დეიდა მოდის, ან მადელონს ...“ დეიდა პოლინას ნახვაც კი იამებოდა ამწამს! დეიდა პოლინა კი არა, საძაგელი რასტიც რომ შეხვედროდა, რასტი, რომელიც ყოველთვის ახელებდა და თმას სწევდა, ისიც კი გაახარებდა!

უეცრად ვიღაცამ უკანიდან დომინო ჩამოსწია პატარა ლედი ჯენს. შემკრთალმა ბავშვმა მოიხედა... მის წინ იდგა ყვითელდომინოიანი დიდი ბავშვი და პირდაპირ მისჩერებოდა მას თვალებში... ოქროსფერი ხუჭუჭი თმის ერთი კულული ჯენს დომინოს ქვეშიდან გამოსწეწოდა... დიდმა ბავშვმა სტაცა ხელი ამ კულულს და სიცილით დაუყვირა ჯენს:

— აჩუ! აჩუ! აბა ჰე, გასწი, რაღას დგეხარ! აჩუ ცხენო!

შეშინებული ჯენი ცდილობდა რამენაირად ხელიდან დასხლტომოდა დიდ ბავშვს, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, დიდ ბავშვს მაგრად ეჭირა ხელში მისი თმა და თან მხიარულად ხარხარებდა. თვალცრემლიანმა ჯენმა ხვეწნა დაუწყო, გამიშვიო.

— ჯერ მოიცა, ნიღაბი უნდა მოგხსნა! — უპასუხა სიცილით დიდმა ბავშვმა, — მე მინდა ვნახო, როგორი სახე გაქვს! — და მან ხელი გამოაშვირა, რომ ნიღაბი მოეგლიჯა ჯენისათვის.

პატარა ლედი მთლად აცახცახდა, გული მოუვიდა.

— ხელი არ მახლო! არ გაბედო ხელის ხლება! — ხმამაღლა შეჰკივლა მან, გაიშალა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თვითონ სტაცა სილა დიდ ბავშვს.

რასაკვირველია, ლედი ჯენისაგან ასე მამაცად დაწყებული ბრძოლა მის საკეთილოდ არ გათავდებოდა, რადგანაც მისი მოწინააღმდეგე მასზე ბევრად უფრო დიდი და უფრო ღონიერი იყო... ერთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ვარდისფერი დომინო მთლად ნაფხრეწებად იქცა, ვარდისფერი ნიღაბი შორს ქუჩაზე გადავარდა და გრძელი და ხუჭუჭი ოქროსფერი თმა ლამაზად გადაეშალა ბავშვს მხრებზე და ბეჭებზე... ის გულმოსული იდგა თავისი მტრის პირდაპირ, მისი პატარა ნაზი სახე მთლად ანთებულიყო, დიდი ლურჯი თვალები საშინლად უელავდნენ...

სწორედ ამ დროს, საბედნიეროდ, ლედი ჯენს მოულოდნელი მფარველი გაუჩნდა. ვიღაც კაცი მივარდა მის ყვითელდომინოიან მტერს და ერთ წამს გადასტყორცნა იგი შიგ შუა ქუჩაში... ეს კაცი იყო ჟერარი, პატარა ჯენის მოხუცი მეგობარი... და არც ერთ რაინდს უთუოდ არ მიუღია ისეთი აღტაცებული მადლობა გველეშაპისაგან განთავისუფლებულ მშვენიერ მზეთუნახავისაგან, როგორიც მიიღო ჟერარმა თავისი პატარა ლედისაგან, როგორიც ცხადად იხა-

ტებოდა ბავშვის დიდ, ლურჯ, ცრემლით სავსე თვალებში... პირველ წამს მან სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა, ის მხოლოდ მივარდა ჟერარს. სტაცა თავისი პატარა ნაზი ხელები მის დიდ, მაგარ ძარღვიან ხელს და მთელი თავისი არსებით მიეკრა ამ უბედურებისაგან მხსნელ ხელს... მხოლოდ მისი ვარსკვლავებივით მოელვარე თვალები ლაპარაკობდნენ იმაზე, რასაც გრძნობდა ამ დროს პატარა ბავშვი იმაზე, თუ რა ბედნიერი იყო ის ამწამს... ჟერარს არც ეპივრებოდა სიტყვები... მან მაშინვე წაიყვანა პატარა ქალი მახლობელ აფთიაქში, დასვა ის სკამზე, გაუსწორა გაწეწილი თმა და დასამშვიდებელი სასმელი დაალევინა. როცა ჯენი გამობრუნდა, მისი პირველი სიტყვები იყო:

— ბატონო ჟერარ, როგორ გაიგეთ, რომ მე ამ მდგომარეობაში ვიყავი?

— მე არაფერი არ ვიცოდი! — მიუგო ჟერარმა, — შემთხვევით შეგხვდით. ვისეირნე და სახლში ვბრუნდებოდი. მივდივარ ჩემთვის დამშვიდებით, მოვუხვიე სახელმწიფო ქუჩაზე... უცებ მესმის ვიღაცა ტირის... შევხედე — ეს ჩემი პატარა ლედია, ვიღაცა ყვითელი ეშმაკი კი თმაში ჩაჰფრენია... მეც მივეცი სიცხე იმ საძაგელს! დიდხანს არ დავავიწყდები! — და ჟერარმა ხელების ფშვნეტა დაიწყო, თან კმაყოფილებით მხიარულად ჩაიცინა. — სწორედ ბედი იყო, ასე დროზე რომ მოგისწარით!

როდესაც ჟერარი და ჯენი ქუჩაში გამოვიდნენ, პატარა ქალს, რომელსაც კიდევაც დაავიწყდა, რა უბედურად გრძნობდა თავს ნახევარი საათის წინ, ჯერ არც კი დაესრულებინა ლაპარაკი, რომ ჟერარი ერთი სუფთა, პატარა სახლის წინ შეჩერდა, რომლის ფანჯრებშიაც ათასნაირი საჭმელები და ათასნაირი ტკბილეულობა იყო გამოფენილი.

— მე მგონია, რომ ჩემი პატარა ლედი ცოტა მშიერია! — ღიმილით მიუბრუნდა ის ჯენს. — აგერ მეხუთე საათია... და მე მინდა სადილით გავუმასპინძლდე.

— ოჰ! ეს რა კარგი მოიგონეთ, ბატონო ჟერარ! — აღტაცებით წამოიძახა პატარა ჯენმა. — მე ისე მშია, ისე მშია, რომ არც კი ვიცოდი როგორ მივაღწევდი სახლამდის.

— მით უკეთესი, — კმაყოფილებით უთხრა ჟერარმა, — აი, შევიდეთ აქ... და თქვენ დარწმუნდებით, რომ მოხუცმა ჟერარმა, ცეკვის გარდა, სადილების ამორჩევაც კარგი იცის.

როდესაც ძველ მოდაზე, მაგრამ კარგ ტანისამოსში გამოწყობილი მოხუცი კაცი შევიდა ოთახში და თან შეიყვანა გაშლილი ოქროსფერი ხუჭუჭთმიანი მშვენიერი პატარა ქალი გასვრილი, მაგრამ ლამაზად შეკერილი კაბით, რომელიც ამტკიცებდა, ბავშვი უბრალო

დედ-მამის შვილი არ იყო, ყველა იქ მყოფის ყურადღება მათკენ ჭიექცა. ცეკვის მასწავლებელმა ხელახლავ იგრძნო დიდი ხნის დავიწყებული სიამაყე... მან მიუწია პატარა ქალს მაგიდასთან სკამი, დასვა ის ზედ, თვითონაც ამაყად დაჯდა, გადაშალა მსახურისგან მოტანილი ქაღალდი და საჭმელების არჩევას შეუდგა. ცოტა ხანს შემდეგ მან ამოიღო ფანქარი, ღიმილით მიიხედა თავის პატარა დამისკენ და მოწიწებით ჰკითხა:

— აბა, პატარა ლედი, მიბრძანეთ, რა გესიამოვნებათ, რა მოვატანინოთ სადილად?

ლედი ჯენი დაფიქრდა, მოიღუშა, ქვედა ტუჩზე ზედა კბილები დააჭირა... არც ისე ადვილია საჭმელების ამორჩევა, მთელი სადილის მოთხოვნა! მაგრამ აი... უეცრად მისმა თვალებმა სიხარულით იელვეს, მთელი სახე მშვენიერმა ღიმილმა გაანათა... მან მოიგონა, როგორი სადილი უნდა მოეთხოვა.

— ნაყინი, ბატონო ჟერარ! — გამოაცხადა მან.

— ეს ძალიან კარგი! — მიუგო ჟერარმა. — ნაყინი კარგი საჭმელია... მაგრამ ჯერ სხვა რამე, უფრო ნოყიერი უნდა მოვითხოვოთ, რამე წვენი, მერე თევზი... და ქათამი... პატარა წიწილი მწვანე მუხუდოთი... სალათაც, არა?

— ნაყინი? — წყენით ჰკითხა ჯენმა და ლოყები მთლად აუწითლდა აღელვებისაგან.

— მერე ნაყინიც მოვითხოვოთ, ტორტის ნაჭერიც, ცოტა ყურძენიც, — ლაპარაკობდა ჟერარი და თან გულმოდგინედ წერდა ყველა ამას თავისი აკანკალებული ხელით. — აი, როგორი იქნება ჩვენი სადილი, — და მან სიხარულით გაბრწყინებული სახით გადასცა მსახურს დაწერილი ქაღალდი.

პატარა ლედიმ თავი დაუქნია. სანამ მსახური სადილს მოიტანდა, ის დაკვირვებით ათვალიერებდა მთელ ოთახს... მერე მისი დიდი ლურჯი თვალები ჟერარს მიეპყრნენ და აღტაცებით შეჩერდნენ მაზე...

— რა ლამაზი ხართ დღეს, ბატონო ჟერარ, — ბოლოს გამოაცხადა მან. — იცით, რას გეტყვით? ნურასოდეს, ნურასოდეს ნუღარ გაიკეთებთ წინსაფარს.

— კარგი, აღარ გავიკეთებ, თუ პატარა ლედის არ სურს, არაოდეს აღარ გავიკეთებ, — მიუგო ჟერარმა და მისი სახე ხელახლა გაანათა კმაყოფილების ღიმილმა. — მოითმინეთ და... ვინ იცის იქნება ერთ დროს მე ისევ დიდკაცად გადეიქცე, ისეთ დიდკაცად, როგორიც ვიყავი მაშინ, როცა პარიზში ცეკვის გაკვეთილებს ვაძლევდი!

მეორე დილას მარგარიტამ ძალიან ადრე მოიყვანა პატარა ჯენი ლანიესას. ბავშვი მაშინვე ზედა სართულში აიყვანეს, ლანიეს პატარა ქალებთან, ეტა და მეისთან, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ ახალ მეგობარს, მარგარიტა კი ქალბატონ ლანიეს ოთახში შეიყვანეს, სადაც ჯენის ვინაობაზე გაიმართა საუბარი. მარგარიტამ ყველაფერი უამბო, რაც კი რამ იცოდა, განსაკუთრებით დაწვრილებით უამბო ის. თუ რამდენი ფული და დრო დახარჯა პეშუმ, რომ პოლიციის დახმარებით გამოემეღავნებინა ჟოზენის, მისი ვაჟისა და ჯენის ამბავი.

— მეც ჩემი მხრივ არაფერს დავიშურებ, სანამ მაგ საქმეს არ გამოვიკვლევ! — გამოაცხადა ქალბატონმა ლანიემ. — დარწმუნებული კი ვარ, ეგ ბავშვი ჩეტუინდის შვილია, მაგრამ ამას მაინც დამტკიცება უნდა. მანამდის კი ბავშვი ჩემთან უნდა დარჩეს, ჯენის შვილი თავშესაფარში არ უნდა იყოს.

მარგარიტა სიამოვნებით დათანხმდა ამაზე.

ცოტა ხანს იქით ქალბატონმა ლანიემ ჯენი თავის ოთახში შემოაყვანინა. ბავშვს თავშესაფარის უბრალო კაბა ეცვა, მშვენიერი სქელი თმა ორ ნაწნავად ჰქონდა დაწნული. მაგრამ მაინც ისეთი ლამაზი იყო, რომ ძალაუნებურად იზიდავდა ყველას გულს და სიყვარულს.

— მოდი, აქ მოდი, გენაცვალე, — ღიმილით მიუბრუნდა მას ქალბატონი ლანიე და სიყვარულით მოჰკიდა ხელი ხელზე, — მითხარი, რა გირჩევნია: „ლედი ჯენი" რომ დაგიძახოთ, თუ მარტო „ჯენი"?

ბავშვი ერთ წამს შეჩერდა, მერე შეხედა მარგარიტას და ღიმილით თქვა:

— მე „ლედი ჯენი" უფრო მომწონს, მარგარიტას კი „ჯენი".

ქალბატონმა ლანიემ გააღო მოზრდილი ლამაზი ყუთი, ამოიღო იქიდან რაღაც სურათი და გაუწოდა ბავშვს.

— აბა, „ლედი ჯენ", თუ იცი, ვისია ეს სურათი?

შეხედა თუ არა ჯენმა სურათზე დახატულ ყმაწვილკაცს, ახალგაზრდა ქალს და პატარა ბავშვს, მაშინვე მთლად გაფითრდა და ორივე ხელი სტაცა მას.

— ეს მამა და დედაა! — აღელვებით წამოიძახა მან, — დედა, ჩემი საყვარელი დედა, — და ის მწარე ქვითინით მოეხვია კისერზე მარგარიტას...

— ნუთუ კიდევ შეიძლება ვინმემ ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ ეს ბავშვი ჯენ ჩეტუინდის შვილია? — წამოიძახა ქალბატონმა ლანიემ. — მარგარიტა, ბავშვი აქ უნდა დარჩეს. დღეიდან ეგ ჩემი შვილია.

მარგარიტამ ბავშვი ისევ ეტა და მეის ოთახში წაიყვანა, იქ ტანისამოსი გამოუცვალა, გამოეთხოვა და თავშესაფარში დაბრუნდა.

გაიარა ორმა საათმა. ქალბატონ ლანიეს რაღაც გრძელი წერილის წერა გაეთავებინა თავის ოთახში და ის იყო კონვერტზე აწერდა „რიჩარდ ჩეტუინდსო", როდესაც ოთახში აღელვებული არტურ მენარი შემოვიდა და ცნობისმოყვარეობით მიაპყრო ქალბატონ ლანიეს ლამაზი თვალები.

— ნურაფერს ნუ მკითხავ! — ღიმილით მიუგო ახალგაზრდა ქალმა, — ცოტა მოიცადე და ყველაფერს გაიგებ.

ამ დროს ზევიდან, ბავშვების ოთახიდან, მხიარული სიცილი მოისმა და ცოტა ხანს შემდეგ კიბეზე ჩამოირბინა და ოთახში შემოცქრიალდა სამი პატარა, მშვენიერი ქალი, სამივე ლამაზი თეთრი კაბებითა და ფართო აბრეშუმის ქამრებით. ესენი იყვნენ ლანიეს ქალები ეტა და მეი და პატარა ჯენი.

დაინახეს თუ არა ეტამ და მეიმ თავისი მეგობარი არტური, მაშინვე მხიარულად მიირბინეს მასთან და ხელი ჩამოართვეს, ჯენი კი ერთ ალაგას გაშეშდა და დაკვირვებით დაუწყო ყურება ყმაწვილ კაცს. უცებ მის ტუჩებს ღიმილმა გადაურბინა, მისმა დიდმა, ლურჯმა თვალებმა მხიარულად იელვეს. ქალბატონი ლანიე თვალს არ აშორებდა ბავშვს, ბავშვი კი ერთი წამის გაკვირვების შემდეგ მიუახლოვდა არტურს და ზრდილობიანად შეეკითხა:

— თქვენ ის ყმაწვილი ხომ არა ხართ, მე რომ ცისფერი ყანჩა მაჩუქეთ?

ამ კითხვამ არტური აღტაცებაში მოიყვანა. მან სტაცა ორივე ხელი ბავშვს, სიყვარულით მოეხვია მას, მხიარულად წამოიძახა:

— ჰო, ლედი ჯენ, მე სწორედ ის ყმაწვილი ვარ, რომელმაც თქვენ ცისფერი ყანჩა გაჩუქეთ. მაშ არ დაგვიწყებივართ? მე კი მეგონა, რომ აღარ გახსოვდით.

— მე არ დამვიწყებიხართ, მაგრამ თქვენ კი ვეღარ მიცანით, — ეშმაკური ღიმილით მიუგო ბავშვმა.

— არა, არა, ჩემო პატარა ლედი! მე მაშინვე გიცანით, მაგრამ შევჩერდი, რადგანაც მინდოდა გამეგო, მიცნობთ თუ არა!

— მე კი გეუბნებით, რომ თქვენ სრულიად ვერ მიცანით, როცა მეორედ შეგხვდით!

— მეორედ? შეუძლებელია! სად? როდის?

— ყველიერის სამშობლოს, თქვენ ვერ მიცანით, — ისევ ეშმაკუ-

რად გაიღიმა ლედი ჯენმა, — რადგანაც მე სახეზე ნიღაბი მქონდა გაკეთებული. მე კიდეც დაგიძახეთ, „მე ვარ! ლედი ჯენი ვარ-მეთქი“, მაგრამ თქვენ ყურადღება არ მომაქციეთ.

— ოო, ახლა კი მაგონდება! — გაიცინა არტურმაც, — როგორ წარმოვიდგენდი, რომ იმ დახეულ, წვირიან დომინოში თქვენ იყავით გახვეული? მერე მეორედ რატომ აღარ დამიძახეთ, როცა თქვენკენ მოვიხედე?

— მე მეგონა, რომ თქვენ კიდეც დაგავიწყდით!

— ტონი სადღაა? ვისმეს მიეცით? — უცებ ჰკითხა არტურმა და დაკვირვებით მიაჩერდა ბავშვის სახეს.

— არა, არავისთვის არ მიმიცია ჩემი საყვარელი ყანჩა! მე ისე მიყვარდა ის, ისე ვუვლიდი... მაგრამ დავკარგე. ქუჩაში გამგზავნეს სამღერლად... როცა ციოდა ხოლმე, მე იმას სკამის ფეხზე მივაბამდი და სახლში ვტოვებდი... დეიდა პოლინამ თქვა, აიწყვიტა და გაიქცაო... ძე კი შგონია, დეიდა პოლინამ ის გაჰყიდა... რამდენი ვიტირე, რამდენ ხანს ვეძებე ყველა ქუჩაში... ისე მეწყინა, ისე მეწყინა მისი დაკარგვა, რომ ქუჩებში სიმღერაც კი აღარ შემეძლო... — ჯენმა ველარ მოითმინა და ახლაც მწარედ ატირდა.

— ჩემი კარგი პატარა ლედი ჯენი სულ არ გამოცვლილა, ისევ ის უწინდელი კეთილი პატარაა! — მიუბრუნდა არტური ქალბატონ ლანიეს და თან სიყვარულით დაუწყო ბავშვს ხელის სმა მის გრძელ და ხუჭუჭ ოქროსფერ თმაზე.

— გახსოვთ, ლედი ჯენ, ის დღე, როცა ჩვენ მატარებლით ერთად მივდიოდით და მე ყანჩა გაჩუქეთ? — უცებ ისევ დაუწყო ჯენს ლაპარაკი არტურმა.

— რასაკვირველია, მახსოვს.

— მაშინ თქვენ მარტო არ იყავით, თქვენთან დედაც იყო. სად არის ახლა ის?

— არ ვიცი, — წყნარად მიუგო ბავშვმა, — ჯერ მეგონა პრერიებში წავიდა და მალე დაბრუნდებოდა, მაგრამ ახლა აღარ ველი... უთუოდ მამასთან წავიდა და აღარ მოვა.

— ხომ არ გახსოვს, ჩემო პატარა, რა დროს წავიდა დედაშენი? — ჰკითხა ბავშვს ქალბატონმა ლანიემ.

— მე მაშინ ავად ვიყავი და აღარაფერი მახსოვს! — მწუხარედ უპასუხა ჯენმა. — როცა მოვრჩი, დეიდა პოლინამ მითხრა, დედა პრერიებშია და მალე მოვაო.

— გაიხსენე, დედა რომ წავიდა, მაშინ თქვენ „კეთილ ბაშვების“ ქუჩაზე ცხოვრობდით?

— არა, დედა უწინ წავიდა. მაშინ ჩვენ წყალგაღმა ვცხოვრობ-

დით. დეიდა პოლინა, ედრასტი, ტონი და მე ერთ დილას წამოვედით დიდი, დიდი ნავით, გადმოვედით ნაპირზე და „კეთილი ბავშვების“ ქუჩაზე ვიქირავეთ სახლი.

— ხედავ, არჩი, ჯენი გრეტნიდან არსადაც არ წასულა, — წაილაპარაკა ქალბატონმა ლანიემ.

— სად არის ახლა „დეიდა პოლინა“? — ჰკითხა ჯენს არტურმა.

— არ ვიცი, — ისევ წყნარად მიუგო ბავშვმა, — მე გამოვიპარე და მას აქეთ აღარ მინახავს.

— რატომ გამოეპარეთ? ავი იყო? ცუდად გექცეოდათ?

— არა, არა! მაგაზე ნუღარაფერს მკითხავთ! — აღელვებით წამოიძახა ჯენმა და თვალებზე მომდგარი ცრემლები ძლივს შეიკავა.

— დაანებე თავი, არჩი! — უთხრა ყმაწვილ ქალს ქალბატონმა ლანიემ და აკანკალებული ბავშვი სიყვარულით კალთაში ჩაისვა, — ისეც ბევრი ტანჯვა გამოუვლია საწყალს... დამშვიდდი, ჩემო პატარა, დამშვიდდი და დაივიწყე ის საძაგელი „დეიდა პოლინა“... ამიერიდან შენ ის ველარ წაგიყვანს, შენ თავს აღარავის დავანებებ; შენ ახლა ჩემი შვილი იქნები და ყოველთვის ჩვენთან იცხოვრებ. ხვალ საღამოს ნაძვისხე გვექნება და შენ ბევრ საჩუქარს მიიღებ... დილაზე კი „კეთილი ბავშვების“ ქუჩაზე წაგიყვან... შენ ყველა მეგობარს რამე საჩუქარი უნდა წაუღო...

— ნუ ტირით, ლედი ჯენ! — უთხრა ბავშვს არტურმაც, — მეც მოგიმზადებთ ხვალისათვის ერთ საჩუქარს... ისეთს, როგორსაც თქვენ არც კი მოელით!

მეორე დილას, შობის წინადღეს, ქალბატონი ლანიე და მშვენივრად გამოწყობილი ლედი ჯენი ლამაზი ეტლით „კეთილი ბავშვების“ ქუჩაზე წავიდნენ. ეტლი ქალბატონი დიანას ლამაზი ბაღის მწვანე ჭიშკართან გაჩერდა. ლედი ჯენმა, გაწითლებულმა და აღელვებულმა, თავის მეგობარს მშვენიერი შავი კაბა მიუტანა. ქალბატონი ლანიე ძალიან მეგობრულად მოექცა დიანას, რომელსაც უწინ მდიდრად იცნობდა და რომელიც ახლა ასეთ სიღარიბეში ნახა.

— ახლავე უნდა შეაკერინოთ ეს კაბა! — ეუბნებოდა ბავშვი დიანას. — ქალბატონმა ლანიემ თქვა, რომ თქვენ ყველა თქვენი ძველი ნაცნობები უნდა ნახოთ... ყველაზე უწინ კი მე მნახავთ, არა? — და ჯენი სიყვარულით ჩაეკრა გულში თავის მეგობარს.

პეპსი კინაღამ გაგიჟდა სიხარულით, როცა ჯენმა მშვენიერი სავარძელი მიუტანა, რომელიც ლოგინისა და პატარა ეტლის მოვალეობასაც ასრულებდა. ახლა მას სხვის დაუხმარებლად შეეძლო ამ სავარძლით ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა... დედამისს, მადელონს, თბილი საზამთრო ქურქი აჩუქეს.. „თაგუნამ“ კინაღამ

ბერს აჰკრა თავი. როცა ჯენისაგან ნაჩუქარი კოლოფი გახსნა და შიგ დიდი წითელი ფრთებიანი შლიაპა დაინახა... ჟერარმა უკანასკნელი მოდის მდიდრული ტანსაცმელი მიიღო... პეშუს ოჯახობამ — აუარებელი ტკბილეულობა და სათამაშოები, მარგარიტამ კი სხვადასხვა ძვირფასი და ლამაზი საჩუქარი მის საყვარელ თავშესაფარში მცხოვრებ ბავშვებისათვის.

ათი წლის შემდეგ

გაიარა ათმა წელმა. ახლა ნიუ-ორლეანის ქუჩებზე ზამთრობით ხშირად იქცევს ყველას ყურადღებას ძვირფასი ეტლი, რომლითაც ორი ქალი დასეირნობს ხოლმე, ერთი ხნიერი და მეორე ახალგაზრდა, ლამაზი და მხიარული; ესენი დიანა ოტრევი და ლედი ჯენი არიან. როცა ეტლი თავშესაფრის საყდრის პირდაპირ აგებულ მშვენიერ მარმარილოს ძეგლს წინ გაუვლის ხოლმე, ორივე ქალი პატივისცემით თავს ძირს დახრის. ეს ძეგლი მარგარიტას ძეგლია და წარმოადგენს იმის მსგავსს, კეთილი სახის გამომეტყველებიან შუახნის ქალს, რომელსაც სიყვარულით მოუხვევია ხელი პატარა, ტიტველი ბავშვებისათვის. ეს რამდენიმე წელიწადია, რაც კეთილი მარგარიტა გარდაიცვალა და მადლიერმა ნიუ-ორლეანის მცხოვრებლებმა მას ძვირფასი ძეგლი აუგეს თავშესაფრის პირდაპირ, იმ თავშესაფრის, რომლის პატარა მცხოვრებლებსაც მან თავგანწირულობით შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე, სიახალგაზრდავე და ბედნიერება.

ლედი ჯენი ახლა დანიშნულია. მისი საქმრო არტურ მენარია, არტურ მენარი, რომელმაც ამ თორმეტი წლის წინათ გრძელფეხა ცისფერი ყანჩა აჩუქა. ჯენი რამდენჯერმე იყო ბაბუასთან ერთად საზღვარგარეთ, მან კიდეც დააპრულა სწავლა და საუცხოოდაც მღერის. ზამთრობით ის ყოველთვის რამდენიმე თვეს ნიუ-ორლეანში ატარებს, სადაც ბაბუამ მშვენიერი სასახლე უყიდა ლანიეს სასახლის პირდაპირ, არტურ მენარიც ორლეანში გადმოსახლდა და ლანიეს ოჯახობა, ჩეტუინდი და ჯენი თავისი საქმროთი ყველა ერთად საუცხოოდ ატარებენ ხოლმე დროს, როცა კი ერთად შეიყრებიან.

პეპსის დედა, მადელონი, უწინდელივით აღარ გარბის ყოველ დილას თავისი დაშაქრული ნუშის და ნიგვზის გასაყიდად. ახლა მას შეძლება აქვს თვითონ შინ იჯდეს და კამფეტები სხვისი ხელით გზავნოს გასაყიდად. დეიდა მოდის ყოველდღე, მოაქვს ჩეტუინდის სახლში სქელი და გემრიელი რძე... ის ძალიან გასუქდა და დამრგვალდა ამ უკანასკნელ დროს, მაგრამ მაინც უწინდელივით მხიარული და თავისი შვილების მოყვარულია. იგი აღტაცებაში მოდის ხოლმე, როცა ჯენი მათ ეწვევა და მარის ბავშვებს ეთამაშება.

მაგრამ ჯენს ყველაზე უფრო პეპსისთან სიარული უყვარს. ქალაქგარეთ, თავის პატარა, ლამაზ სახლში პეპსი სულ გაჯანსაღდა და გამოცოცხლდა. ახლა ის საუცხოოდ ჰქსოვს გასაყიდად წმინდა და ნაზ არშიებს და ბევრ ფულსაც იგებს. ლედი ჯენი ყოველ წელიწადს უწერს მას საზღვარგარეთიდან საუკეთესო ნახატებსა და საჭირო მასალებს.

— როგორ გავმდიდრდი! — ხშირად აღტაცებით ეუბნება ხოლმე პეპსი თავის საყვარელ ლედი ჯენს, — ახლა, თუ მოვინდომე, ისიც კი შემიძლია, რომ ფორტეპიანო ვიყიდო... რომ როცა თქვენ მესტუმრებით, თქვენი დაკვრით მასიამოვნოთ.

მშვენიერი, წყნარი და თბილი საღამო იყო. ჩეტუინდის სასახლის ბაღში ახალგაზრდობა შეყრილიყო და ყმაწვილკაცები და ქალები გატაცებით ბურთაობდნენ, სასახლის წინ განიერ ოთხკუთხ აივანზე ქალბატონი დიანა იჯდა და ხელში წიგნი ეკავა, მაგრამ ის არ კითხულობდა, ის კეთილი ღიმილით ადევნებდა თვალს ორ ახალგაზრდას, ლამაზ ყმაწვილკაცს და მშვენიერ ქალიშვილს, რომლებიც ერთმანეთს არ სცილდებოდნენ და, როცა თამაში შეწყდებოდა ხოლმე, მხიარული და ბედნიერი ღიმილით ადევნებდნენ თვალს გრძელფეხა და გრძელ ნისკარტა ცისფერ ყანჩას; ყანჩა თავმომწონედ დასეირნობდა მათ წინ, ხანდახან კი ასწევდა ზევით ცალფეხს და ისე გაქვავდებოდა მეორეზე, რომ აღამიანს ეგონებოდა, ნამდვილად მარმარილოდან არის გამოქანდაკებულიო.

ამ ცისფერ ყანჩასთან ახალგაზრდა და ბედნიერ საქმრო-საცოლეს მთელი წარსული ცხოვრება, ყველა საუკეთესო მოგონებები არის დაკავშირებული.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა — გ. კაჭახიძისა 8

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა 5

შაკრომ გაგვცა 15
მაგათაც ხომ უნდათ თავისუფლება 17
რათ მოკლეს დედაჩემი! 18
ოზი გელდი 20
ფარშავანგი 24
რამ ათქმევინა ტყუილი! 25
მოულოდნელი მეგობრობა 26
თეთრი ყვავილი 28
რა კარგი იყო 32
ილიკო 34
მეშვიდეს აღარ ერგო 39
როგორ ვილხინეთ! 41
თინა ტყვეობაში 43
მოლოდინში 48
გაკვეთილს ვსწავლობდით! 51
ყურძენი დამწიფდა! 54
მეგობრული გრძნობა მაიმუნებში 58
სხვისი ძრახვა ადვილი ყოფილა 59
არწივი და ფუტკარი 60
ჭიანჭველა და მტრედი 60
ტოროლა 61
ყვავი და ბულბული 61
დედის სიყვარული პირუტყვებში 61
ღორის გამჭრიახობა 61
ორი ვირი 62
კეთილშობილური საქციელი 62

თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

ეს თაიგული დედაჩემისაა! 63
ყარყატოს თავგანწირვა 63
მსაჯული და მაწანწალა 64
თავგასულობის შედეგი 69
ნიკოლა ცრინი 72

ალექსი ჭიჭინაძე 92

მცენარეები ცხელი ქვეყნებისა

ქოქოსის პალმა 95
ფინიკის პალმა 99
პურის ხე 101
ხე ბუმბერაზი 104
მანანა 106

ცხოველები ცხელი ქვეყნებისა

ნიანგი (ხვითქი) . 108
ისაერო (ქამელეონი) 112

ივანე როსტომაშვილი 116

მეფე ლამზა (ზღაპარი) . . 121
მებადურის შვილი (ზღაპარი) 129
თაგუნია-ქალი (ზღაპარი) 133
წვრილი ძაფი (იგავი) . . 134
ღარიბი და მდიდარი ვაჭარი (იგავი) . . 134
უწვიმობა ჩვენს სიმინდს ვეღარას აკლებს (ნამდვილი ამბავი) 135
მიგდებული (ნამდვილი ამბავი) 137
როგორ ვისწავლე კერვა? (ნამდვილი ამბავი) 137
გლეხის გონებამახვილობა (ნამდვილი ამბავი) 138
სისწრაფეში ძალაა (ნამდვილი ამბავი)
როგორ გაამრთელეს გამსკდარი კედელი (ნამდვილი ამბავი) 139
ჩინეთის დედოფალი სილინჩი (ნამდვილი ამბავი) 140
მაგნიტი (ნამდვილი ამბავი) 140

ეკატერინე მელიქიშვილი-მესხისა 142

ჩემი ბავშვობის მოგონება 147

თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

ჯიუტი თხა — მამინ-სიბირიაკისა 149
ლინეის სიყმაწვილე 160
საავადმყოფოში . 163
ტახი — ჩინური ზღაპარი 167
ყვავი — თქმულება 170
დროშა 179

თეოფილე კანდელაკი 181

დედა და შვილი 183
ნატვრა 184
ყვავი და არწივი 184
მუშის სიმღერა 187
გამოცანა 187
გამოცანა 188
სამშობლოსათვის თავდადებული 189
პატარა ხუროები 190
სიტყვის ძალა . 190

მარიამ დემურია 192

შალვა და თამრო 197
ორი მეგობარი 199
არჩილის და ლევანის პირველი შობის ხე 203
მხერხავი ლეესო 205
„მერცხლობანა" 210
პატონყმობის დროის ამბავი 212

თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

იასამანი 214
დაუპატიჟებელი სტუმარი 215
ორი ბაყაყის თავგადასავალი 217

ალექსი მირიანაშვილი 223

ი გ ა ვ-ა რ ა კ ე ბ ი

მეწისქვილე 225
დედა და შვილი 226
ობობა და ბუზი 227
სამი მგზავრი 227
მელია და გლეხი 228
ჯერ მტერი, მერე მოკეთე 228
ორი მეზობელი 228
სამაგიერო 229
სამი უნარი 230
ავი შვილები 230
ხარაზი 232
უქნარა 232
გულშემატკივარი მეზობელი 233
ფუტკარი და ბუზი 234
ლომი, მელია და მეცხვარე 234

ივანე ელიაშვილი 235

სამშობლო ბუნების სარკე

ყვავის საჩივარი 238
ბულბულის ამონაკვნესი 243
ბეღურას თავგადასავალი 249
გუგულის ამბავი 253
გამოქახრაკებული თაგვის ნაამბობი 255
ჭია მაია 259
მაჩვის საჩივარი 260
ოფოფი 262

ლუარსაბ ბოცვაძე 260

ცრუმორწმუნეობა 269
კატა და ვეფხვი 275
მონადირე და მეფის ქალი — ზღაპარი 276
ლომი და მელია 279
ლომი და კურდღელი 279
ყვავილების ნადიმობა 281

ლომენტი თომაშვილი 284

მატლს 287
ვარდის ბუჩქი 287
გაზაფხული 288
ჯეჯილი 289
ყმაწვილი და ფუტკარი 291
საახალწლო სურათი 292
დამატება

ელენე წერეთელი 297

ლედი ჯენი — ჯემისონისა (შემოკლებით) 297

Деятели Грузинской детской литературы

Сост. Анна Спиридоновна Гвиниашвили

(На грузинском языке)

Художник Д. Дундуа

Детгиздат ГССР
Тбилиси
1959

რედაქტორი ნ. კალანდარიშვილი
მხატვარი დ. დუნდუა
მხატვრული რედაქტორი გ. დიკი
ტექნიკური რედაქტორი მ. მეძმარიაშვილი
კორექტორი ნ. ლორთქიფანიძე

გადაეცა წარმოებას 1958 წ. 6/X ხელმოწერილია
დასაბეჭდად 1959 წ. 1/IV ანაწყობის ზომა
6×10. ქაღალდის ზომა 60×92. საგამომცემლო
თაბახი 24,85. ნაბეჭდი თაბახი 21,50. უე 00207.
ტირაჟი 10,000. შეკვეთა № 528.

ფასი 10 მან.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

*

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.